შტეფან ცვაიგი

მოუთმენლობა გულისა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რჯეი
რჯეული
ბუნება

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოუთმენლობა გულისა

შტეფან ცვაიგი

შტეფან ცვაიგი (1881-1942)

შტეფან ცვაიგი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ებრაული წარმოშობის საქმოსან მორიც ცვაიგის ოჯახში დაიბადა. ვენის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე, საკუთარი ხარჯით გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ვერცხლის სიმები“, რომელიც იმ დროს უკვე ცნობილ პოეტს რაინერ მარია რილკეს გაუგზავნა, საპასუხოდ კი, უფროსი კოლეგისგან სახსოვრად, მისი წიგნი მიიღო. ასე გაიბა მათ შორის მეგობრობა.

უნივერსიტეტის დამთავრებისა და დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ ცვაიგი სამოგზაუროდ გაეშურა, მოიარა ევროპის დედაქალაქები ლონდონი და პარიზი, შემდეგ ეწვია იტალიას, ესპანეთს (1905-1906). მომდევნო წლებშიც ბევრ ქვეყანას სტუმრობდა (ინდოეთს, აშშს, კუბას, პანამას), პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლები შვეიცარიაში გაატარა, ხოლო შემდგომ, სამშობლოში, ქალაქ ზალცბურგში დასახლდა.

ომის დროს გამოაქვეყნა საინტერესო ნარკვევი რომენ როლანზე, რომელსაც „ევროპის სინდისი“ უწოდა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მაკსიმ გორკის, თომას მანის, მარსელ პრუსტისა და იოზეფ როთის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ესეები.

შტეფან ცვაიგმა სახელი გაითქვა ნოველებით, რომლებიც მკითხველს აოცებს უჩვეულო სიუჟეტით, ადამიანის ცხოვრების პერიპეტიებით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და შინაგანი დრამატიზმით. 1927 წელს მწერალმა ნოველები სამ ტომად გამოსცა და მოითხოვა, თითოეული მათგანისთვის სხვადასხვა ფერის ყდა დაერთოთ, რითიც ადამიანის განცდების განსხვავებული გამა უნდოდა გამოეხატა: მწვანე ბავშვობის შესაფერისად მიაჩნდა, ნარინჯისფერი სიმწიფის ხანის, ღია ლურჯი კი ხანდაზმულობის.

საინტერესოა, რომ ცვაიგმა ნოველის საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული მოდელი შეიმუშავა. მის მიერ გადმოცემული ამბების უმეტესობა პერსონაჟის მოგზაურობის ფონზე ხდება, რომელიც ზოგჯერ სახალისოა, ზოგჯერ დამღლელი და მოსაწყენი, ზოგჯერ კი – სახიფათო. ყველაფერი, რაც მის გმირებს თავს გადახდება, მოგზაურობისას გაკეთებული ხანმოკლე გაჩერების დროს ხდება, მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ვითარდება, მაგრამ მათი ცხოვრების გადამწყვეტ, საკვანძო მომენტად იქცევა. ეს მოვლენები ხშირად მათთვის ნამდვილ ზნეობრივ გამოცდად იქცევა, ნაწარმოების კულმინაციად კი პერსონაჟის ემოციური მონოლოგი წარმოგვიდგება.

დღეს მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი და მკითხველისთვის საყვარელი ნაწარმოებებია შტეფან ცვაიგის ნოველები: „უცნობი ქალის წერილი“, „ამოკით შეპყრობილი“, „მწველი საიდუმლო“, „საჭადრაკო ნოველა“, „შიში“, „მთვარის შუქით განათებული ქუჩაბანდი“, „უხილავი კოლექცია“, „ფანტასტიკური ღამე“, რომლებსაც ცვაიგის „რჩეულის“ მე-2 ტომში იხილავს მკითხველი.

ნოველა ცვაიგს უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე თანამედროვეობის ამსახველი

ორიგინალური რომანი. ალბათ ამიტომაც, მის კალამს ამ ჟანრის მხოლოდ ერთი დასრულებული (ერთიც დაუსრულებელი „გარდასახვის მხუთრი“, რომელიც მისი გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ 1982 წელს გამოიცა) ნაწარმოები „მოუთმენლობა გულისა“ (1938) ეკუთვნის, თუმცა დიდ წარმატებას მიაღწია ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანის ჟანრში, რომლის უამრავი ნიმუში შექმნა.

ეს მასშტაბური ლიტერატურული ტილოები დოკუმენტისა და ხელოვნების მიჯნაზეა. მაგელანის, ერაზმუს როტერდამელის, მარიამ სტიუარტის, მარიანტუანეტის, ფუშეს, ბალზაკისა

თუ კაზანოვას ცხოვრების აღწერისას მწერალი ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა, მაგრამ საკუთარი ფანტაზიის ფართო შესაძლებლობებსაც მოხდენილად იყენებს. რაც მთავარია, მშრალი დოკუმენტის მიღმა მუდამ ახერხებს ფსიქოლოგიური „სარჩულის“ ამოკითხვასა და წარმოჩენას.

ისტორიული რომანებისა თუ ე.წ. ბელეტრისტური ბიოგრაფიების ნაწილი შემოქმედს ციკლებად აქვს გაერთიანებული და სხვადასხვა მოღვაწის შედარების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითად, ნაწარმოებში, რომელსაც „თვისი ცხოვრების სამი მგოსანი“ დაარქვა, უჩვეულო სამეულს კაზანოვას, სტენდალსა და ტოლსტოის წარმოგვიდგენს და წინასიტყვაობაში ამის მიზეზებსაც ძალზე საინტერესოდ ხსნის (ცვაიგის „რჩეულის“ მე-4 ტომი).

განსაკუთრებული ადგილი უკავია ცვაიგის შემოქმედებაში პოლიტიკოსთა პორტრეტებს. მას გამუდმებით აწუხებდა პოლიტიკისა და მორალის ურთიერთგავლენის საკითხები. წინააღმდეგობამ ამ ორ სფეროს შორის მწერლისთვის 30-იან წლებში უშუალო, ცხოვრებისეული მნიშვნელობა შეიძინა. გერმანიაში ძალაუფლებას ფაშისტური პარტია დაეპატრონა, 1938 წელს კი ჰიტლერმა შემოქმედის სამშობლოც დაიპყრო.

ჯერ კიდევ მანამდე, შტეფან ცვაიგმა ზალცბურგი დატოვა და ლონდონში დასახლდა. მაგრამ არც ინგლისში გრძნობდა თავს სრულიად დაცულად და 1940 წელს, ჯერ ლათინურ ამერიკაში, შემდგომ კი აშშში გადავიდა, თუმცა მალე იქიდანაც წავიდა და ბოლოს, ბრაზილიურ ქალაქ პეტროპოლისში დამკვიდრდა.

უკანასკნელი წლები მწერლისთვის უმძიმესი განცდების ფონზე მიედინებოდა. მანამდე ცვაიგს დიდი ხნის განმავლობაში სწამდა, რომ პირველი მსოფლიო ომი მხოლოდ ტრაგიკულ გაუგებრობას წარმოადგენდა და მსოფლიოს ისტორიაში უკანასკნელი იქნებოდა. იმედს არ კარგავდა, რომ რომენ როლანთან, ანრი ბარბიუსთან, გერმანელ ანტიფაშისტ მწერლებთან ერთად მოახერხებდა, კაცობრიობისთვის თავიდან აეცილებინა ახალი მასშტაბური სისხლის ღვრა... იმედის გაცრუებამ, ილუზიების მსხვრევამ მის უკანასკნელ, მოგონებების წიგნში „გუშინდელი მსოფლიო“ პოვა ასახვა.

1942 წლის 23 თებერვალს სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებმა პირველ გვერდებზე სენსაციური ცნობა გამოაქვეყნეს: „სახელგანთქმულმა ავსტრიელმა მწერალმა შტეფან ცვაიგმა და მისმა ცოლმა შარლოტამ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე რიო-დე ჟანეიროს მახლობლად“. სათაურის ქვეშ მოეთავსებინათ ფოტოსურათი, რომელიც ჰოლივუდური მელოდრამიდან ამოღებულ კადრს უფრო ჰგავდა: მასზე გარდაცვლილი ცოლ-ქმარი იყო აღბეჭდილი...

თანამედროვეთა უმეტესობისთვისეს ამბავი სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი გახლდათ. თომას მანმა კოლეგა გაკიცხა კიდეც ცვაიგის ამ ნაბიჯს „თანამედროვეების მიმართ ეგოისტური აბუჩად აგდება“ უწოდა. აი, ერიჰ მარია რემარკმა კი თავის რომანში „აჩრდილები სამოთხეში“ ამ ტრაგედიას ასეთი ინტერპრეტაცია მისცა: „იმ საღამოს, როცა ბრაზილიაში ცვაიგმა და მისმა ცოლმა თავი მოიკლეს, მათ თუნდაც ტელეფონით ვინმესთვის გულის გადაშლის შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, ეს უბედურება შესაძლოა, არ მომხდარიყო. მაგრამ ცვაიგი სამშობლოდან შორს, უცხო მხარეში, უცხო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდა“...

მოუთმენლობა გულისა

<u>რომანი</u>

„ორნაირი თანაგრძნობა არსებობს: ერთია სულმოკლე და სენტიმენტალური. იგი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა მოუთმენლობა გულისა, რომელიც ისწრაფვის, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდეს სხვისი უბედურებით მოგვრილი სიმძიმილისაგან. ეს თანაგრძნობას კი არა, უფრო სხვისი უბედურებისგან ინსტინქტურ თავდაცვას წარმოადგენს. მეორეა ჭეშმარიტი, არასენტიმენტალური, მაგრამ ქმედითი თანაგრძნობა, რომელმაც იცის, რაც სურს და მზად არის უტეხი თანადგომითა და თანაგრძნობით გაუძლოს ყველაფერს, ვიდრე სასოება წაერთმეოდეს და თვით ამის შემდეგაც კი დარჩეს იმავე პოზიციაზე“.

<u>„მოუთმენლობა გულისა“.</u>

„რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“, – ყველა მწერალი შეძლებს ამ სიტყვების სიმართლის დადასტურებას, თუ შიგ ასეთ აზრს ჩააქსოვს: „ვისაც ბევრი უამბნია, მას ბევრსაც მოუთხრობენ“. ისე მცდარი არაფერია, როგორც საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს მწერალს ფანტაზიის დაუშრეტელი მარაგი ჰქონდეს და ისე თხზავდეს ახალახალ ამბებს. სინამდვილეში კი მას სახეებისა და ისტორიების გამოგონება არ სჭირდება, თუკი ჭვრეტისა და ყურადღების უნარი არ დაუკარგავს. საკმარისია მხოლოდ შეეგებოს მათ, როდესაც ისინი მთხრობლის დაუცხრომელ ძიებაში მიადგებიან. ვისაც ხშირად უცდია სხვათა ბედ-იღბლის განჩინება, მას ბევრნი უამბობენ თავიანთ ხვედრს. ეს ამბავიც თითქმის მთლიანად ისე გამანდეს, როგორც ქვემოთ გიამბობთ, და თანაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელად...

ვენაში უკანასკნელად რომ ვიყავი, ერთ საღამოს, უამრავი საქმით დაღლილ-დაქანცულმა, ქალაქის გარეუბანში, პატარა რესტორანში გადავწყვიტე წასვლა. ვიფიქრე, ცოტა ხალხი იქნება-მეთქი, მაგრამ როგორც კი ფეხი შევდგი, მაშინვე ვინანე. პირველივე მაგიდიდან ნაცნობი წამოდგა და გულწრფელად გახარებულმა (ამ სიხარულს სულაც არ ვიზიარებდი) თავისთან მიმიპატიჟა. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ აუტანელი ანდა არასასიამოვნო ადამიანი იყო, მაგრამ იმ აბეზარი ხასიათის მქონეთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ისეთივე გატაცებით იძენენ ნაცნობებს, როგორც ბავშვები საფოსტო მარკებს, და დიდად ამაყობენ თავიანთი კოლექციით. ამ გულკეთილი, მაგრამ ახირებული ყმაწვილისთვის (სხვათა შორის, მრავლისმცოდნე და საქმიანი არქივარიუსისთვის) ცხოვრების მთელი აზრი იმ თავმდაბლური კმაყოფილებით ამოიწურებოდა, რომელსაც მაშინ გრძნობდა, თუ გაზეთში დროდადრო მოხსენიებული სახელის გაგონებაზე შეეძლო სასხვათაშორისოდ, ვითომც აქ არაფერიო, ეთქვა: ჩემი კარგი მეგობარი გახლავთ, ანდა: აჰ, ეს ხომ გუშინაც შემხვდაო; ან კიდევ: ჩემმა მეგობარმა

ა-მ ეს თქვა, ჩემი მეგობარი ბ. ამას ფიქრობსო, და ასე შემდეგ, მთელი ანბანის მიყოლებით. მეგობარ მსახიობებს პრემიერებზე გულმოდგინედ ტაშს უკრავდა, მსახიობ ქალებს მეორე დღეს ტელეფონით უკავშირდებოდა და წარმატებას ულოცავდა. არავის დაბადების დღე არ გამოეპარებოდა. უარყოფითი რეცენზიების შემთხვევაში დუმილს არჩევდა, საქებარ რეცენზიებს კი გულწრფელად გახარებული უგზავნიდა მეგობრებს. საერთოდ, ურიგო ადამიანი არ იყო, რადგან უანგარობით გამოირჩეოდა და სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე, თუკი ვინმე დახმარებას სთხოვდა ანდა მის რჩეულ ნაცნობთა კოლექციას ახალი პერსონაჟით გაამდიდრებდა.

ვფიქრობ, საჭირო არ არის, უფრო დაწვრილებით აღვწერო ჩვენი მეგობარი „მეც იქ ვიყავ“ (ჩვეულებრივ, ასეთი მხიარული და დამცინავი მეტსახელით იხსენიებენ ხოლმე ვენაში მსგავს უცოდველ პარაზიტებს, რომლებიც სნობთა ჭრელ მოდგმას მიეკუთვნებიან). ყველა ჩვენგანი იცნობს მათ და იცის, რომ მხოლოდ უხეშობით თუ დააღწევ თავს მათთვის დამახასიათებელ უვნებელ, მაგრამ აბეზარ ყურადღებას. ამიტომ ბედს შევურიგდი, გვერდით მივუჯექი და მუსაიფი გავაბით. თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ რესტორანში მაღალი კაცი შემოვიდა, თვალში საცემი იყო მისი ჯანსაღი სახე, საფეთქლებს ჭაღარა უმშვენებდა, მხრებში გამართული მოდიოდა, მაშინვე იტყოდით, წინათ სამხედრო ყოფილაო.

ჩემი მეინახე მკვირცხლად წამოხტა და მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მიესალმა. ამ უკანასკნელმა კი უფრო გულგრილად უპასუხა, ვიდრე თავაზიანად. ახალმოსულს ჯერ შეკვეთაც არ ჰქონდა მიცემული, როცა ჩემმა თანამესუფრემ უფრო ახლოს მოიწია და ხმადაბლა მკითხა:

– იცით, ეს ვინ არის?

მეც, რადგან დიდი ხანია ვიცოდი, როგორ მოჰქონდა თავი და ხოტბას ასხამდა თავისი კოლექციის ყოველ, თუნდაც ნაკლებ საინტერესო ეგზემპლარსაც კი, ხანგრძლივი ახსნა-განმარტებისთვის თავი რომ ამერიდებინა, სასხვათაშორისოდ მივუგე: არა-მეთქი, და ისევ ტორტს მივუბრუნდი. მაგრამ ჩემმა გულგრილობამ უფრო გაახელა სახელთა შემგროვებელი. პირზე ხელი მიიფარა და ჩამჩურჩულა:

– ეს ხომ ჰოფმილერია. მთავარი საინტენდანტოდან... არ შეიძლება არ იცოდეთ... მარია-ტერეზას ორდერი მიიღო ომში.

და რადგან ვერც ამ ფაქტმა მოახდინა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, „მეც იქ ვიყავიმ“ სასკოლო ქრესტომათიის შესაფერისი პატრიოტული აღტყინებით გადმოალაგა ის საგმირო საქმენი, რომლებიც ხსენებულ როტმისტრს ჩაედინა ომში: ჯერ კავალერიაში, შემდეგ პიავეზე სადაზვერვო ფრენისას, როდესაც სრულიად მარტომ მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო, და ბოლოს, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის უფროსად ყოფნისას, როცა სამ დღეში ფრონტის ერთი უბანი დაიკავა და შეინარჩუნა კიდეც. ყოველივე ამას უამრავ წვრილმანს ურთავდა (რომლებიც აქ გამოვტოვე) და თან დიდად გაკვირვებული იყო, რომ არაფერი ვიცოდი ამ შესანიშნავი ადამიანის შესახებ, რომელსაც პირადად იმპერატორმა კარლმა გადასცა ავსტრიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო.

უნებლიეთ ავყევი ცდუნებას და ჩვენ გვერდით მდგარი მაგიდისკენ გავიხედე, რომ ისტორიის ბეჭდით შემკული გმირისთვის ერთხელ მაინც შემეხედა ორი მეტრის მანძილიდან. მაგრამ უკმეხ, განაწყენებულ მზერას წავაწყდი, რომელიც დაახლოებით ამას ამბობდა: „რას მომჩერებიხარ, უკვე მოასწრო, არა, რაღაცების თქმა მაგ ვაჟბატონმა?“

ამასთანავე, ჩვენდამი აშკარად მტრულად განწყობილმა, მკვეთრად შეაბრუნა სავარძელი და დემონსტრაციულად შეგვაქცია ზურგი. ცოტა არ იყოს, დავიბენი, თვალი ავარიდე და ისევ ტორტს მივუბრუნდი. ერთხანს კიდევ დავაყოვნე და მერე დავემშვიდობე ჩემს მოლაყბე მეგობარს. გარეთ გამოსვლისას არ გამომპარვია, რომ დაუყოვნებლივ თავის გმირთან გადაბარგდა, ალბათ ეჩქარებოდა, ისევე გულმოდგინედ მოეთხრო მისთვის ყველაფერი, რაც ჩემზე იცოდა.

ეს იყო და ეს. მხოლოდ ერთი წამით შეხვდა ჩვენი მზერა ერთმანეთს და მე, რასაკვირველია, სულ მალე დამავიწყდებოდა ეს ინციდენტი, მაგრამ შემთხვევამ მოიტანა და მეორე დღესვე ერთ პატარა წვეულებაზე კვლავ პირისპირ აღმოვჩნდი იმ მიუკარებელ როტმისტრთან, რომელიც სმოკინგში კიდევ უფრო ტანადი და ელეგანტური ჩანდა, ვიდრე გუშინ, სპორტული ყაიდის კოსტიუმში. ორივემ ძლივს შევიკავეთ პირზე მომდგარი ღიმილი, ის მრავლისმეტყველი ღიმილი ორი ადამიანისა, რომელთაც საერთო საიდუმლო აქვთ და მას დანარჩენებს უმალავენ. მანაც მაშინვე მიცნო. როგორც ჩანდა, ორივეს თანაბრად გვაღიზიანებდა და გვართობდა გუშინდელი ამბავი და ჩვენი საერთო „მეგობარი“. თავდაპირველად გავურბოდით ერთმანეთთან საუბარს, თუმცა ეს მაინც ვერ მოხერხდებოდა, რადგან ჩვენ ირგვლივ ცხარე კამათი ატყდა.

კამათის საგანი წინასწარ შეიძლება გამოიცნოთ, თუ ვიტყვი, რომ იგი 1938 წელს მიმდინარეობდა. ჩვენი დროის მომავალი მემატიანენი დაადგენენ, რომ 1938 წელს თითქმის ყველა კამათი და საუბარი, ევროპის რომელ ქვეყანაშიც უნდა შემდგარიყო, სულ იმას უტრიალებდა, გაჩაღდებოდა თუ არა მეორე მსოფლიო ომი. ეს თემა მომნუსხველად მოქმედებდა ყველაზე. შეკრება ისე არ ჩაივლიდა, რომ არ შეხებოდნენ ამ ამბავს და ზოგჯერ ისეთი გრძნობა იპყრობდა კაცს, რომ ადამიანები კი არ იქარვებდნენ შიშს, როდესაც თავიანთ ეჭვებსა და იმედებს გამოთქვამდნენ, არამედ თითქოს თავად ატმოსფერო, აფორიაქებული და წინააღმდეგობით დამძიმებული ჰაერი ცდილობდა სიტყვების მეშვეობით განმუხტვას.

კამათი მასპინძელმა, პროფესიით ვექილმა და თანაც დისკუსიის დიდმა მოყვარულმა წამოიწყო: საყოველთაოდ ცნობილი არგუმენტებით საყოველთაოდ ცნობილ სისულელეს ამტკიცებდა. მისი თქმით, ახლანდელმა თაობამ უკვე იწვნია ერთი ომი და მეორედ ასე იოლად ვეღარ მოახვევდნენ თავს ამ საშინელებას, ამიტომ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე უკან მიაბრუნებდა შაშხანებს, რადგან კარგად იცოდა, რაც მოელოდათ ომის შემთხვევაში.

იმ დროს, როდესაც ათეულ და ასეულათასობით ფაბრიკა ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და შხამიან გაზებს აწარმოებდა, ჩვენი მასპინძელი ისევე დაუდევრად იშორებდა თავიდან ომის დაწყების შესაძლებლობას, როგორც სალოკი თითის ოდნავი დაკვრით

ფერფლს სიგარეტიდან. მისმა უპირობო გულდაჯერებულობამ მოთმინებიდან გამომიყვანა:

– ყოველთვის როდი შეიძლება, ერთმანეთში ავურიოთ ის, რაც გვსურს და რაც სინამდვილეში არსებობს, – მივუგე მტკიცე ხმით, – სამხედრო უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საომარ მანქანას განაგებენ, არ სძინავთ და ვიდრე ჩვენ ილუზიებით ვიკვებებით, ისინი მშვიდობიან დროს მასების დასარაზმავად და, როგორც იტყვიან, მათ საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად იყენებენ. ფაქტებს თვალი უნდა გავუსწოროთ. ადამიანი მტვრის ნამუსრევია მხოლოდ და დღეს მის ნებასურვილს საერთოდ აღარ უწევენ ანგარიშს.

რა თქმა უნდა, ყველანი ჩემ წინააღმდეგ განეწყვნენ, ვინაიდან ადამიანებს, როგორც ცნობილია, თავის მოტყუება უყვართ მოახლოებული საფრთხის წინაშე. ქვეცნობიერად

გრძნობენ საშიშროებას და მას არარსებულად, არარეალურად აცხადებენ. თანაც მეზობელ ოთახში საუცხოოდ გაწყობილი სუფრა გველოდა და ამის გამო ჩემი სიტყვები, იაფფასიანმა ოპტიმიზმმა არ უნდა გაგვიტაცოს-მეთქი, მით უფრო უადგილო ჩანდა.

მოულოდნელად მარია-ტერეზას ორდენის კავალერი ამომიდგა მხარში, სწორედ ის, ვისაც გონებაში ჩემს მოწინააღმდეგედ მივიჩნევდი.

– დიახ, სისულელეა, ცხარედ განაცხადა მან, დღეს კიდევ ანგარიშს უწევდე ცოცხალი ძალის ნებასურვილს. მომავალ ომში ძირითადად მანქანები იმოქმედებს, ხოლო ადამიანებს უფრო მათი დანამატის როლი დაეკისრებათ. ჯერ წინა ომშიც ბევრს როდი შეხვდებოდით ფრონტზე, ვინც ომს გარკვევით უარყოფდა ანდა არ უარყოფდა. უმრავლესობა ომმა ისე აიტაცა, როგორც ქარმა მტვრის ნაწილაკები და შემდეგ თითოეულ მათგანს, საყოველთაო ორომტრიალში მოხვედრილსა და საკუთარ ნებელობას მოკლებულს, ისე დაატარებდა ბედი, როგორც მარცვალს ჭირნახულივით სავსე ვეებერთელა ტომარაში. საერთოდ, ვფიქრობ, ომისთვის უფრო მეტ ადამიანს შეუფარებია თავი, ვიდრე მისი ჯოჯოხეთიდან გამოქცევა მოუხერხებია.

განცვიფრებული ვუსმენდი. უპირველეს ყოვლისა, მისმა მგზნებარე კილომ მომხიბლა.

– თავს თუ მოვიტყუებთ, განაგრძო მან, დღეს ეგზოტიკური ომისთვის, ვთქვათ, პოლინეზიაში ანდა აფრიკის რომელიმე კუთხეში საბრძოლველად მოხალისეების შეგროვებას რომ შეუდგნენ, ათასობითა და ათეულათასობით მსურველი გამოჩნდება, და რომ ჰკითხოთ, თვითონაც ვერ გეტყვიან, რა ამოძრავებთ, ალბათ, საკუთარ თავს თუ უნდათ, რომ გაექცნენ, ანდა დუხჭირ ცხოვრებას. ჩემი აზრით, ომს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს. იმისთვის, რომ ერთმა კაცმა მთელ ორგანიზაციას გაუწიოს წინააღმდეგობა, ბევრად უფრო მეტია საჭირო, ვიდრე საერთო ფეხის ხმის აყოლისთვის, სახელდობრ პირადი სიმამაცე. ხოლო ჩვენს მზარდი ორგანიზაციისა და მექანიზაციის ეპოქაში ეს იშვიათი თვისება თანდათან ქრება. ომში უფრო მასობრივი სიმამაცის გამოვლენას შევხვედრივარ, მწყობრში მდგართა სიმამაცეს და თუ ამ ცნებას გამადიდებელი შუშით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ იგი საკვირველი კომპონენტებისგან შედგება: ბევრია პატივმოყვარეობა, ბევრია თავქარიანობაც, ყველაზე მთავარი კი შიშია! დიახ, შიში იმისა, რომ სხვებს არ ჩამორჩნენ, რომ საცინრად არ

აიგდონ, შიში დამოუკიდებლად მოქმედებისა და, რაც მთავარია, შიში, წინ აღუდგნენ საერთო აღტყინებას; ძალიან ბევრს იმათგან, ვინც ფრონტზე უმამაცესად ითვლებოდა, პირადად ვიცნობდი მაშინაც და მერეც, სამოქალაქო ცხოვრებაში, როგორც ფრიად საეჭვო გმირებს... ჩემო ბატონო, – თავაზიანად მიუბრუნდა მასპინძელს, რომელსაც სახე დაემანჭა, – არ გეგონოთ, რომ ჩემი თავი გამონაკლისად მიმაჩნია.

მომეწონა განწყობა, რომელიც მის ნათქვამში გამოსჭვიოდა. ის იყო, მასთან საუბრის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ ამ დროს დიასახლისმა ვახშამზე მიგვიპატიჟა და ერთმანეთისგან ისე შორს დაგვსვეს, რომ ჩვენი საუბარი ვეღარ მოხერხდა. მაგრამ შემდეგ, როცა ყველანი წასასვლელად წამოიშალნენ, კიდევ შევხვდით გარდერობთან ერთმანეთს.

– მგონი, – მითხრა მან ღიმილით, – ჩვენმა საერთო „მფარველმა“ უკვე დაუსწრებლად გაგვაცნო ერთმანეთი.

მე ღიმილითვე ვუპასუხე:

– და თანაც ერთობ საფუძვლიანად.

– ალბათ, დიდი ამბით მოგითხროთ ჩემი გმირობის ამბავი, როგორი აქილევსი ვარ და დარწმუნებული ვარ, ჩემი ორდენითაც ისე ტრაბახობდა, თითქოს მისი საკუთარი იყო.

– დიახ, დაახლოებით ასე იყო.

– წარმომიდგენია! გიჟდება ამ ორდენზე. ისევე, როგორც თქვენს წიგნებზე.

– ახირებული ვინმეა! მაგრამ უარესებსაც შეხვდებით. ასე რომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ცოტა გავიაროთ.

ერთად წამოვედით. გზად მომიბრუნდა და მითხრა:

– დამიჯერეთ, არ ვკეკლუცობ, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ წლების განმავლობაში ისე არაფერს შევუწუხებივარ, როგორც მარია-ტერეზას ორდენს, რომელიც მეტისმეტად თვალში საცემია. რა თქმა უნდა, როცა იგი პირველად ჩამომკიდეს ფრონტზე (ცოდვა აღიარებული სჯობს), თავბრუ დამეხვა ბედნიერებისგან: ბოლოს და ბოლოს, როდესაც ჯარისკაცად ხარ აღზრდილი და უკვე კადეტთა კორპუსშივე ყურები გაქვს გამოჭედილი ლაპარაკით ამ ლეგენდარულ ორდენზე, რომელსაც მხოლოდ გამორჩეულები იღებენ, კაცს მართლაც ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავად გესახება თავი. დიახ, ოცდარვა წლის ჭაბუკისთვის ეს ბევრ რამეს ნიშნავს. აბა, წარმოიდგინეთ: მწყობრის წინ დგახართ და ყველანი შენ მოგჩერებიან, როგორ გაიელვებს პატარა მზესავით შენს მკერდზე რაღაც, ხოლო მისი უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორი გილოცავთ და ხელს გართმევთ. მაგრამ ამ ჯილდოს ხომ აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ ჩვენს სამხედრო სამყაროში ჰქონდა. და როდესაც ომი დამთავრდა, სასაცილო მეჩვენა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ასე გმირის დამღით შემკულს უნდა მევლო, რაკი ერთხელ, სულ რაღაც ოციოდე წუთით, მართლაც მამაცურად ვმოქმედებდი. თუმცა, ალბათ იმაზე უფრო მამაცურად არა, ვიდრე ათეულათასობით სხვანი, რომელთაგან მხოლოდ იმით განვსხვავდებოდი, რომ ბედმა გამიღიმა, შემამჩნიეს და თანაც, რაც კიდევ უფრო საკვირველია, ცოცხალი გადავრჩი. სულ რაღაც ერთი წელი იყო გასული, რომ საშინლად მომბეზრდა მოარული ძეგლის როლის შესრულება, ვეღარ ვიტანდი, როდესაც ყოველ ნაბიჯზე ადამიანები

აცქერდებოდნენ ლითონის პატარა ნაჭერს ჩემს მკერდზე და შემდეგ დიდი მოკრძალებით გამოაპარებდნენ ხოლმე მზერას ჩემი სახისკენ. მუდმივად ყურადღების ცენტრში ვიყავი და ეს იყო ერთ-ერთი არსებითი მიზეზი იმისა, რომ ომის დამთავრების შემდეგ მალევე დამეტოვებინა სამხედრო სამსახური...

ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს და ისევ განაგრძო:

– ერთ-ერთი არსებითი მიზეზი მოგახსენეთ, მაგრამ მთავარი კი მაინც სხვა, პირადი ხასიათის მიზეზი გახლავთ... მე თავად მეპარებოდა ეჭვი იმაში, სამართლიანად ვატარებდი თუ არა გმირის სახელს, მართლა რამე მეცხო გმირობისა თუ არა. მე ხომ (პირდაღებულნი რომ მომჩერებოდნენ) მათზე უკეთ ვიცოდი, ვინც იმალებოდა ამ ორდენის უკან: კაცი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ჰგავდა გმირს და, პირიქით, შეიძლება მისი ანტიპოდიც კი იყო, ერთ-ერთი იმათგანი, რომლებიც ომში მხოლოდ იმიტომ გადაეშვნენ ასეთი გაშმაგებით, რომ გამოუვალი მდგომარეობიდან სურდათ თავის დახსნა. ასეთები უფრო დეზერტირებს ჰგვანან, რადგან პირად პასუხისმგებლობას გამოექცნენ, ვიდრე სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ გმირებს. არ ვიცი, თქვენ, მწერლები, როგორ უყურებთ ამას, მე კი წმინდანის სახელითა და შარავანდედით ცხოვრება არაბუნებრივად და აუტანლად მეჩვენება. ამიტომ, ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა, რაც იძულებული აღარ ვარ ჩემი საგმირო ბიოგრაფიით დამშვენებული მუნდირი მეცვას. ახლაც ბრაზი მომდის ხოლმე, როცა ვინმე ჩემი ძველი სახელისა და დიდების გამოჩიჩქნას იწყებს. უნდა გამოგიტყდეთ, გუშინ ცოტაც და, მოვიდოდი თქვენს მაგიდასთან და დავტუქსავდი იმ ყბედს. მთელი საღამო მოსვენებას არ მაძლევდა თქვენი მოკრძალებული გამოხედვა და რომ უარმეყო იმ ყბედის მონაჭორი, დიდი სიამოვნებით გაიძულებდით მოგესმინათ ჩემთვის, რაოდენ მრუდე გზით მივედი, კაცმა რომ თქვას, ჩემს გმირობამდე. ეს საკმაოდ უცნაური ამბავი გახლავთ და ყოველ შემთხვევაში იმას მაინც დაგანახვებთ, რომ ხშირად სიმამაცე სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა სისუსტეს. ერთი წამითაც არ დავფიქრდები, ისე გიამბობთ ყველაფერს შეულამაზებლად იმის შესახებ, რაც მეოთხედი საუკუნის წინ გადამხდა. მაგრამ გექნებათ კი საამისო დრო? ან თავს ხომ არ შეგაწყენთ?

რა თქმა უნდა, მისი ამბის მოსასმენად დროს ყოველთვის გამოვნახავდი; ჩვენ კიდევ დიდხანს ვსეირნობდით უკვე დაცარიელებულ ქუჩებში და მომდევნო დღეებშიც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მის ნაამბობში მხოლოდ ცოტა რამ თუ შევცვალე: „ჰუსარებს“ „ულანები“ ვუწოდე, გარნიზორები რუკაზე ოდნავ გადავაადგილე, რათა ვინმეს არ ამოეცნო რომელიმე მათგანი და ნამდვილი სახელებიც მოგონილით შევცვალე, მაგრამ არსებითად არც არაფერი გამომიტოვებია და არც არაფერი დამიმატებია მისი მონათხრობისთვის...

* * *

მთელი ამბავი ერთი უხერხული საქციელით, სრულიად უცოდველი გამოხდომით დაიწყო, რომელსაც ფრანგები gaffe-ს უწოდებენ. ამას შემდეგ მოჰყვა ჩემი ცდა, ეს

ბრიყვული ნაბიჯი გამომესწორებინა, მაგრამ როდესაც ერთობ სახელდახელოდ გინდა საათის რომელიმე გორგოლაჭი შეაკეთო, როგორც წესი, მთელ მექანიზმს შლი. დღესაც კი, მრავალი წლის შემდეგ, ძალიან მიჭირს განვსაზღვრო, სად მთავრდებოდა ჩემი მოუქნელობა და სად იწყებოდა საკუთრივ დანაშაული. ალბათ, ამას ვერც ვერასოდეს გავიგებ.

მაშინ ოცდახუთი წლის ვიყავი და ულანთა № პოლკში ვმსახურობდი ლეიტენანტის ჩინით. ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე განსაკუთრებით მიზიდავდა ანდა შინაგან მოწოდებას ვგრძნობდი სამხედრო სამსახურისადმი, მაგრამ როდესაც ავსტრიელი მოხელის ძველებურ ოჯახში მწირ სუფრას ორი გოგონა და ოთხიც მუდამ დამშეული ბიჭი უზის, მათ სურვილებს მაინცდამაინც არ აქცევენ ყურადღებას და ცდილობენ, რაც შეიძლება მალე ასწავლონ რამე ხელობა, რათა ოჯახს დიდხანს არ აწვნენ ტვირთად. ჩემს ძმას, ულრიჰს, რომელსაც ჯერ კიდევ სახალხო სკოლაში ჰქონდა გულმოდგინე სწავლით თვალები დაწითლებული, სემინარიაში უკრეს თავი, მე კი, როგორც ძვალმსხვილ ჭაბუკს შეჰფერის, სამხედრო სასწავლებელში მიმაბარეს. შემდეგ კი ცხოვრების ძაფი მექანიკურად განაგრძობს რთვას, ყველაფერზე სახელმწიფო ზრუნავს და რამდენიმე წლის განმავლობაში ფერმკრთალი, გამხდარი მოზარდისაგან, დადგენილი სახაზინო ნიმუშის მიხედვით, უფასოდ აცხობს ახალულვაშაბიბინებულ პრაპორშჩიკს და მზამზარეულს აბარებს არმიას. თვრამეტი წლისაც არ ვიყავი, რომ იმპერატორის დაბადების დღეს ჩვენი გამოშვების საღამო შედგა და სულ მალე ჩემს სახელოზე პირველი ვარსკვლავიც აციაგდა;

პირველი ეტაპი განვლილი იყო და ამიერიდან უკვე შემეძლო ავტომატურად, სათანადო ინტერვალებით სულ მაღლა და მაღლა ავსულიყავი სამხედრო სამსახურის საფეხურებზე, თვით პენსიაზე გასვლისა და ნიკრისის ქარებით დაავადების ჩათვლით. კავალერიაშიც ჩემი სურვილით სულაც არ მოვხვედრილვარ. ეს ბიცოლაჩემის, დეზის ხუშტური გახლდათ, მამაჩემის უფროსი ძმის მეორე ცოლისა. ეს ქალი ბიძაჩემმა მაშინ ითხოვა, როდესაც ფინანსთა სამინისტროდან უფრო სარფიან თანამდებობაზე ბანკის პრეზიდენტად გადავიდა. მდიდარი ბანოვანი არისტოკრატობაზე სდებდა თავს და დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ნათესავთაგან ვინმეს ჰოფმილერთა გვარი ქვეით ჯარში სამსახურით „ლაფში ამოესვარა“, ხოლო ვინაიდან ეს ხუშტური თვეში ასი კრონა უღირდა (ამ თანხით სისტემატურად მეხმარებოდა) ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მისთვის უმორჩილესი მადლობაც უნდა მომეხსენებინა ხოლმე. მომწონდა თუ არა კავალერიაში ანდა საერთოდ ჯარში სამსახური არავის ენაღვლებოდა და ყველაზე ნაკლებად კი მე. როგორც კი ცხენს მოვახტებოდი, იმწამსვე გადამეყრებოდა გულიდან დარდი და ჩემი ცხენის მოღერებულ ყელს იქით ვეღარაფერს ვხედავდი.

1913 წლის ნოემბერში, სამხედრო უწყების ერთი კანცელარიიდან მეორეში რაღაც გადანაცვლება მოხდა, რადგან ჩვენი ესკადრონი იაროსლავიციდან ერთბაშად მეორე პატარა საგარნიზონო ქალაქში გადაისროლეს უნგრეთის საზღვარზე. სახელდობრ, რა ერქვა ამ პატარა ქალაქს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ავსტრიის პროვინციული საგარნიზონო ქალაქები ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც მუნდირის

ერთი ღილი მეორეს. ყველგან ერთი და იგივე სახაზინო ხედი: ყაზარმა, მანეჟი, სამოსწავლო მოედანი, ოფიცერთა სამორინო. ყოველივე ამას ერთვოდა სამი სასტუმრო, ორი კაფე, საშაქარლამო, სამიკიტნო, გაფარჩაგებული ვარიეტე ნათრევი სუბრეტებით, რომლებიც, შეთავსებით, ოფიცერთა და ნებით განწესებულთა „გულის ვარდების“ როლსაც ხალისიანად ასრულებდნენ.

სამწყობრო სამსახური ყველგან თანაბრად უშინაარსო და ერთფეროვანია. ყოველი საათი განაწილებულია ურყევი, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული განრიგით და არც თავისუფალი დროა უფრო მრავალფეროვანი. ოფიცერთა საკრებულოში მუდამ ერთსა და იმავე სახეებს ხედავ, ერთსა და იმავე საუბარს ისმენ, კაფეში ისევ და ისევ ბანქოს ან ბილიარდს თუ ითამაშებ. ზოგჯერ ისიც კი გიკვირს კაცს, რომ უფალ ღმერთს მოეპრიანა და სხვადასხვა ლანდშაფტი შემოარტყა, სხვადასხვა ელფერის ზეცა დაახურა იმ ექვსას თუ რვაას შენობას, რომელთაგანაც შედგება ჩვეულებრივ ყველა ასეთი პატარა ქალაქი.

თუმცა კი ახალ საგარნიზონო ქალაქს ძველთან, გალიციისასთან შედარებით ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა: აქ ჩქარი მატარებლები ჩერდებოდა. ქალაქი ერთი მხრივ ვენასთან ახლოს მდებარეობდა, ხოლო მეორე მხრივ არც ბუდაპეშტიდან იყო ძალზე შორს. ვისაც ფული ჰქონდა (ცხენოსან ჯარში კი მუდამ შეძლებული ყმაწვილები მსახურობდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ნებით განწესებულთა შესახებ, რომელთა ერთი ნაწილი დიდგვაროვან არისტოკრატიას შეადგენდა, ხოლო მეორე ნაწილი ფაბრიკანტთა შვილები იყვნენ), შეეძლო, თუკი დროულად მოიხდიდნენ სამსახურებრივ მოვალეობას, ხუთ საათზე მატარებლით ვენაში გამგზავრებულიყვნენ და სამის ნახევარზე, ღამის მატარებლით უკან დაბრუნებულიყვნენ. ამრიგად, საკმაო დრო რჩებოდათ იმისათვის, რომ თეატრში შესულიყვნენ, რინგშტრასეზე ეხეტიალათ, ვინმე გაეცნოთ და რომანიც კი გაებათ;

ზოგიერთს იქ მუდმივად ან დროებით ბინაც კი ჰქონდა დაქირავებული. სამწუხაროდ, ამგვარი ფუფუნების უფლებას ჩემი თვიური შემოსავალი არ იძლეოდა. ამრიგად, გართობისათვის მარტოოდენ კაფე ან საშაქარლამო მრჩებოდა, სადაც უფრო ბილიარდის თამაშით ვირთობდი თავს, რადგან ქაღალდის თამაში საგრძნობ თანხას მოითხოვდა, ანდა ჭადრაკს ვთამაშობდი, რაც სულაც არაფერი ღირდა.

და აი, ერთხელაც თუ არ ვცდები, ეს იყო 1914 წლის მაისის შუა რიცხვები საღამო ხანს, ჩვეულებისამებრ, საშაქარლამოში ვიჯექი და ჭადრაკს ვთამაშობდი. ამჯერადაც აფთიაქარს, აფთიაქ „ოქროს ანგელოზის“ მფლობელს ვექიშპებოდი, რომელიც ამავე დროს ჩვენი საგარნიზონო ქალაქის ბიურგერმაისტერის თანაშემწეც იყო. კარგა ხნის დამთავრებული გვქონდა ჩვენი ტრადიციული სამი პარტია და ახლა ათას რამეზე საუბრით ვირთობდით თავს, რადგან წამოდგომა და წასვლაც გვეზარებოდა. ან კი სად უნდა წასულიყავი. ყველგან მოწყენილობა სუფევდა. საუბარი სიგარეტის ნამწვივით ნელ-ნელა იფერფლებოდა. უეცრად კარი გაიღო და სუფთა ჰაერის ნაკადს კოხტა ქალიშვილი შემოჰყვა ზარივით მოყვანილი ფრიალა ქვედაბოლო ეცვა. წაბლისფერი, ნუშისებური თვალები და მზემოკიდებული სახე ჰქონდა; აშკარა იყო, რომ

დიდგვაროვანი იყო, პროვინციელს სულაც არ ჰგავდა და რაც მთავარია, სრულიად ახალი პერსონაჟი იყო ამ ერთფეროვნებაში. ქალიშვილს, ელეგანტურ ნიმფას რომ შევადარე, იოტისოდენა ყურადღებაც არ დაუთმია ჩვენი კრძალვითა და აღტაცებით აღსავსე მზერისთვის; სწრაფად და ამაყად ჩაუარა მარმარილოს მაგიდებს, პირდაპირ დახლთან მივიდა და en gros ნამცხვრები, ტორტი და სასმელი შეუკვეთა. იმავე წამს თვალში მომხვდა საშაქარლამოს პატრონის devotissime-დ თავის დაკვრა (არ მახსოვს, რომ ოდესმე ზურგზე ასე დასჭიმოდეს ფრაკის ნაკერავი). თვით მისი მეუღლეც კი, უხეში, ჩაპუტკუნებული პროვინციელი ვენერა, რომელიც ჩვეულებრივ დაუდევარი გულგრილობით ისმენდა ქათინაურებს ოფიცრებისგან (რადგან თვის ბოლოს უკლებლივ ყველას აღმოგვაჩნდებოდა ხოლმე დავალიანება), ადგა, დატოვა სალარო და ლამის ფეხქვეშ გაეგო ძვირფას სტუმარს. ტურფა ასული კი, ვიდრე ბატონი გროსმაიერი შეკვეთას დავთარში იწერდა, უდარდელად აკნატუნებდა თხილს და თან ფრაუ გროსმაიერს ესაუბრებოდა. ჩვენთვის ერთხელაც არ შემოუხედავს, იმის მიუხედავად, რომ კისრები წაგვეგრძელებია მისკენ და თითქმის უტიფრად მივჩერებოდით. რა თქმა უნდა, ყმაწვილი ქალი თავის კოხტა ხელებს არ დაიმძიმებდა შეძენილი საქონლით. ფრაუ გროსმაიერმა წინასწარვე დაარწმუნა არხეინად ბრძანდებოდეთ, ყველაფერს საიმედო ხელით გამოგიგზავნითო. ქალიშვილს აზრადაც არ მოსვლია სალაროსთან მისვლა და ფულის დაუყოვნებლივ გადახდა, როგორც ჩვეულებრივ იქცევა ხოლმე სხვა. ჩვენთვის კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ ქალიშვილი მართლაც განსაკუთრებული სტუმარი იყო აქაურებისთვის...

და, აი, შეკვეთის შემდეგ ქალიშვილი წასვლას აპირებს. ბატონი გროსმაიერი სასწრაფოდ წინ გაიჭრება, რომ კარი გაუღოს. აფთიაქარიც ფეხზე დგება და მოწიწებით უკრავს თავს მის წინ ჩავლილ კოხტა არსებას. შველივით წაბლისფერი, ხავერდოვანი თვალების პატრონიც მეფური ღიმილით აჯილდოებს მას. ქალიშვილი კაფეს ტოვებს და მე აფთიაქარს ამ საქათმეში გამოჩენილ ხოხობზე შეკითხვებს ვაყრი.

– როგორ, თქვენ არ იცით, ვინ არის ეს ქალიშვილი? ის ხომ ბატონ ფონ კეკეშფალვას ძმისწულია... – ასე მოვიხსენიებ ხოლმე ამ უკანასკნელს შემდეგშიც, თუმცა სინამდვილეში სულ სხვა გვარი ჰქონდა... – კეკეშფალვა უთუოდ გაგონილი გექნებათ.

კეკეშფალვა! ისე წარმოთქვამს ამ გვარს, თითქოს ათასკრონიან ასიგნაციას ანარცხებდეს მაგიდაზე და ისე მიყურებს, თითქოს ჩემგან ელის დაუყოვნებლივ ექოს აღტაცებისა და მოკრძალების გამომხატველ შეძახილს: „ოჰ, მართლა?! რა თქმა უნდა, გამიგონია!“ მაგრამ მე, ახალგამომცხვარ ლეიტენანტსა და თანაც სულ რაღაც ორიოდე თვის წინ ახალ გარნიზონში გადმოყვანილს, წარმოდგენაც არ მაქვს ამ გვარზე და თავაზიანად ვითხოვ საქმეში ჩახედვას, რასაც ბატონი აფთიაქარი სიამოვნებითა და პროვინციული თავგამოდებით პასუხობს რასაკვირველია, ბევრად უფრო დაწვრილებითა და ენაწყლიანად, ვიდრე მე გადმოგცემთ.

კეკეშფალვა, მიხსნის იგი, ყველაზე მდიდარი კაცია მთელ ამ მხარეში. აქ თითქმის ყველაფერი მას ეკუთვნის, მარტო საკეკეშფალვოს ციხე-დარბაზი კი არა თქვენ უთუოდ გეცოდინებათ ეს ყვითელი შენობა, იგი კარგად ჩანს სამოსწავლო მოედნიდან,

შარაგზიდან მარცხნივაა, ბრტყელი კოშკი აქვს და ძველი, თვალუწვდენელი პარკი აკრავს, შაქრის ფაბრიკაც, რ-სკენ მიმავალ გზაზე რომაა, ასევე სამხერხაო ბრუკში და ცხენსაშენიც მ-ში;

ეს ყველაფერი მის საკუთრებას წარმოადგენს და, ამას გარდა, მფლობელია ექვსი თუ შვიდი სახლისა ბუდაპეშტსა და ვენაში. „დიახ, ძნელია კაცმა დაიჯერო, რომ ჩვენს პაწაწინა ქალაქში ასეთი მდიდრებიც ცხოვრობენ. კეკეშფალვა ნამდვილი არისტოკრატივით ცხოვრობს ზამთარს ვენაში ატარებს, თავის პატარა სასახლეში ჟაკინგასეზე, ზაფხულს კურორტებზე, აქ მხოლოდ გაზაფხულობით ჩამოდის ორი-სამი თვით. ღმერთო დიდებულო, რა სახლი აქვს და როგორ ატარებს დროს! კვარტეტები ვენიდან, შამპანური და ფრანგული ღვინოები, ნუგბარზე ნუგბარი დელიკატესები!.. და თუ გნებავთ, განაგრძობს აფთიაქარი თვითკმაყოფილი კილოთი, შემიძლია კეკეშფალვასთან წარგადგინოთ. გასულ წლებში ხშირად დავდიოდი მის ოჯახში საქმეზე და ვიცი, რომ ოფიცრებს მუდამ სიამოვნებით იღებს; ერთი ჩემი სიტყვაც კმარა, რომ თქვენც მიგიპატიჟონ.

და ან კი რატომ არ უნდა წახვიდე? კაცი ლამის ჩაიხრჩო ამ პროვინციული გარნიზონის ცხოვრების ჭაობში. კორსოზე უკვე ყველა ქალის სახეს იცნობ, იცი, რომელს როგორი შლაპა ახურავს ზაფხულში და როგორი ზამთარში, როგორი კაბა აცვია დღესასწაულზე და როგორი ჩვეულებრივ დღეებში. იცნობ მათ ფინიებსაც, მოახლეებსაც და ბავშვებსაც. ყელში გაქვს ამოსული სამორინოს ჩეხი მზარეულის, სქელი დედაკაცის შეჭამანდები, ხოლო სასტუმროს რესტორანში ლამის გული აგერიოს მუდამ ერთნაირი მენიუს დანახვაზე. ზეპირად იცი, სად, რომელ შუკაში ვინ ცხოვრობს, ათასჯერ გინახავს ყოველი ფირნიში და პლაკატი. იცი, სად რომელი დუქანია და რაა გამოდგმული მის ვიტრინაში. ობერკელნერ ოიგენზე ნაკლებად როდი იცი, რომ ბატონი მოსამართლე კაფეში მუდამ მარცხენა მხარეს, ფანჯრის კუთხეში იკავებს ადგილს და ზუსტად ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე ნაღებიან ყავას უკვეთს, მაშინ როდესაც ბატონი ნოტარიუსი ასევე ზუსტად, ათი წუთის დაგვიანებით, ე.ი. ოთხ საათსა და ორმოც წუთზე სტუმრობს კაფეს. მაგრამ სამაგიეროდ რა საამური სხვადასხვაობაა, არა? – კუჭის უმოქმედობის გამო ლიმონიან ჩაის სვამს, შემდეგ თავის განუყრელ ვირჯინიულ სიგარას გააბოლებს და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ მოჰყვება ერთსა და იმავე ანეკდოტს... მთელ ქალაქში ყველა სახეს იცნობ, ყველა მუნდირს, ყველა ცხენს, მეეტლესა და გლეხს! გულისამრევად კარგად იცნობ საკუთარ თავსაც და ერთხელ მაინც რატომ არ უნდა გაინავარდო? თანაც ის ტურფა ასული!.. რა შველივით წაბლისფერი თვალები აქვს! ერთი სიტყვით, განგებ გულგრილ სახეს ვიღებ (ისღა მაკლია, აბების ბაქია უსტაბაშმა ხამად ჩამთვალოს) და ჩემს კეთილისმყოფელს ვეუბნები: რა თქმა უნდა, კეკეშფალვას ოჯახის გაცნობა სასიამოვნო იქნება-მეთქი.

თქვენ წარმოიდგინეთ, აფთიაქარმა მართლაც შეასრულა დანაპირები. ორი დღის შემდეგ მოდის კაფეში და, სიამაყისგან მთლად გაბღენძილი, მფარველური ჟესტით მაწვდის დაბეჭდილ მოსაწვევ ბარათს, რომელშიც ჩემი გვარია ჩაწერილი. ბარათი იუწყება, რომ ბატონი ლაიოშ ფონ კეკეშფალვა მომავალ ოთხშაბათს, საღამოს რვა

საათზე, სადილად იწვევს ლეიტენანტ ანტონ ჰოფმილერს. მადლობა ღმერთს, არც ჩვენ გახლავართ გაუთლელი გაგრიები და ვიცით, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში. კვირა დილით, ლამის კანი გადავიფხიკო, ისე საგულდაგულოდ ვიპარსები, საუკეთესო სამოსს ვირგებ, ლაკის ფეხსაცმელსა და თეთრ ხელთათმანებს ვიცვამ, ულვაშებზე ორიოდ წვეთ ოდეკოლონს ვიპკურებ და ფონ კეკეშფალვას სახლისკენ გავწევ. მსახური (დახვეწილი მანერების მქონე ძვირფას ლივრეაში გამოწყობილი მოხუცი) მართმევს სადარბაზო ბარათს, ბოდიშს მიხდის და დუდუნით მომახსენებს, რომ ბატონებს დიდად დასწყდებათ გული, რადგან ბატონ ლეიტენანტს შინ ვერ დახვდებიან. ისინი ეკლესიაში არიან. „მით უკეთესი, ვფიქრობ მე, პირველი ვიზიტი არცთუ მაინცდამაინც საამური რამ არის, გინდ სამსახურის ხაზით ხდებოდეს და გინდ სამსახურის ფარგლებს გარეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოვალეობა მოვიხადე. ოთხშაბათ საღამოს ვეწვევი და იმედია, ყოველივე საუცხოოდ ჩაივლის. ოთხშაბათამდე კი კეკეშფალვასთან საქმე მოთავებულია!“ მაგრამ ორი დღის შემდეგ, ე.ი. სამშაბათს, ჩემს საქათმეში დაბრუნებულს სასიამოვნო სიურპრიზი მხვდება ბატონი კეკეშფალვას მიერ დატოვებული კუთხეშეკეცილი სადარბაზო ბარათი.

„შესანიშნავია, გავიფიქრე, ამ ხალხს უნაკლო მანერები აქვს. სულ ორი დღე გავიდა ჩემი პირველი ვიზიტიდან და უკვე პასუხიც მაღირსეს, და ისიც ვის, ვიღაც გაღლეტილ ლეიტენანტს. მეტ ყურადღებასა და პატივისცემას გენერალიც კი ვერ ისურვებდა“. ახლა უკვე მართლაც კეთილი წინათგრძნობით ატანილი მოულოდნელად ველი ოთხშაბათ საღამოს.

მაგრამ თავიდანვე ვინავსები კაცმა რომ თქვას, ცრუმორწმუნე უნდა იყოდა ავის მომასწავებელ წვრილმანსაც ყურადღებას აქცევდე. ოთხშაბათს, საღამოს რვის ნახევარზე, უკვე გამზადებულ-გაწკრიალებული ვდგავარ საპარადო მუნდირში გამოწყობილი, ახალი ხელთათმანები და ლაკის ფეხსაცმელი მაცვია, შარვალი ისე მაქვს გაუთოებული, რომ ნაკეცი სამართებლის პირი გეგონებათ; დენშჩიკი წამოსასხამს მისწორებს ტანზე და ამოწმებს, ყველაფერი რიგზეა თუ არა (ესეც მას ავალია, რადგან ჩემს ნახევრად ბნელ სენაკში მხოლოდ ხელის პატარა სარკე მოიძევება). ამ დროს უეცრად კარზე კაკუნი გაისმა. მორიგე ოფიცერია, ჩემი მეგობარი როტმისტრი. მომახსენა, რომ გრაფი შტაინჰიუბელი მიხმობს თავისთან, ყაზარმაში. ორი ჯარისკაცი, როგორც ჩანს, მაგრად გალეშილები, წაჩხუბებულან და ერთს მეორისათვის კარაბინის კონდახი უთავაზებია თავში, და აი, ახლა ეს ტლუ უგონოდ გდია, პირი დაუფჩენია და სისხლი სდის. კაცმა არ იცის, მთელი აქვს თავის ქალა თუ არა. პოლკის ექიმს შვებულება აუღია და ვენაში წასულა, პოლკის უფროსი ვერსად უნახავთ; და აი, კეთილ შტაინჰიუბელს (ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი), გასაჭირში მაინცდამაინც მე გავხსენებივარ და დახმარებას მთხოვს. აქტი უნდა შევადგინო, ყველგან შიკრიკები დავგზავნო, რომ კაფეში ანდა სადმე სხვაგან სასწრაფოდ სამოქალაქო ექიმი მოძებნონ. ამასობაში კი უკვე თხუთმეტი წუთი აკლია რვას და ვატყობ, რომ თხუთმეტ წუთზე ან ნახევარ საათზე ადრე აქედან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავალ, რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა მომხდარიყო ეს საშინელი ამბავი? სულ უფრო და უფრო მოუთმენლად დავცქერი საათს.

დროულად ვეღარ მივალ, თუნდაც მარტო ხუთი წუთიღა მომიხდეს აქ დარჩენა. მაგრამ სამსახური (ჩვენ ეს მაგრად ჩაგვიჭედეს თავში) ყოველგვარ პირად მოვალეობაზე მაღლა დგას. გაპარვა არ შეიძლება და ერთადერთ გამოსავალს ვპოულობ ამ ბრიყვული მდგომარეობიდან: ჩემს დენშჩიკს ვგზავნი ფიაკრით კეკეშფალვასთან (ოთხი კრონა მიჯდება ეს სიამოვნება) და ვუთვლი, რომ მომიტევოს, თუ გაუთვალისწინებელ სამსახურებრივ გარემოებათა გამო შემაგვიანდება. საბედნიეროდ, ორომტრიალი ყაზარმაში დიდხანს არ გრძელდება. პირადად პოლკოვნიკი მოდის, თან ექიმი ახლავს, რომლისთვისაც მიუგნიათ სადღაც, და უკვე შეიძლება შეუმჩნევლად გავიძურწო.

მაგრამ ახლა კიდევ სხვა უბედურება დამატყდა თავს: ქალაქის სამმართველოს მოედანზე სწორედ დღეს არ ჭაჭანებს არც ერთი ფიაკრი. ველოდები, ვიდრე ტელეფონით რვაფლოქვიან ეკიპაჟს გამოიძახებენ. ასე რომ, როდესაც ბოლოს და ბოლოს კეკეშფალვას სახლის უზარმაზარ ვესტიბიულში შევდივარ, კედლის საათი ზუსტად ცხრის ნახევარს აჩვენებს, მაშინ როდესაც რვაზე უნდა ვყოფილიყავი აქ. გარდერობი გატენილია პალტოებით. მსახურის სახეზე ოდნავ მწყრალი გამომეტყველება იმას მიანიშნებს, რომ კარგა გვარიანად დავიგვიანე. ეჰ, რაღა მაინცდამაინც მაშინ შემემთხვა ეს ამბავი, როდესაც პირველად უნდა შევხვდე ამ ხალხს?

მაგრამ მეორე მსახური (ფრაკშია გამოწყობილი, თეთრი ხელთათმანები აცვია, გახამებული პერანგი და სახე თანაბრად გაშეშებული აქვს) მამშვიდებს, თქვენი დენშჩიკი იყო ამ ნახევარი საათის წინ და გვაუწყა, რომ დაიგვიანებდითო, თან ოთხფანჯრიან ზღაპრულად ელეგანტურ სასტუმრო დარბაზში შევყავარ, რომლის კედლებიც ვარდისფერი აბრეშუმით არის მოფარდაგებული და ბროლის ჭაღებით გაჩირაღდნებული. ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მინახავს. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იგი სრულიად ცარიელი მხვდება, ხოლო მეზობელი ოთახიდან გარკვევით მესმის თეფშების მხიარული წკრიალი. „ნუთუ უკვე სუფრასთან სხედან?“ მიპყრობს შიში. შემდეგ მხნეობას ვიკრებ და როგორც კი მსახური კარს აღებს, სასადილო ოთახის ზღურბლთან ვჩნდები, ქუსლს ქუსლზე ვურტყამ და თავს ვუკრავ საზოგადოებას. ყველა მე მიყურებს. ოცი, ორმოცი სრულიად უცნობი თვალი მე მომჩერებია. ათვალიერებენ დაგვიანებულ სტუმარს, რომელიც კარის ზღურბლთან გაშეშებულა უძრავად. სუფრიდან მაშინვე დგება ვიღაც ხანში შესული ბატონი, ეჭვგარეშეა, ოჯახის უფროსი, სწრაფად იხსნის ხელსახოცს, მეგებება და ხელს მიწვდის. სულ სხვანაირია, ვიდრე მე წარმომედგინა:

ბატონი კეკეშფალვა სულაც არ ჰგავს ღვინისაგან სახეგაბიჟვინებულ, ულვაშა და ლოყებღაჟღაჟა მდიდარ მემამულეს. ოქროს სათვალის მიღმა თითქოს დაღლილი, დანისლული თვალები იმზირებიან. მხრებში ოდნავ მოხრილი ჩანს, ხმაც ოდნავ ჩახლეჩილი აქვს და დროდადრო უწყდება ხველებისგან. უფრო სწავლულს შეჰფერის ასეთი ნაზი და თხელი პირისახე, რომლის ნიკაპიც ბოლოში წამახვილებული ჭაღარა წვერით არის შემკული, ვიდრე მდიდარ მემამულეს. მოხუცი ბატონის თავაზიანი მოპყრობა სიამოვნებას მგვრის. ხმის ამოღებასაც არ მაცლის: „ეს მე უნდა მოვიხადო ბოდიში! კარგად ვიცი, რომ სამხედრო სამსახურში ათასი რამ შეიძლება მოხდეს. თქვენი

მხრიდან დიდი თავაზიანობა გამოიჩინეთ, როდესაც შეგვატყობინეთ დაგვიანების შესახებ“, მეუბნება თავაზიანად. დანამდვილებით აღარ იცოდნენ, მოვიდოდი თუ არა და სუფრასთან უჩემოდ მხოლოდ იმიტომ დასხდნენ. მაგრამ ახლა დაუყოვნებლივ უნდა დავიკავო ჩემი ადგილი.

შემდეგ ყველას გამაცნობს სათითაოდ, ჯერჯერობით კი (თან მაგიდისკენ მიმიძღვის) თავის ქალიშვილთან წარმადგენს. ჯერ კიდევ მთლად ნორჩი ქალიშვილი, ნაზი, ფერმკრთალი, მამასავით თხელი აღნაგობის, წყვეტს გვერდით მჯდომთან საუბარს და მორიდებით მაცქერდება. გაკვრით ვხედავ მის ნაცრისფერ თვალებს, თხელ, ნერვიულ პირისახეს და თავს ვუკრავ. შემდეგ ასევე ვიქცევი მარჯვნივ და მარცხნივ საერთო მისალმების ნიშნად;

აშკარად ყველა კმაყოფილია, რომ დანა-ჩანგლის განზე გადაწყობა და გაცნობის მოსაწყენი ცერემონიის შესრულება არ უხდებათ. პირველი ორი-სამი წუთი ჯერ ისევ უხერხულად ვგრძნობ თავს. პოლკიდან არავინ არის აქ, არც ჩემი მეგობრები, არც ნაცნობები. ქალაქის რჩეულთაგანაც კი არავინ ჩანს. ყველა კუთხეში უცნობ ხალხს მოუყრია თავი. როგორც ჩანს, მეტწილად აქაური მემამულეები არიან, სულ სამოქალაქო პირები, მხოლოდ მე მაცვია მუნდირი! ღმერთო დიდებულო, როგორ ვესაუბრო ასეთი მოუქნელი და მორცხვი ჭაბუკი ამდენ უცნობ ადამიანს? საბედნიეროდ, კარგი ადგილი შემირჩიეს. აი, სწორედ ჩემ გვერდით ზის ის წაბლისფერთვალება ანცი ასული, მასპინძლის ძმისწული, რომელსაც, ეტყობა, იქ, მაშინ, კაფეში არ გამოჰპარვია ჩემი აღტაცებული მზერა. ეს დასკვნა იქიდან გამომაქვს, როგორც ძველ ნაცნობს, ისე მიღიმის. თვალები ყავის მარცვლებს მიუგავს და როცა იცინის, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდეთ, როგორც ყავის მარცვლებს მოხალვისას. მომხიბლავი, პატარა, თითქმის გამჭვირვალე ყურები მოუჩანს ხშირი შავი თმის ქვეშ. მისი გაშიშვლებული მკლავები კი გაფცქვნილი ატამივით ფაფუკი და გლუვია.

სასიამოვნოა ასეთი სანდომიანი ქალიშვილის გვერდით ჯდომა. ჯერ მარტო მისი ხმის ტემბრი და უნგრული აქცენტი ისე მხიბლავს, რომ მზად ვარ შევიყვარო. საამურია ასეთ გაჩირაღდნებულ დარბაზში საუცხოოდ გაწყობილ სუფრაზე ვახშმობა, როდესაც ზურგს უკან ლივრეიანი ლაქია დგას და წინ კი საუკეთესო დელიკატესები გიწყვია. იმ კაცსაც სასიამოვნო შესახედაობა აქვს, ჩემ მარცხნივ რომ ზის და ოდნავ შესამჩნევი პოლონური აქცენტით მეტყველებს, ის ბანოვანიც, გვერდზე რომ უზის, მიუხედავად სრული აღნაგობისა, დიახაც რომ მადის აღმძვრელად მეჩვენება. ან იქნებ სულაც ღვინის ბრალია, ჯერ ღია ოქროსფერი რომ მოგვართვეს, მერე სისხლივით მრუმე და ახლა კი შუშხუნა შამპანური. დიახ, ღვინოს ჭარბად გვისხამენ თეთრხელთათმანიანი ლაქიები ვერცხლის სურებიდან და მუცელგამობერილი ბოთლებიდან. სიმართლე უთქვამს აფთიაქარს: კეკეშფალვასთან სტუმარს მართლაც მეფურად უმასპინძლდებიანო. ასე გემრიელად არასოდეს მივახშმია და საერთოდ ვერც წარმომედგინა, რომ ასე კარგად, ასე კეთილშობილურად, ასე ფუფუნებით შეიძლებოდა ჭამა. უგემრიელესი, ნუგბარზე ნუგბარი კერძები შემოაქვთ და ლანგართა მწკრივს ბოლო არ უჩანს ოქროსფერ წვენში დაცურავენ ბაცი ლურჯი თევზები, სალათის ფოთლებით შემოსილნი და ასთაკვის

ნაჭრებით გარშემორტყმულნი; ბრინჯის უნაგირისებრ მთებზე დაბრაწული ფრინველები შემომსხდარან; ცისფრად აალებულ რომში პუდინგები კიაფობენ; ნაყინის ბურთულები ფერადფერადად და ნუგბრად დაზვინულან ერთიმეორეზე; ნაირ-ნაირი ხილი (ნახევარი მსოფლიო რომ ექნებოდათ გამოვლილი აქ მოხვედრამდე) ვერცხლის თასებში ჩაფლულა და ერთმანეთს ტკბილ ამბორს უძღვნიან. და აი, დასასრულ ლიქიორთა ნამდვილი ცისარტყელა გამოჩნდა: მწვანე, წითელი, თეთრი, ყვითელი და მათთან ერთად თითისსიმსხო სიგარები შესანიშნავ ყავასთან ერთად!

„რა დიდებული, რა საარაკო სახლია! დაილოცოს აფთიაქარი! რა ნათელი და ბედნიერი საღამოა!“ – გამიელვა გონებაში. არ ვიცი, შეიძლება იმიტომ ვგრძნობ თავს ასე თავისუფლად და ლაღად, რომ მარჯვნივ, მარცხნივ და ჩემ პირდაპირ სხვებსაც აუციაგდათ თვალები და ხმასაც უმატეს, დაივიწყეს არისტოკრატიული თავშეკავება და ყველა ერთად ლაპარაკობს მხიარულად. ყოველ შემთხვევაში, ჩემი განუყრელი მორცხვობა სადღაც გაქრა. ძალდაუტანებლად ვსაუბრობ, ერთსა და იმავე დროს ორივე ბანოვანს ვეარშიყები, აქეთ-იქით რომ მისხედან, ვსვამ, ვიცინი, უდარდელად და თამამად ვაცეცებ თვალებს და თუ დროდადრო (ყოველთვის შემთხვევით არა) ტურფა ილონას შიშველ მკლავებს ხელით ოდნავ ვეხები (ასე ჰქვია კეკეშფალვას მშვენიერ ძმისწულს), მას, ყველა ჩვენგანივით ამ მდიდრული ნადიმით გალაღებულს, აღგზნებულსა და გაბრუებულს, განრისხება სულაც არ ეტყობა.

ვგრძნობ, რომ თანდათანობით რაღაც უჩვეულო ხალისი მეუფლება, რომელიც ლამის აღვირახსნილობადაც კი იქცეს (ნუთუ იმის ბრალია, რომ შეუჩვეველი ვარ ასეთ დიდებულ ღვინოებს, ტოკაიურისა და შამპანურის ერთმანეთში არევას?). მხოლოდ ერთი რამ მაკლია სრული ნეტარებისათვის, აღმაფრენისთვის, განცხრომისთვის და, სახელდობრ, თუ რა არის ის, რასაც ჩემდა უნებურად ვესწრაფვი, სულ მალე ნათელი გახდება...

მოულოდნელად, სასტუმრო ოთახის იქით, ხმადაბლა გაისმა მუსიკა. კვარტეტი უკრავდა და თანაც სწორედ ისეთ მელოდიას, ახლა სულითა და გულით რომ მწყუროდა საცეკვაო ჰანგს, რიტმულსა და ნარნარს ერთსა და იმავე დროს, ვალსს... ორ ვიოლინოს მიჰყავს მელოდია, მათ ყრუდ და მელანქოლიურად პასუხობს ვიოლონჩელო, შემდეგ კი როიალი მკვეთრი სტოკატოთი ხაზავს ტაქტს. მუსიკა, დიახ, მხოლოდ მუსიკა მაკლდა!

სიამოვნებით ვისმენ და ალბათ სიამოვნებითვე ვიცეკვებდი კიდეც ვალსს, ვისრიალებდი, ვინანავებდი, რათა შინაგანი სიმსუბუქე უფრო სანეტაროდ შემეგრძნო!.. კეკეშფალვას ვილა ნამდვილი ჯადოსნური სახლია! როგორც კი გულში რამეს ინატრებ, იმწამსვე გისრულდება ვერ ვასწრებთ წამოდგომას, სავარძლების უკან გაწევას და წყვილ-წყვილად სასტუმრო დარბაზში შესვლას, ვერ ვასწრებ ილონას ხელი შევთავაზო და კვლავ დავტკბე მისი გრილი, სათუთი და ფაფუკი კანის შეხებით, რომ ყველა მაგიდა უხილავ ჯუჯებს გაუტანიათ და სავარძლები კედლების გასწვრივ ჩაუმწკრივებიათ. ყავისფერი იატაკი სარკესავით ლაპლაპებს. ვალსის საცეკვაოდ უკეთესს ვერ ინატრებ კაცი. მეზობელ ოთახში კი უხილავი კვარტეტი ისევ განაგრძობს დაკვრას. ილონასკენ ვბრუნდები და ისიც მიცინის, მიმიხვდა, თვალებით დასტურს მეუბნება და აი, უკვე

ვტრიალებთ გაკრიალებულ პარკეტზე, ორი წყვილი, შემდეგ სამი, ხუთი... სიამოვნებით ვცეკვავ (საერთოდ მეხერხება ცეკვა) და როდესაც ერთმანეთს გადაჭდობილნი დავქრივართ, მგონია, რომ ასე კარგად ჩემს სიცოცხლეში არ მიცეკვია. შემდეგ ვალსზე იმ ბანოვანს ვიწვევ, რომელიც ჩემგან ხელმარცხნივ იჯდა. ისიც შესანიშნავად ცეკვავს. მისკენ ვიხრები და ოდნავ გაბრუებული ვყნოსავ მისი თმის სურნელს. აჰ, რა ღვთაებრივად ცეკვავს! ყველაფერი ღვთაებრივია აქ!

ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი ხანია ასე კარგად თავი არ მიგრძნია. აღარ ვიცი, რა ვქნა. მინდა ყველას გადავეხვიო, ყველას გულთბილი სიტყვები ვუთხრა, მადლობა გადავუხადო, იმდენად ლაღად და ფრთაშესხმულად ვგრძნობ თავს. ხან ერთთან ვტრიალებ, ხან მეორესთან, ვსაუბრობ, ვიცინი, ვცეკვავ და მოზღვავებული ნეტარებით წალეკილი იმასაც ვერ ვხვდები, დრო რომ გაიქცა.

მაგრამ უეცრად, შემთხვევით ვიხედები საათზე: თერთმეტის ნახევარია!

თავზარდაცემული ვარ თითქმის ერთი საათი გასულა, რაც შეუჩერებლად ვცეკვავ, ვსაუბრობ, ვხუმრობ და მე ბრიყვს აქამდე აზრად არ მომსვლია მასპინძლის ქალიშვილი გამომეწვია საცეკვაოდ. მხოლოდ მათთან ვცეკვავდი, სუფრაზე მეზობლად რომ ისხდნენ და კიდევ ორ-სამ ქალთან ვინც ყველაზე მეტად მომივიდა თვალში, მასპინძლის ქალიშვილი კი სულ გადამავიწყდა! რა უხამსობაა, რა შეურაცხყოფაა! აბა, ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწორო შეცდომა!..

მაგრამ შეცბუნებული ვრწმუნდები, რომ სრულებით აღარ მახსოვს, როგორ გამოიყურება ეს გოგონა. მე ხომ მხოლოდ ერთი წამით დავიხარე მისკენ, როდესაც უკვე სუფრასთან იჯდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ძალიან ნაზი და სუსტი იყო, მახსოვს ასევე მისი მოუსვენარი, ნაცრისფერი თვალების ცნობისმოყვარე გამოხედვაც. მაგრამ სად გადაიკარგა? ხომ არ შეიძლება, რომ მასპინძლის ქალიშვილი სადმე წასულიყო?

შეფიქრიანებული ვაცეცებ თვალებს აქეთ-იქით, ვუმზერ იქ მყოფ ქალებს, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ ვამსგავსებ მას. ბოლოს მესამე ოთახში შევდივარ, სადაც კვარტეტი უკრავს, და შვებით ვითქვამ სულს: აქ არის, უთუოდ ისაა ნაზი, გამხდარი, ღია ცისფერ კაბაში გამოწყობილი, ორ ხანდაზმულ ბანოვანს შორის ჩამომჯდარა კუთხეში, მალაქიტის მწვანე მაგიდის მიღმა, რომელზედაც ყვავილებით სავსე ბრტყელი ლარნაკი დგას. თხელი პირისახე ოდნავ წინა აქვს დახრილი, თითქოს მთლიანად მუსიკის მოსმენით იყოს გართულიო, და მხოლოდ აქ, ვარდების სურნელით გაჟღენთილ ოთახში აღვიქვამ, თუ რაოდენ გამჭვირვალედ და მკრთალად გამოსჭვივის მისი შუბლი მოწაბლისფრო-წითური თმის ქვეშ. მაგრამ მე ახლა დრო აღარ მრჩება უქმი ჭვრეტისთვის. „მადლობა ღმერთს, ამოვისუნთქე შვებით, რომ მივაგენი. ახლა შემიძლია ჩემი უყურადღებობა დროულად გამოვისყიდო“.

მივდივარ მაგიდასთან. მუსიკა იქვე ჩემ გვერდით ჟღერს. გოგონას თავს ვუკრავ თავაზიანად ნიშნად იმისა, რომ საცეკვაოდ ვიწვევ. განცვიფრებული, მოულოდნელობისგან დაბნეული თვალებით შემომცქერის, რაღაცას ამბობს, სიტყვა შუაზე უწყდება და ბაგე ღიად რჩება, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. იქნებ არ ესმის

ჩემი? ერთხელ კიდევ ვუკრავ თავს და ვამბობ: „ნება მიბოძეთ, მოწყალეო ფროილაინ, საცეკვაოდ გაგიწვიოთ!“

და აქ საშინელი რამ მოხდა. ქალიშვილი, რომელიც ჩემკენ ოდნავ წამოწეულიყო, ერთბაშად უკან იხევს, თითქოს დარტყმას ირიდებსო და ფერმკრთალ ღაწვებზე ალმური ედება; ეს-ეს არის ღია ბაგე კვლავ ეკუმშება, ხოლო თვალებით ისევ და ისევ მჭოლავს. მათში ისეთი შიშია აღბეჭდილი, ცხოვრებაში რომ არსად მინახავს. წამიც და, მის დაძაბულ სხეულს რაღაც კრუნჩხვისებური ემართება. ცდილობს წამოდგეს და ორივე ხელით მაგიდას ეყრდნობა. მაგიდაზე მდგარი ლარნაკი ირხევა და წკრიალებს. ქალიშვილი ორივე ხელით მაგიდას ჩასჭიდებია, სხეული კი კვლავინდებურად უთრთის, უცახცახებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადგილიდან არ იძვრის, არ გარბის, კვლავ მაგიდის კიდეს ჩაფრენილი დგას და განუწყვეტლივ ცახცახებს, სხეულის ყოველი ასო უთრთის. ბოლოს უეცრად, თითქოს გული ამოუჯდაო, ბურთივით რაღაც მოაწვება ყელში და ქვითინი წასკდება.

მის გვერდით მჯდომი ხანდაზმული ქალბატონები მაშინვე წამოხტებიან და თავს დასტრიალებენ ათრთოლებულს ხელს ჰკიდებენ, ეფერებიან, ამშვიდებენ და ისიც უკან ეცემა სავარძელში. მაგრამ ქვითინს არა წყვეტს, პირიქით, უფრო გულამოსკვნით, უფრო ცხარედ ტირის. თითქოს სისხლს ანთხევდეს პირიდანო, ისე მტკივნეულად ირხევა მისი სხეული და მუსიკა ერთი წამით რომ დადუმებულიყო მისი ტირილი, ალბათ, სასტუმრო ოთახშიც შეაღწევდა, სადაც სტუმრები ცეკვავენ.

შიშისგან შეცბუნებული გაშეშებული ვდგავარ. არ ვიცი, რა ვიღონო. ორი ხანდაზმული ქალბატონი კი ისევ ცდილობს მის დამშვიდებას. ის კი, თითქოს ერთ წამს სირცხვილისგან სახე დამალაო, მაინც აგრძელებს გაუგონარ გოდებას. ქალიშვილს ისევ და ისევ ახრჩობს ყელში გაჩხერილი ბურთი, თითქოს ტალღა ტალღაზე უვლის მის გამხდარ სხეულს, მხრებამდე არყევსო და ყოველ ახალ ბიძგზე ლარნაკი წკრიალებს მაგიდაზე. მე... მე რა უნდა მექნა? გაშეშებული ვდგავარ ერთ ადგილას და კიდურები გათოშილი მაქვს, საყელომ კი ლამის დამახრჩოს, თითქოს თოკი წაეჭიროს ყელში ვინმეს.

– მაპატიეთ, – ძლივს გასაგონად ვლუღლუღებ ცარიელ სივრცეში, მაგრამ არავინ მისმენს. ორივე ბანოვანი კვლავ ქალიშვილის დაწყნარებით არის გართული და მე ზედაც არ მიყურებენ. მთვრალივით ბარბაცით ვბრუნდები სასტუმრო დარბაზში. აქ, როგორც ჩანს, ჯერ არაფერი შეუნიშნავთ. წყვილები კვლავ დაქრიან მელოდიით გაჟღენთილები. თავბრუ მესხმის. ვგრძნობ, რომ კარის სახელურს უნდა მოვეჭიდო, რადგან მთელი დარბაზი ქანაობს ჩემ წინ. რა მოხდა? რამე დავაშავე? ვფიქრობ გულში. ღმერთო ჩემო, ეტყობა, ძალიან ბევრი დავლიე, მივეძალე სასმელს და რაღაც სიბრიყვე ჩავიდინე!

ვალსი დასრულდა. წყვილები დაიშალნენ, ოლქის უფროსი თავს უკრავს ილონას და შორდება. მაშინვე მისკენ მივიჩქარი და ჩემი გამბედაობით განცვიფრებული ქალიშვილი თითქმის ძალით გამყავს გვერდზე.

– ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ! ღვთის გულისათვის, უნდა დამეხმაროთ! ამიხსენით, რა მოხდა!.. ვამბობ შეშფოთებული.

არ ვიცი რა იფიქრა ქალიშვილმა. მის მზერაში რატომღაც სიცივე ვიგრძენი. აღელვებულს ალბათ შესაბრალისი, ანდა შეიძლება შემაძრწუნებელი გამომეტყველებაც კი მქონდა. გულის ბაგაბუგით ვუამბობდი წამის წინ თავს გადამხდარს და... ილონას თვალებშიც იგივე ძრწოლა შევნიშნე, რაც მასპინძლის ქალიშვილის თვალებში...

– ხომ არ გაგიჟდით?.. – შემომიტია უცებ, – განა არ იცით?.. ნუთუ ვერაფერი შეამჩნიეთ?..

– არაფერი შემიმჩნევია, – ვლუღლუღებ შიშით დათრგუნვილი ამ ახალი და ასევე გაუგებარი გამოვლენით, – რა უნდა შემემჩნია?.. მე... მე ხომ პირველად ვარ ამ ოჯახში?

– მერედა, ნუთუ ვერ შენიშნეთ, რომ ედითს... ფეხები წართმეული აქვს? ნუთუ ვერ დაინახეთ მისი საბრალო დასახიჩრებული ფეხები? უყავარჯნოდ ორი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია... და თქვენ კი... თქვენ... – იგი ყლაპავს პირზე მომდგარ მრისხანე სიტყვას, – თქვენ კი საბრალოს საცეკვაოდ იწვევთ... რა საშინელებაა! ახლავე მასთან უნდა გავიქცე...

– არა, – სასოწარკვეთილ ილონას ხელს ვტაცებ მკლავზე, – ერთ წამს მოიცადეთ, კიდევ ერთი წამი... ბოდიში მინდა მოვიხადო მის წინაშე. რას ვიფიქრებდი... მხოლოდ სუფრასთან მჯდომი ვნახე და ისიც სულ ერთი წუთით... გემუდარებით, აუხსენით ყველაფერი...

მაგრამ ილონა ერთს შემომხედავს გამწყრალი თვალებით, მკლავს ითავისუფლებს და გარბის. სული მეხუთება, პირში სიმწრის გემოს ვგრძნობ, სასტუმრო ოთახის ზღურბლზე ვდგავარ, სადაც ყველაფერი ტრიალებს, ირწევა, ბზრიალებს... ვუჭვრეტ ამ უდარდელად (და ჩემთვის უკვე აუტანლად) მოფუსფუსე, მხიარულ ადამიანებს და ვფიქრობ: კიდევ ხუთი წუთი და ყველანი შეიტყობენ ჩემს ტლუ, უმსგავსო საქციელს. ხუთი წუთი და ყოველი მხრიდან დამცინავი, უკეთური, გესლიანი მზერით დამიწყებენ ჩხვლეტას, ხოლო ხვალ ყველას პირზე ეკერება ჩემი უხეშობის ამბავი, მთელ ქალაქს... სისხამ დილით მერძევეები რძესთან ერთად მიიტანენ სამზარეულოებში ამ ამბავს, შემდეგ აქედან, ერთიათად გაზრდილი და გაბერილი, მსახურთა და ფარეშთა პირით კაფეებსა და დაწესებულებებშიც შეაღწევს. ხვალვე შეიტყობენ პოლკშიც ყველაფერს...

ამ ფიქრებში ჩაძირული (თითქოს ბურანში ვყოფილიყავი) მამამისს ვხედავ. შეწუხებული სახე აქვს (ნეტავ, უკვე მიაღწია მის ყურამდეც ამ ამბავმა?). სასტუმრო დარბაზში მოუსვენრად სცემს ბოლთას. ჩემთან ხომ არ მოდის? არა, ამას კი ვეღარ გავუძლებ! ერთბაშად პანიკური შიში მიპყრობს. ანგარიშმიუცემლად, ბორძიკით მივემართები იმ კარისკენ, რომელიც ვესტიბიულში გადის: მინდა როგორმე თავი დავაღწიო ამ წყეულ სახლს!

– ბატონი ლეიტენანტი უკვე ინებებს წაბრძანებას? – მოკრძალებით მეკითხება გაკვირვებული მსახური.

– დიახ, – მივუგებ მე და, ბაგეს მოსწყდება თუ არა სიტყვა, მაშინვე მაკრთობს ჩემი პასუხი. ნუთუ მართლა მინდა წავიდე? და იმ წამს, როდესაც მსახურს ჩემი მოსასხამი მოაქვს, უკვე ნათელი ხდება ჩემთვის, რომ ამ მხდალი ქცევით, შესაძლოა, უფრო მიუტევებელ სისულელეს ჩავდივარ. მაგრამ უკვე გვიანია ამაზე ფიქრი. მოსასხამს ხომ

არ დავუბრუნებ უკან და ვიტყვი, რომ არ მივდივარმეთქი? მსახური უკვე სადარბაზო კარს მიღებს და თავს ოდნავ მიკრავს. სახლს ვტოვებ. სახეს მსუსხავ ქარს ვუშვერ, ჰაერი არ მყოფნის, თითქოს ვიხრჩობი და გული კი ლამის ამომვარდეს საგულედან...

* * *

აი, ამ ავბედითი გაუგებრობიდან დაიწყო ყველაფერი. ახლა, როდესაც მრავალი წლის სიშორიდან წარმოვიდგენ იმ მარტივ ეპიზოდს, რომლითაც დასაბამი მიეცა საბედისწერო ამბავთა მსვლელობას, უნდა ვთქვა, რომ არსებითად სრულიად ალალ-მართალი გავები ამ ისტორიაში. თვით ყველაზე ჭკვიანსა და გამოცდილ ადამიანს შეიძლებოდა ასეთი მარცხი მოსვლოდა ფეხებწართმეული ქალიშვილი საცეკვაოდ გაეწია. მაგრამ მაშინ, პირველ შთაბეჭდილებას აყოლილს, ჩემი თავი არა მხოლოდ გამოუსწორებელ რეგვენად მიმაჩნდა, არამედ უსულგულო არამზადად და ბოროტმოქმედად. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს უდანაშაულო ბავშვისთვის მათრახი გადამეჭიროს. თანაც, ბოლოს და ბოლოს, სულიერი მხნეობა თუ მეყოფოდა, ყოველივე ამის გამოსწორებაც შეიძლებოდა, მაგრამ საქმე საბოლოოდ იმან გააფუჭა (ეს მაშინვე ცხადი შეიქნა ჩემთვის, როგორც კი ცივმა ქარმა შუბლში დამიბერა), რომ დამნაშავესავით გამოვიქეცი და არც კი მიცდია, თავი მემართლებინა.

ვერ აღვწერ, რა დღეში ჩავვარდი, როდესაც გარეთ გამოვედი და სახლის წინ გავჩერდი. გაკაშკაშებული ფანჯრების მიღმა მუსიკა აღარ ისმოდა. ავადმყოფურად განვიცდიდი ჩემს დანაშაულს და ცხელ გულზე მაშინვე წარმოვიდგინე, რომ ჩემ გამო შეწყდა ცეკვა, რომ ყველანი ალბათ, პატარა თვალცრემლიან ქალიშვილს ანუგეშებენ და ერთხმად გამოთქვამენ აღშფოთებას იმის გამო, რომ მე უსინდისო და გარეწარი ადამიანი (რომელმაც ხეიბარი გოგონა საცეკვაოდ გაიწვია), უსირცხვილოდ, ლაჩარივით მოვიქეცი და უჩუმრად დავტოვე მათი სახლი. ხოლო ხვალ (ოფლმა დამასხა ამის წარმოდგენაზე და შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა), მთელ ქალაქს ეცოდინება ჩემი შერცხვენის ამბავი. ვიცი, რომ არავინ დამინდობს და ყველას პირზე ეკერება ჩემი სახელი.

უკვე თვალწინ მიდგას ჩემი მეგობრები: ფერენც მისლოვეცი და იოჟი, ის შეჩვენებული ოინბაზი. როგორ გაართობდა მათ ეს ამბავი, როგორ ნიშნის მოგებით მეტყოდნენ: „ბიჭო, ტონი, ეს რა მაგრად აურიე! ერთხელ აგიშვეს საბლიდან და მაშინაც მთელი პოლკი შეარცხვინე!“ თვეები არ მოჰბეზრდებათ ჩემი გაკილვა და მასხარად აგდება ოფიცერთა საკრებულოში. ამაში ეჭვიც არ მეპარება, რადგან, ჩვენთან (ოფიცერთა სასადილოში), ათი, ოცი წელიწადი ღეჭავენ ხოლმე ყოველ კურიოზს, ოდესმე თუ რომელიმე ჩვენგანს შემთხვევია; ძეგლს უდგამენ ყოველ ანგლობას... აი, უკვე თექვსმეტი წელია გასული მას შემდეგ და დღესაც იხსენებენ აბსურდულ ამბავს, რომელიც როტმისტრ ვოლინსკის შეემთხვა: ვენიდან შინ დაბრუნებულს დაეტრაბახა, გრაფინია ტ. გავიცანი და პირველივე გაზეთში დაიბეჭდა სკანდალური ცნობა აღნიშნული გრაფინიას მოახლე გოგოს შესახებ, რომელიც გრაფინიად ასაღებდა თურმე თავს. თანაც ამ საბრალო კაზანოვას პოლკის ექიმთან მკურნალობის სამკვირიანი კურსის გავლაც მოუხდა... თუ

ერთხელ მაინც აგიგდეს მასხარად მეგობრებმა, სამუდამოდ მასხარად რჩები, მათგან შენდობას არ უნდა მოელოდე, არასოდეს დაივიწყებენ შენს მარცხს.

რაც უფრო ბევრს ვფიქრობდი და რაც უფრო ცოცხლად წარმოვიდგენდი ყოველივეს, მით უფრო შლეგური აზრები მომდიოდა ციებცხელებაავარდნილ თავში. იმ წუთებში რევოლვერის ჩახმახის ხმაც ასჯერ უფრო ასატანი მეჩვენებოდა, ვიდრე უახლოეს დღეებში ჯოჯოხეთური წამების ატანა. ხვალინდელ დღეს გულისფანცქალით უნდა დავლოდებოდი, ვთრთოდი შიშით, როდის შეიტყობდნენ მეგობრები ჩემს შერცხვენას. ნეტავ, ხომ არ ჩურჩულებდნენ უკვე ჩემ ზურგს უკან? ვაი, რომ კარგად ვიცნობდი ჩემს თავს და ვიცოდი, ვერ ავიტანდი, თუ დაცინვასა და გაკილვას დამიწყებდნენ.

როგორ მივედი ყაზარმაში, როგორ მივაღწიე ჩემს ოთახამდე, დღეს უკვე აღარ მაგონდება. მხოლოდ ის მახსოვს, რომ მაშინვე კარადას დავეძგერე, სადაც ერთი ბოთლი სლიბოვიცი მქონდა სტუმრებისთვის შენახული, და ორი თუ სამი ნახევრად გავსებული ჩაის ჭიქა გადავკარი, რათა ყელი ჩამეწმინდა და გულისრევის შეგრძნება მომეკლა. შემდეგ საწოლზე დავეგდე (გახდა არც მიფიქრია) და შევეცადე აზრები მომეკრიბა. მაგრამ ყვავილების მსგავსად, რომლებიც სათბურში ტროპიკული სიუხვით იფურჩქნებიან, ახირებული წარმოდგენებიც ფანტასტიკურად იზრდებიან წყვდიადში. მხურვალე ნიადაგიდან ქაოსურად აღმოცენებულნი, ერთმანეთში თვალისმომჭრელ ლიანებად იხლართებიან და ყელში უჭერენ ადამიანს; ყოვლად აბსურდული კოშმარები სიზმრისეულ ჩვენებათა სისწრაფით წარმოიქმნებიან და ენაცვლებიან ერთიმეორეს დასიცხულ გონებაში – ასეც მოხდა ჩემს შემთხვევაში. სამუდამოდ თავი შევირცხვინე, ვფიქრობდი, ამიერიდან საზოგადოებისგან გაძევებული ვარ, მეგობრები მასხრად ამიგდებენ და მთელი ქალაქი ჩემზე იჭორავებს! გარეთ თავს ვეღარ გამოვყოფ, ქუჩაში ვერ გამოვჩნდები იმის შიშით, ვაითუ, ვინმე ისეთი შემომხვდეს, ვინც იცის, რა ბოროტებაც ჩავიდინე-მეთქი (ვინაიდან იმ ღამეს, როდესაც სული პირველად მქონდა ასე ამღვრეული, ჩემი ალალმართლობით ჩადენილი სისულელე ბოროტმოქმედებად მესახებოდა, ხოლო საკუთარი თავი ყველას მიერ გამასხრებულად, შერისხულად და დევნილად). ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა და ძილშიც ციებ-ცხელება მტანჯავდა, რადგან როგორც კი თვალებს ვახელდი, ისევ ის წყრომით აღსავსე, ბავშვური სახე წარმომიდგებოდა. ვხედავდი მის მთრთოლვარე ბაგეებს, მაგიდას ჩაბღაუჭებულ ხელებს, მესმოდა ძირს დაცვენილი ჯოხების ბრახუნი (მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ეს ალბათ მისი ყავარჯნები იყო) და შლეგური შიშით ატანილი ვფიქრობდი: შეიძლება უცებ კარი გაიღოს და მამამისი შემოვიდეს შავი, თეთრგულისპირიანი სერთუკი აცვია, ოქროს სათვალე უმშვენებს სახეს, ნიკაპს თხასავით თხელი და წამახვილებული წვერი უფარავს. სულ ახლოს მოდის ჩემს საწოლთან. თავზარდაცემული ვხტები ლოგინიდან და ვიდრე სარკეში ჩემს ნამძინარევ და შიშისაგან გაოფლილ სახეს თვალებდაჭყეტილი შევცქერი, ხელები მექავება. რატომ?.. იმიტომ, რომ მინდა შიგ სახეში ვლეწო იმ გარეწარს, სარკიდან რომ მომჩერებია.

მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე რიჟრაჟმა მოატანა. დერეფანში ნაბიჯების ბრახაბრუხი ისმის. ქვემოთ, ქვაფენილზე, ფორნები მირახრახებენ. ფანჯრებში შუქი შემოდის და

ახლა უფრო ნათლად აზროვნებ, ვიდრე წყვდიადით გარემოცულში. სიბნელე, ვინ იცის, რას არ მოგალანდებს. „იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე? – ვიმშვიდებ თავს, – იქნებ სულაც არავინ შეიმჩნია? თვითონ, რასაკვირველია, არასოდეს დაივიწყებს, არასოდეს მაპატიებს, საბრალო გოგონა, საბრალო ხეიბარი!..“ აქ უეცრად თავში სხვა აზრმაც გამიელვა სასწრაფოდ ვივარცხნი აწეწილ თმას, ვიცვამ მუნდირს და ოთახიდან გავრბივარ. გვერდზე ჩავურბენ შეცბუნებულ დენშჩიკს, რომლის ხმაც უკან მომდევს:

– ბატონო ლეიტენანტო, ბატონო ლეიტენანტო, ყავა უკვე მზად არის!

შურდულივით ვეშვები ყაზარმის კიბეზე და ისე სწრაფად ჩავურბენ ჯარისკაცებს (რომლებიც ჯერ კიდევ ნახევრად ჩაუცმელები დგანან ეზოში), რომ ვერც კი ასწრებენ სმენაზე დადგომას. წამის შემდეგ ყაზარმის ჭიშკარიც უკან მრჩება და პირდაპირ ყვავილების მაღაზიისკენ გავრბივარ, ქალაქის სამმართველოს მოედანზე, თანაც ვცდილობ, სირბილი ცოტად თუ ბევრად ჩემს ჩინს შევუფარდო. სიჩქარეში, რა თქმა უნდა, სულ გადამავიწყდა, რომ დილის ექვსის ნახევარზე არც ერთი მაღაზია არ დამხვდებოდა ღია. მაგრამ, საბედნიეროდ, ფრაუ გურტნერი, ყვავილების გარდა, ბოსტნეულითაც ვაჭრობს. გურტნერის სახლის კართან ოთხთვალა დგას, კარტოფილს ტვირთავენ. ფანჯარაზე ვაკაკუნებ და მესმის, როგორ ჩამოდის დიასახლისი კიბეზე. ნაადრევი ვიზიტის გასამართლებლად ამას ვიგონებ: გუშინ სრულიად ამომივარდა თავიდან, რომ დღეს ჩემი ერთი მეგობრის დღეობაა. ნახევარ საათში სალაშქროდ მივდივართ, ამიტომ ახლავე მინდა გავუგზავნო მას ყვავილები. ასე რომ, ჩქარა, ყვავილები, და ისიც ყველაზე ლამაზი, ყველაზე ლამაზი თაიგული!.. ვაჭარი დედაკაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ღამის პერანგი აცვია და ფეხებზე დაგლეჯილი ფოსტლები აქვს მორგებული, მაშინვე აღებს ფარდულს და მიჩვენებს თავის საუნჯეს, გრძელყლორტებიანი ვარდების ვეებერთელა თაიგულს...

რამდენი გინდა? – სვამს კითხვას და მეც ვპასუხობ – სულ-მეთქი!.. მხოლოდ ასე, უბრალოდ შეკრულს ინებებ, თუ ლამაზ კალათაში ჩალაგებულს? – მეკითხება ქალი. კალათაში ჩალაგებულს, – ვპასუხობ ნაჩქარევად... მთელ თანხას, რაც ჩემი თვიური ხელფასიდან მქონდა დარჩენილი, ამ მდიდრულ ძღვენში ვიხდი. თვის ბოლო რიცხვებში იძულებული ვიქნები, კაფეში ვახშმობაზე უარი ვთქვა, ანდა ფულის სესხება მომიხდეს, მაგრამ ამ წუთში ეს სრულიად არ მადარდებს. უფრო მეტიც, მიხარია კიდეც, რომ ჩემი სიბრიყვე ასე ძვირად დამიჯდა, რადგან გაბოროტებული ვარ საკუთარ თავზე, მინდა სანიმუშოდ დავსაჯო და მწარედ ვაზღვევინო ორგზის დაშვებული სიტუტუცე.

ასე რომ, ახლა, მგონი, ყველაფერი რიგზეა. ულამაზესი ვარდები კოხტად აწყვია კალათაში და დაუყოვნებლივ გაგზავნიან იქ, სადაც საჭიროა. მაგრამ ფრაუ გურტნერი, აქოშინებული წამომეწია გზაზე, სად და ვის უნდა გავუგზავნოთ ყვავილები? ბატონ ლეიტენანტს არაფერი უთქვამს! მაპატიეთ, ისე ვიყავი აღელვებული, რომ ეს სულ აღარ გამხსენებია... კეკეშფალვას ვილაში გაგზავნეთ თაიგული, ვამბობ და თან დროულად მაგონდება შეშინებული ილონას წამოძახილი, ჩემი საბრალო მსხვერპლის სახელი რომ ახსენა, და ვუმატებ:

– ფროილაინ ედით ფონ კეკეშფალვას მიართვით!

– ო, რასაკვირველია, რასაკვირველია... ბატონ კეკეშფალვას ოჯახი, – ამბობს ფრაუ გურტნერი ამაყად, ჩვენი საუკეთესო მუშტარი გახლავთ.

ის-ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ კითხვით მომმართავს: ხომ არ ვინებებ ორიოდე სიტყვა მივწერო? მივწერო? ვინ უგზავნის? თორემ ისე როგორ უნდა შეიტყოს, ვინ მიართვა ყვავილები?

ისევ შევდივარ ყვავილებით მოვაჭრის ფარდულში, ჯიბიდან სადარბაზო ბარათს ვიღებ და ზედ ვაწერ: „გთხოვთ, მომიტევოთ“. არა, ასე არ ივარგებს! მეოთხე სიბრიყვე გამოვა: რა საჭიროა ერთხელ კიდევ გავახსენო ჩემი უტაქტობა? მაგრამ აბა, როგორ მოვიქცე? რა მივაწერო ამ ბარათს „გულწრფელად ვწუხვარ?“ ეს კიდევ უარესია, შეიძლება იფიქროს, რომ მწუხარებას გამოვთქვამ მისი მდგომარეობის და არა ჩემი საქციელის გამო. ყველაფერს ის ჯობს, რომ არაფერი მივწერო, საერთოდ არაფერი, ვასკვნი ბოლოს.

– მხოლოდ სადარბაზო ბარათი ჩადეთ, ფრაუ გურტნერ, მხოლოდ სადარბაზო ბარათი.

თითქოს გულზე მეშვება. უკან მივეშურები ყაზარმაში, ნაჩქარევად ვსვამ ყავას და ავად თუ კარგად, მაინც ვატარებ დილის მეცადინეობას, ოღონდ უფრო ნერვიულად და გონებაგაფანტულად, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ ჯარში მაინცდამაინც თავს არ იცხელებენ, როდესაც რომელიმე ლეიტენანტი დილით უჟმურ ხასიათზე ცხადდება სამსახურში. ბევრნი, გატარებული ღამის შემდეგ, ისეთი მისავათებულები ბრუნდებიან, რომ თვალს ძლივსღა ახელენ და ცხენებზე ზეზეულად სძინავთ. კაცმა რომ თქვას, კმაყოფილიც კი ვარ, რომ ბრძანებების გაცემა, ჩემი ჯარისკაცების შემოწმება და შემდეგ გალაშქრება მიხდება, რადგან სამსახური მოუსვენარი ფიქრებისგან ერთგვარად ათავისუფლებს კაცს.

თუმცა კი, უნდაგამოვტყდე, სადღაც საფეთქლებს შორის უსიამოვნო შეგრძნება ისევ ფათურობს და ყელშიც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნაღვლით გაჟღენთილი ღრუბელი გამჩხეროდეს.

მაგრამ შუადღისას, როცა ის-ის იყო ოფიცერთა საკრებულოში წასვლა დავაპირე, დენშჩიკი დამეწია ხელში წერილით ცისფერი ინგლისური ქაღალდის მოგრძო სწორკუთხა კონვერტით, რომელსაც ნაზი სურნელი ასდის, უკანა მხარეს კი გერბი აქვს ნატიფად ამოტვიფრული. მოგრძო, თხელი ასოებით, ქალის ხელით ნაწერია. სასწრაფოდ ვხსნი კონვერტს და ვკითხულობ: „გულითად მადლობას გიძღვნით, პატივცემულო ლეიტენანტო, მშვენიერი თაიგულისთვის, რომელიც არ დამიმსახურებია. თქვენმა ძღვენმა უდიდესი სიხარული მომანიჭა. გთხოვთ, გეთაყვათ, ჩაიზე მეწვიოთ, რომელ საღამოსაც გნებავთ. წინასწარ გაფრთხილება საჭირო არ არის. მე, სამწუხაროდ, მუდამ შინ ვარ. ედით ფ. კ.“

უნებლიეთ მახსენდება მაგიდას ჩაფრენილი ბავშვური თითები, მაგონდება ფერმკრთალი სახე, ერთბაშად სიწითლის ალმური რომ წაეკიდა, თითქოს ჭიქაში ბორდო ჩაესხათო. მეორედ, მესამედ, მეოთხედ ვკითხულობ ამ ორიოდე სტრიქონს და შვებით ვითქვამ სულს. რა ტაქტიანად უხვევს გვერდს ჩემს წინდაუხედაობას და ამავე დროს როგორ მარჯვედ, როგორ დელიკატურად მიუთითებს თავის მანკზე: „მე, სამწუხაროდ,

მუდამ შინა ვარ“. ამაზე უფრო დიდსულოვანი პატიება აღარ შეიძლებოდა. წყენის ნატამალიც კი არ იგრძნობოდა ამ წერილში...

გულიდან ლოდი მეხსნება. თავს იმ ბრალდებულის მსგავსად ვგრძნობ, რომელიც სამუდამო პატიმრობას ელის, მოსამართლე კი დგება, ქუდს იხურავს და აცხადებს: გაათავისუფლეთო! რასაკვირველია, ამ მოკლე ხანში უნდა ვეწვიო და მადლობა გადავუხადო ამ საოცარ ქმნილებას. დღეს ხუთშაბათია, ასე რომ, კვირას ვესტუმრები. ან არადა, სჯობს არ გადავდო და შაბათს ვეახლო!

მაგრამ ვერ მოვითმინე და სიტყვა გავტეხე. მოსვენებას არ მაძლევდა სურვილი, რაც შეიძლება მალე გავთავისუფლებულიყავი „დანაშაულის კლანჭებიდან“, რადგან განუწყვეტლივ იმის შიში მაწვალებდა, ვაითუ, ოფიცერთა საკრებულოში, კაფეში ან სადმე სხვაგან, ვინმემ წამოიწყოს ჩემს მარცხზე ლაპარაკი და მკითხოს: „აბა, ერთი მოგვიყევი კეკეშფალვასთან სტუმრობის შესახებო“. გულით მინდოდა, რომ ასეთ შემთხვევაში ცივი და ქედმაღლური პასუხის გაცემა შემძლებოდა: „ო, შესანიშნავი ხალხია! გუშინ საღამოსაც მათთან ვიყავი ჩაიზე“, რათა ყველას უმალვე დაენახა, რომ სულაც არ ამოუკრავთ პანღური ჩემთვის. ნეტავი, როგორმე დავაღწიო თავი ამ ამბავს და ბოლო მოვუღო ამ ეიფორიას! ამ შინაგან ნერვიულ დაძაბულობას ის მოჰყვა, რომ მეორე დღესვე, ესე იგი, პარასკევს, სწორედ მაშინ, როდესაც ჩემს საუკეთესო მეგობრებთან ფერენცსა და იოჟისთან ერთად კორსოზე დავხეტიალებდი, ერთბაშად გადავწყვიტე: დღესვე უნდა ვეწვიო-მეთქი და სრულიად მოულოდნელად გამოვეთხოვე მათ ჩემს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულ მეგობრებს.

კეკეშფალვას ვილა მაინცდამაინც შორს არ იყო, სულ ბევრი, ნახევარი საათის სავალი იქნებოდა. ჯერ ქალაქი უნდა გადასერო, შემდეგ ოდნავ მტვრიან შარაგზას აუყვე, რომელსაც ჩვენი სავარჯიშო მოედნისკენაც მივყავართ და რომელზედაც ჩვენმა ცხენებმა უკვე ყოველი კენჭი და მოსახვევი ზეპირად იციან (სადავეც რომ მიუშვათ, დანიშნულ ადგილზე აუცილებლად მივლენ). მთავარ გზას ხიდის ყურესთან მხარმარცხნივ, ბებერი წაბლის ხეებით დაბურული, შედარებით უფრო ვიწრო გზა გამოეყოფა, რომელიც მისდევს პატარა ნაკადულის ზიგზაგოვან კალაპოტს და კერძო ხეივნის შთაბეჭდილებას ტოვებს აქ იშვიათად თუ შეხვდებით ფეხით მოსიარულეს ანდა ეკიპაჟს.

მაგრამ საკვირველია: რაც უფრო ვუახლოვდები პატარა ციხე-დარბაზს, რომლის მრგვალ გალავანსა და გისოსიან ალაყაფის კარს ახლა უკვე ვხედავ, მით უფრო ვკარგავ სიმამაცეს, როგორც კბილის ექიმთან ემართება ზოგჯერ ადამიანს: უკვე კარს უახლოვდება და მაინც საბაბს ეძებს, რომ უკან გატრიალდეს. ასე ვიყავი მეც. ნუთუ აუცილებელია, რომ მაინცდამაინც დღეს მივიდე? უნებლიეთ ნაბიჯს ვანელებ. ასეა თუ ისე, უკან დაბრუნებისთვის ჯერ კიდევ არის დრო და შემოვლითი გზა მუდამ სასურველია იქ, სადაც პირდაპირ გზას არ გინდა დაადგე. ამ ფიქრებში გართული ხეივნიდან განზე ვუხვევ, პატარა ნაკადულზე გადებულ მოქანავე ფიცარს გავდივარ და მეორე მხარეს გადავდივარ. მინდა გარედან შემოვუარო კეკეშფალვას კარმიდამოს.

სახლი, რომელიც ქვის მაღალი გალავნის მიღმა დგას, გვიანდელი ბაროკოს სტილის ერთსართულიანი მოგრძო შენობაა, ძველ ავსტრიულ ყაიდაზე აგებული. ყვითლად არის

შეღებილი და მწვანე დარაბებით შემკული. ეზოს უკანა მხარეს, ზედა ვრცელ ბაღთან, რამდენიმე, შედარებით უფრო პატარა ნაგებობა მოჩანს. იქ ალბათ, მოსამსახურეები ცხოვრობენ. სქელი გალავნის ოვალურ ღობეებს შორის ვიჭვრიტები და მხოლოდ ახლა ვამჩნევ კეკეშფალვას სახლი თანამედროვე ვილა კი არ არის, როგორც თავდაპირველად მეჩვენა, არამედ მემამულის ციხედარბაზს უფრო ჰგავს, თავადის ძველებურ სასახლეს, როგორებიც არაერთხელ შემხვედრია ბოჰემიაში მანევრების დროს. მაოცებს მხოლოდ ოთხკუთხა კოშკი, რომელიც ფორმით ცოტათი იტალიურ campanile-ს მაგონებს და რომელიც არ ეხამება დანარჩენ ნაგებობებს; როგორც ჩანს, იგი ნაშთია ციხე-კოშკისა, რომელიც გარდასულ დროს მდგარა ამ ადგილას. ახლამაგონდება, რომ სავარჯიშო მოედნიდან ხშირად შემინიშნავს ეს საკვირველი გოდოლი და რომელიღაც სოფლის ეკლესიის სამრეკლო მგონებია. ახლა კი თვალში მხვდება, რომ ამ უცნაურ ნაგებობას გუმბათის ნაცვლად ბრტყელი ბანი აქვს, რასაც ალბათ ან მზის აბაზანების მისაღებად, ანდა სამეთვალყურეოდ თუ იყენებენ. მაგრამ რაც უფრო ვრწმუნდები ამ სათავადო კარ-მიდამოს ძველთაძველ, ფეოდალურ წარმომავლობაში, მით უფრო უსიამო გრძნობა მეუფლება: პირველსავე ვიზიტზე სწორედ იქ შევირცხვინე თავი, სადაც, ეჭვს გარეშეა, ფორმალურ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ!..

  გალავნის ირგვლივ შემოვლის შემდეგ, გისოსებიან ალაყაფის კარს ვუახლოვდები, მხნეობას ვიკრებ და გადამწყვეტ ნაბიჯს ვდგამ. გავდივარ ხრეშმოყრილ ხეივანს, კელაპტრებივით თანაბრად გადაკაფული ხეები რომ ქმნის, და სადარბაზო შესასვლელის კარზე დამაგრებულ ბრინჯაოს მძიმე სარეკელას ვეწევი, რომელიც აქ ძველი ჩვეულებისამებრ ზარის მაგივრობას ასრულებს. მაშინვე გამოდის მსახური (საოცარია, სულ არ ეტყობა, გაკვირვებული იყოს ჩემი მოულოდნელი სტუმრობით), არც არაფერს მეკითხება, არც სადარბაზო ბარათს მართმევს, თავაზიანად მიკრავს თავს და პირდაპირ სასტუმრო დარბაზში მიწვევს. მთხოვს იქ დაველოდო, ქალბატონები ჯერაც თავიანთ ოთახში არიან, მაგრამ ახლავე გეახლებიანო; შემდეგ ისევ მიმიძღვის წინ. კვლავ უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც ჩემთვის უკვე ნაცნობ წითლად მოფარდაგებულ სასტუმრო დარბაზში შევდივარ, სადაც მაშინ სტუმრები ცეკვავდნენ, ხოლო პირში მწარე გემო იმას მაგონებს, რომ ის საჭირბოროტო ოთახიც აქვე გვერდით უნდა იყოს. მაგრამ ოქროსფერი ჩუქურთმებით მოხდენილად შემკული მოყვითალო კარი ჯერჯერობით ფარავს ჩემი ბრიყვული საქციელის სარბიელს, ასე ცხადად რომ მიდგას თვალწინ.

  რამდენიმე წუთის შემდეგ ამ კარს იქიდან მესმის, როგორ აჩოჩებენ სავარძლებს, როგორ ლაპარაკობენ ხმადაბლა და ფეხაკრეფით მიდიმოდიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იქ რამდენიმე ადამიანია. ვცდილობ, დრო მოვკლა და სასტუმრო დარბაზს ვათვალიერებ: მდიდრული ავეჯი Louis seize-ის სტილისა. მარჯვნივ და მარცხნივ ძველებური გობელენები, ხოლო პირდაპირ, ბაღში გამავალ მინის კარებს შორის, ასევე ძველებური ნახატები კიდია Canale Grande-სა და Piazza San Marko-ს ხედები, რომლებიც ძალიან ძვირფასებად მეჩვენება, თუმცა ვერ დავიკვეხნი რომ ხეირიანად ვერკვეოდე მათში. ისიც უნდა ვთქვა, რომ მაინცდამაინც არ ვაკვირდები ხელოვნების ამ ფასდაუდებელ ნიმუშებს, რადგან მთელი გულისყური მეზობელი ოთახისკენ მაქვს მიმართული: აი,

თეფშების ნელი წკრიალი ისმის, კარის ჭრიალი, და... და ყავარჯნების კაკი-კუკიც. ჟრუანტელი მივლის მთელ ტანში.

ბოლოს ვიღაცის უხილავი ხელი შიგნიდან აღებს კარს. ეს ილონაა, იგი ჩემკენ მოემართება.

– რა კარგია, ბატონო ლეიტენანტო, რომ მობრძანდით, – მეუბნება და მაშინვე ჩემთვის უკვე ნაცნობ ოთახში შევყავარ. იმავე კუთხეში, იმავე დივანზე, იმავე მალაქიტის მაგიდის უკან (ნეტავ, რატომ იმეორებენ ჩემთვის ესოდენ უხერხულ სიტუაციას?) ზის ხეიბარი და ფეხებზე სქელი და ფაფუკი თეთრი ბეწვის საბანი აფარია ალბათ „ის ამბავი“ რომ არ გამახსენდეს. ედითი მეგობრული ღიმილით მესალმება, ეჭვგარეშეა, წინასწარ მოფიქრებული აქვს, შეხვედრის წვრილმანები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გაუბედავად, ოდნავი ძალდატანებით მიწვდის ხელს და მაშინვე ვხვდები, რომ ისიც „იმაზე“ ფიქრობს. ვერც ერთს ვერ მოგვიხერხებია საუბრის წამოწყება. საბედნიეროდ, ილონა უმალვე არღვევს ამ მძიმე, უხერხულ დუმილს და მეკითხება:

– რა მოგართვათ, ბატონო ლეიტენანტო, ჩაი თუ ყავა?

– რაც თქვენ გნებავთ, – ვპასუხობ მე.

– არა, თქვენ რა უფრო გიყვართ, ბატონო ლეიტენანტო? არ მოგერიდოთ.

– მაშინ, ყავა იყოს, თუ შეიძლება, – დავძენ და მიხარია, რომ ჩემი ხმა, ასე თუ ისე, მტკიცედ ჟღერს.

ამ საქმიანი კითხვით შავგვრემანმა ქალიშვილმა ძალზე ეშმაკურად მოახერხა პირველი შეხვედრის დაძაბულობა გადაგველახა. მაგრამ მაშინვე ღვთის ანაბრად მიგვატოვა და ოთახიდან გავიდა, რომ მსახურისთვის დავალება მიეცა. ასე რომ, მარტოდმარტო ვრჩები ჩემს მსხვერპლთან. აღარ ვიცი, რა ვქნა. დროა რამე ვუთხრა, à tout prix საუბარი გავაბა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, თითქოს ყელში რაღაც გამეჩხირაო, და ალბათ, მზერაც ამღვრეული მაქვს, რადგან ვერ ვბედავ მისი სავარძლისკენ გახედვას: მეშინია, არ იფიქროს, რომ ბეწვის საბანს ვუცქერ, რომელიც ავადმყოფ ფეხებს უფარავს. კიდევ კარგი, ჩემზე უკეთ უჭირავს თავი და თავად იწყებს ლაპარაკს იმ ოდნავ აღელვებული და ათრთოლებული კილოთი, რომელსაც პირველად ვეცნობი.

– რატომ არ დაბრძანდებით, ბატონო ლეიტენანტო?! აგერ ის სავარძელი მოიდგით და ხმალიც მოიხსენით მგონი, ომს არ ვაპირებთ... მაგიდაზე დადეთ ანდა, თუ გნებავთ, ფანჯრის რაფაზე...

სავარძელს ხელი მოვკიდე, მაგრამ ვერა და ვერ ვახერხებ ჩემი მზერისთვის ბუნებრივი იერის მინიჭებას. ისევ ედითი მეხმარება:

– მე ჯერ მადლობა არ მითქვამს თქვენი შესანიშნავი თაიგულისთვის... მართლაც შესანიშნავი ყვავილებია. აბა, შეხედეთ, რა ლამაზად იცქირებიან ლარნაკიდან. და თანაც... და თანაც... ბოდიში უნდა მოგიხადოთ ჩემი ტუტუცური თავშეუკავებლობის გამო... საშინლად მოვიქეცი... მთელი ღამე რული არ მომკიდებია, ისე მრცხვენოდა. თქვენ ხომ სრულიად ალალი გულით... აბა, საიდან უნდა გცოდნოდათ... და ამას გარდა... – ნერვიული ღიმილი აღებეჭდა სახეზე, – ამას გარდა, ჩემი ყველაზე იდუმალი გულისწადილი ამოიცანით... მე ხომ განგებ დავჯექი ისე, რომ მოცეკვავეთა ყურება

შემძლებოდა და სწორედ იმ წამს, როდესაც ჩემთან მოხვედით, არაფერი ისე ძალიან არ მინდოდა, როგორც ის, რომ მეც მათთან ერთად შემძლებოდა ცეკვა... ვგიჟდები ცეკვაზე. საათობით შემიძლია ვუყურო, როგორ ცეკვავენ სხვები. ისე ვუყურო, რომ მათი ყოველი მოძრაობა მთელი ჩემი არსებით განვიცადო. ამ დროს მართლა მგონია, რომ სხვა კი არა, მე ვცეკვავ ვტრიალებ და ვირწევი, ნარნარად მიმაქროლებს პარტნიორი... ალბათ არც დაიჯერებთ, მაგრამ შეიძლება ასეთ სისულელეებს ოცნებობდე ადამიანი... ბავშვობაში ხომ მეხერხებოდა და მიყვარდა კიდეც ცეკვა და ახლაც ძილში სულ მესიზმრება, რომ ვცეკვავ. დიახ, შეიძლება სულელურად ჟღერს, მაგრამ სიზმარში ყოველთვის ვცეკვავ. ამიტომ, შეიძლება მამა ბატონისთვის უკეთესიც არის, რომ მე... რომ აღარ შემიძლია ცეკვა და სიარული, თორემ უთუოდ სახლიდან გავიქცეოდი და ბალერინა გავხდებოდი... არაფერი ისე არ მიტაცებს და ჩემი აზრით, იმაზე დიდებული არაფერია, როდესაც შენი სხეულით, შენი მოძრაობით, მთელი შენი არსებით ყოველ საღამოს ასობით ადამიანს ხიბლავ, ატყვევებ, აღტაცებაში მოგყავს... უფრო დიდებული სხვა რა უნდა იყოს?.. ჰო, მართლა, თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორი სულელი ვარ... მე ყველა გამორჩეული ბალერინის სურათებს ვაგროვებ, ყველას ფოტო მაქვს: საჰარეტის, პავლოვასი, კარსავინასი. მოიცათ, ახლავე გაჩვენებთ... აგერ იქ არის... ჩინურ ზარდახშაში... ბუხართან... არა, არა, ეგ არა. აგერ იქ, მარცხნივ, წიგნების გვერდით... აჰ, რა მოუქნელი ხართ!.. ჰო, დიახ, ეგ! (როგორც იქნა, ვიპოვე ზარდახშა და მივუტანე). ხედავთ, აი ეს, ყველაზე ზემოდან რომ დევს, ჩემი უსაყვარლესი სურათია, პავლოვა მომაკვდავი გედის როლში... ნეტავი გამგზავრება შემეძლოს, რომ საკუთარი თვალით ვნახო მისი ცეკვა. უბედნიერესი ვიქნებოდი!

შიგნითა კარი, რომლიდანაც ილონა გავიდა, ნელა და უჩუმრად იღება. ნაჩქარევად, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ხურავს ედითი ზარდახშას და ბრძანების კილოთი მეუბნება:

– იცოდეთ, ამათთან კრინტი არ დაძრათ იმაზე, რაც გელაპარაკეთ!

შემოდის ჭაღარათმიანი და ფრანციოსების ყაიდაზე კოხტად შეკრეჭილი ულვაშებით დამშვენებული მსახური, მას მოსდევს ილონა, რეზინის ბორბლებზე მდგარ მდიდრულად გაწყობილ ჩაის მაგიდას მოაგორებს. ასხამს ყავას, ჩვენთან ჯდება და მე უკვე მშვიდად ვგრძნობ თავს. საუბრისთვის სასურველ საბაბს ანგორის ვეებერთელა კატა მაძლევს, რომელიც უხმოდ შემოჰყვა ჩაის მაგიდას და ახლა გულარხეინად და შინაურულად მელამუნება ფეხებზე. აღტაცებას გამოვთქვამ: არაჩვეულებრივი კატაა-მეთქი, ვამბობ.

შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი საუბარი: ილონა მეკითხებოდა, რამდენი ხანია, რაც აქ ვარ და თავს როგორ ვგრძნობ გარნიზონში, ვიცნობ თუ არა ამა და ამ ლეიტენანტს, ხშირად ჩავდივარ თუ არა ვენაში, და შეუმჩნევლად ქრება პირვანდელი დაძაბულობა. თანდათანობით იმასაც კი ვბედავ, რომ გვერდიდან ოდნავ მაინც შევათვალიერო ქალიშვილები, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ილონა უკვე ნამდვილი ქალია, სითბოთი და ეშხით აღსავსე, ჯანმრთელი, მის გვერდით ედითი ახალმოჩიტულ გოგოს ჰგავს, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის თუ იქნება და მაინც ჯერ ქალი

არ ეთქმის. საოცარი კონტრასტია: ერთს გინდა ეცეკვო, აკოცო, მეორეს ელოლიავო, სათუთად მოეფერო, დაიცვა და ანუგეშო, ვინაიდან მთელი მისი არსებიდან რაღაც უცნაური მოუსვენრობა გამოსჭვივის. ერთი წამითაც კი არ აჩერებს სახეს: ხან მარჯვნივ იხედება, ხან მარცხნივ, ხან დაიძაბება და ხანაც ღონემიხდილივით გადაესვენება; ლაპარაკიც ნერვიული აქვს, წყვეტილად და სულმოუთქმელად საუბრობს. „ვინ იცის, გავიფიქრე, ეს თავშეუკავებლობა და მოუსვენრობა ერთგვარი კომპენსაციაა მისი ფეხების იძულებითი უმოძრაობისა, ანდა შეიძლება მის ჟესტიკულაციასა და ლაპარაკს აღაგზნებს ძლივს შესამჩნევი მუდმივი ციებ-ცხელება“. მაგრამ მე ცოტა დრო მრჩება დაკვირვებებისთვის, რადგან სწრაფი შეკითხვებითა და თხრობის იოლი, მარდი მანერით იგი მთლიანად თავისკენ იპყრობს ყურადღებას; სულ მალე, ჩემდა მოულოდნელად, მართლაც საინტერესო და ამაღელვებელ საუბარში ვებმები.

ასე გადის ერთი საათი, შეიძლება საათნახევარიც კი. შემდეგ სასტუმრო დარბაზიდან ვიღაცის ნაბიჯების ხმა ისმის, ვიღაც ლანდივით მოიპარება, თითქოს ეშინია, რომ ხელი არ შეგვიშალოს. ეს კეკეშფალვა გახლავთ.

– ბრძანდებოდეთ, გეთაყვათ, ბრძანდებოდეთ, მომმართავს მე, რადგან ხედავს, რომ ფეხზე წამოხტომას ვაპირებ, თან ხელს ხელზე მადებს და ადგომას არ მანებებს. შემდეგ დაბლა იხრება და შუბლზე ეამბორება თავის ქალიშვილს. ისევ შავი სერთუკი აცვია და თეთრ გულისპირზე ძველებური ჰალსტუხი უკეთია (სხვანაირად ჩაცმული ის არც მინახავს): ექიმს ჰგავს, ისეთი მზრუნველობითა და დაკვირვებით იმზირებიან მისი თვალები ოქროს სათვალის მიღმიდან. და მართლაც, ფრთხილად, როგორც ექიმი ავადმყოფის საწოლის კიდეზე, ისე ჯდება ედითის გვერდით დივანზე. მისმა გამოჩენამ ერთგვარ მოწყენილობას დაუთმო ადგილი. ჩვენს აქამდე ძალდაუტანებელ საუბარს თითქოს ებრძვის და რიტმს უხშობსო მისი მზერა, რომლითაც წამდაუწუმ ნაზად გადახედავს ხოლმე შვილს და ამოწმებს, თავს როგორ გრძნობს და რა გუნებაზეაო. მალე თვითონაც ამჩნევს ამ უხერხულობას და ცდილობს საუბრის წამოწყებას. ისიც ჩვენს პოლკზე მეკითხება, როტმისტრზე, კითხულობს პოლკის ძველ უფროსს, რომელიც სამხედრო სამინისტროში გადაიყვანეს. საოცრად კარგად იცის, თუკი რამ მომხდარა ჩვენს პოლკში წლების განმავლობაში და არ ვიცი რატომ, მეჩვენება, რომ ხაზს უსვამს მაღალი რანგის ოფიცრებთან ახლო ნაცნობობას.

„კიდევ ათი წუთი, ვამბობ გუნებაში, და მერე შემიძლია ისე, რომ თვალში საცემი არ იყოს, ავიკრიფო გუდანაბადი“. მაგრამ კარზე ისევ გაისმის ხმადაბალი კაკუნი, შემოდის მსახური, ჩუმად, თითქოს ფეხშიშველი დადიოდესო, და ყურში რაღაცას წასჩურჩულებს ედითს. ქალიშვილი სიბრაზისგან ენთება:

– დაიცადოს. ან არადა, უთხარით, რომ დღეს საერთოდ დამეხსნას. წავიდეს. არ მჭირდება.

ყველანი უხერხულად ვგრძნობდით თავს. არავინ და მე განსაკუთრებით, არ ველოდი ამ მშვენიერი ქალიშვილისგან ასეთ სიფიცხეს. სავარძლიდან ვდგები, ვნანობ კიდეც, რომ ერთობ დიდხანს დავრჩი. მაგრამ მაშინვე დაურიდებლად, იმავე ტონით, როგორითაც მსახურს, ახლა მე მიტევს ქალიშვილი:

– არა, დარჩით! და ამ ამბავს ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

კაცმა რომ თქვას, ასეთმა მბრძანებლურმა კილომ ოდნავ დამაბნია. კეკეშფალვასაც ეტყობა, რომ ამას მწვავედ განიცდის, რადგან უმწეოდ ეევედრება ქალიშვილს:

– კი, მაგრამ, ედით...

და აი, არ ვიცი, მამის შემკრთალ სახეზე, თუ იმაზე, რომ დაბნეული ვდგავარ და ვეღარაფერი მომიფიქრებია, ედითი თვითონაც ხვდება, რომ ნერვებმა უღალატეს, რადგან უეცრად ასე მომმართავს:

– მაპატიეთ. იოზეფს მართლაც შეეძლო დაეცადა და აქ არ შემოვარდნილიყო. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ყოველდღე მაწამებენ. მასაჟისტი მოვიდა, რომელიც მავარჯიშებს. მტკნარი სისულელეა. ერთი, ორი, ერთი ორი; ზემოთ, ქვემოთ, ქვემოთ, ზემოთ და ერთ მშვენიერ დღეს მოვრჩები. ჩვენი ექიმის უახლესი აღმოჩენა გახლავთ, სინამდვილეში კი მხოლოდ ზედმეტი წვალებაა და სხვა არაფერი. ისევე უსარგებლო, როგორც ყოველივე დანარჩენი.

თან გამომწვევად უყურებს მამას, თითქოს მას ადანაშაულებსო. მოხუცი კაცი დაბნეული (რადგან ჩემი რცხვენია) იხრება მისკენ:

– ჰო, მაგრამ, შვილო... ნუთუ მართლა გგონია, რომ ექიმი კონდორი...

მაგრამ მაშინვე ჩუმდება, რადგან ქალიშვილს პირი ებრიცება, ცხვირის თხელი ნესტოები ებერება, ტუჩები უთრთის და მე უკვე შიშით შევყურებ მას, მაგრამ ედითი უეცრად მშვიდდება, ურიგდება თავის ხვედრს და ბუტბუტებს:

– კარგი, კარგი, მივდივარ, თუმცა ამაოა, სრულიად ამაოა ყველაფერი. მაპატიეთ, ბატონო ლეიტენანტო, იმედია, მალე ისევ გიხილავთ აქ.

მე თავს ვუკრავ და წასვლას ვაპირებ. მაგრამ ედითი მომიბრუნდა და ამბობს:

– არა, მამასთან დარჩით, ვიდრე მეორე ოთახში მარშით გავალ, თან „მარშით გავლას“ ისე მკვეთრად და მკაფიოდ გაუსვა ხაზი, თითქოს იმუქრებაო. შემდეგ იღებს ბრინჯაოს პატარა ზარს, რომელიც მის წინ, მაგიდაზე დევს, და რეკავს: მხოლოდ მოგვიანებით შევნიშნე, რომ მთელ სახლში ყველგან ასეთი ზარები ეწყო მაგიდებზე, რათა მას ყოველ წუთში შესძლებოდა საჭიროებისამებრ მსახურის გამოძახება. ზარი წვრილ და გამჭვალავ ხმაზე რეკავს. მაშინვე შემოდის მსახური.

– დამეხმარე, – უბრძანებს ქალიშვილი და ბეწვის საბანს იძრობს. ილონა მისკენ იხრება და რაღაც უნდა უჩურჩულოს, მაგრამ „არაო“, უტევს ედითი და გაბრაზებული თავიდან იშორებს ნათესავს.

ის, რაც შემდეგ ხდება, საშინელია. მსახური იხრება მისკენ და აშკარად ეტყობა, რომ უკვე გაწაფულია ამ საქმეში ორივე ხელს იღლიებში ჰკიდებს და მაღლა იტაცებს მჩატე სხეულს. ფეხზე დამდგარი და ორივე ხელით ტახტის საზურგეს დაყრდნობილი ედითი ჯერ სათითაოდ გვათვალიერებს გამომწვევად, შემდეგ ხელში იღებს ყავარჯნებს, რომლებიც აქამდე საბანქვეშ ჰქონდა დამალული, ტუჩებს იკვნეტს, ებჯინება მათ და კაკი-კუკით წინ მიაქვს სხეული. ფეხები კი უკან რჩება, თან კუდიანივითაა მოხრილი. უკან მსახური მისდევს, რომ იმწამსვე დაიჭიროს, თუ ყავარჯენი გაცურდება ან ძალა გამოელევა გოგონას. აი, ერთი ნაბიჯი გადადგა, კიდევ ერთი... ყოველი ნაბიჯის

გადადგმაზე რაღაც ხმადაბლა ჩხაკუნობს და ღრჭიალებს, თითქოს ლითონი და დაჭიმული ტყავი გამოსცემდეს ხმას: ალბათ, სახსრებში (ვერ ვბედავ მის გასაცოდავებულ ფეხებს შევხედო) რაღაც სამარჯვები თუ უკეთია. თითქოს მარწუხები წაუჭირესო. გული მეკუმშება, ვიდრე იმ „მარშით სვლას“ ვადევნებ თვალს, რადგან მაშინვე ვხვდები, ასე დემონსტრაციულად რატომ არ რთავს ვინმეს დახმარების ნებას, ანდა საგორავებიანი სავარძლით რატომ არ ისარგებლა:

დარწმუნებული ვარ, რომ უნდა მაჩვენოს მეც და საერთოდ ყველას დაგვანახვოს, როგორი ხეიბარია. უნდა ტკივილი მოგვაყენოს უსასოობით გამოწვეული შურისძიების იდუმალი გრძნობის გამო, უნდა, რომ ჩვენც ვიტანჯებოდეთ მისი ტანჯვით და ჩვენ, ჯანმრთელი ადამიანები, დაგვადანაშაულოს თავის უბედურებაში. მაგრამ სწორედ ამ საზარელ გამოწვევაზე (და თანაც ათასჯერ უფრო ძლიერ, ვიდრე მაშინ, როდესაც საცეკვაოდ გავიწვიე და სასოწარკვეთილებამდე მივიყვანე), ვგრძნობ, როგორ უსაზღვროდ იტანჯება და როგორი უმწეოა. ბოლოს (მთელი საუკუნე სჭირდება ამას) აქეთ-იქით ქანაობით, განაწამები და სხეულის მთელი სიმძიმის ერთი ყავარჯნიდან გაჭირვებით მეორეზე გადატანით გადის იმ ორიოდე ნაბიჯს, რომელიც კარამდეა; ვაჟკაცობა არ მყოფნის, ერთხელ მაინც რომ შევხედო პირდაპირ, რადგან მარტო ყავარჯნების ტლანქი და ყრუ ტაკა-ტუკი, სამარჯვების ჩხაკუნი და ღრჭიალი და ამასთანავე მეტისმეტი დაძაბვისგან გამოწვეული ქოშინი ისე მზარავს და მაღელვებს, რომ ლამის გული ამომვარდეს საგულედან. უკვე გავიდა ოთახიდან. ჩვენ კი ისევ გვესმის დახურულ კარს მიღმა ეს საშინელი ხმები, რომლებიც თანდათან სუსტდება და ბოლოს სულაც წყდება.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სრული სიჩუმე გამეფდა, ვბედავ იატაკს მოვწყვიტო მზერა. მოხუცი კაცი (მხოლოდ ახლა შევამჩნიე ეს) უჩუმრად ამდგარა, ფანჯარასთან მისულა და გარეთ იცქირება მეტისმეტი დაკვირვებით. სინათლე მქრქალად ეცემა ფანჯრიდან და მხოლოდ მის სილუეტს ვხედავ, მაგრამ მაინც ვარჩევ, როგორ უცახცახებს ჩამოცვენილი მხრები. ისიც, მამამისიც, რომელიც ყოველდღე ხედავს, რა საშინლად იტანჯება შვილი, დათრგუნვილია ამ სანახაობით.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჰაერი შედედდა ოთახში. რამდენიმე წუთის შემდეგ, მხრებჩამოყრილი სილუეტი ტრიალდება და გაუბედავი ნაბიჯებით, გეგონებათ, მოლიპულ გზაზე მოდისო, მიახლოვდება:

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ლეიტენანტო, საწყენად არ მიიღოთ, თუ ჩემი ქალიშვილი ცოტათი მოურიდებლად იქცეოდა... თქვენ არ იცით, რამდენი ტანჯვა-წამება აქვს გადატანილი მთელი ამ წლების განმავლობაში. ყველაფერს ვცდილობ, რომ ტანჯვა შევუმსუბუქო, მაგრამ... ასე რომ, ჩემთვის გასაგებია მისი მოუთმენლობა.

მოხუცი ჩაის მაგიდასთან დგას. არ მიყურებს. მზერა სხვა მხარეს აქვს მიმართული და ისე ლაპარაკობს. მაგიდას მისჩერებია. სიზმარში მყოფივით იღებს თავღია საშაქრიდან ერთ ნაჭერ შაქარს, ხელში ატრიალებს, უაზროდ დასცქერის და კვლავ უკან დებს; კარგად შეზარხოშებულს ჰგავს, ისე უჭირავს თავი. მისი მზერა ისევ მაგიდას ჩასციებია, თითქოს რაღაც განსაკუთრებულს მიეჯაჭვაო. შემდეგ მექანიკურად იღებს კოვზს, ერთი წამით

აკვირდება და იმასაც უკან, თავის ადგილზე აბრუნებს. ისე ლაპარაკობს, თითქოს ამ კოვზს მიმართავდეს:

– რომ იცოდეთ, როგორი იყო ჩემი გოგონა! მთელი დღე აღმა-დაღმა დაქროდა. თვალის დახამხამებაში შემოირბენდა ხოლმე ყველა ოთახსა და გასასვლელს. გვაკრთობდა კიდეც მისი ასეთი სიმკვირცხლე. თერთმეტი წლის ასაკში ისე დააჭენებდა მდელოზე თავის პონს, რომ ვერავინ დაეწეოდა. ჩვენ, ჩემს განსვენებულ მეუღლეს და მე ხანდახან შიში გვიპყრობდა მისი შემხედვარე, ისეთი ანცი და მოუსვენარი იყო. ისე იოლად აღწევდა ყველაფერს და ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს საკმარისი იყო მკლავები გაეშალა და გაფრინდებოდა...

მამაკაცი თხელი, ჭაღარა თმით დაფარულ თავს სულ უფრო და უფრო დაბლა ხრის. ხელს ისევ ნერვიულად აფათურებს მაგიდაზე მდგარ ჭურჭელს შორის. კოვზის ნაცვლად ახლა შაქრის სამტვრევს იღებს, რომელიც უქმად დევს საშაქრეში, და ახლა ამ სამტვრევით რაღაც მრგვალი და უცნაური ასოები გამოჭყავს მაგიდაზე.

– და მაინც იოლია მისი გამხიარულება! თვით ყოვლად უმნიშვნელო რამესაც კი შეუძლია ბავშვივით გაახაროს! თვით ყოვლად მიამიტ ხუმრობაზეც შეუძლია გულიანად იცინოს, ან რომელიმე წიგნმა აღაფრთოვანოს... უნდა გენახათ, როგორი აღტაცებული იყო, როდესაც თქვენი ყვავილები მოიტანეს. მანამდე კი ღელავდა, შეურაცხყოფა მივაყენეო... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ფაქიზად აღიქვამს ყოველივეს... ყველაფერს ბევრად უფრო მძაფრად განიცდის, ვიდრე ჩვენ. ახლაც სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ არავინ ისე სასოწარკვეთილი არ არის იმით, რომ თავი ვერ შეიკავა, როგორც თვითონ... მაგრამ განა შეიძლება... განა შესაძლებელია ყოველთვის გრძნობების მოთოკვა? როგორ უნდა ეყოს ბავშვს საამისოდ ძალა, როდესაც ასე ნელა მიდის წინ საქმე, როგორ უნდა ითმინოს, როდესაც ღმერთმა ასე დასაჯა და ბრალი კი არაფერში მიუძღვის. მას ხომ არავისთვის არაფერი დაუშავებია...

კაცი ისევ და ისევ იმ წარმოსახვით ფიგურებს დასჩერებია, რომლებიც მისმა აკანკალებულმა ხელმა შაქრის სამტვრევით გამოიყვანა მაგიდის ზედაპირზე. მაგრამ უეცრად განზე აგდებს მას წკრიალით, თითქოს რაღაცამ შეაკრთოო, თითქოს ძილის ბურანიდან გამოერკვაო და მხოლოდ ახლა ხვდება, რომ თავის თავს კი არ ელაპარაკებოდა, არამედ სრულიად უცხო ადამიანს. და მეორე წამს, უკვე სავსებით სხვა ხმით, უფრო მტკიცე ხმით, ბოდიშს იხდის:

– მომიტევეთ, ბატონო ლეიტენანტო... როგორ მომივიდა, რომ ჩვენი პირადი საზრუნავით გაწუხებთ!.. მარტო ის მინდოდა თქვენთვის მეთქვა... არ მსურს, რომ მასზე ცუდი რამ იფიქროთ. რომ თქვენ...

არ ვიცი, როგორ მეყო გამბედაობა, მასთან მივსულიყავი და შემეწყვეტინებინა ეს აბნეული, მიკიბულმოკიბული სიტყვები, მაგრამ უეცრად ორივე ხელი მოვკიდე ამ უცხო ბერიკაცს. არაფერი მითქვამს, მხოლოდ ჩემს ხელებში მოვიმწყვდიე მისი ცივი, გაძვალტყავებული ხელი, რომელიც უნებლიეთ უკან გასწია, მაგრამ მოვასწარი და მაგრად მოვუჭირე. გაკვირვებულმა ამომხედა, სათვალის მინებზე სინათლე აირეკლა და მათი მიღმიდან მისმა თვალებმა გაუბედავად მოძებნეს ჩემი მზერა. მეშინოდა, რამეს

იტყვის-მეთქი, მაგრამ ხმა არ ამოუღია; მხოლოდ თვალის გუგები სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა, თითქოს ყველაფერი უნდა წაელეკათ. ვიგრძენი, რომ რაღაც ახალი, ჯერ განუცდელი მღელვარება მიპყრობდა და ამ გრძნობას რომ არ დავეძლიე, მასპინძელს სასწრაფოდ გამოვემშვიდობე და გარეთ გამოვედი.

ვესტიბიულში მსახური მოსასხამის ჩაცმაში მომეშველა. ერთბაშად ზურგში გამჭოლი ქარი ვიგრძენი უკან არ მიმიხედავს, მაგრამ მივხვდი, რომ ეს მოხუცი კეკეშფალვა დამდევნებოდა უკან. ალბათ, მადლობის გადახდა უნდოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ძალზე დავირცხვენდი. თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვერ შევნიშნე, რომ ჩემ უკან იდგა და აღელვებულმა დავტოვე ეს უბედური სახლი.

* * *

მომდევნო დილას ისევ გახვეულიყო ქალაქი თხელ ნისლში. სახლები და დარაბებიც დაეხურათ, რათა უშფოთველი ძილი არ გაკრთომოდათ. ჩვენი ესკადრონი, როგორც ყოველთვის, სავარჯიშო მოედნისკენ მიემართება. ჯერ დინჯი თქარათქურით მივუყვებით ოღროჩოღრო ქვაფენილს. ჩემი ჯარისკაცები, ჯერაც ნამძინარევნი, წელგაშეშებულნი და მოღუშულები ქანაობენ უნაგირებზე. მალე უკან გვრჩება ოთხი თუ ხუთი ქუჩა. ქალაქი გავიარეთ და განიერ შარაგზაზე მსუბუქ ჩორთზე გადავდივართ, შემდეგ მარჯვნივ ვუხვევთ ფართოდ გაშლილი მდელოებისკენ და ბრძანებას ვაძლევ ჩემს ოცეულს, რომ ნავარდით განვაგრძოთ გზა. ცხენები ერთს დაიფრუტუნებენ და წინ გაიჭრებიან. ჭკვიანი პირუტყვები უკვე იცნობენ ამ განიერ მინდორს; ჯარისკაცებს შეუძლიათ სადავე მიუშვან, მხოლოდ ერთი-ორჯერაა საჭირო ფერდებში ფეხის მიჭერა და მაშინვე რაც ძალი და ღონე აქვთ გაჭენდებიან...

მე წინ მივქრივარ. მიყვარს ჭენება. ვგრძნობ, როგორ მიჩქეფს ამ დროს სისხლი ძარღვებში და ცხოველმყოფელ სითბოდ მეღვრება მოდუნებულ სხეულში, შუბლსა და ღაწვებზე ცივი ქარის ქროლვას ვგრძნობ. მაცოცხლებს დილის ჰაერი. ღამის ცვარ-ნამი ჯერ კიდევ იგრძნობა, გადახნული მიწის ფშვინვაც, აყვავებული ველ-მინდვრების სურნელებაც და ამასთანავე ცხენის დაბერილი ნესტოების თბილი ოხშივარიც გცემს. მუდამ აღტაცებაში მოვყავარ დილით მსგავს ნავარდს როგორ საამოდ აფხიზლებს გაშეშებულ და ნამძინარევ სხეულს, როგორ ერთბაშად ფანტავს უნიათობას, ჯანღივით მძიმედ რომ გაწევს ადამიანს. სიმსუბუქის შეგრძნებისგან უნებლიეთ მევსება მკერდი და პირდაფჩენილი ვეწაფები მოზუზუნე ჰაერს.

ნავარდით, ნავარდით-მეთქი! და აი უკვე შუქი მიდგება თვალებში, უფრო ცოცხლად შევიგრძნობ ყველაფერს, ზურგს უკან კი ხმლების რიტმული წკრიალი მესმის, ცხენების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრუტუნი, უნაგირების ჭრიალი და ფლოქვების თანაბარზომიერი თქარათქური. თითქოს ვეებერთელა კენტავრის სხეული იყოს, ისე ერთად შეკრული მიჰქრის ადამიანთა და ცხენების ჯგუფი, წინ, წინ, წინ, ნავარდით, ნავარდით, ნავარდით! აჰ, ნეტავ, სულ ასე ჭენებით მატარა, თუნდაც ქვეყნიერების კიდემდე! გულში ვამაყობ, რომ სიხარულის მეუფე და შემოქმედი ვარ და დროდადრო უკან ვიხედები მინდა ჩემს

ბიჭებს თვალი შევავლო, და ანაზდეულად ვამჩნევ: უკლებლივ ყველას, ჩემგან განსხვავებული სახეები აქვთ. გულცივი დათრგუნვილობა, სიჩლუნგე, ისევ ძილის მორევში არიან, მაგრამ ხედავენ, რომ მეთაური უყურებთ და მხრებში სწორდებიან და ღიმილს აგებებენ ჩემს გახარებულ მზერას. ცოტაც და თვით ეს გლეხის ტლუ ბიჭებიც გამსჭვალულნი არიან დაუდეგარი სრბოლით მოგვრილი სიხარულით, ლამის ცას ეწიონ! მათაც, ისევე როგორც მე, აღაფრთოვანებს ახალგაზრდობის შეგრძნების, ძალთა დაძაბვისა და განმუხტვის ცხოველური ბედნიერება.

მაგრამ უეცრად ბრძანებას ვიძლევი:

– სდექ! ჩორთით!

ყველანი ერთბაშად ეწევიან სადავეებს. მთელი ოცეული მაგრად დამუხრუჭებულ ავტომანქანასავით ჩერდება და შედარებით დინჯ სვლაზე გადადის. ჩემი ბიჭები, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულები შემომყურებენ... თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა მოსწია ჩემს სადავეს. ჩვენგან მარცხნივ, ცისკიდურზე, კარმიდამოს გალავანი, ბაღი, კოშკის ბანი მოჩანს. ტყვიასავით გამიელვა აზრმა: „ვინ იცის, იქნებ ვინმე გიყურებს იქიდან? სწორედ ის ვიღაც, ვისაც შეურაცხყოფა მიაყენე ცეკვის სიყვარულით და ახლა ჭენების სიყვარულით აყენებ ტკივილს? ის ვიღაც, ვინც ფეხებწართმეული, ფეხებდადამბლავებული ზის და ალბათ გული წყდება, როცა ხედავს, როგორ ჩიტივით მსუბუქად დაქრიხარ?“ ასეა თუ ისე, ერთბაშად სირცხვილი მიპყრობს, რომ ასე საღსალამათი ლაღად და ჟინიანად დავჯირითობ, მრცხვენია ჩემი სიხარულის, როგორც რაღაც დაუმსახურებელი პრივილეგიისა და ნელ-ნელა, მძიმე ჩორთით მიმყავს მდელოზე ჩემი გულგაცრუებული ბიჭები. ამაოდ ელიან ბრძანებას, რომელიც მათ ადრინდელ აღფრთოვანებას დაუბრუნებს.

თუმცა კი იმავ წამს, როდესაც ამ უცნაური გრძნობით ვინუსხები, უკვე ისიც ვიცი, რომ ასეთი თვითგვემა სისულელეა და სრულიად ფუჭი. ვიცი,რომ არავითარი აზრი არა აქვს, სიამოვნებაზე უარის თქმას, რაკი სხვები მოკლებულნი არიან მას. სისულელეა, ბედნიერებაზე ხელი აიღო, რაკი ვიღაც სხვა უბედურია. ვიცი ისიც, რომ ყოველ წამს, იმ დროს, როცა ჩვენ ვიცინით და ან ვოხუნჯობთ, ვიღაც ხრიალებს სარეცელზე და კვდება, რომ ათასობით ფანჯრის მიღმა გაჭირვება იმალება და ადამიანები შიმშილობენ, რომ არსებობს საავადმყოფოები, ქვის სამტვრევები და ქვანახშირის მაღაროები, რომ ფაბრიკებში, კანტორებსა და საპატიმროებში ყოველ საათს უამრავი ადამიანი ეწევა მონური შრომის ჭაპანს და არც ერთ გაჭირვებულს არ შეუმსუბუქდება ხვედრი იმით, რომ კიდევ ერთი განიზრახავს უაზროდ ტანჯვას. და თუ ვინმე დააპირებს ეს ჩემთვის ცხადზე უცხადესია მთელ დედამიწის ზურგზე არსებული სიდუხჭირე წარმოიდგინოს, ძილი გაუკრთება და სიცილი პირზე შეაშრება. გამოგონილი, წარმოსახული უბედურებანი კი არ აღელვებს ადამიანს და მუსრავს მის სულს, მხოლოდ ის არის, რომ ჭეშმარიტად შეგვძრავს ის, რასაც საკუთარი თვალით ცოცხლად და თანაგრძნობით აღვიქვამთ. გახურებული ჭენების დროს მოულოდნელად ისე ახლოს და ხელშესახებად დავინახე ედითის ფერმკრთალი სახე, თითქოს ცხადლივ მენახოს. წარმოვიდგინე, როგორ მიათრევდა ყავარჯნებზე დაყრდნობილ სხეულს კარისკენ, მკაფიოდ გავიგონე

ყავარჯნების ხმა და უძლურ სახსრებზე მიმაგრებული უხილავი სამარჯვების ჩხაკუნი და ღრჭიალი, და თავზარდაცემულმა მაშინვე დაუფიქრებლად, მოვწიე სადავეს. ამაოდ ვეჩიჩინებოდი შემდეგ ჩემს თავს: „აბა, ვის რა არგია, რომ წარმტაცი და აზარტული ნავარდის ნაცვლად ბრიყვული მძიმე ჩორთით მიდიხარ?“ მაგრამ მოულოდნელი დარტყმა, როგორც ჩანს, გულის იმ კუნჭულში ვიგემე, რომელიც სინდისთან ახლოს მდებარეობს: ვაჟკაცობა აღარ მყოფნიდა ჩემი ჯანღონითა და შვებით აღსავსე სხეულით ლაღად დავმტკბარიყავი. ნელა, ზანტად მივჩაკჩაკებთ lisière-მდე, რომელზედაც გადიოდა სავარჯიშო მოედნისკენ მიმავალი გზა: და მხოლოდ მაშინ, როდესაც კეკეშფალვას კოშკიდან უკვე აღარ შეიძლება ჩვენი, მოჯირითეების ხილვა, მხნეობას ვიკრებ და ჩემს თავს ვეუბნები: „სისულელეა! თავიდან ამოიგდე ეს ბრიყვული და სენტიმენტალური აზრები!“ და ბრძანებას ვიძლევი:

– ნავარდით წინ!

აი, სადავის ამ ნაჩქარევი მოწევით დაიწყო ყველაფერი. ეს თითქოს პირველი სიმპტომი იყო თანაგრძნობით მოწამვლისა. ჯერ მხოლოდ ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ რაღაც დამემართა, ანდა მემართებოდა (ამას განიცდის ადამიანი, როცა ავად ხდება და თავდამძიმებული იღვიძებს). მანამდე ჩემი ცხოვრების სარბიელი ერთობ ვიწრო იყო და არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი. მხოლოდ ის იყო ჩემთვის არსებითი, რაც ჩემს მეგობრებს, ანდა უფროსებს მნიშვნელოვნად ან თავშესაქცევად მიაჩნდათ.

განსაკუთრებული ინტერესი არასოდეს გამომიჩენია ვინმესადმი და არც ვინმე დაინტერესებულა ჩემით მაინცდამაინც. ვერ ვიტყვი იმასაც, რომ ოდესმე დიდი სულიერი მღელვარება განმეცადა. ოჯახური საქმეები მოწესრიგებული მქონდა, ჩემი პროფესია და კარიერა მტკიცედ დადგენილი და რეგლამენტირებული, და ის ამბავი, რომ საზრუნავი არ გამაჩნდა (ამას ახლაღა მივხვდი), ჩემს გულს უდარდელს ხდიდა. ახლა კი უეცრად რაღაც მომივიდა, რაღაც დამემართა, მართალია, არაფერი ისეთი, რაც გარეგნულად დამეტყობოდა და ერთი შეხედვით თვალში საცემი იქნებოდა, მაგრამ იმ წამს, როდესაც შეურაცხყოფილი ედითის მრისხანე თვალებმა (ჩემთვის აქამდე უცნობ, ადამიანური ტანჯვის სიღრმეში ჩამახედა) თითქოს რაღაც ზღუდე აღმართა ჩემში და მხურვალე თანაგრძნობამ ნიაღვარივით გადმოხეთქა, წამლეკა. ის საიდუმლოებით მოცული ციებ-ცხელება შემყარა, რომელიც ამოუხსნელი დამრჩა, როგორც სნეულისთვის მისი სნეულება.

სადაც აქამდე აუმღვრევლად მდინარებდა ჩემი ცხოვრება, ახლა ფეხი შემედგა ახალ ეტაპზე, რომელიც, როგორც ყველაფერი ახალი, მაღელვებდა და მაშფოთებდა; გრძნობის უფსკრული პირველად გაიპო და შიგ ჩამითრია და ამ უფსკრულის სიგრძე-სიგანის გაზომვა რატომღაც მიმზიდველად მესახებოდა. ამავე დროს ალღოც მკარნახობდა, რომ უნდა ავყოლოდი ასეთ სახიფათო ცდუნებას. აი, როგორ შეგონებებს ჩამჩიჩინებდა გონება: „კმარა! ბოდიში ხომ მოიხადე. სხვა რაღა გინდა, ბრიყვული ამბიდან სუფთად გამოხვედი“. მაგრამ მეორე ხმა სულ სხვას ამბობდა: „ერთხელ კიდევ წადი! ერთხელ კიდევ განიცადე, ერთხელ კიდევ დაგიაროს ჟრუანტელმა ტანში!“ და მერე ისევ გაფრთხილება: „შეეშვი ყველაფერს! ნუ ჩაერევი ნურაფერში! რა შენი საქმეა! შენისთანა

ალალი ყმაწვილი მანდ ვერაფერს გააწყობს. მაშინდელივით, ვინ იცის, რამდენ სისულელეს ჩაიდენ!“

სრულიად მოულოდნელად ყველაფერი უჩემოდ გადაწყდა, რადგან სამი დღის შემდეგ მაგიდაზე კეკეშფალვას ბარათი დამხვდა: ხომ არ ინებებთ კვირას სადილად მეწვიოთო, იტყობინებოდა, ამჟამად მხოლოდ მამაკაცები იქნებიან და მათ შორის ის პოდპოლკოვნიკი ფონ ფ., რომელიც სამხედრო სამინისტროში მუშაობს და რომლის შესახებაც უკვე გელაპარაკეთო; ჩემი ქალიშვილი და ილონა თქვენი მოსვლით დიდად გაიხარებენო...

არ მრცხვენია ვაღიარო, რომ ამ მიპატიჟებამ მე, მოკრძალებული ყმაწვილი კაცი, სიამაყით ამავსო. მაშ, არ დამივიწყეს! ხოლო პოდპოლკოვნიკი ფონ ფ.-ის სადილად მოწვევა, უთუოდ იმას ნიშნავდა, რომ კეკეშფალვას უნდოდა ჩემთვის სამსახურის ხაზით პროტექციის გაწევა.

და მართლაც, სანანებლად არ დამრჩენია, რომ მაშინვე დავთანხმდი. ნამდვილად საამური საღამო იყო და მე, ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც ხეირიანად ზედაც არავინ მიყურებდა პოლკში, გრძნობა დამეუფლა, რომ განსაკუთრებული, სრულიად უჩვეულო ყურადღებით მეპყრობოდნენ ეს ხანში შესული და წარჩინებული ბატონები. როგორც ჩანდა, კეკეშფალვამ საგანგებო რეკომენდაცია მომცა. ჩემს ცხოვრებაში პირველად მესაუბრებოდა მაღალი წოდების ოფიცერი იმ ქედმაღლობის გარეშე, რომელსაც ჯარში უფროსუმცროსობა განაპირობებს. მან მკითხა, კმაყოფილი ვარ თუ არა პოლკში სამსახურით და როგორ მიდის ჩემი დაწინაურების საქმე; შემდეგ მითხრა, თუ ვენაში ჩამოხვალ, ანდა საერთოდ რამე დაგჭირდება, ნუ მოგერიდება, შემომიარეო. ნოტარიუსმაც (თავმოტვლეპილმა და მხიარულმა კაცმა, რომელსაც მთვარესავით გაბადრული და გულკეთილი სახე ჰქონდა), შინ მიმიპატიჟა; შაქრის ფაბრიკის დირექტორი მეგობრულად მებაასებოდა ხან რას მეტყოდა, ხან რას...

როგორ განსხვავდებოდა აქაური საუბარი ოფიცერთა საკრებულოს საუბრებისგან, სადაც „უმორჩილესად“ უნდა გაგეზიარებინა უფროსის ყოველი აზრი! გულდაჯერება უფრო ადრე მეწვია, ვიდრე მოველოდი, და ნახევარი საათის შემდეგ სრულიად თავისუფლად შემეძლო ყველასთან საუბრის გაბმა.

ორ მსახურს განუწყვეტლივ შემოჰქონდა სულ ახალახალი კერძები, რომელთა არსებობა აქამდე მხოლოდ თუ გამეგონა, ანდა მდიდარი მეგობრების ტრაბახიდან თუ ვიცნობდი: საუცხოო ხიზილალა, ყინულში ჩაციებული (პირველად გავუსინჯე გემო) შვლის ხორცის პაშტეტი, შებრაწული ხოხობი, ნაირნაირი ღვინოები, რომლებიც ნეტარებითა და აღმაფრენით გივსებენ სულს. ვიცი, რომ სისულელეა ასეთი რამეებით აღტაცება, მაგრამ რა არის დასამალი? მე, დაბალი ჩინის ახალგაზრდა ოფიცერი, ნამდვილი ბავშვური პატივმოყვარეობით აღსავსე ვტკბებოდი იმით, რომ ამ ზღაპრულ სუფრაზე და ასეთ წარჩინებულ, დარბაისელ დიდკაცებთან ერთად შევექცეოდი უგემრიელესსა და ჩემთვის აქამდე უცნობ კერძებს. ნეტავ გაასინჯათ იმ ბაქიებს აქაური სადილი, ვისაც მე ვიცნობ! აბა, ერთი ამნაირ ოჯახში მოხვდნენ! ვიცი, რომ პირს დააღებენ და თვალები გადმოცვენაზე ექნებათ! დიახ, ნეტავ დაანახვათ იმ შურის გუდებს, რა მხიარულად

ვატარებ დროს, ნეტავ გააგონათ, როგორ სვამს ჩემს სადღეგრძელოს პოდპოლკოვნიკი, რომელიც სამხედრო სამინისტროში მუშაობს, ან როგორ მეგობრულად ვეკამათები შაქრის ფაბრიკის დირექტორს და შემდეგ ისიც როგორ მეუბნება სრულიად სერიოზულად: „განცვიფრებული ვარ, რა კარგად გცოდნიათ ეს ამბებიო“.

შავი ყავა ბუდუარში მოგვართვეს. ყინულში ჩაციებული კონიაკი სუფრაზე მუცელგამობერილი მაღალი ჭიქებით მოიტანეს, მას მოჰყვა ლიქიორთა მთელი კალეიდოსკოპი და, რასაკვირველია, მდიდრულიარლიყიანი მსხვილი სიგარები. საუბრის დროს კეკეშფალვა ჩემკენ იხრება და ჩუმად მეკითხება, რა მირჩევნია: ქაღალდის თამაში თუ ქალებთან საუბარი. რასაკვირველია, ქალებთან საუბარს ვირჩევ, რადგან აბა, როგორ გავბედავ პოდპოლკოვნიკთან, რომელიც სამხედრო სამინისტროში მუშაობს, რობერი ვითამაშო. თუ მოვუგებ, შეიძლება გაწყრეს, და თუ წავაგებ, ჩემს თვიურ ხელფასს წირვა გამოუვა. და თანაც მახსენდება, რომ საფულეში სულ მცირეოდენი თანხა მიდევს.

ვიდრე მეზობელ ოთახში ქაღალდის სათამაშო მაგიდას შლიან, მე ქალიშვილებთან ვჯდები და საოცარია ღვინის ბრალია, თუ კარგი გუნებისა, რომ ყველაფერი ასე ნირშეცვლილი მესახება? ორივე არაჩვეულებრივად ლამაზი მეჩვენება. ედითი ისეთი ფერმკრთალი და ავადმყოფური არ ჩანს, როგორც უკანასკნელად ვინ იცის, იქნებ წვეულების გამო ცოტაოდენი ფერუმარილი იცხო, ან იქნებ, ხალისიანმა განწყობამ მართლაც შეუფაკლა ლოყები? ასეა თუ ისე, დღეს არ ემჩნევა დაძაბული, ნერვიულად მთრთოლარე ხაზები პირის ირგვლივ და არც წარბების უნებლიე თამაში. გრძელ ვარდისფერ კაბაში გამოწყობილა. არც ბეწვი, არც პლედი არ უფარავს ავადმყოფ ფეხებს. რატომღაც ყველანი საუცხოო ხასიათზე ვართ. ილონა კი, ვეჭვობ, შეჭიკჭიკდა კიდეც, ისე უციმციმებს თვალები, და როცა იცინის, თან ლამაზ, ოდნავ დახრილ მხრებს უკან სწევს, ღმერთმანი, უკან ვიხევ, რომ სულმა არ წამძლიოს და შიშველ მკლავებზე ხელი არ შევახო!

კიდევ გადავკარი კონიაკი და ჯადოსნურმა სითბომ დამიარა მთელ სხეულში; პირში ძვირფასი სიგარა მაქვს გაჩრილი, რომლის კვამლიც ასე სათუთად გიღიტინებს კაცს ცხვირში, ორი სანდომიანი, მხიარული ქალიშვილი მიმშვენებს გვერდს და თანაც ასეთი საუცხოო სადილის შემდეგ თვით ყველაზე ბრიყვსაც კი არ გაუჭირდება ენაწყლიანად საუბარი. ისიც ვიცი, რომ საერთოდ ურიგოდ როდი შემიძლია თხრობა, თუ, რასაკვირველია, ჩემი წყეული მორცხვობა არ მომერია. მაგრამ ამჯერად, განსაკუთრებით კარგად გამომდის ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ის, რითაც მათ ყურადღებას ვიპყრობ, ჩვენს პოლკში მომხდარი პატარა კურიოზული ამბებია. ერთერთი მათგანი, მაგალითად, გასულ კვირას მოხდა. პოლკოვნიკს უნდოდა სასწრაფო წერილი ფოსტის დაკეტვამდე ვენის ჩქარი მატარებლით გაეგზავნა, ამიტომ ერთი ჯარისკაცი გამოიძახა და მკაცრად განუმარტა ეს წერილი დაუყოვნებლივ ვენაში უნდა წავიდესო. და აი, ის ბრიყვიც თავპირისმტვრევით გარბის საჯინიბოში, შეკაზმავს ცხენს, გადის შარაგზაზე და პირდაპირ ვენისკენ მიაჭენებს; კიდევ კარგი, რომ მეზობელ გარნიზონს ტელეფონით შეატყობინეს, თორემ ის გამოთაყვანებული თვრამეტი საათი სულ ჭენებჭენებით

ივლიდა! ამრიგად, ჩემ თავს და არც მათ თავებს ღრმააზროვანი და ბრძნული ამბებით არ ვამძიმებ. მხოლოდ ანეკდოტად ქცეულ ნამდვილ ამბებს ვყვები, თანაც ეს სულელური ისტორიები ქალიშვილებს საოცრად მოსწონთ და ორივენი გაუთავებლად იცინიან. ედითის სიცილი განსაკუთრებით ანცად გაისმის და თუმცა მაღალი, ვერცხლივით წკრიალა ბგერები ზოგჯერ მძაფრ დისკანტში გადადის, მაინც აშკარაა, რომ მისი მხიარულება ნამდვილად სულის სიღრმიდან მოდის, რადგან ფაიფურივით თხელი და გამჭვირვალე კანი ღაწვებზე სულ უფრო და უფრო ევსება სიცოცხლით და სახეზე სიჯანსაღისა და სილამაზის ათინათიც კი დასთამაშებს, ხოლო ნაცრისფერი თვალები, სხვა დროს ფოლადივით ცივი და გამსჭვალავი, ბავშვური სიხარულით უციაგებს. მეტად საამური ყოფილა მისი ყურება იმ დროს, როდესაც აღარ ახსოვს, რომ სხეული ერთ ადგილზე აქვს მიჯაჭვული. ამ დროს მისი მიხრამოხრა უფრო თავისუფალია და მისი ჟესტები კი ლაღი. თამამად ეყრდნობა სავარძლის საზურგეს, იცინის, სვამს, თავისკენ იზიდავს ილონას და ხელს ხვევს;

მართლაცდა, ორივენი ერთობიან ჩემი მონაყოლით. წარმატება მთხრობელს მუდამ აღაფრთოვანებს და მეც სულ ნაირნაირი ნაკვესები მახსენდება, რომლებიც დიდი ხნის წინ მქონდა დავიწყებული. სხვა დროს გაუბედავი და მორცხვი, ახლა დაუცხრომელ კვიმატობას ვიჩენ, ვიღიმი და ვაცინებ ქალიშვილებს. ცელქი ბავშვებივით თავს ვიქცევთ ერთ კუთხეში მიყუჟულნი...

იმ დროს, როდესაც ასე შეუსვენებლად ვოხუნჯობ და კაცს ეგონება, რომ მთლიანად ამ მხიარული მუსაიფით ვარ დაკავებული, ნაწილობრივ აღვიქვამ და ნაწილობრივ კი ქვეცნობიერად ვგრძნობ, რომ ვიღაც მიმზერს და განუწყვეტლივ მადევნებს თვალყურს. და ეს თბილი მზერა ბანქოს სათამაშო მაგიდის მხრიდან მოდის, რომელიც ჩემს ხალისიან განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს. ჩუმჩუმად (ჩემი აზრით, სტუმრების ერიდება), ძალზე ფრთხილად თვალს მოსწყვეტს ხოლმე ბერიკაცი სათამაშო ქაღალდს და ჩვენკენ აპარებს მზერას ირიბად. ერთხელაც, როდესაც მის გამოხედვას ვიჭერ, თავს მიკრავს მოწონების ნიშნად. ვამჩნევ, რომ სახე გაბადრული აქვს, ისევე, როგორც ადამიანს კარგი მუსიკის მოსმენისას.

ასე გრძელდება თითქმის შუაღამემდე... ჩვენი მუსაიფი ერთი წამითაც არ წყდება. კიდევ რაღაც ნუგბარი შემოაქვთ, რომელსაც მარტო მე კი არა, ორივე ქალიშვილიც გემრიელად შეექცევა. ჩემთან ერთად ისინიც სვამენ მშვენიერ, ძველ, მაგარ, შავ ინგლისურ პორტვეინს... დგება გამომშვიდობების დრო. როგორც ძველ მეგობარს, ძვირფასსა და ერთგულს, ისე მიწვდიან ხელს ედითი და ილონა. თან, რასაკვირველია, პირობას მართმევენ, რომ ხვალ, ანდა ზეგ, მაინც ისევ ვესტუმრები მათ. შემდეგ სამ დანარჩენ სტუმართან ერთად ვესტიბიულში გამოვდივარ. ჩვენ ავტომობილი წაგვიყვანს სახლებში.

ვიდრე მსახური პოდპოლკოვნიკს შველის ჩაცმაში, მე თვითონ ვიღებ მოსასხამს და ჩაცმის დროს უეცრად ვგრძნობ, რომ ვიღაცას სურს დამეხმაროს, ეს ბატონი ფონ კეკეშფალვაა, და როდესაც უარის ნიშნად ხელებს ვასავსავებ (როგორ, მე,

ცხვირმოუწმენდავ ახალგაზრდას, ბერიკაცი მომეხმაროს?!), ის მიახლოვდება და ჩურჩულით ამბობს:

– ბატონო ლეიტენანტო! აჰ, ბატონო ლეიტენანტო, თქვენ არ იცით, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა ჩემთვის... ძლივს გაცინებული დავინახე ჩემი გოგო. საწყალს სხვა მეტი რა უნდა უხაროდეს ცხოვრებაში? დღეს თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ადრე, როცა...

ამ დროს პოდპოლკოვნიკიც მოდის ჩვენთან:

– ჰა, მივდივართ? – მეუბნება და მეგობრულად მიღიმის.

კეკეშფალვა, რასაკვირველია, ვერ ბედავს მისი თანდასწრებით საუბრის გაგრძელებას, მაგრამ მოულოდნელად ვგრძნობ, რომ სახელოზე ხელს მისვამს, სულ ოდნავ შესამჩნევად და გაუბედავად, ზუსტად ისე, როგორც ბავშვს ანდა ქალს ეფერებიან. უსაზღვრო სინაზე და მადლობაა ჩაქსოვილი თვით ამ მორიდებული შეხების დაფარვასა და მიჩქმალვაში, თანაც იმდენი ბედნიერება და სასოწარკვეთილება იგრძნობა, რომ გული მიჩუყდება, და ვიდრე სამხედრო წესისამებრ გაჭიმული ბატონ პოდპოლკოვნიკთან ერთად სამსაფეხურიან კიბეზე ვეშვები, ვცდილობ, დავეუფლო თავს და აღელვება არ შემეტყოს...

* * *

იმ ღამეს მაშინვე არ დავწოლილვარ, ისეთი აღელვებული ვიყავი. ერთი შეხედვით, ამის მიზეზი შეიძლება მეტად უმნიშვნელოდ მოგჩვენებოდათ (ვლაპარაკობ იმ მორიდებულ შეხებაზე, თავშეკავებულ ჟესტზე, რომელიც მხურვალე მადლობას გამოხატავდა და რომელმაც ჩემს გულში ყველაზე შორეული, იდუმალი კუნჭულიც ძლიერ ააჩქროლა). დიახ, ამ საოცარ შეხებაში ისეთი მხურვალე, მაგრამ ამავე დროს ისეთი სათნო და გულწრფელი სინაზე შევიცანი, როგორსაც ქალშიც კი არ შევხვედრივარ. ჩემს სიცოცხლეში პირველად დავჭირდი ვიღაცას და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა! მე, მორცხვ ჭაბუკს, უბრალო ოფიცერს, თურმე შემძლებია ვიღაცის გაბედნიერება! იმისათვის, რომ ავხსნა ეს აღტყინება, რომელშიც ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ მომიყვანა, უნდა გავიხსენო, როგორ მძიმე ლოდად მაწვა პატარაობიდანვე იმის შეგნება, რომ ყველასთვის ზედმეტი ვიყავი, არავის ვაინტერესებდი, ყველა გულგრილი იყო ჩემ მიმართ... კადეტთა კორპუსში, სამხედრო სასწავლებელში, არაფრით გამოვირჩეოდი. არც რჩეულებს ვეკუთვნოდიდა არც განსაკუთრებული პრივილეგიების მქონეთა რიცხვს. არც პოლკში იყო უკეთ საქმე. ეჭვიც არ მეპარებოდა, უეცრად რომ გავმქრალიყავი, ვთქვათ, ცხენიდან გადმოვვარდნილიყავი და კისერი მომეტეხა, მეგობრები იტყოდნენ: ეს უბედურიო, მაგრამ ერთ თვეში აღარავის გავახსენდებოდი, ჩემს ადგილზე სხვას დანიშნავდნენ, ჩემს ცხენზე სხვა შეჯდებოდა და ის „სხვა“ ალბათ ჩემზე ურიგოდ არ შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ქალებშიც ზუსტად ისეთივე ბედი მქონდა, როგორიც მეგობრებში. მხედველობაში მყავს ის ორი ქალიშვილი, რომლებთანაც თითქოს რაღაც ურთიერთობა ავაწყვე, წინა ორ გარნიზონში

ყოფნის დროს: იაროსლავიცში კბილის ექიმის ასისტენტთან და ვინერნოიშტატში მკერავ გოგოსთან. ისე მოხდა, რომ მკერავი გოგონა თითქოს შემიყვარდა კიდეც. ჩვენ ერთად ვატარებდით საღამოებს, ხოლო თუ თავისუფალი დრო ჰქონდა, არც დღისით ვტოვებდით ერთმანეთს. მახსოვს, დაბადების დღეზე მარჯნის მძივი ვაჩუქე და, სწორედ მაშინ გამოვუტყდით სიყვარულში ერთმანეთს. მაგრამ როდესაც სხვა ადგილზე გადამიყვანეს, ერთმაც და მეორემაც ადვილად ავიტანეთ უერთმანეთობა; პირველ სამ თვეს კი ვწერდით დროდადრო ერთმანეთს წერილებს, ვალს ვიხდიდით, მერე კი ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა... მაგრამ აი, უკვე ოცდახუთი წლის ვიყავი და ძლიერ, მგზნებარე გრძნობას აქამდე ჯერ ერთხელაც არ გავუტაცივარ. ცხოვრებისგან არსებითად დიდს არაფერს ვითხოვდი. ჩემი მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ პოლკში პირნათლად მემსახურა და არავითარ შემთხვევაში თვალში უსიამოდ არ მოვხვედროდი ვინმეს. მაგრამ აი, მოხდა რაღაც სასწაული და მე ცნობისმოყვარეობით ვადევნებ თვალყურს საკუთარ თავს. როგორ? ნუთუ მეც, უბრალო ყმაწვილ კაცს, გავლენა მაქვს სხვა ადამიანებზე? მე, რომელმაც გულზე ხელი რომ დავიდო, იმასაც ვერ ვიტყვი, ორმოცდაათი კრონის ქონება მაბადია-მეთქი, შემიძლია მდიდარს იმაზე მეტი ბედნიერება მივანიჭო, ვიდრე თავისი წრის ადამიანებმა და მეგობრებმა? მე, ლეიტენანტმა ჰოფმილერმა შევძელი ვიღაცისთვის შემწეობა აღმომეჩინა და ვიღაც მენუგეშებინა? ნუთუ საკმარისია, ერთი ან ორი საღამო ვიჯდე ფეხებწართმეული, სევდიანი ქალიშვილის გვერდით, ვესაუბრო და ამით მას სიამოვნება მივანიჭო, მის სახეს კი სიცოცხლე მოეფინოს და მთელი მწუხარე სახლი გამხიარულდეს?

აღელვებისგან ისე სწრაფად მივუყვები ბნელ შუკებს, რომ სულს ვეღარ ვითქვამ, დამცხა საშინლად. მინდა მოსასხამი შევიხსნა. გული ლამის საგულედან ამომვარდეს, რადგან ერთი საკვირველება მოულოდნელად მეორემ, ახალმა, კიდევ უფრო დამათრობელმა შეცვალა. სახელდობრ, იმან განმაცვიფრა, რომ ასე იოლად, საოცრად იოლად დავუმეგობრდი ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებს. საამისო განა რა გავაკეთე? იოტისოდენა თანაგრძნობა გამოვიჩინე: ორი საღამო, ორი საამური, მხიარული, აღმაფრთოვანებელი საღამო გავატარე მათთან და ეს საკმარისი აღმოჩნდა!.. მივხვდი, რა სისულელეა ყოველდღე მთელი თავისუფალი დრო კაფეში ყურყუტს დაუთმო ან მოსაწყენ ადამიანებთან გონებადაფანტულად ქაღალდი ითამაშო. ამიერიდან ასე აღარ გამოვითაყვანებ თავს, ასე უქმად აღარ გავფლანგავ დროს!.. სულ უფრო და უფრო გამალებით მივაბიჯებ ზაფხულის ღამეში და ახალგაზრდა, ესეს არის თვალახელილი ადამიანის ჭეშმარიტი აღტყინებით ვიღებ გადაწყვეტილებას: ამიერიდან უნდა გარდავქმნა ჩემი ცხოვრება! კაფეში ასე ხშირად აღარ ვივლი, ბილიარდისა და ქაღალდის თამაშს შევეშვები, წესს ავუგებ დროის მოკვლის ბრიყვულ ჩვეულებას, რომელიც არავის არგია, მე კი ვყეყეჩდები. ის სჯობს, ეს ავადმყოფი ქალიშვილი მოვინახულო ხშირად და მისვლის წინ საგანგებოდაც კი მოვემზადო, რომ მას და ილონას მუდამ რაიმე საამური, მხიარულო ამბები მოვუთხრო; ჭადრაკს ვითამაშებთ ხოლმე, ანდა სხვა რამით შევიქცევთ თავს; ჯერ მარტო განზრახვასაც კი, რომ სხვას უნდა დავეხმარო, აღტაცებაში მოვყავარ. ისეთი აღფრთოვანებული ვარ, მინდა ვიმღერო ან რაიმე სისულელე

ჩავიდინო; მხოლოდ მაშინ გრძნობ შენი არსებობის აზრსა და მოწოდებას, როდესაც იცი, რომ სხვებისთვისაც რაღაცას წარმოადგენ.

* * *

აი, ამნაირად და მხოლოდ ამნაირად მოხდა, რომ მომდევნო კვირებში სადილობის შემდგომ დროსა და მეტწილად საღამოებსაც კეკეშფალვას ოჯახში ვატარებდი; მალე ეს მეგობრული ვიზიტები ჩვეულებად იქცა და თანაც არცთუ არასახიფათო აღვირახსნილობადაც. სამაგიეროდ, რა დიდი ცდუნება იყო ყმაწვილკაცისთვის, რომელსაც სიყრმიდანვე ერთი სამხედრო დაწესებულებიდან მეორეში გადაისვრიდნენ, ყაზარმის ცივი კედლებისა და ოფიცერთა გამჭვარტლული საკრებულოების შემდეგ, მოულოდნელად მშობლიური კერისა და ნავსაყუდელის პოვნა!.. სამსახურს მოვრჩებოდი თუ არა, ხუთის ნახევარზე ანდა ხუთზე, მათკენ მივეშურებოდი. ხეირიანად ვერც ვასწრებდი სარეკელას ჩამოწევას, რომ სახეგაბრწყინებული მსახური მიღებდა კარს, თითქოს ჩემი მოსვლა რომელიღაც ჯადოსნური სათვალთვალოდან შეენიშნოს. აქ ყველაფერი მოწმობდა იმას, რომ ყველას ვუყვარდი და ოჯახის წევრივით მეპყრობოდნენ. ყოველ ჩემს მცირე სისულელესა და ხუშტურს მალულად ქომაგობდნენ: ჩემი საყვარელი სიგარეტები მუდამ უხვად ჰქონდათ მომარაგებული; წინა დღით რომელიმე ახალ წიგნზე თუნდაც შემთხვევით რომ მეთქვა, სიამოვნებით წავიკითხავდი-მეთქი, მეორე დღეს, ვითომც არაფერიო, მზრუნველი ხელით დადებული პატარა ტაბურეტზე დამხვდებოდა ხოლმე; ედითის შეზლონგის პირდაპირ მდგარი სავარძელი უცილობლად „ჩემად“ ითვლებოდა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წვრილმანია, თავისთავად არაფერია, მაგრამ უცხო სახლს მშობლიური კერის ცხოველმყოფელი სითბოთი ავსებს და შეუმჩნევლად გახარებს და გამხნევებს. ამიტომ აქ ბევრად უფრო გულდაჯერებული ვიყავი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ ჩემი მეგობრების წრეში, ვმუსაიფობდი, ვოხუნჯობდი, როგორც ჩემს სულსა და გულს ეპრიანებოდა. პირველად მაშინ მივხვდი, რომ როდესაც რამე გზღუდავს, სულერთია, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს ეს, მაშინ შენი სულიერი სამყაროც შებოჭილია და არსებითაც ადამიანი მთლიანად მხოლოდ მაშინ ავლენს თავის რაობას, როდესაც ლაღად გრძნობს თავს.

მაგრამ იყო კიდევ ერთი, უფრო იდუმალი მიზეზი, რომელსაც ქვეცნობიერად შეჰქონდა თავისი წვლილი იმაში, რომ ქალიშვილებთან ყოველდღე ერთად ყოფნა ასე ფრთებს მასხამდა. მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ ბავშვი, კადეტთა კორპუსში მიმაბარეს, ესე იგი, ათი, თხუთმეტი წლის განმავლობაში, სულ ერთთავად მამაკაცთა გარემოცვაში მიწევდა ცხოვრება გათენებიდან დაღამებამდე და დაღამებიდან გათენებამდე სამხედრო სასწავლებლის საძილე დარბაზში, მანევრების დროს, კარვებში, ყაზარმებში, ჭამისა და ლაშქრობის ჟამს, მანეჟსა თუ საკლასო ოთახებში, ყველგან და ყოველთვის მამაკაცთა სურნელით გაჟღენთილი ჰაერით მიხდებოდა სუნთქვა: ჯერ ბიჭები იყვნენ ჩემ ირგვლივ, შემდეგ მოწიფული ჭაბუკები, მაგრამ ყოველთვის მამაკაცები. მე მივეჩვიე მათ

ენერგიულ მიხრა-მოხრას, მტკიცე, ხმაურიან ნაბიჯს, ბოხ ხმას, თამბაქოს სუნს, უცერემონიობას და ზოგჯერ უხამსობასაც კი. რა თქმა უნდა, მეგობრების უმეტესობა გულწრფელად მიყვარდა და, ჭეშმარიტად, ვერც იმას დავიჩივლებდი, რომ ისინიც ასევე გულითადად არ იყვნენ ჩემდამი განწყობილნი, მაგრამ ამ ატმოსფეროს აღფრთოვანება აკლდა, თითქოს საკმაო ოზონს არ შეიცავდა, სიმძაფრე, ეშხი და გზნება არ გააჩნდა. ჩვენი შესანიშნავი სამხედრო ორკესტრის დარად, რომელიც სანიმუშო რიტმისა და ჟღერადობის მიუხედავად, მარტოოდენ მკვახე, დაქუცმაცებულ და მხოლოდ ტაქტზე აგებულ სასულე მუსიკად რჩებოდა, რადგან ნაზ ვიოლინოთა მგრძნობიარე ჰანგები არ ისმოდა, ჩვენი ამფსონობის თვით ყველაზე მხიარული საათებიც კი მოკლებული იყო ამ უფაქიზეს არომატს, რომელიც ქალს შეაქვს ყოველ საზოგადოებაში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თოთხმეტი წლის ბიჭები, კადეტთა კოხტად შეკერილ მუნდირებში გამოჯგიმულნი, ორ-ორი დავეხეტებოდით ხოლმე ქალაქში და ვხედავდით, რა არხეინად ემუსაიფებოდნენ და ეარშიყებოდნენ გოგონებს სხვა ყმაწვილები, ქვეცნობიერი გულისტკივილით ვგრძნობდი, რომ ბერებივით ყაზარმაში ჩაკეტილთ რაღაც ისეთი წაგვერთვა უმოწყალოდ ჩვენი სიყმაწვილიდან, რითაც ჩვენი ტოლები ყოველდღე ტკბებოდნენ, როგორც სრულიად ჩვეულებრივი და თავისთავად გასაგები რამით, ქუჩაში იქნებოდა ეს თუ პარკში, საციგურაო მოედანზე თუ საცეკვაო დარბაზში ნორჩ გოგონებთან ლაღი ურთიერთობით. ჩვენ კი, ჩაკეტილგამომწყვდეულნი, ამ მოკლეკაბიან ელფებს ისე შევცქეროდით, როგორც ჯადოსნურ ქმნილებებს, და მათთან დალაპარაკებაზეც კი ისე ვოცნებობდით, როგორც რაღაც მიუწვდომელზე. ასეთი შეზღუდვა უკვალოდ არ ქრება, უფრო გვიანდელი სახელდახელო და მეტწილად იაფფასიანი შეხვედრები იოლად დამყოლ ქალებთან ვერავითარ შემთხვევაში ვერ აანაზღაურებდა იმას, რაც სიყმაწვილის სენტიმენტალურ ოცნებათა პერიოდში მაკლდა. იმის მიხედვით, თუ რა მოუქნელად და მორცხვად მეჭირა თავი, როგორც კი საზოგადოებაში ქალიშვილის გვერდით აღმოვჩნდებოდი (თუმცა უნდა ვაღიარო, რომ თორმეტიოდე ქალთან მაინც მქონდა ურთიერთობა), ვგრძნობდი, რომ მიამიტი და ბუნებრივი ძალდაუტანებლობა სამუდამოდ შერყვნილი და დაკარგული მქონდა.

და აი, მოხდა ისე, რომ ვაჟის არაცნობიერი მისწრაფება განეცადა, როგორია ყმაწვილ ქალებთან მეგობრობა ნაცვლად ულვაშიან, გაუთლელ ყმაწვილკაცებთან, ანაზდად განხორციელდა და თანაც ისე, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი! ყოველდღე, ნასადილევს გასპეტაკებული ვიჯექი ორ ქალიშვილს შორის; მათი წკრიალა ქალური ხმები ჭეშმარიტ სიამოვნებას მანიჭებდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი ასეთი ბედნიერი. ვერ აგიწერთ, როგორ ვტკბებოდი მათთან ყოფნით და თან აღარც კი მახსოვდა, მორცხვობა რა იყო. ჩვენი საუბარი, რომელიც საათობით გრძელდებოდა, მთლიანად თავისუფალი იყო იმ წვისა და დაგვისგან, რაც მუდამ ასე სახიფათოს ხდის ტêტე àტêტე ს ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად საამურად მაღელვებდა ილონას მსხვილი ვნებიანი ტუჩები, სავსე მკლავები და მარადიული გზნება, მის სათუთ მიხრამოხრაში რომ გამოსჭვიოდა. ბევრჯერ მთელი ნებისყოფის დაძაბვა დამჭირვებია, რათა ხელი არ წამეტანებინა ამ შავი

და მოცინარი თვალებით შემკული თბილი და ფაფუკი არსებისთვის, არ მომეზიდა და მაგრად არ დამეკოცნა. მაგრამ, ჯერ ერთი, ილონამ ჩვენი გაცნობის პირველ დღეებშივე გამანდო, უკვე ორი წელია, რაც ბეჩკერეტელ ნოტარიუსის თანაშემწეზე ვარ დანიშნული და მხოლოდ ედითის გამოჯანმრთელებას ანდა მდგომარეობის გაუმჯობესებას ველოდები, რომ ჯვარი დავიწეროო (მივხვდი, რომ კეკეშფალვამ ღარიბ ნათესავს მზითვი აღუთქვა, თუ მანამდე გადადებდა გათხოვებას. მეორეც, რა ულმობლობა, რა ვერაგობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან, რომ ამ გულისამაჩუყებელ, საგორავებიან სავარძელზე უძლურად მიჯაჭვული ქალიშვილის ზურგს უკან ხვევნა-კოცნა გაგვეჩაღებინა). ასე რომ, ვნება, რომელსაც ილონა დასაწყისში მიღვიძებდა, სულ მალე გაქრა და მთელი ჩემი გულისთქმა, მთელი ჩემი გრძნობები ედითს დაეთმო, უმწეოსა და ბედისგან დაჩაგრულს, რადგან გრძნობათა იდუმალებით მოცულ ქიმიაში სნეულისადმი თანაგრძნობა შეუმჩნევლად აუცილებლად გადაეჯაჭვება ხოლმე სინაზეს. ფეხებდადამბლავებულის გვერდით ზიხარ, საუბრით ართობ, ხედავ, როგორ უბადრავს ღიმილი ფერმკრთალ სახეს, ანდა ზოგჯერ, როდესაც, უგუნებობას აყოლილს, მოუთმენლობა იპყრობს და მზად არის აენთოს, ხელის ერთი შეხებით აშოშმინებ და პასუხად ნაცრისფერი თვალების დარცხვენილ და მადლიერ მზერას იღებ... უსუსურ, უძლურ ქალიშვილთან ამგვარი სულიერი მეგობრობის ოდნავ შესამჩნევი გამოვლინებები ისეთ სიამეს მგვრიდა, როგორსაც მის ნათესავ ქალიშვილთან ვნებიანი გამიჯნურება ვერ მაგრძნობინებდა, და სულის ამ იდუმალი ჩქროლვის წყალობით რამდენი რამ შევიცანი ამ ორიოდე დღეში! გრძნობის აქამდე სრულიად უცნობი წარმოუდგენლად უფრო ფაქიზი სამყარო აღმოვაჩინე. გრძნობის უცნობი და უფრო ფაქიზი სამყარო, მაგრამ დიახაც უფრო სახიფათოც! ვინაიდან, ამაოა მთელი რუდუნება და სიფრთხილე: არა და არ შეიძლება ხანგრძლივად სრულ წონასწორობაში დარჩეს ურთიერთობა ჯანმრთელსა და ავადმყოფს შორის, თავისუფალსა და ტყვეს შორის. უბედური ადამიანი იოლად ღიზიანდება, ხოლო გაუთავებელი ტანჯვა უსამართლოს ხდის მას. ზუსტად ისევე, როგორც ვალის გამცემსა და ამღებს შორის ვერ აღმოფხვრი საჩოთირო დამოკიდებულებას, რადგან ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად გამცემის როლი უწერია, მეორეს კი მხოლოდ მიმღებისა. ასევეა ავადმყოფიც ყოველთვის დაძაბულია და მზად არის აენთოს ზრუნვის ყოველ თვალში საცემ გამოვლენაზე. ერთთავად ფხიზლად უნდა იყო, რომ ძნელად გასარჩევ მიჯნას არ გადააბიჯო, საიდანაც თანაგრძნობა, ნაცვლად იმისა, რომ გააყუჩოს, უფრო აღვიძებს იარებს. ედითი, ერთი მხრივ, მეტისმეტი განებივრების გამო, მოითხოვდა, რომ ყველანი ისე მომსახურებოდნენ, როგორც პრინცესას და ბავშვივით მოჰფერებოდნენ, მაგრამ მეორე წუთში ამგვარ მოპყრობას შეეძლო სასტიკად გაეღიზიანებინა, რადგან იგი კიდევ უფრო მკვეთრად განაცდევინებდა საკუთარ უმწეობას. ვთქვათ, მაგიდას ახლო მიუჩოჩებდა ვინმე, რომ ზედმეტად არ შეწუხებულიყო და წიგნს ან ფინჯანს იოლად მისწვდომოდა, ედითი რისხვით ანთებული თვალებით შეუტევდა: „როგორ გგონიათ, მე თვითონ ვერ ავიღებ, რაც მჭირდება?“ და როგორც გალიაში ჩამწყვდეული მხეცი, ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ეცემა თავის დარაჯს, რომელსაც ჩვეულებრივ ელაქუცება ხოლმე,

ფეხებწართმეულ ქალიშვილსაც დროდადრო ბოროტ სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ჩვენს უღრუბლო განწყობას ხელის ერთი მოსმით დაარღვევდა და თავის თავს „საბრალო გონჯს“ უწოდებდა. ამგვარ დაძაბულ წუთებში მართლაც მთელი ძალების მოკრება იყო საჭირო, რომ საყვედური არ დაგცდენოდა მისი აგრესიული უგუნებობის გამო, რაც, რასაკვირველია, არ იქნებოდა სამართლიანი.

მაგრამ ჩემდა გასაოცრად, საამისოდ ყოველთვის მყოფნიდა ძალა. თუ ერთხელ ჩასწვდი ადამიანის ბუნებას, რაღაც საიდუმლოებრივი კანონზომიერებით სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს ახდენ, და თუ მომადლებული გაქვს იმის უნარი, რომ ამქვეყნად სხვისი ტანჯვა-ვაება ერთხელ მაინც ჭეშმარიტად განიცადო, მაშინ ამ მაგიური გაკვეთილის შემდეგ უკვე ყოველგვარ უბედურებას შეგიძლია ჩასწვდე, ერთი შეხედვით, თვით ყველაზე უცნაური და აბსურდულიც რომ იყოს. ასე რომ, შეცდომაში არ შევყავდი ედითის ანჩხლ გამოხდომებს; პირიქით, რაც უფრო უსამართლო და მტკივნეული იყო ეს შეტევები, მით უფრო თავზარი მეცემოდა. თანდათან იმასაც მივხვდი, რატომ იყო ჩემი მისვლა მამამისისა და ილონასთვის ასე სასურველი, რატომ ახარებდა მთელ სახლს ჩემი იქ ყოფნა. ხანგრძლივი ტანჯვა მხოლოდ ავადმყოფს კი არ ქანცავს, სხვათა თანაგრძნობასაც ფიტავს. ძლიერი განცდა არ შეიძლება უსაზღვროდ გაგრძელდეს. რაღა თქმა უნდა, მამასაც და ნათესავ ქალიშვილსაც სულითა და გულით ეცოდებოდათ უბედური, მაგრამ მათ სიბრალულში დაღლა და ბედთან შერიგება იგრძნობოდა. მის ავადმყოფობას, როგორც ფაქტს, ისე აღიქვამდნენ: რას იზამ, ავადმყოფი ავადმყოფია, ფეხებწართმეული ფეხებწართმეული, და ყოველთვის თვალებდახრილნ ელოდებოდნენ, სანამ ხანმოკლე ჭექა-ქუხილი გაივლიდა და ედითი ნერვებს დაიწყნარებდა. მათ უკვე ისე აღარ აფრთხობდათ ეს ამბავი, როგორც მე. ერთადერთი მე ვიყავი, რომელსაც მისი ტანჯვა-წამება განუწყვეტლივ სცემდა თავზარს, და მალე ასევე ის ერთადერთი გავხდი, ვის წინაშეც მას თავისი თავშეუკავებლობისა რცხვენოდა. როდესაც წონასწორობას დაკარგავდა და თავს ვეღარ იმაგრებდა, საკმარისი იყო დაყვავებით მეთქვა რამე, თუნდაც: „კარგი, მაგრამ, ძვირფასო ფროილან ედით“... – მაშინვე მორჩილად დაბლა დახრიდა ნაცრისფერ თვალებს, გაწითლდებოდა და სიამოვნებით გაიქცეოდა, სადმე დაიმალებოდა, უძლური ფეხებით ერთ ადგილზე რომ არ ყოფილიყო მიჯაჭვული. ისე ერთხელაც არ წამოვსულვარ, რომ გამოთხოვებისას ჟრუანტელის მომგვრელი კილოთი არ შემვედრებოდა: „ხვალ ისევ მოხვალთ? ნაწყენი ხომ არ ხართ ჩემზე?“ უსაზღვროდ მიკვირდა და ვერაფრით ამეხსნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი თანაგრძნობის გამო ამდენი ძალაუფლება მქონდა ამ ადამიანებზე.

მაგრამ მაინც ასეთია ახალგაზრდობა! რასაც პირველად შეიმეცნებ, ის თავდავიწყებამდე გიტაცებს, და თუკი ერთხელ განიმსჭვალე რაიმე გრძნობით, ზომა და წონა აღარ იცი. რაღაც უცნაურად გამოვიცვალე, როგორც კი აღმოვაჩინე, რომ ჩემი თანაგრძნობა არა მხოლოდ მე მიჩქროლებდა გულს, არამედ ირგვლივმყოფებზეც კეთილად მოქმედებდა. მას შემდეგ, რაც პირველად აღვიქვი, რომ თანაგრძნობის უნარი გამაჩნდა, ასე მეგონა, თითქოს ჩემს სისხლში რაღაც ნივთიერება შემოიჭრა და უფრო მხურვალე და წითელი, უფრო სწრაფი და მჩქეფარე გახადა. ერთბაშად სადღაც გაქრა ის სულიერი აპათია,

რომელშიც აქამდე ისე ვცხოვრობდი, როგორც უღიმღამო და ინერტული ბინდით მოცული. ასობით წვრილმანი, უწინ ყურადღებას რომ არ ვაქცევდი, ახლა მაღელვებდა და მიტაცებდა. ყველგან ვამჩნევდი საინტერესო, გულისამაჩუყებელ და განსაცვიფრებელ დეტალებს, თითქოს ტანჯვაში პირველად ჩახედვის შედეგად ჩემმა მზერამ გამჭრიახობა და სიბრძნე შეიძინაო. ხოლო, რადგან მთელი მსოფლიო, ყველა ქუჩა, ყველა სახლი ბედუკუღმართობითა და სიდუხჭირითაა წალეკილი, ამიერიდან დღენიადაგ დაუცხრომელი დაკვირვებით ვიყავი გართული. ასე, მაგალითად, ცხენების გახედვნის დროს ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ უკვე აღარ შემეძლო მთელი ძალით გადამეჭირა ცხენისთვის გავაზე მათრახი, დანაშაულად მიმაჩნდა, რომ ტკივილს ვაყენებდი პირუტყვს, თითქოს ჩემს საკუთარ კანზე ვგრძნობდი ამ ტკივილს. ანდა, როცა ჩვენი ჭირვეული როტმისტრი რომელიმე რიგით ჯარისკაცს, აქაოდა, მოსართავები ცუდად მოგიჭერიაო, სახეში ჩასცხებდა მუშტს, ხოლო საცოდავი ყმაწვილი გაჭიმული იდგა სმენაზე და ვერ განძრეულიყო, უნებლიეთ ხელებს ვკუმშავდი რისხვისგან. ირგვლივ მდგომი ჯარისკაცები მდუმარედ მისჩერებოდნენ ანდა ბრიყვულად ეცინებოდათ ჩუმჩუმად და მე, მხოლოდ მე ვხედავდი, როგორ მოადგა ცრემლი ტლუ ბიჭს სირცხვილისგან დახრილ თვალებზე. ნერვებს მიშლიდა ის დამოკიდებულება, რაც ოფიცერთა საკრებულოში დამკვიდრებულიყო. უკვე ვეღარ ვიტანდი, როდესაც მასხრად იგდებდნენ მოუქნელ ან ხელმოცარულ მეგობრებს. მას შემდეგ, რაც ამ უმწეო და უსუსური ქალიშვილის მაგალითზე მივხვდი, რა იყო უძლურის ტანჯვა, ულმობლობა მუდამ ჩემს რისხვას იწვევს, ხოლო უმწეობა თანაგრძნობასა და თანადგომას. ურიცხვი წვრილმანი ამბავი, რასაც აქამდე ყურადღებას არ ვაქცევდი, ახლა აღარ შეიძლებოდა გამომრჩენოდა, ეს, მას შემდეგ, რაც შემთხვევამ თანაგრძნობის მხურვალე ცვარი ჩამიწვეთა გულში, ათასგვარი მარტივი, უბრალო ამბავი, და ყოველი მათგანი მაღელვებდა და მაფორიაქებდა. მაგალითად, უეცრად ვამჩნევ, რომ თამბაქოთი მოვაჭრე დედაკაცს, ვისგანაც ვყიდულობ მუდამ სიგარეტს, ერთობ ახლოს მიაქვს ფული ამოზნექილმინებიანი სათვალით შეიარაღებულ თვალებთან, და მაშინვე შეშფოთებული ვფიქრობ, კატარაქტი არ დაემართოს, ხვალ ფრთხილად გამოვკითხავ და იქნებ პოლკის ექიმი გოლდბაუმიც დავიყოლიო, რომ გასინჯოს-მეთქი. ანდა, ერთბაშად ვხედავ, რომ ნებით განწესებულები ბოლო ხანებში პატარა წითურ კ-ს აშკარად სახეს არიდებენ, და მაშინვე ვხვდები, რატომ: გაზეთში ეწერა (რა ამ საბრალო ყმაწვილის ბრალია!), რომ მისი ბიძა თითლიბაზობისთვის დააპატიმრეს. სადილის დროს განგებ მის გვერდით ვჯდები და დიდხანს ვესაუბრები. მადლიერ მზერაზე ვატყობ, რომ მიმიხვდა: ამას იმიტომ ვაკეთებ, სხვებს რომ დავანახვო, რა უსამართლოდ და უხამსად ექცევიან მეგობარს. ყოველდღე უამრავ საბაბს ვპოულობ, რომ ჩემთვის ასე მოულოდნელად აღმოჩენილი სიხარული ისევ და ისევ განვიცადო. და სიტყვას ვაძლევ საკუთარ თავს: ამიერიდან, სადაც უნდა იყოს და ვინც უნდა იყოს, რაც შემეძლება, ყველას დავეხმარები-მეთქი! მინდა სიზანტემ და გულგრილობამ არ დამძლიოს! საკუთარ თავზე ავმაღლდე, გავიმდიდრო სული და სხვებსაც გავუზიარო ყოველივე, სხვათა ხვედრით გავიმსჭვალო, მათ ტანჯვავაებას თანაგრძნობით ჩავწვდე და ვძლიო. ჩემს გულს თვითონვე აკვირვებს

თავისი ამბავი და ავადმყოფი ქალიშვილისადმი, რომელსაც უნებლიეთ ვაწყენინე, და რომლის უბედურებამაც თანაგრძნობის შემოქმედებითი მაგია მასწავლა, მადლიერებით გამსჭვალული ფეთქავს.

* * *

მაგრამ ამ რომანტიკული ზმანებებიდან სულ მალე გამოვფხიზლდი და თანაც ისე, თითქოს ცივი წყალი გადამასხესო. აი, როგორ მოხდა ეს. იმ საღამოს დომინოს ვთამაშობდით, შემდეგ დიდხანს ვსაუბრობდით და ისე გავერთეთ, რომ დრო ისე გავიდა, არც ერთს არ შეგვინიშნავს. ბოლოს, თორმეტის ნახევარზე, შეშინებული საათზე ვიხედები და სასწრაფოდ ვემშვიდობები მასპინძლებს. მაგრამ უკვე ვესტიბიულში, სადაც მამამისი მიმაცილებს, ზუზუნი და ბუბუნი გვესმის, ამასთან ერთად, კოკისპირულ წვიმას რაკა-რუკი გაუდის სადარბაზო შესასვლელის საჩრდილობელზე.

– ავტომობილი წაგიყვანთ, – მამშვიდებს კეკეშფალვა.

მე უარზე ვარ. საჭირო არ არის-მეთქი, ვეუბნები. მძღოლი მეცოდება. ჩემ გამო ამ შუაღამისას ხელახლა უნდა გამოეწყოს და მანქანა ავტოფარეხიდან გამოიყვანოს (ასეთი სათუთი და მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანებისადმი ახალი ამბავია ჩემთვის და სულ რამდენიმე კვირაა, რაც დამჩემდა). მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისიც ძალზე სანუკვარია, რომ ამ უკუღმართ ამინდში, როცა ძაღლიც კი არ გაიგდება გარეთ, ფაფუკად ჩაჯდე კარგ ზამბარებიან კაბინაში და არხეინად გაქროლდე შინისკენ, ნაცვლად იმისა, რომ ლაკის თხელი შტიბლეტების ამარა ნახევარი საათი ჭყაპაჭყუპით იარო ტალახიან გზაზე და თავიდან ბოლომდე გაილუმპო. ასე რომ, ვთანხმდები. ბერიკაცი აინუნშიც არ აგდებს წვიმას, მიუხედავად ჩემი პროტესტისა, ავტომობილამდე მაცილებს და თვითონ მაფარებს პლედს მუხლებზე. აი, მძღოლმაც მომართა ძრავა, მანქანა ადგილს მოსწყდა და შინისკენ მივქრივარ ავდარში.

რა საამურია, როდესაც მყუდროდ ზიხარ ავტომობილში, ის კი უხმოდ მისრიალებს. მაგრამ, აი, უკვე ყაზარმისკენ ვუხვევთ საოცრად სწრაფად გაილია გზა და მინაზე ვუკაკუნებ მძღოლს, ვთხოვ ქალაქის სამმართველოს წინ, მოედანზე გააჩეროს, რადგან არ მინდა კეკეშფალვას ელეგანტური ლიმუზინით ყაზარმამდე მისვლა! ვიცი, არავის ეამება, რომ უბრალო ლეიტენანტი ჰერცოგივით ასეთი ზღაპრული ავტომობილით მიგრიალდეს და თანაც ლივრეაში გამოწყობილმა მძღოლმა გაუღოს კარი. ასეთ ყოყლოჩინობას ჩვენი უფროსები ალმაცერად უყურებენ. თანაც ალღო დიდი ხანია მკარნახობს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ავრიო ერთმანეთში ეს ჩემი ორი სამყარო. ფუფუნებისა – კეკეშფალვას სახლში, სადაც თავისუფალი კაცი ვარ, დამოუკიდებელი, განებივრებული, და მეორე – სამსახურისა, სადაც უსიტყვოდ უნდა დავემორჩილო უფროსებს, სადაც მე, ღარიბ-ღატაკი მოხელე ვარ. არაცნობიერად ერთ ჩემს „მეს“ არაფერი სურს იცოდეს მეორეზე; ზოგჯერ თვითონაც ვეღარ გამირჩევია, ვინ არის ნამდვილი ტონი ჰოფმილერი – ის, რომელიც სამხედრო სამსახურშია, თუ ის, რომელიც კეკეშფალვას სტუმარია; ის, რომელიც იქაა, თუ რომელიც აქ იმყოფება.

მძღოლი ჩემი თხოვნისამებრ ქალაქის სამმართველოს მოედანზე აჩერებს მანქანას. ყაზარმამდე ორი კვარტალიღაა. გადმოვდივარ, საყელოს ვიწევ და მინდა სწრაფად გადავსერო ვრცელი მოედანი, მაგრამ სწორედ ამ დროს წვიმამ გაორკეცებული ძალით დაუშვა და ქარი სველ შოლტს პირდაპირ სახეში მცემს. სჯობს, ორიოდე წუთი რომელიმე ჭიშკრის თაღის ქვეშ მოვიცადო, ანდა კაფე ჯერ კიდევ ღია იქნება და სულაც იქ შემიძლია მოვიკალათო, ვიდრე კურთხეული ზეცა მთლიანად არ დაწურავს თავის ბარაქიან ჯიქანს.

კაფემდე მარტოოდენ ექვსი სახლია და აი, უკვე ვხედავ აციაგებულ გაზის შუქს აცრემლებული ფანჯრის მინების მიღმა! როგორც ჩანს, ჩემი მეგობრები ისევ აქ სხედან. შესანიშნავი შემთხვევაა დანაშაულის გამოსასყიდად: რამდენი ხანია აქ არ ვყოფილვარ. არც გუშინ, არც გუშინწინ... მთელი კვირა არ გამოვჩენილვარ და, კაცმა რომ თქვას, მიზეზიც აქვთ, რომ ჩემზე ნაწყენი იყვნენ: თუ ღალატია, კეთილი ინებე და ფორმალობა მაინც დაიცავიო მეტყვიან, ალბათ.

სახელურს ვკიდებ ხელს და კარს ვაღებ. ყველგან გაშლილი გაზეთები ყრია. მარკერი ოიგენი შემოსავალს ითვლის. უკან, ქაღალდის სათამაშო ოთახში, სინათლეს ვხედავ და მუნდირის პრიალა ღილებიც ლაპლაპებენ. ისევ თამაშობენ აზარტული მოთამაშენი უფროსი ლეიტენანტი იოჟი, ლეიტენანტი ფერენცი და პოლკის ექიმი გოლდბაუმი. როგორც ჩანს, უკანასკნელი ხელი დიდი ხნის წინ დაამთავრეს და ახლა, სავარძლებში გადასვენებულთ, ჩემთვის კარგად ნაცნობი ყავახანური სიზანტე მოჰკიდებიათ; ასე რომ, ჩემი გამოჩენა, რომელმაც ეს მოსაწყენი უქმად ყოფნა დაარღვია, მათთვის ნამდვილი მისწრებაა.

– ბიჭებო, ტონი! – განგაშს ტეხს ფერენცი და ჩემკენ ახედებს დანარჩენებს.

– ეს რა ნათელი მოეფინა ჩვენს დაბალ ქოხმახს! – დეკლამირებს პოლკის ექიმი, რომელსაც როგორც ჩვენ დავცინით ხოლმე, ციტატების ქრონიკული შემოტევა აქვს. სამივენი თვალებს წკურავენ და შემომცინიან:

– სალამი! ტონის სალამი!

მათი სიხარული მეც მახარებს. „მართლაც კარგი ბიჭები არიან, გამიელვა გულში, სულაც არ არიან ჩემზე ნაწყენი, რომ ამდენი ხანი გადაკარგული ვიყავი, თან მიზეზიც არ მითქვამს და არც ბოდიში მომიხდია“.

– შავი ყავა, – ვუკვეთ რულმოკიდებულ კელნერს, სავარძელს ვდგამ მაგიდასთან და ვეკითხები ბიჭებს: – აბა, ახალი რა იცით? ამ სიტყვებით იწყება ყოველი ჩვენი შეხვედრა.

ფერენცს ისედაც გაბადრული პირისახე კიდევ უფრო უფართოვდება, მოწკურული თვალები ლამის გაუჩინარდნენ თურაშაულივით წითელ ლოყებში; ნელნელა თითქოს პურის ცომი გაწელესო, აღებს პირს.

– ყველაზე ცინცხალი ახალი ამბავი თუ გინდა, – მეუბნება და თან გულიანად იღრიჭება, – ის გახლავს, რომ თქვენმა კეთილშობილებამ მადლი მოისხა და კვლავ ფეხი შემოდგა ჩვენს ბუდრუგანა სამყოფელში.

პოლკის ექიმი კი სავარძლის საზურგეს ეყრდნობა და კაინცისეული ინტონაციით იწყებს:

ერთხელ კიდევ დაეთხოვა
მაჰადოჰი მაღალ ზეცას,
რომ იწვნიოს ამა ქვეყნის
ტანჯვაცა და სიამეცა.

სამივენი ნიშნის მოგებით მიყურებენ და ერთბაშად საქციელი მიფუჭდება. „ის სჯობს, – ვფიქრობ მე, – ახლავე თავად ვუამბო ყველაფერი, ვიდრე გამოკითხვას დამიწყებდნენ“.

მაგრამ პირის გაღება ვერ მოვასწარი, ფერენცმა მრავალმნიშვნელოვნად თვალი რომ ჩაუკრა იოჟის და ხელიც წაჰკრა:

– ერთი უყურე! – უთხრა და თან მაგიდის ქვეშ მიუთითა, აბა, რას იტყვი ამაზე? ლაკის შტიბლეტები აცვია ამ ავდარში და საპარადო მუნდირი! იცის ბიჭმა, რასაც აკეთებს. ქერის ორმოს მიაგნო! საარაკოდ კარგია თურმე იმ ბებერ წურბელასთან! ყოველ საღამოს ხუთნაირი კერძი აქვს ვახშმად, როგორც აფთიაქარი ამბობს, ხიზილალა და ყვერულები, და საუკეთესო სიგარები, ჩვენს საჭმელს კი არ ჰგავს, „წითელ ლომში“ რომ მოაქვთ! ხედავ, რა ბიჭი ყოფილა, ჩვენ კი არიფი გვეგონა!

ახლა იოჟიც კვერს უკრავს:

– ოღონდ მეგობრობაში მოიკოჭლებს, ცოტა არ იყოს... რა იქნება შენს ბებერს ერთხელ მაინც სხვათა შორის უთხრა, – ახლა მე მომიბრუნდა, – ყური დამიგდე, ბერიკაცო, ორი განუყრელი მეგობარი მყავს, კარგი ბიჭები არიან, ხალხში მოქცევაც იციან, ერთხელაც, როცა იქნება, ორივეს მოგიყვანთ სტუმრად. შენ კი ამის ნაცვლად ფიქრობ: დაე, მარტო მჟავე პილზნური სვან და ყელი ცხარე პულაშით გამოიფუფქონო! მეგობარიც ასეთი უნდა, აბა, როგორ არაფერი ვთქვა? მსხვილი „უპმანი“ მაინც არ წამოიღე? თუ ჰო, მაშინ დღეს ყველაფერს გპატიობთ.

სამივენი იცინიან და ტუჩებს აწკლაპუნებენ. მე კი ერთბაშად სისხლი მაწვება სახეში და ყურებამდე ვწითლდები, საიდან შეიტყო ამ შეჩვენებულმა იოჟიმ, რომ კეკეშფალვა წინკარში გამოცილებისას ყოველთვის მაწვდის სიგარას. ნუთუ ახლა თავი აქვს ამოყოფილი ამ საოცარ სურნელებას მუნდირის ჯიბიდან? ნეტავ, ბიჭებმა ვერ შენიშნონ! აღარ ვიცი, რა ვქნა და ნაძალადევად ვიღიმი:

– რაღა თქმა უნდა, „უპმანი“! უფრო იაფფასიანს როგორ დასჯერდები! მე კი მგონია, მესამე ხარისხის სიგარეტიც არ გაწყენს, და გახსნილ პორტსიგარს ვაწვდი. მაგრამ იმწამსვე უკან ვწევ ხელს, რადგან გუშინწინ ჩემი დაბადების დღე იყო, ოცდახუთი წელი შემისრულდა, ქალიშვილებს როგორღაც შეეტყოთ ეს ამბავი და ვახშამზე ჩემი თეფშიდან ხელსახოცს რომ ვიღებდი, ვიგრძენი, რაღაც მძიმე იყო შიგ გახვეული. პორტსიგარი გამოდგა, დაბადების დღის აღსანიშნავად მორთმეული საჩუქარი. მაგრამ ფერენცმა უკვე შენიშნა ახალი ნივთი ჩვენს ვიწრო წრეში ხომ თვით ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი დიდი ამბავია.

– აუ, ეს რა არის? – როხროხებს იგი, – ახალი აღჭურვილობა!

არხეინად მართმევს პორტსიგარს (უნდა ვაჩვენო, სხვა რა გზა მაქვს), სინჯავს ხელით, ათვალიერებს და ბოლოს წონის კიდეც ხელისგულზე.

– ყური დამიგდე, მიმართავს შემდეგ პოლკის ექიმს, მგონი, ნამდვილია. აბა, ერთი კარგად შეამოწმე.

პოლკის ექიმი გოლდბაუმი, ოქრომჭედლის ვაჟი, სათვალეს ირგებს, ცოტა არ იყოს მსხვილ ცხვირზე, იღებს პორტსიგარს, წონის, ყოველი მხრიდან ათვალიერებს და მცოდნე კაცის გამომეტყველებით მოკაკულ თითებს უკაკუნებს ზედ.

– ნამდვილია, – სვამს ბოლოს დიაგნოზს, – ბაჯაღლო ოქროა, დამღაც აქვს და თან ჯოჯოხეთურად მძიმეა. მთელ პოლკს შეიძლება კაცმა ამით კბილები დაუპლომბო. დაახლოებით შვიდასრვაასი კრონა ეღირება.

ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ, რომელიც ყველაზე უფრო მე მაოცებს (მანამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ უბრალოდ მოოქრული იყო), იოჟის აწვდის პორტსიგარს. უფროსი ლეიტენანტი უკვე ბევრად უფრო მოკრძალებულად იღებს ხელში, ვიდრე ეს ორნი (აჰ, მაინც როგორ მისდით სული ყმაწვილ კაცებს ძვირფასეულობის დანახვაზე!), ათვალიერებს, თითქოს სარკე იყოსო, შიგ იხედება, ბოლოს ლალის ღილაკს აჭერს ხელს და შეცბუნებული შესძახებს:

– წარწერაა! მოისმინეთ, მოისმინეთ! „ჩვენს ძვირფას მეგობარს, ანტონ ჰოფმილერს, დაბადების დღის აღსანიშნავად. ილონა, ედითი“.

ახლა სამივენი მე მომჩერებიან.

– ჯანდაბას! – ამოიქშინა ბოლოს ფერენცმა, – ამ ბოლო დროს შესანიშნავად ირჩევ მეგობრებს. ქედს ვიხრი შენ წინაშე. ჩემგან, ამის ნაცვლად, სულ ბევრი, თითბრის სანთებელას თუ მიიღებდი.

თითქოს რაღაც მახრჩობს. ხვალ მთელ პოლკს ეცოდინება ახალი ამბავი. ყველა გაიგებს, რომ კეკეშფალვას ოჯახში ოქროს პორტსიგარი მივიღე საჩუქრად და წარწერაც არ გამორჩება არავის. „აბა, ერთი გვაჩვენე შენი ძვირფასი პორტსიგარი“, მეტყვის ფერენცი ოფიცერთა საკრებულოში, რომ ჩემით თავი გამოიდოს, და მე აუცილებლად მომიწევს ამ ნივთის ჩვენება ბატონი როტმისტრისთვის, შემდეგ კი შეიძლება თვით ბატონ პოლკოვნიკსაც მოუნდეს მისი ნახვა. ყველანი ხელში აწონიან, შეაფასებენ, წარწერას ირონიული ღიმილით ამოიკითხავენ; შემდეგ აუცილებლად დაიწყება დამცინავი გამოკითხვა, მე კი უფროსებთან უფლება არა მაქვს, თავაზიანი არ ვიყო.

რა ვქნა, აღარ ვიცი. მინდა სწრაფად მორჩნენ ამ თემაზე ლაპარაკს და ამიტომ ვეკითხები:

– გინდათ, ერთი ხელი ტაროკი ვითამაშოთ?

მათი გულკეთილი ხითხითი მაშინვე ხარხარად გადაიქცა.

– წარმოგიდგენია, ფერენც? – მუჯლუგუნსა ჰკრავს მას იოჟი, – ახლა, როცა ამ გომურს უკვე კეტავენ, ამას ტაროკი მოეპრიანა.

ხოლო პოლკის ექიმი ისევ სავარძლის საზურგეს ეყრდნობა ზანტად და გულარხეინად წარმოთქვამს:

– დიახ, დიახ, სვებედნიერნი ჟამთ დინებას ვერ აღიქვამენ.

სამივენი ერთხანს კიდევ იცინიან, ტკბებიან ექიმის უადგილო ხუმრობით. მაგრამ აი, გვიახლოვდება მარკერი ოიგენი და მოწიწებით, მაგრამ ამავე დროს დაბეჯითებით მოგვაგონებს:

– ვიკეტებით, ბატონებო, უკვე გვიანია!

წვიმამ უკვე გადაიღო. ჩვენ ერთად მივდივართ ყაზარმამდე და ხელს ვართმევთ ერთმანეთს გამოთხოვებისას. ფერენცი მხარზე ხელს მიტყაპუნებს:

– ყოჩაღ, რომ შემოიარე!

და ვგრძნობ, გულით მეუბნება ამას. არა, მაინც ასე ძალიან რატომ გავცხარდი ამ ბიჭებზე? განა სამივენი ერთიმეორეზე უფრო წრფელი და ალალი ყმაწვილები არ არიან? შურისა და მტრობის ნატამალიც არ უდევს არც ერთს გულში. და თუ ოდნავ თავი შეიქციეს ჩემს ხარჯზე, მერე რა ვუყოთ, სიავით არ მოსვლიათ...

* * *

მართლაც სიავე არ ედო არც ერთს გულში, მაგრამ ბრიყვული განცვიფრებითა და გამოკითხვით რაღაც სამუდამოდ დაასამარეს: სახელდობრ, ჩემი გულდაჯერებულობა. აქამდე კეკეშფალვას ოჯახთან უჩვეულო დამოკიდებულებამ საოცრად ამიმაღლა საკუთარი თავის რწმენა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რომ ვიღაცას ვეხმარებოდი, რაღაცას ვაძლევდი; და აი, ახლა შევიტყვე, როგორ უყურებენ სხვები ამ ურთიერთობას, ან, უფრო სწორად, როგორად გამოჩნდება იგი იმ ადამიანთა თვალში, ვინც მხოლოდ საქმის გარეგნულ მხარეს ხედავს და არ იცნობს ფარულ კავშირებს მის კომპონენტთა შორის. აბა, როგორ შეეძლოთ გარეშეებს გაეგოთ თანაგრძნობით მოგვრილი ფაქიზი სიხარული, რომელმაც მე სხვაგვარად არ შემიძლია ეს გამოვხატო ისე ამიტანა, როგორც მრუმე ვნებათაღელვამ. მათთვის უტყუარი იყო, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოვიკალათე ამ გულუხვ და სტუმართმოყვარე სახლში, რომ მის მდიდარ მესვეურთა ნდობით აღჭურვილს, ყოველდღე უფასო ვახშამი მქონოდა და საჩუქრები დამეცინცლა მათთვის. ამასთან გულში ცუდი არაფერი უდევთ, ამ კეთილ ყმაწვილებს სულაც არ შურთ, რომ ქერის ორმოში მოვხვდი და თვით საუკეთესო სიგარებიც კი არ მაკლია. ეჭვგარეშეა, ისინი არაკეთილშობილებისა და უპატიოსნობის ნატამალსაც არ ხედავენ იმაში (მე კი სწორედ ეს მაცოფებს ყველაზე მეტად), რომ საშუალებას ვაძლევ ამ ხალხს გამიმასპინძლდნენ და მელოლიავონ, რადგან, მათი აზრით, კავალერიის ოფიცერი პატივსაც კი სდებს კეკეშფალვასნაირ ვაჭრუკანას, როდესაც მის სუფრასთან ჯდება.

ფერენცსა და იოჟის გულში ცუდი არაფერი ჰქონიათ, პირიქით, გულწრფელად იყვნენ აღტაცებულნი ოქროს პორტსიგარით და ჩემდამი ერთგვარი პატივისცემის გრძნობითაც კი განიმსჭვალნენ, რომ მეცენატები ვაიძულე, ასეთი გულუხვობა გამოეჩინათ. მაგრამ ახლა ის მიწამლავს გუნებას, რომ მე თავად ეჭვი მეპარება საკუთარ თავში. განა შეიძლება რომ მე, ოფიცერს, მოწიფულ ვაჟკაცს, ყოველ საღამოს მაჭმევდნენ, მასმევდნენ და მელოლიავებოდნენ? აი, ოქროს პორტსიგარიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამეღო და

არც ის აბრეშუმის შარფი, რომელიც ამას წინათ მომახვიეს ყელზე, გარეთ ქარი რომ ბობოქრობდა. ან სად გაგონილა, რომ კავალერიის ოფიცერს ჯიბეში საგზლად სიგარებს ულაგებდნენ. ახლა ის ბედაური! ღმერთმანი, ხვალვე უნდა მოველაპარაკო კეკეშფალვას. ახლაღა ვხვდები, რას მედუდუნებოდა გუშინწინ, თქვენი ლაფშა (რომელიც მე, რასაკვირველია, განვადებით ვიყიდე და ჯერაც მთლიანად არ გადამიხდია ვალი! ვერაფერი შესახედავიაო), ვაი, რომ არ შემცდარა, მაგრამ ის, რომ თავისი ცხენსაშენიდან უნდა სამი წლის ბედაური მათხოვოს, (შესანიშნავი იორღა, რომლითაც არ შემრცხვება ხალხში გამოჩენა), ხელს არ მაძლევს. დიახ, უნდა რომ „მათხოვოს“ ჩემთვის უკვე გასაგებია, რას ნიშნავს ეს! როგორც ილონას შეჰპირდა მზითევს, ოღონდაც მის საბრალო ქალიშვილთან იყოს და მოუაროს, მეც ასევე უნდა მიყიდოს, ნაღდი ფულით გამისწორდეს ჩემი თანაგრძნობისთვის, ჩემი გონებამახვილი საუბრებისა და მეგობრული დამოკიდებულებისათვის! მე კი, პირღია, კინაღამ ხაფანგში გავები და ვერ ვამჩნევდი, რა როლს მაკისრებდნენ!

„სისულელეა!“ – ვეუბნები იმწამსვე ჩემს თავს და მაგონდება, როგორი სიფრთხილით მისვამს ხოლმე ეს ბერიკაცი სახელოზე ხელს, როგორ გაუბრწყინდება ხოლმე სახე, როგორც კი შევდგამ მათ სახლში ფეხს. მაგონდება გულითადი, და-ძმური მეგობრობა, ორივე ქალიშვილთან რომ მაკავშირებს. ისინი, რასაკვირველია, არ ითვლიან, რამდენ ჭიქას შევსვამ და, თუ რამეს შენიშნავენ კიდეც, მხოლოდ უხარიათ, რომ მათთან ასე კარგად ვგრძნობ თავს. – „სისულელეა! უაზრობაა! – ჩავჩიჩინებ საკუთარ თავს, – სისულელეა! ამ მოხუც კაცს უფრო ვუყვარვარ, ვიდრე ღვიძლ მამას!“

მაგრამ რამდენიც გინდა დაიმშვიდე თავი, თუკი ერთხელ მაინც დაგერღვა შინაგანი წონასწორობა! ვგრძნობ, რომ იოჟისა და ფერენცის განცვიფრებამ და ქილიკობამ ჩემს უცოდველ, ჩემს არხეინ გულდაჯერებულობას ბოლო მოუღო. „მართლაც მხოლოდ თანაგრძნობის გამო, მხოლოდ სიბრალულის გამო დადიხარ ამ მდიდრებთან? – იჭვნეულად ვეკითხები საკუთარ თავს, პატივმოყვარეობასა და დროს ტარებას ხომ არ მოასწავებს ეს სურვილი? ასეა თუ ისე, გარკვეულობა უნდა შეიტანო ამ ყველაფერში!“ და რათა დაუყოვნებლივ რამე ვიღონო, გადაწყვეტილებას ვიღებ: ამიერიდან უფრო იშვიათად ვიარო კეკეშფალვასთან და ხვალვე გამოვტოვო ჩემი მორიგი ვიზიტი.

* * *

ასე რომ, მეორე დღეს არ მივდივარ მათთან. სამსახურის დამთავრებისთანავე ფერენცსა და იოჟისთან ერთად შევრბივარ კაფეში, ჯერ გაზეთებს ვათვალიერებთ და შემდეგ (სხვა რა გზა მაქვს) ჩვენს ტრადიციულ ტაროკს ვაჩაღებთ. მაგრამ მე ჯოჯოხეთურად ცუდად ვთამაშობ, რადგან ზედ ჩემ პირდაპირ, პანელით მოპირკეთებულ კედელზე მრგვალისაათია დატანებული და ტაროკის მაგივრად მისკენ მაქვს გულისყური დროს ვანგარიშობ: ოთხი საათი და ოცი წუთია, ოთხი საათი და ოცდაათი, ოთხი საათი და ორმოცი, ოთხი საათი და ორმოცდაათი... ხუთის ნახევარზე, როდესაც მე ჩვეულებრივ მივდივარ ჩაიზე, ყველაფერი უკვე გაწყობილგამზადებულია და თხუთმეტიოდე წუთიც

რომ დავაგვიანო, მაშინვე მომცვივდებიან ხოლმე და მეკითხებიან: რამე ხომ არ შეგემთხვათო: უკვე ისე მიეჩვივნენ ზუსტ დროზე ჩემს გამოჩენას, რომ ლამის მოვალეობადაც დამაკისრონ; ორნახევარი კვირაა, არც ერთი საღამო არ გამიცდენია და ალბათ ახლა ისინიც ჩემსავით შეშფოთებულნი შესცქერიან საათის ისრებს. ტელეფონით მაინც დამერეკა და მეთქვა, ვერ მოვდივარ-მეთქი; ან იქნებ სჯობს, დენშჩიკი გავგზავნო...

– რა დაგემართა, ტონი, ყურადღებით იყავი, – ბრაზობს იოჟი და მრისხანედ მიყურებს. ჩემი გონებაგაფანტულობის გამო ერთი ხელი წავაგეთ. ვცდილობ ფხიზლად ვიყო, რომ კიდევ რამე არ გამომეპაროს.

– მოდი, ადგილები გავცვალოთ.

– კარგი, მაგრამ რატომ?

– არ ვიცი, – ვცრუობ მე, – დარბაზში ხმაურია და, მგონი, ეს მანერვიულებს.

ნამდვილად კი არ მინდა საათს ვუყურო და ყოველ წუთს ვხედავდე დროის ულმობელ სრბოლას. ყველაფერი მაღიზიანებს, გონებაგაფანტული ვარ, გაუთავებლად ერთსა და იმავე ფიქრს ვუბრუნდები: ხომ არ მივიდე ტელეფონთან და ბოდიში მოვუხადო? პირველად ვაცნობიერებ, რომ ჭეშმარიტი თანაგრძნობა არ შეიძლება ნებისმიერად ჩართო და გამორთო, თითქოს ელექტრული კონტაქტი იყოს, და ის, ვინც ზემოქმედებას ახდენს სხვის ბედ-იღბალზე, უკვე სავსებით თავისუფლად ვეღარ განაგებს თავის საკუთარს.

„ჰო, მაგრამ, ჯანდაბა, – ბრაზი მომდის საკუთარ თავზე, – რა მოვალე ვარ ნახევარი საათის სავალზე ყოველდღე ვეახლო!“ – და გრძნობათა ასოციაციის იდუმალი კანონის შესაბამისად, რომელიც საკუთარ თავზე გამწყრალთ გვაიძულებს ჩვენი დანაშაული სხვას გადავაბრალოთ, მე ბილიარდის ბურთულის მსგავსად, მიღებულ ბიძგს, რომ ახლა მეორე ბურთულას გადასცემს, ჩემი უგუნებობა იოჟისა და ფერენცის ნაცვლად კეკეშფალვას ოჯახს დავატეხე თავს. დაე, ერთხელაც მაცადონ! დაე, დაინახონ, რომ საჩუქრებითა და ლაქუცით ჩემი ყიდვა არ შეიძლება, რომ მასაჟისტივით ან ტანვარჯიშის მასწავლებელივით გარკვეულ საათზე არ ვცხადდები. არ უნდა მივაჩვიო, თორემ მოვალეობად გამიხდიან, და მე კი არ მსურს, რომ ვალდებულებებით შევიზღუდო თავი! ასე ბრიყვულად გაკერპებული ვზივარ კაფეში რვის ნახევრამდე, მთელი სამსაათ-ნახევარი, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავს დავუმტკიცო და ჩავაგონო, წასვლაც ჩემი ნებაა და მოსვლაც, ხოლო კეკეშფალვას ნუგბარ კერძებსა და საუკეთესო სიგარებს აინუნშიაც არ ვაგდებ-მეთქი.

რვის ნახევარზე ვდგებით მაგიდიდან ფერენცმა შემოგვთავაზა, ცოტა ხანს კორსოზე გავიაროთო, მაგრამ ხეირიანად ვერც კი ვასწრებ კაფედან გარეთ გასვლას, რომ ვიღაცა მარდად ჩამივლის წინ და მისი ნაცნობი მზერა წამით ყოვნდება ჩემზე. ვინ არის, ილონა? ვეკითხები თავს. ჰო, რა თქმა უნდა! ჯერ კიდევ გუშინწინ რომ არ მენახა და აღტაცებაში არ მოვსულიყავი ამ ღვინისფერი კაბითა და ბაფთებით შემკული ფართოკიდეებიანი პანამის ქუდით, მაინც აუცილებლად ვიცნობდი მას თეძოების რხევასა და მსუბუქ სიარულზე. მაგრამ ასე გამალებით სად მიიჩქარის? ამნაირი ნაბიჯით არავინ სეირნობს,

ეს უფრო სირბილსა ჰგავს. ასეა თუ ისე, უნდა დავეწიო ამ ტურფა გვრიტს, რაც უნდა მარდად მიგოგმანებდეს!

– Pardon, – ცოტა არ იყოს, უცერემონიოდ ვემშვიდობები ჩემს მეგობრებს და უკვე ქუჩის მეორე მხარეს მოფრიალე კაბას მივდევ, რადგან მართლაც უსაზღვროდ მიხარია, რომ კეკეშფალვას ძმისწულს შემთხვევით ჩემს საგარნიზონო სამყაროში გადავაწყდი.

– ილონა, ილონა! მოიცადეთ, მოიცადეთ! – გავყვირი და მივდევ, მაგრამ ის საოცრად სწრაფად განაგრძობს სვლას. ბოლოს მაინც ჩერდება და ჩემი გამოჩენა სულაც არ უკვირს.

– რა შესანიშნავია, ილონა, რომ ქალაქში შეგხვდით. რამდენი ხანია მინდა თქვენთან ერთად გავისეირნო ჩვენს სამფლობელოში. ან იქნებ გირჩევნიათ, რომ ერთი წამით ჩვენს სახელგანთქმულ საშაქარლამოში შევირბინოთ?

– არა, არა, – ბუტბუტებს ის ოდნავ ალეწილი, – მეჩქარება, შინ მელიან.

– რა მოხდა მერე, ხუთი წუთით მეტი გიცადონ. თუ მაინცდამაინც, თავის გასამართლებელ ბარათს დაგიწერთ, რომ კუთხეში არ დაგაყენონ. წამოდით და ასე უკმეხად და მკაცრად ნუ მიყურებთ.

სიამოვნებით გამოვდებ მკლავს, რადგან გულწრფელად მიხარია, რომ ჩემს მეორე სამყაროში სწორედ მას შევხვდი, წარმოსადეგს, შესახედავს, და თუ მეგობრები ამ კალმით ნახატ ქალიშვილთან ერთად შემნიშნავენ, მით უკეთესი! მაგრამ ილონა ნერვიულობს.

– არა, ნამდვილად დროზე უნდა ვიყო შინ, ამბობს ნაჩქარევად, აგერ ავტომობილიც მიცდის, და მართლაც ქალაქის სამმართველოს მოედნიდან მძღოლი მოკრძალებით მესალმება.

– მაშ, ავტომობილამდე მაინც ხომ შეიძლება მიგაცილოთ?

– რა თქმა უნდა, – ისევ ბუტბუტებსსაოცრად აღელვებული, – რა თქმა უნდა... მართლა... დღეს საღამოს რატომ არ მოხვედით?

– დღეს საღამოს? – განგებ ვაჭიანურებ პასუხს, თითქოს რაღაცას ვიხსენებდე, – დღეს საღამოს? აჰ? ჰო, რაღაც სულელური ამბის გამო: პოლკოვნიკმა ახალი ცხენის ყიდვა გადაწყვიტა და იძულებული ვიყავით ყველანი წავყოლოდით სანახავად... და მერე სათითაოდ ჭენებაში გამოგვეცადა (სინამდვილეში კი ეს ამბავი ამ ერთი თვის წინათ მოხდა... რა ვქნა, ტყუილის თქმა არ მეხერხება).

ქალიშვილი ყოყმანობს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს და თან ხელში თათმანებს აწვალებს და ნერვიულად აბაკუნებს ფეხს. შემდეგ ერთბაშად, მოუთმენლად მეკითხება:

– გინდათ, ახლა მაინც წამოდით ჩვენთან ვახშმად!

„გამაგრდი, – ვეუბნები სწრაფად ჩემს თავს, – არ დაგიყოლიოს! ერთი, ერთადერთი დღე მაინც გაძელი!“ და სინანულის ნიშნად ვოხრავ:

– აფსუს, მართლაც დიდი სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ დღევანდელ დღეს უკვე წირვა აქვს გამოსული: საღამოთი შეკრებაა და არ შეიძლება არ დავესწრო.

ილონა დაჟინებით მაცქერდება. საკვირველია, რომ ამ დროს წარბებს შორის მასაც ისეთივე მოუთმენლობის გამომხატველი ნაოჭი უჩნდება, როგორიც ედითს და კრინტს არ ძრავს (არ ვიცი, შეგნებული უკმეხობისა თუ დაბნეულობის გამო). მძღოლი მანქანის

კარს აღებს. ქალიშვილი ავტომობილში ჯდება, მაგრად აჯახუნებს კარს და მინის მიღმიდან მეკითხება:

– ხვალ მოხვალთ?

– ჰო, ხვალ აუცილებლად.

ავტომობილი ადგილიდან წყდება...

მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ ჩემი საქციელით. ასე საოცრად რატომ ჩქარობდა, ან შეშფოთებული რატომ იყო? თითქოს ეშინოდა, რომ ჩემთან არავის დაენახა. ან ასე სასწრაფოდ რას გაემგზავრა? ახლა შემდეგიც მაწუხებს: ზრდილობის გამო სალამი მაინც უნდა შემეთვალა ბიძამისისთვის, ორიოდე ტკბილი სიტყვა ედითისთვისაც... მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩემთვის! მაგრამ, მეორე მხრივ, კმაყოფილიც ვარ ჩემი თავშეკავებული ქმედებით. ხასიათის სიმტკიცე გამოვიჩინე. ახლა, ყოველ შემთხვევაში იმას ვეღარ იფიქრებენ, რომ ძალით ვეტმასნები...

* * *

თუმცა ილონას დავპირდი, ხვალ ჩვეულებრივ დროს მოვალ-მეთქი, მაინც წინდახედულად წინასწარ ტელეფონით ვატყობინებ ჩემი ვიზიტის შესახებ. სჯობს, ყველა ფორმალობა მკაცრად დავიცვა. როცა ფორმალურ მხარეს იცავ, დაზღვეული ხარ. ამით მინდა მათ დავანახვო, რომ არავის ძალით არ ვეჭრები შინ. ამიერიდან ყოველთვის ვიკითხავ ხოლმე, მომელიან თუ არა სახლში. ამჯერად კი უეჭველად ეს ასეა, რადგან მსახური უკვე ფართოდ გაღებული კარის წინ მიცდის და შესვლისას დიდი ამბით მატყობინებს:

– ფროილაინი კოშკის ბანზე გახლავთ და გთხოვთ, დაუყოვნებლივ მასთან აბრძანდეთ, ბატონო ლეიტენანტო, – შემდეგ მეკითხება: – მგონი, ზემოთ ჯერ არ ბრძანებულხართ, არა, ბატონო ლეიტენანტო? გაგიკვირდებათ, ისეთი ლამაზია იქიდან გადმოხედვა.

კეთილი მოხუცი იოზეფი მართალია. კოშკის ერდოზე ჯერ არ ვყოფილვარ, თუმცა ხშირად დამითვალიერებია ეს უცნაური და, ცოტა არ იყოს, ახირებული ნაგებობა.

თავდაპირველად, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ვეებერთელა ოთხკუთხა შენობა კუთხის გოდოლი ყოფილა ძველი ციხეკოშკისა, რომელიც დიდი ხნის წინ დანგრეულა, თუ დაენგრიათ, (თვითონ ქალიშვილებიც ვერ გაგარკვევდნენ ბოლომდე ამ ამბავში), შემდეგ,

წლების განმავლობაში, საწყობად იყენებდნენ თურმე. ბავშვობაში ედითი ხშირად ადიოდა მოფამფალებულ კიბეზე, რაც თავზარს სცემდა მშობლებს, სხვენამდე აღწევდა, სადაც ნამძინარევი ღამურები ირეოდნენ ძველ ხარახურას შორის და ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე ძველი, დამპალი კოჭებიდან მტვრის ბუღი დგებოდა. მაგრამ ფანტაზიით დაჯილდოებულმა გოგონამ ეს გამოუსადეგარი სადგომი (რომლის ჭუჭყიანი სარკმლებიდან თვალუწვდენელი სივრცე იშლებოდა) სწორედ მისი იდუმალებისა და უვარგისობის გამო აირჩია სათამაშო და სამალავ ადგილად; ხოლო შემდეგ, როცა უბედურება დაატყდა თავს და მიხვდა, რომ სავსებით უძრავი ფეხების პატრონს უკვე აღარ შეეძლო „რომანტიკულ სავანეში“ ასვლა, თავს განძარცვულად გრძნობდა...

და აი, ქალიშვილი რომ მოულოდნელად გაეხარებინა, კეკეშფალვამ ისარგებლა იმ სამი თვით, რომელიც ედითმა სანატორიუმში გაატარა, ერთ ვენელ არქიტექტორს დაავალა ძველი კოშკი გადაეკეთებინა და მის თავზე გადასახედი აივანი მოეწყო. როცა ედითი შემოდგომაზე, ჯანმრთელობის ოდნავ შესამჩნევი გაუმჯობესების შემდეგ სახლში დაბრუნდა, გადაკეთებულ კოშკში უკვე ლიფტი მუშაობდა (საკმაოდ განიერი, ისეთი, როგორიც სანატორიუმებშია) და ავადმყოფს შეეძლო, როცა კი მოისურვებდა, თავის სავარძლიანად მაღლა ასულიყო და ირგვლივ გადაშლილი სანახებით დამტკბარიყო; ასე მოულოდნელად დაუბრუნდა ედითს თავისი ბავშვობის სამყარო.

დროით შეზღუდული არქიტექტორი უფრო იმაზე ზრუნავდა, რომ ნაგებობა იოლად გამოსაყენებელი ყოფილიყო, ვიდრე სტილის დაცვაზე. შიშველი კუბი, რომელიც ტლანქ ოთხკუთხედ კოშკზე წამოჭიმა, სწორი, გეომეტრიული ფორმით უფრო ნავსადგურს ან ელსადგურს მოგაგონებდათ, ვიდრე მარია-ტერეზას დროინდელი სასახლის მოყვანილობას; მაგრამ, რაც მთავარია, მამის სურვილი აღსრულდა: ედითი აღტაცებული იყო აივნით, რომელმაც თითქოს ერთფეროვნებისგან იხსნა ქალიშვილი. ამ სამეთვალყურეო კოშკიდან, მხოლოდ მას რომ ეკუთვნოდა, ჭოგრიტით შეეძლო დაეთვალიერებინა ვრცელი, სწორი დაბლობი, ეცქირა ყველაფრისთვის, რაც ირგვლივ ხდებოდა: თესვისა და მკისათვს, გარჯისა და გართობისათვის. ამდენი ხნის მარტოობის შემდეგ კვლავ სამყაროსთან დაკავშირებული, იგი კოშკურიდან საათობით უჭვრეტდა მათკენ მიმავალ თუ მომავალ მატარებლებს, რომლებიც შორეთში სერავდნენ ლანდშაფტს და კვამლის პატარა ზოლს უშვებდნენ ჰაერში; შარაგზაზე არც ერთი ოთხთვალა არ გამოეპარებოდა მის უქმ ცნობისმოყვარეობას და, როგორც შემდეგ შევიტყვე, მრავალი ჩვენი გალაშქრების, ვარჯიშისა თუ აღლუმებისათვის უდევნებია თვალი. მაგრამ რაღაც უცნაური ეჭვიანობის გამო ედითი სტუმრებს უმალავდა თავისი განმარტოებული „ექსკურსიის“ ადგილს. მხოლოდ იმის დანახვაზეც კი, როგორი აღტყინებულია ოჯახის მსახური, კეთილი იოზეფი, ვხვდები, რომ ეს მიწვევა ყველასათვის დაგმანულ „სამეთვალყურეო პუნქტში“ განსაკუთრებულ წყალობად უნდა ჩავთვალო.

მსახურს უნდოდა ლიფტით ავეყვანე (აშკარად ამაყობდა იმით, რომ ამ ძვირად ღირებული მანქანის მართვას მხოლოდ მას ანდობდნენ), მაგრამ მაშინვე უარი განვუცხადე, როგორც კი მითხრა, რომ ერდოზე პატარა ხვეული კიბითაც შეიძლებოდა ასვლა. იმწამსვე წარმოვიდგინე, რა წარმტაცი იქნებოდა იმის ყურება, თუ როგორ გამოჩნდებოდა შორეთში სულ ახალახალი მიდამოები ბაქნიდან ბაქანზე ასვლისას. და მართლაც, ამ ვიწრო და შეუმინავ სარკმლებში სხვადასხვაგვარ სურათს მოჰკრავდით თვალს ზაფხულის ლანდშაფტს ოქრომკედით ნაქსოვი მაქმანივით ეფინა ქარისგან უარყოფილი, გამჭვირვალე და მცხუნვარე დღე; ირგვლივ მიმოფანტული სახლების საკვამურებს თითქმის უძრავად ადგა ახირებულად დაკლაკნილი კვამლის ბოლქვები; მოჩანდა ჩალით გადახურული ქოხები, რომელთა სახურავებზე აუცილებლად შეამჩნევდით ყარყატის ბუდეებს; ყოველი ხაზი თითქოს ბასრი დანით გამოუკვეთიათო ღია ლურჯ ცაზე; იხვებით სავსეა გუბურები; ცვილისფერ მინდვრებზე თვალს

მოჰკრავდით პაწაწინა სათამაშოებივით გაფანტულ ფიგურებს საბალახოდ გაშვებული ჭრელი ძროხები, გლეხის ქალები, რომლებიც სამარგლავად იყვნენ გამოსულნი, ანდა თეთრეულის რეცხვით იყვნენ დაკავებული წყლის პირას; ყანების საგულდაგულოდ დახაზულ ნაკვეთებს შორის ხარებშებმული მძიმე ფორნები მიზოზინებდნენ და პატარა ორთვალები მარდად მიგორავდნენ;

დაახლოებით ორმოცდამეათე საფეხურზე მდგომს, თვალწინ თითქმის მთელი უნგრეთის დაბლობი გადამეშალა. ოდნავ მარჯვნივ, ჰორიზონტამდე, მოლურჯო ზოლი გამოკრთოდა ალბათ კარპატები; მარცხნივ კი მოხდენილად მიყუჟულიყო ჩვენი პატარა ქალაქი. იმავ წამს მოვკარი თვალი ჩვენს ყაზარმას, ქალაქის სამმართველოსა და სკოლის შენობას, სავარჯიშო მოედანს... აქაურ გარნიზონში გადმოსვლის შემდეგ პირველად შევიგრძენი ამ მიყრუებული კუთხის უპრეტენზიო მშვენება...

მაგრამ ახლა დრო არ მქონდა ამ საამური მიდამოების ჭვრეტით დატკბობის, რადგან ბრტყელ ერდოს უკვე მივატანე და ედითთან შესახვედრად უნდა მოვმზადებულიყავი. თავდაპირველად საერთოდ ვერ შევამჩნიე გოგონა, რადგან ჩალის რბილი სავარძელი (რომელშიც იჯდა) ჩემკენ ჭრელი, ვეებერთელა ამოზნექილი ნიჟარის მსგავსი საზურგით იყო მოქცეული და მთლიანად ფარავდა მის გამხდარ სხეულს. მხოლოდ გვერდით მდგარმა მაგიდამ, რომელზედაც წიგნები ელაგა და თავახდილი გრამოფონიც იდო, მიმახვედრა, რომ იქ უნდა მჯდარიყო. ვერ გავბედე მოულოდნელად წავდგომოდი თავს, რომ არ შემეკრთო ქალიშვილი, თუ ვინიცობაა თვლემდა ან ოცნებაში იყო წასული და მოაჯირს დავუყევი, რათა მასთან წინა მხრიდან მივსულიყავი. ფეხაკრეფით გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი. ედითს ეძინა. მისი გამხდარი სხეული რუდუნებით ჩაუწვენიათ სავარძელში, ფეხებზე ფაფუკი საბანი აქვს დაფარებული, თავიც თეთრ, პატარა ბალიშზე უდევს, ოდნავ გვერდზე გადაგდებული. ქერა, ოდნავ წითური თმის ჩარჩოში მოქცეულ ოვალურ ბავშვურ სახეს ჩამავალი მზე ოქროსფრად, ქარვისფრად უნათებს და ჯანმრთელ იერს აძლევს.

უნებლიეთ ვჩერდები, ვყოყმანობ, ველოდები და მძინარეს ნახატივით ვათვალიერებ. კაცმა რომ თქვას, რიგიანად თითქმის არასოდეს მქონია შემთხვევა, პირდაპირ სახეში შემეხედა მისთვის, რადგან როგორც ყველა მგრძნობიარე და ზემგრძნობიარე ადამიანი, ისიც არაცნობიერად ეურჩებოდა დაჟინებულ მზერას. თვით მაშინაც კი, როდესაც საუბარში შემთხვევით შევავლებდი თვალს, უმალვე უკმაყოფილების პატარა ნაოჭი უჩნდებოდა წარბებს შორის. ამ დროს თვალებს ნერვიულად აცეცებდა, ბაგე უთრთოდა და მის პროფილს ერთი წამითაც ვერ იხილავდით გაჩერებულს. მხოლოდ ახლა, როდესაც თვალებდახუჭული ასე უმწეოდ და უძრავად წევს, შემიძლია მშვიდად დავაკვირდე მისი სახის ნაკვთებს (თან ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც უღირსს ჩავდიოდე, თითქოს რაღაცას ვიპარავდე). მათში რაღაც ბავშვური არაჩვეულებრივი მომხიბვლელობით აღრეულა ქალურსა და ავადმყოფურთან. ბაგე მწყურვალივით ოდნავ ღია აქვს და მშვიდად სუნთქავს. ვამჩნევ მისი ბავშვურად მწირი მკერდის კოკრებსაც. თითქოს დაქანცულს, თითქოს სისხლიდან დაცლილს, წითური თმით შემოგრაგნილი ფერმკრთალი სახე ბალიშში აქვს ჩარგული. ფრთხილად ვუახლოვდები ჩრდილებს

თვალებს ქვემოთ, ცისფერ ძარღვებს საფეთქლებზე და მოვარდისფრო გამჭვირვალე ნესტოებს თხელი და უფერული გარსით იცავს გარემოსგან თეთრი და მქრქალი კანი. „რაოდენ მგრძნობიარე უნდა იყოს ადამიანი, გავიფიქრე, თუკი ასე თვალსაჩინოდ, ასე დაუფარავად, პირდაპირ კანქვეშ უთრთის ნერვები, რა უსაზღვროდ უნდა იტანჯებოდეს ამ ჰაეროვანი, ფერიის მსგავსი სხეულის პატრონი, რომელიც თითქოს საგანგებოდ სირბილისთვის, ცეკვისა და თამაშისათვის არის შექმნილი და ულმობელ ბედისწერას კი უხეშ დამძიმე მიწაზე მიუჯაჭვავს? საბრალო შებორკილო ქმნილებავ!..“ კვლავ ვგრძნობ, როგორ ამოხეთქა ჩემში მხურვალე წყარომ, როგორ მოზღვავდა ის მტკივნეული, გამომფიტავი, მაგრამ ამავე დროს საოცრად ამაღელვებელი თანაგრძნობა, რომელიც მუდამ მეუფლება, როდესაც ედითის უბედურებაზე ვფიქრობ; ხელი მიკანკალებს, ისე მინდა მხარზე ნაზად მოვეფერო, დავიხარო და ბაგიდან ღიმილი მოვწყვიტო, თუკი გაეღვიძება და მიცნობს. სინაზე, რომელსაც ყოველთვის აღმიძრავს ხოლმე თანაგრძნობა, როცა კი მასზე ვფიქრობ, ანდა მას ვუცქერ, უფრო ახლოს მეწევა მისკენ, ოღონდ ძილი არ უნდა გავუფრთხო.

განსაკუთრებით ხომ სწორედ ის არის სანუკვარი, როდესაც შინაგანად ახლოს ხარ მძინარე ავადმყოფთან, რომლის შიშნარევი ფიქრებიც მასთან ერთად თვლემენ და სატკივარი ისე უკვალოდ წარხოცილა მისი ხსოვნიდან, რომ ზოგჯერ ვით მთრთოლვარე ფოთოლს ფარვანა, ღიმილიც კი ეფინება მის ნახევრად ღია ბაგეს, უცხო, მისთვის არადამახასიათებელი. ეს ღიმილი კი იმწამსვე გაქრება სახიდან, როგორც კი გამოეღვიძება. „რა ღვთით მომადლებული ბედნიერებაა, ვფიქრობდი ჩემთვის, რომ ავადმყოფებს, ბედისაგან დაჩაგრულებს ძილში მაინც აღარ ახსოვთ თავიანთი სხეულის მანკი, რომ სიზმარში მაინც ესახებათ თავი ლამაზებად და სრულყოფილებად, რომ თვლემის ბურუსით გარემოცულ ზმანებათა სამყაროში ტანჯულნი, მაინც ახერხებენ თავი დააღწიონ იმ წყევლას, რომლითაც შერისხულია მათი სხეული“... ყველაზე მეტად გულს მიჩქროლებს ქალიშვილის ერთიმეორეზე გადაჯვარედინებული ხელები, ძარღვებით მქრქალად დაქსელილი, გრძელი, ნატიფი, ნაზი, სისხლნაკლული და უძლური ხელები, ალბათ საკმაოდ ძლიერნი იმისათვის, რომ პატარა ცხოველს ან ფრინველს მოეფერონ ვთქვათ, კურდღელს, მტრედს, მაგრამ ერთობ სუსტნი რაიმეს დასაჭერად, რაიმეს ჩასაჭიდებლად. „როგორ უნდა შეძლო, ვფიქრობ შეწუხებული, ასეთი საპყარი ხელებით ნამდვილი სატანჯველისგან დაიცვა თავი? ან რაიმე მოიპოვო ბრძოლით, ან დაიპყრო?“ და ლამის ზიზღით ვუყურებ ჩემს საკუთარ ხელებს მტკიცე, უხეშ, კუნთოვან და ძლიერ ხელებს, რომელთაც ძალუძთ სადავის ერთი მოწევით დაიოკონ ყველაზე ურჩი ცხენი.

ჩემდა უნებურად თვალი ხაოიანი საბნისკენ გამირბის, რომელიც მძიმე, ერთობ მძიმე ტვირთად აწევს ამ ბარტყივით მჩატე არსებას გამხდარ მუხლებზე. ამ გაუმჭვირვალე საბურავის ქვეშაა მოქცეული უსიცოცხლო, გაშეშებული ფეხები არ ვიცი, მოტეხილი აქვს ისინი, დამბლადაცემული, თუ მხოლოდ უძლური. სიმამაცე არ მყოფნიდა მეკითხა რამე მისთვის. წარმოვიდგინე, როგორ უჭერენ ყოველი გადაადგილებისას ეს საშინელი,

ფოლადისა თუ ტყავის სამარჯვეები, როგორ ამძიმებენ მას, რომლისთვისაც, რასაკვირველია, უფრო ბუნებრივია ლაღად სირბილი, ვიდრე თუნდაც სიარული.

ამ აზრმა უნებლიეთ ისე შემაკრთო, ისე შემძრა თავით ფეხებამდე, რომ დეზებმაც კი დაიწკარუნეს. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ძლივს გასაგონი ხმაური შეიძლებოდა ყოფილიყო, ვერცხლივით წკრიალა ჩქამი, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც დაარღვია ამ ხმამ მისი ძილი. შეშფოთებულმა ამოისუნთქა, მაგრამ თვალებს ჯერ არ ახელს, მისმა ხელებმა კი უკვე დაიწყეს გამოღვიძება. გოგონა ხელებს შლის, ჭიმავს, შემდეგ ისევ კუმშავს, თითქოს თითები გამოღვიძებისას იზმორებიან და ამთქნარებენო. მერე თვალებს ახელს, დაბნეულად ახამხამებს ქუთუთოებს და გაკვირვებული ათვალიერებს ირგვლივ ყველაფერს.

უეცრად, მისი მზერა მე აღმომაჩენს და მაშინვე შეშდება; ჯერჯერობით ეს მხოლოდ ოპტიკური კონტაქტია და შეგნებული აზრი ან მოგონება არ ჩართულა, მაგრამ კიდევ ერთი ბიძგიც და ქალიშვილი ბოლომდე იღვიძებს, შემიცნობს და სიწითლის ალმური ედება, ერთბაშად მთელი სისხლი გულიდან ღაწვებზე აწვება და კვლავ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ბროლის სასმისში წითელი ღვინო ჩაესხას ვინმეს.

– რა სულელურად გამოვიდა, – კოპებშეკრული ამბობს და დაბლა ჩაცურებულ საბანს ნერვიული მოძრაობით თავისკენ იწევს, თითქოს შიშველს წავდგომოდე თავზე, – რა სისულელე დამემართა! ეტყობა, ერთი წამით ჩამთვლიმა, – ამბობს და უკვე კარგად ვამჩნევ ჭექა-ქუხილის მოახლოების ნიშნებს ედითს ნესტოები უთრთის და გამომწვევად მიყურებს.

– მაშინვე რატომ არ გამაღვიძეთ? მძინარის ყურება რა სასიამოვნოა. ყველანი სასაცილონი ჩანან, როცა სძინავთ.

შეწუხებული იმით, რომ ჩემმა რუდუნებამ მისი რისხვა გამოიწვია, ვცდილობ ბრიყვული ხუმრობით გავიდე ფონს:

– სჯობს ძილში ჩანდე სასაცილო, – ვეუბნები მე, – ვიდრე ღვიძილში.

მაგრამ ამასობაში იგი ორივე ხელით სავარძლის სახელურებს ეყრდნობა, სავარძელში იმართება, შუბლზე კოპები აქვს შეკრული, ბაგე უთრთის და თვალს თვალში მიყრის.

– რატომ არ მოხვედით გუშინ?

ერთობ მოულოდნელად მიტევს ინკვიზიტორის კილოზე:

– ალბათ რაღაც განსაკუთრებული მიზეზი გქონდათ, თორემ ისე ხომ არ გვალოდინებდით ტყუილუბრალოდ. ალბათ, დარეკავდით მაინც.

რა შტერი ვარ! სწორედ ამ შეკითხვის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი და პასუხიც წინასწარ მომემზადებინა! მე კი ნაცვლად ამისა, დაბნეული ვდგავარ და ილონასთვის ერთხელ უკვე ნათქვამ მიზეზს ვიმეორებ: მოულოდნელად ცხენების ახალი პარტიის დათვალიერება მოაწყვეს და ხუთ საათზე კიდევ იმედი მქონდა, რომ გამოპარვასშევძლებდი-მეთქი, მაგრამ შემდეგ პოლკოვნიკმა მოისურვა ჩვენთვის თავისი ახალი ცხენი ეჩვენებინამეთქი და ა.შ. და ა.შ.

ედითი ერთი წამითაც არ მაშორებს მკაცრ და გამსჭვალავ მზერას. კიდევ უფრო იჭვნეულად მაკვირდება, თან მოუთმენლად აკაკუნებს თითებს სავარძლის სახელურებზე.

– მაშ ასე, – დასძენს ბოლოს ძალზე ცივად და მკვახედ, – როგორ დამთავრდა ცხენების შემოწმების გულისამაჩუყებელი ამბავი? იყიდა თუ არა პოლკოვნიკმა ის ახალი ბედაური?

კიდევ უფრო დაბნეული შევცქერი. ცალ ხელში ხელთათმანი უჭირავს და მაგიდას ურტყამს გამალებით, თითქოს სურს ამით გათავისუფლდეს მოუსვენრობისგანო. მუქარით მიყურებს და აგრძელებს:

– კმარა, გეყოფათ ამდენი სისულელის ჩმახვა! დარწმუნებული ვარ, ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი თქვენი ნათქვამიდან.

სულ უფრო და უფრო გაცხარებით ურტყამს ხელთათმანს მაგიდის კიდეს. ბოლოს გამეტებით განზე მოისვრის.

– ერთი სიტყვაც არ არის მართალი თქვენს მონაჭორში! ერთი სიტყვაც! მანეჟზე არ ყოფილხართ, არც ცხენები დაგითვალიერებიათ. უკვე ხუთის ნახევარზე კაფეში იყავით და, რამდენადაც ვიცი, იქ ცხენებს არ ხედნიან. ამაოდ ცდილობთ ჩემს მოტყუებას! ჩვენმა მძღოლმა სრულიად შემთხვევით გნახათ, რომ ექვს საათზე ისევ ქაღალდს თამაშობდით.

ხმას ვეღარ ვიღებ. ის კი განაგრძობს:

– თუმცაღა რატომ უნდა მრცხვენოდეს თქვენი? ნუთუ იმისთვის, რომ თქვენ ტყუილს მეუბნებით, მეც დამალობანა უნდა გეთამაშოთ? მე სულაც არ მეშინია სიმართლის თქმის! ასე რომ, იცოდეთ, შემთხვევით კი არ დაგინახათ ჩვენმა მძღოლმა, არამედ მე გამოვგზავნე, რომ შეეტყო, რა დაგემართათ. მეგონა, ავად გახდით, ან რაღაც უბედურება შეგემთხვათ, რაკი ტელეფონითაც კი არ დაგვირეკეთ, და თანაც... ახლა, თუ გნებავთ, ისიც იფიქრეთ, რომ ჭირვეული ვარ... ვერ ვიტან, როდესაც მალოდინებენ... ვერ ვიტან... და აი, ამიტომაც გავგზავნე მძღოლი, მაგრამ ყაზარმაში უთხრეს, ბატონი ლეიტენანტი საღ-სალამათი კაფეში ზის და ტაროკით ირთობს თავსო. ახლა ილონას ვთხოვე გაეგო, რატომ გვეპყრობით ასე უცერემონიოდ... იქნებ გუშინწინ რაღაც გაწყენინეთ... ზოგჯერ მართლაც თავს ვეღარ ვიოკებ ხოლმე და აუტანელი ვხდები... აი, ასე... როგორც ხედავთ, მე არ მრცხვენია გულახდილად გიამბოთ... თქვენ კი ყოვლად უხამს საბაბებს თითხნით... ნუთუ თავადვე ვერ გრძნობთ, რა სულმდაბლობაა, ასე უღირსად მეგობრის მოტყუება?

ამ სიტყვების შემდეგ მინდოდა მეპასუხა, ვგონებ, ვაჟკაცობაც მეყოფოდა, რომ მისთვის მთელი ის ბრიყვული ამბავიც მომეთხრო, ფერენცსა და იოჟისთან რომ გადამხდა, მაგრამ ედითი არ ცხრება და გაწიწმატებული ისევ აგრძელებს:

– გეყოთ ტყუილები!.. მეტს ნუღარ იცრუებთ, აღარ შემიძლია ამდენი სიყალბის ატანა! ლამის ყელში ამომივიდეს! დილიდან საღამომდე ტყუილებით მჭყიპავენ: „რა საუცხოოდ გამოიყურები დღეს, რა მშვენივრად დადიხარ დღეს... რა შესანიშნავია, რომ ასე კარგად მიდის საქმე, ბევრად უკეთ, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინ“, დილიდან საღამომდე სულ ერთსა და იმავე დამამშვიდებელ აბებს მაყლაპებენ და ვერავინ ამჩნევს, რომ ლამის დამახრჩოს ამდენმა სიცრუემ... პირდაპირ რატომ არ მეუბნებით: გუშინ არ მეცალა, ანდა

სურვილი არ მქონდა თქვენთან მოსვლის... არაფერი ისე არ გამახარებდა, ტელეფონით რომ დაგერეკათ: დღეს თქვენთან ვერ მოვალ, ქალაქში მინდა ვიხეტიალო... ნუთუ ისეთ ტუტუცად მიგაჩნივართ, რომ არ შემიძლია გავიგო, რა მოსაბეზრებელი უნდა იყოს ზოგჯერ თქვენთვის კეთილი სამარიტელის როლის თამაში, და რომ მოწიფულ მამაკაცს ცხენზე ჯდომა და ჯირითი ან სეირნობით მუხლმაგარი ფეხების მოთელვა ურჩევნია სხვისი სავარძლის გვერდით ჯდომას? მხოლოდ ერთი რამ მძულს, მხოლოდ ერთ რამეს ვერ ვიტან: თავის მოკატუნებას, სიცრუესა და სიყალბეს, ყელში მაქვს ამოსული! არც ისეთი სულელი ვარ, როგორც ყველას გგონიათ, და შემიძლია გულწრფელობის მოზრდილ ულუფას გავუმკლავდე... აი, თუნდაც ის... რამდენიმე დღის წინ ჭურჭლის მრეცხავი ავიყვანეთ, ჩეხი დედაკაცი, რადგან მანამდე ვინც გვყავდა, ის გარდაიცვალა. პირველ დღეს, როცა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ჩემ შესახებ, ხედავს ჩემს ყავარჯნებს, ხედავს, როგორ მეხმარებიან სავარძელში ჩაჯდომას, თავზარდაცემულს ჯაგრისი ხელიდან უვარდება და ხმამაღლა ამბობს: „ო, ღმერთო, რა საცოდაობაა, რა საცოდაობა, ასეთი მდიდარი, კეთილშობილი ქალიშვილი რომ ხეიბარია!“ ილონა გაშმაგებული მივარდა ამ ალალ დედაკაცს, მაშინვე უნდოდათ დაეთხოვათ და გაეგდოთ სახლიდან ის საწყალი, მაგრამ მე არაფერი მწყენია, პირიქით, მისი სიტყვები თითქოს მალამოდ მომედო კიდეც, რადგან, ასეა თუ ისე, გულწრფელობის, ადამიანობის გამოვლენაა, როდესაც მოულოდნელად ასეთ რამეს იხილავ და შეძრწუნდები. ათი კრონა ვაჩუქე და მაშინვე ეკლესიაში გაიქცა, რომ ჩემთვის ელოცა... მთელი დღე მიხაროდა, დიახ, მართლა მიხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს შევიტყვე, რას განიცდის უცხო ადამიანი, როცა პირველად მხედავს... თქვენ კი, თქვენ გჯერათ, რომ სათუთი სიყალბით „მზოგავთ“ და ასე წარმოგიდგენიათ, რომ თქვენი წყეული გაფრთხილებარამედ მარგია... თუ გგონიათ, რომ თვალები არ მაქვს და თქვენი ყბედობის მიღმა იმავე ძრწოლასა და დაბნეულობას ვერ ვხედავ, როგორიც იმ მართალმა, ერთადერთმა გულწრფელმა ქალმა გამოამჟღავნა? ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ვერ ვამჩნევ, როგორ შეგეკვრებათ ხოლმე სუნთქვა, როცა ყავარჯნებს მოვიმარჯვებ და როგორი გაფაციცებით ცდილობთ ხოლმე საუბარი არ შეწყვიტოთ, რათა ვერაფერი შევნიშნო?! თითქოს ყველას თავიდან ფეხებამდე არ გიცნობდეთ თქვენი ვალერიანის წვეთებითა და შაქრით, შაქრითა და ვალერიანის წვეთებით მთელი ამ საზიზღარი სამსალით... ო, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ყოველთვის შვებით ამოისუნთქავთ ხოლმე, როდესაც კარს გაიხურავთ და მძორივით დაგდებულს მტოვებთ აქ... თვალნათლივ ვხედავ, როგორ აღაპყრობთ ხოლმე მზერას ზეცისკენ და ამოიოხრებთ: „საბრალო ბავშვი“. მაგრამ მე მსხვერპლი არ მჭირდება! არ მინდა მოვალედ მიგაჩნდეთ თავი და ისე მიმასპინძლდებოდეთ ყოველდღიურად თანაგრძნობით. მიმიფურთხებია თქვენი უმოწყალესი თანაგრძნობისთვის! ერთხელ და სამუდამოდ გთხოვთ და იცოდეთ, რომ სიბრალულს არ ვსაჭიროებ! თუ გინდათ მოსვლა, მოდით, თუ არ გინდათ, ნუ მოხვალთ! ოღონდ პატიოსანი იყავით და არაკებს ნუ მოჰყვებით ცხენების დათვალიერებასა და გახედნაზე! არ შემიძლია... მეტს ვეღარ ავიტან ტყუილსა და ამაზრზენ ლმობიერებას...

უკანასკნელი სიტყვები დიდი მღელვარებით წარმოთქვა, თვალები ანთებული ჰქონდა, სახე გაფითრებული. შემდეგ ერთბაშად მოდუნდა, ღონემიხდილმა თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო. თანდათანობით დაუბრუნდა ფერი ჯერ კიდევ მთრთოლვარე ტუჩებზე.

– აი, ასე, – ამოიოხრა ძლივს გასაგონად და თავი ჩაღუნა, – ერთხელ ხომ მაინც უნდა მეთქვა ეს! ახლა კი კმარა! ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. მომეცით... სიგარეტი მომეცით.

და ერთბაშად უცნაური რამ მემართება. საერთოდ თავის დაჭერა ურიგოდ როდი შემიძლია და ხელიც მედგარი და მტკიცე მაქვს, მაგრამ ამ მოულოდნელმა აფეთქებამ ისე შემაცბუნა, რომ კიდურებში ძალა გამომეცალა. გაჭირვებით ვიღებ პორტსიგარიდან სიგარეტს, ვაწვდი ქალიშვილს და ასანთს ვკრავ. მაგრამ ისე მიკანკალებს თითები, რომ ანთებული ღერი ლამის გამივარდეს, ალი ფარფატებს და ქრება. იძულებული ვარ ახლა მეორე ავანთო, მაგრამ ისიც უნიათოდ ბჟუტავს ჩემს აკანკალებულ ხელში, ვიდრე ედითი სიგარეტს უკიდებს. ეტყობა, მისთვისაც თვალში საცემია ჩემი მოუქნელობა და ხვდება, როგორი შეწუხებულიც ვარ, რადგან უკვე სულ სხვა ხმით, გაოცებული და მთრთოლარე ხმით, თითქმის ჩურჩულით მეკითხება:

– რა მოგივიდათ? როგორ კანკალებთ... რამ... რამ აგაღელვათ ასე ძალიან?.. თქვენ რატომ განაღვლებთ ეს ყველაფერი?

ასანთის პატარა ალი ქრება, იქვე, სკამზე ვჯდები. ქალიშვილი კი გულაჩუყებული ბუტბუტებს:

– როგორ შეიძლება ჩემმა სულელურმა ყბედობამ ასე აგაღელვოთ?.. მამა მართალია: თქვენ ნამდვილად... ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ. იმ წუთში ჩვენს ზურგს უკან ყრუ ზრიალი გაისმის, ეს ლიფტის ხმაა, რომელიც ერდოზე ამოდის. იოზეფი კარს აღებს და კაბინიდან კეკეშფალვა გამოდის. დამნაშავის სახე აქვს, გაუბედავად შემოგვცქერის, ჩვეულებისამებრ მხრებშია მოხრილი.

სასწრაფოდ ვდგები სკამიდან და მომხვდურს ვესალმები. ისიც თავს მიკრავს და მაშინვე ედითისკენ იხრება, რომ შუბლზე ეამბოროს. შემდეგ უხერხული დუმილი ჩამოწვება. ამ სახლში ხომ ყველა ყველაფერს ხვდება რაღაც განსაკუთრებული ალღოთი. ეჭვს გარეშეა, ბერიკაცმა იგრძნო, რომ ჩვენ შორის რაღაც მოხდა. თავი აქვს ჩაქინდრული და ისე დგას. ვატყობ, რომ სიამოვნებით ახლავე უკან გატრიალდებოდა. ედითი ცდილობს, უხერხულობა გაფანტოს.

– წარმოგიდგენია, მამა, ბატონი ლეიტენანტი დღეს პირველად არის ჩვენი კოშკის აივანზე.

– დიახ, აქ მართლაც საუცხოოა, – ვამბობ მე, მაგრამ მაშინვე ვხვდები, რომ უადგილოა ჩემი სიტყვები და ისევ ვჩუმდები.

უხერხულობის დასაძლევად კეკეშფალვა სავარძლისკენ იხრება:

– ვშიშობ, რომ მალე აქ ერთობ აგრილდება შენთვის. ხომ არ აჯობებს, დაბლა ჩავიდეთ? მიმართავს ედითს.

– კარგი, – კვერს უკრავს ედითიც.

ყველას გვიხარია, რომ საბაბი გვეძლევა, სხვა რამეზე გადავიტანოთ ჩვენი ყურადღება, ჩასვლის წვრილმანი სამზადისით გავერთოთ: წიგნებს ვუყრით თავს, ედითს შალს ვასხამთ, ვაწკარუნებთ ზარს, რომელიც აქაც დევს მაგიდაზე, ისევე როგორც ყველა სხვა მაგიდაზე ამ სახლში. ორი წუთის შემდეგ ზრიალით ამოდის ლიფტი და იოზეფი ფრთხილად მიაგორებს მისკენ ედითის სავარძელს.

– ჩვენც ახლავე ჩამოვალთ, – ნაზად ხელს უსვამს ედითს კეკეშფალვა, – ვახშმისთვისაც მოემზადე. მე და ბატონი ლეიტენანტი კი ამასობაში ცოტა ხნით ბაღში გავისეირნებთ.

მსახური ლიფტის კარს ხურავს და კაბინა ფეხებდადამბლავებულ ქალიშვილთან ერთად ისე ეშვება დაბლა, თითქოს სამარეში ჩადიოდეს. ბერიკაცი და მე უნებლიეთ ზურგს ვაქცევთ ამ სანახაობას. ორივენი ვდუმვართ. მაგრამ ერთბაშად ვამჩნევ, რომ მოხუცი გაუბედავად ჩემკენ მოიწევს.

– თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ერთ რამეზე მინდა მოგელაპარაკოთ... – ამბობს თითქმის ჩურჩულით, – ან, უფრო სწორად, ერთი რაღაც მინდა გთხოვოთ...თუ გნებავთ, ჩემს კაბინეტში დავსხდეთ, კანტორის შენობაში... მხოლოდ, რა თქმა უნდა, თუ თქვენთვის სამძიმო არ იქნება... თორემ... თორემ ბაღშიც შეგვეძლო გაგვესეირნა.

– რას ბრძანებთ, ამით მხოლოდ პატივს მდებთ, ბატონო ფონ კეკეშფალვა, – ვპასუხობ მე.

ამ დროს ლიფტიც მოზრიალებს ჩვენს წასაყვანად. დაბლა ჩავდივართ, ეზოს ირიბად ვსერავთ და კანტორის შენობისკენ მივაბიჯებთ. თვალში მხვდება, როგორ ფრთხილად, ლამის კედელზე აკრული მოიპარება ჩემი მასპინძელი სახლის გასწვრივ. ლამის ოთხად მოიკეცოს, თითქოს ეშინია, ვინმემ არ წამასწროსო. უნებლიეთ სხვა რა გზა მაქვს მეც ასევე ფეხაკრეფით მივდევ უკან.

კანტორა დაბალი, ცუდად შეთეთრებული შენობაა. ბერიკაცი შენობის ბოლოში კარს აღებს და მის კაბინეტში შევდივართ, რომელიც ჩემი ყაზარმის ოთახს მაგონებს დანჯღრეული, ძველი იაფფასიანი საწერი მაგიდა, სულ ერთიანად დალაქავებული ძველისძველი ჩალის სკამები, კედელზე გაკრულ დაგლეჯილ ფარდაგზე კი რაღაც ცხრილები კიდია, რომლებსაც, ეტყობა, მრავალი წელია აღარავინ იყენებს. დამყაყებული სუნიც ჩვენს სამხედრო კანცელარიებს მაგონებს. თვალის ერთი შევლება მყოფნის, რომ მივხვდე: ბერიკაცს მთელი ფუფუნება, მთელი კომფორტი მხოლოდ შვილისთვის აქვს, საკუთარი თავისთვის კი წუწურაქი გლეხივით არაფერი ემეტება: პირველად შევნიშნე ისიც, როგორ პრიალებს და გაცრეცილი აქვს იდაყვებზე შავი სერთუკი: ალბათ უკვე ათი ან თხუთმეტი წელია გაუხდელად აცვია.

კეკეშფალვა ჩემკენ აჩოჩებს შავტყავგადაკრულ განიერ სავარძელს, რომელიც ერთადერთი მოხერხებული ნივთია მთელ კაბინეტში.

– დაბრძანდით, ბატონო ლეიტენანტო, დაბრძანდით, გეთაყვა, – მეუბნება ერთგვარად ალერსიანი, მაგრამ მტკიცე ხმით და ვიდრე რამის თქმას მოვასწრებდე, თავად ერთ-ერთ ჩალის სკამზე ჯდება. თითქმის გვერდიგვერდ ვსხედვართ ერთმანეთთან; ველოდები როდის დაიწყებს და თანაც მიკვირს, მას, ასე მდიდარს, მილიონერს, ჩემსავით გაღლეტილ ლეიტენანტთან რა სათხოვარი უნდა ჰქონდეს? ბერიკაცი ჯიუტად

დასჩერებია იატაკს. მესმის, როგორ მძიმედ და ღრმად სუნთქავს მისი წინწამოწეული მკერდი. ბოლოს კეკეშფალვა მაღლა სწევს თავს. შუბლზე ოფლის წვეთები აქვს მძივებივით მომდგარი, დაორთქლილ სათვალეს იხსნის და ამ მოელვარე საფარის გარეშე მისი სახე სულ სხვანაირი ჩანს: უფრო შიშველი, განძარცული და ტრაგიკული, როგორც ეს ხშირად ემართებათ ბეცი თვალების მქონეთ. ახლა მისი თვალები უფრო უნიათო და დაღლილია, ვიდრე შუშებს მიღმა. ოდნავ დაწითლებულ ქუთუთოებზე ვატყობ, რომ ამ მოხუცს ძილი გაკრთობია. კვლავ ვგრძნობ, როგორ წამლეკა მხურვალე ტალღამ მე უკვე ვიცი, ეს თანაგრძნობაა. ახლა მდიდარი ბატონი ფონ კეკეშფალვა კი არ ზის ჩემ წინ, არამედ ზრუნვით აღსავსე მოხუცი ბერიკაცი.

მაგრამ აი, ჩაახველა და იწყებს:

– ბატონო ლეიტენანტო, – ჩახლეჩილი ხმა ჯერაც არ ემორჩილება, – თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს... რასაკვირველია, კარგად ვიცი, რომ საამისო უფლება არ გამაჩნია. როგორ შეიძლება შეგაწუხოთ, როდესაც ხეირიანად არც კი ვიცნობთ ერთმანეთს... თუმცა შეგიძლიათ უარიც მითხრათ... რა თქმა უნდა, შეგიძლიათ უარი მითხრათ... ალბათ ჩემგან ეს თავხედობაა, აბეზრობაც, მაგრამ პირველი დანახვისთანავე ნდობით განვიმსჭვალე თქვენ მიმართ. მაშინვე შეგატყვეთ, რომ კეთილი, გულისხმიერი ადამიანი ხართ. დიახ, დიახ, დიახ – სამჯერ გაიმეორა მან, რადგან უარის ნიშნად ხელები გავასავსავე – კეთილი ადამიანი ხართ. რაღაც ისეთი რამ გაქვთ, რაც ნდობას იმსახურებს და ზოგჯერ... ასე მგონია, თითქოს ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი... თქვენ ხართ სწორედ ის ადამიანი, რომელთანაც გულახდილად შემეძლება ლაპარაკი... და თანაც ჩემი სათხოვარიც არც ისე დიდია... მაგრამ ეს რა არის, მე ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ და არც კი გეკითხებით, გსურთ მომისმინოთ თუ არა.

– რას ბრძანებთ, მთელი გულისყურით გისმენთ.

– გმადლობთ... როდესაც მოხუცდები კაცი, საკმარისია ერთი შეავლო თვალი ადამიანს და მაშინვე მიხვდები, რასაც წარმოადგენს... მე ვიცი, რა არის კეთილი ადამიანი, ვიცი, ჩემი ცოლის წყალობით, ღმერთმა აცხონოს... პირველად უბედურებამ მაშინ დამრია ხელი, როცა ის გარდაიცვალა, და მაინც ახლა ვეუბნები ხოლმე ჩემს თავს: იქნებ უკეთესიც იყო, რომ შვილის უბედურებას არ მოესწრომეთქი... ვერ გაუძლებდა ამას. იცით, როცა ხუთი წლის წინათ ეს ამბავი დაიწყო... არ მჯეროდა, რომ დიდხანს გასტანდა... და ან კი როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ ბავშვი, ისეთივე, როგორიც ყველა სხვა, დარბის, თამაშობს, ციბრუტივით ტრიალებს... და უეცრად ყოველივე ამას ბოლო ეღება, სამუდამოდ ბოლო ეღება... ხოლო შემდეგ... ყოველ ჩვენგანს ხომ ექიმების ნდობა ოდითგანვე აქვს ჩაგონებული... გაზეთებიდანაც არაერთხელ გამიგონია, რა სასწაულებს ახდენენ ისინი: გულის ჭრილობის გაკერვასა და თვალის გადანერგვასაც კი... და აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება დაეჭვდე, რომ ყველაზე უბრალო რამეს ვერ შეძლებენ, რომ ბავშვს ვერ უშველიან, გოგონას, რომელიც ჯანმრთელი დაიბადა, ამ უბედურების შემდეგ ფეხზე ვერ წამოაყენებდნენ. ამიტომ თავდაპირველად დიდად არც შევშინებულვარ, რადგან მაშინ არ მეგონა, ერთი წამითაც არ შემეძლო იმის დაჯერება, რომ ღმერთი ასეთ რამეს მოიმოქმედებდა, რომ ბავშვს, უცოდველ ბავშვს სამუდამოდ

შერისხავდა... დიახ, მე რომ დამმართოდა ასეთი რამ, კიდევ ჯანდაბას ჩემი ფეხები უკვე საკმაო ხანია დამატარებენ ამქვეყნად. რაღაში მჭირდებიან... და თანაც მე კარგი ადამიანი არ ვყოფილვარ, ბევრი ცუდი რამ მაქვს გაკეთებული, მე თვით... რაო, რას ვამბობდი ჰო... ჰო, მართლა: მე რომ დავესაჯე, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ როგორ შეიძლება ღმერთმა სხვას დაატეხოს რისხვა, უდანაშაულოს... და ან გაუგებარი არ არის, რომ ცოცხალ ადამიანს, ბავშვს, ერთბაშად ფეხები წაერთვას რაღაც არარაობის, რაღაც ბაცილის გამო, როგორც ექიმები ამტკიცებენ და ჰგონიათ, რომ ამით რაღაც თქვეს. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ ბავშვი კიდურებწართმეული წევს, აღარც სიარული შეუძლია, აღარც განძრევა, შენ კი თავს ადგახარ და ვერაფერს შველი... აბა, როგორ შეიძლება ასეთ რამეს შეურიგდეს კაცი? – მან სწრაფად გადაისვა ხელი ოფლისაგან სველ, აწეწილ თმაზე, – რა თქმა უნდა, ექიმი არ დამრჩა, რომ არ მიმემართა... ვისთან არ მყავდა, ვინ არ მოვიწვიე! ყველას გავასინჯე, თუკი ოდნავ სახელგანთქმული მაინც იყო. ისინი რჩევა-დარიგებებს გვაძლევდნენ, ლათინურად ლაპარაკობდნენ, კონსილიუმებს მართავდნენ. ერთი, ერთი საშუალებით მკურნალობდა, მეორე მეორით. შემდეგ აცხადებდნენ, ვიმედოვნებთ, გვჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნებაო, გასამრჯელოს იღებდნენ და მიდიოდნენ, ყველაფერი კი ძველებურად რჩებოდა... კაცმა რომ თქვას, ახლა საგრძნობლად უკეთ არის ადრე გულაღმა იწვა გაშეშებული, მთელი სხეული დადამბლავებული ჰქონდა, ახლა კი მკლავები და წელზევით ტანი ნორმალური აქვს. შეუძლია ყავარჯნებით იმოძრაოს... ოდნავი უკეთესობა, არა, უსამართლო არ უნდა იყოს კაცი, საგრძნობი უკეთესობა ემჩნევა... მაგრამ მთლიანად ვერავინ უშველა... ყველანი მხრებს იჩეჩდნენ და ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: მოთმინება, მოთმინება, მოთმინებაო... მხოლოდ ერთმა არ აიღო ხელი, მხოლოდ ერთმა ექიმმა კონდორმა... არ ვიცი, გსმენიათ თუ არა, თქვენ ხომ ვენელი ხართ?

არა-მეთქი, მივუგე. ეს გვარი არ მსმენია არასდროს.

– რა თქმა უნდა, აბა საიდან უნდა იცნობდეთ, თქვენ ხომ ჯანმრთელი ადამიანი ხართ, თანაც ის იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვისაც თავი მოაქვს... პროფესორიც კი არ არის, არც დოცენტი... და, ჩემი აზრით, ბევრი პაციენტიც არ უნდა ჰყავდეს... ან, უფრო სწორად, არ ცდილობს, რომ ბევრი ჰყავდეს. საკვირველი, ძალზე თავისებური კაცია... არ ვიცი, შევძლებ თუ არა სწორად აღგიწეროთ. ჩვეულებრივი შემთხვევები, რომლებსაც ექიმბაშიც კი გაართმევს თავს, არ აინტერესებს, მხოლოდ მძიმე შემთხვევები იტაცებს, მხოლოდ ისეთები, რომელთა წინაშე სხვა ექიმები მარტოოდენ მხრებს იჩეჩენ და გვერდს უვლიან. მე განსწავლული არ ვარ ექიმობაში და, რა თქმა უნდა, ვერ დავიჩემებ, ექიმი კონდორი სხვებზე უკეთესი მკურნალია-მეთქი... მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ როგორც ადამიანი, ბევრად სჯობს სხვებს. პირველად მაშინ ვნახე, როცა ჩემი ცოლი ავადმყოფობდა. საოცარი შემართებით იბრძოდა მისი სიცოცხლისათვის... ის ერთადერთი იყო, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე არ სურდა დაეთმო, და უკვე მაშინ ვიგრძენი, რომ ეს კაცი ყველა ავადმყოფთან ერთად ცოცხლობს და კვდება. მას, არ ვიცი, სწორად გამოვთქვამ თუ არა ჩემს აზრს, პირდაპირ რაღაც ვნება აქვს სურს

ავადმყოფობაზე ძლიერი აღმოჩნდეს... იმათ კი არა ჰგავს, მხოლოდ პატივმოყვარეობა და სიხარბე რომ ამოძრავებთ, ოღონდ ფული მოხვეტონ, პროფესორები და კარისმრჩეველნი გახდნენ და არ ანაღვლებთ დანარჩენი... კონდორი თავის თავზე კი არ ფიქრობს, არამედ სხვებზე, ვინც იტანჯება... ო, ის არაჩვეულებრივი ადამიანია!

ბერიკაცი აღელდა. აქამდე ჩამქრალი თვალები უცებ აუელვარდა.

– არაჩვეულებრივი ადამიანია-მეთქი, გეუბნებით, ბედის ანაბრად არავის ტოვებს. ყოველი შემთხვევა მისთვის მოვალეობადაა ქცეული... ასეც მინახავს, თითქოს დამნაშავედ გრძნობდეს თავს, როდესაც შველა აღარ შეუძლია... და ამის გამო, თქვენ ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ გეფიცებით, ნამდვილი ამბავია, ერთხელ, როდესაც ვერ შეძლოჩანაფიქრის განხორციელება... ქალი მხედველობას კარგავდა და დაჰპირდა, მოგარჩენო... მაგრამ როდესაც ის ქალი მაინც დაბრმავდა, ექიმმა იგი ცოლად შეირთო. წარმოგიდგენიათ, ყმაწვილმა კაცმა ბრმა ქალი მოიყვანა ცოლად, თანაც შვიდი წლით უფროსი, შეუხედავი, უფულო და ყველაფერთან ერთად ავზნიანიც. ახლაც მხრებზე აწევს მას ეს ტვირთი, ქალი კი მადლიერიც არ არის... განა აქედან არ ჩანს, რა კაციც არის?.. ასე რომ, ახლა გესმით, რა ბედნიერი ვარ, რომ მას შევხვდი... კაცს, რომელიც ჩემი შვილისთვის ისევე ზრუნავს, როგორც მე. ანდერძშიც კი შევიტანე მისი სახელი... თუ საერთოდ რამე ეშველება, ის უშველის ჩემს გოგონას. ღმერთმა ქნას! ღმერთმა ქნას!

ამ სიტყვებზე ბერიკაცმა ხელები ზეაღაპყრო, თითქოს ლოცულობსო, შემდეგ ხელის მარდი მოძრაობით კიდევ უფრო ახლოს მოიდგა სკამი.

– ახლა კი ყური დამიგდეთ, ბატონო ლეიტენანტო. მე ხომ რაღაც მინდა გთხოვოთ. უკვე გითხარით, როგორი გულისხმიერი კაცია ექიმი კონდორი... მაგრამ იცით, რა... სწორედ ის მაფიქრებს, რომ ასეთი კეთილი ადამიანია... წარმოიდგინეთ, მუდამ ვშიშობ... მუდამ მეშინია, რომ ვეცოდები და ამის გამო სიმართლეს არ მეუბნება, რაღაცას მაინც მიმალავს... ერთთავად მაიმედებს და მანუგეშებს: აუცილებლად უკეთესად გახდება, სულ უფრო და უფრო უკეთესად და ბოლოს სავსებით განიკურნებაო, მაგრამ როდესაც ჩავაცივდები ხოლმე, მაინც როდის-მეთქი, პირდაპირ პასუხს მუდამ ერიდება და მოთმინებაა საჭირო, მოთმინებაო, მარტოოდენ ამას გაიძახის. მაგრამ მე ხომ დარწმუნებული უნდა ვიყო... მე, მოხუცმა და სნეულმა, განა არ უნდა ვიცოდე, მოვესწრები თუ არა შვილის ბოლომდე გამოჯანმრთელებას?.. არა, მერწმუნეთ, ბატონო ლეიტენანტო, ამ გაურკვევლობაში აღარ შემიძლია ყოფნა, აღარ მაქვს ძალა ასე ვიცხოვრო... დანამდვილებით უნდა ვიცოდე, მორჩება თუ არა და როდის მორჩება...

მღელვარებისგან ფეხზე წამოდგა, სამიოდე ნაბიჯი გადადგა და ფანჯარას მიუახლოვდა. უკვე ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდა. ყოველთვის, როცა კი თვალზე ცრემლი მოადგებოდა, იმით შველიდა თავს, რომ მარდად შეტრიალდებოდა და ზურგს შეაქცევდა მოსაუბრეს. მასაც, ედითის მსგავსად, არ უყვარდა, როცა ებრალებოდათ. როგორ ჰგავდნენ ამ წამს მამაშვილი ერთმანეთს... ბერიკაცმა შავი სერთუკის უკანა ჯიბეში ჩაიყო ხელი, მოუქნელად აფათურებდა შიგ, ცხვირსახოცი ჩაბღუჯა მუშტში და ისე ამოიღო. ამაოდ ცდილობდა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ ვითომ ოფლს იწმენდდა შუბლიდან. გარკვევით ვხედავდი მის დაწითლებულ ქუთუთოებს. ერთი-ორჯერ გაიარ-

გამოიარა ოთახში; ჭრიალისა თუ კვნესის ხმა შემომესმა რამდენჯერმე. აღარ ვიცოდი, დამპალი იატაკის ფიცრები გამოსცემდნენ ამ ბგერებს მის ფეხქვეშ, თუ თვითონ ეს მოფამფალებული მოხუცი. ბოლოს სული მოითქვა იმ მოცურავესავით, რომელსაც წყლის ქვეშ დიდხანს მოუწია ყოფნამ.

– მომიტევეთ... ამაზე არ მინდოდა ლაპარაკი... არა, რის თქმას ვაპირებდი?.. ჰო, ხვალ ექიმი კონდორი ისევ ჩამოდის ვენიდან, ტელეფონით დამირეკა... რეგულარულად ჩამოდის ხოლმე ყოველ ორსამ კვირაში ერთხელ ავადმყოფის სანახავად... ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ ფეხს არ მოვაცვლევინებდი აქედან... ჩვენთან შეეძლო ეცხოვრა, რამდენიც უნდა ეთხოვა, ყველაფერს მივცემდი, მაგრამ ის ამბობს, ცვლილებების შესამჩნევად დროის გარკვეული შუალედი მჭირდებაო. მართლა, რისი თქმა მსურდა? ჰო, გამახსენდა... ასე რომ, ხვალ ჩამოვა და ნაშუადღევს ედითს გასინჯავს, შემდეგ ყოველთვის ვახშმად რჩება ხოლმე და ღამე ჩქარი მატარებლით ბრუნდება უკან. ვიფიქრე, ვინმემ რომ სხვათა შორის, ვითომდა შემთხვევით ჰკითხოს ედითის მდგომარეობის შესახებ, სრულიად უცხო ვინმემ-მეთქი... ჰკითხოს, სავსებით გამოჯანმრთელდება თუ არა, ჩემი გოგონა. ოდესმე თუ შეძლებს დამოუკიდებლად ფეხზე გავლას... გესმით, სავსებით, და რამდენი ხანი სჭირდება ამას მისი ვარაუდით... ასე მგონია, თქვენ არ მოგატყუებთ, აბა, რაში სჭირდება თქვენი დანდობა, არხეინად შეუძლია სიმართლე გითხრათ... ჩემი ამბავი სხვა არის, ჩემთან ალბათ მაინც იძულებულია ბოლომდე გულახდილი არ იყოს. მე მამა ვარ, მოხუცებული, ავადმყოფი და თანაც კარგად იცის, როგორ მიკვდება გული ამ ამბით...ოღონდ, რა თქმა უნდა, არასგზით არ უნდა შეამჩნევინოთ, რომ მე დაგავალეთ ეს საქმე... ვითომ სულ შემთხვევით ჩამოუგდეთ ამაზე ლაპარაკი... თანახმა ხართ?.. ითავებთ ამას ჩემი გულისთვის?

აბა, როგორ შემეძლო უარი მეთქვა? ბერიკაცი ჩემ წინ იჯდა და თვალცრემლიანი ელოდა ჩემგან დასტურს, როგორც ბუკის ხმას ელოდებიან ხოლმე განკითხვის ჟამს. რასაკვირველია, დავთანხმდი. და მანაც, გახარებულმა, მაშინვე ორივე ხელი გამომიწოდა.

– ასეც ვიცოდი!.. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იმ ამბის შემდეგ... ისევ მოხვედით ჩვენთან და ესოდენ გულისხმიერი იყავით ავადმყოფი ქალიშვილისადმი... აი, ხომ გახსოვთ... მივხვდი, რომ თქვენ იყავით ის ადამიანი, ვინც გამიგებდა... რომ თქვენ, სწორედ თქვენ შეეკითხებოდით... სიტყვას გაძლევთ, გეფიცებით, რომ არც მანამდე და არც შემდეგ არავისთან კრინტს არ დავძრავ, არც ედითს, არც კონდორს, არც ილონას ვეტყვი რამეს... მხოლოდ მე მეცოდინება, რაოდენ დიდი სამსახური გამიწიეთ.

– აჰ, რას ბრძანებთ, ბატონო ფონ კეკეშფალვა... ეს ხომ სულ იოლი საქმეა.

– არა, იოლი საქმე არ არის... თქვენ ძალზე დიდ... ძალზე დიდ სამსახურს მიწევთ... ძალზე დიდს! და თუ... – თან ამ სიტყვებზე ოდნავ მოიხარა და ხმასაც დაუწია, თითქოს შიშისგან სადღაც გაეპარაო, – თუ, ჩემი მხრივ, შევძლებ რამით დაგეხმაროთ... იქნებ თქვენ...

ეტყობა, შეძრწუნებულმა უკან დავიწიე (ნუთუ ახლავე სურდა გამსწორებოდა?), რადგან სასწრაფოდ დაუმატა, თან ბლუსავით ენა ებმოდა (ასე ემართებოდა ყოველთვის, როცაძლიერ ღელავდა).

– არა, ცუდად არ გამიგოთ... მე ხომ... მე ხომ მატერიალურს არაფერს ვგულისხმობ... მხოლოდ ჩემი კარგი ნაცნობობა მქონდა მხედველობაში... უამრავ ხალხს ვიცნობ სამინისტროებში და მათ შორის, სამხედრო სამინისტროშიც... ჩვენს დროში კი დიახაც არ აწყენს კაცს, თუ ისეთი ვინმე ჰყავს, ვისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს... რასაკვირველია, მხოლოდ ამას ვგულისხმობდი... ყველას შეიძლება ასეთი კრიტიკული მომენტი დაუდგეს... მხოლოდ და მხოლოდ ამის თქმა მსურდა...

გაუბედაობამ და დაბნეულობამ, რომლითაც კეკეშფალვამ დახმარება შემომთავაზა, სირცხვილში ჩამაგდო. მთელი ეს ხანი ერთხელაც არ გაუსწორებია თვალი ჩემთვის, სულ დაბლა ჰქონდა დახრილი, თითქოს საკუთარ ხელებს მიმართავსო. მხოლოდ ახლაღა მოსწყვიტა მათ მზერა, შეშფოთებულმა გამოიხედა, ხელის ფათურით მოძებნა სათვალე, რომელიც მაგიდაზე იდო და აკანკალებული თითებით კვლავ ცხვირზე დაიკოსა

– იქნებ სჯობს, – წაიბუტბუტა შემდეგ, – რომ დავბრუნდეთ, თორემ... ედითს შეუმჩნეველი არ დარჩება, ჩვენი ამდენი ხნით დაგვიანება. სამწუხაროდ, საშინელი სიფრთხილეა მასთან საჭირო; მას შემდეგ, რაც ავად არის... რაც ავად არის, თითქოს შეგრძნების უნარი უფრო გაუმძაფრდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს აქვს. თავის ოთახშია გამოკეტილი და მაინც ყველაფერი კარგად იცის, რაც სახლში ხდება... ხეირიანად პირის გაღებას ვერ მოასწრებ და უკვე იცის, რაც უნდა თქვა... ასე რომ, ვაითუ, ახლაც... ამიტომ ვამბობ, წავიდეთ, ვიდრე ეჭვი არ აუღია.

უკან დავბრუნდით. სასტუმრო დარბაზში უკვე გველოდა ედითი თავის გორგოლაჭიან სავარძელში. შევედით თუ არა, ნაცრისფერი, გამჭრიახი თვალები მოგვაპყრო, თითქოს უნდოდა ჩვენს ოდნავ შეშფოთებულ და დაბლა დახრილ სახეებზე ამოეკითხა ის, რაზეც ვილაპარაკეთ. ვინაიდან იოტისოდენადაც არ გავეცით თავი, მთელი საღამო შესამჩნევად სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილი იყო.

* * *

კეკეშფალვასთან საუბარში მე „იოლი“ ვუწოდე მის თხოვნას. მე რაც შეიძლება ძალდაუტანებლად, ვითომც აქ არაფერიო, უნდა გამომეკითხა უცნობი ექიმისათვის, როგორი იყო დამბლადაცემული ქალიშვილის გამოჯანმრთელების პერსპექტივა; და მართლაც, თუ გარეშე მაყურებლის თვალით შევხედავდით, არაფერი იყო საძნელო, მაგრამ ალბათ გამიჭირდება კიდეც იმის აღწერა, რაოდენ ბევრს ნიშნავდა პირადად ჩემთვის ეს მოულოდნელი დავალება. ყმაწვილი კაცის თვითშეგნებას ხომ არაფერი ისე არ ამაღლებს და არაფერი ისე ხელს არ უწყობს მისი ხასიათის ჩამოყალიბებას, როგორც მის წინაშე მოულოდნელად დაყენებული ამოცანა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინიციატივითა და ძალებით უნდა გადაჭრას. რა თქმა უნდა, ადრეც შემხვედრია საპასუხისმგებლო საქმე, მაგრამ ყოველთვის სამსახურებრივი, სამხედრო,

რომელიც მე, როგორც ოფიცერს, ჩემი უფროსის ბრძანების მიხედვით და ჩემი უფლება-მოვალეობის მკაცრად დადგენილი საზღვრების დაურღვევლად უნდა შემესრულებინა (ვთქვათ, ესკადრონისთვის მეთაურობა გამეწია, აღალის ადგილზე ჩასვლა უზრუნველმეყო, ცხენები შემესყიდა, რიგით ჯარისკაცებს შორის ამტყდარი დავა გამერჩია). ყველა ეს ბრძანება და მათი შესრულება წესდებით იყო დადგენილი, ყველა შემთხვევა გათვალისწინებული იყო წერილობითსა თუ დაბეჭდილ ინსტრუქციებში; ხოლო თუ მაინცდამაინც რამეში დავეჭვდებოდი, საკმარისი იყო რჩევისთვის ჩემზე უფროსი და გამოცდილისთვის მიმემართა, რათა პასუხისმგებლობა უშუალოდ მე აღარ დამკისრებოდა... კეკეშფალვა კი თხოვნით ოფიცერს კი არ მიმართავდა, არამედ ჩემს შინაგან „მეს“, რომლის უნარი და შესაძლებლობანიც ჩემთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო და სწორედ ახლა უნდა გამომემჟღავნებინა. და სწორედ იმ ფაქტმა, რომ ამ უცხო ადამიანმა გაჭირვების დროს მეგობრებსა და ნაცნობებში მე ამომარჩია, მისმა ნდობამ ბევრად უფრო გამაბედნიერა, ვიდრე მანამდე უფროსებისა და მეგობრების ქებას გავუხარებივარ ოდესმე. თუმცა კი ამ სიხარულს ერთგვარი შეშფოთებაც ახლდა თან, რადგანაც მან პირველად გახადა საცნაური ჩემთვის, რაოდენ უგულისყურო და უზრუნველი იყო ჩემი თანადგომა ავადმყოფისადმი. როგორ შემეძლო კვირით-კვირობამდე მევლო ამ სახლში და ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე გასაგები კითხვა არ გამჩენოდა: კიდევ დიდხანს იქნება ეს საბრალო გოგონა ფეხებწართმეული? შეუძლია თუ არა საექიმო ხელოვნებას კიდურების დამბლის წინააღმდეგ რამე საშუალება გამონახოს?.. რა მიუტევებელი სირცხვილი ვჭამე! ერთხელაც არ მიმიმართავს ამ კითხვით არც ილონასთვის, არც კეკეშფალვასთვის და არც ჩვენი პოლკის ექიმისთვის. ედითის ავადმყოფობა რაღაც ფატალურად აღვიქვი, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი. რა იქნება, რომ იმ ექიმმა მართლაც იხსნას გოგონა ამ უბედურებისგან?! საპყარი, გათანგული ფეხები კვლავ ლაღად აამოძრავებინოს და ღვთისგან ესოდენ შერისხულმა არსებამ ისევ შეძლოს სიარული, სირბილი, კიბეზე აღმა-დაღმა ნავარდი და საკუთარ სიცილს, სიხარულსა და ნეტარებას აედევნოს? საშინლად იმოქმედა ჩემზე ამის გაფიქრებამ! რა საამური იქნებოდა მართლაც, ორივენი ან სამივენი ერთად რომ შევერეოდით ჭენებით მინდვრებს, ან კიდევ, ნაცვლად იმისა, რომ ტუსაღივით თავის სენაკში დამლოდებოდა, ჭიშკართანვე მომგებებოდა და ჩემთან ერთად სასეირნოდ წამოსვლა შესძლებოდა... ახლა მოუთმენლად ვითვლიდი საათებს, რათა უცნობი ექიმისთვის რაც შეიძლება მალე გამომეკითხა ყველაფერი, შეიძლება უფრო მოუთმენლადაც, ვიდრე თვით კეკეშფალვაც კი. მანამდე ჩემს ცხოვრებაში არც ერთი ამოცანა არ მიმაჩნდა ამაზე უფრო მნიშვნელოვნად...

ამიტომ მეორე დღეს სასწრაფოდ მოვათავე ჩემი საქმეები და ჩვეულებრივზე ადრე ვეწვიე კეკეშფალვებს. მაგრამ ამჯერად მარტო ილონამ მიმიღო.

– ვენიდან ექიმი ჩამოვიდა, – ამიხსნა მან, – ახლა ედითთან არის და, როგორც ჩანს, დღეს განსაკუთრებით გულდასმით სინჯავს, რადგან ვიზიტი ორსაათნახევარია გრძელდებაო. ედითი ამის შემდეგ ალბათ უკვე ძალზე დაღლილი იქნება და ჩვენთან

ველარ გამოვა სასაუბროდ. ასე რომ, ამჯერად ჩემი საზოგადოებით უნდა დაკმაყოფილდეთ, თუ, რასაკვირველია, უკეთესი არაფერი გაქვთ გეგმაშიო.

ამ შენიშვნიდან ჩემდა სასიხარულოდ დავასკვენი (მუდამ გეამაყება კაცს, როცა საიდუმლოს მხოლოდ შენ განდობენ), რომ კეკეშფალვას ჩვენი პირობის შესახებ მისთვის არაფერი უთქვამს. მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. დროის მოსაკლავად ჭადრაკის თამაში დავიწყეთ და კიდევ კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მეზობელი ოთახიდან ფეხის ხმას გავიგონებდით, რასაც ასე მოუთმენლად ველოდი. მალე საუბარში გართულნი შემოვიდნენ კეკეშფალვა და ექიმი კონდორი. ძლივს შევიმაგრე თავი, რომ არ შემტყობოდა ის ერთგვარი დაბნეულობა, რომელიც დამეუფლა ექიმ კონდორთან პირისპირ აღმოჩენის დროს, რადგან პირველმა შთაბეჭდილებამ დიდად გამიცრუა მოლოდინი. ყოველთვის ასეა, როდესაც ჯერ კიდევ უცნობ ადამიანზე ბევრ საინტერესო რამეს გვიამბობენ; ჩვენი წარმოსახვა ქმნის მის ხატებას და ამის მასალად უხვად იყენებს ყველაზე სანუკვარ, ყველაზე რომანტიკულ მოგონებებს. იმისათვის, რომ გენიალური ექიმი წარმომედგინა, როგორადაც კეკეშფალვამ კონდორი დამიხატა, ის სქემატური ნიშნები მოვიშველიე, რომელთა დახმარებით საშუალო ნიჭის რეჟისორსა და თეატრის გრიმიორს ექიმის ტიპი გამოჰყავთ სცენაზე: განსულიერებული სახე, გამჭრიახი თვალები, თავდაჭერილობა, ბრწყინვალე გონებამახვილობა... ყოველთვის სასტიკად ვიტყუებთ თავს, როდესაც გვგონია, რომ ბუნება განსაკუთრებულ ადამიანებს რაღაც განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რომლითაც მუდამ ერთი შეხედვით შეიცნობ მათ. ამიტომ უცებ გავშრი, როდესაც მოულოდნელად ტანდაბალი, მსუქანი ბატონის წინაშე აღმოვჩნდი და თავი უნდა დამეკრა მისთვის. ექიმი კონდორი ჩია ტანის, მელოტი კაცი აღმოჩნდა. ტანზე დაჭმუჭნილი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა და ზედ თამბაქოს ფერფლი ეყარა, ჰალსტუხი დაუდევრად ჰქონდა შეკრული, ხოლო ნაცვლად გამჭრიახი, უმალვე დიაგნოზის დამსმელი მზერისა (როგორც მე წარმომედგინა), ფოლადის იაფფასიან ჩარჩოში ჩასმულ პენსნეს მიღმიდან ჩამქრალი, თითქოსდა ნამძინარევი თვალები მიმზერდნენ. ჯერ კეკეშფალვას არც წარვედგინე, რომ კონდორმა თავისი ოფლიანი ხელი გამომიწოდა და მაშინვე გატრიალდა, რომ თუთუნის მაგიდასთან მისულიყო და სიგარეტი გაებოლებინა. შემდეგ ზანტად გაიზმორა.

– ესეც ასე!.. მაგრამ კი უნდა გამოვტყდე დაუყოვნებლივ, ძვირფასო მეგობარო, რომ საშინლად მშია. კარგი იქნებოდა, მალე თუ მოგვიტანენ საჭმელს. თუ ვახშამი ჯერ მზად არ არის, იქნებ იოზეფმა მანამდე სახელდახელოდ გამიმზადოს ბუტერბროდი ან სხვა რამ, – თქვა მან, მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და განაგრძო: – ყოველთვის მავიწყდება, რომ დღის ჩქარ მატარებელს ვაგონრესტორანი არა აქვს. აი, თუ გნებავთ, ჭეშმარიტი ავსტრიული გულგრილობა სახელმწიფოებრივი მასშტაბით... და შემდეგ: ბიჭოს, ყოჩაღ! – გააწყვეტინა საკუთარ თავს სიტყვა და სწრაფად წამოდგა, როდესაც მსახურმა სასადილო ოთახში გამავალი განზე გასაწევი კარი გააღო. – შენს პუნქტუალობას შეიძლება ენდოს კაცი, იოზეფ! სამაგიეროდ, მეც, რაც შემეძლება, პატივს დავდებ თქვენს მზარეულს!.. დღეს ისე საშინლად ვჩქარობდი, რომ სადილობაც კი ვერ მოვასწარი...

და მძიმემძიმე ნაბიჯებით დაუყოვნებლივ სასადილო ოთახისკენ გაემართა. ჩვენთვის არც დაუცდია, ისე მიუჯდა სუფრას. ხელსახოცის ერთი წვერი საყელოში გაიჩარა და გაფაციცებით, თან, ერთობ ხმამაღლაც შეუდგა წვნიანის ხვრეპას. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმიანობით გართულს ერთი სიტყვაც არ უთქვამს არც კეკეშფალვასთვის და არც ჩემთვის. მთელი გულისყური თითქოს წვნიანისკენ ჰქონდა მიმართული, თან ამავე დროს ბეცი თვალებით ღვინის ბოთლების იარლიყებს ათვალიერებდა.

– შესანიშნავია! თქვენი დიდებული მოსავალი და ისიც ათას რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის მოსავლისა! უკანასკნელად რომ ვიყავი თქვენთან, იქიდან მახსოვს. მარტო ამისთვის ღირს თქვენთან ჩამოსვლა. არა, იოზეფ, ჯერ არ დამისხა, ჯერ ერთი ჭიქა ლუდი... ჰო, გმადლობ.

ერთი მოსმით გამოცალა ჭიქა, შემდეგ ლანგრიდან, რომელიც იმ წამს მიართვეს, ხორცის მოზრდილი ნაჭრები აარჩია და ჭამას შეუდგა. ასე მეგონა, ჩვენს იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდა. მე კი საკმარისი დრო მქონდა იმისთვის, რომ ჭამა-სმით გართული ექიმი საფუძვლიანად შემეთვალიერებინა... გულგაცრუებულმა დავასკვენი, რომ ამ კაცს, რომელსაც კეკეშფალვამ ესოდენ აღტაცებით შეასხა ხოტბა, სახე სრულიად ბანალური ჰქონდა მსუქანი, ბადრი მთვარესავით მრგვალი. ცხვირი კარტოფილს მიუგავდა, ნიკაპი ღაბაბში ეკარგებოდა, ლოყები წამოსწითლებოდა და ორივე ყბაზე ხშირი წვერის ნაკვალევი ჩრდილივით მუქად აჩნდა. მსხვილი და მოკლე კისერი ჰქონდა, ერთი სიტყვით, ღორმუცელა, მოლაქლაქე, მახინჯი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ისეთის, რომელსაც ბუზღუნიუყვარს, მაგრამ გულკეთილი კია. ასეთებს ვენელები „ზუმპერს“ უწოდებდნენ თავიანთ დიალექტზე. მართლაც ზუმპერივით გულარხეინად იჯდა, დაჭმუჭნილი ჟილეტის ღილები ნახევრამდე შეხსნოდა; რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მახელებდა ის ფაქტი, როგორი დაუფარავი სიამოვნებით ილუკმებოდა (შეიძლება იმიტომაც, რომ მომაგონდა, რა თავაზიანად მეპყრობოდნენ ამავე მაგიდაზე პოდპოლკოვნიკი და ფაბრიკანტი, ან შეიძლება იმიტომაც, რომ უკვე ეჭვი შემეპარა, ზუსტ პასუხს მივიღებდი თუ არა ესოდენ კონფიდენციალურ კითხვაზე ჭამა-სმის ასეთი მოტრფიალისგან, რომელიც ღვინის ჭიქას ყოველ მოსმაზე ჯერ შუქზე გახედავდა და მერე დაეწაფებოდა ხოლმე ტუჩების წკლაპუნით).

– აბა, რა არის თქვენკენ ახალი? მოსავალს როგორი პირი უჩანს? გვალვა ხომ არ იყო ბოლო ხანებში? სიცხეები ხომ არ დაიჭირა? რაღაც ამდაგვარი წავიკითხე გაზეთში. ფაბრიკაში როგორაა საქმე? შატრის კარტელმა ისევ გაზარდა ფასები?.. – ასეთი სასხვათაშორისო (მე ვიტყოდი, დაუდევარი) კითხვები წყვეტდა კონდორის გამალებულ ჭამა-სმას და ჩვენს პასუხებსაც უგულისყუროდ უგდებდა ყურს, რადგან ისევ განაგრძობდა მუცლის ამოყორვას... ჩემი იქ ყოფნა ჯიუტად არ სურდა შეენიშნა, და თუმცა ბევრი რამ მქონდა გაგონილი მედიკოსთათვის დამახასიათებელი უცერემონიობის შესახებ, მაინც ბრაზი მომდიოდა ამ გულარხეინი ტლუს შემყურეს. უგუნებობამ შემიპყრო და კრინტი აღარ დამიძრავს დიდხანს.

ის კი ჩირადაც არ აგდებდა ჩვენს იქ ყოფნას... როგორც იქნა, სასტუმრო დარბაზში გავედით, სადაც უკვე შავი ყავა გველოდებოდა. ექიმი კმაყოფილი სახით ჩვენ პირდაპირ

უჩვეულო სავარძელში ჩაესვენა, რომელზეც მბრუნავი წიგნების თარო მოეწყოთ და საფერფლე და მოძრავი საზურგეც ამშვენებდა... ვინაიდან ბრაზი არა მხოლოდ ახელებს, არამედ დაკვირვებულსაც ხდის კაცს, თავი ვერ შევიკავე, რომ ნიშნის მოგებით არ შემეთვალიერებინა ამ ზარმაცი კიკოს მოკლე ფეხები, ჩაჩაჩული წინდები რომ უჩანდა და დონდლო ღიპი, რათა მეც, ჩემი მხრივ, დამენახვებინა მისთვის, რომ არაფრად მეპიტნავებოდა მასთან დაახლოება. ამიტომაც, ჩემი სავარძელი ისე შევაბრუნე, რომ თითქმის ზურგი მქონდა მისკენ მიქცეული. მაგრამ ეს კაცი აინუნშიაც არ აგდებდა არც ჩემს დემონსტრაციულ დუმილს და არც კეკეშფალვას ნერვიულობას... მასპინძელი წამდაუწუმ დგებოდა სავარძლიდან, ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, რომ დროულად მიერთმია მისთვის სიგარა იქნებოდა ეს, ასანთი თუ კონიაკი, და მანაც ერთბაშად, არც მეტი, არც ნაკლები, სამი ჰავანური სიგარა დაითრია ყუთიდან. ორ მათგანს ყავის ფინჯნის გვერდით მიუჩინა ადგილი, ერთი კი პირში ჩაიჩარა... თუმცა ღრმა და მოქნილი სავარძელი მის სხეულსაც კარგად მოერგო, მაინც, როგორც ჩანს, საკმარისად მოხერხებულად არ მიაჩნდა. ერთთავად ტრიალებდა შიგ და ცმუკავდა, ვიდრე მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პოზა არ შეარჩია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე ფინჯანი ყავაც გამოცალა, ნებიერად ამოისუნთქა, როგორც კარგად დანაყრებულმა პირუტყვმა.

„რა საზიზღარია, რა საზიზღარია“, – ვფიქრობდი გუნებაში. და აი, სტუმარი გაიზმორა და თვალი ჩაუკრა დამცინავად კეკეშფალვას:

– აბა, წმინდაო ლავრენტიუს, გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე წამებულო, ალბათ მზად ხართ პირიდან გამომგლიჯოთ ეს შესანიშნავი სიგარა, რადგან სული მიგდით, ვიდრე ჩემს პატაკს მოისმენდეთ! მაგრამ ხომ იცით ჩემი ამბავი: ჭამა-სმისა და მედიცინის ერთმანეთში არევა არ მიყვარს; თანაც მე მართლაც ძალზე მშიერი ვიყავი და ძალიან დაღლილიც. დღეს დილით რვის ნახევრიდან ფეხზე ვარ და ბოლოს უკვე ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მარტო კუჭი კი არა, თავიც დამიცარიელდა, – კონდორმა ღრმად და ნეტარებით დაარტყა ნაფაზი და ცისფერი კვამლის რგოლი გამოუშვა პირიდან, – მაშ ასე, – განაგრძო მან, – ძვირფასო მეგობარო, შევუდგეთ. ყველაფერი კარგად მიდის, მოძრაობს, გადაადგილებასაც ახერხებს, ყველა სავარჯიშო ილეთს საკმაოდ რიგიანად ასრულებს. ვფიქრობ, უკეთესადაც კი, ვიდრე უკანასკნელად ვნახე. როგორც უკვე გითხარით, შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ, მხოლოდ... – აქ მან ერთხელ კიდევ დაარტყა ნაფაზი, – მხოლოდ საერთო მდგომარეობაში, ჰაბიტუსში... ან, უფრო სწორად, იმაში, რასაც ჩვენ ფსიქიკას ვუწოდებთ, დღეს მე... ოღონდ გეთაყვა, საშიში არაფერია, ძვირფასო მეგობარო... დღეს მე ერთგვარი ცვლილება შევნიშნე.

მიუხედავად გაფრთხილებისა, კეკეშფალვას უსაზღვროდ შეეშინდა. დავინახე, როგორ აუცახცახდა ხელი, რომელშიც კოვზი ეჭირა.

– ცვლილება? რას გულისხმობთ... როგორ თუ ცვლილება?

– აბა, რა გითხრათ, ცვლილება ცვლილებაა. მე ხომ არ მითქვამს, გაუარესება შევამჩნიე-მეთქი. აწონდაწონეთ ჩემი ნათქვამი, როგორც მოხუცი გოეთე ამბობს, მაგრამ კუდს ნუ გამოაბამთ. ჯერ მე თავადაც ხეირიანად არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ... მაგრამ ნამდვილად რაღაც ამბავია!

ბერიკაცს ისევ ხელში ეჭირა კოვზი. ძალა არ შესწევდა, მაგიდაზე დაედო.

– რა... რა უნდა იყოს?

ექიმმა კონდორმა თავი მოიქექა.

– ჰმ, ეგ რომ ვიცოდე, რაღა მიჭირს. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ნუ აღელდებით, ამას როგორც ექიმი, ისე მოგახსენებთ,სრულიად აკადემიურად, ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე და ერთხელ კიდევ გიმეორებთ მეტი სიცხადისათვის. ავადმყოფობის სურათი კი არ შეცვლილა, არამედ თვითონ ედითი შეიცვალა. სახელდობრ რა, არ ვიცი, მაგრამ დღეს ისეთი არ იყო, როგორიც ადრე. დღეს პირველად მქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს ხელიდან დამსხლტომოდეს, აქ მან ისევ მოქაჩა სიგარა და გამსჭვალავად გადახედა კეკეშფალვას, იცით რა, ყველაფერს სჯობს, ბოლომდე გულახდილი ვიყოთ. ასე რომ... ძვირფასო მეგობარო, მითხარით, გეთაყვა, ოღონდ გულწრფელად და დაურიდებლად: ჩემს აქ არყოფნაში ჩვეულებისამებრ მოუთმენლობამ შეგიპყროთ და ვინმე სხვა ექიმი მოიწვიეთ? ვინმე სხვამაც გასინჯა ან უმკურნალა ამ პერიოდში?

კეკეშფალვა ისე წამოვარდა ზეზე, თითქოს საშინელ ბოროტმოქმედებაში დასდეს ბრალიო.

– ღვთის გულისათვის, ბატონო ექიმო, ამას როგორ ამბობთ. ჩემი გოგონას სიცოცხლეს ვფიცავ...

– კარგი... კარგი... ფიცი რა საჭიროა! გააწყვეტინა კონდორმა სწრაფად, ისედაც მჯერა თქვენი. მორჩა, მოიხსნა ჩემი შეკითხვა! Peccavi! შევცდი, სწორი დიაგნოზი არ დავსვი! რა ვუყოთ, მედიცინის საიდუმლო მრჩევლებსა და პროფესორებსაც ემართებათ ზოგჯერ ასე. არა, მაინც რა სისულელე იყო... და მზად კი ვიყავი დამეფიცა... მაგრამ მაშინ სხვა რა უნდა იყოს?.. საინტერესოა, ძალზე საინტერესოა... შეიძლება?.. და მესამე ფინჯანი შავი ყავა დაისხა.

– ჰო, მაგრამ მაინც რა უნდა დამართოდა? რა შეიცვალა?.. თქვენ რას ფიქრობთ? – ძლივს ლუღლუღებდა ბერიკაცი გამშრალი ტუჩებით.

– ძვირფასო მეგობარო, ღმერთმანი, აუტანელი ხართ. სადარდებელი არაფერია, სიტყვას, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რაიმე სერიოზული რომ იყოს, მე არ დავიწყებდი უცხოს წინაშე... Pardon, ბატონო ლეიტენანტო, ცუდი გულით არ ვამბობ ამას, მე მხოლოდ ის მაქვს მხედველობაში... მაშინ არხეინად არ ვილაპარაკებდი სავარძელში გამოჯგიმული და თანაც თქვენი საუცხოო კონიაკით სავსე სასმისით ხელში... თქვენი კონიაკი კი მართლაც მშვენიერი რამ არის, – მიმართა მასპინძელს, ისევ სავარძლის საზურგეზე გადაესვენა და ერთი წამით თვალები მილულა.

– დიახ, ძალზე ძნელია ასე ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით ახსნა კაცმა, რამ შეცვალა ედითი. ძალზე ძნელია, რადგან ეს თითქმის სცილდება იმ სფეროს, სადაც საერთოდ შეიძლება რამის ახსნა. მაგრამ თუ თავდაპირველად მეგონა, რომ უცხო ექიმის ხელი ერია, ღმერთმანი, ახლა უკვე აღარაფერი მჯერა, ბატონო ფონ კეკეშფალვა. ეს იმის გამო, რომ დღეს პირველად რაღაც დაირღვა ჩემსა და ედითს შორის, ჩვეულებრივი კონტაქტი არ იყო... მოიცათ... იქნებ შევძლო უფრო გარკვევით გამოვხატო... მე ვამბობ, რომ ხანგრძლივი მკურნალობის დროს აუცილებლად ერთგვარი, გარკვეული კონტაქტი

მყარდება ექიმსა და მის პაციენტს შორის. შეიძლება ცოტათი უხეშიც კი იყოს, ამ დამოკიდებულებას „კონტაქტი“ უწოდო კაცმა, რაც საბოლოო ჯამში „შეხებას“, ანუ რაღაც ფიზიკურს გულისხმობს... ექიმისა და პაციენტის დამოკიდებულებაში საოცრადაა ნდობა და უნდობლობა აღრეული, ერთმანეთს ერკინება ეს ორი გრძნობა, ერთი იზიდავს, მეორე განიზიდავს და, რასაკვირველია, შეფარდება მათ შორის ყოველი შეხვედრის დროს სხვადასხვაგვარია ამას უკვე შეჩვეულები ვართ. ზოგჯერ ექიმი ვეღარც კი ცნობს პაციენტს, ისეთი გამოცვლილი ეჩვენება. ხოლო ზოგჯერ იგივე ემართება პაციენტს ექიმის მიმართ; ხანდახან ერთი შეხედვით ესმით ერთმანეთის, ხოლო ზოგჯერ ვერაფერს აგებინებენ ერთიმეორეს, თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენო. დიახ, უაღრესად უცნაურია ეს მერყეობა მათ დამოკიდებულებაში, ძალზე ძნელია ბოლომდე ჩასწვდე მის მიზეზებს და კიდევ უფრო ძნელია მთელი სიგრძესიგანით გაზომო ისინი. ვფიქრობ, ყველაფერს სჯობს, შედარებას მივმართო, თანაც ვშიშობ, რომ ძალზე უხეშად მოგეჩვენებათ... პაციენტთან იგივე ემართება კაცს, როგორც, ვთქვათ, რამდენიმე დღით რომ ყოფილიყავით სადმე წასული და მერე უკან დაბრუნებული იღებთ თქვენს საწერ მანქანას. იგი თითქოსდა სრულიად უცვლელად, კვლავინდებურად უნაკლოდ მუშაობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაცაზე ატყობთ (სახელდობრ რაზე, ამის თქმა გიჭირთ), რომ თქვენს იქ არყოფნაში მასზე ვიღაც სხვა ბეჭდავდა. ანდა, მაგალითად, თქვენ, ბატონო ლეიტენანტო, უეჭველად შეამჩნევთ თქვენს ცხენს ცვლილებას, ორიოდე დღე სხვას რომ ჰყავდეს წაყვანილი: თითქოს რაღაც სხვანაირად იწყებს სიარულს, თითქოს ზნითაც იმ ზნის აღარ არის, ძველებურად აღარ გემორჩილებათ, და თქვენც, ალბათ, ასევე გაგიჭირდებათ იმის განსაზღვრა, თუ სახელდობრ რაში ვლინდება ეს, იმდენად უსაზღვროდ მცირეა მომხდარი ცვლილებები... მე მართლაც, უკვე გითხარით კიდეც, მიჭირს ახსნა, რა შეიცვალა ედითში მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიყავი აქ. რაღაც ცვლილება კი ნამდვილად მოხდა, ედითს რაღაც დაემართა, და სწორედ ეს მახელებს, რომ ვერ მივაკვლიე, სახელდობრ რა.

– ჰო, მაგრამ რაში... რაში გამოიხატება ეს ცვლილება? – აღმოხდა კეკეშფალვას.

ვხედავდი, რომ კონდორის შეგონებებმა ვერ გაჭრა და ბერიკაცი მაინც ღელავდა; შუბლი ოფლით დაცვარულიჰქონდა.

– რით გამოიხატება? მხოლოდ წვრილმანით, თითქმის შეუმჩნეველი წვრილმანით. რაღაც ფარული წინააღმდეგობა ვიგრძენი; ის იყო, საქმეს შევუდექი, რომ ამიჯანყდა: აბა, რა საჭიროა. ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ადრე იყოო. ადრე კი, მოგეხსენებათ, როგორ მოუთმენლად ელოდა გასინჯვის შედეგებს. შემდეგ კი, როცა გარკვეულ ვარჯიშებს ვუნიშნავდი, ქარაფშუტულად იმეორებდა: ეჰ, ამაოა, ეგეც ვერ მიშველისო, ანდა: აბა, ამ ვარჯიშმა რა უნდა მარგოსო. თავისთავად ამის თქმა ბევრს არაფერს ნიშნავს, თანაც შეიძლება უგუნებობის ბრალიც იყოს, აშლილი ნერვების, მაგრამ, ძვირფასო მეგობარო, აქამდე ასეთი რამ ედითს ჩემთვის არ უთქვამს. თუმცა, შეიძლება მართლაც უგუნებობის ბრალი იყო... ამისგან არავინაა დაზღვეული...

– მაგრამ... ხომ მართალია, რომ გაუარესებისკენ ცვლილება არ არის?

– არა, არადა და არა... კიდევ რამდენჯერ უნდა ჩამომართვათ პატიოსანი სიტყვა? იოტისოდენა გაუარესებაც რომ იყოს, მე, როგორც ექიმი, თქვენზე ნაკლებად როდი შევშფოთდებოდი. ხომ ხედავთ, რომ სრულიად მშვიდად ვარ! მართალია, უნდა ვაღიარო, რომ თქვენი გოგონა უფრო იოლად ღიზიანდება, უფრო მეტ მოუსვენრობასა და მოუთმენლობას იჩენს, ვიდრე ამ ორიოდე კვირის წინ (ალბათ, თქვენც ხშირად სიქას გაცლით ხოლმე), მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი ამბოხი სიცოცხლის, გამოჯანმრთელების წყურვილის გაძლიერებას მოწმობს; რაც უფრო ენერგიულად, რაც უფრო ნორმალურად იწყებს ორგანიზმი მუშაობას, მით უფრო ძლიერია მისი სურვილი, ავადმყოფობას ერთხელ და სამუდამოდ გაუსწორდეს. დამიჯერეთ, ჩვენ, ექიმებს, სულაც არ გვიყვარს „სანიმუშო“, გამგონე პაციენტები, რადგან ასეთები ნაკლებად შველიან თავიანთ თავს. ავადმყოფის ენერგიულ და თვით მძვინვარე პროტესტსაც კი ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, რადგან ეს ერთი შეხედვით თითქოსდა უგუნური რეაქცია, ზოგჯერ უფრო მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე ჩვენი თავდაუზოგავი მკურნალობა. ასე რომ, ერთხელ კიდევ გიმეორებთ: სულაც არ ვარ შეშფოთებული. ახლა რომ, მაგალითად, მკურნალობის ახალი კურსი დავიწყოთ, თქვენი გოგონა იმდენ ძალასა და უნარს გამოიჩენს, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. იქნებ მართლაც სწორედ ახლა არის შესაფერისი მომენტი, რომ ედითის სულიერი განწყობა გამოვიყენოთ, რომელიც „მის შემთხვევაში“ ესოდენ გადამწყვეტ როლს ასრულებს...

– რასაკვირველია, – მივუგე უნებლიეთ. ეს პირველი სიტყვა იყო, რომლითაც მას მივმართე. მისი ნათქვამი თავისთავად გასაგები და ნათელი მეჩვენებოდა.

მაგრამ ბერიკაცი კვლავ რეტდასხმულივით იყო გარინდებული. უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. ვგრძნობდი, რომ ყოველივე იქიდან, რის ახსნასაც ლამობდა კონდორი, ერთი სიტყვაც ვერ გაეგო, რადგან არ სურდა გაეგო, რადგან მთელი მისი ყურადღება და ზრუნვა ერთ რამეზე იყო კონცენტრირებული: განიკურნება თუ არა მისი გოგონა... და თუ კი, მალე მორჩება? და როდის დადგება ეს დღე?

– ჰო, მაგრამ რა ახალ კურსზე ლაპარაკობთ (როცა ღელავდა, მუდამ ენა ებმოდა და ხმა უწყდებოდა ბერიკაცს)? რა ახალი კურსი... თქვენ ხომ რაღაც ახალი კურსი ახსენეთ... რამე ახალი გინდათ სინჯოთ (მაშინვე შევნიშნე, როგორ ჩაებღაუჭა სიტყვას „ახალი“ რადგან ახალი იმედის ნაპერწკალი ჩაესახა გულში)?

– ეს კი უკვე მე მომანდეთ, ძვირფასო მეგობარო, რა ვსინჯო და როდის ვსინჯო; მხოლოდ არ უნდა ავჩქარდეთ; ნუ ვეცდებით ძალით მოვიპოვოთ ის, რაზეც შელოცვები არ ჭრის! თქვენი „შემთხვევა“, რა ვქნა, ასეთი უსიამო ტერმინებიც გვაქვს ექიმებს, იყო და რჩება ჩემთვის საზრუნავთა საზრუნავი. მაგრამ არა უშავს, როგორმე თავს გავართმევთ.

დათრგუნვილი ბერიკაცი მდუმარედ შესცქეროდა კონდორს. ვხედავდი, როგორ გაჭირვებით იმაგრებდა თავს, რომ ისევ და ისევ არ დაესვა მისთვის ერთ-ერთი იმ უაზრო კითხვათაგანი, ჯიუტად რომ ჰქონდა ამოჩემებული. ეტყობა, კონდორმა იგრძნო ეს მდუმარე შემოტევა, რადგან ერთბაშად წამოდგა.

– ვფიქრობ, დღეისთვის ეს კმარა. ჩემი სიტყვა გითხარით, სხვა ყველაფერი კი სისულელეების ჩმახვა და უსარგებლო ყბედობა იქნებოდა... ედითმა ახლო მომავალში „ჭირვეულობას“ რომ უმატოს, ნუ შეგეშინდებათ. მე აღმოუჩენელი არ დამრჩება, თუ სადმე რომელიმე ჭანჭიკი მოეშვა. მხოლოდ ერთი რამ კი გევალებათ: სულ ასე ფეხაკრეფით, სულ ერთთავად ასეთი დაბნეული და შეშინებული სახით ნუ ტრიალებთ ავადმყოფის ირგვლივ. და აი, კიდევ რა: სერიოზული ყურადღება მიაქციეთ თქვენს ნერვებს. გეტყობათ, თეთრად ათენებთ ღამეებს და ვშიშობ, რომ ერთსა და იმავეზე გაუთავებელი ფიქრითა და დარდით თავს სრულიად ტყუილუბრალოდ ისამარებთ. ყველაფერს აჯობებს, რომ დღეს საღამოსვე ადრე დაწვეთ და ძილის წინ რამდენიმე წვეთი ვალერიანი მიიღოთ, რათა დილისთვის უფრო მხნედ იგრძნოთ თავი. ეს არის და ეს. სადღეისოდ კმარა რჩევა-დარიგებანი! მოვწევ ამ სიგარას და შემდეგ გზას გავუდგები.

- თქვენ მართლა... მართლა გინდათ, უკვე წახვიდეთ?

ექიმი კონდორის გადაწყვეტილება ურყევი იყო:

- დიახ, ძვირფასო მეგობარო, დღეს ეს იკმარეთ! საღამოს კიდევ ერთი, უკანასკნელი, ცოტა არ იყოს, ქანცგამოლეული პაციენტი მყავს და მას ხანგრძლივი გასეირნება გამოვუწერე. რვის ნახევრიდან სულ ფეხზე ვარ. მთელი დილა საავადმყოფოში გავატარე; ყოვლად კურიოზული შემთხვევა იყო, სახელდობრ... თუმცა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... შემდეგ მატარებელში, მერე აქ ასე რომ, თქვენს მონამორჩილსაც სჭირდება დროდადრო ფილტვების განიავება, რომ თავი ნათელი შერჩეს. ამიტომ, გეთაყვათ, დღეს ავტომობილი არ გამაგონოთ. ფეხით წავალ! ბადრი მთვარე შესანიშნავად ანათებს! რა თქმა უნდა, ბატონი ლეიტენანტის თან წაყოლიებას არ ვაპირებ და ის ამფსონობას გაგიწევთ, თუ ექიმის მითითებისდა მიუხედავად, ზეზე ყოფნა გსურთ.

მაგრამ მე უმალვე გამახსენდა ჩემი მისია.

– არა, არა, – დავძინე სასწრაფოდ, – ხვალ აუცილებლად ადრე უნდა გამოვცხადდე სამსახურში. აქამდეც უნდა გამოგმშვიდობებოდით.

– მაშინ, თუ წინააღმდეგი არ ხართ, ერთად დავტოვოთ ეს სახლი, – მომიგო ექიმმა.

კეკეშფალვას ჩამქრალ მზერაში პირველად გაიელვა სინათლის ნაპერწკალმა. მასაც მოაგონდა, რომ ახლა შემეძლო შემესრულებინა მისი დავალება, გამომეკითხა, გამომეძია.

– მე კი ახლავე დავიძინებ, – დამაჯერებლად წარმოთქვა მოხუცმა და თან მანიშნებდა კონდორის ზურგს უკან. გახსენება რაღად მინდოდა! უამისოდაც ვგრძნობდი მძაფრ მაჯისცემას და ვიცოდი, სწორედ ის დრო დამდგარიყო ახლა, როდესაც დავალება უნდა შემესრულებინა.

* * *

როგორც კი სადარბაზოდან გამოვედით, კონდორი და მე უნებლიეთ კიბის ზედა საფეხურზე შევჩერდით, იმდენად განსაცვიფრებელი სანახაობა წარმოგვიდგა ბაღში. იმ საათების განმავლობაში, რომლებიც მღელვარედ გავატარეთ სასტუმრო ოთახში, არც ერთ ჩვენგანს აზრად არ მოსვლია, გარეთ გაეხედა და ახლა ბუნების ფერისცვალებამ

გაგვაოცა. ვეებერთელა, სავსე მთვარე გაპრიალებული ვერცხლის ბადრო ვარსკვლავებით უხვად მოჭედილი ზეცის შუაგულში უძრავად ეკიდა. მართალია, დღისით მზით გამთბარი ჰაერი ზაფხულის მცხუნვარებით გველამუნებოდა, მაგრამ ახლა თვალისმომჭრელი მთვარის შუქის ფონზე, გვეჩვენებოდა, რომ ქვეყნად რაღაც ჯადოსნური ზამთარი დამდგარიყო.

ახალდადებული თოვლივით ბრწყინავდა ქვიშა თანაბრად გადაკაფულ ხეთა მწკრივებს შორის, რომელთა შავი ჩრდილები გზის გასწვრივ ეფინა. შუქბინდში უძრავად იდგნენ ხეები და ბზინავდნენ, თითქოს მინისა და სანდალოზისგან ყოფილიყვნენ ჩამოქნილნი. არ მახსოვს, რომ ოდესმე მთვარის შუქი ესოდენ ჯადოსნური მჩვენებოდეს, როგორც აქ, სამარისებურ მდუმარებაში გარინდებულ და ყინულივით ცივი არილით წალეკილ ბაღში.

დიახ, იმდენად მოჯადოებული ვიყავით ამ მოჩვენებითი ზამთრის სურათით, რომ უნებლიეთ გაუბედავად ვადგამდით ფეხს კიბის საფეხურებზე, თითქოს მოლიპულ ყინულზე გვიწევდა ჩასვლა. ხოლო როდესაც ხრეშმოყრილ ხეივანში გავედით (რომელიც სიბნელეში ისე თეთრად გამოკრთოდა, თითქოს თოვლით იყო დაფარული), ერთბაშად ორნი კი არა, ოთხნი გავხდით, რადგან წინ ჩვენი ჩრდილები გაწვნენ, მთვარის უჩვეულოდ მძაფრი სინათლით მკაფიოდ გამოსახულნი. უნებურად თვალყურს ვადევნებდით ჩვენს განუყრელ თანამგზავრთ, რომელთა სილუეტები წინ გვისწრებდნენ და ყველა ჩვენს მოძრაობას იმეორებდნენ. ჩვენს განწყობაში ხომ ზოგჯერ ასე საოცრად სჭარბობს ხოლმე ბავშვური განცდები და მე ერთგვარ კმაყოფილებას ვგრძნობდი, რომ ჩემი ჩრდილი უფრო „უკეთესი“ იყო, ვიდრე ის მომცრო და კოტიტა, რომელიც ჩემს მხლებელს ეკუთვნოდა. ამ უპირატესობის გამო როგორღაც უფრო გულდაჯერებულად ვიგრძენი თავი. ვიცი, საკმაო გამბედაობად მიიჩნევა, რომ თუნდაც საკუთარ თავს გამოუტყდე ასეთ სისულელეში, მაგრამ განა ძალზე ხშირად, ყოვლად უცნაური შემთხვევითი ამბები არ მოქმედებენ ჩვენს სულისკვეთებაზე და განა უწვრილმანესი რამ ფრთებს არ შეგვასხამს ხოლმე ადამიანებს? ხმის ამოუღებლად მივაღწიეთ გისოსებიან კარს და როდესაც მის დასახურად უკან მოვბრუნდით, სახლს გავხედეთ. ფასადი ისე კაშკაშებდა, თითქოს მოცისფრო ფოსფორით იყო შეღებილი მოელვარე ყინულის ერთ მთლიან ლოდს წააგავდა და მთვარის ჭარბი შუქი კაცს ისე სჭრიდა თვალებს, რომ ვეღარ გაარჩევდით, რომელი ფანჯარა იყო შიგნიდან განათებული და რომელი გარედან... ხმამაღლა დაიჩხაკუნა კარის საგდულმა. სიჩუმე თითქოს შუაზე გაიპო და კონდორმა, გეგონებოდათ, საიდუმლოებრივი მდუმარების გარემოცვაში ამ მიწიერმა ხმაურმა გაამხნევაო, მისგან რომ არ მოველოდი, ისე გულღიად მომმართა:

– საწყალი კეკეშფალვა! სულ ვსაყვედურობ ჩემს თავს, ერთობ როყიოდ ხომ არ ველაპარაკები-მეთქი. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ რამდენიმე საათს სიამოვნებით გამაჩერებდა სახლში და ათას რამეს მკითხავდა, ან, უფრო სწორად, ათასჯერ ერთსა და იმავეს, მაგრამ მეტი აღარ შემეძლო. მეტისმეტად მძიმე დღე იყო ჩემთვის, დილიდან საღამომდე პაციენტები და პაციენტები, თანაც სულ ისეთები, რომლებთანაც აღარ იცი, რა იღონო კაცმა.

ამასობაში შარაგზაზე გავედით, რომლის ორივე მხარეს ხეები იყო ჩამწკრივებული. მათი შავად დაქუფრული კენწეროები ლამის ერთმანეთთან შეზრდილიყვნენ და მთვარის შუქი მათ შორის ძუნწად ატანდა. სამაგიეროდ, მით უფრო კაშკაშა ნათელს გამოსცემდა თოვლივით თეთრი ხრეში გზის შუაგულში, რომელზედაც მივაბიჯებდით. მომერიდა და არაფერი მიპასუხია, მაგრამ კონდორი, მგონი, ვერც კი მამჩნევდა.

– და თანაც ზოგჯერ ისეთი დღე გამოერევა, როდესაცვეღარ ვიტან ამ კაცის ჩაციებას. იცით, ყველაზე ძნელი გასაძლები ჩვენი პროფესიის ხალხისთვის ავადმყოფები როდი არიან. ბოლოს და ბოლოს კაცი სწავლობ, ეჩვევი მათთან ურთიერთობას. ეგეც არ იყოს, როდესაც პაციენტები ჩივიან, გეკითხებიან, გაჩქარებენ, ეს ისევე ბუნებრივია მათ მდგომარეობაში, როგორც, ვთქვათ, სიცხე ან თავის ტკივილი. იმთავითვე მოველით მათგან სულწასულობას, საამისოდ მომზადებულნი და აღჭურვილებიც ვართ. ყოველ ჩვენგანს დასაძინებელ და ტკივილის გამაყუჩებელ წამლებთან ერთად მომარაგებული აქვს დამამშვიდებელი ფრაზები და ტყუილები. მაგრამ ისე არავინ გვიშხამავს სიცოცხლეს, როგორც პაციენტთა ნათესავები და ახლობლები, რომლებიც არამკითხე მომხრეებივით იჩხირებიან ექიმსა და ავადმყოფს შორის და მუდამ მხოლოდ „სიმართლე“ სურთ იცოდნენ. ყველა მათგანი ისე იქცევა, თითქოს იმ მომენტში მხოლოდ მათთვის ძვირფასი ადამიანი იყოს მთელ დედამიწის ზურგზე ავად, მხოლოდ ის საჭიროებდეს მოვლაპატრონობას და სხვა არავინ. არ ვაყვედრი კეკეშფალვას, რომ მის კითხვებზე პასუხის გაცემა მიხდება, მაგრამ, იცით, სხვისი ქრონიკული მოუთმენლობის შემყურეს, ზოგჯერ თქვენც გეკარგებათ მოთმინება... ათჯერ მაინც ავუხსენი, ვენაში მძიმე შემთხვევა მაქვს, ავადმყოფის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია-მეთქი, და თუმცა, ეს ამბავი იცის, მაინც თითქმის ყოველდღე მირეკავს, მთხოვს, მაცივდება და ძალით უნდა სანუგეშო სიტყვები წამგლიჯოს. და ამავე დროს მე, როგორც მისი ქალიშვილის ექიმმა, ვიცი, როგორ სავალალოდ მოქმედებს მასზე ასეთი ნერვიულობა, მე ხომ ბევრად უფრო შეშფოთებული ვარ, ვიდრე მას წარმოუდგენია, ბევრად უფრო! რა ბედნიერებაა, რომ ვერ ხვდება, რაოდენ ცუდად არის საქმე...

ვაი ამ გაგონებას! მაშ, ცუდად ყოფილა საქმე! სრულიად გულღიად და უნებლიეთ კონდორმა თავად გამანდო ის, რაც მე მინდოდა მისგან გამეგო. საშინლად შეწუხებულმა ვკითხე:

– უკაცრავად, ბატონო ექიმო, მაგრამ თქვენ ალბათ გამიგებთ... მეც ძალზე მაღელვებს... ეს ამბავი... რას წარმოვიდგენდი, თუ ასე ცუდად იყო ედითის საქმე...

– ედითის საქმე? სახტად დარჩენილი კონდორი ჩემკენ შემობრუნდა, – ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ ახლაღა იგრძნო, რომ სხვას ელაპარაკებოდაო, როგორ თუ ედითის? ედითზე ხომ კრინტიც არ დამიძრავს... სულ უკუღმა გაგიგიათ ჩემი ნათქვამი... არა, არა, ედითის მდგომარეობა უცვლელია; სამწუხაროდ, ისევ უცვლელია. მაგრამ აი, კეკეშფალვა კი სულ უფრო და უფრო მაფიქრებს. არ შეგინიშნავთ, როგორ გამოიცვალა ამ ორიოდე თვეში? რა ცუდად გამოიყურება?

– მე, რა თქმა უნდა, ამაზე ვერ ვიმსჯელებ... მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც პატივი მაქვს ბატონ ფონ კეკეშფალვას ვიცნობდე და...

– აჰ, მართლა?! მაშ, მომიტევეთ... თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, ვერაფერს შეამჩნევდით... მაგრამ მე უკვე მრავალი წელია ვიცნობ მას და დღეს ტყუილად როდი შემეშინდა, როდესაც შემთხვევით ხელებზე დავხედე: არ შეგინიშნავთ, როგორი გამჭვირვალე და გაძვალტყავებული ხელები აქვს?.. იცით, როდესაც ბევრი გარდაცვლილის ხელები გინახავს და როცა ცოცხალი ადამიანის ხელზედაც ანალოგიურ ბაც სილურჯეს მოჰკრავ თვალს, უნებლიეთ ფრთხები. და თანაც არც მისი დათრგუნვა მომწონს: ოდნავ აღელდება და თვალები ცრემლებით ევსება და სახეზე ფერი მისდის. სწორედ ისეთი მამაკაცებისთვის, რომლებიც ადრე ისეთივე უტეხნი და ენერგიულები იყვნენ, როგორიც კეკეშფალვაა, დავრდომილობა ძალზე დამაფიქრებელი ამბავია. სამწუხაროდ, კარგს არაფერს მოასწავებს და ამიტომ არ მომწონს ხოლმე, როდესაც ულმობელი ადამიანები ერთბაშად ლმობიერნი და ღვთისნიერნიც კი ხდებიან. რაღაც მოიშალა მათში, რაღაც გატყდა, დაიმსხვრა. რასაკვირველია, დიდი ხანია ვაპირებ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ვერ მივკარებივარ მათ, რადგან, დაგიფაროთ ღმერთმა, თუ ახლა ისიც აფიქრებინეთ, რომ თვითონაც ავად არის, შეიძლება მოკვდეს და ფეხებწართმეული შვილი უპატრონოდ დარჩეს. არა, ეს წარმოუდგენელი რამ იქნებოდა!.. ისედაც მისავათებულია და მუდამ ერთსა და იმავეზე ფიქრით აფორიაქებულს მოუთმენლობა თრგუნავს... არა, არა, ბატონო ლეიტენანტო, სწორედ ვერ გამიგეთ, ედითი კი არა, კეკეშფალვაა ჩემი მთავარი საზრუნავი... ვშიშობ, ბერიკაცი დიდხანს ვეღარ გასტანს...

მართალი გითხრათ, თავზარი დამცა ამ სიტყვებმა. ასეთი რამ მანამდე აზრადაც არ მომსვლია. უკვე ოცდახუთი წლის ვიყავი და ახლობელი არავინ მყავდა გარდაცვლილი. ვერ წარმომედგინა, რომ ის, ვისთანაც ერთად ესეს არის მაგიდასთან ვიჯექი, ვჭამდი, ვსვამდი, ველაპარაკებოდი, შეიძლებოდა ხვალ სუდარაში გახვეული წოლილიყო გაშეშებული. ამავე დროს ერთბაშად ოდნავი ჩხვლეტა ვიგრძენი გულის არეში და მივხვდი, რომ ნამდვილად მიყვარდა ეს ბერიკაცი. შეცბუნებულმა ვცადე რამით მაინც შევსიტყვებოდი ექიმს.

– საშინელება იქნებოდა, – მივუგე სრულიად დაბნეულმა, – ეს ხომ საშინელება იქნებოდა. ასეთი კეთილშობილი, ასეთი დიდსულოვანი და ღვთისნიერი ადამიანი... ნამდვილი უნგრელი არისტოკრატი, რომელსაც მე შევხვედრივარ...

მაგრამ აქ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. კონდორი ისე ერთბაშად გაჩერდა, რომ უნებლიეთ წავიბორძიკე. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა (პენსნეს მინებმა მთვარის შუქზე გაიელვა) და დაჟინებით მომაჩერდა. ორიოდწამში სული მოითქვა და გაოგნებულმა მკითხა:

– არისტოკრატი?.. თანაც ნამდვილი?.. კეკეშფალვა? მომიტევეთ, ძვირფასო ბატონო ლეიტენანტო, მაგრამ მართლა სერიოზულად ამბობთ ამას?..

კარგად ვერ გავიგე, რას მეკითხებოდა, მაგრამ ისეთი გრძნობა კი დამეუფლა, თითქოს რაღაც გაუგონარი სისულელე მეთქვას. ამიტომ დარცხვენილმა მივუგე:

– რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი პირადი შთაბეჭდილებაა, ჩემ მიმართ კი ბატონი კეკეშფალვა მუდამ არაჩვეულებრივად კეთილშობილი და სათნო იყო... ჩვენთან,

პოლკში, გამიგონია: უნგრელი არისტოკრატები განსაკუთრებით ამპარტავნები არიანო... მაგრამ... მე... მე... კეკეშფალვაზე კეთილ ადამიანს არ შევხვედრივარ... მე...

აქ გავჩუმდი, რადგან შევნიშნე, რომ კონდორი კვლავინდებურად თვალს არ მაშორებდა და გვერდიდან ყურადღებით მათვალიერებდა. მრგვალ სახეს მთვარე უნათებდა, პენსნეს მინები უელავდა და მათ მიღმა ბევრად უფრო გადიდებული, რაღაც განსაკუთრებულად გამომცდელი თვალები მიმზერდა. ყოველივე ამას ისე განვიცდიდი, თითქოს რაღაც მწერი ვყოფილიყავი და ვეებერთელა გამადიდებელი შუშით მათვალიერებდნენ. შარაგზის შუაში ერთიმეორის გვერდით მდგომთ, ალბათ, უცნაური შესახედაობა გვქონდა. ბოლოს კონდორმა თავი დახარა, გზა განაგრძო და თან თითქოს თავისთვის ბუტბუტებდა:

– თქვენ მართლაც საკვირველი კაცი ყოფილხართ... მომიტევეთ, ცუდს არაფერს ვგულისხმობ, მაგრამ ეს მართლაც საკვირველია... თქვენ თავადაც უნდა დამეთანხმოთ, რომ ძალზე საკვირველია... როგორც გავიგე, უკვე რამდენიმე კვირაა სტუმრობთ მათ ოჯახს. ამას გარდა, პაწაწინა ქალაქში ცხოვრობთ, ნამდვილ საქათმეში, სადაც დაუცხრომლად კაკანებენ... კეკეშფალვა კი არისტოკრატად მიგაჩნიათ... ნუთუ ერთხელ მაინც არ გსმენიათ მეგობრებისგან რომ მისი „აზნაურობა“ არცთუ დიდი ხნის ამბავია?.. ნუთუ არაფრისთვის მოგიკრავთ ყური?

– არა, მივუგე სწრაფად და ვიგრძენი, რომ ბრაზი მერეოდა, – მსგავსი არაფრისთვის მომიკრავს ყური. არც ერთ ჩემს მეგობართან ბატონ ფონ კეკეშფალვაზე საუბარი არ მქონია.

– საკვირველია, – ჩაიბუტბუტა კონდორმა, – უცნაურია... მე კი მეგონა, რომ აჭარბებდა, როდესაც თქვენ გახასიათებდათ, და პირდაპირ გეტყვით: როგორც ჩანს, დღეს მცდარი დიაგნოზების დღე მაქვს... ოდნავ უნდობლად ვუყურებდი მის ენთუზიაზმს... ვერასგზით ვერ დამეჯერებინა, რომ მხოლოდ ცეკვის დროს მომხდარი გაუგებრობის გამო დაიწყეთ მათთან სიარული, ხოლო შემდეგ... შემდეგ... უბრალო სიმპათიისა და თანაგრძნობის გამო სტუმრობდით მათ... გადავწყვიტე გამეგო (ან კი რატომ არ უნდა გითხრათ?) გამომერკვია, არსებითად რა გიზიდავდათ მათ სახლში. გულში ვფიქრობდი, რომ თქვენ (როგორ გამოვთქვა ეს ზრდილობიანად), ან ერთობ მიზანდასახული ყმაწვილი უნდა იყოთ, რომელსაც სურს ხელის მოთბობა, ანდა თუ ალალი გრძნობა გამოძრავებთ, შინაგანად ძალზე ახალგაზრდა ხართ, რადგან ტრაგიკული და სახიფათო ასე საოცრად მხოლოდ ჭაბუკებს იზიდავს. მაგრამ მიმაჩნია, რომ ახალგაზრდული ინსტინქტი თითქმის არასოდეს ტყუვდება და არც თქვენ შემცდარხართ... კეკეშფალვა ნამდვილად განსაკუთრებული ადამიანია. არც ის არის გასაკვირი თქვენგან, რომ არისტოკრატი უწოდეთ. მაგრამ ერწმუნეთ ადამიანს, რომელიც მას ბევრად უკეთ იცნობს, ვიდრე ვინმე აქაური, არ უნდა გრცხვენოდეთ, რომ ბერიკაცისა და მისი საბრალო გოგონასადმი ამხელა მეგობრობა გამოიჩინეთ. რაც უნდა ჩაგაწვეთონ ყურში, არ უნდა აჰყვეთ ამ ხმებს: მათ ნამდვილად არაფერი აქვთ საერთო დღევანდელ კეკეშფალვასთან გულისამაჩუყებელ და განსაცვიფრებელ ადამიანთან...

ჩემი თანამგზავრი ამას გზადაგზა ლაპარაკობდა, მე არ მიყურებდა და მხოლოდ რამდენიმე წამით შეანელა ნაბიჯები. მივხვდი, რომ რაღაცაზე ჩაფიქრდა და არ მინდოდა ხელი შემეშალა. ოთხი თუ ხუთი წუთი ხმის ამოუღებლად მივდიოდით ერთიმეორის გვერდით. ოთხთვალა შემოგვხვდა და განზე გადგომა მოგვიხდა. მეურმემ ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა უცნაური წყვილი: ლეიტენანტი და მის გვერდით სათვალიანი, ტანდაბალი და ჩასუქებული ბატონი, შუაღამისას მდუმარედ მოსეირნენი შარაგზაზე. ეტლს გზა დავუთმეთ და კონდორი უეცრად ისევ მე მომიბრუნდა:

– ყური დამიგდეთ, ბატონო ლეიტენანტო, ნახევრად გაკეთებულ საქმეებს და ნახევრად გამჟღავნებულ ქარაგმებს სიკეთე თუ მოაქვთ, მთელი სიავე ამქვეყნად ამ „ნახევრულობის“ ბრალია. როგორც ჩანს, უკვე ბევრი რამ წამომცდა, მე კი არავითარ შემთხვევაში არ მსურს თქვენი კეთილი სულისკვეთება შევბღალო. მეორე მხრივ, ერთობ გავაღიზიანე თქვენი ცნობისმოყვარეობა და უთუოდ სხვებთანაც გაიკითხავთ ყოველივეს. ხოლო სხვებისგან, სამწუხაროდ, ვშიშობ, რომ სწორ ინფორმაციას ვერ მიიღებთ. თანაც შეუძლებელია ოჯახში ხანგრძლივად დაიარებოდე და არ იცოდე, ვისთან გაქვს საქმე ალბათ ახლა კვლავინდებურად ლაღად ვეღარც იგრძნობთ თავს მათთან სტუმრობით. ასე რომ, ბატონო ლეიტენანტო, თუ მართლა გაინტერესებთ ზოგი რამ შეიტყოთ ჩვენს მეგობარზე, თქვენს განკარგულებაში ვარ.

– რასაკვირველია, ყველაფერი მაინტერესებს, აღმომხდა ცნობისმოყვარეობით აღსავსეს.

კონდორმა საათს დახედა:

– თერთმეტს თხუთმეტი აკლია. ამრიგად, მთელი ორი საათი გვრჩება სალაპარაკოდ. მატარებელი პირველ საათსა და ოც წუთზე გადის. მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი რამეების რიგიანად მოყოლა შარაგზაზე შეიძლებოდეს. იქნებ აქ სადმე ახლოს მყუდრო ადგილი იცით,სადაც შეგვეძლება მშვიდად მუსაიფი?

ორიოდე წამით დავფიქრდი და ვთქვი:

– ყველაფერს სჯობს, „ტიროლურ სამიკიტნოში“ წავიდეთ. იქ პატარა ლოჟებია, სადაც ხელს არავინ შეგვიშლის.

– შესანიშნავია! სწორედ ამგვარი რამ გვინდა, – მომიგო მან და ისევ აუჩქარა ნაბიჯს.

მეტი აღარაფერი გვითქვამს, ისე განვვლეთ შარაგზა ბოლომდე. სულ მალე პირველი სახლებიც გამოჩნდა, მთვარის ანარეკლით მოციაგენი. უკვე სრულიად უკაცრიელ შუკებში, ბედად, არც ერთი ნაცნობი არ შემხვედრია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უსიამო იქნებოდა ჩემთვის, მეორე დღეს გამოკითხვა რომ დაეწყოთ: ვინ იყო, წუხელ რომ გახლდაო. მას შემდეგ, რაც ამ უცნაურ ამბავთა ქსელში გავეხვიე, შეშინებული ყოველ ძაფს ვმალავდი, რომელსაც შეეძლო ვინმესთვის იმ ლაბირინთის შესასვლელი ეჩვენებინა, სადაც მე სულ უფრო და უფრო იდუმალებით მოცულ სიღრმეებში ვიმზირებოდი.

* * *

„ტიროლური სამიკიტნო“ პატარა მყუდრო რესტორანი გახლდათ, რომელსაც საეჭვო სახელი ჰქონდა გავარდნილი. იგი ქალაქის განაპირას, ერთ-ერთ ძველებურ ოკრობოკრო შუკაზე მდებარე მეორე თუ მესამე თანრიგის სასტუმროს ეკუთვნოდა. სამიკიტნო ოფიცერთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იმ სულგრძელი გულმავიწყობის გამო, რომლითაც იქაური პორტიე მომხვდურთ არ აიძულებდა სარეგისტრაციო ფურცელი შეევსოთ თანახმად პოლიციის განკარგულებისა, მაშინ როდესაც ზოგჯერ სტუმრები დღისითაც კი ორსაწოლიან ნომერს ითხოვდნენ. ხანმოკლე თუ ხანგრძლივ სატრფიალო ორგიათა საიდუმლოების დაცვას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ არშიყთა ბუდეებში მოსახვედრად აუცილებელი არ იყო სასტუმროს სადარბაზო შესასვლელით სარგებლობა (ეს შეუნიშნავი არ დარჩებოდა, პატარა ქალაქს ათასი თვალი აქვს), სრულიად არხეინად პირდაპირ რესტორნის დარბაზიდან შეიძლებოდა კიბეზე გასულიყავით და შემდეგ ფარული მიზნისაკენ გზა ხსნილი იყო. ამ, ცოტა არ იყოს, სახელგატეხილ სასტუმროში უნაკლო მხოლოდ ტერლანური და მუსკატელი იყო. ყოველ საღამოს აქ ხის მძიმე და სუფრაგადაფარებულ მაგიდებს შინაურულად უსხდნენ მოქალაქეები, სვამდნენ ღვინოს და აქაურ ანდა მსოფლიო ამბებზე მსჯელობასა და კამათს უთმობდნენ დროს. ეს სწორკუთხა და ცოტათი ვულგარული დარბაზი მთლიანად მათ განკარგულებაში იყო. ისინი აქ მხოლოდ და მხოლოდ ღვინის დასალევად და დროის მოსაკლავად მოდიოდნენ. ხოლო ირგვლივ, ერთი საფეხურით მაღლა, ეგრეთ წოდებული „ლოჟების“ გალერეა გასდევდა შენობას. მათ ერთმანეთისგან ყოფდა საკმაოდ სქელი, ხმაგაუმტარი ფიცრული ტიხრები, საერთო დარბაზისგან კი სქელი კრეტსაბმელები ისე აცალკევებდა რვა კაბინას ერთმანეთისგან, რომ თითოეულს ცალკე კაბინეტი ეთქმოდა. ნაწილობრივ ამ დანიშნულებით იყენებდნენ კიდეც მათ. როცა გარნიზონის ოფიცრებსა და მოხალისეებს ვენელ გოგოებთან დროს ტარება მოუნდებოდათ, ისინი ერთ-ერთ ამ „ლოჟას“ ქირაობდნენ და, თუ ხმებს დავუჯერებთ, თვით პოლკოვნიკიც კი (სხვა მხრივ მკაცრად რომ იცავდა ზნეობრიობას), აშკარად იწონებდა ამ გონივრულ ღონისძიებას, რომელიც მისი ბიჭების მხიარულ დროს ტარებას სამოქალაქო პირთა ცნობისმოყვარე მზერისგან იფარავდა. საიდუმლოს დაცვა სასტუმროს შინაგანაწესის უზენაესი კანონი იყო.

მისი პატრონის, ვინმე ბატონი ფერლაიტნერის კატეგორიული ბრძანებით, ტიროლურ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალებს სასტიკად ეკრძალებოდათ, კრეტსაბმელები ისე გადაეწიათ, ვიდრე წინასწარ ხმამაღლა არ ჩაახველებდნენ, ანდა საერთოდ სხვა რამით შეეწუხებინათ ბატონი სამხედროები, ვიდრე თავად ისინი არ ჩამოჰკრავდნენ ზარს. ასე რომ, მტკიცედ იყო დაცული არმიის ღირსებაც და თავშექცევაც...

იმ სამიკიტნოს ისტორიაში, ალბათ, არცთუ ხშირად იქნებოდა ისეთი შემთხვევები, კაბინები მხოლოდ სასაუბროდ დაეკავებინათ. ეჭვგარეშეა, უხერხულად ვიგრძნობდი თავს, თუ ექიმ კონდორთან საუბრისას დარბაზში შემოსული მეგობრების სალამზე ანდა ცნობისმოყვარე შეკითხვებზე პასუხის გაცემა მომიხდებოდა, ან კიდევ მაღალი წოდების ოფიცრის გამოჩენაზე წამოხტომა და სმენაზე გაჭიმვა. ჯერ მარტო ისიც კი

მეჩოთირებოდა, რომ კონდორთან ერთად რესტორნის დარბაზის გადასერვა მომიწევდა... „რამდენს იყბედებენ ხვალ, ვინმემ რომ დამინახოს, როგორ მივიპარები ინტიმურ სამყოფელში ვიღაც უცხო, მსუქან ბატონთან ერთად!..“ მაგრამ შესვლისთანავე გულზე მომეშვა, რადგან რესტორანი თითქმის ცარიელი იყო. ასე ხდება ხოლმე თვის ბოლოს ყველა პატარა საგარნიზონო ქალაქის საქეიფო ადგილებში. ჩვენი პოლკიდან აქ არავინ გახლდათ, ყველა ლოჟა ცარიელი იყო. რომელიც მოგვესურვებოდა, იმას ავირჩევდით. კონდორმა ორი ლიტრი თეთრი ღვინო შეუკვეთა (და ალბათ იმიტომ, რომ ოფიციანტს მეტად აღარ შევეწუხებინეთ, მაშინვე გაუსწორდა კიდეც. თან ფეხის ქირად იმდენი აჩუქა, რომ მოახლე აშკარად კმაყოფილი დარჩა და კონდორს მადლობაც გადაუხადა). მოახლემ კრეტსაბმელი ჩამოუშვა და აღარც გამოჩენილა... მხოლოდ ყრუდ და კანტიკუნტად ატანდა დარბაზიდან ცალკეული ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები და სიცილი ჩვენს კაბინაში. აქ არავინ შეგვიშლიდა ხელს საუბარში...

კონდორმა სასმისები შეავსო. თან ისე ჩაფიქრებულად ასხამდა ღვინოს, მივხვდი, რომ წინასწარ წონიდა ყველაფერს, რის თქმასაც აპირებდა (და შესაძლოა იმასაც, რისი დაფარვაც სურდა), ხოლო როდესაც შემომხედა, თვალებიდან უკვალოდ გაჰქრობოდა ის ნამძინარევი, თვითკმაყოფილი გამომეტყველება, რომელიც მანამდე ასე მაღიზიანებდა. ახლა მისი მზერა მთლიანად კონცენტრირებული იყო ჩემზე.

– ყველაფერს სჯობს, სულ თავიდან დავიწყოთ და ჯერჯერობით განზე დავტოვოთ კეთილშობილი ბატონი ლაიოშ ფონ კეკეშფალვა. მაშინ ჯერ კიდევ არ ატარებდა შავ სერთუკს და ოქროს სათვალეს, არც მდიდარი მემამულე იყო და არც უნგრელი არისტოკრატი. იყო მხოლოდ ერთი უბრალო, ებრაელი ბიჭი, სახელად ლეოპოლდ კანიცი, რომელიც ერთ გასაცოდავებულ სოფელში ცხოვრობდა უნგრეთ-სლოვაკეთის საზღვარზე და რომელსაც ყველანი ლემელ კანიცს ეძახდნენ.

უკიდურესი განცვიფრებისგან პირი დავაღე, რადგან ყველაფერს მოველოდი და ამას კი არა. კონდორმა ერთი კი გაიღიმა (რასაკვირველია, მოელოდა ჩემგან ასეთ რეაქციას) და ისევ განაგრძო:

– დიახ, კანიცი, ლეოპოლდ კანიცი, ასეა, რას იზამ. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ერთი მინისტრის შუამდგომლობით გადაუკეთეს გვარი, ახლა რომ ასე მადიარულად ჟღერს, და აზნაურის წინდებულითაც შეუმკეს. თქვენ ალბათ მხედველობიდან გამოგრჩათ ის გარემოება, რომ გავლენიან და კარგი ნაცნობობის მქონე ადამიანს (რომელიც აქ დიდხანს ცხოვრობს), შეუძლია უნგრული ფორმა მისცეს თავის გვარსა და სახელს, ხოლო ზოგჯერ აზნაურის წოდებაც კი მოიპოვოს. თუმცა, საიდან უნდა იცოდეს თქვენნაირმა ყმაწვილმა კაცმა ეს ყოველივე, მით უმეტეს, რომ დიდი დროც გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა ლაითაში მას შემდეგ, რაც ეს სუსტი აღნაგობის, მკვირცხლი ებრაელი ბიჭი გლეხების ცხენებსა და ფორნებს უგდებდა ყურს, ვიდრე მათი პატრონები სამიკიტნოში ილეშებოდნენ, ანდა ბაზრის დედაკაცებს კალათების შინ წაღებას შველოდა და გასამრჯელოდ რამდენიმე კარტოფილს იღებდა. ასე რომ, კეკეშფალვას ან, უფრო სწორად, კანიცის მამა არისტოკრატი კი არა, ერთი ხუჭუჭკიკინიანი ღატაკი ებრაელი იყო, რომელსაც სოფლის მახლობლად, გზის პირზე არყის დუქანი ჰქონდა აღებული

იჯარით. დილასაღამოს დუქანში შეშისმჭრელები და მეფორნეები იყრიდნენ თავს, რათა კარპატულ ყინვაში მგზავრობის წინ თუ მის შემდეგ ერთი ან რამდენიმე ჭიქა სამოცდაათგრადუსიანი არყით მოეოხებინათ გული და გამთბარიყვნენ. ზოგჯერ ეს ცეცხლოვანი სითხე თავში აუვარდებოდათ ხოლმე და მაშინ სკამებისა და ჭიქების მტვრევას იწყებდნენ; ერთერთი ასეთი აყალმაყალის დროს ლეოპოლდის მამა ძალიან დაშავდა. დუქანში რამდენიმე გლეხი ერთმანეთს წაეკინკლავა, გალეშილები იყვნენ. როდესაც დახლიდარმა, თავისი ისედაც მწირი ავეჯის შენარჩუნება გადაწყვიტა, მოჩხუბრების გაშველება სცადა. ერთმა ახმახმა მეფორნემ, საწყალს ისე მაგრად ჰკრა ხელი კუთხისკენ, რომ საბრალო გმინვით დაენარცხა ძირს. ამ დღიდან მოყოლებული სისხლს ანთხევდა ხოლმე ხველების დროს, ხოლო ერთი წლის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. ერთი გროშიც არ დარჩენია... ლეოპოლდის დედა მედგარი ქალი იყო და რათა საკუთარი თავი და შვილები ერჩინა, მრეცხავად, ბებიაქალად ედგა მდიდრებს. ხანდახან ვაჭრობდა კიდეც, კარდაკარ დაატარებდა საქონელს და ამაში ლეოპოლდიც ეხმარებოდა, ზურგით დაჰქონდა საქონელი. ამას გარდა, ბიჭი სხვა სამუშაოსაც არ ერიდებოდა, ოღონდაც როგორმე ერთი-ორი კროიცერი შეეკოწიწებინა. ხან სოვდაგართან იყო გასაქცევ-გამოსაქცევ ბიჭად, ხანაც სოფლიდან სოფელში დადიოდა სხვადასხვა დავალებით... იმ ასაკში, როდესაც სხვა ბავშვები ჯერ კიდევ გატაცებით თამაშობდნენ მინის ბურთულებით, ლეოპოლდმა უკვე ზუსტად იცოდა ყოველი ნივთის ფასი, სად შეიძლებოდა მისი ყიდვა ან გაყიდვა და ამდენად, კარგად აითვისა და შეისწავლა კაცის ბუნება და ამიტომაც მუდამ საჭირო იყო და ვერ ელეოდნენ მას. ყმაწვილი სწავლისთვისაც გამონახავდა ხოლმე დროს. წერაკითხვას რაბინი ასწავლიდა. ეს საქმე ისე სწრაფად დასძლია, რომ ცამეტი წლისა უკვე ერთ ვექილს ეხმარებოდა დროდადრო როგორც გადამწერი და მეწვრილმანეებს ორიოდე კროიცერად ანგარიშებს უდგენდა, ანდა გადასახადის ქვითრებს უვსებდა. ლამპა რომ არ აენთო (ნავთის ყოველი ზედმეტი წვეთი მათი ღატაკი ოჯახისთვის მფლანგველობას ნიშნავდა) ღამღამობით რკინიგზისმეისრის ჯიხურში იჯდა ხოლმე სასიგნალო ფარანთან და დაგლეჯილ, სხვების მიერ გადაგდებულ გაზეთებს ჩაჰკირკიტებდა. თემის უხუცესნი მოწონების ნიშნად თავის ქნევითა და წვერის ცანცარით წინასწარმეტყველებდნენ, რომ მისგან უთუოდ რაღაც გამოვიდოდა. არ ვიცი, როგორ მოახერხა მერე სლოვაკური სოფლიდან ვენაში გადმოსვლა, მაგრამ როდესაც ოცი წლის კანიცი ამ მხარეში აღმოჩნდა, უკვე სოლიდური სადაზღვევო საზოგადოების აგენტი გახლდათ; მისთვის დამახასიათებელი დაუცხრომლობით ოფიციალურ სამუშაოს კიდევ ასობით სხვა წვრილმან საქმეს უთავსებდა. იგი იმად იქცა, რასაც გალიციაში „ფაქტორს“ ეძახიან (ადამიანად, რომელიც ყველაფრით ვაჭრობს, ყველაფერში შუამავლობს და აღებმიცემობის ხიდებს სდებს). თავიდან ალმაცერადაც კი უყურებდნენ, მაგრამ შემდეგ, დაიწყეს მისი დაფასება და ზოგჯერ მის ჩაურევლად ვერაფერს აკეთებდნენ. რადგან ყმაწვილმა ყველაფერი იცოდა და ყველაფერში ერკვეოდა. ვთქვათ, თუ ვინმე ქვრივი ქალიშვილის გათხოვებას დააპირებდა, კანიცი მაშინვე იქ გაჩნდებოდა და მაჭანკლის როლს ითავსებდა; თუ ვინმე ამერიკაში გადასახლებას განიზრახავდა და ამისათვის კი ინფორმაცია და საბუთები

სჭირდებოდა, ლეოპოლდი უმალვე უზრუნველყოფდა ერთითაც და მეორითაც. ამას გარდა, ვაჭრობდა ძველმანებით, საათებით, ანტიკვარული ნივთებით, აფასებდა და ცვლიდა მიწის ნაკვეთებს, საქონელს დაცხენებს; თუ რომელიმე ოფიცერს თავდებობა სჭირდებოდა, კანიცი ამასაც ადვილად აგვარებდა; ყოველწლიურად იზრდებოდა მისი ცოდნაცა და მოქმედების სფეროც... ასეთი დაუცხრომელი ენერგიითა და შეუპოვრობით, რა თქმა უნდა, საკმაო შეძლების დაგროვება შეიძლება, მაგრამ ნამდვილად დიდძალი ქონება ყოველთვის მხოლოდ შემოსავალსა და გასავალს შორის, მოგებასა და ხარჯებს შორის განსაკუთრებული შეფარდების დროს წარმოიქმნება. აი, სწორედ ეს შეადგენდა ჩვენი მეგობრის წარმატების მეორე საიდუმლოებას; მთელი ამ წლების განმავლობაში კანიცი თითქმის არაფერს ხარჯავდა, გარდა იმისა, რომ ნათესავებს ეხმარებოდა, რომლებიც არც ისე ცოტანი იყვნენ და ძმას თავის ხარჯზე ასწავლიდა. ერთადერთი შენაძენი, რაც საკუთარი თავისთვის გაიმეტა, შავი სერთუკი იყო და თქვენთვის კარგად ცნობილი მოოქრული სათვალე, რომლის მეშვეობით გლეხებში „ნასწავლი კაცის“ სახელი დაიმკვიდრა. მაგრამ მაშინაც კი, როცა უკვე საკმაოდ შეძლებული იყო, სიფრთხილის გამო ისევ წვრილფეხა აგენტად ასაღებდა თავს. რადგან „აგენტი“ რაღაც მაგიური სიტყვაა, ფართო შესამოსელი, რომლის მიღმაც ყველაფრის დამალვა შეიძლება. ხოლო კეკეშფალვა ყოველთვის მალავდა იმ ფაქტს, რომ უკვე დიდი ხანია შუამავალი კი არა, თავად იყო ყოველი საქმის მოთავეც და კრედიტორიც. ის ფიქრობდა, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია და გონივრული, მდიდარი იყო, ვიდრე მდიდრად მიაჩნდეთ (თითქოს შოპენჰაუერის ბრძნული სიტყვები წაეკითხოს იმის შესახებ, თუ რა ხარ და როგორ შთაბეჭდილებას კი ახდენ). ვინც ერთსა და იმავე დროს ბეჯითიც არის, ჭკვიანიც და მომჭირნეც, ადრე თუ გვიან დიდი ფულის პატრონი ხდება. ეს, ჩემი აზრით, არავითარ განსაკუთრებულ ფილოსოფიურ განჭვრეტას არ საჭიროებს და არც შესაშურია რამე ამაში. ჩვენ, ექიმებმა, ხომ სხვებზე უკეთ ვიცით, რომ ადამიანს ცხოვრების გადამწყვეტ წუთებში საბანკო ბილეთები ნაკლებად შველის, მაგრამ ის კი იმთავითვე ნამდვილად მაკვირვებდა კანიცში, რა დემონური ნებისყოფით ზრდიდა ქონებასთან ერთად ცოდნასაც. სადაც უნდა ყოფილიყო რკინიგზის სადგურზე თუ მატარებელში, სასტუმროში თუ მინდვრად, დღედაღამ, ყოველ თავისუფალ საათს კითხვასა და სწავლას ანდომებდა. შეისწავლა კანონთა კოდექსები, სავაჭრო და სამრეწველო სამართალი, რათა საკუთარ თავს ვექილად დასდგომოდა: პროფესიონალივით ადევნებდა თვალყურს ლონდონისა და პარიზის აუქციონებს და ბანკირივით ერკვეოდა ფინანსურ ოპერაციებში; ამის შედეგად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა მისი საქმიანობის არეც. გლეხებიდან მოიჯარადეებზე გადავიდა, მოიჯარადეებიდან მსხვილ მემამულეებზე; მალე უკვე მთელი მოსავლისა და ტყეების გაყიდვაში შუამავლობდა, ნედლეულს აწვდიდა ფაბრიკებს, სააქციო საზოგადოებებს აარსებდა და ბოლოს რაღაც საქონლით არმიის მომარაგებაც კი დაავალეს. ამიერიდან შავ სერთუკსა და ოქროს სათვალეს სულ უფრო და უფრო ხშირად შეხვდებოდით სამინისტროთა მისაღებ ოთახებში. და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის უკვე მეოთხედი მილიონი და, შესაძლოა, ნახევარი მილიონი კრონაც კი ჰქონდა, აქაურებს ისევ უმნიშვნელო აგენტი

ეგონათ და ქუჩაში შეხვედრისას კვლავინდებურად დაუდევრად ესალმებოდნენ. ვიდრე უდიდესი კომბინაცია არ შექმნა და ერთი დარტყმით ლემელ კანიციდან ბატონ ფონ კეკეშფალვად არ იქცა.

* * *

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ კონდორმა კვლავ განაგრძო:

– დიახ, ასე იყო ყველაფერი! რაც აქამდე მოგახსენეთ, სხვებისგან მაქვს გაგონილი, შემდგომი ამბავი კი თავად მისგან ვიცი. იმ ღამეს მიამბო, როცა მის ცოლს ოპერაცია გაუკეთეს და ღამის ათი საათიდან გათენებამდე საავადმყოფოს მოსაცდელ დარბაზში ვისხედით. ასეთ წუთებში ადამიანები არ ცრუობენ და ამიტომ თავს ვდებ, რომ რასაც ახლა გიამბობთ, ყველა სიტყვა ცინცხალი სიმართლე იქნება.

კონდორმა ღვინო მოსვა და სიგარას მოუკიდა. მგონი, უკვე მეოთხე იყო ამ საღამოს. თვალში მომხვდა, რომ ერთს მოწევდა თუ არა, მეორეს უკიდებდა. მივხვდი, განგებ მხნედ და მხიარულად რომ ეჭირა თავი, როდესაც მკურნალის როლში გამოდიოდა, რომ მისი დინჯი ლაპარაკი და თითქოსდა გულარხეინი დამოკიდებულება განსაკუთრებული პროფესიული ილეთი იყო, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა, უფრო მშვიდად აეწონ-დაეწონა ყოველივე და არც არაფერი გამოჰპარვოდა. სამჯერ თუ ოთხჯერ მოქაჩა სიგარა და თან კვამლს სიზმარში მყოფივით გააყოლა თვალი. შემდეგ ერთბაშად შეირხა, თითქოს სურს გამოერკვესო, და განაგრძო:

– ლეოპოლდ, ანუ ლემელ კანიცის კეკეშფალვას ადგილმამულის ბატონპატრონად გადაქცევის ამბავი ბუდაპეშტიდან ვენაში მიმავალ სამგზავრო მატარებელში დაიწყო. მაშინ უკვე ორმოცდაორი წლის იყო და თმაში ჭაღარა ერია. მეტწილად ღამე მგზავრობდა (ძუნწები ხომ დროსაც ზოგავენ) და თანაც, რა თქმა უნდა, მესამე კლასის ვაგონით. ხანგრძლივი პრაქტიკის განმავლობაში ღამით მგზავრობის თავისებური ტექნიკაც კი შეიმუშავა. ჯერ ხის მაგარ მერხზე შოტლანდიურ პლედს გაიშლიდა ხოლმე, რომელიც იაფად ეყიდა რომელიღაც აუქციონზე, შემდეგ თავის განუყრელ შავ სერთუკს საგულდაგულოდ ჩამოჰკიდებდა კავზე, რომ არ დაჭმუჭნოდა, სათვალეს ბუდეში შეინახავდა და ტილოს სამგზავრო ჩანთიდან (ჩემოდნამდე საქმე არასდროს მისულა) ძველ თივთიკის ქურთუკს ამოიღებდა.სამზადისს რომ მორჩებოდა, კუპეს კუთხეში მიიყუჟებოდა, შუბლზე ქუდს ჩამოიფხატავდა, რომ შუქს არ შეეწუხებინა და ჩასთვლემდა. უკვე დიდი ხანია შესჩვეოდა ასე ძილს. სულაც არ იყო მისი აზრით ღამით მაინცდამაინც ფაფუკ ლოგინში ძილი საჭირო. მაგრამ იმ დღეს ლეოპოლდს არ დაუძინია, რადგან კუპეში კიდევ სამი სხვა მგზავრი იჯდა და საქმეზე საუბრობდნენ. ხოლო როდესაც სადმე საქმიან ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს, კანიცს არ შეეძლო გაფაციცებით არ ესმინა. წლების განმავლობაში ცოდნისმოყვარეობა ისევე არ დასცხრომია, როგორც სიხარბე. ორივე თითქოს მარწუხის ჭანგებივით ერთმანეთზე რკინის ხრახნით იყო მიმაგრებული. კაცმა რომ თქვას, უკვე ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ ფრაზამ, რომელმაც მის ცნობიერებამდე მოაღწია, ისე დააცქვეტინა ყურები, როგორც

ბუკის ხმა შესძრავს ხოლმე ბედაურს. რაღაც თანხაზე იყო ლაპარაკი: „წარმოგიდგენიათ, მხოლოდ გაუგონარი სისულელის წყალობით, ხელის ერთი მოსმით მოახერხა იმ ძაღლისბედამ სამოცი ათასი კრონის შოვნა!“ რაო? რა სამოცი ათასი? როგორ, სამოცი ათასი? – უმალვე გამოფხიზლდა კანიცი, თითქოს ცივი წყალი გადაავლეს თავზეო. ვინ იშოვა სამოცი ათასი და როგორ? აუცილებლად უნდა შეიტყოს. მხოლოდ, რა თქმა უნდა, მისი თანამგზავრები ვერ უნდა მიხვდნენ, რომ ყურს უგდებს. უფრო მაგრად ჩამოიფხატა ქუდი, რომ მის ჩრდილს თვალები მთლიანად დაეფარა და მგზავრებს ჰგონებოდათ, სძინავსო; თან ვაგონის ყოველ ბიძგს ეშმაკურად იყენებდა და სულ უფრო და უფრო ახლოს მიჩოჩავდა მათკენ, რათა ბორბლების რახრახის მიუხედავად, არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა. ყმაწვილი კაცი, რომელიც ასე გაცხარებით ჰყვებოდა და რომელსაც აღშფოთების შეძახილი აღმოხდა (ბუკივით რომ ჩაესმა კანიცს ყურში და გამოაფხიზლა), ვიღაც ვენელი ვექილის თანაშემწე გამოდგა. მას გული სწყდებოდა ვეებერთელა თანხაზე, მის შეფს რომ ჩავარდნოდა ხელში, და აღელვებული ქაქანებდა: თან თავიდანვე კი ჩააფლავა საქმე რომელიღაც ბრიყვული სხდომის გამო, რომელმაც სულ რაღაც ორმოცდაათიოდე კრონა შესძინა. ერთი დღით დაიგვიანა ბუდაპეშტში და ამასობაში ის უჭკუო ბატი გააცურეს. არადა, რა კარგად ეწყობოდა ყველაფერი! ანდერძში ეჭვს ვერ შეიტანდით; ორივე შვეიცარიელი მოწმე ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ და ორი უტყუარი სამედიცინო დასკვნაც იმის შესახებ, რომ ქალბატონი ოროშვარი ანდერძის შედგენის დროს სრულ გონებაზე იყო, ნამდვილი მისწრება იყო; ძმისწულებისა და დისწულების შვილები, აგრეთვე მათთან ქორწინების გზით მიტმასნილ ცრუ ნათესავთა მთელი ხროვა გახვრეტილ გროშსაც ვერ მიიღებდა, მიუხედავად სკანდალური სტატიისა, რომელიც მათმა ვექილმა შეაჩეჩა საღამოს გაზეთებს. და ჩემი სულელი შეფიც ისე დარწმუნებული იყო, საქმეს მოვიგებო, რომ რახან სასამართლო პარასკევს უნდა ყოფილიყო, არხეინად გაემგზავრა ვენაში ყოვლად ბრიყვულ სხდომაზე. ეშმაკი ვინცერი კი მეგობრულად მიუხოხდა მემკვიდრე ქალს, სადარბაზოდ ეწვია, როგორც მოწინააღმდეგე მხარის ვექილი, და იმ უტვინო ბატს სულ მთლად მოეშალა ნერვები. „ოღონდ თავი გამანებონ და რა ჯანდაბად მინდა ამდენი ფული!“ წარმოთქვა მგზავრმა და ვიღაცის ჩრდილო-გერმანულ კილოს გამოაჯავრა. დიახ, თავი მართლაც გაანებეს, მაგრამ მემკვიდრეობის სამი მეოთხედი კი დასცინცლეს! ჩემი შეფის ჩასვლას აღარ დაელოდა, ისე მოაწერა ხელი ამ გადარეულმა დედაკაცმა ყველაზე შლეგურ, ყველაზე სულელურ შეთანხმებას, რომელიც კი ოდესმე დადებულა ამქვეყნად. კალმის ერთი მოსმა ნახევარი მილიონი დაუჯდა.

– მხედველობაში მიიღეთ, ბატონო ლეიტენანტო, მომიბრუნდა კონდორი, – რომ მთელი ამ ხანგრძლივი მონოლოგის განმავლობაში კანიცი მდუმარედ იჯდა კუთხეში ზღარბივით მოკუნტული, ქუდი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული და ჯაშუშივით ყურებდაცქვეტილი ისმენდა ყოველ სიტყვას. იმწამსვე მიხვდა, რაზეც იყო ლაპარაკი, რადგან ოროშვარის პროცესი (მე აქ სხვა გვარს ვასახელებ, რადგან ნამდვილი ერთობ ცნობილია), ნომერ პირველ სენსაციად აღიარეს და ყველა უნგრული გაზეთი წერდა ამ ჭეშმარიტად სკანდალურ საქმეზე. მოკლედ გიამბობთ ამასაც.

ქალბატონი ოროშვარი უკვე ზღაპრულად მდიდარი ჩამოვიდა ჩვენში უკრაინის რომელიღაც კუთხიდან. დედაბერი ქმარზე დღეგრძელი გამოდგა და მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ მთელი ოცდათხუთმეტი წელი იცოცხლა. მას შემდეგ, რაც ერთ ღამეში ავადმყოფობამ ორივე შვილი გამოაცალა ხელიდან, ამ ღრძო და ავმა ქალმა მთელი არსებით შეიძულა ყველა დანარჩენი ოროშვარი, რაკი მისი საბრალო შვილებივით არ დაიხოცნენ. თითქმის ეჭვიც არ მეპარება, რომ მხოლოდ სიანჩხლითა და სულწასული ძმისწულებისა და დისწულების ნაშიერთა ჯიბრით, გაძლო ოცდაოთხი წელი, რათა მემკვიდრეობა არ ეღირსებინა მათთვის. როცა მემკვიდრეობას მოწყურებულ ნათესავთაგან ვინმე ეწვეოდა, ქალბატონი არ იღებდა; თვით ყველაზე თავაზიან წერილსაც კი, თუ ოროშვარებისგან იყო, მაგიდის ქვეშ შეუძახებდა ხოლმე და უპასუხოდ ტოვებდა. ქმარ-შვილის დახოცვის შემდეგ კაცთმოძულე და ახირებული გახდა, მხოლოდ ორ-სამ თვეს ატარებდა საკეკეშფალვოში, დანარჩენ დროს კი მოგზაურობდა, ფუფუნებით ცხოვრობდა ნიცასა და მონტრეში, ირთვებოდა, ათასნაირ ვარცხნილობას იკეთებდა, ფრჩხილებს იღებავდა, ფერუმარილს ისვამდა, ფრანგულ რომანებს კითხულობდა, ნაირ-ნაირ კაბებს იძენდა, მაღაზიიდან მაღაზიაში დადიოდა, ევაჭრებოდა, ბაზრის დედაკაცივით ილანძღებოდა და, რაღა თქმა უნდა, ერთადერთ სულიერს, რომელსაც ის იტანდა, მის მხლებელსა და ხმის გამცემს, სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული. ეს საბრალო, ჩუმი ქალი, ვალდებული იყო ყოველ ცისმარე დღეს სამი საზიზღარი, მყრალი პინჩერი დაეპურებინა, ჯაგრისით გაეწმინდა და ესეირნებინა, ტუტუცი დედაბრისათვის ფორტეპიანო დაეკრა, წიგნები წაეკითხა და სრულიად უმიზეზოდ მისგან ღვარძლიანი ლანძღვა მოესმინა, ხოლო როდესაც ხნიერი ბანოვანი ზოგჯერ ზომაზე მეტ კონიაკს ან არაყს გადახუხავდა (ეს ჩვეულება უკრაინიდან გამოჰყვა), როგორც ხმები დადიოდა, თავის მხლებელს ფიზიკურადაც უსწორდებოდა... ევროპის ყველა ფეშენებელურ კურორტზე: ნიცასა და კანში, ედებენსა და მონტრეში იცნობდნენ გაფაშფაშებულ ბებრუხანას, რომელსაც მოპსის გალაქული სახე და შეღებილი თმა ჰქონდა, მუდამ რაღაცას ქაქანებდა და არ ანაღვლებდა, უსმენდა ვინმე თუ არა. ფელდფებელივით თავზე დასჩხაოდა მოსამსახურე პერსონალს და ყველას, ვინც კი თვალში არ მოუვიდოდა, დაურიდებლად ეჯაჯღანებოდა.

სეირნობისას ყველგან აჩრდილივით თან დასდევდა მისი მხლებელი გამხდარი, ფერმკრთალი, ქერათმიანი ასული, მაგრამ გვერდით კი არა, არამედ უკან და თანაც ძაღლებთან ერთად. მუდამ დამფრთხალი თვალები ჰქონდა ამ ქალს ეტყობოდა, რცხვენოდა, მისი ქალბატონი რომ ასე უხეშად იქცეოდა, და ამავე დროს ეშინოდა მისი, როგორც ხორცშესხმული ტარტაროზისა...

ერთხელაც სამოცდათვრამეტი წლის ქალბატონი ოროშვარი ტერიტეში, სწორედ იმავე ოტელში, სადაც ყოველთვის ჩერდებოდა ხოლმე დედოფალი ელისაბედი, ავად გახდა ფილტვების ანთებით. კაცმა არ იცის, როგორ, მაგრამ ამ ცნობამ უნგრეთამდეც მიაღწია. სად იყვნენ და სად არა, მთელმა ნათესაობამ ერთმანეთთან შეუთანხმებლად ტერიტეში მოიყარა თავი; წალეკეს მთელი ოტელი, აღარ ასვენებდნენ ექიმს შეკითხვებით და ქალბატონის სიკვდილს ელოდნენ.

მაგრამ სიავე ძალას მატებს ადამიანს. ბებერი ალქაჯი გამოჯანმრთელდა და იმ დღეს, როდესაც ნათესავებმა გაიგეს ეს ამბავი და ისიც, რომ ბებრუხანა ოტელის ვესტიბიულში აპირებდა ჩამოსვლას, უკანმოუხედავად გაიქცნენ და დატოვეს იქაურობა. ქალბატონ ოროშვარს არ გამოჰპარვია ერთობ გულშემატკივარი მემკვიდრეების სასწრაფო ჩამოსვლა; აქაც გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი ცბიერება, მოისყიდა ოფიციანტები და დამლაგებელი ქალები, რომ ყოველი სიტყვა მოეტანათ მისთვის, რაც კი ნათესავებს წამოსცდებოდათ. მართალი გამოდგა ყველაფერი. საღერღელაშლილი მემკვიდრეები გააფთრებით კინკლაობდნენ ერთმანეთში, ვის საკეკეშფალვო რგებოდა, ვის ოროშვარი, ვის თვალმარგალიტი, ვის კიდევ უკრაინის მამულები და ვის სასახლე ოფნერშტრასეზე...

ეს პირველი გასროლა იყო. ერთი თვის შემდეგ ბუდაპეშტიდან მოვიდა წერილი თამასუქის მფლობელისგან, გვარად დესაუერისაგან, რომელიც აფრთხილებდა ქალბატონს, რომ სარჩელს აღძრავდა მისი ძმისწულის შვილზე, დეშოზე, თუ ქალბატონი წერილობით არ დაუდასტურებდა, რომ დეშო მისი ერთერთი მემკვიდრე იყო. ამან კი საბოლოოდ აუვსო დედაბერს მოთმინების ფიალა. დეპეშით გამოიძახა თავისი ვექილი ბუდაპეშტიდან, მისი დახმარებით ახალი ანდერძი შეადგინა (სიბრაზე ხომ უფრო გამჭრიახს ხდის ადამიანს), ორი ექიმიც დაისწრო, რომლებმაც ხაზგასმით დაადასტურეს, რომ ქალბატონი ანდერძის შედგენისას სრულ გონებაზე იყო. ანდერძი ვექილმა ბუდაპეშტში წაიღო თავის კანტორაში, სადაც ექვს წელს ინახებოდა დაბეჭდილი, რადგან ქალბატონი ოროშვარი სულაც არ ჩქარობდა სიკვდილს. როცა ბოლოს და ბოლოს ანდერძი გახსნეს, ხალხის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთადერთ მემკვიდრედ გამოცხადებული იყო განსვენებულის განუყრელი მხლებელი ფროილაინ ანეტე ბეატე დიცენჰოფი ვესტფალიიდან. ეს სახელი პირველად გაიგონეს ნათესავებმა და მეხივით თავზარდაცემულები შეხვდნენ ამ ამბავს. საკეკეშფალვო, ოროშვარი, შაქრის ფაბრიკა, ცხენსაშენი, სასახლე ბუდაპეშტში ყველაფერი მას ერგო. მხოლოდ უკრაინაში მდებარე მამულები და ნაღდი ფული ეანდერძებინა მხცოვან ქალბატონს თავისი მშობლიური ქალაქისთვის უკრაინაში, რათა იქ რუსული ეკლესია აეგოთ. ნათესავებისთვის კი ერთი ღილიც არ დაუტოვებია; ამ ამბავს ცინიკურად ხაზს უსვამდა ის გარემოებაც, რომ ანდერძში გარკვევით აღნიშნული იყო ამის მიზეზი: „...ვინაიდან ჩემს სიკვდილს მოუთმენლად ელოდნენო“.

წარმოუდგენელი სკანდალი ატყდა. ნათესავებმა ერთი კი იქუხეს: ვაიო! და ვექილებს მისცვივდნენ. მათაც ანდერძი გაასაჩივრეს და ამგვარი შემთხვევისათვის ჩვეულებრივი არგუმენტები წამოაყენეს: ქალბატონი ოროშვარი ანდერძის შედგენისას მძიმე ავადმყოფი იყო და არ შეიძლება სრულ ჭკუაზე ყოფილიყო; ამას გარდა, იგი პათოლოგიურად დამოკიდებული იყო თავის მხლებელზე და ეჭვგარეშეა, რომ ამ უკანასკნელმა ეშმაკურად მოახერხა ჩაეგონებინა ავადმყოფისთვის, ხელი აეღო თავის ჭეშმარიტ ნებასურვილზეო; თან შეეცადნენ ეს ფაქტი, რაც შეიძლება, გაებერათ და საერთოეროვნულ საქმედ ექციათ; უნგრულ მამულებს, რომლებიც არპადთა დროიდან ოროშვარებს ეკუთვნოდათ, ახლა უცხოელი, პრუსიის ნაშიერი უნდა დაეპატრონოსო,

ხოლო ქონების მეორე ნახევარი მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა დარჩესო; მთელი ბუდაპეშტი ამაზე ლაპარაკობდა, გაზეთები მთელ სვეტებს უთმობდნენ ამ შოკისმომგვრელ ამბავს, მაგრამ, იმ საშინელი აურზაურისა და აყალმაყალის მიუხედავად, რომელიც მშრალზე დატოვებულმა ნათესავებმა ატეხეს, მათი საქმე წინ ვერ მიიწევდა. ორინსტანციაში მემკვიდრეებმა უკვე წააგეს პროცესი; მათდა საუბედუროდ, ტერიტელი ექიმები, ორივენი კიდევ ცოცხლები იყვნენ და ხელახლა დაადასტურეს, რომ ქალბატონი ანდერძის შედგენისას სრულ ჭკუაზე იყო. სხვა მოწმეებმაც აღიარეს ჯვარედინი დაკითხვისას: თუმცა ქალბატონი ბოლო წლებში ჭირვეულობდა, მაგრამ გონება კვლავინდებულად საღი ჰქონდაო. ამაო გამოდგა ვექილთა ხრიკები და დაშინების პოლიტიკა. ასში ერთი შესაძლებლობაც კი არ იყო იმისა, რომ მეფის კურია არ დაამტკიცებდა წინა ინსტანციათა მიერ დიცენჰოფის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

კანიცს, რა თქმა უნდა, წაკითხული ჰქონდა პროცესის ანგარიში, მაგრამ მაინც ყურდაცქვეტილი ისმენდა ყველა სიტყვას, რადგან სხვათა ფულადი კომბინაციები გატაცებით აინტერესებდა, მათში ჭკუის სასწავლ მასალას ხედავდა; თანაც საკეკეშფალვოს ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როცა აგენტი იყო.

– აბა, ახლა წარმოიდგინეთ, – ჰყვებოდა ამასობაში თანაშემწედ და გადამწერლად მომუშავე ყმაწვილი, – რა დღეში ჩავარდებოდა ჩემი შეფი, როცა უკან დაბრუნდა და შეიტყო, როგორ გააცურეს ის ბრიყვი დედაკაცი. მას უკვე ხელი მოეწერა, რომ უარს ამბობდა ოროშვარის მამულზე, ოფნერშტრასეზე მდებარე სასახლეზე და სჯერდებოდა მხოლოდ საკეკეშფალვოს და ცხენსაშენს. ეტყობა, განსაკუთრებით იმოქმედა იმ გაქექილი თითლიბაზის დაპირებამ, რომ ამიერიდან სასამართლოებში აღარ დასჭირდებოდა წანწალი და რომ მემკვიდრეები დიდსულოვნად მის ვექილსაც თვითონ გაისტუმრებდნენ. რა თქმა უნდა, იურიდიულად ჯერ კიდევ გვიან არ იყო გარიგების გასაჩივრება, მით უმეტეს, რომ მხოლოდ უბრალო მოწმეების თანდასწრებით დაიდო და არა ნოტარიუსისა, თანაც მემკვიდრეთა ხარბი ხროვის მოშორებაც შეიძლებოდა სულ იოლად მათ ხომ გახვრეტილი გროშიც აღარ გააჩნდათ, რომ ინსტანციებში ბრძოლა განეგრძოთ. რა თქმა უნდა, ჩემი შეჩვენებული შეფის მოვალეობა იყო ემხილებინა ისინი და გარიგება გაესაჩივრებინა, როგორც ამას კლიენტის ინტერესები მოითხოვდა, მაგრამ ნათესავები ეშმაკურად მოიქცნენ, სულის მოთქმაც არ აცალეს და იმავ წამს სამოცი ათასი კრონა შესთავაზეს მას გასამრჯელოდ, თუკი საქმეს ხელახლა აღარ აღძრავდა. მანაც, ისედაც გულმოსულმა ამ ბრიყვ დედაკაცზე, რომელსაც ნახევარ საათში ცინცხალი მილიონი გამოსტყუეს, დაამტკიცა გარიგება და ფულიც ჩაიჯიბა. სამოცი ათასი კრონა! ჰა, როგორია? თანაც რაში, იმაში, რომ სულელურად მოიქცა გაემგზავრა ვენაში და საქმე ჩააფლავა!.. ჰოდა, ახლა მარტო საკეკეშფალვაღა დარჩა მილიონიანი მემკვიდრეობიდან და ვიცი, იმასაც მალე გაანიავებს, ისეთი გამოშტერებული ვინმეა!

– რას უპირებს იმ მამულს, ნეტავი? – შეეკითხა მეორე მგზავრი.

– რას უნდა უპირებდეს, გაანიავებს! უთუოდ რაღაც სიბრიყვეს ჩაიდენს! ხმები დადის, რომ შაქრის მწარმოებელთა კარტელს განზრახული აქვს ფაბრიკა აართვას. მგონი, ზეგ

უნდა ჩავიდეს გენერალური დირექტორი ბუდაპეშტიდან. მამული კი, თუ არ ვცდები, ვიღაც პეტროვიჩს სურს იჯარით აიღოს, რომელიც იქ მოურავად იყო, მაგრამ შეიძლება თვითონ კარტელიც დაეპატრონოს ფაბრიკასთან ერთად. ფული ახლა საკმაოდ აქვთ, საფრანგეთის ერთე-რთი ბანკი, არ წაიკითხეთ გაზეთში? ალბათ დააფინანსებს ბოჰემიის შაქრის მრეწველობას...

ამის შემდეგ საუბარი ზოგად თემებზე განაგრძეს. მაგრამ კანიცმა უკვე იმდენი საინტერესო რამ მოისმინა, რომ ყურები ეწვოდა. საკეკეშფალვოს ბევრი როდი იცნობდა ისე ზედმიწევნით, როგორც ის. ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ იყო იქ მოძრავი ქონების დასაზღვევად. პეტროვიჩსაც იცნობდა და თანაც ერთობ კარგადაც: თავისი ადრინდელი საქმეებიდან. ამ ყმაწვილს პატიოსნად მოჰქონდა თავი, მაგრამ ყოველ წელს მოზრდილ თანხას ითვისებდა საკეკეშფალვოს შემოსავლიდან, რომლის მოურავიც იყო, და მას კანიცის შუამავლობით მუდამ ვინმე დოქტორ გოლინგერთან აბანდებდა: ჩინური ფაიფურით სავსე კარადა, მოჭიქული სამშვენისები და აბრეშუმზე მოქარგული გამოსახულებები აგონდებოდა. ეს ყველაფერი ქალბატონს პაპისგან რგებოდა, რომელიც რუსეთის ელჩად ყოფილიყო პეკინში. მხოლოდ კანიცმა იცოდა მათი ნამდვილი ფასი და ჯერ კიდევ ქალბატონის სიცოცხლეში მოინდომა ჩიკაგოელი როზენფელდისათვის შეესყიდა ეს (ალბათ, ორიდან სამი ათას გირვანქა სტერლინგამდე ღირებული) უნიკალური ნივთები; მოხუც ოროშვარს, რასაკვირველია, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ძვირად ფასობდა ამერიკაში აღმოსავლური სიძველეები ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, მაგრამ კანიცი უცერემონიოდ მოიშორა თავიდან, არაფერს არ ვყიდი, ეშმაკსაც წაუღია შენი თავიო, – ამ სიტყვებით გაისტუმრა. თუ ის ნივთები ისევ ისე ხელუხლებელია (კანიცს გააჟრჟოლა ამის გაფიქრებაზე), მაშინ მფლობელის გამოცვლის შემთხვევაში ჩალის ფასად შეიძლებოდა მათი ხელში ჩაგდება. რასაკვირველია, ყველაფერს აჯობებდა, წინასწარ უზრუნველეყო თავისთვის მთელი ინვენტარის შესყიდვის უფლება.

კანიცის თანამგზავრები უკვე კარგა ხანია სულ სხვა ამბებზე საუბრობდნენ, როცა მან, ვითომ ის-ის იყო, გაეღვიძაო, ოსტატურად დაამთქნარა, გაიზმორა და სერთუკის ჯიბიდან საათი ამოიღო; ნახევარ საათში მატარებელი აქ, თქვენს საგარნიზონო ქალაქში უნდა გაჩერებულიყო. სასწრაფოდ დაკეცა საშინაო ქურთუკი და ისევ თავის განუყრელ შავ სერთუკში გამოეწყო. ზუსტად ორ საათსა და ოცდაათ წუთზე ჩამოვიდა მატარებლიდან, სასტუმრო „წითელი ლომისაკენ“ გაეშურა და ნომერი დაიკავა. ვფიქრობ, საჭირო არ არის ხაზი გავუსვა იმას, რომ მასაც, როგორც ნებისმიერ მხედართმთავარს, საეჭვო ბრძოლის წინ ძალზე ცუდად ეძინა. დილით შვიდ საათზე უკვე ფეხზე იყო, რადგან არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა, და სწორედ იმ ხეივნით, რომელიც ეს-ეს არის გამოვიარეთ, ციხე-დარბაზისკენ გაემართა. „ნეტავ, არავინ დამასწროს, ყველაზე ადრე მივიდე, – ფიქრობდა იგი, – მანამდე მოვაკვარახჭინო საქმე, ვიდრე ის სვავები იხუვლებდნენ ბუდაპეშტიდან. სასწრაფოდ უნდა შევუთანხმდე პეტროვიჩს, რომ მაშინვე მაცნობოს, როგორც კი მოძრავი ქონების გაყიდვა დაიწყება, ანდა, თუ გაჭირდა,

გავურიგდები მას, რათა ერთად გავზარდოთ ფასი და გაყოფის დროს ინვენტარი მე შევინარჩუნო“.

ქალბატონის გარდაცვალების შემდეგ ციხე-დარბაზში მოსამსახურე პერსონალიდან ცოტანიღა დარჩნენ, ამიტომ კანიცმა მოახერხა სახლთან შეუმჩნევლად მისულიყო და ყველაფერი დაეთვალიერებინა. „შესანიშნავი კარმიდამოა, – ფიქრობდა იგი, – მშვენივრად არის შენახული. კედლები და დარაბები ეს-ეს არის შეუღებავთ, ღობეც ახალია... დიახ, დიახ, პეტროვიჩი ტყუილად როდი წამოიწყებს ხოლმე რემონტს და თანაც ყოველი ხარჯთაღრიცხვიდან ალბათ საკმაოდაც იჯიბავს ფულს. მაგრამ თავად სადაა ნეტავი?.. მთავარი სადარბაზო შესასვლელი დაკეტილია, კანტორის შენობაშიც არავინ ჩანს... კანიცი, რაც ძალი და ღონე აქვს, კარზე აბრახუნებს, ჯანდაბას, ბუდაპეშტში ხომ არ წავიდა ეს ყმაწვილი, რომ პირღია დიცენჰოფს მოელაპარაკოს?“

კანიცს მოუთმენლობა ეტყობა ხან ერთ კარს მიადგება, ხან მეორეს და ხმამაღლა გასძახებს მასპინძელს, მაგრამ არავინაა, არავინ! ბოლოს პატარა, გვერდით კარს უახლოვდება, ორანჟერეაში შედის და ვიღაც ქალს შენიშნავს. მინის მიღმა ხედავს, რომ ყვავილებს რწყავს. ძლივს ვიღაც იპოვა, ვისგანაც შეიძლება რამე შეიტყოს! კანიცი აკაკუნებს მინაზე. „ეი, თქვენ!“ ყვირის და თან ტაშს შემოჰკრავს, რომ ყურადღება მიიქციოს. ქალი, რომელიც ყვავილებს დასტრიალებს, ერთბაშად შეკრთება, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, და ნელ-ნელა უახლოვდება მას. მთლად ახალგაზრდაც არ არის, თხელი აღნაგობისაა, ქერა თმა აქვს. უბრალო, მუქი ფერის კაბაზე, ჩითის წინსაფარი უკეთია და ბაღის მაკრატელი ჯერაც ნახევრად გახსნილი უჭირავს ხელში.

– არა, მაინც რამდენ ხანს უნდა გელოდოთ? – უტევს მას მოთმინებადაკარგული კანიცი, – სად ჯანდაბაშია პეტროვიჩი?

– ვინ, გეთაყვათ? – ეკითხება სახეარეული ასული, თან უნებლიეთ უკან იხევს და ბაღის მაკრატელს ზურგს უკან მალავს.

– როგორ თუ ვინ? განა რამდენი პეტროვიჩია აქ?! პეტროვიჩი მინდა, მოურავი!

– აჰ, უკაცრავად... ბატონო... ბატონი მოურავი... დიახ... თავადაც არ მინახავს... მგონი, ვენაში გაემგზავრა... მაგრამ ცოლმა თქვა, ალბათ ამ საღამოსვე დაბრუნდებაო.

„ალბათ, ალბათ... – ფიქრობს გაბრაზებული კანიცი, – საღამომდე ცდა მომიხდება. მერე კიდევ სასტუმროში უნდა ვეგდო მთელი ღამე. ახლა ზედმეტი ხარჯი!.. და თან არც კი ვიცი, გამოვა რამე თუ არა“.

– ფუი, რაღა დღეს მოუნდა გამგზავრება? – ბუზღუნებს თავისთვის და შემდეგ კვლავ უცნობ ასულს მიმართავს: – წინააღმდეგი ხომ არ ხართ, სახლი დავათვალიერო? გასაღები არავის აქვს?

– გასაღები? – იმეორებს დაბნეული ქალი.

– დიახ, გასაღები, ჯანდაბას („რა თავს იკატუნებს, ფიქრობს კანიცი, ალბათ პეტროვიჩმა დაავალა, არავინ შეუშვას სახლში. ფეხის ქირად რამეს ვაჩუქებ ამ მშიშარა ბატს!“)! კანიცი მაშინვე ირგებს ნიღაბს, ხუმრობის კილოზე გადადის და შინაურულად მიმართავს ქალს: ნუ გეშინიათ, არაფერს ავწაპნი, მხოლოდ მინდა დავათვალიერო. აბა, ჰა, დროზე მითხარით, გაქვთ გასაღები თუ არა?

– გასაღები... გასაღები, რა თქმა უნდა, მაქვს, – ენის ბორძიკით პასუხობს ქალი, მაგრამ... არ ვიცი... იქნებ როცა ბატონი მოურავი...

– აკი გითხარით, ამაში პეტროვიჩი არ მჭირდება-მეთქი. კმარა, თავს ნუ იკატუნებთ. სახლის ასავალ-დასავალი იცით, რომ წინ გამიძღვეთ?

დაბნეული ქალი კიდევ უფრო იბნევა.

– მგონი, რომ კი... ცოტათი ვიცი...

„რა გამოთაყვანებული ვინმეა, – ფიქრობს კანიცი, – მაინც სად შოულობს პეტროვიჩი ასეთ პერსონალს?“

შემდეგ ხმამაღლა მიმართავს: აბა, დაიძარით! ბევრი დრო არ მაქვს, და კანიცი წინ

მიდის, შეშფოთებული და დარცხვენილი ქალი კი უკან მისდევს, მაგრამ შესასვლელთან ისევ ჩერდება და ყოყმანობს.

– ღმერთო ჩემო, გააღეთ, რაღას უყურებთ?

„რა სულელივით იქცევა?!“ – კვლავ ბრაზობს კაცი, და ვიდრე ქალი გადაქერცლილი ტყავის თხელი საფულიდან გასაღების ასხმას იღებს, ყოველი შემთხვევისათვის მაინც ეკითხება:

– თქვენ აქ რას აკეთებთ?

შემკრთალი არსება ჩერდება და წითლდება: მე ვარ... – იწყებს გაუბედავად, მაგრამ უმალვე თვითონ შეაქვს შესწორება თავის ნათქვამში, – მე... მე... ქალბატონის მხლებელი ვიყავი.

ამ სიტყვებზე კანიცს ელდა ეცა (თან არ დაგავიწყდეთ, რომ მისი ხასიათის ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანა იოლი საქმე არ არის.). უნებლიეთ, ერთი ნაბიჯით უკან იხევს.

– თქვენ რა... ფროილაინ დიცენჰოფი ხართ?

– დიახ, – ისეთი შემკრთალი ხმით პასუხობს ქალი, თითქოს დიდ დანაშაულში დასდეს ბრალიო.

კანიცს ჯერ არასოდეს განეცადა, რა იყო დაბნეულობა, მაგრამ იმ წამს, როდესაც შეიტყო, რომ ლეგენდარულ ფროილაინ დიცენჰოფს, საკეკეშფალვოს მემკვიდრეს გადააწყდა, საშინლად დაიბნა და მაშინვე სულ სხვა ჰანგზე განაგრძო საუბარი:

– Pardon, – ჩაიდუდუნა შეწუხებულმა და შლაპი მოიშვლიპა თავიდან, – Pardon, მოწყალეო ფროილაინ... არავის გავუფრთხილებივარ, რომ უკვე ჩამობრძანდით... წარმოდგენაც არ მქონდა... მომიტევეთ, გეთაყვათ... მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ... – აქ სიტყვა გაუწყდა, რადგან რაღაც დამაჯერებელი მიზეზის მოგონება იყო საჭირო, – დაზღვევის გამო გეახელით. ამ ორიოდე წლის წინათაც ვარ ნამყოფი აქ, როცა ნეტარხსენებული ქალბატონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სამწუხაროდ, მაშინ შემთხვევა არ მომცემია, რომ გამეცანით, მოწყალეო ფროილაინ... მხოლოდ ამიტომ, მხოლოდ დაზღვევის საქმეებთან დაკავშირებით გეახელით... მხოლოდ მინდა ვნახო, ხელუხლებლად დაცულია თუ არა კარმიდამო... ეს ჩვენს მოვალეობას შეადგენს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არც ისე საჩქაროა.

– ოჰ, რას ბრძანებთ, სიამოვნებით, – უპასუხა ქალმა გაუბედავად, – თუმცა კი ამგვარ საქმეებში კარგად ვერ ვერკვევი და იქნებ აჯობებს, ბატონ პეტროვიცს დაელოდოთ?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – მიუგო კანიცმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, – აუცილებლად დაველოდები ბატონ პეტროვიცს („რა საჭიროა, რომ გვარი გავუსწორო“, გაიფიქრა თან გულში). მაგრამ თუ ძალიან არ შეწუხდებით, მოწყალეო ფროილაინ, და ნებას დამრთავდით, მე სწრაფად დავათვალიერებდი სასახლეს და თვალის დახამხამებაში მოვრჩებოდი ჩემს საქმეს. ინვენტარში რამე ხომ არ შეცვლილა?

– არა, არა, – ნაჩქარევად უპასუხა ქალმა, – სრულებით არაფერი შეცვლილა. თუ გნებავთ, რომ დარწმუნდეთ...

– დიდ სიკეთეს იჩენთ, მოწყალეო ფროილაინ, თავი დაუკრა კანიცმა და ორივენი სახლში შევიდნენ.

...სასტუმრო დარბაზში უპირველეს ყოვლისა, გვარდის ოთხი ნახატი შეათვალიერა, თქვენ ისინი იცით, ბატონო ლეიტენანტო, ხოლო შემდეგ გვერდით ოთახში, ედითის ბუდუარში, მინის კარადა, რომელიც ჩინური ფაიფურით, ნაქარგი აბრეშუმითა და აღმოსავლური ნეფრიტის სამშვენისებით იყო გაჭედილი. შვებით ამოისუნთქა: ყველაფერი ადგილზე იყო. პეტროვიჩს არაფერი გაენიავებინა. ის ბრიყვი ყმაწვილი ცდილობს მხოლოდ ქერზე, სამყურაზე, კარტოფილსა და რემონტებზე მოითბოს ხელი.

ამასობაში ფროილაინ დიცენჰოფი, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალზე ერიდება აქეთ-იქით გაფაციცებით მომზირალი უცნობი ბატონისა, ცდილობს, ხელი არ შეუშალოს მას და დარაბებს აღებს. დარბაზში სინათლე იღვრება, მიწის მაღალი კარიდან ბაღის ხედი ჩანს. „ლაპარაკი უნდა გავუბა, ფიქრობს კანიცი, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვა და ამ ქალის გული მოვიგო“.

– რა წარმტაცია აქედან ბაღი!.. ალბათ, ზღაპრულად კარგია აქ ცხოვრება, – ამბობს იდუმალი ხმით.

– დიახ, საუცხოოა, – კვერს უკრავს ქალი. მაგრამ მისი დასტური არცთუ სავსებით გულწრფელად ჟღერს. კანიცი იმავ წამს ხვდება, რომ ეს მფრთხალი არსება სულ გადაჩვეულია შეპასუხებას. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს რაღაცას ხვდებაო, უმატებს:

– თუმცა კი ქალბატონი აქ თავს კარგად არ გრძნობდა. დაბლობი სევდას მგვრისო, იცოდა ხოლმე თქმა. ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ მთები და ზღვა უყვარდა. ეს არე-მარე კი ერთობ მივარდნილად მიაჩნდა, ხოლო ადამიანები... აქ ისევ სიტყვა უწყდება ქალს, „განაგრძე საუბარი, რამე უთხარი, აქეზებს თავის თავს კანიცი, შეეცადე საერთო ენა გამონახო“.

– მაგრამ თქვენ, მოწყალეო ფროილაინ, იმედია, აქ დარჩებით. ხომ ასეა?

– მე? – ქალი უნებლიეთ ხელებს ასავსავებს, თითქოს რაღაც უსიამოვნო სურდეს მოიშოროს თავიდანო, – მე?.. არა! ოჰ, არა! რა უნდა გავაკეთო მარტოდმარტომ ამ უზარმაზარ სახლში?.. არა, არა, მაშინვე გავემგზავრები, როგორც კი ყველაფერი მოწესრიგდება.

კანიცი გვერდიდან ათვალიერებს მას შეფარვით. მართლაც რა პატარა ჩანს ეს ქალი ამ ვეებერთელა დარბაზში, ეს საბრალო მესვეური საკეკეშფალვოსი! ცოტათი ფერმკრთალი და მფრთხალია, თორემ კარგად რომ დაუკვირდე, თითქმის ლამაზიც კი ითქმის მასზე; მისი თხელი, ოდნავ მოგრძო სახე დაბლა დახრილი წამწამებით წვიმიან პეიზაჟს წააგავს, თვალები ღიღილოსფერი აქვს, ნაზი ცისფერი, სათუთი და თბილი, მაგრამ ვერ გაუბედავს მზერა გაიცისკროვნოს, შეშინებული დაბლა ხრის მათ და წამწამებს მიღმა მალავს. და კანიციც, როგორც გამჭრიახი დამკვირვებელი, მაშინვე აღნიშნავს, რომ მის წინ ხერხემალგადატეხილი არსება დგას, უნებისყოფო ადამიანი, რომელიც საბლით შეგიძლია ატარო. და თუ ასეა, მაშინ უნდა ემუსაიფო, შეუჩერებლად ემუსაიფო! კაცი თანაგრძნობით იჭმუხნის შუბლს და დაკითხვას განაგრძობს:

– მერედა, რა მოუვა თქვენს მშვენიერ კარმიდამოს? მას ხომ გაძღოლა უნდა, მოვლა-პატრონობა?

– არ ვიცი, არ ვიცი, – ნერვიულად პასუხობს ქალი და მის ნაზ სხეულს ჟრუანტელი უვლის.

და კანიცისათვის ერთბაშად ხილული ხდება, რომ ეს წლების განმავლობაში მორჩილებას მიჩვეული ქალი ვერასოდეს გაბედავს დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმას და რომ მას უფრო აფრთხობს, ვიდრე ახარებს მემკვიდრეობა, რომელიც მოულოდნელ ტვირთად დააწვა სუსტ მხრებზე... და ელვის სისწრაფით იღებს გადაწყვეტილებას ამაოდ როდი ეწეოდა ოცი წლის განმავლობაში აღებ-მიცემობას. თავზე მოხვევისა და დაცინცვლის ხელოვნება ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. გამყიდველი უნდა აიყოლიო და მყიდველი დაიყოლიო აი, ეს არის შუამავლის პირველი მცნებაც... და ისიც თავის ორღანზე დაუყოვნებლივ აყოლიების რეგისტრს აჟღერებს. „რაც შეიძლება მუქ ფერებში უნდა დავუხატო ყველაფერი, – ფიქრობს გუნებაში, – იქნებ სულაც მთელი კარმიდამოს იჯარით აღებაც მოვახერხო და პეტროვიჩი პირში ჩალაგამოვლებული დავტოვო. იქნებ სასიკეთოც არის, რომ ის ყმაწვილი ვენაში გაემგზავრა“. ამის გაფიქრება იყო და თანაგრძნობით აღსავსე სახით დასძენს:

– დიახ, მართალი ბრძანდებით! ბევრ ქონებას ბევრი საზრუნავიც მოაქვს. ერთი წამით ვერ მოისვენებთ. ყოველდღე უნდა იომო მოურავთან, მოსამსახურე პერსონალთან, მეზობლებთან... ახლა გადასახადები და ვექილები! როგორც კი სუნს აიღებენ, რომ ცოტაოდენი შეძლება გაგაჩნიათ, მაშინვე აღარ იციან, როგორ დაგცინცლონ რამე. სულ წითელი კოჭი რომ უგოროთ, მაინც მტრად მიაჩნიხართ. ვერაფერს გააწყობ კაცი, ვერაფერს, თუ ერთხელ მაინც დაგიგულეს ქონება, მორჩა, ყველანი ქურდბაცაცობას იწყებენ. სამწუხაროა, სამწუხარო, მაგრამ თქვენ მართალი ბრძანდებით ასეთი ადგილ მამულისათვის რკინის ხელია საჭირო, თორემ ისე თავს ვერ გაართმევს კაცი. ამისთვის დაბადებული უნდა იყო და მაშინაც კი გაუთავებელი ბრძოლა მოგელით.

– ჰო, რასაკვირველია, ოხრავს ქალი, ეტყობა, რაღაც მძიმე და საშინელი აგონდება, – ადამიანები შემზარავნი ხდებიან, როცა ფულს ეხება საქმე! რას წარმოვიდგენდი ადრე ამას!

ადამიანები? რა ესაქმება კანიცს ადამიანებთან? რა ენაღვლება, კარგები არიან ისინი თუ ცუდები? მას ამ ადგილ-მამულის იჯარით აღება სურს, თანაც რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება სარფიანად! უსმენს ამ ქალს, თავაზიანად თავს უქნევს, ებაასება, მაგრამ ამავე დროს მისი ტვინის რომელიღაც კუნჭული ფიქრს არ წყვეტს, სასწრაფოდ როგორ მოაგვაროს საქმე. იქნებ კონსორციუმი შექმნას, რომელიც იჯარით აიღებდა მთელ საკეკეშფალვოს სახნავსათეს მიწებს, შაქრის ფაბრიკასა და ცხენსაშენს? მერე კი ეს ყველაფერი პეტროვიჩს გადასცეს ქვეიჯარით და თავისთვის მხოლოდ ინვენტარი დაიტოვოს? მთავარია, ახლავე შესთავაზოს იჯარა, თანაც ისეთი გზა გამონახოს, რომ ქალი ყველაფერზე თანახმა იყოს, რასაც კი შესთავაზებს. ამ ქალს ანგარიშის არაფერი გაეგება, ფულის ყადრი არ იცის და ამიტომ არც ღირსია, რომ ჰქონდეს. ვიდრე მისი ტვინის ყოველი უჯრედი, ყოველი ნერვი ასე გამალებით მუშაობს, ტუჩები თანაგრძნობით ლაყბობას განაგრძობენ:

– მაგრამ ყველაზე საშინელი სასამართლო პროცესებია: როგორი მშვიდობისმოყვარეც უნდა იყოთ, მაინც ვერ დააღწევთ თავს მუდმივ შუღლსა და დავას. მეც სწორედ ამის გამოა, რომ ადგილმამულს არ ვყიდულობ. სულ სასამართლოს გზა უნდა ლესო, სულ ვექილების ხელში უნდა იყო, თავს წაგჭამენ თათბირები, გარიგებები, ათასნაირი აყალმაყალი და დავიდარაბა... ამას სჯობს, შენთვის, ჩუმად იცხოვრო კაცმა, სიმშვიდე გქონდეს და მუდმივმა ღელვამ ცხოვრება არ მოგიწამლოს. ასეთი ადგილმამულის პატრონს გგონია, რომ მართლა რაღაც გაგაჩნია, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ავი ძაღლის როლში გამოდიხარ. ერთი წამით მოსვენება არ გაქვს... თავისთავად, რა თქმა უნდა, ურიგო როდია ეს ძველებური ციხე-დარბაზი, ეს მშვენიერი ადგილმამული, მაგრამ ფოლადის ნერვები და რკინის მუშტი უნდა გქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე უღლის ტარებას ვერ გადაურჩებით...

ქალი თავჩაქინდრული უსმენს. უეცრად თავს მაღლა წევს და მკერდიდან ოხვრა აღმოხდება.

– დიახ, ეს კარმიდამო მართლაც მძიმე უღელია ჩემთვის... ნეტავ, მყიდველი გამოჩნდებოდეს!..

* * *

ექიმი კონდორი უეცრად შეჩერდა.

– აქ, ბატონო ლეიტენანტო, თხრობა უნდა გავწყვიტო, ნათლად რომ დაგანახვოთ, რას ნიშნავდა ეს მოკლე ფრაზა ჩემი მეგობრისთვის. უკვე მოგახსენეთ, რომ კეკეშფალვამ ეს ისტორია თავისი ცხოვრების იმ მძიმე ღამეს მიამბო, როდესაც ცოლი გარდაეცვალა, ანუ ისეთ დროს, კაცს ცხოვრებაში ორჯერ ან სამჯერ თუ შეემთხვევა. ამ დროს თვით ყველაზე გულჩახვეულ ადამიანსაც კი სწყურია ვინმეს (როგორც ღმერთის წინაშე) გული გადაუხსნას. ახლაც ცხადად მახსოვს: დაბლა ვისხედით, საავადმყოფოს მოსაცდელ დარბაზში. თავი ახლოს მოეტანა ჩემთან და ხმადაბლა, მაგრამ სულმოუთქმელად და მღელვარედ მიამბობდა. ვგრძნობდი, ამ გაუთავებელი თხრობით სურდა, დაევიწყა, რომ

ზემოთ მისი ცოლი სულთმობრძავი იწვა, დაუსრულებელი საუბრით ცდილობდა გაებრუებინა თავი. მაგრამ თავგადასავლის იმ ადგილს რომ მიაღწია, სადაც ფროილაინ დიცენჰოფმა უთხრა: ეს კარმიდამო მძიმე უღელია ჩემთვის, ნეტავიგამაყიდვინაო! – კანიცი უეცრად დადუმდა: წარმოგიდგენიათ, ბატონო ლეიტენანტო, თხუთმეტი თუ თექვსმეტი წელი იყო მას შემდეგ გასული და მაინც ისე აღაგზნო იმ წამის მოგონებამ, როდესაც არაფრისმცოდნე შინაბერა მიამიტად გამოუტყდა რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება სწრაფად მინდა საკეკეშფალვო გავყიდოო, რომ სახეზე მიტკლისფერი დაედო. შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა ეს ფრაზა, როგორც ჩანს, ზუსტად ისეთივე ინტონაციით, როგორითაც თვითონ ფროილაინმა წარმოთქვა: „ნეტავი გამაყიდვინა!..“ რადგან ამ სიტყვების გაგონებაზე ლეოპოლდ კანიცი, მისთვის დამახასიათებელი გამჭრიახობის წყალობით, უმალვე მიხვდა, რომ ყველაზე სარფიან საქმეს გადააწყდა, რომელიც კი ოდესმე შეხვედროდა ცხოვრებაში. მხოლოდ ხელის გაწვდენა იყო საჭირო, რომ ამ მშვენიერი ადგილმამულის მხოლოდ იჯარით აღება კი არა, ყიდვაც შესძლებოდა. და იმ დროს, როდესაც ყასიდად გულგრილი მუსაიფით შინაგან მღელვარებას ფარავდა, თავში ასეთი აზრები უტრიალებდა: „რასაკვირველია, უნდა ვიყიდო, ფიქრობდა იგი, თანაც სასწრაფოდ, ვიდრე პეტროვიჩი მოვარდებოდეს ან ბუდაპეშტელი დირექტორი. ხელიდან არ უნდა გამისხლტეს ეს ქალი. ყველა უკანდასახევ გზას მოვუჭრი. მანამდე არ წავალ აქედან, ვიდრე საკეკეშფალვოს ბატონპატრონი არ გავხდები“. და იმ გაუგებარი გაორებით, რისი უნარიც შესწევს ჩვენს ინტელექტს უაღრესად დაძაბულ მომენტებში, კანიცი ერთდროულად თან მხოლოდ თავის მოგებაზე ფიქრობდა, თან ქალს დინჯად და მოზომილად იმის საწინააღმდეგოს ეუბნებოდა.

– გამაყიდვინაო... დიახ, რა თქმა უნდა, მოწყალეო ფროილაინ, გაყიდვით ყველაფრის გაყიდვა შეიძლება და ყოველთვისაც... გაყიდვა საერთოდ ძნელი საქმე როდია, მაგრამ კარგად გაყიდვა კი ნამდვილი ხელოვნებაა... კარგად უნდა გაყიდოთ, მთავარი ეს არის! პატიოსანი ვინმე უნდა ნახოთ, ვინც ამ მხარეს იცნობს, აქაურ მიწას, ხალხს... ვისაც ნაცნობობა ჰყავს, ოღონდ, ღმერთმა დაგიფაროთ, ვექილი არ უნდა იყოს, მათ მხოლოდ ის იციან, სასამართლო პროცესებში როგორ გახვიონ ხალხი... და თანაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, ნაღდი ფულით უნდა გაყიდოთ. ისეთი ვინმე რომ გამოჩნდებოდეს, რომელიც თამასუქებსა და ხელწერილებს კი არ მოგცემდათ (მერე, შეიძლება წლების მანძილზე დევნა დაგჭირდეთ, რომ გაინაღდოთ), არამედ ნაღდ ფულს ჩაგითვლიდათ... უნდა საიმედოდ გაყიდოთ და იმ ფასად, რაც ღირს (თან გუნებაში ანგარიშობდა: „ოთხასი ათას კრონამდე შემიძლია გადავიხადო, რომ გავჭიმო ოთხას ორმოცდაათი ათასი; ნახატებიც ხომ არის, რომლებიც შეიძლება ასი ათასიც კი ღირს, ორმოცდაათი ათასი ხომ ნაღდია და ნაღდი... ახლა სახლი და ცხენსაშენი... ოღონდ უნდა შევამოწმო, დაგირავებული ხომ არ არის ეს ყოველივე და ამ ქალს ვათქმევინო, ჩემამდე ვინმე ხომ არ შევაჭრებია...). და ერთბაშად, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, შეეკითხა:

– მაპატიეთ, რომ ასე დაურიდებლად გეკითხებით, მოწყალეო ფროილაინ, მაგრამ ფასზე დაახლოებით მაინც თუ გაქვთ წარმოდგენა? ანუ, მე მინდა გკითხოთ, რაიმე განსაზღვრული თანხა თუ გაქვთ მხედველობაში?

– არა, – მიუგო ქალმა უმწეოდ და დაბნეულად შეხედა კანიცს.

„ვაიმე! ეს კი ცუდია! გაივლო გულში კანიცმა. ძალიან ცუდი! ყველაზე ძნელი იმათთანაა გარიგება, ვინც ფასს არ ამბობს. ქვეყანას მოივლიან, ვის არ გამოჰკითხავენ, ალიასა და მუსიას, ყველას გარევენ საქმეში, ყველა ცხვირს ჩაყოფს შიგ, რჩევა-დარიგებებისა და განკარგულებების გაცემას დაიწყებს. ამას რომ ვადროვო, ვიდრე გაიკით-ხგამოიკითხავდეს, ყველაფერს დავკარგავ“. და იმ დროს, როდესაც თავში ასეთი მღელვარე აზრები უტრიალებდა, თან დაბეჯითებით განაგრძობდა:

– კი, მაგრამ, ალბათ, დაახლოებით წარმოდგენა მაინც გაქვთ, მოწყალეო ქალბატონო... და ისიც ხომ უნდა იცოდეთ, იპოთეკები თუა გაცემული ადგილმამულზე და რა რაოდენობით...

– იპო... იპოთეკები? – გაიმეორა ქალმა და კანიცი მაშინვე მიხვდა, რომ მან ცხოვრებაში პირველად გაიგონა ეს სიტყვა.

– მინდა გითხრათ... წინასწარ მაინც ხომ უნდა შეეფასებინათ ოდესმე... აი თუნდაც გადასახადების დასათვლელად... განა თქვენმა ვექილმა მომიტევეთ, რომ ასე ჩაგაცივდით, მაგრამ გულწრფელად მინდა დაგეხმაროთ, განა თქვენმა ვექილმა არ დაგისახელათ ციფრები?

– ვექილმა? – ქალს ეტყობოდა, ბუნდოვნად აგონდებოდა რაღაც. – დიახ, დიახ... თქვენ მართალი ხართ, ვექილმა რაღაც მომწერა მამულის შეფასებაზე... თანაც სწორედ გადასახადებთან დაკავშირებით, მაგრამ... მაგრამ თვითონ დანართი უნგრულად იყო შედგენილი და მე კი ეს ენა არ ვიცი. მართლაც, გამახსენდა, ჩემი ვექილი მწერდა: გადაათარგმნინეო. მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულ გადამავიწყდა ამ ორომტრიალში. ჩემს ჩანთაში უნდა მქონდეს ყველა საბუთი... იქ, სადაც მე ვცხოვრობ... მოურავის სახლში... იმ ოთახში ხომ ვერ დავიძინებ, სადაც ქალბატონი ცხოვრობდა... თუ იმდენ სიკეთეს გამოიჩენთ, რომ იქ გამომყვეთ, ყველაფერს გაჩვენებთ... რა თქმა უნდა, თუ... – აქ უეცრად ენა დაება, – რა თქმა უნდა, თუ მეტისმეტად არ შეგაწყენთ თავს ჩემი საქმეებით...

კანიცი აღელვებისგან კანკალებდა. ისე სწრაფად უვარდებოდა ხელში ყველაფერი, რომ თავი სიზმარში ეგონა. ამ ქალს თვითონვე უნდოდა ეჩვენებინა შეფასების აქტები, რითაც კანიცი გადამწყვეტ უპირატესობას მოიპოვებდა. მდაბლად დაუკრა თავი უბირ დიასახლისს და უთხრა:

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, მოხარული ვიქნები, თუკი შევძლებ, რაიმე სასარგებლო რჩევა მოგცეთ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ასეთ საქმეებში ცოტაოდენი გამოცდილება მაქვს. ქალბატონი, აქ დაურიდებლად იცრუა კანიცმა, მუდამ მე მომმართავდა, როდესაც რაიმე ფინანსურ საკითხში უნდოდა გარკვეულიყო, რადგან იცოდა, რომ უანგაროდ მივცემდი რჩევა-დარიგებას...

მოურავის სახლში გადავიდნენ. და მართლაც, ქალს ჩანთაში ერთმანეთში არეულ დარეული სასამართლო პროცესის საბუთები, ვექილთან მიმოწერა, საგადასახადო

ანგარიშები და უკანასკნელი გარიგების ასლი ელაგა. დიასახლისი ნერვიულად ფურცლავდა საბუთებს, კანიცი კი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს. ბოლოს რომელიღაც დაკეცილი ქაღალდი გაშალა.

– მგონი, ეს უნდა იყოს ის წერილი.

კანიცმა გამოართვა ფურცელი, რომელზედაც უნგრულად დაწერილი დანართი იყო მიმაგრებული. ვენელი ადვოკატის მოკლე ბარათი გამოდგა და შიგ შემდეგი ეწერა: „როგორც ეს-ეს არის შემატყობინა ჩემმა უნგრელმა კოლეგამ, მას ნაცნობების საშუალებით მოუხერხებია, მემკვიდრეობა არაჩვეულებრივად იაფად შეეფასებინათ, რათა შესაბამისად გადასახადებიც ნაკლები შემოგაწერონ. ჩემი აზრით, შეფასებით დადგენილი ღირებულება რეალური ღირებულების დაახლოებით მესამედს და ზოგ ობიექტზე მხოლოდ მეოთხედსაც კი შეადგენს...“ აკანკალებული ხელებით გაშალა კანიცმა სია, რომელშიც ცალკეული ობიექტების ღირებულებანი იყო მოცემული. მხოლოდ ერთი პუნქტი აინტერესებდა:

საკეკეშფალვოს ღირებულება. იგი ას ოთხმოცდაათ ათას კრონად იყო შეფასებული. კანიცი გაფითრდა. თვითონაც ზუსტად ამდენივედ, ანუ, ხელოვნურად შემცირებულ ფასზე სამჯერ უფრო მეტ თანხად, ექვსასი ათასიდან შვიდას ათას კრონამდე აფასებდა, და თან ვექილს ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩინურ ლარნაკებზე. რამდენი შესთავაზოს? ციფრები ირეოდნენ მის თვალწინ, გაიელვებდნენ და გაქრებოდნენ. ამ დროს გვერდიდან გაუბედავი ხმა შეეკითხა:

– ეს ის ქაღალდია? გაერკვიეთ, რა წერია?

– რასაკვირველია, გამოერკვა კანიცი, რა თქმა უნდა... მაშ, ასე... ვექილი გატყობინებთ. საკეკეშფალვო ას ოთხმოცდაათ ათას კრონად შეუფასებიათ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ შეფასებითი ღირებულებაა.

– შე... შეფასებითი? უკაცრავად... მაგრამ რას ნიშნავს შეფასებითი ღირებულება?

აი, ახლა კი უნდა გაბედოს, ახლა ან არასოდეს! კანიცს სუნთქვა ეკვროდა.

– შეფასებითი ღირებულება... დიახ, შეფასებითი ღირებულება ყოველთვის არასაიმედო, ძალზე საეჭვო რამაა... ვინაიდან... ვინაიდან.. ოფიციალური შეფასებითი ღირებულება თითქმის ყოველთვის არ ემთხვევა ნასყიდობის ფასს. არ შეიძლება იმედი გქონდეს, ანუ დარწმუნებული იყო, რომ მთელ შეფასებით ღირებულებას აიღებ... ზოგიერთ შემთხვევაში, რასაკვირველია, შეიძლება აიღო, შეიძლება უფრო მეტიც კი... მაგრამ ეს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა დროს... ბედმა უნდა გაგიღიმოს, როგორც ყოველ აუქციონზე... შეფასებითი ღირებულება მხოლოდ ამოსავალი წერტილია, და ისიც, რა თქმა უნდა, ძალზე მერყევი... ვთქვათ, – კანიცს გააჟრჟოლა: არც ძალიან უნდა დააკლოს ახლა და არც გადაამეტოს! – ისეთი ადგილმამული, როგორიც თქვენია, თუ ოფიციალურად ას ოთხმოცდაათ ათას კრონად არის შეფასებული... მაშინ გაყიდვის დროს ას ორმოცდაათ ათასს ალბათ აიღებთ! ასეა თუ ისე, ამ თანხის იმედი შეიძლება იქონიოთ!

– რამდენიო, როგორ ბრძანეთ?

კანიცს ჭექა-ქუხილივით ჩაესმა ყურში, ისე მოაწვა სისხლი. საკვირველია, რა სწრაფად მოტრიალდა მისკენ ქალი და ისე შეეკითხა, თითქოს განრისხებულია და თავს ძლივსღა იმაგრებსო. ნუთუ მიუხვდა? იქნებ, სახელდახელოდ ორმოცდაათი ათასი კრონა კიდევ წაუმატოს? მაგრამ შინაგანი ხმა კარნახობდა: გაბედეო! – და კანიცმა ყველაფერი სასწორზე შეაგდო: თუმცა საფეთქლებთან გამალებით უცემდა პულსი, მაინც, ვითომც აქ არაფერიო, მიუგო:

– დიახ, რაც უნდა იყოს, ეს თანხა რეალურად მიმაჩნია. ას ორმოცდაათი ათასი კრონა, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აიღოთ.

მაგრამ იმავ წამს კინაღამ გული გაუჩერდა და პულსაციაც საფეთქლებთან მთლიანად მიწყნარდა, რადგან მის გვერდით მდგარმა გულუბრყვილო არსებამ გულწრფელი გაკვირვებით წამოიძახა:

– ამდენი? ნუთუ მართლა ამდენი?

კანიცს კარგა ხანი დასჭირდა, რომ თავს დაუფლებოდა. ძლივს მოითქვა სული და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ალალი კაცის დამაჯერებლობით ეპასუხა:

– დიახ, მოწყალეო ქალბატონო, ამის თავდები მე ვარ, რაც უნდა იყოს, ეს თანხა მაინც უნდა მოგცენ.

* * *

ექიმმა კონდორმა ისევ შეწყვიტა თხრობა. ჯერ ვიფიქრე, იმიტომ გაჩერდა, რომ სიგარას უნდა მოუკიდოს-მეთქი, მაგრამ უეცრად ნერვიულობა შევამჩნიე: პენსნე მოიხსნა, მერე ისევ გაიკეთა, თავზე ხელი გადაისვა, თითქოს შეთხელებული თმა აწუხებდა, და მე შემომხედა ეს იყო ხანგრძლივი, ერთსა და იმავე დროს შეშფოთებული და გამომცდელი მზერა, შემდეგ ერთბაშად სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

– ბატონო ლეიტენანტო, მგონი, მეტისმეტად ბევრი რამ გაგანდეთ, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი, ვიდრე თავდაპირველად მქონდა განზრახული. მაგრამ იმედია, სწორად გამიგებთ. მე თუ გულახდილად გიამბეთ, რა ეშმაკურად გააცურა მაშინ კეკეშფალვამ ის გულუბრყვილო ასული, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ მინდა განგაწყოთ. საბრალო მოხუცი, რომელთანაც ამ საღამოს ვივახშმეთ, სულითა და ხორცით დაუძლურებული ადამიანი, ჩვენ ეს დღესაც დავინახეთ, კაცი, რომელმაც შვილი მომანდო და მთელ ქონებას არ დაიშურებს, ოღონდაც თავისი გოგონა განკურნებული იხილოს, უკვე დიდი ხანია ის კანიცი აღარ არის, ვინც ხსენებული საქმე მოაკვარახჭინა. სწორედ ახლა, როდესაც ასე სასოწარკვეთილია და მართლაც დახმარება სჭირდება, ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტება ჩემგან შეიტყოთ და სხვების ყბედობას არ აჰყვეთ. ასე რომ, გთხოვთ, ერთი რამ ნუ დაგავიწყდებათ: კეკეშფალვა (ან, უფრო სწორად, მაშინ ჯერ კიდევ კანიცი) მაშინ საკეკეშფალვოში იმ განზრახვით არ ჩასულა, რომ ასულისათვის, რომელმაც ცხოვრების ანაბანა არ იცოდა, ადგილმამული ჩალის ფასად დაეტყუებინა. მას მხოლოდ უნდოდა en passant ერთ-ერთი თავისი წვრილმანი საქმეთაგანი გაეჩალიჩებინა და სხვა არაფერი. ის საარაკო იღბალი კი

მოულოდნელად დაეცა თავზე და კანიცი კანიცი აღარ იქნებოდა, რომ ასეთი შემთხვევა არ გამოეყენებინა. მაგრამ შემდეგ, როგორც ამას თავადაც დაინახავთ, ამბები ცოტა სხვაგვარად წარიმართა. არ მინდა გავაჭიანურო და ამიტომ ზოგიერთ წვრილმანს გამოვტოვებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს საათები ყველაზე დაძაბული, ყველაზე აზარტული იყო მის ცხოვრებაში. აბა, თვითონ წარმოიდგინეთ: კაცს, რომელიც მანამდე მხოლოდ უბრალო აგენტი იყო და ბნელ საქმეებზე ჩალიჩობდა, უეცრად მეხივით დაატყდა იღბლიანი შემთხვევა და ერთ ღამეში შეეძლო საარაკოდ მდიდარი გამხდარიყო. ოცდაოთხი საათის განმავლობაში მას უფრო მეტის შოვნა შეეძლო, ვიდრე მანამდე, რაც მთელი ოცდაოთხი წელიწადის განმავლობაში თავგანწირული წვრილმანი აღებ-მიცემობით ჰქონდა მოპოვებული, და თანაც ყველაზე სანუკვარი ის იყო, რომ მსხვერპლის დევნა, შებოჭვა, გაბრუება არც კი სჭირდებოდა, პირიქით, მსხვერპლი თვითონ ყოფდა თავს ყულფში. კანიცისათვის მხოლოდ და მხოლოდ ის იყო საშიში, რომ სხვას არ დაესწრო, ამიტომ მემკვიდრე ქალი ერთი წამითაც არ უნდა დაეტოვებინა მარტო, რათა გონს არ მოსულიყო და მანამდე წაეყვანა საკეკეშფალვოდან, ვიდრე მოურავი დაბრუნდებოდა. თან ამ დროს არც ერთი წამით არ უნდა გაეცა თავი, რომ თვითონ იყო გაყიდვით დაინტერესებული.

ნაპოლეონს რომ შეეფერება, ისეთი გაბედული და თამამი იყო მისი გადაწყვეტილება - იერიშით აეღო ალყაშემორტყმული ციხესიმაგრე, ვიდრე მეშველი ძალა გამოჩნდებოდა. მაგრამ თავზე ხელაღებულ მოთამაშეს ზოგჯერ შემთხვევა გაუმართლებს ხოლმე და კანიცსაც უჩინრად, ისე რომ, თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ერთი გარემოება უკვალავდა გზას. სახელდობრ, ერთობ ულმობელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად ბუნებრივი ფაქტი: საბრალო მემკვიდრე ქალს, როგორც კი ციხედარბაზის დიასახლისი გახდა, პირველივე საათებში იმდენი დამცირების გადატანა მოუხდა და ისეთ მძულვარებას გადააწყდა, რომ მხოლოდ იმასღა ნატრობდა, ნეტავი როგორმე აქედან წამიყვანა, და თანაც რაც შეიძლება მალეო! არაფერი ისე მდაბალი არ არის, როგორც პლებეური ბუნების ადამიანთა შური თავიანთი მეზობლისადმი, როდესაც ეს უკანასკნელი, თითქოს სულიწმიდა დაეხმარაო, ერთბაშად მონური უღლისგან გათავისუფლებას და მათზე აღზევებას ახერხებს. ეს წვრილმანი სულები უფრო თავიანთ ბატონს მიუტევებენ უამრავ ქონებას, ვიდრე მათი ბედის თანაზიარ ამხანაგს ერთ ციცქნა თავისუფლებას.

საკეკეშფალვოს მთელმა მოსამსახურე პერსონალმა ბრაზით აღარ იცოდა, რა ექნა, რომ სწორედ ეს გერმანელი ქალი, რომელსაც, როგორც ყველას კარგად ახსოვდა, მოხუცი ქალბატონი თმის ვარცხნისას ხან სავარცხელს და ხან ჯაგრისს უთავაზებდა ხოლმე თავში, ახლა ხელის ერთი მოსმით საკეკეშფალვოს მფლობელი და, მაშასადამე, მათი ქალბატონი უნდა გამხდარიყო. პეტროვიჩი, როგორც კი მემკვიდრის ჩამოსვლა აცნობეს, ჩაჯდა მატარებელში და გაემგზავრა, ოღონდ მისასალმებლად არ ხლებოდა მას. მისი ცოლი კი, აშარი დედაკაცი, რომელიც მანამდე ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა, ასეთი სიტყვებით შეხვდა: ჩვენთან როგორ მოგეწონებათ, აბა, სად ჩვენ და სად თქვენო! მსახურმა ჩემოდანს ზედ ზღურბლზე მოადენინა ბრაგვანი და ქალი იძულებული გახდა

თვითონ შეეტანა ოთახში ისე, რომ მოურავის ცოლს ხელიც კი არ გაუნძრევია დასახმარებლად. სადილი არ გაეკეთებინათ, არავინ ზრუნავდა მოსულზე და საღამოთი მისი ფანჯრის წინ საკმაოდ ხმამაღალი საუბარი გაისმოდა ვინმე „მემკვიდრეობის მაძიებელსა“ და „გამომძალველზე“. ამ პირველი შეხვედრიდანვე საბრალო ქალი მიხვდა, რომ აქ ერთ საათსაც ვერ გაატარებდა მშვიდად. მხოლოდ ამის გამო იყო, რომ კანიცს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამაზე ასე აღფრთოვანებით მიიღო სტუმრის წინადადება, იმავე დღეს წასულიყვნენ ვენაში, სადაც კანიცს ვითომდა ერთი საიმედო მყიდველი ეგულებოდა. ზეციდან წარმოგზავნილ მოციქულად ეჩვენებოდა ეს თვალსევდიანი, სერიოზული, თავაზიანი და მცოდნე კაცი. მეტი აღარაფერი უკითხავს კანიცისათვის, მადლიერმა მთელი საბუთები მას მიანდოდა ახლა სასოებით აღსავსე ცისფერი თვალებით მომზირალი ისმენდა მის რჩევადარიგებას, სად მოეთავსებინა ფული, რომელსაც აიღებდა. მხოლოდ საიმედო საქმეში უნდა დააბანდოს სახელმწიფო ქაღალდები, კერძო პირს კი კაპიკიც არ უნდა ანდოს. მთელი თანხა დაუყოვნებლივ ბანკში უნდა შეიტანოს და საქმის წარმოება ნოტარიუსს დაავალოს, და თანაც საიმპერიო-სამეფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს. ვექილის მოწვევას ახლა არავითარი აზრი არა აქვს. მათი ხელობა ხომ საქმის გაჭიანურებაა მხოლოდ. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – განაგრძობდა ის გაფაციცებით, გამორიცხული არ არის, რომ სამი ან ხუთი წლის შემდეგ უფრო მეტი აიღოს ამ ადგილმამულში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რამდენი ხარჯი ექნება და რამდენი სიარული მოუწევს სასამართლოებსა და კანცელარიებში! ქალის თვალებში ისევ შიში გამოკრთა და კანიცი მიხვდა, როგორ ზაფრავდა ამ მშვიდობისმოყვარე არსებას საქმეები და სასამართლოები. ისევ და ისევ იმეორებდა არგუმენტების მთელ გამას და ბოლოს მუდამ ერთსა და იმავე დასკვნით აკორდს აყოლებდა: აბა, ჩქარა! ნაშუადღევს, ოთხ საათზე, ვიდრე პეტროვიჩი დაბრუნდებოდა, ორივენი, უკვე საბოლოოდ შეთანხმებულები, ჩქარი მატარებლით ვენაში გაემგზავრნენ. ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა ყველაფერი, რომ ფროილაინ დიცენჰოფმა ისიც კი ვერ მოასწრო, სახელი ეკითხა უცნობი ბატონისთვის, რომელსაც მთელი თავისი მემკვიდრეობის გაყიდვა მიანდო.

პირველი კლასის ვაგონით იმგზავრეს. კანიცი პირველად იჯდა წითელი ხავერდით მოფარდაგებულ რბილ კუპეში. ვენაშიც კარგ ოტელში მიიყვანა ქალი კერნტნერშტრასეზე და თავისთვისაც იქვე აიღო ნომერი. ახლა, ერთი მხრივ, კანიცს უნდოდა იმავე საღამოს შეედგენინებინა ნასყიდობის ქაღალდი ვექილ გოლინგერისათვის, რათა მეორე დღესვე იურიდიულად გაეფორმებინა ეს საქმე; მეორე მხრივ, ვერ ბედავდა, მსხვერპლი თუნდაც ერთი წუთით მარტო დაეტოვებინა. ამგვარი დილემის წინაშე მყოფს მართლაც გენიალური იდეა მოუვიდა. ფროილაინ დიცენჰოფს შესთავაზა თავისუფალი საღამო გამოეყენებინა და ოპერაში წასულიყო, სადაც ჩამოსული დასის პოპულარული სპექტაკლი იყო წარმოდგენილი. ამასობაში კი მე ამ საღამოსვე მოვძებნი იმ ბატონს, რომელიც, რამდენადაც ვიცი, დიდი ადგილმამულის ყიდვას აპირებდაო. ასეთი მზრუნველობით გულაჩუყებული ფროილაინ დიცენჰოფი სიამოვნებით დათანხმდა და კანიცმა ოპერაში მიიყვანა. ახლა ქალი ოთხი საათი

სპექტაკლით იქნებოდა გართული. კანიცს შეეძლო ფიაკრი დაექირავებინა ესეც პირველად მოიმოქმედა ცხოვრებაში და თავის მესაიდუმლესთან, დოქტორ გოლინგერთან გაქროლებულიყო. ვექილი შინ არ დახვდა. კანიცმა მას რომელიღაც ბარში მიაგნო და ორი ათასი კრონა აღუთქვა, თუ იმავე ღამეს შეადგენდა დაწვრილებით ნასყიდობის ქაღალდს და მომდევნო დღეს საღამოს შვიდ საათზე ნოტარიუსთან მოიტანდა. ვექილთან მოლაპარაკების დროს კანიცმა პირველად თავის სიცოცხლეში მფლანგველობა გამოიჩინა და ფიაკრი არ დაითხოვა. მეეტლეს უბრძანა, ვექილის სახლის წინ დალოდებოდა. მას შემდეგ, რაც დოქტორ გოლინგერს სათანადო ინსტრუქციები მისცა, ისევ შიგ ჩაჯდა და ოპერისკენ გაქანდა. იღბლად, დროზე მივიდა. აღტაცებისგან თავდავიწყებულ დიცენჰოფს ვესტიბიულში შეეგება და ნომრამდე მიაცილა. შემდეგ მეორე უძილო ღამე დაიწყო; რაც უფრო ახლოვდებოდა მიზანი, მით უფრო მეტს ნერვიულობდა, შიშობდა, აქამდე ასე გამგონე მემკვიდრე ქალი ხელიდან არ გასხლტომოდა. წამდაუწუმ წამოვარდებოდა ხოლმე საწოლიდან, თან დაწვრილებით ამუშავებდა ხვალინდელი დღის სტრატეგიას: უწინარეს ყოვლისა, ერთი წამითაც არ უნდა დატოვოს ქალი მარტო. ფიაკრი დაიქირაოს და აღარ გაუშვას, ყველგან დააცდევინოს ხოლმე. არც ერთი ნაბიჯი არ გადადგან ფეხით, რომ ქუჩაში შემთხვევით ქალის ვექილს არ გადააწყდნენ. გაზეთები არ უნდა ჩაუგდოს ხელში, თორემ შეიძლება იქ ეწეროს, როგორ მორიგდნენ ოროშვარის მემკვიდრეები და ეჭვი შეეპაროს, მეორეჯერაც გაცურებას ხომ არ მიპირებენო. მაგრამ სინამდვილეში სულ ზედმეტი იყო ამდენი სიფრთხილე, რადგან მსხვერპლი სულაც არ აპირებდა გაქცევას. ვარდისფერ ზონარზე გამობმული ბატკანივით გამგონედ მისდევდა ბოროტ მწყემსს და როდესაც ჩვენი მეგობარი უძილო ღამის შემდეგ დაქანცული შევიდა ოტელის რესტორანში, ქალი უკვე იქ იჯდა, ისევ იმ კაბაში გამოწყობილი, რომელიც საკუთარი ხელით ჰქონდა შეკერილი, და მოთმინებით ელოდა.

და აი, რია-რიაც დაიწყო: ჩვენი მეგობარი საბრალო ფროილაინ დიცენჰოფს დილიდან საღამომდე ნაირ-ნაირ კანტორებსა და კანცელარიებში დაატარებდა, და თანაც სულ ტყუილად, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ თავბრუ დაეხვია იმ ყალბი სიძნელეებითა და დაბრკოლებებით, რომლებიც საგანგებოდ მისთვის შეთხზა უძილო ღამის განმავლობაში.

წვრილმანს გამოვტოვებ: ჯერ თავის ვექილთან წაიყვანა და იქიდან, ვინ იცის, სადღა არ დარეკა სულ სხვა საქმეებზე. მერე ბანკში წაიყვანა, პროკურისტი გამოაძახებინა და ეთათბირა ანაბრისა და ქალის სახელზე ანგარიშის გახსნის თაობაზე. შემდეგ ორ თუ სამ საიპოთეკო კანტორაში ჰყავდა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ერთ საეჭვო ბიუროშიც შეიყვანა, ვითომდა რაღაც ცნობებისთვის. ქალიც ყველგან უსიტყვოდ მისდევდა, მოთმინებით ელოდა მოსაცდელ ოთახებში, ვიდრე კანიცი „მოლაპარაკებას“ აწარმოებდა.

თორმეტი წელიწადი ქალბატონის მოსამსახურედ გაეტარებინა და გარეთ მოცდას დიდი ხანია მიჩვეული იყო, ეს უკვე აღარ ამძიმებდა, აღარ ამცირებდა, და აქაც უსიტყვოდ ელოდებოდა. გულხელი დაეკრიფა, ცისფერ თვალებს უმალვე დაბლა

ხრიდა, როგორც კი ვინმე წინ ჩაუვლიდა. ბავშვივით თვინიერი და გამგონე, ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც კანიცი უბრძანებდა. ბანკში არც კი დახედავდა ხოლმე, ისე აწერდა ხელს ქვითრებს და ისე უყოყმანოდ ადასტურებდა ხელწერილით ჯერ არმიღებული თანხის მიღებას, რომ კანიცს უკვე მტანჯველი აზრიც კი გაუჩნდა: ვინ იცის, ეს ტუტუცი იქნებ ას ორმოც ანდა ას ოცდაათ ათას კრონასაც კი დასჯერებოდაო. კარგიო, – უთხრა პროკურისტს, როდესაც მან რკინიგზის აქციების აღება ურჩია, თან გაუბედავად გახედა თავის გულთმისანს. ნათელი იყო, რომ ყოველგვარი საქმიანი ოპერაციები, ხელწერილები, ქვითრები და თვით ფულის დასტების უბრალო დანახვაც კი ქალს აშფოთებდა, კრძალვითა და ძრწოლით ავსებდა და მარტოოდენ იმას ნატრობდა, როგორმე თავი დაეღწია ამ

მისთვის გაუგებარი ფორმალობებისთვის, კვლავ მყუდრო ოთახში მჯდარიყო, წაეკითხა, მოექსოვა, ან ფორტეპიანოზე დაეკრა და აღარ დასჭირვებოდა სათანადო გამოცდილებისა და გულდაჯერებულობის გარეშე ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები მიეღო. მაგრამ კანიცი დაუღალავად დაათრევდა ქალს ხელოვნურად შექმნილ წრეში ნაწილობრივ იმიტომ, რომ მართლა, შეპირებისამებრ, დახმარებოდა, ადგილმამულში აღებული ფული საიმედოდ დაებანდებინა, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ თავგზა აებნია.

ეს ყველაფერი დილის ცხრა საათიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე გრძელდებოდა. ბოლოს, ორივენი ისე მოიქანცნენ, რომ კანიცმა შესთავაზა კაფეში შესულიყვნენ და დაესვენათ. მთავარი რაც იყო, უკვე გაკეთებულია, ადგილმამულის გაყიდვა თითქმის შემდგარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს; მხოლოდ შვიდ საათზე ნოტარიუსთან ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროთ და ფული მიიღოთო. ქალს მაშინვე სახე გაუბრწყინდა:

– ოჰ, მაშ, ხვალ დილით ადრე უკვე შემეძლება გავემგზავრო? – ღიღილოსფერი თვალებით შესცინა ქალმა.

– რასაკვირველია, – დაამშვიდა კანიცმა, – ერთ საათში ყველაზე თავისუფალი ადამიანი იქნებით მთელ ქვეყანაზე, აღარ დაგჭირდებათ ფულსა და ქონებაზე ზრუნვა, თქვენი ანაბრიდან წლიურად ექვსი ათასი კრონა შემოსავალი განაღდებული გაქვთ, ჩიტივით ლაღად იცხოვრებთ, სადაც მოგეპრიანებათ და როგორც მოგეპრიანებათ.

ზრდილობისათვის შეეკითხა, საით აპირებთ გამგზავრებასო; ქალს გაცისკროვნებული სახე ისევ მოეღრუბლა.

– ვფიქრობ, ჯერ ჩემს ნათესავებთან გავემგზავრო ვესტფალიაში. მე მგონი, ხვალ დილით ადრე გადის მატარებელი კიოლნისკენ.

კანიცი მაშინვე დაფაცურდა. ობერკელნერს რკინიგზის ცნობარი მოატანინა, გადაათვალიერა განრიგი და საჭირო მარშრუტი შეადგინა: ჩქარი მატარებელი ვენა-ფრანკფურტი-კიოლნი. ყველაზე მოსახერხებელია დილის მატარებელი, რომელიც ცხრა საათსა და ოც წუთზე გადის, საღამოთი უკვე ფრანკფურტში იქნება. იქ კანიცი ურჩევს ღამე გაათიოს, რომ არ გადაიღალოს. გაჩერებით კი შეუძლია, გაფაციცებით გადაფურცლა ისევ ცნობარი და ღამის გასათევ ადგილთა მაჩვენებელი ჩაიკითხა,

პროტესტანტულ თავშესაფარში გაჩერდეს. ბილეთის დარდი არ ჰქონდეს, თვითონ მოუტანს და ხვალ დილით აუცილებლად სადგურამდეც გააცილებს. ამ ლაპარაკში დროც უფრო სწრაფად გავიდა, ვიდრე იმედოვნებდა; ბოლოს მან საათს დახედა და ქალს უთხრა:

– აბა, ახლა კი დროა, ნოტარიუსთან წავიდეთ.

ერთი საათიც არ გასულა, რომ ყველაფერს მორჩნენ, ერთ საათში ჩვენმა მეგობარმა ქონების სამი მეოთხედი დასცინცლა მემკვიდრე ქალს. როდესაც დოქტორმა გოლინგერმა ნასყიდობის ქაღალდის შევსებისას ადგილმამულის სახელწოდებას მოჰკრა თვალი და თანაც უმნიშვნელო ფასიც დაინახა, განცვიფრებულმა ცალი თვალი მოჭუტა და ფროილაინ დიცენჰოფისათვის შეუმჩნევლად ჩაუკრა კანიცს, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ყოჩაღ, შე ყურუმსაღო!“ ნოტარიუსმაც ცნობისმოყვარედ შეხედა სათვალის ზემოდან ფროილაინ დიცენჰოფს, მასაც, როგორც ყველა სხვას, წაკითხული ჰქონდა ქალბატონი ოროშვარის მემკვიდრეობის ირგვლივ წარმოებული ბრძოლის ამბავი და, როგორც იურისტს, ეს სასწრაფო გაყიდვა დიახაც საეჭვოდ მოეჩვენა. „შე საცოდავო, გაიფიქრა მან, ისევ უკეთურთა ხელში ჩავარდნილხარ!“ მაგრამ ნოტარიუსის მოვალეობას გამყიდველის ან მყიდველის გაფრთხილება როდი შეადგენს. მისი ვალია, ბეჭედი დაარტყას, საბუთი რეგისტრაციაში გაატაროს და მარკის ფული აიღოს. ასე რომ, ამ კეთილმა კაცმა თავი დახარა, ბევრი რამის მომსწრე იყო და არაერთი ბნელი საქმე დაემოწმებინა ღერბიანი ბეჭდით, ფრთხილად გაშალა ნასყიდობის ქაღალდი და თავაზიანად ჯერ ფროილაინ დიცენჰოფს სთხოვა ხელი მოეწერა.

გაუბედავი არსება შეკრთა, უმწეოდ შეხედა თავის მენტორს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გამამხნევებლად თავი დაუქნია, მივიდა მაგიდასთან და გულმოდგინედ, მკაფიო მწყობრი გოთური ასოებით მიაწერა: „ანეტე ბეატე მარია დიცენჰოფ“. ახლა ჩვენი მეგობრის ჯერი დადგა და ამით ყველაფერი მოთავდა ნასყიდობის ქაღალდი ხელმოწერილი იყო, ნოტარიუსს გადასცეს ჩეკი და აცნობეს ბანკის ანგარიშის ნომერი, რომელზეც მეორე დღეს მთელი თანხა უნდა გადაერიცხა. კალმის ერთი მოსმით ლეოპოლდ კანიცმა თავისი ქონება ერთიორად და შეიძლება სამადაც კი აქცია. ამიერიდან ისიყო საკეკეშფალვოს ბატონპატრონი და სხვა არავინ.

ნოტარიუსმა გულმოდგინედ დააშრო ჯერაც სველი ხელმოწერები, შემდეგ სამივემ ხელი ჩამოართვა მას და კიბეზე დაეშვნენ; წინ დიცენჰოფი მიდიოდა, მას კანიცი მისდევდა და ბოლოს კი დოქტორი გოლინგერი მიაბიჯებდა, თან თავის ძმაკაცს, მისდა გულის გასახეთქად, ნეკნებში წამდაუწუმ ხელჯოხს ატაკებდა უკნიდან და ნაბახუსევი ხმით პათეტიკურად დუდღუნებდა (მხოლოდ მეგობრის გასაგონად); „პლუტუს მაქსიმუს! პლუტუს მაქსიმუს!“ და მაინც კანიცს შვება არ უგრძნია, როდესაც დოქტორმა გოლინგერმა გარეთ გამოსვლისთანავე ირონიულად მდაბლად დაუკრა თავი და გზას გაუდგა, ვინაიდან მარტოდმარტო დარჩა თავის მსხვერპლთან და ეს აშინებდა.

ძვირფასო ბატონო ლეიტენანტო, შეეცადეთ გაიგოთ კანიცის განწყობილებაში მოულოდნელად მომხდარი ცვლილების მიზეზი არ მინდა პათეტიკური გამოთქმა ვიხმარო და ვთქვა, რომ ჩვენს მეგობარში უეცრად სინდისმა გაიღვიძა, მაგრამ

ნასყიდობაზე ხელმოწერის შემდეგ მონაწილეთა შორის ურთიერთდამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. თქვენ თვითონ განსაჯეთ. მთელი ორი დღე კანიცი, როგორც მყიდველი გამყიდველს, ისე ებრძოდა ამ საცოდავ ფროილაინს. ქალი მისი მოწინააღმდეგე იყო, რომელიც სტრატეგიულად ალყაში უნდა მოექცია, გაეთანგა და იძულებული გაეხადა, ფარხმალი დაეყარა. ახლა კი ფინანსური სამხედრო ოპერაცია დამთავრებული იყო. კანიცმა გაიმარჯვა, პირწმინდად გაიმარჯვა და, მაშასადამე, ეს საბრალო წყნარი ასული, რომელსაც სადა კაბა ემოსა და ახლა ვალფიშგასეზე აჩრდილივით მოსდევდა, უკვე მისი მოწინააღმდეგე აღარ იყო, მტერი აღარ იყო, და რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს არაფერი ისე არ უფუჭებდა ხასიათს სწრაფი გამარჯვების შემდეგ, როგორც იმის შეგნება, რომ მისმა მსხვერპლმა ძალზე გაუიოლა გამარჯვება. ვინაიდან, როდესაც ადამიანი უსამართლოდ ექცევა ვინმეს, არაცნობიერად გულზე ეფონება, თუ შეძლებს თავს ჩააგონოს, რომ დაზარალებულიც მეტნაკლებად ცუდად ანდა უსამართლოდ მოიქცა. სინდისის ხმა ყუჩდება, როდესაც მოტყუებულს თუნდაც იოტისოდენა ბრალი შეიძლება მიაწეროს კაცმა. მაგრამ კანიცს არაფერი, თუნდაც სულ უმნიშვნელო რამეც კი არ შეეძლო ესაყვედურებინა თავისი მსხვერპლისთვის. ხელებშეკრული ჩაჰბარდა და თან განუწყვეტლივ უმწეო, მადლიერი, ღიღილოსფერი თვალებით შესცქეროდა. რა უნდა ეთქვა ახლა, გამოთხოვების ჟამს? ადგილმამულის სარფიანად გაყიდვა მიელოცა, თუ, უფრო სწორად, დაკარგვა? სულ უფრო და უფრო უხერხულად გრძნობდა თავს. „ოტელამდეც მივაცილებ, გაივლო გუნებაში, შემდეგ მორჩა და გათავდა“.

მაგრამ ახლა, თავის მხრივ, მსხვერპლსაც აშკარად დაეტყო მოუსვენრობა. მანაც მოუნელა ნაბიჯს. ეტყობოდა, რაღაც ფიქრი აწვალებდა. თუმცა კანიცი თავჩაქინდრული მიჰყვებოდა გვერდით, მაინც არ გამოჰპარვია ეს ცვლილება. სახეზე შეხედვა ვერ გაებედა, მაგრამ იმაზე, თუ როგორ მძიმედ ადგამდა ნაბიჯებს, მიხვდა, რომ ქალი დაძაბულად ფიქრობდა რაღაცას. კანიცი შიშმა აიტანა. „ეტყობა, მიხვდა, გაიფიქრა მან, რომ მყიდველი მე ვარ. ალბათ ახლა საყვედურებს დამიწყებს, ალბათ უკვე ნანობს, რომ ასე სულელურად აჩქარდა და ხვალ დილითვე თავის ვექილთან გაიქცევა“.

მაგრამ აი, ქალმა მხნეობა მოიკრიბა, ამ დროისთვის მათ უკვე მთელი ვარფიშგასე გაიარეს, მხარდამხარ მიდიოდნენ ლანდებივით მდუმარენი, ჩაახველა და დაიწყო:

– მომიტევეთ... მაგრამ ხვალ დილით მივემგზავრები და მინდა მანამდე ყველაფერი მოვაწესრიგო... უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ... თქვენ დიდი ჯაფა დაგადგათ და... და... ძალიან გთხოვთ, ბარემ ახლავე მითხრათ... რამდენი უნდა მოგართვათ. ამდენი დრო დაკარგეთ ჩემი გულისთვის... მე კი ხვალ დილით მივემგზავრები და... გულით მინდა, რომ არაფერი დამრჩეს მოუწესრიგებელი.

ჩვენი მეგობარი კინაღამ ჩაიკეცა, კინაღამ გული გაუჩერდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო! ამას კი აღარ მოელოდა! უსიამო გრძნობა დაეუფლა, ასეთი განცდა აქვს ადამიანს, როდესაც ბრაზმორეული დაარტყამს ძაღლს და ნაცემი პირუტყვი კი ფეხებთან მიუხოხდება, თვალებში შესცინებს და ულმობელ ხელს აულოკავს.

– არა, არა, – გაასავსავა ხელები დარცხვენილმა კანიცმა უარის ნიშნად, – ჩემი არაფერი გმართებთ, სრულიად არაფერი! – თან იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა, ყველაფრის წინასწარ გათვალისწინებას იყო მიჩვეული, წლების მანძილზე კლიენტის ყოველი რეაქციის ადრევე განჭვრეტა ჰქონდა ნასწავლი და ახლა სრულიად ახალ რაღაცას გადააწყდა. ბევრი რამ განეცადა აგენტად ყოფნის მწარე წლებში, ხშირად ცხვირწინ მოუხურავდნენ ხოლმე კარს, ქუჩაში სალამზე პასუხს არ აძლევდნენ, ხოლო მისთვის მიჩენილი უბნის ზოგიერთ შუკაში საერთოდ გავლასაც კი ერიდებოდა. მაგრამ ვინმეს რომ მადლობა ეთქვა ასეთი რამ ჯერ არასოდეს გაუგია და ამ ადამიანის წინაშე, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, ისევ სჯეროდა მისი, კანიცმა დაირცხვინა, უნებლიეთ ბოდიშის მოხდა მოუნდა.

– არა, – დუდუნებდა ის, – ღვთის გულისათვის, არა... ჩემი არაფერი გმართებთ... ვერაფერს ავიღებ... იმედია, ყველაფერი სწორად გავაკეთე, თქვენ როგორც გსურდათ, ისე... იქნებ, აჯობებდა, რომ დაგვეცადა... დიახ, ვშიშობ, რომ რამდენადმე მეტის აღება შეიძლებოდა... რომ არ აჩქარებულიყავით... მაგრამ სასწრაფოდ გინდოდათ გაგეყიდათ და იქნებ სასიკეთოც იყოს თქვენთვის, რომ ასე მოხდა. ღმერთმანი, ნამდვილად სასიკეთოა. იგი დაეუფლა თავს და ამ წამს თითქმის გულწრფელიც იყო. თქვენნაირმა ადამიანმა, რომელსაც საქმოსნობისა არა გაეგება რა, სჯობს, საერთოდ ხელი აიღოს. თქვენნაირი ადამიანისათვის სჯობს... უფრო ნაკლები ჰქონდეს, მაგრამ სამაგიეროდ, საიმედოდ დაბანდებული... ამიტომ ძალიან გთხოვთ, – კანიცმა ნერწყვი გადაყლაპა, რადგან ყელში თითქოს რაღაც ჰქონდა მიბჯენილი და ახრჩობდა, – ძალიან გთხოვთ, ახლა, როდესაც მოსახდენი უკვე მოხდა, ვინმემ არ შეგაცდინოთ. არ აჰყვეთ, თუ ვინმემ შეგონება დაგიწყოთ: ესაოდა წაგიგიათ, იაფად მიგიციათო. მუდამ ასეა, როცა რაიმეს გაყიდი, აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც თავი მოაქვთ და გეტრაბახებიან, უფრო მეტს, ბევრად უფრო მეტს მოგცემთო... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არაფერი აქვთ მოსაცემი; ასეთებს მხოლოდ თამასუქები და სესხის ბარათები თუ გააჩნიათ... ეს კი სათქვენო საქმე არ არის, ნამდვილად არ არის. გეფიცებით, თავს ვერ გაართმევთ. თქვენთვის აჯობებს, ცოტას, მაგრამ საიმედოს დასჯერდეთ... თქვენი ფული კი, გეფიცებით, საიმედოდ არის დაბანდებული. ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ ახლა თქვენ წინაშე ვდგავარ! პირველი კლასის ბანკია, ფული საიმედო ხელშია. თქვენს რენტას რეგულარულად მიიღებთ, ერთ დღესა და ერთ საათსაც კი არ გადაგიცდენენ. ყველაფრისგან დაზღვეული ხართ. დამიჯერეთ... გეფიცებით... ასე სჯობს თქვენთვის.

ამასობაში ოტელამდეც მიაღწიეს. კანიცი ყოყმანობდა. „ვახშმად მაინც დამეპატიჟა, ფიქრობდა იგი, ანდა თეატრში“, მაგრამ ქალმა უკვე ხელი გაუწოდა.

– მეტს ვეღარ დაგაყოვნებთ... ისედაც მრცხვენია, რომ ამდენი ხანი გაგაცდინეთ. ორი დღე ჩემს საქმეებს გადაჰყევით და ვგრძნობ, რომ ნამდვილად სხვა არავინ გააკეთებდა ამას ესოდენ უანგაროდ. მე... ერთხელ კიდევ გიხდით მადლობას. ჯერ არავის, – ქალი ოდნავ გაწითლდა ამ სიტყვებზე, – ჯერ არავის გამოუჩენია ჩემდამი ამდენი ყურადღება, ამდენი მზრუნველობა... ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე სწრაფად დავაღწევდი თავს ამ

ამბებს, რომ ასე იოლად და სასიკეთოდ დაბოლოვდებოდა... დიდი მადლობა, დიდი მადლობა!

კანიცმა ჩამოართვა ხელი და გულმა არ მოუთმინა, რომ არ შეეხედა ფროილაინისთვის. მხურვალე გრძნობას ქალის სახიდან თითქმის წარეხოცა მისთვის ჩვეული დაზაფრული გამომეტყველება. სხვა დროს ერთობ ფერმკრთალი, შეშინებული სახე ერთბაშად გაბრწყინებოდა, მეტყველი ცისფერი თვალები და ოდნავ შესამჩნევი მადლიერი ღიმილი ბავშვურ იერს აძლევდა. ამაოდ ეძებდა კანიცი სიტყვას, ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ ქალი გამოეთხოვა და წავიდა მსუბუქი, ლაღი ნაბიჯით; სულ სხვანაირად მიდიოდა ადრინდელთან შედარებით. ასე მიაბიჯებს ადამიანი, რომელმაც ეს-ეს არის მძიმე ტვირთი მოიხსნა და შვებით ამოისუნთქა. კანიცმა გაოგნებულმა გააყოლა თვალი. კვლავ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა ქალისთვის. მაგრამ პორტიემ გასაღები უკვე გაუწოდა და ბიჭი ლიფტისკენ წაუძღვა ფროილაინს, ყველაფერი დამთავრდა. ეს საკლავისა და მესაკლავის გამოთხოვება იყო, მაგრამ კანიცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საკუთარ კისერში ჩაეცხოს ნაჯახი. რამდენიმე წუთი გაბრუებული იდგა და ოტელის დაცარიელებულ ვესტიბიულს ათვალიერებდა. ბოლოს, ქუჩის ნაკადმა გაიტაცა და ისიც აჰყვა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. ასე მადლიერად, ასე ადამიანურად ჯერ არავის შეუხედავს მისთვის, ასე ჯერ არავის ულაპარაკია მასთან. ახლაც ჩაესმის ყურში ქალის სიტყვები: დიდი მადლობა, დიდი მადლობა! და სწორედ ეს ადამიანი გაძარცვა, სწორედ ის მოატყუა! გზადაგზა ჩერდებოდა და შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

უეცრად მინის ნაკეთობათა ვეება მაღაზიის წინ, კერნტნერშტრასეზე, რომლის გასწვრივაც ნამძინარევივით ბარბაცით, უაზროდ მიეხეტებოდა, ვიტრინაში გამოდგმულ სარკეში თავის გამოსახულებას მოჰკრა თვალი და ისე დაუწყო თავის თავს თვალიერება, როგორც რომელიმე ბოროტმოქმედის ფოტოსურათს ათვალიერებენ ხოლმე გაზეთში, რათა მიაკვლიონ, სახელდობრ, სახის რომელ ნაკვთში გამოსჭვივის მისი მზაკვრული ხასიათი წინწამოწეულ ნიკაპში, ბოროტად მოყვანილ ტუჩებში, თუ დაუნდობელ მზერაში. დაჟინებით მისჩერებოდა თავის ფართოდ გახელილ თვალებს, სათვალის მიღმიდან შეშფოთებულნი რომ იმზირებოდნენ და ანაზდეულად იმ ქალის თვალები გაახსენდა, რომელსაც ეს-ეს არის გაშორდა. „აი, ისეთი თვალები უნდა ჰქონდეს, გაიფიქრა მჭმუნვარედ, და არა ჩემსავით ქუთუთოებდაწითლებული, ხარბი, ნერვიული. ისეთი თვალები რომ მომცა ცისფერი, კამკამა, შინაგანი რწმენით გაცისკროვნებული! (დედაჩემმა იცოდა ხოლმე ამნაირი გამოხედვა, – გაახსენდა მას, – შაბათ საღამოობით) დიახ, ასეთი ადამიანი უნდა იყო, სხვის მოტყუებას, შენ რომ მოგატყუონ, ის გერჩიოს, წესიერი, უწყინარი ადამიანი. მხოლოდ ასეთები არიან ღვთისგან კურთხეულნი. ჩემმა ხრიკებმა ბედნიერება ვერ მომიტანა, ისევ ის უბადრუკი ვინმე ვარ, რომელმაც მოსვენება რა არის, არ იცის“. ლეოპოლდ კანიცი ისევ დაუყვა ქუჩას, საკუთარ თავს გაურბოდა, არასოდეს ყოფილა ასე უგუნებოდ, როგორც იმ დღეს მისი უდიდესი ტრიუმფის დღეს. ბოლოს, ვინაიდან კარგა ხნის უჭმელი იყო, კაფეში შევიდა და ვახშამი შეუკვეთა. მაგრამ ლუკმა არ ჩასდიოდა ყელში.

„გავყიდი საკეკეშფალვოს, – გეგმებს აწყობდა იგი, – ახლავე მივყიდი ვინმე სხვას. რა ჯანდაბად მინდა ადგილ-მამული, მე ხომ მემამულე არა ვარ. როგორ უნდა ვიცხოვრო მარტოდმარტომ თვრამეტ ოთახში, ან არამზადა მოიჯარადრეებთან გაუთავებელ კინკლაობას როგორ გაუძლოს კაცმა. სისულელე მომივიდა, ჩემს სახელზე კი არ უნდა მეყიდა, არამედ საიპოთეკო ამხანაგობაზე გამეფორმებინა... რადგან, ვაითუ, ბოლოს მაინც შეიტყობს, რომ მე ვიყიდე... თუმცა ბევრის შოვნას არც ვაპირებ ამ საქმეში! თუ თანახმა იქნება, უკანვე დავუბრუნებ, მხოლოდ საკომისიო თანხას გამოვუქვითავ, ოც პროცენტს ანდა შეიძლება ათსაც დავჯერდე. როცა უნდა, მაშინ წაიღოს, თუ გული ეთანაღრება“.

ამის გაფიქრებაზე ცოტათი გულზე მოეშვა. ხვალვე მისწერს, ანდა პირადადაც შეუძლია უთხრას დილით, გამგზავრების წინ, დიახ, ასე აჯობებს: თვითონვე ნებაყოფლობით მისცეს გამოსყიდვის უფლება. ახლა უკვე იმედი ჰქონდა, რომ მშვიდად დაძინებას შეძლებდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი ღამეც თეთრად გაათენა, კანიცს ამჯერადაც ცუდად ეძინა, შფოთავდა; ყურში წამდაუწუმ ის სიტყვები ჩაესმოდა: „დიდი მადლობა, დიდი მადლობა!“ – უცხო, ქვემოგერმანულ კილოზე წარმოთქმულნი, მაგრამ ისე გულწრფელნი, რომ კანიცს მღელვარებისგან ყოველი ნერვი უთრთოდა; მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში არც ერთ საქმეზე იმდენი არ უდარდია ჩვენს მეგობარს, რამდენიც ამ უკანასკნელზე ყველაზე დიდზე, ყველაზე იღბლიანსა და ყველაზე უსინდისოზე. რვის ნახევარზე უკვე ქუჩაში იყო. იცოდა, რომ პასაუსკენ მიმავალი ჩქარი მატარებელი ცხრა საათსა და ოც წუთზე გადიოდა და უნდოდა ფროილაინისთვის შოკოლადის ან კანფეტების ყიდვა მოესწრო. სურდა ყურადღება გამოეჩინა და შეიძლება იდუმალ ისევ იმ სიტყვების ხელახლა გაგონებაც სწყუროდა, რომლებიც მისთვის ასე ახლებურად ჟღერდა და რომლებსაც ქალი უცხო კილოზე ესოდენ ამაღელვებლად წარმოთქვამდა: „დიდი მადლობა“. კანფეტები უყიდა, ვეება ყუთი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძვირფასი. მაგრამ ამასაც არ დასჯერდა, იქვე, მაღაზიაში ყვავილებიც გამოართვა უზარმაზარი წითლად მოხასხასე თაიგული. ცალ ხელში კანფეტებით, მეორე ხელში თაიგულით დაბრუნდა ოტელში და პორტიეს სთხოვა, ეს საჩუქარი დაუყოვნებლივ ფროილაინ დიცენჰოფისთვის წაეღოთ ნომერში. მაგრამ პორტიემ, როგორც ეს ვენაში ჩვეულებად აქვთ, აზნაურის ტიტულით მოიხსენია და მოკრძალებით მიუგო:

– სიამოვნებით, ბატონო ფონ კანიც, მაგრამ ქალბატონი უკვე ბუფეტში გახლავთ, საუზმობს!

კანიცი ერთ წამს ჩაფიქრდა. გუშინ ქალთან გამოთხოვებამ ისე შეძრა, რომ ეშინოდა ხელმეორედ შეხვედრას ეს საამური მოგონება არ დაერღვია. მაგრამ შემდეგ მაინც გაბედა და საჩუქრებით დატვირთული ბუფეტში შევიდა.

ქალი მისკენ ზურგშექცევით იჯდა და თუმცა ჯერ ვერ ხედავდა მის სახეს, მაინც რაღაც გულისამაჩუყებელი იგრძნო: რა მშვიდად იჯდა ეს ნაზი არსება ცალკე მაგიდასთან. კანიცი გაუბედავად წამოეპარა და კანფეტების ყუთი და თაიგული მაგიდაზე დააწყო.

– ეს საგზლად გქონდეთ.

ქალი შეკრთა და გაწითლდა. პირველი შემთხვევა იყო, ყვავილებს რომ უძღვნიდა ვიღაც. თუმცა, ქალბატონის მემკვიდრეობაზე საღერღელაშლილმა ერთმა ნათესავმა ოდესღაც რამდენიმე დამჭკნარი ვარდი გამოუგზავნა იმ იმედით, რომ მოკავშირედ გაიხდიდა, მაგრამ აშარმა ქალბატონმა ბრძანა, ყვავილები დაუყოვნებლივ უკან გაგზავნეთო. ახლა კი მოვიდა კაცი, ყვავილები მოუტანა და არავის შეეძლო აეკრძალა მისთვის მათი მიღება.

– უი, – წაიდუდუნა მან, – რატომ წუხდებით? მე არაფრით... არაფრით ვიმსახურებ...

თან მადლიერი თვალებით შეხედა კანიცს. ყვავილების ანარეკლი იყო, თუ სისხლი მოაწვა, ყოველ შემთხვევაში დარცხვენილი სახე ვარდისფრად შეეფაკლა. შინაბერა ამ წამს თითქმის ლამაზად გამოიყურებოდა.

– ხომ არ დაბრძანდებით? – შესთავაზა ალეწილმა და კანიციც მოუქნელად დაეშვა სკამზე ქალის პირდაპირ.

– მაშ, მართლა მიემგზავრებით? – შეეკითხა და მის ხმაში გულწრფელი სინანული გამოკრთა.

– დიახ, – მიუგო ქალმა და თავი დახარა. მის დასტურში არც სიხარული იყო ჩაქსოვილი და არც მწუხარება, არც სასოება და არც გულგატეხილობა. მშვიდად თქვა, მორჩილად, ყოველგვარი ემოციის გარეშე. ერთი მხრივ უხერხულობის დასაძლევად და მეორე მხრივ იმიტომ, რომ სამსახური უნდოდა მისთვის გაეწია, კანიცი შეეკითხა, დეპეშით თუ აცნობეთ, რომ უნდა ჩახვიდეთო.

– ოი, არა, არა, ხომ დავაფრთხე ის ხალხი, წელიწადი ისე გავა, რომ დეპეშა არ მისდით.

– ახლო ნათესავები არიან თქვენი? – განაგრძობდა გამოკითხვას კანიცი.

– ახლო ნათესავები? არა, არცთუ მაინცდამაინც... დისშვილი მყავს, ისიც ღვიძლი არა. დისშვილის ქმარს საერთოდ არ ვიცნობ. მათ იქ პატარა ფერმა აქვთ და საფუტკრე. მათგან ძალზე თავაზიანი ბარათი მივიღე. მწერენ, რომ ცალკე ოთახი მექნება და რამდენ ხანსაც მინდა, იმდენ ხანს შემიძლია დავრჩე.

– კარგი, მაგრამ რა უნდა აკეთოთ იმ მიყრუებულ ადგილას, მივარდნილ სოფელში? – შეეკითხა კანიცი.

– არ ვიცი, მიუგო ქალმა.

ჩვენს მეგობარს თანდათან გრძნობა მოერია. ამ მარტოსული არსების ირგვლივ ისეთი სიცარიელე სუფევდა, ისე უმწეოდ გამოიყურებოდა და ისე გულგრილად ეკიდებოდა თავის თავსა და მოვალეობას, რომ კანიცს თავისი მოუწყობელი, მოხეტიალე ცხოვრება მოაგონდა. ამ ქალის არსებობის უაზრობამ საკუთარი ცხოვრების უაზრობაც აგრძნობინა.

– მერედა, რა აზრი აქვს ამას, – უთხრა მან თითქმის გაცხარებით, – ნათესავებთან ცხოვრება ცუდია, ამას კარგი არაფერი შეიძლება მოჰყვეს. თანაც თქვენ ახლა აღარც გჭირდებათ, რომ იმ მივარდნილ ადგილას ჩაიმარხოთ თავი.

ქალი ერთსა და იმავე დროს მადლიერი და მწუხარე თვალებით უმზერდა.

– დიახ, – ამოიოხრა მან, – ცოტა მეც მეშინია, მაგრამ აბა რა უნდა ვქნა?

ქალმა ეს ისე წარმოთქვა, თავისთვის, და შემდეგ ცისფერი თვალები კანიცს მიაპყრო, თითქოს მისგან მოელოდა რჩევას. აი ამნაირი თვალები უნდა გქონდეს, გაიხსენა კანიცმა,

გუშინ საკუთარ თავს რომ ეუბნებოდა, და უეცრად, თვითონაც არ იცოდა, როგორ მოუვიდა, მისმა ბაგემ ასეთი აზრი გამოთქვა:

– თუ ასეა, მაშინ აქ დარჩით, – და შემდეგ თავისდა უნებურად უფრო ხმადაბლა დაუმატა, – ჩემთან.

ქალი შეკრთა და კანიცს მიაჩერდა, რომელიც ახლაღა მიხვდა, რომ ისეთი რამ თქვა, რასაც მხოლოდ ქვეშეცნეულად თუ ფიქრობდა. ეს სიტყვები ისე დასცდა მის ბაგეს, რომ ჩვეულებისამებრ წინასწარ არ აუწონდაუწონია, არ მოუზომავს. სურვილი, რომელიც ჯერ თვითონაც არ ჰქონდა შეგნებული და რომელშიც ჯერ საკუთარ თავსაც არ გამოსტყდომოდა, უეცრად ხმამაღდა ითქვა, სიტყვებში გამოვლინდა. ქალს სახე აელეწა და მაშინღა მიხვდა ნათქვამის მნიშვნელობას. უეცრად შიშმა შეიპყრო, ცუდად არ გამიგოს, არ ეგონოს, რომ საყვარლად მინდაო, და ქალს რომ ცუდი რამე არ ეფიქრა, სასწრაფოდ დაუმატა:

– ანუ აქ დარჩით და ცოლად გამომყევით.

ქალი კიდევ უფრო დაიბნა, ტუჩები აუთრთოლდა (კანიცმა აღარ იცოდა, ტირილის დაწყებას აპირებდა, თუ გაბრაზებას), შემდეგ უეცრად წამოხტა და ოთახიდან გავარდა. ეს ყველაზე საშინელი წუთი იყო ჩვენი მეგობრის ცხოვრებაში. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რა შეურაცხყოფა მიაყენა, დაამცირა, თავმოყვარეობა შეულახა კეთილ არსებას, ერთადერთს, რომელიც მისი ნდობით იყო გამსჭვალული, რადგან როგორ შეეძლო მას, უკვე ხანში შესულს, თანაც ებრაელს, ჩანჩურას, მახინჯს, ფულის გიჟს, ცოლობა ეთხოვა ესოდენ კეთილშობილი და სათუთი გონების ქმნილებისათვის?! გუნებაში ამართლებდა კიდეც, რომ ასე აღშფოთებული გაიქცა. „ძალიანაც კარგად მოიქცა, ნიშნს უგებდა საკუთარ თავს. ახია ჩემზე, ბოლოს შემიცნო, რაცა ვარ და სათანადო ზიზღიცა და მძულვარებაც გამოხატა. ასე სჯობია, ვიდრე ისეთი თაღლითის მადლიერი იყოს, როგორიც მე ვარ“. კანიცს ქალის გაქცევა ოდნავადაც არ სწყენია, პირიქით, იმ წუთს, როგორც თვითონ გამანდო, გაუხარდა კიდეც. იგრძნო, რომ დამსახურებული სასჯელი მიიღო და მართებულად მიაჩნდა, თუკი ქალი ასეთი ზიზღით განიმსჭვალებოდა.

მაგრამ აი ქალი ისევ გამოჩნდა, თვალცრემლიანი და საშინლად აღელვებული. მხრები უტოკავდა. მაგიდას მიუახლოვდა და ვიდრე დაჯდებოდა, ორივე ხელით სკამის საზურგეს ჩააფრინდა. შემდეგ ოდნავ ამოიოხრა და თვალდახრილმა წარმოთქვა:

– მომიტევეთ... მომიტევეთ ჩემი უზრდელობა... რომ გიჟივით წამოვვარდი და დაგტოვეთ... მაგრამ ძალიან შემეშინდა... ეგ რამ გათქმევინათ? თქვენ ხომ სულაც არ მიცნობთ... თქვენ ხომ სულაც არ მიცნობთ...

კანიცი გაშრა, ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. აღელვებული მხოლოდ იმასღა ხედავდა, რომ ქალი განრისხებული კი არ იყო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შეშინებული. მასაც ისევე აკრთობდა ეს მოულოდნელი და გიჟური წინადადება, როგორც თვით კანიცს. ვერც ერთი ვეღარ ბედავდა ხმის ამოღებას, არც ერთს არ ჰყოფნიდა სითამამე, მეორისთვის თვალი გაესწორებინა. მაგრამ იმ დილით ქალი არ გაემგზავრა. საღამომდე ერთად იყვნენ. სამი დღის შემდეგ კანიცმა ხელმეორედ სთხოვა ცოლობა? ხოლო ერთი თვის შემდეგ დაქორწინდნენ.

* * *

ექიმმა კონდორმა შეისვენა.

– ესეც ასე, თითო კიდევ შევსვათ, მე უკვე ვამთავრებ. მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ აქაურები ლაყბობენ, თითქოს ჩვენი მეგობარი მაშინ ეშმაკურად დაუახლოვდა მემკვიდრე ქალს და მხოლოდ იმიტომ დაიწერა მასზე ჯვარი, რომ ადგილ-მამული ჩაეგდო ხელში. მაგრამ ვიმეორებ: მართალი არ არის! როგორც უკვე იცით, მაშინ ადგილ-მამული უკვე კანიცის იყო, ამისთვის იმ ქალის შერთვა სულაც არ სჭირდებოდა. ცოლობა სრულიად უანგაროდ სთხოვა. და ან კი როგორ გაბედავდა ეს წვრილფეხა აგენტი ასეთი მოხდენილი ცისფერთვალება ქალწულისთვის ცოლად გაყოლა ეთხოვა და ისიც ანგარებით? ეს იმ უნებლიეთ მოზღვავებულმა გრძნობამ გააკეთებინა, რომელიც წრფელი იყო და საოცრად წრფელი დარჩა ბოლომდე.

ამ უცნაურ გამიჯნურებას ისეთი ბედნიერი ქორწინება მოჰყვა შედეგად, იშვიათად რომ შეხვდებით. მუდამ ასეა, სწორედ ერთიმეორის საპირისპირო ხასიათები ერწყმიან ჰარმონიულად, თუ ერთმანეთს კარგად ავსებენ, და ხშირად ის, რაც ერთი შეხედვით განცვიფრებას იწვევს, სრულიად ბუნებრივი ამბავი გამოდგება ხოლმე. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ასე სახელდახელოდ დანიშნულთ ერთმანეთის ეშინოდათ. კანიცი ფიქრობდა, ვაითუ ვინმემ რამე ჩააწვეთოს ყურში ჩემს ბნელ საქმეებზე, უკანასკნელ წუთში შემიძულოს და ხელი მკრასო. ამიტომ სასწრაფოდ შეუდგა წარსულის ნაკვალევის წაშლას.

ყველა საეჭვო საქმე შეწყვიტა, ზარალსაც არ მოერიდა და სესხის ბარათები მოიშორა, ადრინდელი ამფსონებისგანაც თავი შორს დაიჭირა. ბოლოს ქრისტიანობაც მიიღო, ნათლიად ერთი გავლენიანი პირი აირჩია. მისი დახმარებით და მოზრდილი თანხის წყალობით მიაღწია იმას, რომ ნება დართეს გვარისათვის კანიცი ფონ კეკეშფალვა დაერთო, რომელიც უფრო კეთილშობილურად ჟღერდა. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, პირვანდელი გვარი მალე უკვალოდ გაქრა მისი სადარბაზო ბარათებიდან. მიუხედავად ამისა, ქორწილამდე კანიცი ერთთავად იმის შიშში იყო, რომ დღეს თუ არა, ხვალ დაკარგავდა საცოლის ნდობას. თავის მხრივ, ქალიც, რომელსაც მისი ქალბატონი, მთელი თორმეტი წელი ყოველ ცისმარე დღე ჩასჩიჩინებდა, უუნარო, უმაქნისი, ბოროტი, ტუტუცი ხარო, რითაც თავმოყვარეობის ნასახიც კი უნდოდა ჩაეკლა მოახლეში, ახალი მბრძანებლისგანაც დაცინვას, ლანძღვასა და ყოველგვარ დამცირებას მოელოდა. წინასწარ უკვე შერიგებულიც იყო ამ ამბავს, მონობაში ცხოვრებას მიჩვეული, აქაც იმავე ხვედრს მოელოდა. მაგრამ, რაც უნდა გაეკეთებინა, ყველაფერი მოწონებას იმსახურებდა. კაცი, რომლის სამსახურშიც ახლა იყო და ვისაც მიანდო თავისი ცხოვრება, დღენიადაგ ემადლიერებოდა, წამდაუწუმ მადლობას უხდიდა, პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობოდა, ყმაწვილი ქალი განცვიფრებული იყო ამდენი სინაზე დაუჯერებლად ეჩვენებოდა. თითქმის დამჭკნარი ქალწული თანდათან გაიფურჩქნა, და გალამაზდა. კიდევ ერთი თუ ორი წელი გავიდა, ვიდრე გაბედავდა და მართლა დაიჯერებდა, რომ ისიც, რომელსაც უწინ ზედაც არავინ უყურებდა, ყველა ამცირებდა და ჩაგრავდა, შეიძლებოდა ისევე ჰყვარებოდათ და დაეფასებინათ, როგორც ყველა სხვა

ქალი. მაგრამ მათი ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ბავშვი შეეძინათ.

იმ წლებში კეკეშფალვა ახალი ენერგიით შეუდგა საქმიანობას. წვრილ აგენტობას თავი დაანება. ახლა დიდი მასშტაბით ეწეოდა მუშაობას. შაქრის ქარხანა თანამედროვე ყაიდაზე გადააკეთა, საგლინავი საწარმოს აქციონერი გახდა ვინერნოიშტატში და სპირტის კარტელთან ერთად ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარა, რომელმაც ქვეყანა აალაპარაკა, მაგრამ გამდიდრებას ახლა უკვე მართლაც მდიდარი გახდა არაფერი შეუცვლია ცოლ-ქმრის სადა, განმარტოებულ ცხოვრებაში. იშვიათად პატიჟებდნენ სტუმრებს, თითქოს ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად გაეხსენებინათ ხალხისთვის თავი, და სახლს, რომელშიც დაიარებით, მაშინ შეუდარებლად უფრო უბრალო და პროვინციული შესახედაობა ჰქონდა, თუმცა მისი მკვიდრნი ბევრად უფრო ბედნიერნი იყვნენ, ვიდრე ამჟამად!

შემდეგ ბედმა კეკეშფალვას პირველი განსაცდელი მოუვლინა. უკვე კარგა ხანი იყო მის ცოლს კუჭის არეში ტკივილები აწუხებდა, მადა წაერთვა, გახდა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და უძლურდებოდა. მაგრამ იმის შიშით, რომ ისედაც საქმეებით მეტისმეტად დატვირთული ქმარი თავისი უმნიშვნელო პიროვნებით არ შეეწუხებინა, ტკივილებს მალავდა. ხოლო როდესაც დაფარვა ვეღარ შეძლო, უკვე გვიან იყო. სანიტარიული მანქანით ვენაში წაიყვანეს საოპერაციოდ, რადგან კუჭის წყლული ეგონათ, მაგრამ სიმსივნე აღმოაჩნდა. აი სწორედ მაშინ გავიცანი კეკეშფალვა. უფრო გააფთრებულ, უფრო საზარელ სასოწარკვეთილებას არ შევხვედრივარ. არ შეეძლო და არც სურდა გაეგო, რომ მედიცინა ამ შემთხვევაში უძლური იყო და მხოლოდ ექიმების სიზანტეს, გულგრილობას, უუნარობას მიაწერდა იმას, რომ ვეღარაფერს ვშველოდით. ორმოცდაათ ათას, ასი ათას კრონას სთავაზობდა პროფესორს, ოღონდაც მისი ცოლი გადაერჩინა. ოპერაციის წინადღეს ტელეგრაფით გამოიძახა ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტები ბუდაპეშტიდან, მიუნხენიდან, ბერლინიდან, რომ იქნებ ერთ-ერთი მათგანი მაინც წასულიყო ქირურგიული ჩარევის წინააღმდეგ. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, როგორი შეშლილი თვალებით გვიყურებდა და გვიყვიროდა: ყველანი მკვლელები ხართო, როდესაც უბედური ქალი, როგორც მოსალოდნელი იყო, საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

ეს კეკეშფალვასთვის ფერისცვალების დღე იყო: ამიერიდან სულ სხვა კაცად იქცა. მოგების ამ ასკეტურმა ქურუმმა უარყო თავისი ღმერთი, რომელსაც ბავშვობიდან მსახურებდა, ფულის რწმენა დაკარგა. ახლა მისთვის მხოლოდ ერთი რამეღა არსებობდა მთელ ქვეყანაზე მისი შვილი. გუვერნანტები და მოსამსახურეები დაიქირავა, სახლს რეკონსტრუქცია გაუკეთა და ოდესღაც ესოდენ ხელმომჭირნეს არანაირი ფუფუნება აღარ ჰყოფნიდა. ცხრა-ათი წლის გოგონას დაატარებდა ნიცაში, პარიზსა და ვენაში, ანებივრებდა, დაუჯერებლად აზიზად ინახავდა და იმავე გააფთრებით ფანტავდა ფულს აქეთ-იქით, როგორითაც მანამდე ხვეტდა. შესაძლოა, ძალიან არც ცდებით, როდესაც მას კეთილშობილსა და არისტოკრატს უწოდებთ, რადგან მრავალი წელია არაჩვეულებრივ

გულგრილობას იჩენს წაგებისა თუ მოგებისადმი, ფულის სიძულვილი ისწავლა მას შემდეგ, რაც მისმა მილიონებმა ცოლი ვერ გადაურჩინა.

უკვე გვიანაა და არ მინდა დაწვრილებით მოგიყვეთ, როგორ აღმერთებდა თავის გოგონას. თუმცა ეს გასაგებიცაა, რადგან მისი პაწია მართლაც ძალიან მომხიბლავი იზრდებოდა. იმ წლებში ედითი ნამდვილ ელფს ჰგავდა. ნაზი, მოქნილი, ჰაეროვანი, ნაცრისფერთვალება სამყაროს ნათელი, მეგობრული და ბედნიერი მზერით უჭვრეტდა. დედის მოკრძალება და თვინიერი ხასიათი გამოჰყვა, მამის გამჭრიახი გონება. ყვავილივით იზრდებოდა, აზრიანი და ალერსიანი, დაჯილდოებული იმ სანუკვარი უშუალობით, მხოლოდ ისეთ ბავშვებს რომ ახასიათებს, რომელთაც ცხოვრების სუსხი არასდროს უგრძნიათ. ჰოდა, მხოლოდ იმას, ვინც იცოდა, როგორ უყვარდა თავისი გოგონა ამ სიბერეში შესულ კაცს, რომელიც რას იფიქრებდა, რომ მისი კაეშნით აღსავსე მღვრიე სისხლიდან ასეთი მკვირცხლი და სიცოცხლით აღსავსე არსება გაჩნდებოდა, მხოლოდ იმას ძალუძს წარმოიდგინოს კეკეშფალვას სასოწარკვეთილება, როდესაც მეორე უბედურება დაატყდა თავს. ვერ შერიგებოდა, ვერ დაეჯერებინა და დღემდეც არ სჯერა, რომ სწორედ ეს ბავშვი, მისი შვილი უნდა იყოს განგებისგან ასე დასჯილი, ასე დასახიჩრებული. აღარ მინდა სიტყვა გავაგრძელო იმაზე, როგორ აბეზრებს ყველას თავს, თუკი ვინმე ექიმია დედამიწის ზურგზე, როგორ გვთავაზობს აურაცხელ ფულს გასამრჯელოდ, ოღონდაც დაუყოვნებლივ მოვურჩინოთ შვილი, ან კიდევ, როგორ მირეკავს ყოველ მეორე დღეს. ეს კიდევ არაფერი, როგორც ამას წინათ საიდუმლოდ გამანდო ერთმა კოლეგამ, ბერიკაცი თურმე ყოველ კვირა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ზის სტუდენტთა შორის, საათობით იქექება სამედიცინო სახელმძღვანელოებში და თან გაფაციცებით იწერს ლექსიკონიდან ყველა უცხო ტერმინს იმ ფუჭი იმედით, რომ იქნებ თვითონ გადააწყდეს ისეთ რამეს, რაც ექიმებს გამორჩათ ან დაავიწყდათ. სხვა წყაროდან კი ასეთმა ხმებმაც მოაღწიეს ჩემამდე ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ გრძნობის სიდიადეს მუდამ მისთვის ჩადენილ უგუნურებათა მიხედვით ზომავენ თურმე როგორც სინაგოგისთვის, ისევე აქაური სამწყსოს მღვდლისთვის დიდი თანხების შეწირვა აღუთქვამს გოგონას გამოჯანმრთელების შემთხვევაში; აღარ იცის, რომელ ღმერთს მიმართოს, თავის მამა-პაპათა ღვთაებას, რომელიც უარყო, თუ ახალს, და ორივეს შეჰფიცა, რადგან ეშინია, ან ერთი არ განარისხოს, ან მეორე.

თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, ამ თითქმის კურიოზულ წვრილმან ამბებს ენის მოსაქავებლად არ გიამბობთ. ახლა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას ნიშნავს ამ დათრგუნვილი, გატეხილი, გასაცოდავებული ადამიანისათვის ისეთი ვინმე, ვინც გულწრფელად თანაუგრძნობს, ანდა ყოველ შემთხვევაში ცდილობს გაუგოს მაინც. მე ვიცი, ძნელია მისი ატანა, რადგან ჯიუტია და მანიაკალური ეგოცენტრიზმით შეპყრობილი. ისე იქცევა, თითქოს უბედურებით პირამდე სავსე ჩვენს მსოფლიოში მარტო ის და მისი გოგონა იტანჯებოდნენ. და მაინც განსაკუთრებით ამჟამად, მისი ბედის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება, ვინაიდან მსახვრალი გრძნობა იმისა, რომ შველა არსაიდან ჩანს, მის ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. და თქვენ ნამდვილად კეთილ საქმეს აკეთებთ, ნამდვილად კეთილ საქმეს, ძვირფასო ბატონო ლეიტენანტო, როდესაც მის

უბედურ ოჯახში თქვენი ახალგაზრდობის, მგზნებარე სიცოცხლისა და უდარდელობის ელემენტი შეგაქვთ. მხოლოდ ამის გამო, მხოლოდ იმის შიშით, რომ სხვებმა შეიძლება შეცდომაში შეგიყვანონ, ალბათ იმაზე მეტი გიამბეთ მისი პირადი ცხოვრებიდან, რამდენის უფლებაც მქონდა. მაგრამ, ვფიქრობ, თქვენი იმედი შეიძლება მქონდეს ყველაფერი, რაც გიამბეთ, ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

– რასაკვირველია, – მექანიკურად მივუგე მე. პირველად ამოვიღე ხმა მას შემდეგ, რაც კონდორმა მოყოლა დაიწყო. გაბრუებული ვიყავი, მაგრამ არა მხოლოდ მოულოდნელი ფაქტებით, რომელთაც მთელი ჩემი წარმოდგენა კეკეშფალვაზე თავდაყირა დააყენა; ჩემი გონებადახშულობითა და სიბრიყვითაც გახლდით შეძრწუნებული. გამოდიოდა, რომ ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ისევ ბავშვის თვალებით ვუყურებდი ქვეყანას. ყოველ ცისმარე დღე დავდიოდი მათ ოჯახში, მაგრამ ისე გართული ვიყავი თანაგრძნობის ბურუსში, რომ, რაღაც სულელური სიმორცხვის გამო, ერთხელაც ვერ გავბედე რამე მეკითხა ან ედითის ავადმყოფობაზე, ან დედამისზე, რომელიც არ შეიძლებოდა არ ესაკლისა ადამიანს, ან თუნდაც იმით დავინტერესებულიყავი, საიდან ჰქონდა ამ უცნაურ კაცს ამხელა სიმდიდრე, როგორ ვერ მივხვდი, რომ ეს ნახევრად ქუთუთოებით დაფარული თვალები, ნუშივით მოგრძო მელანქოლიური თვალები უნგრელ არისტოკრატს არ ეკუთვნოდა, რომ მათ გამჭრიახ, მაგრამ ამავე დროს დაღლილ მზერაში ებრაული რასის ათასწლოვანი ტრაგიკული ბრძოლა გამოსჭვიოდა. როგორ ვერ შევამჩნიე, რომ ედითის გარეგნობაში სხვა ელემენტებიც ერია. ნუთუ ვერაფერმა მიმახვედრა, რომ ამ ოჯახს უცნაური წარსულის ლანდი ახლაც თავს დასტრიალებდა. თავში ათასმა წვრილმანმა ამბავმა გამიელვა, რომელთაც უწინ ყურადღებას არ ვაქცევდი: ერთხელ როგორ ცივად უპასუხა კეკეშფალვას ჩვენმა პოლკოვნიკმა მისალმებაზე, მხოლოდ სხვათა შორის მიიდო ორი თითი ქუდის აფრაზე, ანდა ჩემმა ამხანაგებმა მაშინ კაფეში „ბებერი წურბელა“ რომ უწოდეს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ბნელ ოთახში ერთბაშად ფარდა გადაეწიოთ და ცხრათვალა მზის კაშკაშა სინათლეს თვალები მოეჭრას.

მაგრამ კონდორი, თითქოს მიხვდა, რაზეც ვფიქრობდი, ჩემკენგადმოიხარა და თავისი პატარა ფაფუკი ხელი დასამშვიდებლად მართლაცდა მკურნალისთვის დამახასიათებელი მოძრაობით ხელზე შემახო.

– თქვენ კი, რა თქმა უნდა, ამაზე წარმოდგენაც არ გქონდათ, ბატონო ლეიტენანტო, და ან კი საიდან უნდა გცოდნოდათ?! თქვენ ხომ სრულიად განცალკევებულ, კარჩაკეტილ სამყაროში აღიზარდეთ და, გარდა ამისა, იმ ბედნიერ ასაკში ხართ, როდესაც ჯერ კიდევ არ უსწავლიათ, ყოველივე უჩვეულოს უწინარეს ყოვლისა ეჭვის თვალით შეხედონ. დამიჯერეთ, როგორც თქვენზე უფრო ხნიერს, არ უნდა შეგრცხვეთ, თუ ცხოვრება ზოგჯერ იმედს გაგიცრუებთ. პირიქით, მადლია, თუ ეს ფხიზელი, უმალვე დიაგნოზის დამსმელი მზერა არა გაქვთ და ადამიანებსა და საგნებს ნდობის თვალით უჭვრეტთ. სხვანაირი რომ ყოფილიყავით, ამ ბერიკაცს და მის საბრალო სნეულ გოგონას ასე საუცხოოდ შემწეობას ვერ აღმოუჩენდით! არა, ნუ გაგიკვირდებათ და, რაც მთავარია, ნუ შეგრცხვებათ თქვენმა კეთილმა ალღომ სწორად გიკარნახათ და შესანიშნავად იქცეოდით. სიგარის ნამწვი კუთხეში დააგდო, გაიზმორა და სავარძელი უკან გააჩოჩა.

– ახლა კი, მგონი, ჩემი წასვლის დროც მოვიდა.

მეც მასთან ერთად წამოვდექი, თუმცა თავბრუ ოდნავ კიდევ მეხვეოდა. რაღაც უცნაური რამ მემართებოდა. უაღრესად აღელვებული და აფორიაქებული ვიყავი ყოველივე იმით, რაც ახლა შევიტყვე. ჩემი გონება ფხიზლად მუშაობდა, მაგრამ ამავე დროს ტვინის რომელიღაც კუნჭული დაბინდული მქონდა, თითქოს რაღაცის გახსენება მსურდა და ვერ მომეგონებინა. დანამდვილებით მახსოვდა, რომ შუაგულ თხრობაში კონდორისთვის რაღაც უნდა მეკითხა, სრულიად კონკრეტული რამ, მაგრამ ვერ გავბედე სიტყვა გამეწყვეტინებინა. ხოლო ახლა, როდესაც საშუალება მომეცა, ვეღარ ვიგონებდი, სმენით გატაცებულს სულ გადამვიწყებოდა. ამაოდ ვაცოცხლებდი მეხსიერებაში საუბრის მთელ მსვლელობას ისეთი განცდა მქონდა, როდესაც ცხადად გრძნობ ტკივილს, მაგრამ ტკივილის ადგილი ვერ დაგიდგენია. ვიდრე ნახევრად დაცარიელებული რესტორნის დარბაზს გავივლიდით, იმით ვიყავი გართული, რომ როგორმე გამეხსენებინა ეს, მაგრამ ამაოდ.

გარეთ რომ გამოვედით, კონდორმა ცას ახედა.

– ოჰო! – გაიღიმა კმაყოფილმა, – ასეც ვიცოდი. ავდარი არ აგვცდება და თანაც საკმაოდ ძლიერი! უნდა ვიჩქაროთ.

მართალს ამბობდა. ძილში გარინდებულ სახლებს შორის სიო არ იძვროდა და ჰაერი ისევ შეგუბებულ-შეხუთული იყო, მაგრამ აღმოსავლეთიდან ცაზე ლეგა ღრუბლები მოქროდა და მოყვითალო მქრქალ მნათობს ალაგ-ალაგ ლაქებივით ეფარებოდა. უკვე ნახევარი ცა გააშავა ღრუბელმა. წყვდიადის ლითონისებრი, კომპაქტური მასა შავ კუსავით მოიწევდა წინ, ზოგჯერ შორეულ გაელვებათა ანარეკლი გაითამაშებდა მის ზედაპირზე და შუქის ყოველ გამოკრთომაზე შორეთში რაღაც დაიხრიალებდა ხოლმე აღრენილი მხეცივით.

– ნახევარ საათში დაუშვებს, – დასვა დიაგნოზი კონდორმა. მე კი მშრალად მივასწრებ სადგურამდე, მაგრამ თქვენ, ბატონო ლეიტენანტო, სჯობს, ახლავე უკან გაბრუნდეთ, თორემ მაგრად გაილუმპებით.

მე კი ბუნდოვნად მახსოვდა, რომ რაღაცას უნდა შევკითხოდი, თუმცა სახელდობრ რას, არ ვიცოდი, ჩემი მეხსიერების რომელიღაც მრუმე ნაპრალში ჩაიძირა იგი, ისევე როგორც ზემოთ მთვარე მქროლავ ღრუბელთა ჯარში. თან ტვინში ისევ მიფეთქავდა ის გაურკვეველი აზრი და განუწყვეტელი, მღრღნელი ტკივილივით არ მაძლევდა მოსვენებას.

– არა უშავს, გავბედავ, – მივუგე მე.

– მაშინ ვიჩქაროთ! რაც უფრო სწრაფად ვივლით, მით უკეთესი. იმდენი ხანი ვისხედით, რომ ლამის ფეხები წამერთვას.

ფეხები წამერთვასო! აი ეს იყო სწორედ, ამან მომაგონა! თქმა და გახსენება ერთი იყო! უკვე ვიცოდი, რაც მინდოდა მეკითხა კონდორისათვის! მე ხომ დავალებული მქონდა! განა კეკეშფალვამ არ დამავალა? მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც ჩანს, ქვეშეცნეულად კეკეშფალვას თხოვნაზე ვფიქრობდი. მას ხომ სურდა შეეტყო,

განიკურნებოდა თუ არა მისი გოგონა ფეხის დამბლისაგან და ვიდრე უკაცრიელ შუკებში მივაბიჯებდით, ფრთხილად შევუდექი ჩემზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

– მომიტევეთ, ბატონო ექიმო, – დავიწყე მე, – ყველაფერი, რაც მიამბეთ, რასაკვირველია, ძალზე საინტერესო იყო ჩემთვის... ანუ ძალზე მნიშვნელოვანი... მაგრამ ალბათ გამიგებთ, სწორედ ამის გამო კიდევ ერთი რამ მინდა გკითხოთ... რაც უკვე დიდი ხანია მაწუხებს... თქვენ ხომ ედითს მკურნალობთ და ყველაზე უკეთ იცით მისი მდგომარეობა... მე კი არაფერი გამეგება ასეთ რამეებში... და ამიტომ ძალიან მინდა თქვენი აზრი მოვისმინო: ედითის დამბლა დროებითი დაავადებაა, რომელიც ჟამთა ვითარებაში გაივლის, თუ ვერ განიკურნება?

კონდორმა ალმაცერად ამომხედა და პენსნეს მინები შემომანათა. მე უნებლიეთ სახე ავარიდე ამ გამჭოლ მზერას, რომელიც ისარივით შემერჭო. ეჭვი ხომ არ შეეპარა? ხომ არ მიხვდა, რომ კეკეშფალვასაგან მქონდა დავალებული? მაგრამ მალე ისევ დახარა თავი, ნაბიჯი არ შეუნელებია, პირიქით, შეიძლება უმატა კიდეც სისწრაფეს და ჩაიბუზღუნა:

– ჰო, რა თქმა უნდა! კაცმა რომ თქვას, მზად უნდა ვყოფილიყავი ასეთი შეკითხვისათვის. ყველა ამით ამთავრებს ხოლმე: მორჩებათუ არ მორჩება, როგორ იქნება საქმე? თითქოს ასე მარტივი გადასაწყვეტი იყოს! თვით ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა „ჯანმრთელი“ და „ავადმყოფი“, სინდისიერმა ექიმმა არ უნდა იხმაროს, რადგან ვინ იცის, სად იწყება ავადმყოფობა და სად მთავრდება ჯანმრთელობა, და მით უმეტეს, ვინ შეიძლება „მორჩეს“ და ვინ „მოურჩენელია“? მართალია, ორივე გამოთქმა ძალზე გავრცელებულია და საექიმო პრაქტიკაშიც ძნელად თუ წავალთ ამის გარეშე, მაგრამ ჩემგან ვერა და ვერ ეღირსებით, რომ ვთქვა: მოურჩენელია-მეთქი. ვერასოდეს, გესმით! გასული საუკუნის უჭკვიანესმა ადამიანმა, ნიცშემ, საშინელი აფორიზმი წარმოთქვა: მოურჩენლის მორჩენას ნუ მოიწადინებო. მაგრამ ეს თითქმის ყველაზე მცდარი პარადოქსია ყველაზე საშიშ პარადოქსთა შორის, რომლებიც მან ამოსახსნელად დაგვიტოვა. მე ვამტკიცებ, რომ სწორედ ამის საპირისპიროა მართებული, სწორედ მოურჩენლის მორჩენა უნდა მოიწადინო ექიმმა და უფრო მეტიც: სწორედ ამ ეგრეთ წოდებულ მოურჩენლებზე გამოიცდება ექიმი. მკურნალი, რომელიც ავადმყოფს თავიდანვე მოურჩენლად აღიარებს, არსებითად დეზერტირობს მის წინ დაყენებული ამოცანის წინაშე, კაპიტულაციას ახდენს ბრძოლის დაწყებამდე. რა თქმა უნდა, მე ვიცი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ადვილია, უფრო მოსახერხებელია უბრალოდ თქვა: მოურჩენელიაო, და უკუიქცე დამწუხრებული სახით და ჰონორარით სავსე ჯიბით, დიახ, დიახ, ძალზე ხელსაყრელია და შემოსავლიანიც მხოლოდ და მხოლოდ ისეთი დაავადებების მკურნალობა, რომლებიც შესწავლილია, და ცნობილია, რომ მათი განკურნება შეიძლება: გადაშლი სქელტანიან სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე და მთელი თერაპია მზამზარეული დაგხვდება. რას იზამ, ვისაც მოსწონს, დაე ამნაირად იექიმბაშოს. მე კი ad personam ამდაგვარი მკურნალობა ისევე უბადრუკად მეჩვენება, როგორც, ვთქვათ, მწერალი რომ მარტოოდენ ერთხელ უკვე ნათქვამ აზრებს იმეორებდეს, ნაცვლად იმისა, რომ ჯერ ართქმულისა და თვით ენით უთქმელის გამოხატვასაც კი ცდილობდეს, ანდა ფილოსოფოსი უკვე ცნობილ ჭეშმარიტებას

მეასეჯერ ხსნიდეს, ნაცვლად იმისა, რომ ჯერაც შეუცნობლის ან საერთოდ შეუცნობადის ჩაწვდომას ლამობდეს. „განუკურნებელი“ ხომ რელატიური ცნებაა და არა აბსოლუტური; მედიცინისათვის, როგორც განუწყვეტლივ განვითარებადი მეცნიერებისთვის, განუკურნებელი დაავადებანი მხოლოდ მოცემული მომენტისათვის, ჩვენი დროის, ჩვენი ცოდნისა და შესაძლებლობების ფარგლებში არსებობენ, ანუ ჩვენი მეცნიერული ჰორიზონტის სივიწროვის გამო. მაგრამ მარტო მოცემული მომენტი ხომ არ არის პრობლემა. ასობით ავადმყოფისთვის, რომელთაც დღეს განუკურნებლად ვთვლი, ხვალ, ზეგ შეიძლება მოიძებნოს, გამოინახოს მკურნალობის ახალი მეთოდები, რადგან ჩვენი მეცნიერება ძალზე სწრაფი ტემპით მიიწევს წინ. ასე რომ, გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ, – მითხრა მან გაბრაზებით, თითქოს შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, – ჩემთვის მოურჩენელი სნეულება არ არსებობს. მე პრინციპულად არავინ და არაფერი არ მიმაჩნია უკურნებლად და ვერავინ მაიძულებს ოდესმე ვთქვა: მოურჩენელია-მეთქი. მაქსიმუმი, რაც შეიძლება განვაცხადო თვით ყველაზე უიმედო შემთხვევაშიც კი, არის: ეს ავადმყოფობა ჯერჯერობით მოურჩენელია, ანუ თანადროული მეცნიერება მის წინაშე ჯერ უძლურია-მეთქი.

კონდორი ისე გამალებით მიდიოდა, რომ ძლივს ვახერხებდი ფეხდაფეხ მიყოლას. შემდეგ უეცრად ნაბიჯს უკლო.

– შეიძლება ერთობ დახლართულად, ერთობ აბსტრაქტულად ვლაპარაკობ, ამგვარ ამბებზე მართლაც ძნელია რესტორნიდან სადგურში მიმავალმა იმსჯელო. მაგრამ იქნებ ჩემი აზრი მაგალითმა უფრო თვალსაჩინო გახადოს. ეს ამბავი, სხვათა შორის, მე გადამხდა თავს და მეტად მტკივნეულად განვიცადე. ოცდაორი წლის წინ მაშინ დაახლოებით თქვენი ხნის ვიქნებოდი და სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსზე ვსწავლობდი მოულოდნელად მამა გამიხდა ავად, მანამდე სრულიად საღი, ჯანღონითა და ენერგიით აღსავსე ადამიანი, რომელიც გაგიჟებით მიყვარდა და პატივს ვცემდი. ექიმებმა დიაბეტის დიაგნოზი დაუსვეს, რასაც თქვენ შეიძლება შაქრის ავადმყოფობის სახელით იცნობთ. ეს ერთერთი ყველაზე საშინელი და შემპარავი დაავადებაა, რომელიც კი შეიძლება ადამიანს დაემართოს. სრულიად უმიზეზოდ ორგანიზმი ვეღარ ამუშავებს საკვებს, ვეღარ ითვისებს ცხიმსა და შაქარს და ამის გამო ავადმყოფი დაუძლურებისგან იღუპება... მაგრამ არ მინდა, წვრილმანებით გაწვალოთ, ისიც კმარა, რომ ახალგაზრდობაში ამ ამბებმა სამი წელი მომიშხამა. ასე რომ, მომისმინეთ: მაშინ სულ არ იცოდნენ დიაბეტის მკურნალობა, ავადმყოფს საგანგებო დიეტით აწამებდნენ: ყოველ გრამ საკვებს უწონიდნენ, ყოველ ყლუპ სითხეს უთვლიდნენ, მაგრამ ექიმებმა იცოდნენ და მეც, რასაკვირველია, როგორც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ აჭიანურებდა აღსასრულს, რომ ორ-სამ წელიწადში მამაჩემს საშინელი სიკვდილი ელოდა, რომ საბრალოს ნელ-ნელა სული ამოხდებოდა შიმშილისაგან ამ საჭმელ-სასმლით სავსე ქვეყანაში. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ დავრბოდი მე, მედიკოსი სტუდენტი, მომავალი ექიმი, ხან ერთ გამოჩენილ სპეციალისტთან, ხან მეორესთან და რამდენს ვიქექებოდი სამედიცინო ლიტერატურაში, მაგრამ, ზეპირად იქნებოდა თუ წერილობით, ყველგან ერთსა და იმავე პასუხს

ვაწყდებოდი: „მოურჩენელია, მოურჩენელია“. იმ დღიდან მოკიდებული ვერ ვიტან ამ გამოთქმას, რადგან გულხელდაკრეფილს უნდა მეცქირა, რა საცოდავად იღუპებოდა ადამიანი, რომელიც მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზემეტად მიყვარდა. იგი სამი თვით ადრე მოკვდა, ვიდრე დიპლომს მივიღებდი. ჰოდა, ახლა კარგად დამიგდეთ ყური: ამ ორიოდე დღის წინ სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე ჩვენმა ერთ-ერთმა უდიდესმა ფარმაკოლოგმა მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, რომ ამერიკისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ლაბორატორიებშიც დიდი წარმატებით ტარდება ცდები კუჭქვეშა ჯირკვლის ექსტრაქტის მისაღებად. უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ათიოდე წელში დიაბეტის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი იქნებაო, ამტკიცებდა იგი. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ ამაღელვებდა ეს ცნობა. მაშინ რომ ეს პრეპარატი ორასი--სამასი გრამი მაინც მქონოდა, ჩემთვის მთელ ქვეყანაზე უძვირფასესი ადამიანი ამდენს არ დაიტანჯებოდა, აღარ მოკვდებოდა, ანდა ყოველ შემთხვევაში მისი განკურნების, მისი გადარჩენის იმედი მაინც გვექნებოდა. ახლა ხომ გესმით, როგორ გამაგულისა მაშინ განაჩენმა: „მოურჩენელიაო“. დღე და ღამე იმას ვფიქრობდი, რომ აუცილებლად უნდა ყოფილიყო რაიმე საწინააღმდეგო საშუალება, რომ უთუოდ მიაგნებდნენ, აღმოაჩენდნენ, ერთს მაინც გაუღიმებდა ბედი, შეიძლება თვით მეც კი, ათაშანგსაც ხომ კურნავენ ახლა, მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა უნივერსიტეტში შევდიოდი, სტუდენტებს საგანგებო სამახსოვრო პლაკატით გვაფრთხილებდნენ, რომ უკურნებელი სენი იყო. მაშასადამე, ნიცშე, შუმანი, შუბერტი და ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა, „უკურნებელი“ სენით კი არ დაიხოცნენ, არამედ ისეთი ავადმყოფობით, რომლის მორჩენაც მაშინ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ, დიახ, ისინი, თუ გნებავთ, ორმაგად ნაადრევად დაიხოცნენ. ყოველ დღეს ჩვენთვის, ექიმებისთვის, რაღაც ახალი, მოულოდნელი, ფანტასტიკური, გუშინ ჯერ კიდევ წარმოუდგენელი მოაქვს! ამიტომ ყოველთვის, როდესაც ისეთ ავადმყოფს ვხვდები, რომელზეც სხვა ექიმებს ხელი აქვთ აღებული, გული ბრაზით მევსება, რომ მისი განმკურნებელი ხვალინდელი ან ზეგინდელი წამალი არ ვიცი, და ამასთანავე იგივე გული სასოებით მითრთის და ჩემს თავს ვეუბნები: იქნებ შენ მიაგნო ან ვინმემ აღმოაჩინოს მისი წამალი უკანასკნელ წამს, ვიდრე ამ ადამიანს კიდევ ეშველება-მეთქი. ყველაფერი შესაძლებელია, თვით შეუძლებელიც კი, ვინაიდან სადაც ჩვენი მეცნიერების წინ დღეს ერთი კარი დახშულია, შეიძლება ხვალ სრულიად მოულოდნელად იქვე, გვერდით, მეორე კარი გაიღოს. სადაც ძველი მეთოდი გვიმტყუნებს, იქ ახალი უნდა მოვიგონოთ, და სადაც მეცნიერება ვერას შველის, იქ სასწაულის იმედი ვიქონიოთ. დიახ, დღესდღეობით, ელექტრონის საუკუნეში, მედიცინაში ნამდვილი სასწაულები ხდება. ყოველგვარი ლოგიკისა და გამოცდილების წინააღმდეგ, ზოგჯერ ჩვენ თვითონაც ვახერხებთ ასეთი სასწაულის მოხდენას. დამიჯერეთ, განა ამდენს ვაწვალებდი გოგონას და საკუთარ თავსაც, იმედი რომ არ მქონდეს, ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტ წარმატებას მივაღწევ-მეთქი? მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძალზე მძიმე შემთხვევაა. აი, რამდენი წელია უკვე და არსებითად სწრაფ ეფექტს ვერ მივაღწიე, იმედი კი მქონდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელს მაინც არ ვიღებ.

დაძაბული ვუგდებდი ყურს, ყველაფერი გასაგები იყო ჩემთვის, რასაც ამბობდა, მაგრამ, ეტყობა, არაცნობიერად კეკეშფალვას მოუსვენრობა და შიში გადამედო, რომ კიდევ უფრო მეტი მინდოდა გამეგო, უფრო გარკვეული და ზუსტი პასუხი მომესმინა. ამიტომ კვლავ ვკითხე:

– მაშასადამე, თქვენ მაინც დარწმუნებული ხართ, რომ ედითის მდგომარეობა გაუმჯობესდება... ანუ... თქვენ უკვე მიაღწიეთ ერთგვარ პროგრესს?

ექიმი კონდორი დუმდა. ჩემმა შენიშვნამ, როგორც ჩანდა, ხასიათი გაუფუჭა. ნაბიჯს უმატა და მოკლე ფეხებს სულ უფრო და უფრო გამალებით მიაბაკუნებდა.

– როგორ შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ერთგვარ პროგრესს მივაღწიე? თქვენ თვითონ დაასკვენით? ან საერთოდ ამის რა გაგეგებათ? ჯერ ხომ სულ რამდენიმე კვირაა, რაც ავადმყოფს იცნობთ, და მე კი უკვე ხუთი წელია ვმკურნალობ.

უეცრად გაჩერდა.

– ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ რაიმე არსებითი, თუნდაც რამდენადმე ხელშესახები ცვლილებებისთვის მე არ მიმიღწევია და მთელი უბედურებაც ესაა! ექიმბაშივით რაღა არ ვცადე, რით არ ვუმკურნალე, მაგრამ სულ ამაოდ. ჯერჯერობით რაიმე შედეგს ვერ მივაღწიე.

მისმა ცხარე კილომ შემაკრთო. აშკარა იყო, რომ ექიმის პროფესიული თავმოყვარეობა შევლახე, ამიტომ შევეცადე დამემშვიდებინა:

– კარგი, მაგრამ ბატონმა ფონ კეკეშფალვამ მიამბო, როგორ არგო ედითს ელექტროაბაზანებმა, ხოლო განსაკუთრებით ნემსე...

მაგრამ კონდორი ერთბაშად ისევ შეჩერდა და სიტყვა გამაწყვეტინა.

– სისულელეა! მტკნარი სისულელე! ნურაფერს დაუჯერებთ იმ ბებერ ბრიყვს! ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ელექტროაბაზანებითა და სხვა ამდაგვარი საშუალებებით დამბლა შეიძლება მოიშოროს ადამიანმა? ნუთუ არ იცით ექიმების ძველთაძველი ფანდი? როდესაც აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, ვცდილობთ დრო მოვიგოთ და პაციენტს ათასგვარი სისულელით ვართობთ, რათა უმწეობა ვერ შეგვნიშნოს. ჩვენდა საბედნიეროდ, მეტწილ შემთხვევებში თვითონ ბუნებაც გვეხმარება და ჩვენი ტყუილის თანაზიარი ხდება. რა თქმა უნდა, ედითი უკეთ იგრძნობს თავს! მკურნალობის ყოველი კურსი, ვთქვათ, ლიმონს აჭმევთ თუ რამეს დაალევინებთ, ცივ წყალს დაუნიშნავთ თუ ცხელს, თავდაპირველად გარკვეულ ცვლილებებს იწვევს, ახალ სტიმულს აჩენს ორგანიზმში და ავადმყოფებს, ამ გამოუსწორებელ ოპტიმისტებს, ეჩვენებათ, უკეთ გავხდითო. ამგვარი თვითშთაგონება ჩვენი საუკეთესო თანაშემწეა. იგი ყველაზე შტერ ექიმებსაც კი ეხმარება. მაგრამ ამ ამბავს ერთი ხინჯი აქვს: როგორც კი ეს გამაღიზიანებელი სიახლეს კარგავს და ჩლუნგდება, მაშინვე რეაქცია იწყება და სასწრაფოდ რამე უნდა შეუნაცვლო, მორიგი ყალბი თერაპია მოიგონო; ასე თაღლითობ კაცი მძიმე შემთხვევებში, ვიდრე უნებლიეთ სწორ მეთოდს არ წააწყდები. არა, ქათინაურები საჭირო არ არის. ყველაზე უკეთ მე ვიცი, რა ცოტას მივაღწიე იმასთან შედარებით, რისთვისაც მინდოდა მიმეღწია. ყველაფერმა, რაც აქამდე ვცადე თავი არ

მოიტყუოთ ათასგვარმა სისულელემ, როგორიცაა, მაგალითად, ელექტრიზაცია და მასაჟი, ვერ უშველიდა ფეხზე დამდგარიყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

კონდორი ისე შეუბრალებლად ესხმოდა თავის თავს, რომ მინდოდა როგორმე მისივე სინდისის ქენჯნისაგან დამეცვა. ამიტომ გაუბედავად ჩავურთე:

– მაგრამ... მე ხომ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დადის თქვენი სამარჯვებით... ეს დამძაგრავი აპარატ...

აქ კი უკვე თავი ვეღარ შეიკავა კონდორმა, კი არ მელაპარაკებოდა, მიყვიროდა და თანაც ისე ხმამაღლა და გაბრაზებული, რომ უკაცრიელ შუკაში ორმა შეგვიანებულმა გამვლელმა ცნობისმოყვარედ გამოგვაყოლა თვალი.

– ტყუილია-მეთქი, ხომ გითხარით, ტყუილი! ეგ აპარატები მე მეხმარება და არა მას! დამსაქმებელი აპარატებია, გესმით, მხოლოდ და მხოლოდ დამსაქმებელი აპარატები... გოგონას კი არ დასჭირებია ისინი, მე დამჭირდა, ვინაიდან მამამაც და შვილმაც, ორივემ მოთმინება დაკარგა და მე კიდევ ვეღარ გავუძელი მათ ჩაციებას, იძულებული ვიყავი იმედის ახალი დოზა შემეშხაპუნებინა ბერიკაცისათვის, ხოლო ქალიშვილისთვის, სხვა აღარაფერი დამრჩებოდა, ხუნდები დამედო, როგორც ურჩ პატიმრებს ბორკილებს ადებენ ხოლმე, თუმცა აუცილებელი სულაც არ იყო... ასეა თუ ისე, მე სხვა გზა არ მქონდა... დრო ხომ უნდა მომეგო... მაგრამ სრულებით არ მრცხვენია ამგვარი ხრიკებისა და ფანდებისა, განა თქვენ თვითონ არ იხილეთ მათი დადებითი შედეგები? ედითმა თავის თავს ჩააგონა, რომ მას შემდეგ ბევრად უკეთ არის, მამამისი ზეიმობს, რომ ჩემმა მეთოდმა გაჭრა, ყველანი აღტაცებულნი არიან ისეთი შესანიშნავი, გენიალური, სასწაულმოქმედი ექიმით, როგორიც მე ვარ, და აი თქვენც ისე მეკითხებით, თითქოს გულთმისანი ვიყო!

კონდორი გაჩუმდა. შლაპა მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, შემდეგ გვერდიდან იქედნურად შემომხედა.

– ვშიშობ, რომ არცთუ მაინცდამაინც მოგეწონათ ჩემი ნათქვამი! ილუზია დაგირღვიეთ, ექიმი ხომ მხსნელად და სიმართლის მეაბჯრედ მიგაჩნდათ! ყმაწვილური აღფრთოვანებით შეპყრობილს მკურნალის ზნეობა სულ სხვაგვარად გქონდათ წარმოდგენილი და ახლა გგონიათ, ვერ გამჩნევთ? გულაცრუებული და აღშფოთებულიც კი ხართ ასეთი სინამდვილით. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მედიცინას ეთიკასთან საერთო არაფერი აქვს: ყოველი ავადმყოფობა თავისთავად ანარქიული ფაქტია, აჯანყებაა ბუნების წინააღმდეგ და ამიტომ მასთან ბრძოლაში ყოველგვარი საშუალება შეიძლება გამოვიყენოთ, ყოველგვარი! არავითარი სიბრალული ავადმყოფს ავადმყოფი თვითონ აყენებს თავის თავს hors de la lois, წესრიგს არღვევს და რათა იგი აღდგეს, ხოლო ავადმყოფი მორჩეს, როგორც ყოველგვარი ამბოხის დროს, აქაც დაურიდებელი ჩარევაა საჭირო რაც ხელში მოგხვდება, ყველაფერი იარაღად უნდა გამოიყენო, რადგან მარტოოდენ სიკეთითა და სიმართლით ჯერ არ შველებია არც კაცობრიობას და არც ცალკეულ ადამიანს. თუკი ტყუილი შემწეობას აღმოუჩენს სნეულს, ეს უკვე უბადრუკი სიცრუე კი არა, პირველხარისხოვანი წამალია, და ვიდრე არ ძალმიძს რეალური დახმარება აღმოვუჩინო ავადმყოფს, სხვა რა გზა მაქვს, თავი მაინც უნდა გავატანინო. ეს

არ არის იოლი საქმე, ბატონო ლეიტენანტო, აბა, მოდით და ხუთი წლის განმავლობაში სულ ახალ-ახალ ჰანგებზე იმღერეთ, მით უმეტეს, თუ საკუთარი შემოქმედებით თვითონ არა ხართ მაინცდამაინც აღტაცებული! ასეა თუ ისე, უმორჩილესად გთხოვთ ქათინაურებისგან თავი შეიკავოთ!

ეს პატარა, ჩასუქებული კაცი ჩემ პირისპირ იდგა და იმდენად აღელვებული ჩანდა, ასე მეგონა, საკმარისი იყო ერთი შევსიტყვებოდი და მაშინვე დამეძგერებოდა. მაგრამ ამ დროს წყვდიადით მოცულ ჰორიზონტზე ცისფერი ელვა ძარღვივით დაიკლაკნა და შემდეგ ყრუდ დაიგრგვინვა ზეცამ, თითქოს ვიღაცა გაბრაზებულმა დაიღრინაო. კონდორს მოულოდნელად გაეცინა:

– ხედავთ, ზეცაც რისხვას გაგებებთ პასუხად. თქვე საბრალო, დღეს მართლაც შავი დღე დაგადგათ, ერთიმეორის მიყოლებით ყველა ილუზია ამოგკვეთეთ დასტაქრის დანით: ჯერ იყო და უნგრელი არისტოკრატის შესახებ, მერე კიდევ მზრუნველი, უცოდველი ექიმისა და მხსნელის შესახებ. მაგრამ ხომ უნდა იცოდეთ, როგორ მაღიზიანებს იმ ბებერი ბრიყვის ქებათაქებანი! განსაკუთრებით ედითის მიმართ ვერ ვიტან სენტიმენტალურ ღნავილს, რადგანაც ისედაც გულს მიღრღნის ის ამბავი, რომ საქმე ასე ნელა მიიწევს წინ და რომ აქამდე რაიმე რადიკალური ვერაფერი გამოვნახე. რამდენიმე ნაბიჯი მდუმარედ მოდიოდა. შემდეგუფრო გულითადად მომმართა:

– ისე კი, არ მინდა იფიქროთ, რომ გულის სიღრმეში „ხელი ავიღე“ ავადმყოფზე, როგორც ჩვენთან სჩვევიათ ხოლმე თქმა. პირიქით, სწორედ ამ შემთხვევაში არ მინდა უკან დავიხიო, თუნდაც კიდევ ერთი წელიწადი გასტანოს და თუნდაც ხუთი. ჰო, მართლა, აი რა უცნაური დამთხვევაა: სწორედ იმავე საღამოს, მოხსენების მოსმენის შემდეგ, რომლის შესახებაც გიამბეთ, პარიზის სამედიცინო ჟურნალში ფეხის დამბლის თერაპიის იშვიათ შემთხვევას წავაწყდი. ორმოცი წლის ავადმყოფს სრული ორი წელიწადი ფეხები წართმეული ჰქონდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. მიუხედავად ამისა, პროფესორ ვიენოსთან ოთხი თვის მკურნალობის შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, ისე ადის მეხუთე სართულზე. წარმოგიდგენიათ, ოთხ თვეში სულ მოარჩინა და თანაც დამბლის დაახლოებით ისეთივე სახე, რომელთანაც მე ხუთი წელია ვერაფერი გავაწყვე. მართალი გითხრათ, შევცბი, როდესაც ეს ამბავი წავიკითხე! ერთი კია, რომ ავადმყოფობის ეტიოლოგია და მკურნალობის მეთოდი სავსებით ნათელი არ არის ჩემთვის. პროფესორი ვიენო, როგორც ჩანს, ორიგინალურ კომპლექსს იყენებს: სპეციალურ აპარატებს, მზის აბაზანებსა და სამკურნალო ტანვარჯიშს. ჟურნალში ავადმყოფობის მხოლოდ მოკლე ისტორია იყო მოთავსებული და მე ჯერ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვი, ედითისათვის რამდენად გამოდგება მისი ახალი მეთოდი, მაგრამ მაშინვე პროფესორ ვიენოს მივწერე და ვთხოვე, უფრო დაწვრილებით ეცნობებინა ყველაფერი. მხოლოდ ამის გამო იყო, რომ დღეს ასე გავტანჯე ედითი, მინდოდა საგულდაგულოდ გამესინჯა, რომ შედარების საშუალება მქონოდა. როგორც ხედავთ, ფარხმალს არ ვყრი, პირიქით, ხავსსაც კი ვეჭიდები. ვინ იცის, იქნებ ჩვენთვისაც რამე გამოდნეს ამ ახალი მეთოდიდან მე ვამბობ, იქნებ-მეთქი და მეტს არაფერს, თორემ

ისედაც უკვე ბევრი ვილაყბე. ჰოდა, ამით დავამთავროთ ჩემს წყეულ პროფესიაზე ლაპარაკი.

უკვე სულ ახლოს ვიყავით რკინიგზის სადგურთან. ჩვენი საუბარი იწურებოდა. ამიტომ, ერთხელ კიდევ შევბედე:

– მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ...

მაგრამ პატარა, მსუქანი კაცი იმწამსვე გაჩერდა და შემომიტია:

– არაფერიც არ მიმაჩნია და არავითარი „მაშასადამე“ არ გამაგონოთ! რა ყველანი მე მაცივდებით? ტელეფონის ხაზით კი არა ვარ უფალ ღმერთთან დაკავშირებული. არაფერს ვამტკიცებ, ყოველ შემთხვევაში კონკრეტულს არაფერს. არაფერს ვფიქრობ, არაფერს ვამბობ და არც არაფერს გპირდებით. ისედაც უკვე ბევრი ვიყბედე. საერთოდ, დროა, მოვრჩეთ! დიდი მადლობა, რომ გამომაცილეთ, მაგრამ ახლა სჯობს, სასწრაფოდ უკან გატრიალდეთ, თორემ მთლიანად გაილუმპებით.

და აშკარად განაწყენებულს (ვერ გამეგო, რაზე იყო გაბრაზებული) ხელი არ ჩამოურთმევია, ისე მიაშურა თავისი მოკლე და, როგორც მე მომეჩვენა, ბრტყელტერფიანი ფეხებით სადგურის შენობას.

* * *

კონდორს ალღომ არ უმტყუნა. კოკისპირული წვიმა, რომლის მოახლოება კარგა ხანია იგრძნობოდა, მართლაც სადაცაა დაუშვებდა. მძიმე შავი ყუთებივით დაგრუხუნებდნენ სქელი ღრუბლები ხეების მოქანავე კენწეროებზე. დროდადრო ელავდა და მაშინ მქრქალი შუქი ეფინებოდა ღრუბელთა ქულებს. დამწვრის სუნი ტრიალებდა ტენიან ჰაერში, პერიოდულად წამოუბერავდა ხოლმე და ისიც სხვადასხვა მხრიდან. ქალაქსაც ნირი შეეცვალა, სულ სხვანაირი ჩანდა ქუჩები, როდესაც მთვარის მქრქალ შუქში ჩაძირულები თვლემდნენ, ახლა კი ფირნიშები საზარელი სიზმრისგან შეშინებულებივით ქანაობდნენ და ბრაგა-ბრუგი გაუდიოდათ, მოუსვენრად რახუნობდნენ კარები, გმინავდნენ საკვამლე მილები, გამოღვიძებულ მობინადრეებს შუქი აენთოთ ზოგიერთ სახლში და ხან აქ, ხან იქ თეთრ ღამის პერანგს მოჰკრავდით თვალს, ეს წინდახედული მოქალაქეები ფანჯრებს კეტავდნენ ავდრის მოლოდინში. დაგვიანებული გამვლელები კანტიკუნტად ჩამირბენდნენ ხოლმე, თითქოს შიში შესჯდომოდათ მხრებქვეშ და მიერეკებათო. თვით ვრცელ მთავარ მოედანზეც კი, რომელზეც ჩვეულებრივ ღამეც არ წყდებოდა სიცოცხლე, ამჯერად არავინ ჭაჭანებდა. ქალაქის სამმართველოს შენობის ციფერბლატგანათებული საათი უაზრო სითეთრით გადმოსცქეროდა უჩვეულო სიცარიელეს. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ კონდორის გაფრთხილების წყალობით მანამდე მოვასწრებდი შინ მისვლას, ვიდრე გაავდრდებოდა. ორი კვარტლის შემდეგ ქალაქის ბაღს გადავსერავდი და ჩვენს ყაზარმასთან გავჩნდებოდი. იქ, ჩემს ოთახში, დინჯად შემეძლო მეფიქრა იმ საკვირველ ამბებზე, რაც ამ რამდენიმე საათში შევიტყვე და განვიცადე.

ყაზარმის წინ, პატარა ბაღში, წყვდიადი სუფევდა. აქოჩრილი ხეების ქვეშ შეხუთული ჰაერი მეცა. დროდადრო ქარი ააშრიალებდა ფოთლებს, შემდეგ კი კვლავ ავბედითი სიჩუმე ისადგურებდა. სულ უფრო და უფრო მოვუმატე ნაბიჯს და თითქმის გასასვლელამდე მივაღწიე, როცა ვიღაცის სილუეტი გამოეყო ხეს და ჩრდილიდან გზაზე გამოვიდა. ცოტათი შევცბი, მაგრამ არ გავჩერებულვარ. „ალბათ ქუჩის ქალია, გავიფიქრე მე, სიბნელეში ჯარისკაცებს რომ უდარაჯებენ ხოლმე“. მაგრამ მომესმა, რომ ვიღაც ფეხაკრეფით მეწეოდა და მივტრიალდი, თავხედი კახპა რომ მეფრინა, მაგრამ იმავ წამს ელვის კამკამა შუქზე, რომელმაც წყვდიადი ჩაჭრა, ჩემდა შესაზარად დავინახე, რომ ბერიკაცი მომდევდა ბორძიკით. იგი მძიმედ სუნთქავდა, უქუდო ჭაღარა თავს მოვკარი თვალი და ოქროსჩარჩოიანი სათვალის მოელვარე მინებს, კეკეშფალვა იყო!

ისე გამიკვირდა, რომ საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. კეკეშფალვა ჩვენი ყაზარმის მახლობლად, ბაღში?! არა, ეს შეუძლებელია. სულ რაღაც სამიოდე საათის წინ მე და კონდორმა ძალზე დაღლილი დავტოვეთ შინ. ჰალუცინაციები მემართება, თუ ბერიკაცი ჭკუას გადასცდა, ციებ-ცხელებიანი წამოვარდა ლოგინიდან და ახლა, ამ შუაღამისას, აქ დაძრწის თხელი სერთუკის ამარა, უქუდოდ და უპალტოოდ? მაგრამ ნამდვილად რომ ის იყო?! ასეულათასობით ადამიანში გამოვარჩევდი, ისე ფეხაკრეფით, გაუბედავად და მოკუნტულმოხრილმა იცოდა მოპარვა.

– ღვთის გულისათვის, ფონ კეკეშფალვა, – გავიოცე მე, – აქ საიდან გაჩნდით? თქვენ ხომ დაძინებას აპირებდით?

– არა... ანუ... ვერ დავიძინე... ჯერ მინდოდა, რომ...

– ახლავე შინ წაბრძანდით! ხომ ხედავთ, ყოველ წამს შეიძლება კოკისპირულმა წვიმამ დაუშვას. ავტომობილით ხართ?

– დიახ, მძღოლი იქ მელოდება... ყაზარმის მარცხნივ...

– ძალიან კარგი! თუ იჩქარებთ, დროზე მიხვალთ შინ. წამობრძანდით, ფონ კეკეშფალვა.

და ვინაიდან ბერიკაცი ყოყმანობდა და ადგილიდან არ იძვროდა, მკლავში ხელი წავავლე, რომ წამეყვანა, მაგრამ ძალით გაითავისუფლა თავი.

– კეთილი, კეთილი... ახლავე გავემგზავრები, ბატონო ლეიტენანტო, ოღონდ... ოღონდ ჯერ მითხარით, რა გელაპარაკათ?

– ვინ მელაპარაკა?

ჩემი შეკითხვა, ჩემი გაკვირვება გულწრფელი იყო. ჩვენს თავზე სულ უფრო და უფრო გაშმაგებით ზუზუნებდა ქარი, ხეები კვნესოდნენ და იხრებოდნენ, თითქოს ფესვებს უნდა მოსწყდნენო. ყოველ წამს შეიძლებოდა დელგმა წამოსულიყო და სრულიად გასაგებია, რომ მხოლოდ ერთადერთი აზრიღა მიტრიალებდა თავში: როგორ გამეგზავნა შინ ეს მოხუცი, აშკარად გონებაარეული კაცი, რომელიც თითქოს ვერც ამჩნევდა მოახლოებულ ავდარს. მაგრამ მან, თითქმის აღშფოთებულმა, ენის ბორძიკით წარმოთქვა:

– ექიმმა კონდორმა... თქვენ ხომ გააცილეთ სადგურამდე...

ახლაღა მივხვდი. რასაკვირველია, ამ წყვდიადში ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ იყო. სულწასული მოხუცი მე მელოდებოდა, აქ, ამ ბაღში, ზედ ყაზარმის შესასვლელთან,

სადაც არ შეიძლებოდა ავცდენოდი, ჩამსაფრებოდა, რომ მალე შეეტყო, რასაც კონდორი მეტყოდა. ორი არა, უფრო მეტი სამი საათი ყურყუტებდა მოთმინებადაკარგული ბერიკაცი ამ უბადრუკ ბაღში, სადაც მოსამსახურე გოგონები თავიანთ საყვარლებს ხვდებოდნენ ღამღამობით. ალბათ ვარაუდობდა, რომ პირდაპირ სადგურამდე გავაცილებდი კონდორს და მაშინვე ყაზარმაში დავბრუნდებოდი. მე კი, აბა რა ვიცოდი, არხეინად ვიჯექი კონდორთან ერთად რესტორანში და ვაცდევინებდი სნეულ ბერიკაცს მთელი ორი თუ სამი საათი. ისიც მელოდა, როგორც ოდესღაც იმათ, ვისაც ფული ემართათ მისი, – დაჟინებით, მოთმინებით, ჯიუტად. ამ მედგარ ფანატიზმში იყო რაღაც, რაც ერთსა და იმავე დროს მახელებდა კიდეც და გულსაც მიჩუყებდა.

– ყველაფერი საუცხოოდაა, დავამშვიდე იგი, ყველაფერი კარგად იქნება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ხვალ საღამოს დაწვრილებით გიამბობთ, სიტყვასიტყვით მოგიყვებით. მაგრამ ახლა მანქანას მივაშუროთ...

– კარგი, მოვდივარ.

წამომყვა, მაგრამ ვაი ამ წამოყოლას, ფეხები უკან რჩებოდა. ათიოდე თუ ოციოდე ნაბიჯი მშვიდობით გამოვატარე, მაგრამ შემდეგ ვიგრძენი, რომ მკლავზე ჩამომეკიდა.

– ერთი წუთი შევისვენოთ, – ძლივს წარმოთქვა მან, – ჩამოვსხდეთ აგერ იმ მერხზე. მეტი... მეტი აღარ შემიძლია.

მართლაც, ბერიკაცი მთვრალივით ქანაობდა აქეთ-იქით. მთელი ძალღონის დაძაბვა დამჭირდა, რომ უკუნ სიბნელეში მერხამდე მიმეთრია (ჭექა-ქუხილი კი ამ დროს სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა). კეკეშფალვა აქოშინებული დაეცა ზედ. უთუოდ ლოდინმა ჩააგდო ამ შავ დღეში და გასაკვირი არც იყო: სამი საათი ყურყუტებდა გულით ავადმყოფი და მოხუცებული კაცი, სამი საათი ფეხზე იდგა, გაფაციცებით მითვალთვალებდა, როდის გამოვჩნდებოდი, და მხოლოდ ახლა, როდესაც საწადელს მიაღწია, თავი იჩინა ნერვიულმ დაძაბულობამ. არაქათგამოცლილი, დაუძლურებული გადასვენებულიყო ხის მერხზე, სადაც შუადღისას მუშები მწირ საუზმეს შეექცევიან, საღამოობით ადგილობრივი სამწყსოს სასულიერო პირები და ფეხმძიმე ქალები ისვენებენ, ხოლო ღამე კახპებს ჯარისკაცები მოჰყავთ. მთელ ქალაქში ყველაზე მდიდარი მხცოვანი კაცი იჯდა ჩემ გვერდით და ელოდა, ელოდა, ელოდა. ვიცოდი, სახელდობრ რას, და ვგრძნობდი, რომ ამ მერხიდან ისე ვერ დავძრავდი (რა უხერხულია, ჩემი მეგობრებიდან ვინმემ რომ დამინახოს ასეთ უცნაურ სიტუაციაში!), თუ არ გავამხნევებდი. ჯერ უნდა დამემშვიდებინა. კვლავ თანაგრძნობამ ამიტანა, ისევ წამლეკა წყეულმა ტალღამ, რომელიც მუდამ ასე უმწეოსა და უნებისყოფოს მხდიდა. უფრო ახლოს დავიხარე მისკენ და შეგონება დავუწყე.

ჩვენ ირგვლივ ქარი დანავარდობდა, ზუზუნებდა, სისინებდა, მაგრამ მოხუცი ვერაფერს ამჩნევდა. მისთვის არც ღრუბლები არსებობდა და არც წვიმა არაფერი დედამიწის ზურგზე, მისი შვილისა და ამ შვილის ჯანმრთელობის გარდა. აბა, როგორ უნდა მეიძულებინა თავი და სიტყვაძუნწი ობიექტურობით მხოლოდ სიმართლე მომეთხრო აღელვებისა და სისუსტისაგან აკანკალებული ბერიკაცისთვის, მეთქვა, რომ ექიმი კონდორი სულაც არ არის დარწმუნებული მკურნალობის წარმატებით

დაგვირგვინებაში. კეკეშფალვას ხომრაღაც ისეთი სჭირდებოდა, რასაც ხელს ჩასჭიდებდა, როგორც ეს-ეს არის, მე მომკიდა ხელი, რომ არ წაქცეულიყო. ამიტომ სასწრაფოდ თავი მოვუყარე ყველაფერს, თუკი რამ ოდნავ სანუგეშო ამოვქაჩე ექიმს, ვუამბე, რომ კონდორმა მკურნალობის ახალი მეთოდი შეიტყო, რომელიც პროფესორ ვიენოს დიდი წარმატებით გამოუყენებია საფრანგეთში. მაშინვე რაღაც ფაჩუნი მომესმა ჩემ გვერდით აქამდე მერხზე საპყრად მისვენებულმა ბერიკაცმა ჩემკენ ისე მოიწია, თითქოს გათბობა სურდა. კაცმა რომ თქვას, უფლება არ მქონდა ამაზე მეტად დამეიმედებინა, მაგრამ თანაგრძნობამ შემიყოლია.

– დიახ, ამ მეთოდს არაჩვეულებრივი შედეგი გამოუღია, – ვამხნევებდი და ვამხნევებდი ბერიკაცს, – სამოთხ თვეში მთლიანად განუკურნია ფეხის დამბლა, რასაც არავინ მოელოდა, და ალბათ არა, ალბათ კი არა, უთუოდ ედითსაც არგებს. – თანდათან გამიტაცა ამ ამბავმა და აღარ ვერიდებოდი გადაჭარბებას, რადგან ჩემი შეგონებანი სასწაულებრივად მოქმედებდა. რამდენჯერაც კი შემეკითხებოდა: მართლა დარწმუნებული თუ ხართო? ან კიდევ: ნამდვილად ასე თქვა, ნამდვილად თვითონ კონდორმა თქვაო? იმდენჯერვე კვერს ვუკრავდი უნებისყოფობის გამო. თან ვგრძნობდი, რომ მისი სხეული, რომელიც ჩემზე იყო მოყრდნობილი, სულ უფრო და უფრო მჩატდებოდა, რომ ყოველ ჩემს სიტყვაზე სიმშვიდე უბრუნდებოდა. ამან პირველად და უკანასკნელად ჩემს ცხოვრებაში ის ზარხოშისებრი სიხალისე განმაცდევინა, რაც ყოველგვარ შემოქმედებას ახასიათებს. ახლა უკვე აღარ მახსოვს და ალბათ ვერც ვეღარასოდეს გავიხსენებ, მაგრამ ვინ იცის, რაღა არ ვუთხარი მაშინ იმ ღარიბულ მერხზე მისვენებულ კეკეშფალვას და რაღა არ აღვუთქვი. ვინაიდან, რაც უფრო ხარბად ყლაპავდა ჩემს სიტყვებს, მით უფრო დამათრობლად და წამქეზებლად მოქმედებდა ჩემზე მისი გაფაციცებული ყურადღება, მით უფრო და უფრო ვცდილობდი დამეიმედებინა. აინუნშიაც არ ვაგდებდით, რომ ჩვენ ზემოთ წამდაუწუმ ელავდა და ხან სად გამოკრთებოდა კაშკაშა ცისფერი შუქი, ხან სად. არც ჭექა ქუხილს ვაქცევდით ყურადღებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილნი ვისხედით, ის სმენად იყო გადაქცეული და მე კი ქადაგად. მეასეჯერ ვუმეორებდი ერთსა და იმავეს, ვარწმუნებდი ალალი გულით: – დიახ, მორჩება, მალე მორჩება, უთუოდ მორჩება-მეთქი, რათა ისევ მომესმინა მისი მადლიერი ამოოხვრა: „აჰ!“ ან „მადლობა ღმერთს!“ და ბერიკაცისგან მეც გადამდებოდა სანეტარო სიხარულის ექსტაზი! ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვისხდებოდით ასე, მაგრამ ანაზდეულად ერთხელ კიდევ ძლიერად წამოგვიქროლა ქარმა, ეს ის უკანასკნელი ტალღა იყო ჰაერისა, რომელიც თითქოს გზას უკაფავს, ყოველთვის წინ უსწრებს ხოლმე მსრბოლავ ავდარს. ხეები ჭრიალითა და შრიალით მოიდრიკნენ წელში, პანტაპუნტით ჩამოცვივდა წაბლი და მტვრის კორიანტელში გავეხვიეთ.

– შინ, შინ უნდა გაემგზავროთ!

სწრაფად წამოვაყენე ფეხზე. ბერიკაცი არ მეურჩებოდა. ჩემმა ნალაპარაკევმა მოასულიერა, ძალღონე შემატა. ადრინდელივით აღარ ბარბაცებდა. დაფაცურებული მირბოდა ჩემთან ერთად ავტომობილისკენ. შოფერი ჩაჯდომაში მიეშველა. ძლივს არ

მომეშვა გულზე! ეს საწყალი ბერიკაცი მანქანაში მშვიდობით დავაბინავე კიდეც და ნუგეშიც მივეცი; ახლა შინ მივა და ღრმა, მშვიდი, ბედნიერი ძილით დაიძინებს.

მაგრამ თვალის დახამხამებაში, ვიდრე მე პლედს ვაფარებდი მუხლებზე, რომ მოხუცი არ გაციებულიყო, საშინელი რამ მოხდა. ერთბაშად ხელებში მეცა, მაგრად მომიჭირა და ვიდრე გონს მოსვლას მოვასწრებდი, ტუჩებთან მიიტანა, ჯერ მარჯვენაზე მაკოცა, მერე მარცხენაზე. მერე ისევ მარჯვენაზე და ისევ მარცხენაზე.

– ხვალამდე, ხვალამდე, – წაიდუდუნა შემდეგ და ავტომობილი ადგილიდან მოსწყდა, თითქოს ქარს გაეტაცოს, რომელიც ახლა სუსხიანად უბერავდა. გაშტერებული დავრჩი, მაგრამ უკვე პირველი წვეთები წამოვიდა, სეტყვასავით მძიმედ ეცემოდნენ, ტყაპა-ტყუპი, რაკა-რუკი გაუდიოდათ ჩემს ქუდზე და ბოლო ორმოცდაათი ნაბიჯის გარბენამ ყაზარმამდე თავსხმაში მომიწია. ის იყო, თავიდან ფეხებამდე მთლად გალუმპულმა ჭიშკარს მივაღწიე, რომ მეხი ჩამოვარდა, ქუჩების წყება გაანათა ბობოქარ ღამეში და ერთი ისეთი დაიჭექა, თითქოს ზეცა ჩამოქცევას ლამობდა. სულ ახლოს უნდა დაცემულიყო, რადგან მიწა იძრა და ფანჯრის მინებმა ისე დაიზრიალეს, გეგონებოდათ, ნამსხვრევებად უნდა იქცნენო. და თუმცა შევცბი ბუნების ამ თვალისმომჭრელი სასწაულით, მაგრამ იმდენად მაინც არა, როგორც ერთი წუთით ადრე, როდესაც მადლიერების გრძნობით ატანილმა ბერიკაცმა ჩემი ხელები ბაგეებთან მიიტანა და ემთხვია.

* * *

დიდი მღელვარების შემდეგ ძილიც ღრმაა და მაგარი. მხოლოდ მომდევნო დილითღა მივხვდი და ისიც იმაზე, როგორ გამეღვიძა, რა გაბრუებული ვიყავი გუშინდელი ავდრისწინარე შეხუთული ჰაერით და ამაზე არცთუ ნაკლებ ღამეული საუბრის დაძაბულობით. ისე წამოვდექი, თითქოს რაღაც უძირო სიღრმიდან ამოვყურყუმელავდი, გაკვირვებული მივჩერებოდი ყაზარმის ნაცნობ კედლებს და ამაოდ ვატანდი თავს ძალას, რომ როგორმე მომეგონებინა, როდის და როგორ გადავეშვი ძილის უფსკრულში. მაგრამ ყველაფერი რომ მეხსიერებაში თანამიმდევრულად აღმედგინა, საამისო დრო არ მქონდა. გულისყურის ერთი ნაწილი, თითქოსდა გამოცალკევებული, სამხედრო სამსახურს განაგრძობდა და მაშინვე გამახსენდა, რომ სადღეისოდ სპეცსწავლება იყო დანიშნული. ქვემოდან უკვე ისმოდა საყვირის ხმა, ცხენების ფლოქვების თქარათქური. მივხვდი, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მარდად გადავიცვი ფორმა, რომელიც იქვე გამზადებული ელაგა, სიგარეტს მოვუკიდე, შურდულივით დავეშვი კიბეზე და ეზოში გავვარდი. ესკადრონი უკვე ჩამწკრივებულიყო და ორიოდე წამის შემდეგ დავიძარით კიდეც. ცხენოსანი ჯარის კოლონაში, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, აღარ არსებობ: ასობით ფლოქვის თქარათქურში აღარც ნათლად შეგიძლია იაზროვნო და ვეღარც ოცნებობ; და არსებითად მეც ახლა, ჩვენი ქვეგანაყოფის გამალებული ჩორთით სვლაში, სხვას არას განვიცდიდი, თუ არა ზაფხულის მშვენიერ დილას, როგორიც კი შეიძლება ინატრო ადამიანმა. წვიმის

შემდეგ მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა. მზე აჭერდა, მაგრამ პაპანაქება როდი იდგა. პეიზაჟის ყოველი ხაზი რელიეფურად იყო გამოკვეთილი. შორეთშიც კი ყოველ სახლს, ყოველ ხეს, ყოველ მინდორს ისე ცხადად, ისე მკაფიოდ აღვიქვამდით, თითქოს ხელისგულზე გდებოდათ; ირგვლივ ყველაფერი თაიგული იქნებოდა ეს ფანჯარაზე, თუ კვამლის ბოლქვები სახურავზე ხასხასა და კამკამა ფერების გამო უფრო საცნაური იყო. ძლივსღა ვცნობდი ჩვენს მოსაწყენ შარაგზას, რომელზედაც ყოველ კვირა ერთი და იმავე ტემპით და ერთი და იმავე მარშრუტით უნდა გაგვევლო, იმდენად მწვანე ჩანდა ჩვენს თავზე გუმბათივით მოკრიალებული და თითქოს ეს-ეს არის შეღებილი ფოთლოვანი სახურავი. საოცრად მსუბუქად და ლაღად ვგრძნობდი თავს უნაგირზე. ყველაფერი, რაც კი რამ პრობლემური, ნერვების მომშლელი და სადარდებელი შემხვდა ამ რამდენიმე კვირის მანძილზე, უკვალოდ გაქრა. იშვიათად თუ შემისრულებია ისე მარჯვედ ოფიცრის მოვალეობანი, როგორც მზით გაცისკროვნებულ იმ დილას. ყველაფერი ისე გამომდიოდა, თითქოს თავისით კეთდებოდა, ყველაფერი მახარებდა: ზეცაც და მდელოებიც, ეს ფიცხი ბედაურიც, რომელიც სადავის ოდნავ მოწევას ან გაქუსვლას მორჩილად მისდევდა, და თვით ჩემი საკუთარი ხმაც, როდესაც ბრძანებას ვიძლეოდი.

მაგრამ ბედნიერების მძაფრი შეგრძნება, ისევე როგორც ყოველგვარი ზარხოში, ამავე დროს აბრუებს კიდეც ადამიანს და აწმყოთი გატაცებით ტკბობა წარსულს ავიწყებინებს. ამიტომაც, მრავალსაათიანი ჭენებით გახალისებული, საღამოს ისევ ნაცნობი გზით კეკეშფალვას კარმიდამოსკენ რომ მივემართებოდი, წუხანდელი შეხვედრა შორეულად და ბუნდოვნად მესახებოდა. მიხაროდა, რომ გული შვებით მქონდა აღსავსე და სხვათა ბედნიერებაც მესალბუნებოდა. როდესაც კაცი თვითონ ბედნიერია, ყველა ბედნიერი ჰგონია. და მართლაც, ვერ მოვასწარი კარზე დაკაკუნება, რომ მსახური სხვა დროს საკმაოდ თავშეკავებული და მოკრძალებული უკვე გამომეგება და მომესალმა რაღაც განსაკუთრებული გულთბილი კილოთი.

– თუ ნებას მიბოძებთ, ბატონო ლეიტენანტო, ახლავე კოშკში აგიყვანთ. ქალბატონები ზემოთ მოგელიან.

ნეტავი ხელებს რას იქნევდა ასე აღტყინებით, ან სახე რად ჰქონდა გაბრწყინებული? თავს, ვიდრე ხვეული კიბით კოშკის ბანზე ავდიოდი. მართლაც რა მოუვიდა დღეს მოხუც იოზეფს? ერთი სული აქვს, ვიდრე მაღლა ამგზავნიდეს, რა უნდა მოსვლოდა ამ კეთილ მსახურს?“

რა კარგია, როდესაც სიხარულით ხარ აღვსილი, ისიც ივნისის გაცისკროვნებულ დღეს, მტკიცე, ახალგაზრდული ნაბიჯით ადიხარ ხვეულ კიბეზე და გვერდითი ღობეებიდან ხან ჩრდილოეთით, ხან სამხრეთით, ხან აღმოსავლეთით და ხანაც დასავლეთით უჭვრეტ თვალუწვდენელ სივრცეზე გადაშლილ ზაფხულის პეიზაჟს. ათი თუ თორმეტი საფეხური რომ მრჩება ბანამდე, მოულოდნელად ერთ ადგილას ვირინდები, რადგან ხვეული კიბის ბინდით მოცულ სივრცეში უეცრად ზღაპრული ჰანგივით ნარნარი საცეკვაო მელოდია გაისმა. ჯერ ვიოლინოების ხმა გაისმა, მათ ჩელოები აჰყვნენ, მაგრამ საკრავები ქალთა ერთმანეთთან შეხმატკბილებულმა ღიღინმა დაჩრდილა. ვერ გამეგო,

საიდან მოდიოდა მუსიკის ხმა, ერთსა და იმავე დროს ახლობელიცა და შორეულიც, ჰაეროვანიცა და მიწიერიც, პოპულარული ოპერეტის არია, რომელიც ამასთანავე ზეციური საგალობელივით ჩამესმოდა ყურში. იქნებ სადმე სამიკიტნოს ბაღში უკრავდა ორკესტრი და ნიავს მოჰქონდა მაცდური მელოდიის უნაზესი ჰანგები. წამიც არ გასულა, უკვე მივხვდი, რომ უხილავი ორკესტრი კოშკის ბანზე უკრავდა: იგი სხვა არა იყო რა, თუ არა ჩვეულებრივი გრამოფონი. „რა სისულელეები მემართება, გავიფიქრე მე, დღეს ყველაფერი ჯადოსნური მეჩვენება და ყველგან სასწაულს მოველი, ხომ არ შეიძლება, ერთ ციცქნა აივანზე მთელი ორკესტრი იყოს!“ მაგრამ რამდენიმე საფეხური ავიარე თუ არა, ისევ დავეჭვდი. რა თქმა უნდა, გრამოფონი უკრავს, მაგრამ ხმები! მომღერალთა ხმები ძალზე ლაღად და ბუნებრივად ჟღერდა, რომ მათ წყაროდ პატარა მოჟღრიალე ყუთი მიმეჩნია. ეს ნამდვილი ბავშვური მხიარულებითა და შვებით აღსავსე ყმაწვილი ქალების ხმები იყო!

გავჩერდი და უფრო დაკვირვებით მივუგდე ყური. მელოდიური სოპრანო ეს ილონას ხმა იყო, ლამაზი, ფაფუკი, სავსე, როგორც მისი მკლავები. მაგრამ მეორე ხმა ვისი უნდა ყოფილიყო, ვერ ვცნობდი. ალბათ ედითმა ვინმე მეგობარი ქალიშვილი მოიწვია, სრულიად ნორჩი, ცელქი და კუდრაჭა გოგონა. ერთი სული მქონდა, შემეხედა ამ ტკბილად მოჭიკჭიკე მერცხლისთვის. უნდა გენახათ, როგორ შევცბი, როდესაც ბანზე ავედი და მხოლოდ ილონა და ედითი დამხვდნენ. ქალიშვილები ერთიმეორის გვერდით ისხდნენ და ედითი იყო, ასე რომ კისკისებდა და მღეროდა სრულიად ლაღი, ვერცხლივით წკრიალა ხმით. ამან მით უფრო გამაკვირვა, რომ ერთ დღეში ასეთი ცვლილება რატომღაც არაბუნებრივად მომეჩვენა, ასე უდარდელად მღერა მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, რომელსაც არაფერი აწუხებს და კარგი განწყობილება აქვს; მეორე მხრივ, სასწაული თუ მოხდა, თორემ ისე ხომ არ შეიძლებოდა, რომ ეს სნეული გოგონა ერთ დღე ღამეში მორჩენილიყო. „რამ აღაგზნო ნეტავი? მიკვირდა მე, ისე რამ მოიყვანა აღტაცებაში, რომ მკერდიდან რწმენითა და იმედით აღსავსე ხმები გადმოსჩქეფს?“ ჯერ ისეთი განცდა დამეუფლა, რომლის აღწერაც მიჭირს. უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს ქალიშვილებს გახდილებს წავდგომოდი თავზე, რადგან სნეული გოგონა ან აქამდე თავის ნამდვილ ხასიათს მიმალავდა და მატყუებდა, ან ერთ ღამეში თუ ასეა, რატომ და რანაირად? სულ სხვა ადამიანად ქცეულიყო.

მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, არც ერთ მათგანს ნირი არ შესცვლია ჩემს დანახვაზე.

– ახლავე, – მომაძახა ედითმა და ილონას მიუბრუნდა, – ჩქარა გააჩერე გრამოფონი! – მერე ხელი დამიქნია. – როგორც იქნა, როგორც იქნა! გული დამელია ლოდინით. აბა, ახლა მარდად! მიამბეთ ყველაფერი ოღონდ ზედმიწევნით... თორემ მამაჩემმა ისე აურ-დაურია ყველაფერი ერთმანეთში, რომ სულ თავგზა ამებნა... ხომ იცით, როცა ღელავს, სიტყვას სიტყვაზე ვეღარ აბამს. წარმოგიდგენიათ, გუშინვე ამოვიდა ჩემთან. იმ საშინელმა ჭექა-ქუხილმა არ დამაძინა, ფანჯრიდან უბერავდა და სიცივისაგან კინაღამ გავიყინე, მაგრამ ძალა არ შემწევდა, რომ ლოგინიდან წამოვმდგარიყავი. სულ იმას ვნატრობდი, ნეტავ, ვინმეს გაეღვიძოს, შემოვიდეს და ფანჯარა დახუროს-მეთქი. უეცრად მართლაც ფეხის ხმა გავიგონე. ვიღაც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა

ჩემს ოთახს. ჯერ შემეშინდა, რადგან უკვე ღამის ორი თუ სამი საათი იქნებოდა, მაგრამ ეს მამაჩემი აღმოჩნდა, უცებ ვერც კი ვიცანი, ისე გამოცვლილიყო. მაშინვე მომვარდა, გადამეხვია. თავს ვეღარ იმაგრებდა. თან იცინოდა, თან ტიროდა... დიახ, წარმოიდგინეთ, მამა იცინის, ხმამაღლა ხარხარებს, თან პატარა ბიჭივით ხან ერთ ფეხზე უვლის დავლურს, ხან მეორეზე... აბა, რაღა თქმა უნდა, მოყოლა დაიწყო თუ არა, კინაღამ თავბრუ დამესხა, თავდაპირველად არც კი მჯეროდა... ხან ვფიქრობდი, სიზმარში ხომ არ ნახა-მეთქი ეს ყველაფერი, ხანაც ჩემი თავი მეგონა სიზმარში. მაგრამ მერე ილონა ამოვიდა ჩემთან, გათენებამდე ვსაუბრობდით და ვიცინოდით... ჰოდა, ახლა თქვენი ჯერია... რას გაჩუმებულხართ?.. თქვით, რა ახალი მეთოდია?

როგორც ადამიანი, რომელიც ერთბაშად მოვარდნილმა ძლიერმა ტალღამ აიტაცა, ტორტმანობს და ამაოდ ცდილობს არ წაიქცეს, ისევე მეც თავს ძალას ვატანდი, რომ არ შემმჩნეოდა უსაზღვრო დაბნეულობა. უკანასკნელმა ფრაზამ ერთბაშად ამიხილა თვალები: მაშ ასე, მე, მხოლოდ მე ამოვაღებინე უცოდველ გოგონას ეს ახალი წკრიალა ხმები, მხოლოდ მე ჩავუნერგე ავბედითი რწმენა, რომ მალე მორჩება. როგორც ჩანს, კეკეშფალვამ თავის ქალიშვილს უამბო ის, რაც კონდორმა მე გამანდო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა ისეთი რა გამანდო ექიმმა?.. ან მე, ჩემი მხრივ, ასეთი რა ვუთხარი კეკეშფალვას? კონდორი ხომ ძალზე ფრთხილად ლაპარაკობდა. და მე კი... მე ბრიყვმა, ჩემი ტუტუცური თანაგრძნობის გამო, ნეტავ ისეთი რა დავუმატე მის ნათქვამს, რომ მთელი სახლი ფეხზე დადგა, რომ სიხარულისაგან ბერიკაცი გაახალგაზრდავდა, ხოლო სნეულ გოგონას თავი უკვე განკურნებული ჰგონია?! როგორ მომივიდა?!

– აბა, ჰა, რა იყო... რატომ აყოვნებთ? – მაჩქარებდა ედითი. – ხომ იცით, რას ნიშნავს ჩემთვის ყოველი სიტყვა. მაშ ასე, რა გითხრათ კონდორმა?

– რა მითხრა? – გავიმეორე მე, რომ დრო მომეგო, განა თქვენ უკვე არ იცით... ექიმ კონდორს წარმატების იმედი აქვს... თუ არ ვცდები, აპირებს მკურნალობის ახალი მეთოდი გამოიყენოს და უკვე აგროვებს ცნობებს მის შესახებ... ძალიან ეფექტური მეთოდი უნდა იყოს... თუ სწორად გავიგე... მე, რასაკვირველია, არ შემიძლია მისი ავკარგიანობა შევაფასო... მაგრამ ყოველ შემთხვევაში ექიმს შეგიძლიათ ენდოთ, თუ იგი... მე მგონი... მგონი კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ ის ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა...

მაგრამ ედითმა ან ვერ შენიშნა, რომ ორჭოფული პასუხი მივეცი, ანდა მისი მოუთმენლობა ყველა დაბრკოლებას აცამტვერებდა.

– ხედავთ, განა სულ იმას არ გავიძახდი, რომ ამ გზით წინ ვერ წავალთ-მეთქი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს ყველაზე უკეთ იცნობ ადამიანი...გახსოვთ, რომ გითხარით, სისულელეა-მეთქი ეს მასაჟები, ელექტრიზაცია... კუს ნაბიჯით მიდის წინ საქმე, სად შემიძლია საუკუნე ველოდო. აი ხედავთ, დღესვე, ისე რომ მისგან ნებართვა არ ამიღია, მოვიხსენი ეს შლეგური მოწყობილობანი... ვერ წარმოიდგენთ, როგორი შვება ვიგრძენი... მათ გარეშე თავს უკეთ ვგრძნობ... დარწმუნებული ვარ, რომ ეს წყეული ოჩოფეხები უფრო მიბორკავდნენ ფეხებს, ვიდრე რამეს მშველოდნენ. არა, მე დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ სულ სხვანაირი მიდგომა იყო საჭირო... მაგრამ... ყველაფერს ის სჯობს,

ნუღარ დააყოვნებთ და გვიამბეთ, როგორია ფრანგი პროფესორის ახალი მეთოდი. იქ გამგზავრება მომიწევს, თუ აქაც შეიძლება გავიარო მკურნალობის კურსი?.. უჰ, როგორ მეზიზღება სანატორიუმები, ვერა ვძლებ იქ... და არც ავადმყოფების ყურება აღარ შემიძლია! სნეული ჩემი თავიც მეყოფა... აბა, რას გაჩერებულხართ?.. დაიწყეთ!.. უწინარეს ყოვლისა რამდენი ხანი გაგრძელდება კურსი? მართლა ასე ცოტა ხანი სჭირდება? მამა ამბობს, ერთი პაციენტი ოთხ თვეში მოარჩინაო, და ახლა თავისუფლად დადის თურმე... ეს ხომ... ეს ხომ დაუჯერებელი ამბავია!.. რა მოგვიდათ, რატომ ზიხართ ასე პირში წყალჩაგუბებული? თავიდან მოგვიყევით ყველაფერი!.. როდის აპირებს კონდორი ახალი მეთოდით მკურნალობა დაიწყოს და რამდენი ხანი დასჭირდება?

„როგორმე უკან უნდა დავიხიო, – გავიფიქრე გუნებაში. – არ უნდა მივცე საფუძველი, დაიჯეროს, რომ ყველაფერი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია!“ ამიტომ ფრთხილად ვაპარებ:

– რაღაც გარკვეული ხანი დასჭირდება ალბათ... რასაკვირველია, ვერც ერთი ექიმი წინასწარ ვერ განსაზღვრავს, სახელდობრ რამდენი. ჩემი აზრით, ამის დადგენა ახლა შეუძლებელია... საერთოდ კი ბატონმა ექიმმა მკურნალობის ახალ მეთოდზე მხოლოდ ზოგადად ილაპარაკა... შესანიშნავი შედეგები მოუცია, როგორც მან თქვა, მაგრამ, ვინ იცის, აბსოლუტურად საიმედოა თუ არა... ეს, ჩემი აზრით, ყოველმა ცალკეულმა შემთხვევამ ცალკე უნდა დაადასტუროს... ასეა, თუ ისე, უნდა დაველოდოთ, ვიდრე ექიმი... მაგრამ ისე იყო აღტყინებული, რომ მაშინვე უკუაგდო ჩემი გაუბედავი შენიშვნები.

– აჰ, რას ამბობთ! თქვენ მას არ იცნობთ! გადაჭრით არასოდეს არაფერს გეტყვით. ყოველთვის საშინლად ფრთხილობს. მაგრამ თუ ოდესმე სანახევროდ მაინც რამეს დაგპირდათ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აღგითქვათ. თქვენ ხომ არ იცით, როგორ მინდა ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდე ამ ავადმყოფობისაგან. ანდა ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული მაინც ვიყო, რომ ოდესმე გავთავისუფლდები... მოთმინება მოიკრიბეო, ჩამჩიჩინებენ გამუდმებით, მოთმინება მოიკრიბეო! მაგრამ ხომ უნდა იცოდე, რამდენ ხანს უნდა ითმინო. ვინმემ რომ მითხრას: კიდევ ექვსი თვე, ან კიდევ ერთი წელიწადიო ვეტყოდი, კარგი, თანახმა ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რაც საჭიროა-მეთქი... ჰოდა, აი, მადლობა ღმერთს, რომ ამასაც მოვესწარი! ვერ წარმოიდგენთ, გუშინდელს აქეთ როგორ მომეფონა გულზე. ასე მგონია, ახლა ვიწყებ ცხოვრებას. დღეს დილით უკვე ვიყავით ქალაქში. გიკვირთ, ხომ მართალია? მაგრამ ამიერიდან, რახან ვიცი, რომ მალე მეშველება, ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობენ და რას ლაპარაკობენ ჩვენს ქალაქში, რამდენიც უნდათ, იმდენი მიყურონ სიბრალულით... ამიერიდან ყოველდღე გავალ ხოლმე გარეთ, რათა საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ, როგორც იქნა, ბოლო მოეღო ამ გაუთავებელ ცდასა და თმენას. ხვალ კი კვირაა და თქვენც გეხებათ რაღაც გრანდიოზული ჩავიფიქრეთ. მამა შემპირდა, რომ ცხენსაშენში წავალთ. რამდენი ხანია იქ აღარ ვყოფილვარ, ოთხი თუ ხუთი წელი იქნება... მე ხომ შინიდან გარეთ აღარ გავდიოდი. მაგრამ ხვალ მივდივართ, თქვენც, რა თქმა უნდა,

ჩვენთან ერთად... დიდად გაკვირვებული დარჩებით, მე და ილონამ სიურპრიზი მოგიმზადეთ. თუ... – ედითი ილონას მიუბრუნდა სიცილით. – ახლავე გავცე ჩვენი უდიდესი საიდუმლო?

– ჰო, – გაუცინა ილონამაც, – მალვა რა საჭიროა.

– მაშ, მომისმინეთ, ძვირფასო მეგობარო. მამას უნდოდა ავტომობილით წავსულიყავით, მაგრამ ავტომობილი უცებ მიგვიყვანდა და მგზავრობა საინტერესო არ იქნებოდა. მაშინ მომაგონდა, ჩვენი იოზეფი ჰყვებოდა ხოლმე გამოშტერებულ ბებრუცანა ქალბატონზე აი, იმაზე, ვისაც უწინ ეკუთვნოდა ეს ადგილმამული. უცნაური ვინმე ყოფილა! თურმე მუდამ ოთხცხენიანი, ჭრელაჭრულად მოხატული ვეება კარეტით დადიოდა, ის კარეტა ახლაც ფარდულში დგას... მხოლოდ იმიტომ, რომ ყველასათვის დაენახვებინა, ქალბატონი ვარო. ჯერ მარტო ოთხი ცხენი უნდა შეებათ ყოველდღე, თუნდაც მხოლოდ სადგურამდე ყოფილიყო მისასვლელი. მთელ ამ მხარეში ვერავინ ბედავდა ასე მგზავრობას... წარმოგიდგენიათ, რა ოინი იქნება, ჩვენ რომ ჩავსხდებით ნეტარხსენებული ქალბატონის ეკიპაჟში! მოხუცი მეეტლე ხომ ჯერაც ცოცხალია... თუმცა თქვენ არ იცნობთ ამ გაჭირვების ტალკვესს. კარგა ხანია ჩვენთან აღარ მუშაობს მას შემდეგ, რაც ავტომობილი შევიძინეთ. მაგრამ როცა შეიტყო, კარეტით გასეირნებასაპირებენო, მაშინვე მოვარდა თავისი დაფეხვილი ფეხებით და მეტისმეტი სიხარულისგან იტირა კიდეც, რომ ერთხელ კიდევ ეღირსება კოფოზე წამოსკუპება... ყველაფერი უკვე მზადაა, დილის რვა საათზე გავალთ აქედან... ადრე დაგვჭირდება ადგომა და ამიტომ თქვენ, რა თქმა უნდა, ღამეს აქ გაათევთ. უარის თქმა არ გაბედოთ! საუცხოო ოთახს დაგითმობენ ქვემოთ და თუკი რამ დაგჭირდებათ, ყაზარმიდან პიშტა მოგიტანთ, რომელიც, სხვათა შორის, ხვალ ლაქიის ლივრეაში იქნება გამოწყობილი, როგორც ქალბატონის დროს... არა, უარს არ მივიღებთ. ეს სიამოვნება უთუოდ უნდა მოგვანიჭოთ, უთუოდ, ბოდიშის მოხდა ვერ გიშველით...

ასე მეტიტინებოდა გაუთავებლად და მეც გაბრუებული ვუსმენდი. სულ სხვანაირად ჟღერდა მისი ხმა, სულ სხვანაირი იყო მისი მეტყველება, მსუბუქი და ლაღად მჩქეფარე, უწინდელი ნევროზული ჩქამის გარეშე. ესოდენ ნაცნობი სახეც გამოსცვლოდა: ავადმყოფური სიყვითლე ხასხასა, ჯანმრთელ ვარდისფერს წარეხოცა, ხელების მოძრაობაშიც აღარ იგრძნობოდა ადრინდელი სიმკვეთრე. ოდნავ შეზარხოშებულს ჰგავდა თვალებაციმციმებული და მოცინარი გოგონა. უნებლიეთ ეს აღტაცებით გამოწვეული ზარხოში მეც გადმომედო და როგორც ყოველგვარმა სიმთვრალემ იცის, ამანაც მოადუნა ჩემი შინაგანი წინააღმდეგობა.

„იქნებ ყველაფერი მართლაც ასეა, ან ასე იქნება? – ვიტყუებდი თავს, – იქნებ, სულაც არ შემიყვანია ეს გოგონა შეცდომაში, იქნებ მართლაც ასე მალე მორჩეს? ბოლოს და ბოლოს, მტკნარი სიცრუე ხომ მაინც არ მითქვამს? კონდორმა ხომ ნამდვილად წაიკითხა, რომ ვიღაც სასწაულებრივად განიკურნა. მაშ, რატომ მაინცდამაინც ამ მგზნებარე და გულის ამაჩუყებლად უმანკო ბავშვისთვის უნდა გახდეს შეუძლებელი, ამ მგრძნობიარე არსებისთვის, რომელიც ესოდენ გააბედნიერა და აღაფრთოვანა იმედის ნაპერწკალმა? წინ რატომ უნდა გადავუდგე მოზღვავებულ გრძნობას, თუკი იგი გოგონას სულს

უცისკროვნებს, რატომ გავუტეხო გული და ეჭვებით გავაწვალო, განა საბრალო ისედაც ტანჯული არ არის?“ და მსგავსად იმისა, ორატორის ფუჭი სიტყვებით გამოწვეული აღფრთოვანება უკვე რეალურ ძალად ქცეული თვით ორატორსაც რომ გადაედება ხოლმე, იმ გულდაჯერებულობამ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გადაჭარბებული თანაგრძნობის გამოისობით აღვძარი, თანდათანობით მეც ამიტანა და როდესაც ბოლოს კეკეშფალვაც მოვიდა, ყველანი საუცხოო ხასიათზე დავხვდით. მუსაიფით ვიყავით გართულნი და ისე ვაწყობდით გეგმებს, თითქოს ედითი უკვე განკურნებული იყო. სად შეიძლება, რომ ცხენოსნობა ისევ ვისწავლოო, მეკითხებოდა იგი, ხომ არ შეიძლება, რომ თქვენთან, პოლკში დამეხმარონ ამაშიო? ან კიდევ: უკვე ხომ არ მივცეთ მოძღვარს ფული ეკლესიის სახურავის გამოსაცვლელად, რომელიც მამამ აღუთქვაო? ყოველივე ამას ისე ლაპარაკობდა, თითქოს მისი მორჩენა უკვე გადაწყვეტილი საქმე ყოფილიყო. დიდი წინდაუხედაობა იყო, მაგრამ ქალიშვილი ისე უდარდელად იცინოდა და ხუმრობდა, რომ წინააღმდეგობის უკანასკნელი ძალაც კი გამიქრა. და მხოლოდ საღამოს, როდესაც მარტო დავრჩი ჩემს ოთახში, გულზე დარდი ისევ შემომაწვა: მეტისმეტად ბევრს ხომ არ მოელის ედითი ახალი მეთოდისგან? ხომ არ აჯობებდა, ცოტათი მაინც გამექარწყლებინა მისი ეს გულდაჯერებულობა? მაგრამ ეს აზრი მაშინვე მოვიშორე თავიდან. რა თავს ვიმტვრევ, გადავაჭარბე თუ, პირიქით, ნაკლები ვუთხარი, რა მოხდა? თუნდაც იმაზე მეტი რომ მეთქვას, რამდენის დაპირების უფლებასაც ჩემი სინდისი იძლეოდა, ამ თანაგრძნობის გამო ნათქვამმა ტყუილმა გააბედნიერა გოგონა, ხოლო ადამიანის გაბედნიერება არ შეიძლება დანაშაული ან უსამართლობა იყოს.

* * *

ადრიან დილას გაისმა მომავალი ექსკურსიის მაუწყებელი მხიარული გნიასი პირველი, რაც გამოღვიძების შემდეგ მომესმა მზით გაჩახჩახებულ ჩემს სუფთა ოთახში, სიცილის ხმა იყო. ფანჯარასთან მივედი და მოხუცი ქალბატონის ვეებერთელა სამგზავრო ეკიპაჟი დავინახე, რომელიც, როგორც ჩანდა, ღამითვე გამოეგორებინათ ფარდულიდან და ახლა, მსახურებით გარშემორტყმული, ღია ცის ქვეშ იდგა შესანიშნავი სამუზეუმო ეგზემპლარი ასი-ასორმოცდაათი წლის წინანდელი შედევრი (გაკეთებული ვენაში, იმპერატორის მეკარეტის სახელოსნოში შექმნილი, ქალბატონის ერთ-ერთი წინაპრის შეკვეთით). კარეტის ძარა მძიმე ბორბლების ბიძგებისგან საგანგებო რესორებით ოსტატურად იყო დაცული და ძველებური შპალერის დარად პასტორალური სცენებითა და ანტიკური ალეგორიებით, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოდ მოხატული. ოდესღაც, ალბათ ხასხასა ფერები გახუნებულიყო. შიგნიდან აბრეშუმგამოკრულ კარეტას ათასგვარი ეშმაკური მოწყობილობა და სამარჯვეები ჰქონდა დატანებული (როგორიცაა პატარა დასაკეცი მაგიდა, სარკე და სუნამოს შუშები). მგზავრობის დროს საშუალება გვქონდა ზედმიწევნით გავცნობოდით მათ. რასაკვირველია, გასული საუკუნიდან შემორჩენილი ეს უზარმაზარი სათამაშო რაღაც არარეალურისა და მასკარადულის

შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სწორედ ეს იწვევდა ნიღბოსანთა საღამოს მონაწილეთათვის დამახასიათებელ ანც განწყობას მსახურებში, რომლებიც ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ შარაგზის ეს მძიმე ხომალდი. შაქრის ფაბრიკის მემანქანე გაფაციცებით პოხავდა ბორბლებს და ჩაქუჩს უკაკუნებდა რკინის სალტეებს, ამოწმებდა მათ სიმაგრეს. სხვები ამასობაში მასში ყვავილებით მორთულმოკაზმულ ცხენებს აბამდნენ. იონეკი კი, ყოფილი მეეტლე, მედიდურად იძლეოდა მითითებებს. გახუნებულ დიდგვაროვნულ ლივრეაში გამოწყობილი, საოცრად მარდად დაბაჯბაჯებდა ნიკრისის ქარებით სნეულის პირობაზე და ასწავლიდა ახალგაზრდა მსახურთ, რომლებმაც ველოსიპედის ტარება და მოტორის მართვაც კი იცოდნენ, მაგრამ კარეტაში ცხენების შებმა, ნურასუკაცრავად. მეეტლე მზარეულსაც აძლევდა რჩევა-დარიგებას ოჯახმა სირცხვილი რომ არ ჭამოს, ასეთი გასეირნების დროს აუცილებელია თვით ბუნების წიაღის ყველაზე მიყრუებულ ადგილასაც კი, ტყეში იქნება ეს თუ მდელოზე, სუფრა წესების ისეთივე ზუსტი დაცვითა და ფუფუნებით გაიწყოს, როგორც ციხე-დარბაზის სასადილო ოთახშიო. და აი, ახლა მისი ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული მზარეულიც მისსავე შეგონებისამებრ ასრულებდა ყოველ მის დავალებას. მეეტლემ მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება მზარეულს (რომელსაც სახე უბრწყინავდა და თეფშივით მრგვალი, თეთრად გაქათქათებული არახჩინი ჩამოეფხატა თავზე), სანოვაგე მოეტანა: შემწვარი წიწილები, შაშხი, პაშტეტები, ახალგამომცხვარი თეთრი პური და ჩალაში ჩაწყობილი სასმელები. სუფრის გასაწყობად მზარეულის შეგირდი, პირტიტველა ჭაბუკიც იქვე იდგა, რომელსაც კარეტის უკან მიუჩინეს ადგილი, სადაც გარდასულ დროში ლივრეიანი ლაქიის გვერდით თავადის მალემსრბოლი იდგა ხოლმე და ჭრელი ფრთებით შემკული შლაპა ეხურა.

ასეთი საზეიმო ცერემონიის წყალობით, მზადებამ მხიარული თეატრალური სანახაობის იერი მიიღო; ხოლო რადგან ჩვენი უცნაური გასეირნების ამბავი სწრაფად გავრცელდა, ამ მოყვარულთა სპექტაკლს მაყურებელიც არ აკლდა. მახლობელი სოფლებიდან გლეხები მოდიოდნენ ფერადფერად საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილნი, დავრდომილთა თავშესაფრიდან გამოჩნდნენ სახედამჭკნარი დედაბრები და ჭაღარა ბერიკაცები განუყრელი თიხის ჩიბუხებით პირში, მაგრამ ყველაზე ბევრნი მაინც ფეხშიშველა ბავშვები იყვნენ (ვინ იცის, საიდან არ მოერბინათ). განცვიფრებულნი და მოხიბლულნი შესცქეროდნენ მორთულ ცხენებსა და მეეტლეს, რომელსაც ბებრულ, მაგრამ ჯერაც მტკიცე ხელში გრძელი, ერთმანეთში უცნაურად გადახლართული სადავეები ეჭირა.

ამასობაში ჩვენც ვისაუზმეთ და ბოლოს, როცა გარეთ გამოვედით და საზეიმოდ მორთული ეკიპაჟისკენ გავემართეთ, არცთუ კმაყოფილების გარეშე აღვნიშნეთ, რომ საგრძნობლად ნაკლები სადღესასწაულო შესახედაობა გვქონდა, ვიდრე ეკიპაჟსა და გაკრიალებულ ლაქიებს. კეკეშფალვა ოდნავ სასაცილოც კი იყო, როდესაც თავისი განუყრელი სერთუკის ამარამ მიაშურა უცხო გერბებით შემკულ კარეტას; ყმაწვილ ქალებს, კაცმა რომ თქვას, როკოკოს სტილის კოსტიუმები, თეთრად დაპუდრული თმა, შავი ხალი ლოყაზე და ჭრელი მარაო ხელში უფრო მოუხდებოდათ; ჩემთვის კი ალბათ

უფრო შესაფერისი იქნებოდა მარიატერეზას დროინდელი მხედრის ქათქათა თეთრი ტანსაცმელი, ვიდრე ჯარისკაცის ცისფერი მუნდირი. მაგრამ ისტორიული მასკარადის გარეშეც შეკრებილთათვის საკმაოდ საზეიმო სანახაობა იყო, როდესაც ჩვენ, როგორც იქნა, ჩავსხედით ამ უცნაურ ეტლში. ერთ-ერთმა მსახურმა პირთან მიიტანა მონადირის საყვირი და წკრიალა ბგერები გადმოიფრქვა თავმოყრილი ხალხის თავზე. ყველანი გვეთხოვებოდნენ, ხელს გვიქნევდნენ, მეეტლემაც ოსტატურად აიქნია ვეებერთელა შოლტი ჰაერში და ერთი ისეთი გაატკაცუნა, რომ დამბაჩის ხმა გეგონებოდათ. კარეტა ძლიერი ბიძგით დაიძრა და ჩვენც სიცილ-ხარხარით მივაწყდით ერთიმეორეს. შემდეგ კი „მესაჭემ“ მარჯვედ გაატარა ოთხი ცხენი ალაყაფის კარში, რომელიც კარეტაში მსხდომთ ერთბაშად სახიფათოდ ვიწრო გვეჩვენა და მშვიდობით გაგვიყვანა შარაგზაზე.

კაცმა რომ თქვას, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ მთელი გზა ყველანი არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობით გვიმზერდნენ, არამედ ხშირად მოკრძალებული პატივისცემითაც გვაყოლებდნენ თვალს. რამდენიმე ათეული წელი იყო, რაც მთელ მხარეში თავადური ოთხცხენიანი ეტლი აღარ გაჭაჭანებულიყო და გლეხებს მისი მოულოდნელი გამოჩენა თითქმის რაღაც ზებუნებრივ მოვლენად ეჩვენებოდათ. ალბათ ეგონათ, იმპერატორის კარზე მივემგზავრებოდით ან თავად იმპერატორი ჩამოვიდა ჩვენთან და მას უნდა დავხვედროდით, ან კიდევ სხვა რაღაც წარმოუდგენელი რამ მოხდა, რადგან ჩვენს დანახვაზე ყველა ქუდებს იშვლეპდა თავიდან. აღტაცებული, ფეხშიშველა ბავშვები კი უკან მოგვდევდნენ; როდესაც გზაზე თივით დატვირთული ფორანი ანდა მსუბუქი ეტლი შემოგვხვდებოდა, მეეტლე თუ მეურმე მარდად ჩამოხტებოდა კოფოდან, ქუდმოხდილი ცხენს სადავეს დაუჭერდა, რომ დაუბრკოლებლად გაგვევლო. მთელი გზის ბატონ პატრონნი ვიყავით, ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნოდა, თითქოს ფეოდალების ხანა ყოფილიყო მობიბინე ყანებით მოფენილი ეს კალთამადლიანი, ბარაქიანი მიწაც, ადამიანებიც და ცხოველებიც. მართალია, ჩვენი ძველებური ეტლით სწრაფი სვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მეტი დაკვირვებისა და სიცილის საშუალება გვქონდა, და ამ შესაძლებლობას განსაკუთრებით უხვად ქალიშვილები იყენებდნენ. სიყმაწვილეს ხომ ახალი და უჩვეულო ხიბლავს მარად, ასეთები კი ჩვენ არ გვაკლდა: უცნაური ეკიპაჟი, მოკრძალებული პატივისცემა, რითაც ხალხი ხვდებოდა ჩვენს არათანადროულ ექსპედიციას, და ათობით სხვა წვრილმანი ამბავი. მზესა და ჰაერზე ყოფნაც არანაკლებ დამათრობლად მოქმედებდა ორივე ქალიშვილის გუნება-განწყობაზე, განსაკუთრებით ედითზე (რომელიც უკვე რამდენიმე თვე იქნებოდა, შინიდან გარეთ არ გამოსულიყო), გიჟმაჟი სიანცით შეპყრობილი, ლაღად შესციცინებდა ზაფხულის მშვენიერ დღეს.

პირველად ერთ პატარა სოფელში გავჩერდით, სადაც ის-ის იყო ზარები საკვირაო წირვაზე უხმობდა იქაურ მცხოვრებლებს. მინდვრებიდან ყანებს შორის დატოვებული ბილიკებით ეკლესიისკენ მიეშურებოდნენ დაგვიანებულები. უკვე დაპურებულ მაღალ თავთავებს ზემოთ სხვას ვეღარაფერს გაარჩევდით, თუ არა კაცების შავი აბრეშუმის ბრტყელ შლაპებსა და ქალების ფერადფერადი ძაფებით ნაქარგ თავსაბურავებს. ოქროსფრად მოელვარე ყანებს შორის ადამიანთა მოძრავი მწკრივები მუქ მუხლუხოებს

წააგავდნენ... როგორც კიმთავარ ქუჩაზე შევუხვიეთ (სადაც ჩვენმა კარეტამ თავზარი დასცა ბატების გუნდს და ისინიც შეშინებულები ყიყინით აქეთ-იქით გაიფანტნენ), ზარების რეკვა შეწყდა: საკვირაო ღვთისმსახურება დაიწყო და ედითმა სრულიად მოულოდნელად აიტეხა, გადმოვიდეთ და წირვა-ლოცვას დავესწროთო.

კეთილ სოფლელებში დიდი აურზაური გამოიწვია იმ ამბავმა, რომ მათი ღარიბული ბაზრის მოედანზე ესოდენ უჩვეულო ეკიპაჟი გაჩერდა და რომ მემამულემ, რომელსაც გადმოცემით ყველანი იცნობდნენ, თავისი ოჯახითურთ (როგორც ჩანდა, მეც ამ ოჯახის წევრად მთვლიდნენ), სწორედ მათ პატარა ეკლესიაში მოისურვა წირვას დასწრებოდა. ეკლესიის მსახური გარეთ გამოგვეგება, თითქოს ყოფილი კანიცი ნამდვილი თავადი ოროშვარი ყოფილიყო, და ლაქუცით მოგვახსენა, რომ მღვდელი გვადროვებდა, დიდხანს კიდევ არ დაიწყებდა წირვას. გლეხები მოკრძალებით თავს ხრიდნენ და გზას გვითმობდნენ. გული უჩუყდებოდათ სნეული ედითის დანახვაზე, რომელსაც ილონა და იოზეფი ამოსდგომოდნენ აქეთ-იქიდან და ისე მოჰყავდათ. უბრალო ადამიანებს მუდამ უკვირთ, როდესაც ხედავენ, რომ უბედურება ზოგჯერ „მდიდრებსაც“ არ ინდობს და უმოწყალოდ ჩაავლებს ხოლმე კლანჭებს. ერთი ჩურჩული და გნიასი ატყდა. შემდეგ ქალებმა რამდენიმე ბალიში შემოიტანეს, რათა ფეხებწართმეული ქალიშვილი რაც შეიძლება მოხერხებულად დამჯდარიყო. მღვდელმაც ჩვენი იქ ყოფნის გამო თითქოს განსაკუთრებული საზეიმო ხმით დაიწყო წირვა. პირადად ჩემზე ძალიან იმოქმედა ამ პატარა ეკლესიის ამაღელვებელმა უბრალოებამ. ქალების გალობა, კაცების ოდნავ უხეში და მოუქნელი ბანი, ბავშვების მიამიტი ხმები უფრო ხალასსა და გულწრფელ რწმენას გამოხატავდა, ვიდრე ბევრად უფრო ოსტატურად ორგანიზებული საკვირაო წირვა-ლოცვა წმ. სტეფანეს ტაძარსა და ავგუსტინელთა ეკლესიაში, რომელსაც ვიყავი მიჩვეული. მაგრამ ლოცვა კი ვერ შევძელი, რადგან ჩემდა უნებურად საამისო განწყობა უცებ გამიქრა, როცა ჩემ გვერდით მჯდომ ედითს შემთხვევით შევხედე... შევხედე და გავშრი, ისე გულმხურვალედ ლოცულობდა. ადრე არ შემიმჩნევია, რომ რელიგიური აღზრდა ჰქონდა მიღებული, ანდა ბუნებით იყო ღვთისმოსავი, მაგრამ ახლა ისე როდი ლოცულობდა, როგორც ბევრი აკეთებს ამას, ვინც გაწაფულია ამ საქმეში და ჩვეულებად აქვს გადაქცეული. სახე გაჰფითრებოდა, თავი დაეხარა, ხელებით მერხს ჩაჰფრენოდა, მთელი გრძნობითა და გონებით საკუთარ თავში იყო ჩაძირული და მხოლოდ არაცნობიერად დუდუნებდა ლოცვანის სიტყვებს. ისე ლოცულობდა, როგორც ადამიანი, რომელიც უკანასკნელ ძალებს იკრებს და ძაბავს, რადგან სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, თავისას მიაღწიოს. დროდადრო ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა ეკლესიის მრუმე მერხი მკვდარი ხე ეხმაურებოდა ლოცვის ექსტაზით შეპყრობილის გზნებასა და თრთოლას უმალვე მივხვდი: ქალიშვილი რაღაცას ევედრებოდა ღმერთს, რაღაც წყალობას შესთხოვდა და ძნელი მისახვედრი არ იყო, სახელდობრ, რას...

როცა ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ ედითი კარეტაში ჩავსვით, კიდევ კარგა ხანს დუმდა და ფიქრებში იყო ჩაძირული. ანცი ცნობისმოყვარეობით აღარ იხედებოდა ირგვლივ; ეტყობოდა, ნახევარსაათიანმა მძაფრმა შინაგანმა ბრძოლამ გამოფიტა და დაქანცა. რაღა თქმა უნდა, ჩვენც ხმას არ ვიღებდით. ასე ჩუმად, თითქოს

რულმოკიდებულებმა ვიმგზავრეთ შუადღემდე, ვიდრე ცხენსაშენს არ მივადექით. როგორც მოსალოდნელი იყო, იქ არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყვეს. ჭაბუკები, რომელთაც ახლომახლო სოფლებიდან მოეყარათ თავი (აშკარად ჩვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით), სხარტად მოახტნენ ცხენსაშენის გაუხედნავ ბედაურებს და ნავარდით გამოქანდნენ ჩვენკენ არაბული ზღაპრების ფანტასტიკური პერსონაჟებივით. შესანიშნავი სანახავები იყვნენ ეს მზით გარუჯული ყმაწვილები: მხიარულ ყიჟინას სცემდნენ, ხალათები ზემოდან ჰქონდათ გადმოშვებული, ფერადფერადი გრძელი ბაფთები უფრიალებდათ შუბლზე ჩამოფხატულ შლაპებზე და თეთრი, განიერი შარვლები ეცვათ; ბედუინთა ურდოსავით მოაგელვებდნენ უბელო ცხენებს, თითქოს ფეხქვეშ გათელვას გვიპირებდნენო. ჩვენმა ცხენებმაც ყურები დაცქვიტეს, მოხუცმა იონეკმა, უკვე მოსწია სადავეებს და სტვენის ხმაზე ფეთიანი ცხენოსნები ერთბაშად ოსტატურად ერთ კოლონად მოეწყვნენ. და შემდეგ ამ მხიარულმა ამალამ ცხენსაშენის გამგის სახლამდე მიგვაცილა. ჩემთვის, როგორც გამოცდილი კავალერისტისთვის, ბევრი რამ იყო აქ სანახავი. ქალიშვილებს კი ახალდაბადებული კვიცები აჩვენეს. ისინი აღტაცებაში მოიყვანა მფრთხალმა, მაგრამ ცნობისმოყვარე პირუტყვებმა, რომლებიც ძლივს იმაგრებდნენ თავს ჯერ კიდევ მოუქნელ, მაღალ ფეხებზე და დრუნჩს ბრიყვულად იშვერდნენ გაწვდილი შაქრის ნატეხებისკენ. ვიდრე ჩვენ ასეთი საამური ამბებით ვიყავით გართული, მზარეულის შეგირდმა იონეკის გულმოდგინე ხელმძღვანელობით ღია ცის ქვეშ შესანიშნავი სუფრა გააწყო. ღვინო მშვენიერი გამოდგა. ნადიმი ნამდვილ მხიარულებად იქცა. არასოდეს ასე მეგობრულად და ძალდაუტანებლად არ გვისაუბრია ერთმანეთში. ცის კაბადონზე ღრუბლის ნატამალიც კი არ გამოჩენილა. ედითი კი ჩვენ შორის ყველაზე გულიანად, ყველაზე ლაღად და ბედნიერად გრძნობდა თავს, რომელსაც უწინ მუდამ გატანჯულს, სასომიხდილსა და ნერვებაშლილს ვხედავდი. ანდა როგორი მხიარულებით გამოირჩეოდა ბერიკაციც, რომელიც გამოცდილი ვეტერინარივით ათვალიერებდა ცხენებს, ესაუბრებოდა მეჯინიბეებს და არყის ფულს ურიგებდა მათ... ჩემს საკუთარ თავსაც ვეღარ ვცნობდი, ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. ნასადილევს, ვიდრე ედითი ცხენსაშენის გამგის მეუღლის ოთახში ისვენებდა, რამდენიმე ცხენი გავსინჯე, ყმაწვილებს გავეჯიბრე ჭენებაში, სადავემიშვებულილაღი ბედაურით დავქროდი მდელოებზე თავადაც გალაღებული და თავისუფლების მანამდე არგანცდილი შეგრძნებით ვტკბებოდი. აჰ, ნეტავ შემძლებოდა, რომ აქ დავრჩენილიყავი, ამ ტრიალ მინდვრებში, არავის ხელქვეითი არ ვყოფილიყავი და ჩიტივით ლაღად შემძლებოდა ნავარდი!.. ოდნავ გული დამწყდა კიდეც, როდესაც უკვ საკმაოდ შორს წასულს მონადირის საყვირის ხმა შემომესმა, მე მიხმობდა, უკან დაბრუნდიო.

გამოცდილმა იონეკმა უკან წამოგვიყვანა მეორე გზით, რადგან ამ გზის საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი დაბურულ ტყეში გადიოდა და სიცხე არ შეგვაწუხებდა. ამ ბედნიერ დღეს ყველაფერი საუცხოოდ მიდიოდა. წინ კიდევ გველოდა ერთი სასიამოვნო სიურპრიზი. ერთ პატარა და მიყრუებულ სოფელში რომ შევედით (სადაც სულ ოციოდე კომლი თუ იქნებოდა), მისი ერთადერთი ქუჩა თითქმის მთლიანად გაჭედილი დაგვხვდა ცარიელი ოთხთვალებით. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა, რომ ჩვენი

ვეებერთელა კარეტისათვის გზა გაეწმინდა, თითქოს ყველას მიწამ უყო პირიო. მაგრამ მალე შევიტყვეთ ამ ერთობ საკვირველი უკაცრიელობის მიზეზი; როგორც კი იონეკმა შოლტი ისე გაატკაცუნა, რომ გეგონებოდათ, დამბაჩა გავარდაო, მაშინვე რამდენიმე კაცი მოვარდა შეშინებული. სასაცილო გაუგებრობა მოხდა. სახელდობრ, გამოირკვა, რომ აქაურ ყველაზე მდიდარ გლეხის ვაჟს თავისი ღარიბი ნათესავი მოჰყავდა ცოლად გვერდითა სოფლიდან და სწორედ ახლა იხდიდნენ ქორწილს. სოფლის მეორე ბოლოდან, საიდანაც კალოს ფარდული დაეცალათ საცეკვაოდ, ახლა სიძის ჩასუქებულმა მამამ მოირბინა, მონდომებისგან მთლად სახეგაჭარხლებულმა, და თავისთან მიგვიპატიჟა. შეიძლება მართლაც დაიჯერა, რომ ცნობილმა მემამულემ ფონ კეკეშფალვამ მოისურვა მისთვისა და მისი ვაჟისათვის პატივი დაედო, ქორწილზე სწვეოდა და ამ მიზნით ოთხცხენიანი კარეტაც კი გაამართვინა, ანდა შეიძლება უბრალოდ ესახელებოდა და შემთხვევას იყენებდა, რომ სოფლელებში თავი დაეფასებინა. ასე იყო თუ ისე, ვიდრე გზას დაგვიცლიდნენ, წამდაუწუმ თავს გვიკრავდა და უმორჩილესად სთხოვდა ბატონ ფონ კეკეშფალვასა და მის მხლებლებს, მოწყალება მოეღოთ და სწვეოდნენ, მისი ნატურალური უნგრული ღვინო გაესინჯათ და ნეფე-დედოფალი დაელოცათ; ჩვენც, ჩვენი მხრივ, უარი არ გვითქვამს. ან რატომ უნდა გვეთქვა, როდესაც სულითა და გულით გვეპატიჟებოდნენ? ასე რომ, ედითი ფრთხილად გადმოვიყვანეთ და ორივე მხარეს ჩამწკრივებულ გლეხებს შორის, რომლებიც მოკრძალებითა და გაკვირვებით გვიმზერდნენ, ტრიუმფატორებივით ჩავიარეთ და საცეკვაო დარბაზად გადაკეთებულ კალოს ფარდულში შევედით.

ფარდულის ორივე ბოლოში ლუდის ცარიელ კასრებზე ფიცრები დაელაგებინათ და ესტრადის მსგავსი რაღაც მოეწყოთ. მარჯვენა ფიცარნაგზე გრძელი მაგიდა იდგა, შინ ნაქსოვი თეთრი ტილოს სუფრა ეფარა და ზედ სასმელ-საჭმელი უხვად ელაგა. ამ მაგიდასთან ისხდნენ ნეფეპატარძალი, მათი უახლოესი ნათესავები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი დიდკაცები, მღვდელიც და ჟანდარმერიის უფროსიც. მოპირდაპირე მხარეს აგებულ ფიცარნაგზე კი მუსიკოსები მოკალათებულიყვნენ, საკმაოდ რომანტიკული შესახედაობის ულვაშა ბოშები: ორი მევიოლინე, ორიც კონტრაბასსა და საყვირზე დამკვრელი; შუაში კი, კალოს დატკეპნილ მოედანზე, სადაც უნდა ეცეკვათ, დანარჩენი სტუმრები ირეოდნენ. ბავშვებისთვის ხალხით გაჭედილ ფარდულში ადგილი აღარ იყო და უბილეთო მაყურებლებივით ზოგი კარიდან იჭყიტებოდა, ზოგიც ფიცარნაგზე შემოსკუპებულიყო და ფეხებს იქნევდა.

რასაკვირველია, რამდენიმე ნაკლებად თვალსაჩინო ნათესავი მაშინვე წამოდგა, რათა ჩვენთვის ადგილი დაეთმოთ; როდესაც სრულიად უბრალოდ გავერიეთ დანარჩენ სტუმრებში, ირგვლივმყოფთ აშკარად განცვიფრება შევატყვე. ვაჟის მამამ საკუთარი ხელით შემოიტანა ღვინით სავსე ვეებერთელა დოქი, თან ისე ღელავდა, რომ რამდენჯერმე კინაღამ ფეხი დაუცდა. შეავსო სასმისები და ხმამაღლა შესძახა: „ბატონ ფონ კეკეშფალვას გაუმარჯოს!“ ყველამ მაშინვე აიტაცა მისი შეძახილი, ათასხმიანმა ექომ ლამის მთელი ქუჩა შეძრა. მერე ვაჟიშვილს მოუხმო მის ახალშეძენილ მეორე ნახევართან (მორცხვ, თეძოსრულ ქალწულთან) ერთად, რომელსაც ჭრელი სადღესასწაულო კაბა და

ტუიების თეთრი გვირგვინი გულის ამაჩუყებელ შესახედაობას ანიჭებდა. აღელვებისგან სახეალეწილი პატარძალი მოუქნელი რევერანსით მიესალმა კეკეშფალვას და მორიდებით ეამბორა ხელზე ედითს. ქალიშვილებზე მუდამ ამაღელვებლად მოქმედებს საქორწინო ცერემონიალის ყურება, რადგან მათ ამ დროს თავიანთი სქესის წარმომადგენლისადმი იდუმალი სოლიდარობის გრძნობა ეუფლებათ. სნეულ გოგონას ღაწვები ვარდისფრად შეუფაკლდა, თავისკენ მიიზიდა დარცხვენილი პატარძალი და მოეხვია, შემდეგ უცებ თითქოს გონს მოეგოო, თითიდან წაიძრო თხელი, არცთუ ისე ძვირფასი ბეჭედი და პატარძალს გაუკეთა, რომელიც ამ მოულოდნელმა საჩუქარმა ძალზე შეაცბუნა. შემკრთალმა მზერა მამამთილისკენ გააპარა თვალებით უსვამდა კითხვას ავიღო თუ არა ასეთი ძვირფასი საჩუქარიო, და ვერც კი მოასწრო ამ უკანასკნელმა თავი დაექნია თანხმობის ნიშნად, რომ პატარძალს სიხარულის ცრემლები წასკდა. ისევ აზვირთდა ხალხში მადლიერების გრძნობა, ყოველი მხრიდან მოგვაწყდნენ ბედისგან არცთუ განებივრებული უბრალო ადამიანები. გამოხედვაზე აშკარად ემჩნეოდათ, რომ სიამოვნებით გააკეთებდნენ ჩვენთვის რაიმე განსაკუთრებულს, რათა ამით ეჩვენებინათ, რომ მადლიერი იყვნენ, მაგრამ დალაპარაკებით კი, ვერც ერთი ბედავდა დაგვლაპარაკებოდა. მათ შორის სიზმარში მყოფივით დაბორიალებდა თვალცრემლიანი მოხუცი დიასახლისი ხან ვის მიადგებოდა, ხან ვის, მთლად დაბრმავებული იმ პატივისაგან, რომელიც ქორწილის დღეს წილად ხვდა მის ვაჟს. თავად ნეფე კი, ბრინჯივით დაბნეული და თვალებდაჭყეტილი, ხან პატარძალს, ხან ჩვენ და ხანაც თავის საგულდაგულოდ გაპრიალებულ მაღალყელიან ჩექმებს მიაშტერებდა ხოლმე თვალს.

ჩვენც უკვე უხერხულად ვგრძნობდით თავს, ისე მოკრძალებით გვეპყრობოდნენ ყველანი, და კეკეშფალვამ, დროს ტარება რომ არ შეფერხებულიყო, ყველაზე გონივრული გამოსავალი მოძებნა. გულითადად ჩამოართვა ხელი ნეფის მამას, თვითონ ნეფეს, რამდენიმე პატივცემულ სტუმარს და სთხოვა, ჩვენ გამო ნუ მოიწყენთ ამ მშვენიერ წვეულებაზეო. ახალგაზრდებმა ცეკვა განაგრძონ, ჩვენ ის გვესიამოვნება, რაც უფრო მეტს იმხიარულებენო. შემდეგ პირველ მევიოლინეს მოუხმო, რომელმაც მდაბლად დაგვიკრა თავი და ისევ გაშეშდა ერთ პოზაში. კეკეშფალვამ მას ქაღალდის ფული გაუწოდა და ანიშნა, დაიწყეო. ეტყობა, მსხვილი ფული იყო, რადგან მევიოლინე ელდანაკრავივით მოსწყდა ადგილს, კვლავ მუსიკოსთა ფიცარნაგზე აიჭრა, თვალი ჩაუკრა თავისიანებს და ერთი წამიც არ გასულა, რომ ოთხივემ ისე დარდიმანდულად დააქუხეს საცეკვაო, როგორც ეს მხოლოდ უნგრელებმა და ბოშებმა იციან. საყვირის პირველივე გამსჭვალავ ხმაზე ყველას ადრინდელი ძალდაუტანებლობა დაუბრუნდა. თვალის დახამხამებაში მოეწყვნენ წყვილებად და ცეკვა გაჩაღდა, უწინდებურზე უფრო გიჟმაჟი და წრეგადასული, რადგან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს არაცნობიერად უნდოდათ ჩვენთვის ეჩვენებინათ, როგორ ცეკვავენ ნამდვილი უნგრელები. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ეს-ეს არის მოკრძალებით გარინდებულ დარბაზში ცეკვით გახურებულ, მორიალე, მონანავე, მსრბოლავ სხეულთა გრიგალი ამოვარდა, ჩვენს ფიცარნაგზეც ყოველ ტაქტზე ზრიალი გაუდიოდათ სასმისებს, ისე ბრაგაბრუგითა და

გაშმაგებით როკავდა აღტყინებული ახალგაზრდობა. ედითი მოელვარე თვალებით უჭვრეტდა ამ ორომტრიალს. უეცრად მკლავზე მისი ხელის შეხება ვიგრძენი.

– თქვენც უნდა იცეკვოთ, – მიბრძანა მან.

ჩემდა ბედად, პატარძალი ჯერ კიდევ არ იყო ჩათრეული ცეკვის მორევში, ისევ ბეჭედს დასცქეროდა გაოგნებული. როცა თავი დავუკარი და საცეკვაოდ გავიწვიე, ჯერ გაწითლდა, რომ ასეთი პატივი დასდეს, მაგრამ შემდეგ ხალისით დამყვა. ჩვენმა მაგალითმა სიძეც წაათამამა: ილონასთან მივიდა (თან მამამისი უბიძგებდა ზურგში ხელს) და საცეკვაოდ გაიწვია. მაშინ მესაყვირე კიდევ უფრო გააფთრებით გადაეფოფრა საკრავს, ხოლო პირველმა მევიოლინემ, ამ შავულვაშა ტარტაროზმა, კიდევ უფრო გამალებით გაუსვა ვიოლინოს; მგონი, ამ სოფელში არც მანამდე და არც შემდეგ ისეთი თავდავიწყებით არ უცეკვიათ, როგორც ამ ქორწილზე.

მაგრამ სიუხვის გუდა, რომლიდანაც დღეს სიურპრიზები გვეფრქვეოდა, ჯერ მთლიანად არ დაცლილიყო. ამ მხიარულებითა და ყურადღებით წაქეზებულმა ბოშა დედაბერმა (ერთმა იმათგანმა, ურომლისოდაც ვერ ჩაივლის ასეთი წვეულება), გამოაღწია ფიცარნაგამდე და ედითს ჩააცივდა, გინდა თუ არა, ხელზე უნდა გიმკითხაოო. ქალიშვილმა დაირცხვინა. თანაც აინტერესებდა, რას ეტყოდა მკითხავი, და თანაც კიდეც ეუხერხულებოდა ამდენ ხალხში მარჩიელის მოსწრებული ყბედობა. მე მაშინვე ავწონ-დავწონე ეს ამბავი. ბატონ ფონ კეკეშფალვასა და სხვა სტუმრებსაც თავაზიანად უკან დავახევინე, რათა არავის მოესმინა საიდუმლო „წინასწარმეტყველება“, და ცნობისმოყვარეებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა შორიდან ეჭვრიტათ, როგორ დაიჩოქა ბოშა დედაბერმა ცალ მუხლზე და რაღაც აბდაუბდის დუდღუნით ედითის ხელისგულს დააცქერდა; ვინ არ იცის უნგრეთში ამ მკითხავი დედაკაცების ეშმაკური ილეთი: ყველას ხვავს, ბარაქასა და სიყვარულს უწინასწარმეტყველებენ, რათა გახარებულ კლიენტებს უფრო გულუხვად დაესაჩუქრებინათ! მაგრამ ჩემდა გასაოცრად შევნიშნე, რომ ყველაფერი, რასაც ეს დაჩამიჩებული დედაბერი ჩახლეჩილი ხმით სხაპასხუპით დუდუნებდა, ედითს საშინლად აღელვებდა. ცხვირის ნესტოები უთრთოდა, როგორც ყოველთვის, როცა ნერვიულობდა და დაძაბული იყო; სულ უფრო და უფრო დაბლა იხრებოდა დედაბრისკენ და ისე უსმენდა, თან წამდაუწუმ შეშინებული იყურებოდა უკან, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო; ბოლოს მამას ანიშნა, მოდიო, და რაღაც უთხრა ხმადაბლა ბრძანების კილოთი, რის შემდეგაც კეკეშფალვამ გამგონედ, როგორც ყოველთვის, უბის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ბოშა ქალს რამდენიმე ქაღალდის ფული მიაჩეჩა. გასამრჯელო, სოფლური გაგებით, ეტყობა, წარმოუდგენლად დიდი იყო, რადგან წუწკი დედაბერი, თითქოს მოცელესო, მუხლებზე დაეცა, შლეგივით უკოცნიდა ედითს კაბის ქობას, თან რაღაც ლოცვებს ბუტბუტებდა და სნეულ ფეხებზე უსვამდა ხელს. შემდეგ ერთბაშად გაიქცა, თითქოს შეეშინდა, ამხელა თანხა ისევ უკან არ წამართვანო.

– ახლა კი წავიდეთ! – წავჩურჩულე სასწრაფოდ ბატონ ფონ კეკეშფალვას, რადგან შევნიშნე, რომ ედითს ფერი წაუვიდა. მსახურს დავუძახე და ილონამ და მან კარისკენ წაიყვანეს ყავარჯნებზე დაყრდნობილი და აქეთ-იქით მოქანავე ქალიშვილი. მაშინვე

შეწყდა მუსიკა, ყველას უნდოდა გამოგვთხოვებოდა, ხელის ქნევითა და შეძახილებით გავეცილებინეთ. მუსიკოსები ეკიპაჟს გარს შემოერტყნენ, რომ ჩვენი გამგზავრების წინ ტაში დაეკრათ. მთელი სოფელი ქუხდა, რამდენჯერმე „ვაშაც!“ დასჭექეს. მოხუც იონეკს მართლაც ბევრი ჯაფა დასჭირდა, რომ ასეთ აურზაურს გადაჩვეული ცხენები დაეოკებინა.

მე ედითი მაფიქრებდა, იგი კარეტაში ჩემ პირდაპირ იჯდა და მთელი სხეული უკანკალებდა, თითქოს რაღაცით იყო დათრგუნვილი. ერთბაშად აქვითინდა, მაგრამ ეს ბედნიერების ცრემლი იყო, თან ტიროდა და თან იცინოდა. ეჭვი არ იყო, ცბიერმა ბოშა ქალმა მალე გამოჯანმრთელება უწინასწარმეტყველა და შეიძლება კიდევ სხვა რამეც.

– თავი გამანებეთ, თავი გამანებეთო, – მოუთმენლად იცილებდა მტირალი ჩვენს შეკითხვებს. ეტყობოდა, ეს სულიერი მღელვარება რაღაც ახალ და უცნაურ სიამოვნებას ჰგვრიდა.

– თავი გამანებეთ, გამანებეთ! – იმეორებდა ედითი ისევ და ისევ, – მე ხომ ვიცი, რომ მატყუარაა ის დედაბერი, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ერთხელ მაინც გულწრფელად მოიტყუო თავი?!

* * *

უკვე კარგა ხნის მოსაღამოებული იყო, როცა საკეკეშფალვოს ჭიშკარში შევედით. ყველანი ჩამაცივდნენ, ვახშმად დარჩიო, მაგრამ მე აღარ მოვინდომე. ზაფხულის ამ მშვენიერ დღეს სავსებით ბედნიერი ვიყავი და ყოველი „ც“, ყოველი „კიდევ“ მხოლოდ მოაკლებდა და არაფერს შემატებდა ბედნიერების ამ განცდას. ის სჯობდა, ახლავე შინისკენ გამეწია, ნაცნობ ხეივანს დავდგომოდი და ზაფხულის მცხუნვარე დღის შემდეგ გრილი საღამოს ჰაერით დავმტკბარიყავი. მთავარია, მეტი აღარაფერი მსურდეს, მარტოოდენ მადლიერი ვიგონებდე ყოველდღე იმას, რაც დღეს მოხდა. ასე რომ, ჩვეულებრივზე ადრე ავიკრიფე გუდანაბადი. ვარსკვლავები მინათებდნენ გზას და ასე მეგონა, მხოლოდ ჩემთვის ციმციმებდნენ; ბინდით მოცულ მინდვრებზე ძლივს გასაგონად ქროდა ნიავი, გამაბრუებელი სურნელით აღსავსე და ასე მეგონა, თითქოს მხოლოდ მე მეკუთვნოდა ეს ნიავიც. ისეთ გუნებაზე ვიყავი, როდესაც ხალას გრძნობათა მოზღვავების გამო გარშემო ყველაფერი ბრწყინავს და შენც აღტაცებული ხარ სამყაროთი და ადამიანებით; როდესაც გწადია ყოველ ხეს მოეხვიო, ისე როგორც სატრფოს ეხვევა ხოლმე ვნებააშლილი ადამიანი; როდესაც გინდა ყოველ უცხო სახლში შეხვიდე, გვერდით მიუჯდე უცნობ ადამიანებს და თბილი სიტყვები აჩუქო მათ; როდესაც გული ვეღარ იტევს გრძნობათა ნიაღვარს და მზად ხარ სრულიად უცნობსაც გაუზიარო შენი სიხარული...

როცა ყაზარმას მივაღწიე, დენშჩიკი ჩემი ოთახის კარის წინ აყუდებულიყო და მიცდიდა. პირველად შევნიშნე (დღეს ყველაფერს ისე აღვიქვამდი, თითქოს პირველად ვხედავდი), რაოდენ ერთგული, ვაშლივით წითელლოყება სახე ჰქონდა ამ გაგრია გლეხის ბიჭს. „ესეც რამით უნდა გავახარო, გავიფიქრე, ურიგო არ იქნება, თუ ორიოდე

ჭიქა ლუდის ფულს ვაჩუქებ, რომ თავისი გოგო დაპატიჟოს. დღეს სასეირნოდ გავუშვებ, ხვალაც და მთელ კვირასაც!“ ის იყო ჯიბეზე ხელი გავიკარი, ვერცხლის ფული უნდა ამომეღო, მაგრამ დენშჩიკი სმენაზე დადგა და მომახსენა:

– დეპეშა მოვიდა, ბატონო ლეიტენანტო!

– დეპეშა? რა დეპეშა? – ვთქვი გაოგნებულმა. ნეტავ ვის დავჭირდი? ამ ქვეყნად ასეთი არავინ მეგულებოდა. მხოლოდ ცუდი ამბავი შეიძლება დამეძებდეს ასე სასწრაფოდ.

სწრაფად მივედი მაგიდასთან, რომელზედაც ოთხად გაკეცილი და დაბეჭდილი ქაღალდი იდო. თითები არ მემორჩილებოდა, ძლივს გავხსენი დეპეშა და წავიკითხე: „ხვალ კეკეშფალვასთან ვარ დაბარებული. მანამდე აუცილებლად უნდა გნახოთ. ხუთ საათზე ტიროლურ სამიკიტნოში გელოდებით. კონდორი“.

გალეშილი მთვრალიც რომ ერთ წამში პირწმინდად შეიძლება გამოფხიზლდეს, ისე იმოქმედა ჩემზე ამ სიტყვებმა. ეს ერთხელ საკუთარ თავზეც გამოვცადე, სახელდობრ შარშან, გამოსათხოვარ საღამოზე. ერთ მეგობარს ვაცილებდით, რომელმაც ჩრდილობოჰემიელი მდიდარი ფაბრიკანტის ქალიშვილი შეირთო და ქორწილის წინ არაჩვეულებრივი ვახშამი გაგვიმართა. მართლაცდა ფული არ დაუზოგავს. ჯერ მძიმე და მუქი სისხლისფერი ბორდოთი გაგვიმასპინძლდა და ბოლოს იმდენი შამპანურიც მოაყოლა, რომ ტემპერამენტის შესაბამისად ზოგი ახმაურდა, ზოგსაც გრძნობები მოერია. იყო ერთი აურზაური და ღრიანცელი. ერთმანეთს ვეხვეოდით, ვიცინოდით, ვმღეროდით, კონიაკითა და ლიქიორით სავსე სირჩებს, სიგარეტებსა და ჩიბუხებს ვაბოლებდით, შეხუთული დარბაზი კვამლის სქელ, ცისფერ ნისლში გაეხვია და ვერავინ შენიშნა, რომ ფანჯრებს მიღმა უკვე განთიადს დაედო ბინა. ბევრ ჩვენგანს გამართული ჯდომა აღარ შეეძლო, მაგიდის კიდეს მძიმედ დაბჯენილნი ამღვრეული, გაოგნებული თვალებით იყურებოდნენ, როდესაც ახალ სადღეგრძელოს შესთავაზებდა გვერდით მჯდომი; თუ ვინმეს გარეთ გასვლა მოუხდებოდა, ტორტმანითა და ბორძიკით მიაშურებდა კარს, ანდა სავსე ტომარასავით ზღართანს ადენდა იატაკზე. ყველას ენა გვებმოდა და გონებაც დაბინდული გვქონდა.

ასეთ დღეში ვიყავით, როცა უეცრად კარი გაიღო და პოლკოვნიკი (რომელზეც შემდეგ კიდევ მექნება საუბარი) დეზების წკარუნით შემოვიდა, ამ საშინელ აურზაურში მხოლოდ ორმა-სამმა კაცმა თუ შენიშნა ანდა იცნო იგი. პოლკოვნიკი მაგიდას მიუახლოვდა და ერთი ისეთი მუშტი დასცხო, რომ თეფშებმა და ჭიქებმა დაიწკრიალეს. შემდეგ როყიო და მტკიცე ხმით ბრძანა:

– ჩუმად!

იმწამსვე გამეფდა სამარისებური სიჩუმე. ყველაზე გალეშილებმაც კი აახამხამეს თვალები და გონს მოეგნენ. პოლკოვნიკმა მოკლედ გამოგვიცხადა, დილით მოულოდნელად დივიზიის უფროსი ჩამოდის საინსპექციოდ და იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება და არც ერთი თქვენგანი პოლკის სახელს არ შეარცხვენსო. მაშინვე მართლაც უცნაური რამ მოხდა: ერთბაშად ყველანი გამოვფხიზლდით, თითქოს სულის კლიტე გაეღო ვიღაცას და ალკოჰოლის მთელი ოხშივარი გარეთ გამოსულიყოს. ამღვრეული სახეები დაგვეწმინდა, თვალის დახამხამებაში მოვწესრიგდით გავისწორეთ

მუნდირები და ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ყველამ დატოვა იქაურობა. ყველა ჩვენგანმა კარგად იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე დავაყენეთ, მეკავშირეები წინ და უკან დაქროდნენ. ყველაფერი დავალაგეთ, ოთახი გავაკრიალეთ და რამდენიმე საათის შემდეგ ინსპექციამ, რომელმაც ასე შეგვაფუცხუნა, მშვიდობით ჩაიარა.

ახლაც ზუსტად მსგავსი გრძნობა მქონდა. დეპეშის გახსნა იყო და მაშინვე გამიარა სენტიმენტალურმა ზმანებამ. ერთ წამში გახდა ცნობილი ჩემთვის ის, რაზეც საათობით ვფიქრობდი და არ კი მსურდა ბოლომდე გამოვტყდომოდი ჩემს თავს, სახელდობრ, რომ მთელი ჩემი აღფრთოვანება სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარი სიცრუით გაბრუება, რომ მე ჩემი სისუსტისა და უბადრუკი თანაგრძნობის გამო სხვებიც მოვატყუე და საკუთარი თავიც. მაშინვე მივხვდი: ის კაცი იმიტომ მიბარებდა, რომ პასუხი მოეთხოვა ჩემთვის...

* * *

გულმა ვეღარ მომითმინა და ზედმეტი პუნქტუალობაც კი გამოვიჩინე: დათქმულ დროზე თხუთმეტი წუთით ადრე ვიდექი ტიროლური სამიკიტნოს წინ. ხოლო ზუსტად ხუთზე კონდორიც მოვიდა ორცხენიანი ეტლით სადგურიდან და პირდაპირ მომმართა:

– რა კარგია, რომ დროზე მოსულხართ! ასეც ვიცოდი, რომ თქვენი იმედი შეიძლება იქონიოს კაცმა. ყველაფერს სჯობს, ისევ იმ მყუდრო კუნჭულს შევაფაროთ თავი. ის, რაზედაც უნდა ვისაუბროთ, გარეშე მსმენელთ არ საჭიროებს.

მის ფლეგმატურ ხასიათში ერთგვარი ცვლილება შევნიშნე. აღელვებული იყო, მაგრამ თავს იკავებდა. პირველი ის შევიდა რესტორანში და თითქმის უხეშად უბრძანა მსახურ ქალს:

– ერთი ბოთლი ღვინო, ამას წინათ რომ შეგიკვეთეთ, ისეთივე, და შემდეგ მარტონი დაგვტოვეთ. თავად დაგიძახებთ, თუ საჭირო იქნებით. დავსხედით. მსახურს ჯერ მაგიდაზე არც ჰქონდა ბოთლი და ჭიქები დადგმული, რომ უკვე დაიწყო:

– მოკლედ მოგახსენებთ, რადგან უნდა ვიჩქაროთ, თორემ მაშინვე დაეჭვდებიან და იფიქრებენ, რომ რაღაც შეთქმულებას ვაწყობთ. ისედაც ძლივს დავაღწიე თავი მძღოლს, რომელსაც coûte que coûte დაუყოვნებლივ უნდოდა წავეყვანე საკეკეშფალვოში. ახლა კი პირდაპირ in medias res გადავდივარ, რომ გასაგები იყოს თქვენთვის! მაშ ასე, გუშინწინ, დილით ადრე, დეპეშას ვიღებ: „გთხოვთ, პატივცემულო მეგობარო, სასწრაფოდ ჩამოხვიდეთ. ყველანი მოუთმენლად გელით. სრული ნდობითა და უღრმესი მადლობით თქვენი კეკეშფალვა“. მართალი გითხრათ, აღტაცებაში არ მოვსულვარ, „სასწრაფოდო“ და „ყველანი მოუთმენლადო“, რომ მწერდა. ნეტავი რამ ააპილპილა? სულ ორი თუ სამი დღეა, რაც ედითთან ვიყავი, თანაც იმან შემაფიქრიანა, რომ დეპეშით მიცხადებს ნდობას, ან უღრმესი მადლობა რითი დავიმსახურე? ერთი სიტყვით, მაინცდამაინც თავი არ გავიცხელე და დეპეშა, როგორც იტყვიან, ad acta დავურთე: ბერიკაცმა ხშირად კი იცის ასე გაგიჟება, მაგრამ გუშინდელი ამბის შემდეგ წონასწორობა

დავკარგე. დილით მივიღე ჩქარი მატარებლით გამოგზავნილი ვრცელი წერილი ედითისგან. საოცრად შლეგური და პათეტიკურია მისი შინაარსი: თურმე, ნუ იტყვით, იმთავითვე იცოდა, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მისი ხსნა შეეძლო, რომ ენით აუწერლად ბედნიერია, რაკი მალე ეშველება, და სურს პირობა მომცეს, რომ შემიძლია მისი იმედი ვიქონიო, და მხოლოდ იმიტომ მწერს, რომ ყველაფერში დამემორჩილება და ყველაფერს ზედმიწევნით შეასრულებს, რასაც კი დავუნიშნავ, რაგინდ ძნელი შესასრულებელიც უნდა იყოს, ოღონდ რაც შეიძლება მალე, მალე, ოღონდ ახლავე დავიწყო ახალი მეთოდით მკურნალობა, თორემ მოთმინება აღარ ჰყოფნის, და ა.შ. და ა.შ. ასეა თუ ისე, ახალი მეთოდის ხსენებამ თვალი ამიხილა. მაშინვე მივხვდი, ვიღაცამ წამოაყრანტალა ალბათ რამე პროფესორ ვიენოს მკურნალობის ახალი მეთოდის შესახებ ან ბერიკაცთან, ან მის ქალიშვილთან-მეთქი, ასეთი რამ ხომ ჰაერით არ გადადის, და ეს ვიღაც, რა თქმა უნდა, თქვენს გარდა, სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, ბატონო ლეიტენანტო!

ეტყობა, უნებლიეთ გავინძერი. მან მაშინვე ხმას აუწია:

– გეთაყვათ, ამაზე ნუ ვიკამათებთ! სხვასთან კრინტიც არ დამიძრავს პროფესორ ვიენოს მეთოდზე. ამრიგად, თქვენს სინდისს უნდა მოეკითხოს, თუკი მათ დაიჯერეს, რომ დამბლა ორიოდე თვეში შეიძლება განიკურნოს, თითქოს მტვერი იყოს, გადაუსვა მტვრის ტილო, მორჩა და გათავდა. მაგრამ, ვიმეორებ, თავი შევიკავოთ და ერთმანეთს ნუ გადავაბრალებთ დანაშაულს. ორივემ ბევრი ვილაყბეთ: მე თქვენთან და თქვენ კიდევ იმათთან. უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამომეჩინა თქვენთან: ბოლოს და ბოლოს, ავადმყოფის მკურნალობა თქვენი პროფესია არ არის და საიდან უნდა გცოდნოდათ, რომ ავადმყოფებსა და მათ ნათესავებს სხვა ლექსიკონი აქვთ, ვიდრე ნორმალურ ადამიანს. რომ ყოველი „შეიძლება“ მათთვის უმალვე „ნამდვილად“ იქცევა და ამის გამომათ იმედი მხოლოდ მცირე დოზებით, წვეთწვეთად უნდა აძლიოთ, თორემ ოპტიმიზმი თავში აუვარდებათ და გაგიჟდებიან... მაგრამ ამაზე კმარა. რაც მოხდა, მოხდა! პასუხისმგებლობაზე ნუღარ ვილაპარაკებთ! იმისათვის როდი მოგიხმეთ, რომ ენა მოვიქავო. მე მხოლოდ ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, რომ რაკი ჩემს საქმეში ჩაერიეთ, თვალი აგიხილოთ, რა მდგომარეობაა სინამდვილეში. აი, ამის გამო მოგიწვიეთ.

კონდორმა მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში ახლაღა ასწია თავი და პირდაპირ თვალებში შემომხედა. მაგრამ მის მზერაში სიმკაცრე აღარ იგრძნობოდა, პირიქით, ისე მეჩვენა, თითქოს თანამიგრძნობდა კიდეც. ახლა მისი ხმაც უფრო სათუთად ჟღერდა.

– მე ვიცი, ძვირფასო ლეიტენანტო, რომ რასაც ახლა გაგიზიარებთ, ძალზე დაგამწუხრებთ, მაგრამ რას იზამთ, გულუბრყვილობისა და გულის აჩუყების დრო არ გვაქვს. როგორც უკვე გიამბეთ, სამედიცინო ჟურნალში იმ სტატიის წაკითხვისთანავე წერილობით მივმართე პროფესორ ვიენოს და ვთხოვე ყველაფერი დაწვრილებით ეცნობებინა. და როგორც მახსენდება, მგონი, ამის მეტი არც არაფერი მითქვამს თქვენთვის. ჰოდა, გუშინ მისი პასუხიც მოვიდა, თანაც ედითის თავბრუდამხვევ წერილთან ერთად. მისი პასუხი ერთი შეხედვით დადებითი ჩანს. ვიენოს მართლაც გასაოცარი შედეგისათვის მიუღწევია სტატიაში მოხსენიებული პაციენტისა და კიდევ

სხვა რამდენიმე ავადმყოფის მკურნალობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, რაც ყველაზე სავალალოა, მისი მეთოდი ჩვენს შემთხვევაში არ გამოდგება. ვიენოს საქმე ჰქონია ტუბერკულოზის ნიადაგზე ზურგის ტვინის დაავადებებთან, როდესაც (თქვენს ყურადღებას არ დავამძიმებ სპეციალური სამედიცინო მონაცემებით) წნევის შეცვლით მოტორული ნერვების ფუნქციის მთლიანი აღდგენაა შესაძლებელი. ჩვენს შემთხვევაში კი ცენტრალური ნერვული სისტემაა დაზიანებული და პროფესორ ვიენოს მთელ პროცედურებს კორსეტში გაუნძრევლად წოლას და ამავე დროს მზის აბაზანების მიღებას, ტანვარჯიშის მის მიერ საგანგებოდ შემუშავებულ კომპლექსს არავითარი აზრი არა აქვს. მისი მეთოდი სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენ არ გამოგვადგება. საბრალო გოგონასათვის რომ ამდენი საწვალებელი პროცედურა დამენიშნა, ალბათ ტყუილუბრალოდ დავტანჯავდი და გამოსვლით კი, არაფერი გამოვიდოდა. ჩემს თავს მოვალედ ვთვლიდი, რომ ეს ყველაფერი გამენდო თქვენთვის. ახლა იცით, რა მდგომარეობაცაა სინამდვილეში და რა წინდაუხედავად მოიქეცით, როდესაც საბრალო ქალიშვილი ისე დააიმედეთ, რომ ლამის ჭკუიდან შეიშალოს: რამდენიმე თვეში ცეკვასა და სირბილს შეძლებო! ჩემგან ვერავინ გაიგონებდა ესოდენ იდიოტურ მტკიცებას. თქვენ კი, რომელიც ასე ხელდახელ ზეციდან მთვარისა და ვარსკვლავების მოწყვეტას დაჰპირდით, ჩაგებღაუჭებიან და მართლებიც იქნებიან. ბოლოს და ბოლოს, ხომ სულ თქვენი ატეხილია ეს ამბავი!

ვიგრძენი, როგორ გამეყინა თითები. ამას ქვეცნობიერად უკვე მოველოდი მას შემდეგ, რაც დეპეშა მივიღე, მაგრამ მაინც, როდესაც კონდორმა ულმობელი მიუდგომლობით საქმის ნამდვილი ვითარება დამანახვა, ისე ვიგრძენი თავი, როგორც მეხის დაცემისას. თავდაცვის სურვილი აღმეძრა ინსტინქტურად. არ მინდოდა მთელი პასუხისმგებლობა მე დამკისრებოდა, მაგრამ მოწაფესავით, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, ძლივს მოვახერხე საცოდავად წამელუღლუღებინა:

– მაგრამ ეს როგორ?.. მე ხომ მხოლოდ კარგი მინდოდა მათთვის... თუ კეკეშფალვას რამე ვუამბე, ეს მარტო... მარტო...

– ვიცი, ვიცი, – შემაწყვეტინა კონდორმა, – რასაკვირველია, მან ამოგქაჩათ, გამოგწურათ სათქმელი; ისე თავგანწირულად იცის ჩაციება, რომ მართლაც ფარხმალს დააყრევინებს კაცს. დიახ, ვიცი, ვიცი, რომ მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძნობის გამო მოგივიდათ ეს შეცდომა. მაგრამ ერთხელ უკვე გაგაფრთხილეთ თანაგრძნობა ძალზე საჭოჭმანო რამ არის და ვინც თავს ვერ ართმევს მას, სჯობია ხელი აიღოს, გულთან ახლოს არ გაიკაროს. მხოლოდ დასაწყისშია თანაგრძნობა ავადმყოფისათვის სიკეთე, წამალი, დამხმარე საშუალება; მაგრამ თუ დოზები ზუსტად არ დაიცავით და დროზე არ შეწყვიტეთ მიცემა, მომაკვდინებელ შხამად იქცევა. თავდაპირველად რამდენიმე ნემსი სასიკეთოდ მოქმედებს, აწყნარებს ავადმყოფს, ტკივილს უყუჩებს; მაგრამ, ვაი, რომ ორგანიზმს, სხეულსა და სულს, შეჩვევის საშინელი უნარი აქვს; როგორც ნერვული სისტემა მოითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ მორფიუმს, ასევე გრძნობასაც სულ უფრო და უფრო მეტი თანაგრძნობა სჭირდება და ბოლოს იმაზე მეტი, რამდენის მიცემაც შეიძლება. ერთხელაც აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ერთ შემთხვევაშიც და

მეორეშიც „არა“ უნდა თქვას კაცმა და არც ინაღვლოს. დიახ, ძვირფასო ლეიტენანტო, თანაგრძნობის სადავე მაგრად უნდა გეჭიროთ ხელში, თორემ ბევრად უფრო მეტ ვნებას მოიტანს, ვიდრე გულგრილობა; ეს კარგად ვიცით ჩვენ, ექიმებმა, იციან აგრეთვე მოსამართლეებმა, სასამართლოს აღმასრულებლებმა და გირაოთი ფულის გამსესხებლებმაც. ისინი რომ მუდამ თანაგრძნობას აჰყვნენ, ქვეყანა დაიქცეოდა. საშიში რამეა თანაგრძნობა, ძალზე საშიში! ხომ ხედავთ, რა ამბავი დაატრიალეთ თქვენი სისუსტით.

– დიახ... მაგრამ განა შეიძლება... განა შეიძლება სასომიხდილი ადამიანი ისე მიატოვო... და ან საერთოდ ისეთი რა მოხდა, თუ შევეცადე, რომ...

მაგრამ კონდორი ერთბაშად გაცხარდა:

– ძალიან ბევრი რამ მოხდა! ერთობ დიდ პასუხისმგებლობას, საშინლად დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს ის, ვინც თავისი თანაგრძნობით სხვას აბრიყვებს. მოწიფულმა ადამიანმა, ვიდრე რამეში ჩაერეოდეს, ჯერ უნდა მოიფიქროს, სადამდე შეტოპოს, სხვათა გრძნობებზე თამაში არ ვარგა! ვაღიარებ, თქვენ უპატიოსნესმა, უკეთილშობილესმა მოტივებმა გაიძულათ შეცდომაში შეგეყვანათ ის კეთილი ხალხი, მაგრამ ამქვეყნად ის კი არ არის მთავარი, როგორ შეუდგები საქმეს თამამად თუ გაუბედავად, არამედ ბოლოს რა გამოვა აქედან, რითი დამთავრდება ყოველივე. თანაგრძნობა კარგია, მაგრამ ორნაირი თანაგრძნობა არსებობს: ერთია სულმოკლე და სენტიმენტალური; იგი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა მოუთმენლობა გულისა, რომელიც ისწრაფვის, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდეს სხვისი უბედურებით მოგვრილი სიმძიმისაგან; ეს თანაგრძნობა კი არა, სხვისი უბედურებისგან ინსტინქტური თავდაცვაა. მეორეა ჭეშმარიტი, არასენტიმენტალური, მაგრამ ქმედითი თანაგრძნობა, რომელმაც იცის, რაც სურს და მზად არის უტეხი თანადგომითა და თანაგრძნობით ყველაფერს გაუძლოს, ვიდრე სასოება წაერთმეოდეს და თვით მას შემდეგაც კი. მხოლოდ თუ მზადა ხარ ბოლომდე მიჰყვე, უკიდურეს სავალალო აღსასრულამდე, თუ უდიდესი მოთმინება შეგწევს, მაშინ შეგიძლია ადამიანს ნამდვილად დაეხმარო. მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ თავს მსხვერპლად სწირავ, მხოლოდ მაშინ!

მის ხმაში ნაღვლიანი ჩქამი გაისმა. უნებლიეთ კეკეშფალვას ნაამბობი მომაგონდა: კონდორმა უსინათლო ქალი, რომელიც ვერ განკურნა, თითქოსდა დანაშაულის გამოსასყიდად ცოლად შეირთო და ახლა ის ბრმა მადლობის ნაცვლად სისხლს უშრობსო. მაგრამ ამ ექიმმა გულთბილად, თითქმის ალერსიანად მხარზე ხელი დამადო.

– კარგი, კარგი, ცუდი გულით არ მითქვამს. გრძნობამ აგიყოლიათ, ეგ ყველას შეიძლება მოსვლოდა. ჰოდა, ახლა საქმეზე გადავიდეთ, ჩემსა და თქვენს საქმეზე. ბოლოს და ბოლოს, იმიტომ ხომ არ დაგიბარეთ, რომ ფსიქოლოგიაზე ვილაყბოთ. საჭიროა ამ ამბავს პრაქტიკულად მივუდგეთ. რასაკვირველია, შეთანხმებულად უნდა ვიმოქმედოთ. არ შეიძლება მეორედაც თავდაყირა დააყენოთ ჩემი გეგმები. ამიტომ ყური დამიგდეთ! ედითის წერილი, სამწუხაროდ, მაფიქრებინებს, რომ ჩვენი მეგობრები სულ მთლად შეიშალნენ და ჰგონიათ, რომ ახალი მეთოდის მეშვეობით, რომელიც ამ შემთხვევაში საერთოდ არ გაჭრის, შეიძლება ესოდენ რთული დაავადების ხელის ერთი მოსმით

პირწმინდად აღგვა. რაგინდ ღრმად უნდა გასჯდომოდათ თავში ეს სისულელე, სხვა გამოსავალი არა გვაქვს, დაუყოვნებლივ უნდა ამოვკვეთოთ, და რაც უფრო მალე მოვიმოქმედებთ ამას, მით უკეთესი იქნება ყველა ჩვენგანისთვის. აბა, რაღა თქმა უნდა, ელდა ეცემათ (სიმართლე მუდამ მწარე წამალია), მაგრამ რას იზამ, არ უნდა ვაცალოთ, რომ ამ შლეგურმა იდეამ ახალ-ახალი ყლორტები გამოიტანოს. ძალზე ფაქიზად რომ გავაკეთებ ყველაფერს, ამის იმედი გქონდეთ. ახლა რაც შეგეხებათ თქვენ! რა თქმა უნდა, ჩემთვის ყველაზე იოლი იქნებოდა თქვენთვის გადმომებრალებინა ყველაფერი, მეთქვა, რომ სწორად ვერ გაიგეთ, გადააჭარბეთ ან მოიგონეთ. მაგრამ ამას არ გავაკეთებ. სჯობს, მთელი პასუხისმგებლობა მე დავიკისრო. ოღონდ იცოდეთ, წინასწარ გაფრთხილებთ, მთლიანად ვერ გამოგთიშავთ თამაშიდან. თქვენ იცნობთ ბერიკაცს და იცით, როგორი შემოჩენა იცის. ასჯერაც რომ ავუხსნა საქმის ვითარება და ვიენოს წერილიც ვაჩვენო, მაინც დაიჩემებს: „კარგი, მაგრამ ბატონ ლეიტენანტს ხომ დაჰპირდით...“, ან „ბატონმა ლეიტენანტმა ხომ თქვა...“ მუდამ თქვენს ხსენებასა და დამოწმებაში იქნება, რათა თავისი თავიცა და მეც დამარწმუნოს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, რაღაც იმედის ნაპერწკალი მაინც არსებობს. უთქვენოდ, თქვენი დამოწმების გარეშე, ვერ გავუმკლავდები. ილუზია სინდიყის სვეტი კი არ არის, რომ დაიქნევ და ჩასწევ სიცხის საზომში. საკმარისია ისეთ ავადმყოფს, რომელსაც ესოდენ შეუბრალებლად უკურნებელს ეძახიან, იმედის ნაპერწკალი გაუჩნდეს, რომ მას მორად აქცევს და მორს კიდევ მთელ სახლად. მაგრამ ამგვარი ჰაეროვანი ციხ-ეკოშკები უაღრესად მავნედ მოქმედებენ ავადმყოფზე და ჩემი, როგორც ექიმის, მოვალეობაა, ჩვენი მეგობრების ეს ჰაეროვანი ციხეკოშკიც სასწრაფოდ დავანგრიო, ვიდრე შინ აუხდენელი ოცნებები დაიბუდებდა. ენერგიულად უნდა ვიმოქმედოთ და დრო არ დავკარგოთ...

კონდორი გაჩუმდა. როგორც ჩანდა, ჩემს თანხმობას ელოდა. მაგრამ მე ვერ ვბედავდი მისთვის თვალებში შემეხედა; თავში გუშინდელი დღის სურათები მიტრიალებდა, გულის ბაგაბუგს ადევნებული: რა მხიარულად ვიმგზავრეთ მინდორველებში, როგორ უბრწყინავდა ბედნიერებითა და ზაფხულის მზით გაცისკროვნებული სახე სნეულ გოგონას, როგორ ეფერებოდა პაწია კვიცებს და შემდეგ დედოფალივით იჯდა ქორწილში; როგორ ეღვრებოდა ბერიკაცს ცრემლები მოცინარ და მთრთოლვარე ბაგეზე, და ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით გავანადგუროთ? გაბედნიერებული ისევ გავაუბედუროთ? სასოწარკვეთილების კლანჭებიდან თავდაღწეული ერთბაშად ისევ მოუთმენლობის უფსკრულში გადავისროლოთ? არა, მე ვიცოდი, რომ ამას ჩემდა თავად ვერ გავაკეთებდი, ამიტომ გაუბედავად წამოვდექი:

– განა არ აჯობებდა, რომ... – და მაშინვე ენა დამება, ისე გამომცდელად შემომაჩერდა კონდორი.

– რომ რა? – მკითხა მან მტკიცე ხმით.

– მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ იქნებ... იქნებ უკეთესი ყოფილიყო ცოტა დაგვეცადა... რამდენიმე დღე მაინც, რადგან... რადგან გუშინ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ედითი მთლიანად ამ ახალი მეთოდით მკურნალობით არის მოწამლული... სჯერა მისი... ასე რომ, თქვენი მაშინდელი თქმისა არ იყოს, ამჟამად მის

ფსიქიკას ძალა აქვს... ვფიქრობ, ახლა დიდ დაძაბვას აიტანდა, თუ... თუ ერთხანს კიდევ არ წავართმევდით რწმენას, რომ მკურნალობის ეს ახალი მეთოდი, რომლისგანაც ამდენს მოელის, საბოლოოდ განკურნავს... თქვენ... თქვენ ხომ არ გინახავთ, თქვენ... ვერ წარმოიდგენთ, როგორ იმოქმედა უბრალო მოყოლამაც კი... მე მართლაც მომეჩვენა, რომ მაშინვე უკეთ დაიწყო სიარული... და ვფიქრობ, ხომ არ შეიძლებოდა ამით გვესარგებლა... რასაკვირველია... – აქ ისევ წამერთვა ხმა, რადგან ვიგრძენი, როგორი გაკვირვებით მიყურებდა კონდორი...

ერთ ხანს თვალს არ მაშორებდა, შემდეგ განაგრძო:

– ერთი უყურეთ ამ საულს წინასწარმეტყველთა შორის! გეტყობათ, ძალზე საფუძვლიანად გასცნობიხართ საქმის ვითარებას „ფსიქიკური ძალაც“ კი ახსენეთ! ახლა თქვენი კლინიკური დაკვირვებები! ასისტენტი და კონსულტანტი შემიძენია და მე კი არაფერი ვიცი! ისე კი (თავი მოიქექა ნერვიულად), რაც თქვენ თქვით, თავისთავად არცთუ ისეთი სისულელეა... არა, უცნაურია, მართლაც უცნაურია. როდესაც ედითის პათეტიკური წერილი მივიღე, მეც დამებადა კითხვა: ხომ არ შეიძლებოდა, რაკი უკვე ჩაგიგონებიათ, რომ გამოჯანმრთელება გოლიათური ნაბიჯებით ახლოვდება, ეს აღტყინებული განწყობილება გამომეყენებინა... ურიგო ჩანაფიქრი არ გახლავთ, პატივცემულო კოლეგავ! თანაც ამის ინსცენირება სულ არ გაგვიჭირდება. ედითს ენგადინში გავგზავნიდი, სადაც ერთი მეგობარი ექიმი მყავს. დაე, გაბედნიერებული ფიქრობდეს, რომ მკურნალობის ახალ კურსს გადის, მაშინ როდესაც სინამდვილეში ისევ ძველი იქნება. პირველ ხანებში ალბათ შესანიშნავ ეფექტს მივიღებდით, დასტადასტად მოგვივიდოდა აღტაცებით აღსავსე მადლიერების წერილები მისგან. ილუზია, ჰაერისა და ადგილის გამოცვლა, ენერგიის მოზღვავება ყოველივე ეს მართლაც ძალიან დაგვეხმარებოდა და ყველას გააცურებდა. ბოლოს და ბოლოს, ენგადინში ორი კვირა ყოფნა მე და თქვენც არ გვაწყენს. მაგრამ, ჩემო ძვირფასო, როგორც ექიმმა, არა მხოლოდ დასაწყისზე უნდა ვიფიქრო, არამედ იმაზეც, როგორი გაგრძელება მოჰყვება ამ დასაწყისს, და უწინარეს ყოვლისა კი, როგორი დასასრული. უნდა გავითვალისწინო რეაქცია, რომელიც აუცილებლად, დიახ, აუცილებლად, მოჰყვება ესოდენ შლეგურად გადაჭარბებული იმედების დამსხვრევას; როგორც ექიმმა, დინჯი მოჭადრაკის პოზიცია უნდა დავიჭირო და არა ბანქოს აზარტული მოთამაშის, მით უმეტეს, თუ ფულს ჩემ მაგივრად სხვა ჩადის.

– კარგი, მაგრამ... თქვენ თვითონაც ხომ იმ აზრისა ხართ, რომ ამ გზით არსებითი პროგრესის მიღწევა შეიძლება?..

– რასაკვირველია, თუ ასე მოვიქცევით, პირველ ხანებში წარმატება უეჭველი გვექნება. ქალები ხომ მუდამ საოცრად ეხმაურებიან გრძნობებს, ილუზიებს. მაგრამ აბა თქვენ თავად წარმოიდგინეთ, რა მოხდება რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ეგრეთ წოდებული „ფსიქიკური ძალა“, რაზეც ვილაპარაკეთ, გამოილევა, ხელოვნურად განმტკიცებული ნებისყოფა მოდუნდება, აღფრთოვანება განელდება, დღე დღეს მიჰყვება, კვირა კვირას, პაციენტი დაძაბული ლოდინისგან გამოიფიტება, მორჩენით კი (ახლა მას სრული გამოჯანმრთელების იმედი აქვს) არ მორჩება. ჰოდა, გეთაყვათ, აბა

ახლა ის კატასტროფაც წარმოიდგინეთ, რომელსაც ეს ამბავი მოახდენს, ისედაც გულგადალეულ და მგრძნობიარე ქმნილებაში! აქ ხომ მისი მდგომარეობის მცირეოდენ გაუმჯობესებაზე არ არის ლაპარაკი, არამედ რაღაც უფრო არსებით ცვლილებაზე; მოთმინებაზე დაფუძნებული ხანგრძლივი და ნაცადი მეთოდის უკუგდებასა და მოუთმენლობას აყოლილ კადნიერ და სახიფათო მეთოდზე გადასვლაზე! როგორ უნდა მენდოს ამის შემდეგ მე ან სხვა ექიმს, ან რომელიმე სხვა ადამიანს, როცა შეიტყობს, რომ წინასწარი განზრახვით მოატყუეს? ასე რომ, ისევ სიმართლის თქმა სჯობს, რაგინდ უმოწყალოც უნდა იყოს იგი. მედიცინაში დასტაქარის დანა ხშირად ყველაზე სათუთი საშუალებაა ხოლმე. ოღონდ არ უნდა გადავდოთ! სინდისი ნებას არ მაძლევს გავჩუმდე. აბა, თავად დაფიქრდით! გეყოფოდათ ვაჟკაცობა, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით?..

– დიახ, – მივუგე დაუფიქრებლად და იმწამსვე შემაკრთო ჩემმა სიტყვებმა, – ანუ.... – დავუმატე ფრთხილად, – როცა ცოტათი მაინც გაუმჯობესდებოდა მისი მდგომარეობა, მაშინ გამოვუტყდებოდი... მომიტევეთ, ბატონო ექიმო... ეს შეიძლება მეტიჩრობაც არის, მაგრამ ბოლო დროს იმდენი საშუალება არ გქონდათ ედითს დაკვირვებოდით, რამდენიც მე. რომ გენახათ, როგორი აუცილებელია ამ ხალხისთვის რაღაც ისეთი, რაც სასოებას მიანიჭებდა მათ... რასაკვირველია, სიმართლე უნდა ვუთხრათ... მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ედითი მის ატანას შეძლებს... ახლა კი არა, ბატონო ექიმო, გემუდარებით... ახლა არა... ასე ერთბაშად არა.

ისევ წამერთვა ლაპარაკის უნარი. მისმა ცნობისმოყვარე და განცვიფრებულმა მზერამ ცივი ოფლით დამინამა შუბლი.

– მაშ, როდის?.. – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა. – და უწინარეს ყოვლისა: ვინ უნდა ითავოს? ერთხელაც იქნება ხომ დაგვჭირდება თქმა... იმედის გაცრუება მაშინ ასჯერ უფრო სახიფათო იქნება... უფრო მეტიც, მომაკვდინებელიც კი. თქვენ მართლაც შეძლებთ იტვირთოთ ასეთი პასუხისმგებლობა?

– დიახ, – ვუთხარი მტკიცედ (ჩემი აზრით, ასეთი ანაზდეული გამბედაობა მხოლოდ და მხოლოდ იმის შიშმა შემძინა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან ერთად დაუყოვნებლივ საკეკეშფალვოში გამგზავრება მომიხდებოდა), – ამას მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ. დანამდვილებით ვიცი, რომ ამჟამად ედითს უსაზღვროდ დავეხმარებით, თუ ჯერჯერობით სრული გამოჯანმრთელების იმედს არ დავუკარგავთ. ხოლო თუ შემდეგ საჭირო იქნება იმის განმარტება, რომ ჩვენ... რომ მე, შესაძლოა, ცოტა გადავაჭარბე, მაშინ პატიოსნად ვუამბობ ყველაფერს და დარწმუნებული ვარ, ედითი გამიგებს.

კონდორი გაშტერებული მიყურებდა.

– ჯანდაბას, – წაიდუდუნა ბოლოს, – ძალზე დიდ პასუხისმგებლობას კი იღებთ საკუთარ თავზე! მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ყველას გადასდებთ ხოლმე თქვენს რწმენას. ჯერ იყო და ისინი დააჯერეთ, და ახლა ვშიშობ, რომ თანდათანობით მეც დამიყოლიეთ! ჰოდა, თუ თქვენ მართლაც ითავებთ, რომ ედითს კრიზისის შემთხვევაში სულიერი წონასწორობა დაუბრუნოთ, მაშინ... მაშინ სულ სხვაა... მაშინ შეიძლებოდა მართლაც გაგვებედა და კიდევ რამდენიმე დღე დაგვეცადა, ვიდრე ნერვები

ცოტა დაუწყნარდებოდა... მაგრამ იცოდეთ, ამგვარი ვალდებულების აღების შემდეგ უკან დახევა გამორიცხულია. ჩემი ვალია, წინასწარ საგანგებოდ გაგაფრთხილოთ. ჩვენ, ექიმები, ყოველი ოპერაციის წინ მოვალენი ვართ ყველას, ვინც ავადმყოფის ბედ-იღბლითაა დაინტერესებული, განვუმარტოთ, თუკი რამ საფრთხეა მოსალოდნელი, ხოლო ამდენი ხნის დამბლადაცემულს რომ დაჰპირდეთ, უმოკლეს ხანში სრულიად განიკურნებიო, ეს არანაკლებ საპასუხისმგებლო ჩარევაა, ვიდრე ქირურგიული ოპერაცია. ამიტომ კარგად აწონდაწონეთ ყველაფერი. იცით, რა უსაზღვროდ ძნელია, ერთხელ უკვე მოტყუებულ ადამიანს რწმენა დაუბრუნოთ? მე საქმეში გარკვეულობა მიყვარს. ვიდრე ჩემს განზრახვაზე უარს ვიტყოდე, რომ დღესვე პატიოსნად ავუხსნა კეკეშფალვასა და მის ქალიშვილს, პროფესორ ვიენოს მეთოდი ჩვენს შემთხვევაში არ გამოდგება და, სამწუხაროდ, კვლავ მოთმინება უნდა მოიკრიბოთმეთქი, ჯერ უნდა ვიცოდე, შემიძლია თუ არა დარწმუნებული ვიყო თქვენში, რომ შემდეგ სიტყვას არ გადახვალთ და არ მიღალატებთ?

– რასაკვირველია! – მივუგე მტკიცედ.

– კეთილი! – კონდორმა ერთბაშად უკან გასწია თავისი სასმისი. არც მე და არც მას წვეთიც არ დაგვილევია, – ან, უფრო სწორად, იმედია, რომ ყოველივე კეთილად დაბოლოვდება, რადგან მთლიანად გულდაჯერებული ვერ ვარ საქმის ასეთი გადადებით. ახლავე ზუსტად გეტყვით, რასაც გავაკეთებ, თანაც ისე, რომ სიმართლეს ძალიან არ დავშორდე. ედითს ვურჩევ, მკურნალობის კურსი გაიაროს ენგადინში, მაგრამ ავუხსნი, რომ ვიენოს მეთოდი ჯეროვნად შემოწმებული არ არის, და თან ხაზგასმით დავსძენ, სასწაულს ნუ მოელით-მეთქი. ხოლო თუ თქვენგან შეგულიანებულები მაინც თავს გაიბრუებენ აბსურდული იმედით, მაშინ თქვენი რიგი დადგება!.. ხომ მაძლევთ ამის პირობას? შეიძლება ჩემგან დიდი გამბედაობა იყოს, რომ თქვენ უფრო გენდობათ, ვიდრე ჩემს პროფესიულ სინდისს, მაგრამ არა უშავს, ამას ჩემს თავზე ვიღებ. ბოლოს და ბოლოს, ორივეს კარგი გვსურს საბრალო სნეული გოგონასთვის.

კონდორი წამოდგა.

– როგორც უკვე მოვილაპარაკეთ, თქვენი იმედი მაქვს, თუ გულგატეხილობის გამო რაიმე კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენი მოუთმენლობა უფრო გაჭრის, ვიდრე ჩემი მოთმინება. მაშ, ასე, ვაჩუქოთ საბრალო გოგონას სასოებით აღსავსე რამდენიმე კვირა! და თუ ამ დროის განმავლობაში მისი მდგომარეობა მართლაც გაუმჯობესდება, ეს თქვენი დამსახურება იქნება და არა ჩემი. მორჩა, დრო აღარ ითმენს! მელოდებიან და უნდა წავიდე.

რესტორნიდან გამოვედით. კართან ეტლი იცდიდა. უკანასკნელ წუთში, როცა კონდორი უკვე ეტლში ჯდებოდა, ბაგე ამითრთოლდა, მზად ვიყავი, შემეჩერებინა, მაგრამ ცხენები უკვე დაიძრნენ და თან წარიტაცეს ეტლიცა და მასთან ერთად ისიც, რისი გადათქმაც უკვე აღარ შეიძლებოდა.

სამი საათის შემდეგ ყაზარმაში ჩემს მაგიდაზე ბარათი დამხვდა, ნაჩქარევად იყო დაწერილი და მძღოლს მოეტანა: „ხვალ, რაც შეიძლება, ადრე გვესტუმრეთ. ძალიან

ბევრი რამ მაქვს სათქმელი. ესეს არის ექიმი კონდორი იყო აქ. ათ დღეში მივემგზავრებით. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ედითი“.

* * *

განა უცნაური არ არის, რომ მაინცდამაინც იმ ღამეს ჩამივარდა ხელში ის წიგნი. საერთოდ ბევრი კითხვით თავს არ ვიწუხებდი და დანჯღრეულ თაროზე ჩემს სენაკში მარტოოდენ ექვსი თუ რვა სამხედრო ტომი იდო, უმთავრესად წესდებები (ალფა და ომეგა ოფიცრისათვის) და მათ გვერდით კლასიკოსთა ოციოდე ნაწარმოები, რომლებიც ერთხელაც არ გადამიშლია, თუმცა კადეტთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა გარნიზონში თან დავათრევდი. შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ ყაზარმის შიშველ და მიუსაფარ ოთახებს (სადაც მიხდებოდა ცხოვრება) ოდნავ მაინც მისცემოდა მშობლიური კერის სიმყუდროვე და სითბო. მათ შორის ელაგა აგრეთვე რამდენიმე ჯერაც მხოლოდ ნახევრად გაჭრილი, ცუდად დაბეჭდილი და ცუდადვე აკინძული წიგნი, რომლებიც არცთუ ჩვეულებრივი გზით მივარდებოდა ხელში... ჩვენსკაფეში დროდადრო ერთი მომცრო ტანის კუზიანი ხელზე მოვაჭრე გამოჩნდებოდა ხოლმე, საოცრად სევდიანი, წირპლიანი თვალები ჰქონდა და ისეთი ჩაციებით იცოდა საფოსტო ქაღალდის, ფანქრებისა და იაფფასიანი ბულვარული წიგნების შემოთავაზება, რომ უარს ვერ ეტყოდი. წიგნები კი ისეთები იყო, რომლებიც, მისი აზრით, კავალერისტებში განსაკუთრებით უნდა გასაღებულიყო: ეგრეთ წოდებული „გალანტური ლიტერატურა“, როგორიცაა „კაზანოვას სატრფიალო თავგადასავლები“, „დეკამერონი“, „მომღერალი ქალის მოგონებანი“, ანდა „გარნიზონის ანეკდოტთა კრებული“. სიბრალულის გამო (მუდამ ეს სიბრალული ღუპავს კაცს!) და, შესაძლოა, იმის გამოც, რომ მისი მელანქოლიური ჩაციებისგან თავი დამეღწია, ათასში ერთხელ ვყიდულობდი მისგან გაზინტლულ წიგნაკებს და სამი თუ ოთხი მათგანი ახლაც მეგდო თაროზე უქმად.

იმ საღამოს ერთსა და იმავე დროს დაღლილმაცა და ნერვებაშლილმაც ვეღარც დაძინება შევძელი, ვეღარც ფიქრს ვუძლებდი და გადავწყვიტე, რამეს წავიკითხავ, იქნებ გული გადავაყოლო და მერე ძილიც მომერიოს-მეთქი. ამ იმედით, „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთი ტომი ჩამოვიღე თაროდან (რომლებიც ბუნდოვნად მახსოვდა ბავშვობიდან) და ვიფიქრე, დასაძინებლად საუკეთესო საშუალება იქნება-მეთქი. დავწექი და ნახევრად მთვლემარე შევუდექი კითხვას (ხანდახან კაცს გვერდების მიყოლებით წაკითხვაც კი გეზარება და თავი რომ არ შეიწუხო, რამდენიმე გვერდის გამოტოვებას ამჯობინებ ხოლმე). ზერელედ გადავავლე თვალი პირველ ზღაპარს შეჰერაზადსა და მეფის შესახებ და კითხვა განვაგრძე. ვკითხულობ, ვკითხულობ და ერთბაშად შევკრთი. უცებ იმ საოცარ ზღაპარს გადავაწყდი, რომელშიც „ფეხებდადამბლავებულზე“ იყო საუბარი. ჭვალივით გამკრა რაღაცამ გულში. დენივით გამიარა რაღაცამ მთელ სხეულში. ეს ფეხებწართმეული მოხუცი, ზღაპარში ყმაწვილ კაცს სასოწარკვეთილი ევედრება, სიარული აღარ ძალმიძს, შენს გახარებას, მხრებზე შემისვი და ისე წამიყვანეო. ჭაბუკს სიბრალული იპყრობს (რას გეცოდება, შე ბრიყვო, შენა! გავიფიქრე გუნებაში). ყმაწვილი

მართლაც იხრება ბერიკაციისკენ და მხრებზე ისვამს. მაგრამ ეს ვითომდა საპყარი მოხუცი სინამდვილეში ჯინია, ავი სული, თვალთმაქცი ჯადოქარი, და როგორც კი ჭაბუკს მხრებზე მოექცევა, მაშინვე მაგრად შემოხვევს კისერზე ბანჯგვლიან შიშველ ფეხებს. ჯინი უმოწყალოდ მიერეკება თავის კეთილისმყოფელსა და შემწეს, თითქოს მისი სახედარი იყოს, დაუნდობლად ურტყამს შეუბრალებელი შემბრალებელს, სულის მოთქმასაც არ აცლის, სულ წინ და წინ მიაჭენებს. და საბრალო ჭაბუკიც იძულებულია შეუსვენებლად ატაროს ტვირთი. მხედარი კი იქით ექაჩება, საითაც მოეპრიანება. საწყალ ყმაწვილს საკუთარი ნება ამიერიდან აღარ გააჩნია. გახედნილი სახედარია, მონაა მპყრობელისა, და თუნდაც მუხლები ეკვეთებოდეს და პირი უშრებოდეს, ძუნძულით უნდა იაროს საკუთარი სიბრალულით გაბრიყვებულმა და ბოროტი, მზაკვარი, ცბიერი ბერიკაცი ბედისწერასავით მხრებით ათრიოს.

წიგნს თვალი მოვაცილე, გული ისე მიცემდა, თითქოს მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა, რადგან ერთბაშად აუტანელი სიცხადით თვალწინ დამიდგა ეს უცნობი კუდიანი ბერიკაცი. დავინახე, როგორ აღაპყრო მზერა მიწაზე დაგდებულმა და თვალცრემლიანმა გულმოწყალემ და შველას ევედრებოდა. გვერდზე გაყოფილი თეთრი თმა ჰქონდა ამ ჯინს და ოქროს სათვალე ეკეთა. ელვის სისწრაფით, როგორც მხოლოდ სიზმარში თუ იცვლება სურათები და სახეები, ზღაპრის ბერიკაცი ჩემდა უნებლიეთ კეკეშფალვას სახით წარმომიდგა, ხოლო თავად მე საბრალო ჭაბუკად ვიქეცი და იგი სახედარივით მიმაგელვებდა. დიახ, თვით ყელზე შემოსალტული ფეხების მოჭერაც კი ისე ცოცხლად შევიგრძენი, რომ კინაღამ სული გამძვრა. წიგნი ხელიდან გამივარდა, ცივმა ოფლმა დამასხა, ზედ ნეკნებთან ვგრძნობდი გულის ფრიალს. ძილშიც კი სულ ერთთავად ეს მძვინვარე მეხრე მერეკებოდა და მერეკებოდა, ოღონდ არ ვიცოდი, საით... უთენია გამომეღვიძა, ოფლისგან თმა სულ სველი მქონდა. ისეთი დაღლილ-დაქანცული და გამოფიტული ვიყავი, თითქოს ასი დღის სავალი გამევლოს. იმანაც ვერ მიშველა, რომ დილიდანვე ჩემს ქვეგანაყოფთან ერთად სავარჯიშოდ გავილაშქრე და წესდებისამებრ გულმოდგინედ და ფხიზლად შევასრულე ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა; როგორც კი საღამოს საკეკეშფალვოსკენ გზას გავუდექი, მხრებზე კვლავ ვიგრძენი უხილავი საპალნე. სინდისი მქენჯნიდა, გუმანით ვხვდებოდი, რომ პასუხისმგებლობა, რომელიც ამიერიდან მეკისრებოდა, სულ სხვანაირი და შეუდარებლად მძიმე იყო. მაშინ, იმ ღამეს, ბაღის მერხზე ბერიკაცს რომ მისი ქალიშვილის მალე გამოჯანმრთელების იმედი მივეცი, ეს მხოლოდ გადაჭარბება იყო. მე ხომ თანაგრძნობის გამო დავუმალე მოხუცს სიმართლე, ისიც ჩემდა უნებურად. უფრო მეტიც, ჩემი ნებასურვილის წინააღმდეგაც კი. არადა, ფიქრადაც არ მქონია ჩემი უხეში ტყუილით შეცდომაში შემეყვანა იგი. ამიერიდან კი, პირიქით, რაკი ვიცოდი, რომ ედითის სწრაფად გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, მე გულცივად, დაჟინებით, მოზომილად მუდამ ერთი და იგივე როლი უნდა მეთამაშა. წარბიც არ უნდა შემეხარა, ხმა არ ამთრთოლებოდა, ისე მეცრუა, თითქოს გაქნილი ავაზაკი ვყოფილიყავი, რომელიც რამდენიმე კვირითა და თვით ადრე დაწვრილებით ამუშავებს გეგმას, როგორ ჩაიდინოს ბოროტმოქმედება და შემდეგ როგორ გაიმართლოს თავი. მაშინღა მივხვდი, რომ ყველა უკუღმართობაში, რაც ქვეყნად

ხდება, ბოროტება და შეუბრალებლობა კი არ არის დამნაშავე, არამედ ადამიანურ სისუსტეს მიუძღვის მუდამ ბრალი.

რისიც მეშინოდა, ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როცა კეკეშფალვას სახლში მივედი. კოშკის აივანზე ავედი თუ არა, აღტაცების ყიჟინით შემხვდნენ, განგებ ყვავილები წამოვიღე, რომ შეხვედრის პირველ წუთებში ყურადღება მათზე გადაეტანათ, მაგრამ ედითმა ერთი კი შესძახა: ღვთის გულისათვის, რად გინდოდათ ეს ყვავილები? პრიმადონა ხომ არ ვარო?! და მაშინვე მოუთმენლად გვერდით მომისვა, თან გაფაციცებით დამიწყო ლაპარაკი. აღტაცებული შეუსვენებლად ტიტინებდა. ექიმმა კონდორმა (ო, ამ შესანიშნავმა, შეუდარებელმა ადამიანმა!) ისევ ჩაუნერგა მხნეობა. ათ დღეში შვეიცარიაში მიემგზავრებიან, ენგადინის სანატორიუმში. რატომ უნდა დაკარგონ თუნდაც ერთი დღე ახლა, როდესაც ძლივს გამოჩნდა რაღაც სინათლე? განა იმთავითვე სულ იმას არ გაიძახოდა, რომ მცდარ გზას ადგნენ, რომ მარტოოდენ ელექტრიზაციით, მასაჟითა და ამ ბრიყვული სამარჯვებით არაფერი გამოვიდოდა? ღმერთმანი, ცოტაც და უკვე გვიან იქნებოდა. ორჯერ (სხვა დროს არაფრის გულისთვის არ გამომიტყდებოდა) თურმე სცადა სიცოცხლეს გამოსალმებოდა და ორჯერვე ფუჭად ჩაუარა ცდამ. ისეთ ცხოვრებას, როგორითაც ის ცხოვრობს, დიდხანს ვერ გაუძლებს ადამიანი. რიგიანად ერთ საათსაც არ შეუძლია მარტომ გაძლოს, ფეხი ვერ გადაუდგამს, მუდამ უთვალთვალებენ, მუდამ ზედამხედველობას უწევენ, თან სიცოცხლეს უშხამავს იმის შეგნება, რომ ყველასთვის მხოლოდ ტვირთია, ზედმეტი ბარგია, რომ ყველას თავი მოაბეზრა. დიახ, დიდი ხანია, დიდი ხანია დროა!.. ედითი ამბობდა, რომ ახლა ეს ჭმუნვა წარსულს ჩაჰბარდა და იმედი ჰქონდა, რომ სულ მალე უკეთესობისკენ წავიდოდა საქმე. დიახ, სულ მალე, გამოჯანმრთელდებოდა ბოლომდე. აბა, რას არგია საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების ეს სულელური ნიშნები, როდესაც ისინი ფაქტიურად არაფერს ცვლიან?! მთლიანად უნდა განიკურნოს, თორემ ისე კვლავ დავრდომილია და საპყარი. აჰ, უკვე იმის მოლოდინიც აქვს, როგორ გაივლის და რა დაუვიწყარი წუთი დადგება მის ცხოვრებაში... გაუთავებლად მოედინებოდა მისი ბაგეებიდან აღტყინებულ სიტყვათა დაუდეგარი, მჩქეფარე, ბობოქარი ჩანჩქერი. ისეთი გრძნობა მქონდა, როგორიც ექიმს, რომელიც სიცხიანი ავადმყოფის ბოდვას ისმენს, თან პირუთვნელად საათის ისარს დასცქერის და უნდობლად ითვლის მაჯის გამალებულ ცემას. მას აშფოთებს ავადმყოფის აგზნებული მდგომარეობა, რადგან ამაში ფსიქიკური მოშლილობის უტყუარ კლინიკურ ნიშანს ხედავს. და რამდენჯერაც მისი მხიარული სიცილი გადაევლებოდა ხოლმე სიტყვათა მსრბოლავ ჩანჩქერს, იმდენჯერ გული მეკუმშებოდა, რადგან ვიცოდი ის, რაც მან არ იცოდა... იგი თავს იტყუებდა, ჩვენ კიდევ მას ვატყუებდით. როცა ბოლოს და ბოლოს მიჩუმდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორითაც უცებ შეშინებულს ეღვიძება ხოლმე ღამე მგზავრობისას, მატარებელი უეცრად რომელიღაც სადგურზე რომ დაამუხრუჭებს...

ქალიშვილმა კვლავ განაგრძო:

– აბა, რას იტყვით ამაზე? Pardon, მაგრამ რა ბრიყვულად გამოიყურებით, რამ შეგაშინათ? ხმას რატომ არ იღებთ? ნუთუ ჩემი ამბავი არ გახარებთ?

თითქოს დანაშაულზე წამასწრესო, ისეთი გრძნობა დამეუფლა. „ახლა ან არასოდეს, ვთქვი გუნებაში, ნამდვილად გულიდან მომდინარე აღტაცებით უნდა ველაპარაკო“. მაგრამ ტყუილის თქმაში მხოლოდ და მხოლოდ უბადრუკი ახალბედა ვიყავი, შეგნებული სიცრუის ხელოვნებას დაუფლებული არ გახლდით, ამიტომ ძლივს შევაკოწიწე ორიოდე სიტყვა:

– როგორ მეუბნებით ასეთ რამეს? უბრალოდ არ მოველოდი და შევცბი... ნუთუ არ გესმით... ტყუილად როდი ამბობენ ჩვენთან, ვენაში, სიხარულისაგან ენა ჩაუვარდაო... განა თქმა უნდა, რომ საშინლად მიხარია თქვენი ამბავი?

მე თვითონვე შევძრწუნდი, ისე ნაძალადევად და ცივად ჟღერდა ჩემი სიტყვები. ეტყობა, ქალიშვილმაც იმწამსვე იგრძნო ჩემი შეშფოთება, რადგან მასაც შეეცვალა განწყობა. განაწყენებულს გაბრწყინებული სახე ოდნავ მოეღრუბლა, როგორც ადამიანს, რომელიც საამო სიზმარს ხედავდა და გამოაღვიძეს. ეს-ეს არის აღტაცებით მოციმციმე თვალებში სიცივე ჩაუდგა და წარბები ისრის გასასროლად დაჭიმული მშვილდივით დაეძაგრა.

– რა ვიცი, მაინცდამაინც დიდ სიხარულს ვერ გამჩნევთ!

ვიცოდი, მართალს ამბობდა, მაგრამ მაინც ვცადე დამემშვიდებინა:

– კარგი, მაგრამ, პატარავ...

ამაზე კიდევ უფრო გაცხარდა:

– რა სულ „პატარას“ მეძახით! ხომ იცით, რომ ვერ ვიტან. განა ბევრად ხართ ჩემზე უფროსი? მე მგონი, უფლება მაქვს გამიკვირდეს, რომ ასე აღიქვამთ ყველაფერს და ჩემზე ოდნავაც არ შეგტკივათ გული! და ან კი საერთოდ რატომ არ უნდა გახარებდეთ, რომ სამკურნალოდ მივემგზავრები? თქვენ ხომ შვებულება გექნებათ, რადგან ჩვენი „სალონი“ ერთხანს დაიკეტება. შეგეძლებათ არხეინად იჯდეთ კაფეში თქვენს მეგობრებთან ერთად და ტაროკი ითამაშოთ, კეთილი სამარიტელის მოსაწყენი როლისგან კი გათავისუფლდებით. დიახ, დიახ, მართლაც შემიძლია ვირწმუნო, რომ გიხარიათ, საამური დრო დაგიდგებათ!

მისმა თითქმის უხეშმა, დამტუქსავმა კილომ ისედაც სიცრუით გაჯერებული სინდისი კიდევ უფრო ამიფორიაქა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თავი გავეცი. დაძაბულობის შესარბილებლად (კარგად ვიცოდი, რა საშიშიც იყო მისიგაღიზიანება ასეთ წუთებში) უწყინარი ხუმრობის კილოზე გადავედი.

– საამური დრო? აი, თურმე როგორ გაქვთ წარმოდგენილი საამური დრო კავალერისტისათვის ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერში! არ იცით, რომ სწორედ ამ დროს გვაძრობენ ტყავს და სისხლს გვიშრობენ?! ჯერ მანევრებისთვის სამზადისი დაიწყება, შემდეგ ბოსნიაში ან გალიციაში გავილაშქრებთ და უკან გამოვილაშქრებთ, თავად მანევრებსა და დიდ აღლუმებზე რომ არაფერი ვთქვა! ნერვებაშლილი ოფიცრები, სიქაგაცლილი რიგითები, დილიდან საღამომდე გამალებული წვრთნა და სამსახური. ასე გრძელდება სექტემბრის მიწურულამდე...

– სექტემბრის მიწურულამდე?.. – ედითი ერთბაშად ჩაფიქრდა. ეტყობოდა, რაღაც აზრი აწვალებდა, – მაშინ როდისღა... როდისღა ჩამოხვალთ?

მე ვერ გავიგე, მართლაც ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა და გულუბრყვილოდ ვკითხე:
– სად უნდა ჩამოვიდე?
იმწამსვე ისევ მრისხანედ მოემშვილდა წარბები.
– რა სულელურ შეკითხვებს მაძლევთ! სად და ჩვენს სანახავად! ჩემს სანახავად!
– ენგადინში?
– დიახ, სხვაგან სად? მოუსვლელში ხომ არა?
ახლაღა მივხვდი, რასაც გულისხმობდა. ჩემთვის კი იმის უბრალოდ გაფიქრებაც წარმოუდგენელი აბსურდი იყო, რომ მე, რომელმაც ეს-ეს იყო უკანასკნელი შვიდი კრონით მას ყვავილები ვუყიდე და რომლისთვისაც ყოველი გამგზავრება ვენაში (მიუხედავად იმისა, რომ ბილეთში ნახევარ ფასს ვიხდიდი) ნამდვილი ფუფუნება იყო, ენგადინს გავმგზავრებულიყავი.
– აი, ახლა კი გასაგებია, – გამეცინა ამჯერად უკვე სრულიად გულწრფელად, – თქვენ, როგორც სამოქალაქო პირი ისე წარმომიდგინეთ, არა? სამხედრო სამსახური კაფე, ბილიარდის თამაში, კორსოზე სეირნობა გგონიათ, ხოლო თუ მე მომეპრიანა, ორიოდე კვირით სამოქალაქო ტანსაცმელში გამოვეწყობი და ქვეყანას მოვივლი? ამაზე ადვილი არაფერია: ქუდის აფრასთან ორ თითს მიიდებ და იტყვი: „მშვიდობით, ბატონო პოლკოვნიკო, აღარ მინდა ჯარისკაცობანას თამაში, დავბრუნდები, როცა მომეხალისება!“ საოცრად მიამიტური წარმოდგენა გქონიათ იმ ჯოჯოხეთზე, რომელსაც არმია ჰქვია! იცით თუ არა, რომ თუ რომელიმე ჩვენგანს თუნდაც ერთი საათით გათავისუფლება დასჭირდა, უფროსს „უმორჩილესად“ უნდა ეახლოს, ქუსლი ქუსლს შემოჰკრას სმენაზე გამოიჭიმოს და ისე უპატაკოს სათხოვარი? დიახ, ამდენი ფორმალობა და ცერემონიაა საჭირო ერთადერთი საათისთვის. ხოლო მთელი დღე რომ დაგითხოვონ, სულ მცირე, მამიდა მაინც უნდა მოგიკვდეს, რათა მის დასაფლავებას დაესწრო. რა სახეს მიიღებს ჩემი პოლკოვნიკი, გახურებული მანევრების დროს რომ მოვახსენო, ერთი კვირით შვებულების აღება მომეპრიანა, შვეიცარიაში მინდა გავისეირნო-მეთქი? ისეთი სიტყვებით შემამკობს, რომლებსაც ვერც ერთ წესიერ ლექსიკონში ვერ ნახავთ. არა, ჩემო ძვირფასო ფროილაინ ედით, თქვენ ერთობ იოლად გაქვთ ეს წარმოდგენილი.
– აჰ, კარგი ერთი! ყველაფერი იოლია, თუკი გულით მოინდომებთ! თავი ისე ნუ მოგაქვთ, თითქოს თქვენი შეცვლა არ შეიძლებოდეს. რა, თქვენს აქ არყოფნაში სხვა ვერავინ გაუძღვება თქვენს ბატისტვინა ჯარისკაცებს? ხოლო რაც შეეხება შვებულებას, მამაჩემი ამ საქმეს იოლად მოაგვარებს. უამრავ ხალხს იცნობს სამხედრო სამინისტროში. ერთი კი წამოსცდეთ ზემოთ და მაშინვე მიიღებთ იმას, რასაც ითხოვთ. თან, მგონი, არ გაწყენთ, თუ ქვეყნად, თქვენი ცხენოსნობის სკოლისა და სავარჯიშო მოედნის გარდა, სხვა რამესაც ნახავთ. ასე რომ, ნუ უარობთ, უკვე გადაწყდა. ყველაფერს მამა მოაგვარებს.
სისულელე იყო, მაგრამ ქალიშვილის მედიდური კილო მაღიზიანებდა. სამხედრო სამსახურში გატარებულმა წლებმა, ეტყობა, ერთგვარი წოდებრივი სიამაყე ჩამინერგა, რადგან რაღაც დამამცირებელს ვგრძნობდი, როდესაც ეს სულ მთლად ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალიშვილი ასე ქედმაღლურად მსჯელობდა სამხედრო სამინისტროს გენერლებზე (რომლებიც ჩვენ თითქმის ღმერთებად გვესახებოდნენ), თითქოს მამამისის

ხელქვეითნი ყოფილიყვნენ. მაგრამ ამ უსიამო გრძნობის მიუხედავად, მაინც ხუმრობის კილოთი განვაგრძე საუბარი:

– მშვენიერია შვეიცარია, შვებულება, ენგადინი... შესანიშნავი იქნება, თუ მართლაც, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, ყველაფერი სინით მომერთმევა, ისე, რომ მუცელზე ხოხვა და ხვეწნამუდარა არ დამჭირდეს. მაგრამ ამასთანავე საჭირო იქნება, მამათქვენმა სამხედრო სამინისტროში შვებულებასთან ერთად ბატონი ლეიტენანტ ჰოფმილერისათვის საგზაო ფულიც გამოაწერინოს.

ახლა მისი გაკვირვების ჯერი დადგა. გრძნობდა, რომ ჩემს სიტყვებში რაღაც ფარული აზრი იმალებოდა, მაგრამ სახელდობრ რა, ვერ ჩასწვდომოდა. უფრო მოემშვილდა წარბები შეშფოთებული თვალების ზემოთ. მივხვდი, რომ უფრო გარკვევით უნდა მეთქვა ჩემი სათქმელი.

– მოდი, ჭკვიანურად ვიმსჯელოთ, პატარავ... პარდონ, ჭკვიანურად ვილაპარაკოთ, ფროილაინ ედით. სამწუხაროდ, ეს ისეთი იოლი საქმე არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. აბა, მითხარით, ოდესმე გიფიქრიათ, რამდენი დაჯდება ამგვარი გასეირნება?

– აი თურმე რას გულისხმობთ! – შესძახა მან, ვითომც აქ არაფერიო, – არა მგონია ძალიან ძვირი იყოს, სულ ბევრი, ალბათ ორასი-სამასი კრონა. რა მნიშვნელობა აქვს ამას?

აქ კი უკვე ვეღარ შევიკავე თავი, რომ აღშფოთება არ გამომეხატა, რადგან ჩემს მტკივნეულ ადგილს შეეხნენ. მგონი, ერთხელ უკვე ვთქვი, როგორ მაწვალებდა ის ამბავი, რომ პოლკის ოფიცერთა შორის იმათ რიცხვს ვეკუთვნოდი, ვისაც საკუთარი ერთი გროშიც არ ებადა და იძულებული ვიყავი მარტოოდენ ჯამაგირითა და ბიცოლაჩემის ნაწყალობევით გამეტანა თავი, თვით მაშინაც კი, როდესაც მეგობრები ჩემი თანდასწრებით ფულზე ისე აგდებით დაიწყებდნენ ხოლმე ლაპარაკს, თითქოს იგი ჩეჩქივით ყველგან ეყაროს. დიახ, ეს ჩემი მტკივნეული ადგილი იყო. ამაში მოვიკოჭლებდი და ყავარჯნები მჭირდებოდა. ჯერ მარტო უკვე ის მახელებდა, რომ ამ განებივრებულ პატარა ქმნილებას ჩემი არ ესმოდა, თუმცა თვითონაც ასე ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა, რაკი არასრულფასოვანი იყო.

– სულ ბევრი, ორასი-სამასი კრონა? რა ცოტაა, არა? უმნიშვნელო წვრილმანია ოფიცრისათვის! და, რასაკვირველია, უხერხულად მიგაჩნიათ, რომ საერთოდ ასეთ რამეზე დავიწყე ლაპარაკი. ხომ მართალია, რომ წვრილმანობაა? მაგრამ ოდესმე გიფიქრიათ, რითი ვირჩენთ თავს? როგორ ვიდგამთ წელზე ფეხს, რომ ის ვიმყოფინოთ, რაც გვაქვს?

და რადგან ედითი თვალებმოჭუტული და (როგორც მე სულელს მეგონა) მქირდავი მზერით მომჩერებოდა, უეცრად სურვილმა ამიტანა მთელი ჩემი სიღარიბე დამენახვებინა მისთვის. ზუსტად ისევე, როგორც მან ერთხელ განგებ, დემონსტრაციულად გაიარა ყავარჯნებით ოთახში, რათა ამ სავალალო სანახაობით ჩვენ, ჯანმრთელები, დავესაჯეთ, რათა შური ეძია ჩვენზე, რაკი არაფერი გვტკიოდა და თავს კარგად ვგრძნობდით. ახლა მეც, გაბრაზებულს, მინდოდა სამაგიერო გადამეხადა და ჩემი არსებობის მთელი სიდუხჭირე და სხვაზე დამოკიდებულება ცინიკურად გამეშიშვლებინა.

– საერთოდ იცით კია, რამდენს იღებს ლეიტენანტი? – შევუტიე ქალიშვილს, – გიფიქრიათ ამაზე ოდესმე? ჰოდა, ამიერიდან იცოდეთ: ყოველი თვის პირველ რიცხვში ორას კრონას და ეს უნდა იმყოფინოს ოცდაათი ან ოცდათერთმეტი დღე, თანაც ვალდებულია მისი „წოდების შესაბამისად“ იცხოვროს. ამაში შედის ჭამა-სმა, ბინა, აქედანვე უნდა გაუსწორდეს თერძს, მეწაღეს და დაფაროს მისი „წოდების შესაბამის გართობასთან დაკავშირებული ხარჯებიც. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუ, ღმერთმა დაიფაროს და, მის ცხენს რამე დაემართება! და აი, თუ მთელი თვე ყოველი „ზედმეტი“ გროშის გადანახვა შეძლო, შეიძლება დრო გაატაროს იმ სამოთხის კუნჭულში, რომელსაც კაფე ეწოდება და რომელსაც მუდამ მაყვედრით; იქ შეუძლია ერთ ფინჯან რძიან ყავას მიუჯდეს, ისიც თუ მართლაც მთელი თვე დღიურ მუშასავით ყოველ გროშს ზოგავდა, და ისეთი განცხრომითა და ნეტარებით შეექცეს, თითქოს ყველა ამქვეყნიურ სიამეს ერთად ეწაფებოდეს...

დღეს ჩემთვის გასაგებია, რა სისულელე, რა მიუტევებელი დანაშაული იყო, რომ ბრაზს ასე ავყევი. რა შეიძლებოდა სცოდნოდა ამ ჩვიდმეტი წლის გოგონას, კარჩაკეტილად გაზრდილს, საწოლზე მიჯაჭვულ, ფეხებდადამბლავებულს, ფულის ყადრისა და ჯამაგირისა, ან ჩვენი დუხჭირი ცხოვრების შესახებ? მაგრამ ეშმაკი შემიჯდა და გულით მინდოდა ვინმეზე მეყარა ჯავრი იმ ურიცხვი წვრილმანი დამცირებისთვის, რომელთა გადატანა განუწყვეტლივ მიხდებოდა. და ვროშავდი და ვროშავდი ბრმად, ანგარიშმიუცემლად, როგორც ბრაზმორეული ადამიანი იქნევს ხელებს და ვერ გრძნობს, რამდენად მძიმე დარტყმას აყენებს სხვას...

მაგრამ როგორც კი მის მზერას მოვკარი თვალი, მაშინვე მივხვდი, რა უხეშად ვლაპარაკობდი. ედითი ავადმყოფთათვის დამახასიათებელი გამახვილებული ალღოთი უმალვე მიხვდა, რომ უნებლიეთ ჩემს მტკივნეულ ადგილს შეეხო. ულმობელმა სიწითლემ გასცა (დავინახე, როგორ შეეცადა თავს დაუფლებოდა და მარდად აიფარა სახეზე ხელი, მაგრამ მაინც შეუფაკლდა ღაწვები), ეტყობოდა, რაღაც ისეთს ფიქრობდა.

– მერედა... თქვენ ასეთ ძვირფას ყვავილებს ყიდულობთ ჩემთვის?!

ორივესთვის უხერხული წუთი ჩამოწვა და ორივეს საუკუნედ გვეჩვენა იგი. მე მისი მრცხვენოდა, მას კი ჩემი. ჩვენდა უნებურად ვაწყენინეთ ერთმანეთს და ახლა გვეშინოდა, კიდევ რამე არ გვეთქვა ისეთი, რაც ამ წუთს უფრო გაამძაფრებდა. ანაზდეულად ჩამოვარდნილ სიჩუმეში სიოს ხმაც კი ისმოდა, რომელიც ხეებს ელამუნებოდა; ქვემოთ, ეზოში, ქათმები კრიახებდნენ და შარაგზიდან დროდადრო ფორნის ბორბლების ხმა აღწევდა. მაგრამ აი, ედითი ისევ დაეუფლა თავს:

– სულელი ვარ, რომ თქვენს უგუნურ ლაპარაკს ავყევი და ნერვებიც ავიშალე! არა, ნამდვილად ტუტუცი ვარ! რა თქვენი საქმეა, რა ჯდება მგზავრობა? თუ ჩამოხვალთ, რასაკვირველია, ჩვენი სტუმარი იქნებით. როგორ გგონიათ, მამა ახლა ხარჯსაც გაგაწევინებთ ჩვენ გამო, თუ იმდენ თავაზიანობას გამოიჩენთ და გვეწვევით? აბა, რა სისულელეა! მე კიდევ ყურები ჩამოვყარე... ასე რომ, კრინტი აღარ დაძრათ ამის შესახებ, გეუბნებით, კრინტი აღარ დაძრათ!

მაგრამ ეს ისეთი რამ იყო, რაშიც დათმობაზე წასვლა არ შემეძლო, რადგან (ეს ადრეც მითქვამს) არაფერი ისე აუტანელი არ იყო ჩემთვის, როგორც აზრი, რომ სულელის როლში გამოვიდოდი.

– არა, უნდა მომისმინოთ! არ მინდა, რომ ჩვენ შორის რაიმე გაუგებრობა იყოს! ასე რომ, მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით: შვებულებას ვერ ავიღებ და ვერც სხვების ხარჯზე ვიქნები. შეღავათები და გამონაკლისები არ მჭირდება. ჩემი ადგილი არმიაშია, ჩემი მეგობრების გვერდით, დაპროტექციაზე უარს ვაცხადებ. ვიცი, რომ კარგი გსურთ ჩემთვის, რომ მამათქვენსაც კარგი უნდა, მაგრამ კაცია და გუნება, ზოგს სხვისი ხელით მორთმეული არ უყვარს... გთხოვთ, ამ საკითხს მეტად ნუღარ შევეხებით.

– მაშ, არ გსურთ ჩამოსვლა?

– მე არ მითქვამს, არ მსურს-მეთქი. მე უბრალოდ ავხსენი, რატომ არ შემიძლია ჩამოსვლა.

– მამამ რომ გთხოვოთ, მაინც არ დათანხმდებით?

– არა!..

– და მე... მე რომ სულითა და გულით, მეგობრულად გთხოვოთ?

– არ გინდათ, ედით, აბა, რა აზრი აქვს?

ქალიშვილმა თავი დახარა. მაგრამ არ გამომპარვია, როგორ შეუთამაშდა და აუთრთოლდა ბაგე, რაც, ეჭვი არ იყო, ჭექა-ქუხილის მოახლოებას მოასწავებდა. ეს საბრალო, განებივრებული ბავშვი, რომელსაც ყველა თვალებში შესციცინებდა და რომლის ყოველ სურვილს ამ სახლში კანონის ძალა ჰქონდა, წინააღმდეგობას წააწყდა... არაო, უთხრეს და ამან გაამწარა. ერთბაშად ხელი დასტაცა ჩემს მოტანილ ყვავილებს, რომლებიც მაგიდაზე ელაგა, და აივნის მოაჯირს იქით გადაუძახა.

– კეთილი, გამოსცრა შემდეგ კბილებში, ახლა ის მაინც ვიცი, სადამდე გასწვდება ადამიანს თქვენი მეგობრობა. კიდევ კარგი, რომ გამოგცადეთ. მხოლოდ იმიტომ იგონებთ თავის გასამართლებელ საბუთებს, რომ თქვენი მეგობრები კაფეში ღრეჭვას არ მოჰყვნენ; მხოლოდ იმიტომ უწვეთებთ მეგობრებს სიხარულის ნექტარში შხამს, რომ გეშინიათ სახელი არ გაგიტყდეთ პოლკში!.. კეთილი და პატიოსანი! კმარა, მეტს აღარ ვიმათხოვრებ! კეთილი და პატიოსანი! კმარა! კმარა! კმარა!

ვგრძნობდი, რომ მისი მღელვარება, ჯერ კიდევ არ განელებულიყო, რადგან ისევ და ისევ ჯიუტად იმეორებდა: კეთილი და პატიოსანიო! თან სავარძლის სახელურებს ჩააფრიდა ორივე ხელით და სხეული ისე წამოსწია წინ, თითქოს შეტევისთვის ემზადებოდა. შემდეგ უეცრად მომიბრუნდა:

– კეთილი. საკითხი ამოწურულია! ჩვენი უმორჩილესი თხოვნა უარყოფილ იქნა. არ ჩამოხვალთ. თქვენ არ გსურთ ჩამოხვიდეთ. ასეთი რამ ხელს არ გაძლევთ. კეთილი! როგორმე გავუძლებთ ამ ამბავს. ადრე ხომ ვიტანდით უთქვენობას... მაგრამ ერთი რამ კი მინდა გკითხოთ... გულწრფელად მიპასუხებთ?

– რა თქმა უნდა!

– არ მომატყუოთ, იცოდეთ! პატიოსანი სიტყვა მომეცით! თქვენი პატიოსანი სიტყვა!..

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

– კეთილი, კეთილი, – აჩემებულად იმეორებდა ამ სიტყვას გამკენწლავად, თითქოს დანით რაღაცას კეპავსო, – ნუ გეშინიათ, მე აღარ მოვითხოვ თქვენი უდიდებულესობის ჩამობრძანებას. მხოლოდ ერთი რამ მსურს ვიცოდე თქვენ ხომ სიტყვა მომეცით მხოლოდ ერთი რამ... მაშ ასე, იმიტომ არ გინდათ ჩვენთან ჩამოსვლა, რომ არ გესიამოვნებათ, რომ გეუხერხულებათ... თუ კიდევ სხვა მიზეზიცაა, ეს არ მაინტერესებს. კეთილი... კეთილი... ამაზე ლაპარაკს მოვრჩით, მაგრამ ახლა მიუკიბ-მოუკიბავად, გულწრფელად მითხარით: მაშინ საერთოდ რატომ დადიხართ ჩვენთან?

ყველაფერს მოველოდი, ასეთ შეკითხვას კი არა, და შეშფოთებულმა დროის მოსაგებად წავიდუდღუნე:

– კარგი, მაგრამ... ეს ხომ სულ უბრალო ამბავია... ამისთვის ჩამომართვით განა პატიოსანი სიტყვა?..

– მართლა?.. უბრალო ამბავია? მით უკეთესი! აბა, დაიწყეთ!

ამის შემდეგ უკვე გასაქანი აღარ მქონდა. სიმართლის მოყოლა ყველაზე მარტივი ჩანდა, მაგრამ ვიცოდი, რომ დიდი სიფრთხილე მმართებდა, ყოველი სიტყვა საგულდაგულოდ უნდა ამეწონდამეწონა. ამიტომ მოჩვენებითი დაუდევრობით დავიწყე:

– ძალიან გთხოვთ, ძვირფასო ფროილაინ ედით, რაიმე ფარული მიზეზი არ ეძებოთ, უკვე საკმაოდ კარგად მიცნობთ და იცით, რომ იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც თავს იმტვრევს თვითანალიზით. გეფიცებით, არასოდეს აზრად არ მომსვლია შემემოწმებინა ჩემი თავი, რატომ დავდივარ პეტრესთან ან პავლესთან, რატომ მომწონს ერთი, მეორე კი არა. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, ვერც ჭკვიანურსა და ვერც სულელურს, იმის გარდა, რომ თუ თქვენთან სისტემატურად დავდივარ, მხოლოდ იმიტომ, რომ მეხალისება თქვენთან მოსვლა, რომ თქვენთან ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე სადმე სხვაგან. როგორც ჩანს, კავალერისტები ერთობ ოპერეტულად გყავართ წარმოდგენილი: თითქოს მუდამ დარდიმანდები, მხიარულები ვიყოთ, თითქოს სულ დროს ტარებასა და ქეიფში ვაღამებდეთ დღეებს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს და შიგნით თუ ჩაიხედავთ, მხოლოდ მწირსა და ერთფეროვან ცხოვრებას წააწყდებით. ყბადაღებული არმიული მეგობრობაც ხშირად საკმაოდ მერყევია. სადაც ათობით ადამიანი ერთ უღელშია შებმული, იქ მუდამ ერთი უფრო მძლავრად ეწევა, ვიდრე მეორე, ხოლო სადაც სამსახურში დაწინაურებაა და ჩინები, ძალზე იოლია შენზე წინ მიმავალს ფეხი დაუდო. ხმას ვერ ამოიღებ ისე, რომ არ გეშინოდეს, ზედმეტი რამ ხომ არ წამოვაყრანტალეო. გარკვევით არასოდეს იცი, შენით კმაყოფილი არიან თუ არა უფროსები; ჰაერში მუდამ ავდრის სუნი ტრიალებს. სიტყვა „სამსახური“ „მსახურიდან“ მომდინარეობს, ხოლო მსახურად ყოფნა დაქვემდებარებულ ყოფნას ნიშნავს. თანაც ყაზარმა და სამიკიტნო ოჯახური კერის მაგივრობას ვერ გასწევენ; შენზე გული არავის შესტკივა, არავის სჭირდები; დიახ, დიახ, ძმაკაცებში ზოგჯერ მხიარულად გრძნობ თავს, მაგრამ მაინც ბოლომდე გულდაჯერებული მაინც არ ხარ. სამაგიეროდ, როდესაც თქვენთან მოვდივარ, ხმლის მოხსნასთან ერთად ყოველივე დარდსაც ვიცილებ თავიდან, და როდესაც თქვენთან ასე მყუდროდ ვზივარ და ვმუსაიფობ, მაშინ...

– მერე... რა მაშინ? – მოუთმენლად აღმოხდა ედითს.

– მაშინ... შეიძლება კადნიერებაში ჩამომართვათ, რასაც ახლა გულწრფელად გაგანდობთ, მაგრამ... მაშინ ჩემს თავს ვარწმუნებ, რომ თქვენთვის სასურველი სტუმარი ვარ, რომ თქვენ შინაურად მიგაჩნივართ, რომ აქ ბევრად უფრო ოჯახური ატმოსფეროა ჩემთვის, ვიდრე სადმე სხვაგან. ყოველთვის, როცა კი თქვენ გიმზერთ, ისეთი გრძნობა მაქვს...

უნებლიეთ ხმა ჩამიწყდა, მაგრამ ქალიშვილი მაშინვე ისევ ისე ცხარედ დამაცხრა:

– რაო, როგორი გრძნობა გაქვთ?..

– რომ თითქოს აქ არის ადამიანი, რომლისთვისაც არცთუ ისე ზედმეტი ბარგი ვარ, როგორც, მაგალითად, ჩემიანებისთვის... რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეს ჩემი პირადი დამსახურება არ არის, ზოგჯერ მიკვირს კიდეც, რომ აქამდე თავი არ მოგაბეზრეთ... ხშირად... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ხშირად, შეშინებული ვფიქრობ ხოლმე, თავი ხომ არ შევაწყინე-მეთქი, მაგრამ მერე მუდამ მაგონდება, რომ მარტოდმარტო ზიხართ ვეებერთელა ცარიელ სახლში, გიხარიათ, როდესაც ვინმე მოდის თქვენს სანახავად, და ეს სასოებას მანიჭებს... რამდენჯერაც უნდა მოვიდე და კოშკის აივანზე ან თქვენს ოთახში დაგინახოთ, მუდამ გამიელვებს ფიქრი: რა კარგია, რომ მოვედი, თორემ მთელი დღე ასე მარტოდმარტო იჯდებოდა-მეთქი... ნუთუ ეს არ შეგიძლიათ გაიგოთ?

სულ რომ არ მოველოდი, ისე იმოქმედა ედითზე ჩემმა ნათქვამმა. ნაცრისფერ თვალთა მზერა გაეყინა, თითქოს ჩემს სიტყვებში რაღაც იყო ისეთი, რამაც ქვად აქცია მისი თვალების გუგები. ხელის თითები კი, პირიქით, მოუსვენრად აუთამაშდა, სავარძლის სახელურს ნერვულად ჩაებღაუჭა, შემდეგ კი მისმა თითებმა გლუვ ხეს კაკუნი აუტეხეს, ჯერ ძლივს გასაგონად, მერე და მერე კი სულ უფრო და უფრო გამალებით. პირი ოდნავ დაებრიცა და ერთბაშად მკვახედ წარმოთქვა:

– დიახ, გასაგებია ჩემთვის. კარგად მესმის, რისი თქმაც გინდოდათ... ამჯერად... ამჯერად, მგონი, მართლაც გულწრფელად ლაპარაკობდით. ძალიან დელიკატურად, ძალიან მორიდებულად გამოხატეთ თქვენი აზრი, მაგრამ მშვენივრად გავიგე ყველაფერი, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე გავიგე... თქვენ ამბობთ, რომ რახან ასე „მარტოდმარტო“ ვარ, იმიტომ დადიხართ ჩვენთან, ანუ, თუ პირდაპირ ვიტყვით, იმის გამო, რომ მე ამ წყეულ სავარძელს ვარ მიჯაჭვული... მხოლოდ ამიტომ მოდიხართ აქ ყოველ საღამოს, ამხელა მანძილს გადიხართ, მხოლოდ როგორც კეთილი სამარიტელი „საბრალო სნეული ბავშვის“ სანახავად. თუ არ ვცდები, ასე მეძახით ყველანი ზურგს უკან. ვიცი, ვიცი, მხოლოდ თანაგრძნობის გამო დაიარებით ჩემთან. დიახ, დიახ, მჯერა, რომ ასეა. ახლა რაღა საჭიროა ამის უარყოფა? თქვენ ხომ ეგრეთ წოდებული „კეთილი ადამიანი“ ხართ და მოგწონთ კიდეც, რომ მამაჩემი ასე გიხსენებთ. თქვენებრ „კეთილ ადამიანებს“ ყოველი ნაცემი ძაღლი, ყოველი ქეციანი კატა ებრალებათ და ფეხებწართმეულს როგორ არ შეიცოდებენ?!

ამის თქმა იყო და ერთბაშად წამოიწია. კრუნჩხვამ დაუარა მთელ სხეულში.

– მაგრამ ნურას უკაცრავად! მე ჩირადაც არ მიღირს ისეთი მეგობრობა, რომელიც ჩემი ხეიბრობითაა გამოწვეული... დიახ, ასეთ მწუხარე სახეს ნუ იღებთ! თუმცა გასაგებია, იმას წუხხართ, რომ სიმართლე წამოგცდათ, და ნანობთ, რატომ ვაღიარე, რომ მხოლოდ

სიბრალულის გამო დავდივარ თქვენსასო. ასე ხომ იმ მოსამსახურე დედაკაცსაც შევეცოდე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მან გულწრფელად და უშუალოდ გამოხატა თავისი გრძნობები, თქვენ კი, როგორც „კეთილმა ადამიანმა“, ბევრად უფრო ფაქიზად და ფრთხილად გამოთქვით თქვენი აზრი, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდით: მთელი დღე მარტოდმარტო ზიხართ და ამიტომაცო. უკვე დიდი ხანია ვგრძნობ მთელი ჩემი არსებით ამას. ვიცი, რომ მხოლოდ სიბრალულის გამო მოდიხართ და თან ისიც გინდათ, რომ ყველა აღტაცებული იყოს თქვენი თავგანწირული საქციელით. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მსურს ვინმემ მადლი მოისხას და ჩემ გამო თავი გაწიროს! „მადლის მოსხმას“ ვერავისგან ავიტან და მით უმეტეს თქვენგან... გიკრძალავთ, გესმით, გიკრძალავთ ასეთ რამეს!.. იქნებ გგონიათ, რომ მართლა არ შემიძლია უთქვენოდ ყოფნა? რომ ვერ გავძლებ, თუ წინ არ დამიჯექით, ჭირისუფალივით თვალცრემლიანმა არ მიმზირეთ და რუდუნებით არ მესაუბრეთ?.. არა, მადლობა ღმერთს, არავინ მჭირდებით. მე თავად მოვუვლი ჩემს თავს, ყველაფერს მარტო გადავიტან. ხოლო თუ ვეღარ გავუძლებ, ვიცი, როგორც დაგაღწიოთ თავი... აი!.. (მან ხელი გამომიშვირა და ხელისგული ზემოთ მოაქცია) ხედავთ ნაჭრილობევს? ერთხელ უკვე ვცადე, მაგრამ გამოუცდელობის გამო ვენის გადაჭრა ვერ მოვახერხე ბლაგვი მაკრატლით. თან დროზეც მომისწრეს, შემიხვიეს და ყოვლად ბრიყვული რამ გამოვიდა, თორემ დიდიხანია ყველასა და ყველაფრისგან გავთავისუფლდებოდი, თქვენგანაც და თქვენი ამაზრზენი სიბრალულისგანაც. მაგრამ მეორეჯერ უკეთ ვიმოქმედებ, შეგიძლიათ მენდოთ! ასე რომ, მთლად უმწეო არ გეგონოთ! სჯობს, სული ამოგხდეს ადამიანს, ვიდრე შენი საპყარი მდგომარეობის გამო ერთთავად სამძიმრებს ისმენდე! აი!.. – გაიცინა უეცრად და მისმა სიცილმა ხერხივით გამჭოლად და მკვეთრად ჩაჭრა მდუმარება. მან ისევ განაგრძო: – აბა, ამას შეხედეთ! წინდახედულ მამაჩემს ერთი რამ დაავიწყდა, როდესაც ჩემთვის ამ კოშკს აწყობდა... მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ კარგი ხედი მქონოდა... განა ექიმმა ასე არ უთხრა?.. რაც შეიძლება ბევრი მზე და სუფთა ჰაერიო... მაგრამ, იცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს რა კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ამ კოშკის აივანს? არავის აზრად არ მოსვლია, არც მამას, არც ექიმს და არც არქიტექტორს... მოდით, ერთხელ მაინც გადაიხედეთ დაბლა... თან გამწარებულმა ერთბაშად წამოიწია, ხელებს დაებჯინა, აქეთ-იქით მოქანავე სხეული ერთბაშად წინ გადაისროლა და ორივე ხელით მოაჯირს ჩააფრინდა...

– ოთხი-ხუთი სართულის სიმაღლე იქნება, დაბლა კი ქვის ფილაქანია... სრულიად საკმარისია და, მადლობა ღმერთს, მკლავებში იმდენი ძალა მაინც მაქვს, რომ მოაჯირს გადავევლო... დიახ, ყავარჯნებით სიარული კუნთებს ამაგრებს. ერთს გადავქანდები და თქვენს წყეულ თანაგრძნობას სამუდამოდ თავს დავაღწევ. ყველა დაისვენებს ჩემგან: მამაჩემიც, ილონაც და თქვენც ყველა, ვისაც კი მე, სახიჩარი, ზედმეტ ბარგად ვაწევარ... ხედავთ, რა ადვილია, საკმარისია ოდნავ გადავიხარო და...

გული გადამიქანდა, როცა ედითი მეტისმეტად გადაიხარა მოაჯირზე და თან მისი ანთებული თვალები დავინახე. სასწრაფოდ წამოვხტი და მკლავზე წავატანე ხელი, მაგრამ თითქოს ხელი კი არა, გახურებული შანთი შეახესო, ისე შეკრთა და დამიყვირა:

– მომცილდით! როგორ ბედავთ და ხელს მკიდებთ!.. მომცილდით!.. ჩემი ნებაა, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ახლავე გამიშვით ხელი!

სასოწარკვეთილი, არ ვიცი რას ჩავდიოდი. ძალით ვცდილობდი მოაჯირისთვის მომეცილებინა მისი ხელები. ქალიშვილი უეცრად მთელი ტანით ჩემკენ შემობრუნდა და მკერდზე ხელი მკრა. მაშინ საშინელი რამ მოხდა. ხელის კვრის დროს ედითმა წონასწორობა დაკარგა, მუხლებმა უღალატეს და მოცელილივით ჩაიკეცა. წაქცევის დროს შეეცადა მაგიდის კიდეს ჩასჭიდებოდა, ისიც გადმოყირავდა და რადგან უკანასკნელ წამს მე მაინც შევეცადე წაქცეული დამეჭირა, ორივეს დაგვეყარა ყველაფერი, რაც ზედ ელაგა; ლარნაკი წკრიალით დაეცა დაბლა და ნამსხვრევებად იქცა, თეფშები, ლამბაქები, ფინჯნები და კოვზები ბზრიალბზრიალით გადმოცვივდა, ხოლო ბრინჯაოს ზარმა ხმადაბლა დაიწკარუნა, როცა დაბლა დაეცა, და წკარა-წკურით მთელ აივანს შემოუარა. სნეული ქალიშვილი უმწეოდ ეგდო ძირს და ბოღმამორეული ფართხალებდა, სიმწრისა და სირცხვილისგან მწარედ ტიროდა. დავაპირე მისი მჩატე სხეული ისევ ფეხზე წამომეყენებინა, მაგრამ ხელი მკრა და სლუკუნით წაილუღლუღა:

– მომცილდით, მომცილდით... თავი დამანებეთ, სულმდაბალო, გულქვა ადამიანო!.. თან განუწყვეტლივ ხელებს ასავსავებდა და ცდილობდა როგორმე უჩემოდ წამომდგარიყო. რამდენჯერაც მივედი, დასახმარებლად, იმდენჯერ მოიკრუნჩხა და ბრაზით სავსე, ათრთოლებული ხმით შესძახა:

– მომშორდით... ხელი არ მახლოთ... შორს ჩემგან!..

არასოდეს შევუპყრივარ მსგავს სასოწარკვეთას.

რამდენიმე წამში ჩემს უკან ყრუ ზრიალი გაისმა. ლიფტი ამოდიოდა ზემოთ. ეტყობა, მუდამ ფხიზლად მყოფმა იოზეფმა ძირს დავარდნილი ზარის ხმა გაიგონა. ერთგულმა მსახურმა შემკრთალი თვალები შემოსვლისთანავე ძირს დახარა, ჩვენკენ გამოეშურა და ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს, მოფართხალე სხეული გაწაფული მოძრაობით მაღლა აიტაცა და მტირალი ქალიშვილი ლიფტისკენ ასე წაიყვანა. ერთ წუთსაც არ გაუვლია და ლიფტი ყრუ ზრიალით ახლა დაბლა დაეშვა; მარტოდმარტო დავრჩი გადმობრუნებულ მაგიდასა, დამსხვრეულ ჭურჭელსა და მიმოფანტულ საგნებს შორის...

* * *

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიდექი დამსხვრეული ჭურჭლით მოფენილ ერდოზე, თავბრუდახვეული გრძნობების ესოდენ სტიქიური აფეთქებით, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. განა ისეთი რა სიბრიყვე ვთქვი? რითი დავიმსახურე ეს გამაოგნებელი მრისხანება? მაგრამ, აი, ჩემს ზურგს უკან კვლავ გაისმა ნაცნობი ხმა, ვენტილატორის მსგავსი ზუილი, ლიფტი მაღლა ამოვიდა და მის ზღურბლზე კვლავ გამოჩნდა იოზეფი. თვალებდახრილი მსახური მორიდებულად მომიახლოვდა, თან ვიდრე ჩემთან მოვიდოდა, დაბლა დაგდებულ ხელსახოცს დასწვდა.

– მომიტევეთ, ბატონო ლეიტენანტო, – ხმადაბლა მითხრა ისეთი მოკრძალებით, თითქოს მასთან ერთად მისი ხმაც მიკრავდა თავს, – ნება მომეცით, შეგიმშრალოთ. –

მხოლოდ ახლაღა, როცა მის ხელსახოციან ხელს ვადევნებდი თვალს, ვეებერთელა სველი ლაქა შევნიშნე ჩემს კიტელსა და ღია ფერის შარვალზე. როგორც ჩანს, წაქცეულის დასახმარებლად რომ დავიხარე, ერთერთი ფინჯნიდან ჩაი გადმომესხა. ვიდრე მუხლებზე დაჩოქილი მსახური ხელსახოცით გულმოდგინედ წმენდდა და ამშრალებდა ჩემს სამოსს, მე ზემოდან დავცქეროდი მის კეთილ ჭაღარა თავს, მის ერთგულ კეფას და უნებლიეთ ეჭვი შემეპარა, რომ მოხუცი განგებ ხრიდა თავს ასედაბლა: არ უნდოდა მისი სახე და მწუხარე მზერა დამენახა.

– არა, ასე არაფერი გამოვა, – დასძინა მან ბოლოს განაწყენებულმა. – ყველაფერს სჯობს, ბატონო ლეიტენანტო, მძღოლი გავგზავნოთ ყაზარმაში და სხვა მუნდირი მოვატანინოთ. ასე ხომ ვერ გახვალთ გარეთ. თუმცა, ერთ საათში გაშრება ყველაფერი და შარვალსაც კოხტად დაგიუთოებთ.

ეს ყველაფერი პროფესიულ, საქმიან კილოზე წარმოთქვა, მაგრამ ამ თითქოსდა გულგრილ კილოში ვერაგულად გაისმოდა თანაგრძნობისა და დაბნეულობის ჩქამიც.

როდესაც ეკიპაჟს გამოუძახეს, მოულოდნელად ჩაახველა და კეთილი, ოდნავ დაღლილი თვალები მომაპყრო:

– გთხოვთ, ბატონო ლეიტენანტო, იქნებ ინებოთ და ცოტა ხანს კიდევ დარჩეთ. საშინელება იქნება, ახლავე რომ წაბრძანდეთ. დანამდვილებით ვიცი, რომ ფროილაინ ედითს ეს ერთობ დააღონებს და გააღიზიანებს. კარგი იქნება, თუ ცოტა ხანს დაიცდით. ახლა მასთან ფროილაინ ილონაა... ეს-ეს არის ლოგინში ჩააწვინა და მე დამავალა გადმომეცა თქვენთვის, რომ ერთი წუთით მოიცადოთ, ბატონო ლეიტენანტო. კარგი იქნება, თუ დაელოდებით.

უნებლიეთ ჩემზე ძალიან იმოქმედა ამ ამბავმა. ყველას როგორ უყვარს ეს სნეული გოგონა!.. დაუოკებელმა სურვილმა ამიტანა, თბილი სიტყვები მეთქვა ამ კეთილი მოხუცისთვის, რომელმაც, ეტყობა, თავისივე კადნიერებით შეშფოთებულმა, ისევ გაფაციცებით დაუწყო წმენდა ჩემს მუნდირს. ამიტომ ოდნავ მოვუთათუნე მხარზე ხელი:

– თავი გაანებეთ, ძვირფასო იოზეფ, წვალებად არ ღირს! მზეზე ერთ წამში გაშრება, ხოლო თქვენი ჩაი, იმედია, ისე მუქი არ არის, რომ თვალში საცემ ლაქად დააჩნდეს. სჯობს, ამას თავი გაანებოთ და ჭურჭელი ახვეტოთ. მე კი დავიცდი, ვიდრე ილონა მოვიდოდეს.

– ო, რა კარგია, ბატონო ლეიტენანტო, რომ არ მიდიხართ, – შვებით ამოისუნთქა მან, – მალე ბატონი ფონ კეკეშფალვაც დაბრუნდება და დიდად გაიხარებს, აქ რომ დახვდებით. საგანგებოდ დამავალა...

მაგრამ ამ დროს კიბეზე ვიღაცის მსუბუქი ფეხის ხმა გაისმა. ეს ილონა იყო. მომიახლოვდა და მანაც იოზეფივით თვალები დახარა.

– ედითი გთხოვთ ერთი წამით მის საძინებელში შეიაროთ, მხოლოდ ერთი წამით! ძალიან გთხოვთ, ასე დამაბარა გადმომეცა თქვენთვის.

ერთად დავეშვით ხვეული კიბით. ხმას არ ვიღებდით, ისე განვვლეთ სასტუმრო დარბაზი, ბუდუარი და გრძელ დერეფანში აღმოვჩნდით, რომელიც საძინებელი

ოთახებისკენ მიემართებოდა. დროდადრო ერთმანეთს მხრებით ვეხებოდით ვიწრო და ბნელ გასასვლელში. შეიძლება იმიტომაც, რომ აღელვებული ვიყავი და ფეხი მერეოდა. მეორე კართან ილონა შეჩერდა და წამჩურჩულა:

– რაც შეიძლება დაუყვავეთ. წარმოდგენა არა მაქვს, ზემოთ რა მოხდა, მაგრამ ჩემთვის ახალი არ არის ასეთი რამ. ყველამ იცის, როგორ უეცრად იფეთქებს ხოლმე. მაგრამ მისგან არ უნდა გეწყინოთ არაფერი. ჩვენ, ჯანმრთელმა ადამიანებმა, აბა რა ვიცით, რაოდენ ძნელია ყოველ ცისმარე დღეს დილიდან საღამომდე უმწეოდ იწვე სავარძელზე გადასვენებული. ნერვიული დაძაბულობა თანდათანობით გროვდება და ბოლოს, მისდა უნებურად, ერთბაშად იჩენს ხოლმე თავს. მერწმუნეთ, რომ შემდეგ არავინ ისე არ იტანჯება, როგორც ეს საცოდავი, სწორედ ახლა, როდესაც ასე დამწუხრებული და დარცხვენილია, განსაკუთრებით კეთილი უნდა იყოთ მის მიმართ.

პასუხი არ გამიცია და ზედმეტიც კი იყო. ილონას არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა, როგორი თავზარდაცემული ვიყავი. მან ფრთხილად დააკაკუნა კარზე და როგორც კი შიგნიდან ხმადაბლა, მორცხვად მოისმა შემოდითო, სასწრაფოდ წამჩურჩულა:

– დიდხანს ნუ გაჩერდებით...

სახელურს ხელი გამოვკარი, კარი უხმოდ გაიღო და ოთახში შევედი. ჯერ მოწითალო ბინდბუნდის მეტი ვერაფერი აღვიქვი, რადგან ბაღის მხარეს გამავალ ფანჯრებზე ნარინჯისფერი ფარდები იყო ჩამოფარებული. შემდეგ უკანა მხარეს საწოლის ნათელი სწორკუთხედი გავარჩიე. გაუბედავად მოისმა იქიდან ჩემთვის კარგად ნაცნობი ხმა:

– აქეთ მობრძანდით, აგერ ტაბურეტზე დაბრძანდით. მხოლოდ ერთი წამით დაგაყოვნებთ.

ახლოს მივედი. ბალიშებიდან გამხდარი სახე გამოკრთოდა. თმა ირგვლივ ჩრდილივით ადგა ქალიშვილს. ჭრელი საბანი, რომელზედაც ყვავილები იყო ამოქარგული, კისრამდე ეფარა. ოდნავ შეშფოთებულმა წამით შეიცადა და მხოლოდ მერეღა წარმოთქვა გაუბედავად:

– მომიტევეთ, რომ აქ მოგიწვიეთ, მაგრამ თავბრუ დამესხა და ცუდად გავხდი... დიდხანს არ უნდა ვწოლილიყავი მზისგულზე, შემდეგ მუდამ გონება მერევა ხოლმე... ღმერთმანი, აღარც მესმოდა, რას ვაკეთებდი... მაგრამ... მაგრამ... ხომ მართალია, რომ ყველაფერს დაივიწყებთ? და ჩემი უტაქტობის გამო არ გამებუტებით?

მის ხმაში იმდენი მუდარა და კდემა ისმოდა, რომ სასწრაფოდ მივუგე:

– აბა, რას ამბობთ... სულ ჩემი ბრალია... არ უნდა დამენებებინა, რომ იმ გაგანია სიცხეში ისე დიდხანს მჯდარიყავით.

– მაშ, დავიჯერო, რომ არ მიწყრებით?.. სრულებით არ მიწყრებით?

– ოდნავადაც არა.

– და ისევ მოხვალთ ხოლმე?.. როგორც მუდამ მოდიოდით?

– აუცილებლად. მაგრამ, იცოდეთ, ერთი პირობით.

– რა პირობით? – შეკრთა და შეშფოთებულმა მზერა მომაპყრო.

– რომ ცოტათი მეტი ნდობა გექნებათ ჩემი და ერთთავად იმის ფიქრში არ იქნებით, რომ რაღაც მაწყენინეთ ან შეურაცხყოფა მომაყენეთ! ნამდვილი მეგობრები ჩირადაც აგდებენ

ასეთ წვრილმანებს. ნეტავ იცოდეთ, როგორ გარდაიქმნებით ხოლმე, როცა გულზე დარდი გადაგეყრებათ... ნეტავ, იცოდეთ, რამდენ სიხარულს გვანიჭებთ ჩვენ, ყველას: მამას, ილონას, მე... მთელ სახლს! ნეტავ, თქვენი თავი დაგანახვათ, გუშინწინ ქალაქგარეთ რომ გავისეირნეთ. რა მხიარული იყავით და თქვენთან ერთად ყოველი ჩვენგანიც როგორ მხიარულად გრძნობდა თავს!.. შემდეგ მთელი საღამო მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი.

– მთელი საღამო ჩემზე ფიქრობდით? – შემომხედა ედითმა ჭოჭმანით, – მართლა?

– მთელი საღამო. მაინც რა დღე იყო... არასოდეს დამავიწყდება! რა საუცხოო, რა წარმტაცი გასეირნება გამოვიდა!

– დიახ, – გაიმეორა ქალიშვილმა ოცნებით, – საუცხოო იყო, საუცხოო... ტრიალ მინდვრებში მგზავრობა, შემდეგ პაწია კვიცები და ბოლოს ქორწილი სოფელში... საუცხოო იყო ყველაფერი თავიდან ბოლომდე! ეჰ, უფრო ხშირად უნდა ვმგზავრობდე ასე, ხან სად და ხანაც სად: შეიძლება მართლაც ამ ბრიყვულად შინ ჯდომისა და გამომაყეყეჩებელი კარჩაკეტილობის ბრალია, რომ ნერვები ასე მაქვს დაძაბული. თქვენ მართალი ხართ, ძალიან ეჭვიანი ვარ და არავის ვენდობი... ან, უფრო სწორად, ეჭვიანი გავხდი, რაც ეს უბედურება დამემართა. მანამდე კი, ღმერთო ჩემო, არ მახსოვს, რომ ვინმეს შიში მქონოდეს... მაგრამ მას შემდეგ... სულ მგონია, რომ ყველა ჩემს ყავარჯნებს უმზერს, რომ ყველას ვეცოდები... მესმის, რომ ეს სისულელეა, სულელური ბავშვური სიამაყეა და ამით საკუთარ თავს ტანჯვას ვაყენებ მხოლოდ; ვიცი, რომ ამით უარესი მომდის, ნერვებს ვიშლი, გული მიწვრილდება, მაგრამ როგორ გინდა უნდობელი არ გახდე, ეჭვი არ გიღრღნიდეს გულს, როცა ეს ამბავი აღარ თავდება?! ეჰ, ნეტავ, ამ ჯოჯოხეთს მალე მოეღებოდეს ბოლო. არ მინდა ავი და კაპასი გავხდე...

– სადაც არის ბოლო მოეღება კიდეც. მხოლოდ მხნეობა უნდა მოიკრიბოთ, ცოტაოდენი მხნეობა და მოთმინება გმართებთ კიდევ.

ედითმა ოდნავ წამოიწია.

– დარწმუნებული ხართ?.. გულწრფელად გჯერათ, რომ მართლაც ამ ახალი მეთოდით განვიკურნები?.. წარმოგიდგენიათ, იმ ღამეს, მამა რომ ამოვიდა ჩემთან, ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი... მაგრამ გუშინ საღამოს, თავადაც არ ვიცოდი რატომ, უეცრად შიშმა შემიპყრო, ვაითუ, ექიმს შეეშალა და არასწორად მითხრა რაღაც-მეთქი. რადგან მე... რადგან მე გამახსენდა... ადრე ექიმი კონდორის ისე მჯეროდა, როგორც უფალი ღმერთის, მაგრამ მუდამ ხომ ასე ხდება: ჯერ ექიმი აკვირდება პაციენტს, ხოლო შემდეგ, თუ მკურნალობა დიდხანს გაგრძელდა, ავადმყოფიც სწავლობს ექიმის დაკვირვებას. და აი, გუშინ, როცა მსინჯავდა, რამდენჯერმე მომეჩვენა... არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ... თითქოს რაღაც კომედიას თამაშობდა... რაღაც გაუბედავი, არადამაჯერებელი ჩანდა და არა ისეთი გულღია და ალერსიანი, როგორიც მანამდე ყოველთვის... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს რატომღაც რცხვენოდა ჩემი... რასაკვირველია, საშინლად გამიხარდა, როდესაც მითხრა, დაუყოვნებლივ შვეიცარიაში უნდა გაემგზავროთო... და მაინც... ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით... ქვეცნობიერად რაღაც უაზრო შიშით ვიყავი შეპყრობილი... ოღონდ იცოდეთ... მას არ უთხრათ, ღვთის გულისათვის, არ უთხრათ,

არაფერი!... თითქოს მკურნალობის ახალ კურსთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზე ვერ იყო... და რომ ექიმი უბრალოდ მაბრიყვებდა... ანდა, შესაძლოა, მხოლოდ მამაჩემის დამშვიდება სურდა... ხომ ხედავთ, ისევ ამ წყეული უნდობლობის მარწუხებში ვარ მოქცეული, მაგრამ რას გააწყობ ადამიანი? როგორ არ გახდები ეჭვიანი, როგორ ენდობი ან საკუთარ თავს, ანდა სხვებს, როდესაც ამდენჯერ ჩაუგონებიათ ჩემთვის, სადაცაა შენს წამებას ბოლო მოეღებაო, მაგრამ მერე ისევ ადრინდელივით მდორედ წასულა საქმე, საშინლად მდორედ. არა, მეტი აღარ შემიძლია, ნამდვილად აღარ შემიძლია ამ გაუთავებელი ლოდინის ატანა!..

აღელვებულმა წამოწევა სცადა, ხელები აუცახცახდა და მეც სასწრაფოდ დავიხარე მისკენ.

– არა, არა... ისევ ნუ აღელდებით! გახსოვთ, ეს-ეს არის, პირობა მომეცით...

– დიახ, დიახ, მართალი ხართ! თავს რად ვიტანჯავ ტყუილუბრალოდ, ან სხვებს რად ვტანჯავ? სხვებმა მაინც რა დააშავეს? ისედაც ზედმეტ ბარგად მომიაზრებენ... მაგრამ არა, ამაზე არ მსურდა თქვენთან ლაპარაკი. ღმერთმანი, არა, მხოლოდ მადლობის გადახდა მინდოდა, რომ ჩემი ტუტუცური გაანჩხლება მაპატიოთ... თქვენ ხომ ყოველთვის კეთილი ხართ ჩემ მიმართ... ასე გულის ამაჩუყებლად კეთილი, მე კი სულაც არ ვიმსახურებ ამას... და რომ სწორედ თქვენ... მაგრამ ხომ მართალია, რომ ამაზე აღარასოდეს ვისაუბრებთ?

– დიახ, აღარასოდეს... ახლა კი დაისვენეთ, გთხოვთ...

ხელის ჩამოსართმევად წამოვდექი. გული ამიჩქროლდა, ისეთი სანახავი იყო ამ დროს თავი ბალიშებზე გადაეგდო და ნახევრად კდემით, ნახევრად უკვე დამშვიდებული მიღიმოდა ბავშვივით. იმ ბავშვივით, რომელიც ეს-ეს არის, ღრმა ძილს უნდა მიეცესო...ყოველივე კეთილად დაგვირგვინდა... ჭექა-ქუხილმა გადაიარა, ცა მოიწმინდა. გულზე მომეშვა და თითქმის მხიარული მივუახლოვდი მის საწოლს, მაგრამ ედითი ერთბაშად შეკრთა:

– ღვთის გულისათვის, ეს რა არის? რა მოსვლია თქვენს მუნდირს?

ვეებერთელა სველი ლაქები შეამჩნია ჩემს ფორმაზე და იმასაც მიხვდა, რომ ამის მიზეზი თავად იყო. მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ წაქცეული ფინჯნებიდან გადმოღვრილი ჩაი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ლაქა. იმავ წამს ქუთუთოებქვეშ დამალა თვალები და შემკრთალმა ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელი უკან წაიღო. მაგრამ სწორედ ამ ფაქტმა, ამ უმნიშვნელო ფაქტმა (თუ როგორ განიცადა მან ეს უმნიშვნელო წვრილმანი), ყველაზე მეტად მოინადირა ჩემი გული. მის დასამშვიდებლად ხუმრობის კილოზე გადავედი.

– აჰ, ეს არაფერია, – ვუთხარი უდარდელად, – ამან არ შეგაშინოთ. ერთმა გაუგონარმა ბავშვმა ჩაი გადამასხა. სულ ეს არის...

ქალიშვილი ისევ დარცხვენილი მიმზერდა, მაგრამ მაინც მადლიერმა მხარი ამიბა ქილიკობაში.

– მერედა, თქვენ არ მიტყიპეთ ის გაუგონარი ბავშვი?

– არა, – მივუგე ისევ ხუმრობით, – აღარ დამჭირდა, რადგან ბავშვი უკვე გამოსწორდა.

– და თქვენ მართლაც აღარ ხართ გაჯავრებული ამ ბავშვზე?
– ოდნავადაც არა! განა ვერ გაიგონეთ, როგორ მომხიბლავად მთხოვა პატიება?
– ეს სიმართლეა?.. აღარ უჯავრდებით მას?
– აღარ, აღარ და აღარ! ვაპატიე და დამავიწყდა კიდეც ყველაფერი, ოღონდ მომავალში გამგონე უნდა იყოს და ის გააკეთოს, რასაც კეთილისმსურველები ურჩევენ.
– მაინც რა უნდა გააკეთოს იმ ბავშვმა?
– მოთმინებას ნურასოდეს დაკარგავს, მუდამ ალერსიანი, მუდამ მხიარული იყოს. მზეზე დიდხანს არ იჯდეს, ხშირად გაემგზავროს ხოლმე სასეირნოდ და ზუსტად შეასრულოს ყოველივე ის, რასაც ექიმი ითხოვს მისგან. ამჟამად კი ამ ბავშვმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაიძინოს, მეტს ნუღარც ილაპარაკებს და ნუღარც იფიქრებს. ნების ძილი მინდა ვუსურვო მას...
ამ სიტყვების შემდეგ ხელი გავუწოდე. საოცრად მომხიბლავი იყო ლოგინში მწოლიარე, ბედნიერი შემომცინოდა და თვალები ვარსკვლავებივით უციმციმებდა. ნდობით ჩაესვენნენ მისი მხურვალე და წვრილი თითები ჩემს ხელში...
დავტოვე იქაურობა... გული შვებით მიძგერდა. ის იყო, კარის სახელურს წავატანე ხელი, რომ ზურგს უკან ხმადაბალი კისკისი გავიგონე:
– როგორ იქცეოდა ბავშვი?
– უნაკლოდ! დიდ ხუთიანს დავუწერ, ოღონდ ახლა უნდა დაიძინოს და ცუდზე არაფერზე იფიქროს!
ნახევრად უკვე გამოვაღე კიდეც კარი, რომ ისევ ამედევნა ეს ანცი, ეშმაკური სიცილი და ბალიშებიდან ერთხელ კიდევ მოისმა ხმა:
– მერედა, დაგავიწყდათ, რა ეკუთვნის გამგონე ბავშვს დაძინების წინ?
– რა?
– კოცნა!.. როცა „ძილი ნებისაც“ უსურვებენ ხოლმე.
რატომღაც უხერხულად ვიგრძენი თავი. რაღაც წამაქეზებელი ჩქამი ტკრციალებდა მის ხმაში და ეს არ მომწონდა. უკვე ადრევეც შევნიშნე, როგორ აღგზნებულად უელავდა თვალები, მაგრამ არ მინდოდა ისედაც ნერვებაშლილისთვის ხასიათი გამეფუჭებინა.
– ოჰ, მართლა, რა თქმა უნდა, – მივუგე განგებ დაუდევრად, – კინაღამ დამავიწყდა.
უკან გავიარე ის ორიოდე ნაბიჯი, რაც მის საწოლს მაშორებდა, და ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვიგრძენი, რომ ედითი გაინაბა, თავი უძრავად ჰქონდა ბალიშზე მისვენებული, არც ერთი ნაკვთი არ უკრთოდა, მხოლოდ თვალს არ მაშორებდა, თან მსდევდა მისი მზერა, არ მეშვებოდა...
სწრაფად, სწრაფად-მეთქი, ვამბობდი გულში, რადგან სულ უფრო და უფრო უხერხულად ვგრძნობდი თავს, სასწრაფოდ დავიხარე და ბაგე ოდნავ შევახე ქალიშვილის შუბლს. განგებ წამითაც არ დავყოვნებულვარ, მაგრამ მისი თმის სურნელი კი შევიგრძენი. ედითმა უეცრად ზეაღაპყრო ორივე ხელი (რომლებიც, ეტყობა, მოლოდინში საბანზე ელაგა) და ვიდრე თავის განზე გაწევას მოვასწრებდი, ორივე მხრიდან მარწუხებივით შემომაჭდო საფეთქლებთან, ჩემი ტუჩები შუბლიდან მოიცილა, ბაგით მომწვდა და ისე მხურვალედ, ისე ხარბად დამეკონა, რომ ჩვენი კბილები

ერთმანეთს შეეხო. თან საწოლიდან ამოიზნიქა, რომ მისკენ დახრილს მომხუტებოდა, მკერდით აღექვა ჩემი სხეული. ჩემს სიცოცხლეში არავის უკოცნია ასე შმაგად და მოწყურებულად...

...და ვერა და ვერ ცხრებოდა! სამსალადალეულის ძალით ვყავდი მიკრული, ვიდრე სუნთქვა არ შეეკრა. მაშინ მკლავები მოადუნა და თითებით ნერვიულად წეწვა დაუწყო ჩემს ქოჩორს, მაგრამ გაშვებით, მაინც არ მიშვებდა, მხოლოდ ერთი წამით გადაესვენა ბალიშზე, რომ მოჯადოებულივით შემოეხედა ჩემთვის თვალებში, მერე ისევ თავისკენ მიმიზიდა და თავდავიწყებით, გააფთრებით კვლავ დამიწყო კოცნა ღაწვებზე, შუბლზე, თვალებში, ტუჩებში, თან ჩურჩულებდა და გმინავდა: „უჭკუო... უჭკუო... შე უჭკუო!..“ და შემდეგ კიდევ უფრო მხურვალედ: „შენ, შენ, შენ...“ სულ უფრო და უფრო ხარბი, სულ უფრო და უფრო ვნებიანი ხდებოდა მისი შემოტევა, სულ უფრო აღგზნებული ბორგავდა და მეხვეოდა, მაგრამ უეცრად კრუნჩხვასავით დაუარა სხეულში რაღაცამ... ხელი გამიშვა, თავი ბალიშზე გადაუვარდა და მხოლოდ თვალები უბრწყინავდა ზეიმით. შემდეგ უკვე ძალაგამოლეულმა ერთბაშად დაირცხვინა, სასწრაფოდ პირი იბრუნა და ჩაიდუდღუნა:

– ახლა კი წადი... წადი!..

* * *

ბარბაცით გამოვედი ოთახიდან, ბნელ დერეფანში უკანასკნელი ძალაც წამერთვა. იძულებული ვიყავი კედელს მივყრდნობოდი, ისე მეხვეოდა თავბრუ. ყველაფერი დატრიალდა ჩემ თვალწინ. აი, თურმე რა ყოფილა! აი, თურმე რა იყო მისი მოუსვენრობის, მისი საკვირველი აგრესიულობის ფარული მიზეზი, რომელიც ერთობ გვიან გამომზეურდა, ერთობ გვიან შეიქნა საცნაური ჩემთვის. ენით აღუწერელი შიშით ვიყავი მოცული. ასეთ დღეში ვარდება ალბათ ის, ვინც გულარხეინად იხრება ყვავილის დასასუნად და უეცრად გველს წააწყდება. ამ ფხუკიან ქალიშვილს რომ გაველანძღე, გაერტყა ან შემოეფურთხებინა, უფრო ნაკლებად შევცბუნდებოდი, რადგან ყოველთვის რაღაც გაუთვალისწინებელს მოველოდი მისგან. ოღონდ ერთ რამეს არა, ამ ერთ რამეს არა, რომ ამ სნეულ, უბედურ ქალიშვილს სიყვარული შეეძლო და სურდა, რომ ისიც ჰყვარებოდა ვინმეს; რომ ეს უმწიფარი და უძლური ბავშვი, ტრფიალს გაბედავდა (ვერ მომიძებნია სხვა სიტყვა), რომ მას ისეთივე წადილი შეიძლებოდა ჰქონოდა, როგორიც სრულწლოვან გამოცდილ ქალს. ყველაფერს მოველოდი, მაგრამ იმას კი არა, რომ ეს განგებისგან დასჯილი ხეიბარი (რომელსაც იმის ძალაც კი არ შესწევდა, რომ საკუთარი სხეული ეზიდა), სიყვარულზე ოცნებას გაბედავდა, ვინმეს სატრფოდ დაისახავდა, რომ მე, რომელიც მარტოოდენ თანაგრძნობის გამო დავდიოდი მასთან, ასე უკუღმართად გამიგებდა. მაგრამ არ გასულა ერთი წამიც და ახალმა აზრმა შემაძრწუნა: მივხვდი, ჩემი მხურვალე თანაგრძნობის ბრალი იყო, რომ ეს ქვეყნიერებას მოწყვეტილი და ოთხ კედელს შორის გამოკეტილი გოგონა ჩემგან (ერთადერთი მამაკაცისგან, რომელიც იმდენ გულშემატკივრობას იჩენდა, რომ ყოველდღე ნახულობდა მას „საპყრობილეში“) უფრო

სხვანაირ, უფრო ნაზ გრძნობას მოელოდა. მე კი, ჩემივე თანაგრძნობით გაბრიყვებული რეგვენი, პირღია ტუტუცი, მხოლოდ და მხოლოდ ტანჯულს ვხედავდი მასში ფეხებწართმეულ ბავშვს და არა ქალს. ერთხელაც არ გამივლია გულში, რომ მისი საბნის ქვეშ შიშველი სხეული იმალებოდა, დიაცის სხეული სუნთქავდა, გრძნობდა, იცოდა, რომ როგორც ყველა სხვას, მასაც ჰქონდა ქალობა! ოცდახუთი წლის კაცს არასოდეს აზრადაც არ მომსვლოდა, რომ ქალთა შორის ავადმყოფებიც, სახიჩრებიც, უმწიფარნიცა და მიხრწნილი დედაბრებიც, ათვალწუნებულნიცა და გარიყულნიც ბედავდნენ გამიჯნურებას. უკეთუ გამოუცდელ ყმაწვილ კაცს, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებასა და განცდებს გაეცნობოდეს, ქვეყანა თითქმის ყოველთვის გაგონილისა და წაკითხულის ანარეკლის სახით აქვს წარმოდგენილი, ვიდრე თავად იწვნევდეს რამეს, იგი ოცნებაშიც კი აუცილებლად სხვის გამოცდილებასა და მაგალითს ჰბაძავს. წიგნებში, სცენასა და ეკრანზე (სადაც სინამდვილე ესოდენ გამარტივებული და შერყვნილია) სიყვარული მუდამ მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა, ლამაზ და რჩეულ ადამიანთა ხვედრია. ამიტომ მეც მეგონა, რომ რაღაც განსაკუთრებით მიმზიდველი, განსაკუთრებით დაჯილდოებული და ბედისაგან გამორჩეული უნდა იყო, რომ ქალის გული დაიპყრო (ეს გახლდათ სწორედ ზოგიერთ შემთხვევაში ჩემი გაუბედაობის მიზეზიც). ამ ორ ქალიშვილთანაც ხომ იმის გამო ვიქცეოდი ასე ძალდაუტანებლად და ლაღად, რომ მათთან ურთიერთობაში ეროტიკის ნასახიც კი იმთავითვე გამორიცხულად მიმაჩნდა და ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ისინი ჩემში კარგ ახალგაზრდაზე, კეთილ მეგობარზე მეტს დაინახავდნენ. და თუ ეშხიანი ილონა ზოგჯერ მაინც მიღვიძებდა ხოლმე ვნებას, ედითს სულ არ აღვიქვამდი ჩემგან განსხვავებული სქესის არსებად. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: აზრად არ მომსვლია, შემთხვევითაც კი არ გამივლია გულში, რომ მისი სხეული ისეთივე იყო, როგორიც სხვა ქალებისა და მასაც ისეთივე სურვილები ჰქონდა, როგორიც სხვა ქალებს. პირველად მაშინ გახდა ჩემთვის ცნობილი (მწერლები ამ ამბავს ჩვეულებრივ დუმილით უვლიან ხოლმე გვერდს), რომ სწორედ ათვალწუნებულებს, დაღდასმულებს, მახინჯებს, დამჭკნართ, დასახიჩრებულთ და უარყოფილთ ბევრად უფრო სახიფათო ხვაშიადი აქვთ, ბევრად უფრო ვნებიანი გატაცება იციან, ვიდრე ბედნიერებმა და ჯანმრთელებმა; რომ მათ უფრო ფანატიკურად, გააფთრებით, ბრმად უყვართ; რომ არც ერთი ვნება დედამიწის ზურგზე ისეთი გაუმაძღარი და წრეგადასული არ არის, როგორიც უპერსპექტივო, უიმედო სიყვარული ღმერთისა. მათ ქვეყნად თავიანთი არსებობა მხოლოდ მაშინ მიაჩნიათ გამართლებულად, როდესაც ვინმეს ეტრფიან და მათაც ვინმე ეტრფის; მათ სხეულში სასოწარკვეთის უღრმეს უფსკრულში ჩაძირული და ცხოვრების სიამეთ მოწყურებული სული გმინავს... მე კიდევ, გამოუცდელსა და გულუბრყვილოს, აზრად როგორ მომივიდოდა ამ საზარელი საიდუმლოს არსებობა! მხოლოდ ახლა გახდა ეს ყოველივე ჩემთვის საცნაური და გახურებული შანთივით დამდაღა კიდეც. უჭკუოო! ამასაც მხოლოდ ახლაღა მივხვდი, რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვა დასცდა გრძნობაამღვრეულ ქალიშვილს ბაგიდან, როდესაც ჯერ კიდევ მოზარდივით აკოკრილი მკერდით მკერდზე მეკვროდა. დიახ, არ შემცდარა, უჭკუო რომ მიწოდა. ყველა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ხედავდა, მამამისიცა

და ილონაც, იოზეფიცა და დანარჩენი მსახურებიც, ყველა, რა თქმაუნდა, დიდი ხანია გუმანით ხვდებოდა, რომ ქალიშვილს გულში ჩავუვარდი და ალბათ აკრთობდათ ეს ამბავი, უთუოდ ავის მომასწავებლად მიაჩნდათ, და მარტოოდენ მე, თანაგრძნობით გაბრიყვებულ-გატუტუცებული, ვერ ვხვდებოდი ვერაფერს; კეთილი, ერთგული მეგობრის როლს ვასრულებდი, ვოხუნჯობდი, ვოინბაზობდი და ვერ ვამჩნევდი, თურმე როგორ ტკივილს ვაყენებდი მის აღგზნებულ სულს ჩემი სრულიად გაუგებარი და მიუტევებელი მიუხვედრელობით. ცუდი კომედიის უგვანო გმირივით ვიქცეოდი: მაყურებელთა დარბაზში უკვე ყველამ იცის, რომ ეს ყეყეჩი ინტრიგის ხლართებშია გახვეული და მხოლოდ იგი განაგრძობს არხეინად თამაშს, გულმოდგინედ ასრულებს როლს და ვერა და ვერ მიმხვდარა, რომ ქსელშია გაბმული (მაშინ, როდესაც სხვები იმთავითვე ხედავენ ამ ქსელის ყოველ ძაფსა და ყოველ ნასკვს). მეც ალბათ მთელი სახლი მიყურებდა, როგორ ვტკეპნიდი ერთ ადგილს და თან ყოვლად აბსურდულ თვალხუჭობანას ვეთამაშებოდი ედითის გრძნობებს, ვიდრე ბოლოს ქალიშვილმა ძალით არ ამიხილა თვალები. მაგრამ ისევე, როგორც სინათლის ერთი გამოკრთომაც კმარა იმისთვის, რომ ოთახში ერთდროულად ათიოდე საგანი გაანათოს, ჩემთვისაც ამის შემდეგ (ვაი, რომ ერთობ გვიან, ერთობ გვიან!), გასაგები გახდა უამრავი წვრილმანი, რაც მანამდე მომხდარიყო ჩვენ შორის, და დავირცხვინე. მხოლოდ ახლაღა შევიცანი მთელი სიცხადით, რატომ ბრაზდებოდა, როდესაც ხუმრობით „ბავშვს“ ვუწოდებდი. განსაკუთრებით ჩემგან სწყინდა, რადგან სწორედ ჩემს თვალში სურდა, რომ ბავშვი კი არა, ქალი ყოფილიყო, ჩემთვის სატრფოდ სანატრელი. მხოლოდ ახლაღა მივხვდი, რატომ აუთრთოლდებოდა ხოლმე ზოგჯერ ტუჩები. როდესაც მისი ავადმყოფობა განსაკუთრებით შემზარავდა, რატომ აბოროტებდა ხოლმე ჩემი თანაგრძნობა (ეტყობოდა, გულთამხილავი ქალური ალღო კარნახობდა, რომ ეს მხოლოდ თბილი დაძმური გრძნობა იყო, ნამდვილი სიყვარულის მწირი სუროგატი). საბრალო, ვინ იცის, როგორ ელოდა ჩემგან რაიმე ნიშანს, სიტყვას, გამოხმაურებას ამა თუ იმ ფორმით, მაგრამ სულ ამაოდ. ალბათ, როგორ იტანჯებოდა ჩემი დაუდევარი ყბედობით, როდესაც მოუთმენლობა წვავდა და გულისფანცქალით ელოდა სინაზის პირველ გამჟღავნებას, ანდა ყოველ შემთხვევაში იმას მაინც, რომ ბოლოს და ბოლოს შევნიშნავდი მის გრძნობას. მე კი, მე... არაფერს ვეუბნებოდი, არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ თან არც მასთან სიარულს ვწყვეტდი. ყოველდღე მივდიოდი და ამით ერთსა და იმავე დროს იმედსაც არ ვაკარგვინებდი და გულსაც ვუწვრილებდი. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ბოლოს ვეღარ გაძლო და...

ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, ვიდრე ბნელ გასასვლელში კედელს ვიყავი მიყუდებული. სულს ძლივს ვითქვამდი, ფეხები თითქმის ისევე არ მემორჩილებოდა, როგორც ედითს. ორჯერ შევეცადე ადგილიდან დავძრულიყავი და მხოლოდ მესამე ჯერზე შევძელი ხელების სავსავით გამევლო მცირე მანძილი და შემდეგი კარის სახელურამდე მიმეღწია. „ეს სასტუმრო დარბაზის კარია, ვფიქრობდი აღელვებული, და იქ შეხვალ თუ არა, მარცხნივ კიდევ სხვაა, რომელიც ვესტიბიულში გადის. ჩემი ხმალი და ქუდი იქაა, ასე რომ, მარდად უნდა მოვიქცე, უნდა გავიარო სასტუმრო და თავი

დავაღწიო აქაურობას, ვიდრე მსახური გამოჩნდებოდეს. სწრაფად დავეშვები კიბეზე და... თავს უნდა ვუშველო, გავიქცე ამ სახლიდან, ვიდრე ვინმე გამოჩნდებოდეს, ვისთანაც ლაპარაკი და კითხვებზე პასუხის გაცემა მომიწევს. უნდა გავასწრო, ვიდრე მამამისს წავაწყდებოდე, ან ილონას, ანდა იოზეფს. არავის არ მინდა შევხვდე, არავის, ვინც ხელი შემიწყო, ესოდენ ბრიყვულად გავხლართულიყავი ამ ამბავში! სწრაფად, სწრაფად უნდა გავეცალო აქაურობას!..“

მაგრამ გვიანღა იყო! სასტუმრო დარბაზში ილონა მიცდიდა. ეტყობოდა, ჩემს ფეხის ხმას მოჰკრა ყური. ჩემს დანახვაზე ფერი ეცვალა.

– ღმერთო ჩემო, რა დაგემართათ? რამ გაგაფითრათ?.. კიდევ... კიდევ რამე შეემთხვა ედითს?

– არა, არაფერი, – ძლივს ვაიძულე თავი, რომ ეს სიტყვები წამედუდუნებინა და წასვლა დავაპირე, – ახლა, მგონი, უკვე სძინავს, მომიტევეთ, შინ მეჩქარება.

მაგრამ ალბათ ჩემს არცთუ თავაზიან პასუხში რაღაც შემაშფოთებელი იყო, რადგან ილონა მკლავში ჩამაფრინდა და ძალით ჩამსვა, ჩამსვა კი არა, ჩამაგდო სავარძელში.

– ცოტა ხნით დაიცადეთ, ვიდრე სულს მოითქვამდეთ... და თქვენი თმაც... რა მოუვიდა თქვენს თმას? როგორ გაგჩეჩიათ?..

წამოდგომა დავაპირე.

– არა, იჯექით. ახლავე კონიაკს მოგიტანთ.

ბუფეტთან მიირბინა, სირჩა გამივსო და მეც სასწრაფოდ გადავკარი. ილონა შეშფოთებული მიყურებდა, როგორ დავდგი აკანკალებული ხელით სირჩა მაგიდაზე (ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძნია თავი ასე უსუსურად და სუსტად, უფრო ძალაგამოლეულად, ვიდრე იმ წამს). შემდეგ ხმისამოუღებლად მომიჯდა გვერდით, მდუმარედ იცდიდა და თან წამდაუწუმ ჩემკენ აპარებდა შეფიქრიანებულ მზერას. ასე მხოლოდ ავადმყოფს ადევნებენ თვალს. ბოლოს მკითხა:

– რა, ედითმა რამე გითხრათ?.. ისეთი რამ... რაც პირადად თქვენ შეგეხებათ?

ისეთ კილოზე მელაპარაკებოდა, რომ დავრწმუნდი, ყველაფერს იყო მიმხვდარი. იმის თავი აღარ მქონდა, რომ თავსგადამხდარი მეუარა და ამიტომაც ჩუმად წავიდუდუნე:

– დიახ!

ქალიშვილიარ განძრეულა, არც კრინტი დაუძრავს, მხოლოდ შევატყვე, რომ უფრო აჩქარებით დაიწყო სუნთქვა. ცოტა ხნის შემდეგ ფრთხილად გადმოიხარა ჩემკენ და წარმოთქვა:

– და თქვენ... თქვენ მართლაც მხოლოდ ახლა შეიტყვეთ?

– აბა, მაშ როგორ უნდა წარმომედგინა... ასეთი აბსურდი?.. ასეთი უაზრობა? როგორ მოუვიდა თავში?.. ან რატომ მე... რატომ მაინცდამაინც მე?

ილონამ ამოიოხრა.

– ოჰ, ღმერთო! ედითს სულ მუდამ ეგონა, რომ მის გამო დადიოდით ჩვენთან... რომ მხოლოდ ამის გამო და სხვა არაფრისთვის... მე... მე, რასაკვირველია, როგორ ვიფიქრებდი ამნაირ რამეს... თუმცა ასე ძალდაუტანებლად და ასე... გულღიად გეჭირათ თავი, მაგრამ, რასაკვირველია, ეს სულ სხვა გულღიაობა იყო. თავიდანვე ვშიშობდი, რომ

თქვენ მხოლოდ თანაგრძნობა გამოძრავებდათ, მაგრამ, აბა, როგორ შემეძლო საბრალო გოგონა გამეფრთხილებინა. განა ულმობელობა არ იქნებოდა, ილუზია დამემსხვრია მისთვის, თუკი ეს ილუზია ბედნიერს ხდიდა... უკვე რამდენი კვირაა იმ ერთადერთი აზრით ცოცხლობს, რომ თქვენ... ამიტომ, როცა კი შემეკითხებოდა ხოლმე, გჯერა თუ არა, რომ მართლაც მოვწონვარო, განა შემეძლო იმდენად შეუბრალებელი ვყოფილიყავი?.. მე ხომ უნდა დამემშვიდებინა და გამემხნევებინა სნეული მეგობარი?..

აქ კი უკვე ვეღარ შევიკავე თავი:

– არა, პირიქით, უნდა განგემარტათ, რომ ასე არ იყო, აუცილებლად უნდა განგემარტათ, რომ ეს აბსურდი იყო, ბოდვა და ბავშვური ხუმტური... პატარა გოგონებს სჩვევიათ სამხედრო მუნდირთან გამიჯნურება... ხოლო ხვალ რომ ვინმე სხვა გამოჩნდეს, ისიც მოეწონება მას, დარწმუნებული ვარ! უნდა აუხსნათ... დროზე განუმარტოთ: სრულიად შემთხვევითი ამბავი იყო, რომ სწორედ მე აღმოვჩნდი აქ, რომ სწორედ მე დავიარებოდი და არა ვინმე სხვა, რომელიმე ჩემი მეგობარი, ჩემზე უფრო ღირსეული. ასეთი რამ მის ასაკში სწრაფად გაივლის ხოლმე...

მაგრამ ილონამ ნაღვლიანად გაიქნია თავი.

– არა, ძვირფასო მეგობარო, თავს ნუ მოიტყუებთ. ედითისთვის ეს სერიოზული ამბავია, საშინლად სერიოზული და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო თავზარდამცემ ხასიათს იღებს... არა, ძვირფასო მეგობარო, ეს ყოველივე ერთობ მძიმე შემთხვევაა საიმისოდ, რომ მე შევძლო ასე ერთბაშად შეგიმსუბუქოთ ხვედრი. აჰ, რომ იცოდეთ, რა ხდება ამ სახლში... სამჯერ, ოთხჯერ გვაღვიძებს ღამეში ზარის წკარუნი, ედითი უცერემონიოდ წამოგვყრის ხოლმე ზეზე და როცა მის საწოლთან მივცვივდებით დაფეთებულები, ხომ არაფერი მოუვიდაო, ვხედავთ, ლოგინში წამომჯდარა, დაბნეული მისჩერებია რომელიღაც წერტილს სივრცეში და გაუთავებლად ერთსა და იმავეს მეკითხება: „როგორ გგონია, ცოტათი მაინც, სულ ერთი ბეწოთი მაინც ვუყვარვარ? ნუთუ ისეთი მახინჯი ვარ, რომ მის ყურადღებას მოკლებული უნდა ვიყო?“ მერე სარკეს მოითხოვს, მაგრამ მაშინვე გადააგდებს და მეორე წუთს თავადვე აღიარებს, რა სიშლეგეს სჩადის... მაგრამ ორი საათის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. სასოწარკვეთილი ერთსა და იმავეს ეკითხება მამას, იოზეფს და მოსამსახურე გოგოებს. გუშინ კი ფარულად ის ბოშა ქალიც მოაწვევინა... გახსოვთ, ალბათ, ქორწილში რომ იყო სწორედ ის და ხელახლა სთხოვა მისთვის ემკითხავა... ხუთჯერ მაინც მოგწერათ წერილი... დაჯდება, ვეებერთელა უსტარს დაწერს და მერე ისევ დახევს. დილიდან საღამომდე, გათენებიდან დაღამებამდე სულ ამაზე ფიქრობს და პირზეც სულ ეს აკერია. უცებ მეტყვის: წადი და ჰკითხე, ვუყვარვარ თუ არა, თუნდაც ერთი ბეწოთი ვუყვარვარ თუ არა, ანდა იქნებ ჩემთან ურთიერთობა სამძიმოც კია მისთვის? ის ხომ სულ მუდამ დუმს ამაზე, პირდაპირ პასუხს გაურბისო. დაუყოვნებლივ უნდა წახვიდე და იპოვო, სადაც უნდა იყოსო! მძღოლსაც გააქცევენ ხოლმე ამ დროს მანქანის გამოსაყვანად. სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ მიმეორებს თქვენთვის სათქმელ და გამოსაკითხ ყოველ სიტყვას. მაგრამ უკანასკნელ წუთში, როდესაც უკვე გარეთ, სადარბაზო შესასვლელის წინ ვდგავარ, ისევ გაისმის ზარის წკარა-წკური, მე, პალტოსა და შლაპაში გამოწყობილი, უკან უნდა დავბრუნდე და

დედაჩემის სიცოცხლე შევფიცო, გადაკვრითაც კი არ ვაგრძნობინებ რამეს-მეთქი... ეჰ, თქვენ არ იცით! კარს გაიხურავთ და გგონიათ, ამით დასრულდება ყველაფერი. მაგრამ ის კი თქვენი წასვლისთანავე დაწვრილებით მიამბობს ყველაფერს თქვენი საუბრის შესახებ და მეკითხება, რას ვფიქრობ, გჯერა თუ არაო! და როცა ვეტყვი: ხომ ხედავ, როგორ უყვარხარ-მეთქი, მიყვირის: „ტყუიხარ! მტკნარი სიცრუეა, რასაც ამბობ! დღეს ერთი თბილი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის“. მაგრამ ამავე დროს ისევ უნდა ყველაფერი თავიდან მათქმევინოს, ორჯერ, სამჯერ უნდა გავუმეორო ერთი და იგივე და თან შევფიცო, რომ არ ვატყუებ... ახლა საწყალი ბიძაჩემი! სულ მთლად თავგზა აებნა, ეს ამბავი რომ გაიგო; თანაც ღვიძლი შვილივით უყვარხართ და გაღმერთებთ. უნდა განახათ, როგორ ზის მის სასთუმალთან საათობით, დაღლილ თვალებს არ აშორებს, ეფერება და ამშვიდებს ქალიშვილს, ვიდრე ამ უკანასკნელს ძილი არ მოერევა. ამის შემდეგ მამამისი მთელი ღამე მოუსვენრად ბოლთას სცემს ხოლმე თავის ოთახში... თქვენ კი... ნუთუ აქამდე მართლაც არაფერი შეგიმჩნევიათ?

– არა! – ვიყვირე შეშფოთებულმა, რადგან სასოწარკვეთილებისგან თავს ვეღარ ვიოკებდი, – არა-მეთქი! გეფიცებით, არაფერი შემინიშნავს! იოტისოდენადაც კი არ დავეჭვებულვარ! როგორ ფიქრობთ, კიდევ ვივლიდი აქ, კიდევ მოგიჯდებოდით ხოლმე გვერდით ჭადრაკისა და დომინოს სათამაშოდ, ანდა გრამოფონის ფირფიტების მოსასმენად, გუმანით მაინც რომ მივმხვდარიყავი, რაც აქ ხდებოდა?.. არა, არა და არა!.. მაინც საიდან გაუჩნდა ასეთი შლეგური აზრი, რომ მე... მაინცდამაინც მე... ან როგორ მოითხოვს, რომ ასეთი აბსურდი, ასეთი ბავშვური ხუშტური გავიზიარო?.. არა, არა და არა!..

წამოხტომა დავაპირე, ისე აუტანელი იყო ჩემთვის აზრი, რომ ჩემდა უნებურად ვიღაცას შევაყვარე თავი, მაგრამ ილონა მკლავებში ჩამაფრინდა.

– დამშვიდდით, ძვირფასო მეგობარო. ყველაფერს გაფიცებთ, ნუ აღელდებით და, რაც მთავარია, გემუდარებით, ხმას ნუ აიმაღლებთ! თორემ ისეთი სმენა აქვს, არაფერი გამოეპარება. თანაც, ღვთის გულისათვის, უსამართლო ნუ იქნებით. საბრალომ განგების ნიშნად მიიჩნია, რომ ის სასიხარულო ცნობა სწორედ თქვენ მოიტანეთ, რომ სწორედ თქვენ, თქვენ იყავით ის ადამიანი, ვინც მამამისს აუწყა მკურნალობის ახალი მეთოდის შესახებ. შუაღამით მიიჭრა მაშინ მასთან ბიძაჩემი და გააღვიძა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ქვითინებდნენ ორივენი და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ მათ საშინელ სატანჯველს ბოლო მოეღებოდა და რომ (ორივე დარწმუნებულია) როგორც კი ედითი განიკურნება და ისეთივე გახდება, როგორც ყველა სხვა, მაშინ თქვენ... მე მგონი, აქ უკვე ჩემი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის... სწორედ ამიტომ, ახლა გული არ უნდა გაუტეხოთ საბრალო გოგონას, ახლა, როდესაც მთელი ძალები ახალ მკურნალობას უნდა მოახმაროს. ჩვენ, ყველამ, წარმოუდგენელი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ღმერთმა დაგვიფაროს და, ეჭვი არ აიღოს, რომ თქვენ ასე... ასე... შეგზარათ ამ ამბავმა.

– არა, არა, არა! – ბრაზმორეული ვურტყამდი მუშტს სავარძლის სახელურს, – არა, არ შემიძლია... არა მსურს სიყვარული, არ მინდა, რომ ასე ვუყვარდე ვინმეს!.. არ შემიძლია თავი ისე დავიჭირო, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდე, უკვე აღარ შემიძლია გულარხეინად

ვიჯდე აქ და დაშაქრული ქათინაურებით გავუმასპინძლდე ხოლმე... არ შემიძლია! თქვენ ხომ არ იცით, რა მოხდა... იქ, მის ოთახში, და თანაც... ჩემგან სულ უკუღმა ესმის ყველაფერი. მე მხოლოდ მეცოდებოდა, მხოლოდ თანავუგრძნობდი და სხვა არაფერი. ილონა დუმდა, ერთ რომელიღაც წერტილს მისჩერებოდა სივრცეში. შემდეგ ამოიოხრა:

– ჰო, თავიდანვე ამის მეშინოდა! სულ ვგრძნობდი ამას რაღაც ალღოთი!.. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა გვეშველება? როგორ უნდა ვუთხრა, რომ...

ხმისამოუღებლად ვისხედით. ყველაფერი ითქვა უკვე. ორივემ ვიცოდით, რომ ხსნა არსად იყო, გამოსავალი არ არსებობდა... უეცრად ილონა მხრებში გაიმართა და დაძაბული გამომეტყველებით ყური მიაპყრო რაღაცას. თითქმის იმავე წამს სადარბაზო შესასვლელთან ავტომობილის მუხრუჭების ხრჭიალი გაისმა. კეკეშფალვა თუ დაბრუნდა შინ. ილონა სასწრაფოდ წამოდგა.

– უკეთესია, თუ ახლა არ შეხვდებით მას... საამისოდ მეტისმეტად აფორიაქებული ხართ, რომ დინჯად ესაუბროთ... ერთ წამს მოიცადეთ, ახლავე ქუდსა და ხმალს მოგიტანთ. ყველაფერს სჯობს, უკანა კარიდან გახვიდეთ ბაღში...

თვალის დახამხამებაში მომიტანა ჩემი ნივთები. საბედნიეროდ, მსახურმა ავტომობილს მიაშურა, ამიტომ მე შეუმჩნევლად გავედი ეზოში. ბაღში ამოვყავი თავი თუ არა, ნაბიჯს ვუმატე: მეშინოდა, ვინმეს არ გადავყროდი, არავისთან ლაპარაკის თავი არ მქონდა. ეს უკვე მეორეჯერ გამოვრბოდი ასე ქურდულად მხრებში მოხრილი და შეშინებული ამ საბედისწერო სახლიდან.

აქამდე ჩემი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო მუდამ მეგონა, ადამიანის ყველაზე საშინელი სატანჯველი სიყვარულის სამხილია-მეთქი. მაგრამ ამ ინციდენტის შემდეგ თანდათან გასაგები გახდა ჩემთვის, რომ არსებობს კიდევ სხვა და, შესაძლოა, უფრო ჯოჯოხეთური წამებაც, ვიდრე ვინმესკენ ლტოლვა და ტრფიალი: სახელდობრ, როდესაც ვინმეს უყვარხარ და შენ კი არ იზიარებ ამ გრძნობას და ვერც გაქცევიხარ მოძალებული მიჯნურის ვნებათაღელვას; როდესაც ხედავ, რომ შენ გვერდით ადამიანი იწვის და იდაგება წადილისაგან და შენ კი უძლური ხარ გამოჰგლიჯო ცეცხლსა და გეენას.

ვინც უიმედოდ არის შეყვარეული, მას ზოგჯერ შეუძლია დაიოკოს ვნებათაღელვა, ვინაიდან იგი მხოლოდ მსხვერპლი კი არ არის მტანჯველი გრძნობისა, არამედ მისი შემოქმედიც, ხოლო თუ მიჯნური ვერ ლაგმავს თავის გრძნობას, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მისი ბრალი მაინც არის, ასე რომ იტანჯება. მაგრამ იმას აღარაფერი ეშველება, ვინც უყვართ და ის კი არ იზიარებს ამ სიყვარულს, რადგან სხვის ვნებას ვერ განაგებ, ზღვარს ვერ დაუდებ, და შენი ნებისყოფა უძლურია რამე გონივრული ჩაგადენინოს, როდესაც შენ თავად ხარ საწადელი. ვფიქრობ, მარტოოდენ მამაკაცი თუ განიცდის მთელი სიმძიმით ასეთი მდგომარეობის გამოუსავლობას, მხოლოდ იგი გრძნობს თავს ერთდროულად წამებულადაც და დამნაშავედაც, როდესაც იძულებულია წინაღუდგეს ვნებას, რომელსაც თავს ახვევენ; ყოველ ქალს ოდითგანვე თანდაყოლილი აქვს პირვანდელი უარი და თვით მაშინაც კი, როდესაც ყველაზე მგზნებარე გულის წადილს არიდებს თავს, არ შეიძლება მას არაადამიანური ვუწოდოთ, მაგრამ მაშინვე

მსახვრალად იცვლება ყველაფერი, როგორც კი ბედისწერა სასწორის პინებს ადგილებს შეუნაცვლებს, როგორც კი ქალი კდემამოსილებას იმდენად დასძლევს, რომ მამაკაცს თავის გრძნობას პირველი გამოუცხადებს, დარწმუნებული არ იქნება მამაკაცის სიყვარულში და თავის გულს კი გადაუშლის, ხოლო კაცი გულცივად შეხვდება და უარით უპასუხებს! ასეთი რამ მუდამ გამოუვალ კონფლიქტს ქმნის, რადგან ქალის სურვილის არგაზიარება, ნიშნავს ფეხქვეშ გათელო მისი სიამაყე და მისი კდემამოსილება არაფრად მიგაჩნდეს. ის მამაკაცი, რომელიც ქალს სიყვარულზე უარს ეუბნება, უთუოდ მის ყველაზე კეთილშობილ გრძნობებს შეურაცხყოფს. მერე სულ ამაოა, დელიკატურად აარიდებს თავს თუ არა, აზრი არა აქვს ზრდილობიან თუ მიკიბულ-მოკიბულ სიტყვებს; მეგობრებად დავრჩეთო, ამის შეთავაზება ხომ საწყენია და საწყენი. თუ ქალმა თავისი სისუსტე გასცა, კაცის ყოველგვარი წინააღმდეგობა აუცილებლად მის მიერ შეუბრალებლობად იქცევა; როდესაც შეყვარებულ ბავშვს ხელს ჰკრავ, იგი მუდამ უდანაშაულო დამნაშავე ხდება. ამ საზარელ ბორკილებს ვერა და ვერ დაამსხვრევ!.. ეს-ეს არის, თავისუფალი იყავი, შენი თავი შენ გეკუთვნოდა მხოლოდ, არავისგან იყავი დავალებული და აი, ერთბაშად აღმოჩნდება, რომ კუდში დაგდევენ, გისაფრდებიან... უცხო, შენთვის არასასურველი გულის წადილის ობიექტი ხარ. სულის სიღრმემდე შეძრწუნებულმა იცი, რომ დღე და ღამე ვიღაც გიცდის, შენზე ფიქრობს, ოცნებობს, დარდობს და ეს ვიღაც ქალია. მას სწადიხარ, ენატრები მთელი არსებით, სხეულის ყოველი უჯრედით და სისხლის ყოველი წვეთით მოგელტვის; შენი ხელები, თმა, ტუჩები, სხეული სწადია, შენი ღამეები და დღეები, განცდები, კაცობა, ყველა შენი ფიქრი და ოცნება. ყველაფერი სურს გაგიყოს, ყველაფერი წაგართვას, შთანთქას, შეისრუტოს, როცა კი უნდა იყოს, დღისითა და ღამით, ძილსა თუ ღვიძილში... ახლა სადღაც ქვეყნად არის არსება, რომელიც ფხიზლობს და გულმხურვალედ გელოდება, ეჭვიანობს და ოცნებობს შენზე. ამაოდ ცდილობ არ იფიქრო მასზე, ვინც განუწყვეტლივ შენზე ფიქრობს, ამაოდ ცდილობ თავის დაძვრენას, რადგან ახლა მარტო შენს თავს კი არა, მასაც ეკუთვნი. მოარულ სარკესავით დაატარებს უცხო ადამიანი შენს გამოსახულებას (არა, სარკესავით არა, რადგან ამ უკანასკნელში მხოლოდ მაშინ გამოჩნდები, როდესაც შენი ნებით მიხვალ მასთან, ქალს კი, შენს მოტრფიალე უცხო არსებას, შეწოვილი აქვს შენი ხატება, სისხლსა და ხორცში გამჯდარი, სულში უზიხარ, მარად თან დაგატარებს და სადაც გინდა გაიქცე, მაინც მასთან რჩები). მარად მისი ტყვე ხარ, მისი პატიმარი, შენს თავს აღარ ეკუთვნი, აღარასოდეს იქნები უწინდებურად ლაღი და უდარდელი... სრულიად უდანაშაულოს მუდამ რაღაცას დაგაკისრებენ, მუდამ რაღაცას დაგავალდებულებენ... განუწყვეტლივ გრძნობ, როგორ გშანთავს ეს გაუთავებელი „შენზე ფიქრი“. სიძულვილითა და შიშით აღსავსე, იძულებული ხარ, აიტანო უცხო ადამიანის ლტოლვა. იგი ხომ შენ გამო იტანჯება. და აი, მე ახლა ვიცი: მამაკაცისათვის იმაზე უფრო უაზრო და მსახვრალი არაფერია, როდესაც მას ეტრფის ვინმე და თავად კი არ იზიარებს ამ მოძალებულ სიყვარულს... ეს საშინელი სატანჯველი გახლავთ, თუმცა უდანაშაულო დანაშაული კია!..

სიზმრადაც არ დამესიზმრებოდა, რომ შეიძლებოდა ქალს ოდესმე ასე უსაზღვროდ ვყვარებოდი. მართალია, ხშირად ვყოფილვარ მოწმე, როგორ თავმომწონედ იტყოდნენ ხოლმე ჩემი მეგობრები ამა თუ იმ ქალზე მსგავსს ძალით მეკიდებოდაო, და შესაძლოა, როდესაც უცერემონიოდ უამბობდნენ ერთიმეორეს ძალით აკვიატების რომელიმე ეპიზოდს, მეც სხვებთან ერთად მხიარულად ვიცინოდი, რადგან მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ სიყვარული, რანაირადაც უნდა იყოს გამოვლენილი, თუნდაც ყველაზე სასაცილო და აბსურდული ფორმითაც კი, ადამიანის წერაა, და გულგრილობა უკვე დანაშაულია მის მიმართ. მაგრამ გაგონილი და წაკითხული კვალს ნაკლებად ტოვებს; მხოლოდ ის, რასაც გული თავად გადაიტანს, საცნაურს ხდის მისთვის გრძნობის ჭეშმარიტ ბუნებას. ჯერ მე თავად უნდა განმეცადა, რა გასაჭირში ვარდება კაცის სინდისი, როდესაც ქალი შლეგურად ეძალება, რათა თანაგრძნობით გავმსჭვალულიყავი როგორც ერთის, ისევე მეორის მიმართ, იმის მიმართაც, ვინც სიყვარულს თავს ახვევს სხვას, და იმისადმიც, ვინც ასეთ ნაძალადევ სიყვარულს გაურბის. მაგრამ ამ შემთხვევაში განუზომლად უფრო დიდი იყო ჩემზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. ვინაიდან, თუ ულმობლობა და ლამის გულქვაობაც კია, ქალის გრძნობას რომ არ გაიზიარებ, მაშინ რა საშინელი იქნება ჩემი „არა“, ჩემი „არ მინდა“, რომლის თქმაც ამ ფიცხი გოგონასათვის მომიხდება! სნეული უნდა შეურაცხვყო, ცხოვრებისგან ისედაც დატანჯულს კიდევ უფრო უნდა მოვუკლა გული, ისედაც სასომიხდილს უკანასკნელი იმედიც წავართვა, დავრდომილს უკანასკნელისაყრდენიც გამოვაცალო, რომლითაც ასე თუ ისე, კიდევ ინარჩუნებს წონასწორობას... ვგრძნობდი, როგორ საშინელ, შეიძლება დამღუპველ დარტყმასაც ვაყენებდი ამ ქალიშვილს (რომელიც მარტოოდენ ჩემმა თანაგრძნობამაც კი ესოდენ შეძრა), იმით, რომ თავს ვარიდებდი, გავურბოდი მის სიყვარულს; იმთავითვე შემზარავი სიცხადით ვხედავდი, რომ ჩემდა უნებურად შემაძრწუნებელ ბოროტებას ჩავდიოდი, რაკი არ შემეძლო მისი სიყვარული გამეზიარებინა; მე იმასაც კი არ ვცდილვარ, რომ თავი მაინც დამეჭირა ისე, თითქოს ვიზიარებდი.

მაგრამ არჩევანი არ მქონდა. ვიდრე ჩემი სული საფრთხეს აღიქვამდა, სხეულმა უკვე იუარა უცაბედი ხვევნა-კოცნა. ჩვენს ინსტინქტებში ყოველთვის უფრო მეტი სიბრძნეა, ვიდრე ჩვენს ფხიზელ აზროვნებაში; პირველივე წამს, როდესაც დამფრთხალი შევეცადე დავსხლტომოდი ედითის ალერსს, ბუნდოვნად უკვე ვგრძნობდი, რაც ამას მოჰყვებოდა. ვიცოდი, რომ მე არასოდეს მექნებოდა მაცხოვრის ძალა, რათა სახიჩარი ქალიშვილი ისევე მყვარებოდა, როგორც მას ვუყვარდი, და ალბათ თანაგრძნობაც არ მეყოფოდა საიმისოდ, რომ თუნდაც გამეძლო მაინც ამ ნერვების ამშლელი ვნებათაღელვისათვის. იმ პირველსავე წამში, როცა პირი ავარიდე ედითს, ალღოთი ვგრძნობდი, რომ აქ გამოსავალი არ იყო, კომპრომისი არ არსებობდა: ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა გაუბედურებულიყო ამ აბსურდული სიყვარულით და, შესაძლოა, ორივენიც კი.

* * *

აღარ მახსოვს, როგორ დავბრუნდი ქალაქში. ვიცი მხოლოდ, რომ ძალზე სწრაფად მივდიოდი და ჩემს თავში მაჯისცემასავით რიტმულად ხმიანობდა ერთი და იმავე აზრი: „შორს, შორს ამ სახლიდან! იმ ავბედითი ქსელიდან! უნდა გავიქცე, სადმე გადავიკარგო! ფეხს აღარ შევდგამ ამ ვილაში! თვალით აღარ დავენახვები ამ ადამიანებს, და საერთოდ არც აღარავის! დავიმალები, ყველასთვის უჩინარი გავხდები, არავის მოვალე არ უნდა ვიყო, აღარაფერში არ მსურს გავება!“ მახსოვს, გუნებაში უფრო შორსაც მივდიოდი: სამხედრო სამსახურიდან გადადგომას, ფულის შოვნასა და სადმე შორს გამგზავრებას ვაპირებდი, სადაც ეს შლეგური სიყვარული ვეღარ მომწვდებოდა; მაგრამ ეს უკვე ოცნება იყო და არა საღი მსჯელობა; რადგან თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებდა და საფეთქლებში ჩაქუჩივით მცემდა სიტყვები: „შორს, შორს, რაც შეიძლება შორს უნდა წავიდე და გავარიდო თავი აქაურობას!“ როცა მოგვიანებით ჩემს გამტვრიანებულ ჩექმებსა და ბირკებმოდებულ შარვალზე დავიხედე, მივხვდი, პირდაპირ მინდორ-მინდორ მევლო; ბოლოს, ქალაქის მთავარ ქუჩას რომ მივაღწიე, მზე უკვე შენობათა სახურავებს მიღმა იყო გადაწვერილი და მეც ნამდვილი მთვარეულივით შევკრთი, როდესაც მოულოდნელად უკნიდან ვიღაცამ მხარზე ხელი დამარტყა.

– ბიჭო, ტონი, აი თურმე სად ხარ! ძლივს არ გიპოვეთ? სად არ ვიყავით შენს საძებნელად. ეს-ეს არის ტელეფონით ვაპირებდით შენს რაინდულ ციხე-კოშკთან დაკავშირებას.

და სამი მეგობარი შემომეტრყა გარს: ფერენცი (ურომლისოდაც არაფერი წყდებოდა), იოჟი და როტმისტრი გრაფი შტაინჰიუბელი.

– აბა, ახლა მარდად მოიქეცი! წარმოგიდგენია, ბალინკაი ჩამობრძანდა. მგონი, ჰოლანდიიდან თუ ამერიკიდან, ერთი სიტყვით, ღმერთმა იცის, საიდან. ჰოდა, პოლკის ყველა ოფიცერი და მოხალისეები დაგვპატიჟა ამ საღამოს. პოლკოვნიკიც იქნება, მაიორიც, მაგარი სუფრა გაიშლება. „წითელ ლომში“ უნდა ვიყოთ ცხრის ნახევარზე. რა კარგია, რომ გნახეთ, თორემ ჩვენი ბებერი ბუზღუნს დაიწყებდა, იქ რომ არ აღმოჩნდებოდი! ხომ იცი, გიჟდება ბალინკაისთვის; როცა ის ჩამოდის, უკლებლივ ყველა უნდა გამოცხადდეს.

მე ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავი და შეცბუნებულმა ვკითხე:

– ვინ ჩამოვიდა?

– ბალინკაი!.. რა პირდაღებული გვიყურებ, ბალინკაის არ იცნობ?

ბალინკაი?.. ბალინკაი?.. ჩემს თავში სრული ქაოსია; რის ვაივაგლახით, თითქოს ძველ ხარახურაში მომეძებნოს, ვიგონებ ამ სახელს. ჰო, მართლაც, ბალინკაი! ის ხომ ერთ დროს ჩვენი პოლკის mauvais sujet-ი იყო. ჩემს ჩამოსვლამდე ბევრად უფრო ადრე მსახურობდა აქ, ჯერ ლეიტენანტად, შემდეგ უფროს ლეიტენანტად; ცნობილი იყო როგორც საუკეთესო ცხენოსანი, ყველაზე დაუდეგარი ყმაწვილი მთელ პოლკში, ბანქოს აზარტული მოთამაშე და ქალების მუსუსი. მაგრამ შემდეგ, რაღაც უკეთური ამბავი შეემთხვა (არ დავინტერესებულვარ, სახელდობრ რა, მაგრამ ეს კია, რომ სამხედრო სამსახურს სამუდამოდ გამოეთხოვა და ცალი ფეხი ალთას ჰქონდა, მეორე ბალთას);

მთელი დედამიწის ზურგი მოიარა; ათას უცნაურ რამეს ჰყვებოდნენ მასზე. ბოლოს ისევ გაუღიმა ბედმა კაიროში, შეპერდის ოტელში, მილიონერ ჰოლანდიელ ქალს შეაყვარა თავი, საარაკოდ მდიდარ ქვრივს, ჩვიდმეტი გემისა და ვეებერთელა პლანტაციების მფლობელს იავასა და ბორნეოზე და მას შემდეგ ჩვენს უხილავ მფარველად იქცა.

როგორც ჩანს, ჩვენმა პოლკოვნიკმა მაშინ მაგარი ლაფიდან ამოიყვანა, რადგან ბალინკაის პირდაპირ გულისამაჩუყებლად უყვარდა ისიც და მთელი პოლკიც. ყოველთვის, როცა კი ავსტრიაში ჩამოვიდოდა, საგანგებოდ ეწვეოდა ხოლმე ჩვენს გარნიზონს და ისე ფანტავდა ფულს აქეთ-იქით, რომ მისი წასვლის შემდეგ ქალაქში რამდენიმე კვირა მხოლოდ ამაზეღა იყო ლაპარაკი. როდესაც ლაღად და დარდიმანდულად იჯდა ოფიცერთა ტრადიციულ სუფრასთან, აშკარად ჩანდა, რომ მისი კერა აქ იყო, „წითელი ლომის“ უღიმღამო, თამბაქოს კვამლით გაჭვარტლულ დარბაზში და არა ფეოდალურ სასახლეში ამსტერდამის ერთ-ერთ სანაპიროზე. ჩვენ მისი შვილები, მისი ძმები ვიყავით და მარად ასეთებად ვრჩებოდით. აქ იყო მისი ჭეშმარიტი ოჯახი. ყოველ წელს ჯილდოებს აწესებდა ჩვენთან ჯირითში გამარჯვებულთათვის; საშობაოდ, როგორც წესი, რამდენიმე კალათ შამპანურს გვიგზავნიდა. ყოველ ახალ წელს პოლკოვნიკს შეეძლო გულარხეინად წარედგინა ჩეკი მოზრდილ თანხაზე და ჩვენი, ოფიცრების, „ამხანაგური სალარო“ შეევსო. ყველას, ვინც კი ჯარისკაცის მუნდირსა და საყელოზე ჩვენი პოლკის აღმნიშვნელ ნიშანს ატარებდა, გაჭირვების შემთხვევაში, შეეძლო ბალინკაის იმედი ჰქონოდა: საკმარისი იყო ერთი მიგეწერათ და ყველაფერი მოგვარდებოდა...

სხვა დროს ასეთ სახელგავარდნილ კაცთან შეხვედრის შესაძლებლობა გულწრფელად გამახარებდა, მაგრამ ახლა ისეთი არეული ვიყავი, რომ დროს ტარების, ხმამაღალი შეძახილებისა და სადღეგრძელოების მარტო წარმოდგენამაც კი შემზარა. ამიტომ შევეცადე დაუყოვნებლივ ხელიდან დავძრომოდი მეგობრებს: უქეიფოდ ვარ-მეთქი, განვაცხადე, მაგრამ ფერენცმა მაშინვე მკლავში ხელი წამავლო და მტკიცედ თქვა:

– აბა, აბა! დღეს ვერ აგვეთესები!

სხვა რა გზა მქონდა, უნდა დავმორჩილებოდი მათ. ვიდრე მეგობრები ასე მიმათრევდნენ, გონებაგაფანტული ვუსმენდი ფერენცს, რომელიც ჰყვებოდა, ვის და როგორ დაეხმარა უკვე ბალინკაი, როგორ თვალის დახამხამებაში მოაწყო სამსახურში მისი ცოლისძმა, და რომ, ვინ იცის, იქნებ ჩვენნაირი ყმაწვილი უფრო მალე დაწინაურდეს, მასთან რომ დადგეს ერთ-ერთ გემზე ანდა ინდოეთში გაემგზავროსო. იოჟი, ეს უსახური და პირქუში ჭაბუკი, შიგადაშიგ გესლიან შენიშვნებს ურთავდა და ოპტიმისტი ფერენცის აღფრთოვანებას ანელებდა.

– საეჭვოა, პოლკოვნიკს ასე გულთბილად მიეღო ხოლმე თავისი გულის ვარდი, დასძინა მან დაცინვით, ამ უკანასკნელს ანკესზე რომ არ წამოეგო ის ჰოლანდიელი, რომელიც, სხვათა შორის, როგორც ამბობენ, თორმეტი წლით უფროსი უნდა იყოს ბალინკაიზე.

– მაშ, როგორ გინდა? თუ თავს გაყიდი, მაშინ ძვირად მაინც უნდა გაყიდო, ჩაიცინა გრაფმა შტაინჰიუბელმა.

ახლა, როდესაც იმ ამბებს ვიგონებ, მიკვირს, რომ ეს საუბარი სიტყვასიტყვით დამამახსოვრდა, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად გაოგნებული ვიყავი. მაგრამ განა გადაღლას ხშირად საოცარი შინაგანი ნერვიული აღგზნება არ ახლავს? და როცა „წითელი ლომის“ დიდ დარბაზში შევედით, დისციპლინის ჰიპნოზური ზემოქმედების წყალობით, ასე იყო თუ ისე, შევასრულე ჩემზე დაკისრებული მოვალეობა. გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო. ტრანსპარანტების, დროშებისა და ემბლემების მთელი მარაგი, რომელსაც მხოლოდ პოლკის მეჯლისებზე ააბრჭყვიალებდნენ ხოლმე, ახლა აქ მოეტანათ. სახეგაბადრული მეკავშირეები გულმოდგინედ არჭობდნენ კედლებში ლურსმნებს. გვერდით ოთახში შტაინჰიუბელი მებუკეს წვრთნიდა, როდის და როგორ დაეკრა ტუში. მე გამრიგებლის მოვალეობა ამკიდეს. ამასობაში „წითელი ლომის“ თანამშრომელმა მაგიდები ერთმანეთს მიადგა, სკამები გაასწორა და ოფიციანტებმა ღვინო და შამპანური შემოიტანეს, რომელიც ბალინკაის წამოეღო თავისი ავტომობილით ვენიდან ზახერისაგან, და საბრძოლო პოზიციაში განალაგეს. საკვირველი იყო, მაგრამ ეს ორომტრიალი ჩემზე კარგად მოქმედებდა. აურზაური ჩემს თავში ყრუდ მოფუთფუთე კითხვებს ახშობდა.

რვა საათზე ყველაფერი მზად იყო. ახლა ისღა დაგვრჩენოდა, რომ ყაზარმაში მიგვერბინა და ჩვენი თავისთვისაც მიგვეხედა. დენშჩიკი წინასწარ გავაფრთხილე, რომ მუნდირი და ჩექმები გაწკრიალებული დამხვედროდა. მაშინვე გადავივლე თავზე ცივი წყალი და საათს დავხედე: ათი წუთიღა მრჩებოდა. ჩვენს პოლკოვნიკთან კი, აბა გაგებედა და დაგეგვიანებინა. ამიტომ სასწრაფოდ გავიხადე ტანსაცმელი და სწორედ მაშინ, საცვლების ამარა სარკის წინ თმის დასავარცხნად რომ დავდექი, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

– ვინც არ უნდა მიკითხოს, შინ არ ვარ, – ვუბრძანე დენშჩიკს. ისიც გავარდა გარეთ, ერთ წამს ვიღაცას ეჩურჩულა წინკარში, შემდეგ უკან შემოტრიალდა და წერილი შემომიტანა.

წერილი? ჩემთან? პერანგის ამარამ გამოვართვი პაკეტივით სქელი და მძიმე, სწორკუთხა ცისფერი კონვერტი და მაშინვე თითებზე ცეცხლი მომეკიდა. წარწერაზე დახედვაც არ დამჭირვებია, უკვე ვიცოდი, ვისგანაც იყო.

„მერე, მერე წაიკითხე! – ვუკარნახე საკუთარ თავს ინსტინქტურად, – ახლა არ გინდა!“

მაგრამ ჩემდა უნებურად უკვე გავხიე კონვერტი და კითხვას შევუდექი.

* * *

ეს იყო მღელვარე, გაკრული ხელით დაწერილი თექვსმეტგვერდიანი წერილი, რომელსაც ადამიანი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ წერს და მხოლოდ ერთხელ იღებს. როგორც სისხლი ღია ჭრილობიდან, ისე შეუჩერებლივ მოედინებოდა სტრიქონები, უაბზაცოდ, სასვენი ნიშნების გარეშე; სიტყვები ერთმანეთს წინ უსწრებდა. ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, ამ წერილის ყოველი სტრიქონი და ყოველი ასო თვალწინ მიდგას. როცა უნდა იყოს, დღისით თუ ღამით, შემიძლია თავიდან ბოლომდე ზეპირად გავიმეორო, იმდენჯერ მაქვს წაკითხული. იმ დღიდან მოყოლებული მრავალი თვე

ჯიბით დავატარებდი ამ ცისფერი ქაღალდის დასტას და ხან სად ამოვიღებდი და ხან სად: შინ, ყაზარმებში, შემდეგ კი ომის ქარცეცხლში, საველე სადგომებსა და კოცონის პირას. მხოლოდ ვოლინში, უკან დახევის დროს, როდესაც ჩვენს დივიზიას მტერმა ალყა შემოარტყა, დავწვი, რადგან შემეშინდა, ეს აღსარება უცხოს არ ჩავარდნოდა ხელში.

* * *

„უკვე ექვსჯერ მოგწერე, – ასე იწყებოდა იგი, – მაგრამ ექვსჯერვე ნაკუწ-ნაკუწ ვაქციე წერილი, რადგან არ მსურდა გამოგტყდომოდი, არა და არ მსურდა. თავს ვიკავებდი, სანამ ძალა შემწევდა. კვირიდან კვირამდე ვებრძოდი საკუთარ თავს და არაფერს გაგრძნობინებდი. ყოველთვის, როცა კი ჩვენთან მოხვიდოდი, მეგობრულად განწყობილი, მიუხვედრელი, ჩემს ხელებს ვუბრძანებდი წყნარად ყოფილიყვნენ, ჩემს თვალებს ვაიძულებდი გულგრილად ემზირათ, რათა შენი სულიერი სიმშვიდე არ დამერღვია. ხშირად განგებ როყიოდ და აგდებულად გეკიდებოდი, გუმანითაც რომ ვერ მიხვედრილიყავი, როგორ იწვოდა ეს გული შენთვის... რაღა არ ვცადე, ყველაფერი გავაკეთე, რაც ადამიანს ძალუძს და, ვფიქრობ, უფრო მეტიც.

დღეს კი მოსახდენი მოხდა, მაგრამ, გეფიცები, ჩემდა უნებლიეთ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მე თვითონაც არ ვიცი, როგორ დამემართა. შემდეგ კი სირცხვილით ვიწვოდი და რომ შემძლებოდა, სიამოვნებით გავიმათრახებდი თავს, რადგან მესმის, კარგად მესმის, რა სიშლეგე და რა უაზრობაა ძალად თავის მოხვევა, რადგან ფეხებწართმეულ არსებას, ხეიბარს, სიყვარულის უფლება არა აქვს. ან კი როგორ შეიძლება, რომ მე, საპყარი, სახიჩარი, ზედმეტი ბარგი არ ვიყო შენთვის, როდესაც მე თვითონ მძულს, მე თვითონ მეზიზღება ჩემი თავი? ვიცი, რომ ჩემნაირ არსებას უფლება არა აქვს ვინმე უყვარდეს და, მით უმეტეს, ვინმემ შეიყვაროს. უნდა სადმე კუნჭულში მიხოხდეს და იქ ამოსძვრეს სული, თავისი არსებობით სხვებს სიცოცხლე რომ არ მოუწამლოს. დიახ, ყველაფერი ვიცი, ვიცი და სწორედ ეგ მიღებს ბოლოს, რომ ვიცი. ამიტომ ვერასოდეს გავბედავდი შენს შეწუხებას, მაგრამ განა შენ თვითონ არ ჩამინერგე სასოება, სულ მალე აღარ იქნები სახიჩარიო? განა შენ არ ჩამაგონე, რომ სხვებივით შევძლებ მოძრაობას, მილიონობით ადამიანის მსგავსად სიარულს, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ ყოველი თავისუფლად გადადგმული ნაბიჯი ღვთით ბოძებული მადლი და უდიდესი ნეტარებაა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ხმა არ ამომეღო, ვიდრე ნამდვილად არ მოვრჩებოდი, ვიდრე სრულფასოვანი ქალი არ გავხდებოდი და ვინ იცის, ვინ იცის! შენი ღირსიც, ჩემო საყვარელო. მაგრამ ჩემმა მოუთმენლობამ, რაც შეიძლება მალე მორჩენის წყურვილმა ისე შემშალა, რომ იმ წამს, როდესაც ჩემკენ დაიხარე, უკვე მეგონა, გულწრფელად მეგონა, გულწრფელად და ტუტუცურად მეგონა, უკვე განკურნებული ვარმეთქი! ძალიან დიდხანს ვნატრობდი, ვოცნებობდი, და როდესაც ასე ახლოს იყავი ჩემთან... ერთი წამით დამავიწყდა ჩემი წყეული ფეხები, მხოლოდ შენ გხედავდი და თავი ისეთად მესახებოდა, როგორიც მსურდა შენთვის ვყოფილიყავი. ნუთუ არ შეგიძლია გაიგო, რომ დღისითაც კი შეიძლება

ერთი წამით ცხადად მოგეჩვენოს ის, რაზეც წლების განმავლობაში დღე და ღამე ოცნებობ? დამიჯერე, საყვარელო, მხოლოდ და მხოლოდ იმ ახირებულმა აზრმა, სურვილმა იმისა, რომ აღარ ვყოფილიყავი გარიყული, გონჯი, ამიფორიაქა და გადამირია გული. გამიგე, გთხოვ: მე ხომ ამდენი ხანია უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი მოვილტვოდი შენკენ.

ახლა შენ იცი ის, რასაც ვერასოდეს შეიტყობდი, ვიდრე ნამდვილად ფეხზე არ დავდგებოდი, და იმასაც ხვდები, ვისთვის მინდა განვიკურნო: ერთადერთისათვის მთელ დედამიწის ზურგზე შენთვის! მხოლოდ შენთვის! მომიტევე, საყვარელო, ეს სიყვარული. და უწინარეს ყოვლისა, ერთს გევედრები: შიშით და ძრწოლით არ განიმსჭვალო ჩემ მიმართ! არ იფიქრო, რომ რაკი ერთხელ გამოვედი წონასწორობიდან, შემდგომშიც აგიხირდები და შევეცდები, ხელიდან არ გაგიშვა. არა, გეფიცები, მომავალში ოდნავაც არ შეგაწუხებ, არაფერს გაგრძნობინებ, მარტოოდენ ლოდინი მინდა, მოთმინებით ლოდინი, ვიდრე ღმერთი შემიწყალებდეს და მომარჩენდეს. ამიტომ გევედრები ნუ შეგაძრწუნებს ჩემი სიყვარული, სულზე უტკბესო! აბა, დაფიქრდი შენ ხომ იმდენი თანაგრძნობა გაქვს, რამდენიც ჩემთან ჯერ არავის გამოუჩენია! აბა, დაფიქრდი, რა საშინლად უმწეო ვარ. სავარძელზე მილურსმულს ძალა არ შემწევს დამოუკიდებლად თუნდაც ერთი ნაბიჯი გადავდგა, არ ძალმიძს სადმე გამოგყვე ან შეგეგებო ჩემთან მოსულს. გაიგე, რომ ტუსაღი ვარ, რომელსაც საკანში ჯდომა და ლოდინი აქვს მისჯილი, მარად მოთმენით, მარად მოუთმენლად ლოდინი, როდის მოხვალ და ერთ საათს უწყალობებ, ნებას დართავ გიყურო, ყური დაუგდოს შენს ხმას, შენი სუნთქვა, შენი იქ ყოფნა შეიგრძნოს. ეს არის ჩემი ერთადერთი ბედნიერება, რომელიც პირველად მხვდა წილად მრავალი წლის შემდეგ. აბა, წარმოიდგინე: სულ ვწევარ და ვწევარ, დღისითაც და ღამითაც, და გელოდები, ყოველი საათი გაუსაძლისად ჭიანურდება. მერე მოდიხარ და მე არ ძალმიძს სხვა ქალებივით წამოვხტე, შეგეგებო, მოგეხვიო, გულში ჩაგიკრა. უნდა გაუნძრევლად ვიჯდე, თავი შევიკავო, გრძნობები ავლაგმო, ჩემი ყოველი სიტყვა ავწონდავწონო, ჩემს ყოველ გამოხედვას და ინტონაციას კონტროლი გავუწიო, რათა არ მიხვდე, რომ გავბედე და შეგიყვარე. მაგრამ დამიჯერე, საყვარელო, ტანჯვით აღსავსე ეს წუთებიც კი ყოველთვის უდიდესი ბედნიერება იყო ჩემთვის და განუწყვეტლივ ვამაყობდი, თავი მომწონდა, როდესაც ერთხელ კიდევ შევძლებდი თავის შეკავებას და ისე წახვიდოდი, რომ ვერაფერს მიხვდებოდი, ლაღად, უდარდელად, რადგან არაფერი იცოდი ჩემი სიყვარულის შესახებ. სატანჯველი კი ჩემთან რჩებოდა შეგნება იმისა, როგორ უნუგეშოდ ვიყავი შენზე შეყვარებული.

მაგრამ მოხდა, რაც მოსახდენი იყო. და ახლა, საყვარელო, როცა უკვე დასამალი აღარაფერი მაქვს, გემუდარები, ნუ იქნები ულმობელი, რადგან თვით ყველაზე საცოდავ და გაუბედურებულ არსებასაც აქვს სიამაყე და ვერ ავიტან, თუ შემიზიზღებ და შემიძულებ, რადგან გრძნობები ვერ დავფარე! ჩემი სიყვარულის გაზიარებას არ გთხოვ, ვფიცავ, არა! ღმერთი, რომელიც განმკურნავს და მიხსნის, მოწმეა, რომ ასეთ კადნიერებას მე ვერ ვბედავ. ოცნებაშიც არ მყოფნის იმდენი სითამამე, რომ თუნდაც ერთი წამით წარმოვიდგინო, თითქოს ისეთს, როგორიც ამჟამად ვარ, შემიყვარებ. შენ იცი, რომ არც

მსხვერპლს ვითხოვ შენგან და არც სიბრალულს, მხოლოდ მინდა, ნება დამრთო, რომ ველოდო, მდუმარედ ვიცადო, ვიდრე ბოლო ჟამი დარეკდეს! ვიცი, ისიც ბევრია, რასაც გთხოვ, მაგრამ ნუთუ მართლაც ასე ძნელია ადამიანს ის ერთი ციცქნა ბედნიერება უწყალობო, რომელიც ძაღლისთვისაც კი არ შურთ, ბედნიერების ნატამალი ხანდახან უსიტყვოდ შეხედოს ხოლმე თავის ბატონს? ნუთუ აუცილებლად მაშინვე მათრახი უნდა გადაუჭირო ამრეზილმა და გააგდო? რადგან მხოლოდ ერთს, მხოლოდ ერთ რამეს ვერ ავიტან: თუ მე, საცოდავს, მხოლოდ იმისთვის შემიძულებ, რომ ჩემი თავი გავეცი, თუ სირცხვილსა და სასოწარკვეთას არ მაკმარებ და ჩემს დასჯას მოიწადინებ, მაშინ მხოლოდ ერთი გზაღა დამრჩენია შენ იცი, რომელიც, მიჩვენებია შენთვის. მაგრამ არა, ნუ შეგეშინდება, კი არ გემუქრები! შენი შეშინება და სიყვარულის ნაცვლად შენი თანაგრძნობის გამოძალვა კი არ მინდა იმ ერთადერთისა, რასაც შენი გული აქამდე იმეტებდა ჩემთვის! სრულიად ლაღად და უდარდელად უნდა ვგრძნობდე თავს, ღმერთია მოწმე, მე არ მინდა ჩემი ტვირთი შენც აგკიდო, დაგამძიმო დანაშაულით, რომელშიც ბრალი არ მიგიძღვის. მხოლოდ ერთი მსურს: მომიტევე და დავიწყებას მიეცი, რაც მოხდა, რაც გითხარი, რაშიც გამოგიტყდი. ამით მაინც მანუგეშე, ეს ერთი ციცქნა რწმენა მაინც ჩამინერგე! ახლავე მითხარი, ჩემთვის ხომ შენი ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ არ შეგძულებივარ, რომ ისევ ივლი ჩვენთან, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვერ წარმოიდგენ, როგორ მეშინია შენი დაკარგვის. როგორც კი კარი გაიხურე და წახვედი მე თვითონაც არ ვიცი რატომ შიშის ზარმა დამცა და სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ეს უკანასკნელად მოხდა. ისე გაფითრდი, ისე ელდანაკრავივით დამფრთხალი იყურებოდი, როცა ხელი გაგიშვი, რომ კინაღამ სისხლი გამეყინა ძარღვებში. მე ვიცი, მსახურმა მიამბო, რომ მაშინვე ქუდსა და ხმალს დაავლე ხელი და სახლიდან გავარდი. ამაოდ გეძებდა ყველგან. ასე რომ, ვიცი, ისე გაიქეცი ჩემგან, როგორც კეთროვანისგან, როგორც ჭირიანისგან. მაგრამ არა, საყვარელო, არა, კი არ გსაყვედურობ, მესმის შენი! განა მე თვითონ არ მზარავს, როდესაც ჩემს ხუნდებს დავხედავ ხოლმე, ან ჩემზე უკეთ განა ვინ იცის, როგორი ანჩხლი და გაუსაძლისი გავხდი ჩემი მოუთმენლობის გამო. ჩემზე უკეთ ვის შეუძლია გაიგოს, რატომ ზარავთ ჩემი დანახვა, რატომ გარბიან შეშინებულები, როდესაც ისეთ უდღეურს გადაეყრებიან, როგორიც მე ვარ! და მაინც გემუდარები: მომიტევე, რადგან უშენოდ არც დღეა ჩემთვის დღე, და არც ღამე ღამე, უსასოობა სუფევს მხოლოდ. პატარა ბარათი გამომიგზავნე, ორიოდე სიტყვა მომწერე, ანდა სულაც სუფთა ფურცელი, ან ყვავილი, სულერთია, ოღონდ რამით მანიშნე, რომ არ მიჯავრდები, არ გძულვარ. აბა, დაფიქრდი, სულ მოკლე ხანში უნდა გავემგზავრო რამდენიმე თვით, რვა-ათ დღეში შენს წამებას ბოლო მოეღება, ხოლო თუ მთელი კვირები და თვეები ველარ გიხილავ და ამიტომ ათასჯერ გაიზრდება ჩემი სატანჯველი, ამაზე ნუ ინაღვლებ, მხოლოდ შენზე იფიქრე, როგორც მე ვფიქრობ მხოლოდ შენზე! ერთ კვირაში თავისუფალი იქნები? ამიტომ კიდევ ერთხელ მაინც მოდი, მანამდე კი ერთი სიტყვა მაინც მომწერე, რაიმე ნიშანი გამომიგზავნე! თორემ, ვერ შევძლებ მშვიდად ვიფიქრო, ვისუნთქო, რაიმე განვიცადო, თუ არ მეცოდინება, რომ

მაპატიე. მე არ შემიძლია და არც მსურს ვიცოცხლო, თუ შენი სიყვარულის უფლებას წამართმევ!“

თავზარდაცემული ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ბოლოში გასული ისევ თავიდან ვიწყებდი. ხელები მიკანკალებდა, საფეთქლები ისე მიცემდა, თითქოს ურიებს მირტყამდნენ. შეძრწუნებული ვიყავი ედითის ასეთი სიყვარულით.

* * *

– აუ, რა მაგარია! ეს აქ ისევ საცვლებისამარა დგას, ჩვენ კი დოყლაპიებივით ველოდებით! ბიჭებმა უკვე თავი მოიყარეს, ბალინკაიც მოსულია, ყველას სული კბილით უჭირავს, როდის დაიწყება ბანკეტი. სადაცაა პოლკოვნიკიც გამოჩნდება ხომ იცი, როგორ ბრაზდება, როცა ვინმე იგვიანებს! ჰოდა, ფერდლმა სასწრაფოდ შენთან გამომგზავნა: ნახე ერთი, რა სჭირსო! შენ კი დგახარ და სატრფოს ბარათს კითხულობ! აბა, დროზე, თორემ ორივეს ტყავს გაგვაძრობენ!

ეს ფერენცია. ვერც კი შევამჩნიე, როგორ შემოგორდა ოთახში, ვიდრე თავისი მძიმე ტორი მეგობრულად არ მითავაზა ბეჭებში. მე ჯერ არაფერი მესმის. პოლკოვნიკი? ფერენცი ჩემთან გამოგზავნეს? ბალინკაიც მოსულია? აჰ, ჰო, მაგონდება ძლივძლივობით: ბალინკაისთან შეხვედრის საღამოა! სასწრაფოდ ხელს ვკიდებ საღლუმო ფორმას და ავტომატური, ჯერ კიდევ კადეტთა სასწავლებელში ნასწავლი ილეთებით ვიცვამ, თან სულ სხვა რაღაცაზე ვფიქრობ. ფერენცი გაკვირვებული მაკვირდება.

– რა დაგემართა? რაღაც ხასიათზე ვერა ხარ. ცუდი ამბავი ხომ არ შეგემთხვა?

მაშინვე ვპასუხობ:

– არა, რას ამბობ. წავიდეთ!

სამი ნახტომი და უკვე კიბესთან ვართ, მაგრამ უცებ ისევ უკან ვბრუნდები, ოთახში.

– ჯანდაბა, რა ხდება? – მიყვირის გაბრაზებული ფერენცი გარედან. მე კი ვიღებ წერილს, რომელიც მაგიდაზე დამრჩა და გულის ჯიბეში ვიდებ. უკანასკნელ წუთს შევდივართ დარბაზში. ყველა უკვე აქ არის და ნალივით მოხრილ ვეება მაგიდას უსხედან, მაგრამ ვერავინ ბედავს მხიარულების დაწყებას, ვიდრე უფროსები ადგილს დაიკავებდნენ. ასე სკოლის მოწაფეები სხედან ხოლმე, როდესაც ზარი უკვე დაირეკა და მასწავლებელი სადაცაა გამოჩნდება.

და აი, ადიუტანტები აღებენ კარს და დეზების წკარა-წკურით შემოდიან შტაბის ოფიცრები. ჩვენ ვდგებით ფეხზე და ერთხანს სმენაზე ვდგავართ. პოლკოვნიკი ბალინკაის მარჯვნივ ჯდება, თანამდებობით ყველაზე უფროსი მაიორი მარცხნივ, და სუფრა მაშინვე ცოცხლდება. თეფშები წკრიალებენ, კოვზები ჩხაკუნობენ, ყველანი საუბრობენ და ღვინოს ეძალებიან, მხოლოდ მე ვზივარ გარინდებული და წამდაუწუმ მკერდზე ვიდებ ხელს იმ ადგილას, სადაც მუნდირის ქვეშ რაღაც ძგერს და ბაგაბუგი გაუდის, თითქოს მეორე გული იყოს. ხელის ყოველ შეხებაზე ვგრძნობ, როგორ ტკიცინებს წერილი, გაჩაღებული კოცონივით ტკაცატკუცი გაუდის და მაშინ, როდესაც

დანარჩენები ლაპარაკითა და მადიანი ჭამა-სმით არიან გართულნი, მე მხოლოდ ამ ბარათზე ვფიქრობ ამ ბარათსა და მისი დამწერის უნუგეშო ხვედრზე.

ამაოდ დამტრიალებს თავს ოფიციანტი. ყველაფერს ხელუხლებლად ვტოვებ. საკუთარ თავში ვარ ჩაძირული. რაც ჩემ გარშემო ხდება, თითქმის ვერაფერს აღვიქვამ. ყველა მხრიდან ბუნდოვნად მესმის სიტყვები, მაგრამ აზრს ვერ ვარჩევ, თითქოს ყველა ჩემთვის უცხო ენაზე ლაპარაკობს. ჩემ პირდაპირ, ჩემ გვერდით ვხედავ სახეებს, ულვაშებს, თვალებს, ტუჩებს, მუნდირებს, მაგრამ ისე არამკაფიოდ, თითქოს ვიტრინის მინის მიღმა ვუჭვრეტდე მაღაზიაში გამოდგმულ საქონელს. აქაც ვარ და არც ვარ აქ, გარინდებული ვარ, მხოლოდ ტუჩებით ისევ და ისევ წერილის ცალკეული ფრაზები გამომყავს, ხოლო ზოგჯერ, როდესაც მეხსიერება მღალატობს, ვჩერდები, ხელი ჩუმად გულის ჯიბისკენ გამირბის, როგორც კადეტთა სასწავლებელში ყოფნისას, როდესაც ტაქტიკის გაკვეთილებზე უბიდან აკრძალულ წიგნებს ვიღებთ.

ჭიქაზე დანის ენერგიული კაკუნი გაისმის. თითქოს ბასრმა ფოლადმა ხმაური ჩაჭრაო, სიჩუმე უცებ მყარდება. პოლკოვნიკი დგება და სადღეგრძელოს იწყებს. მაგიდის კიდეს ორივე ხელით მაგრად ეჭიდება და კოტიტა ტანს ხან წინ წამოსწევს, ხან ისევ უკან გადაქანდება, თითქოს ცხენზე იჯდეს. „მეგობრებო!“ მოგვმართავს მჭახე ხმით, თან ხაზგასმით წარმოთქვამს ყოველ მარცვალს. ნელ-ნელა იწყებს საგულდაგულოდ მომზადებულ სიტყვას. დაძაბული ვუგდებ ყურს, მაგრამ აზრი სხვაგან გამირბის. მხოლოდ ცალკეულ მჭექარე სიტყვებს ვარჩევ: „არმიის სახელი... ავსტრიის მხედართა სულისკვეთება... პოლკის ერთგულება... ძველი თანამებრძოლი...“ მაგრამ შიგადაშიგ, ჰალუცინაციის მსგავსად, ჩურჩული მესმის, მუდარით წარმოთქმული, ხმადაბალი, ნაზი, თითქოსდა არაამქვეყნიური სიტყვები წერილი ხმიანდება ჩემში: „სულზე უტკბესო... ნუ შეგეშინდება... მე არ ძალმიძს ვიცოცხლო, თუ შენი სიყვარულის უფლებას წამართმევ...“ და მერე ისევ მესმის: „...უცხო მხარეში გადახვეწილს არ დავიწყებია მეგობრები... სამშობლო... ავსტრია...“ – შემდეგ კვლავ ის მეორე ხმა, როგორც მოთქმა, როგორც ჩახშობილი ყვირილი: „ოღონდ ნება დამრთე, რომ მიყვარდე... ნიშანი მომეცი...“ ამ დროს სამგზის გრიალებს „ვაშა!“ ყველანი ფეხზე დგებიან, იჭიმებიან, თითქოს პოლკოვნიკის ხელი, რომელმაც სასმისი ასწია მაღლა, მათაც შეხებოდეს. ისმის მებუკის ტუში, რომელსაც შტაინჰიუბელმა ანიშნა. ყველანი სასმისებს უჭახუნებენ ერთმანეთს და ბალინკაის ადღეგრძელებენ. ის კი იცდის, ვიდრე მიწყნარდებოდეს სადღეგრძელოები და მერე მსუბუქად, ხუმრობის კილოთი წარმოთქვამს სამადლობელს. მხოლოდ რამდენიმე უპრეტენზიო სიტყვა სურს თქვას, სახელდობრ, მხოლოდ ის, რომ სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, არსად ქვეყანაზე თავს ისე კარგად არ გრძნობს, როგორც თავის ძველ მეგობრებში. შემდეგ ამთავრებს შეძახილით: „გაუმარჯოს პოლკს, გაუმარჯოს მის უდიდებულესობას, ჩვენსყოვლად მოწყალე მხედართმთავარს, კაიზერს!“ შტაინჰიუბელი ისევ ანიშნებს მებუკეს და ისმის ტუში. ყველანი ერთხმად მღერიან სახელმწიფო ჰიმნს, ხოლო შემდეგ კი ავსტრიული პოლკის სიმღერას, რომელსაც მუდამ ასრულებდნენ ასეთ შემთხვევებში და რომელშიც ყოველი პოლკი ამაყად ასე იხსენიებს თავს: ჩვენ ულანთა ერთი პოლკის მებრძოლები ვართ...

შემდეგ ბალინკაიმ სასმისით ხელში ჩამოუარა მაგიდას, ყოველი ჩვენგანისთვის რომ მიეჭახუნებინა ღვინის ჭიქა... უცებ ვგრძნობ, რომ ჩემი მეზობელი ფერდში მუჯლუგუნს მთავაზობს და მეგობრულ მზერას ვაწყდები: „სალამი, მეგობარო!“ მეც თავს ვუკრავ დაბნეული და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბალინკაი უკვე შემდეგთან ჩერდება, ვხვდები, რომ დამავიწყდა, ჭიქა მიმეჭახუნებინა მისთვის. მაგრამ ისევ მღვრიე ბურუსში იძირება ყველაფერი. ცისფერი კვამლი ირევა, თუ უკვე თამბაქო გააბოლეს და ამიტომაა, რომ უეცრად ისე დამცხა და ლამის სული შემეხუთოს? სასწრაფოდ უნდა დავლიო რამე. ერთ, ორ, სამ ჭიქას ვცლი ისე, რომ არც კი ვიცი, რას ვსვამ. ოღონდაც ეს მწარე, საზიზღარი გემო აღარ მქონდეს პირში და დაუყოვნებლივ უნდა გავაბოლო! მაგრამ, როგორც კი ჯიბისკენ მიმაქვს ხელი პორტსიგარის ამოსაღებად, ისევ ვგრძნობ, რომ მუნდირის ქვეშ რაღაც ტკიცინებს: წერილი! უმალვე უკან მიმაქვს ხელი და ირგვლივ გამეფებულ ღრიანცელში კვლავ მესმის ქვითინის, მუდარის სიტყვები: „ოღონდ ნება დამრთე, რომ მიყვარდე... მე ხომ ვიცი, რა სიშლეგე და რა უაზრობაა...“

მაგრამ აქ ისევ ჩანგლით ჭიქაზე კაკუნი მოისმის, რომელიც სიჩუმისაკენ მოუწოდებს მოქეიფეებს. ეს მაიორი ვონდრაჩეკია, რომელიც ამგვარ შემთხვევას ისე არასოდეს უშვებს ხელიდან, რომ თავისი „პოეტური ჭია“ არ გაახაროს და საკუთარი იუმორისტული ლექსების კითხვით გული არ იჯეროს. ყველამ ვიცით, რომ როგორც კი ვონდრაჩეკი წამოდგება, დარბაისლური ღიპით მაგიდას მიეყუდება, შეეცდება ანცი გამომეტყველება მიიღოს და თვალს ჩაგვიკრავს, ოფიცერთა საღამოს „გასართობი ნაწილი“ დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს.

აი, უკვე დგას სათანადო პოზაში, შორსმხედველ თვალებზე პენსნე უკეთია და გულმოდგინედ შლის ქაღალდის ვეება ფურცელს. ვონდრაჩეკი ყოველ ღირსშესანიშნავ შემთხვევასთან დაკავშირებით თხზავს ლექსებს და ჰგონია, რომ ამით ჩვენს ზეიმებს ამშვენებს. ამჯერად ბალინკაის ცხოვრების აღწერით სურს დაგვატკბოს. უფროსს უნდათ ასიამოვნონ და ამიტომ, ზოგიერთი ოფიცერი ყოველ გადაკრულ სიტყვაზე გულიანად იცინის. ბოლოს, აი, მართლაც მოსწრებული ოხუნჯობაც და „ყოჩაღ, ყოჩაღო!“ მთელი დარბაზი ერთხმად გუგუნებს.

მე კი გულში მერჭობა ეს უხეში ხარხარი. როგორ შეიძლება იცინოდე, როდესაც ვიღაც კვნესის, როდესაც ვიღაც უსაზღვროდ იტანჯება?! როგორ შეიძლება თავს იქცევდე უწმაწური ოხუნჯობით, როდესაც ვიღაც იღუპება? როგორც კი ვონდრაჩეკი თავის აბდაუბდას დაამთავრებს, მე უკვე წინასწარ ვიცი, ყველანი აყაყანდებიან და მაგარი სმა დაიწყება. იმღერებენ ახალ სიმღერას „საბელზე გამობმულ მიკიტნის ცოლზე“, ანეკდოტებს მოჰყვებიან, იცინებენ, იცინებენ და იცინებენ. ერთბაშად აუტანელი ხდება ამ კეთილი და გაბრწყინებული სახეების ცქერა. განა წერილში არა მთხოვდა, ბარათი გამეგზავნა, თუნდაც ერთი, ერთადერთი სიტყვა მიმეწერა? ხომ არ მივიდე ტელეფონთან და დავურეკო? განა შეიძლება ადამიანს ამდენი ალოდინო? ხმა უნდა მიაწვდინო, რაღაც უნდა...

„ყოჩაღ, მართლაც ყოჩაღ!“ ყველა ტაშს უკრავს, იატაკი ზანზარებს და მტვრის ბუღი დგება, როდესაც ორმოცი თუ ორმოცდაათი გამხიარულებული და, ცოტა არ იყოს,

შეზარხოშებული მამაკაცი სკამებს უკან სწევს და ზეზე წამოვარდება. მაიორი თავმომწონედ დგას, პენსნეს იხსნის, ფურცელს კეცავს და გულმოწყალედ უკრავს თავს ოფიცრებს, რომლებიც გარს ეხვევიან და აღარ იციან, როგორ გამოხატონ აღტაცება. მე კი არეულობით ვსარგებლობ და დაუმშვიდობებლად ვიძურწები. შეიძლება სულაც ვერ შენიშნონ ჩემი წასვლა, და თუნდაც შენიშნონ, სულერთია, მაინც აღარ შემიძლია ამ თვითკმაყოფილი მხიარულების ატანა, რომელიც ღიპზე ხელის გულარხეინად ტყაპუნს მაგონებს. აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია!

– უკვე მიბრძანდებით, ბატონო ლეიტენანტო? – მეკითხება განცვიფრებული ულანი გასახდელში.

„ეშმაკსაც წაუღიხართ!“ – ვბურტყუნებ გუნებაში და უსიტყვოდ ვუვლი გვერდს.

მერე გადავრბივარ ქუჩაზე, ვუხვევ კუთხეში და ყაზარმის კიბესთან ვჩნდები. ჩემს სართულზე ავდივარ: მარტო მინდა დავრჩე, სულ მარტო!

დერეფნები ცარიელია. სადღაც გუშაგი დააბიჯებს წინ და უკან. უნებლიეთ ყურს ვუგდებ: რამდენიმე გალიციელი ხმადაბლა სევდიან სიმღერას ღიღინებს. ყოველთვის, დაძინების წინ, როდესაც მათთვის უცხო ჭრელ ფორმას, სპილენძისღილებიან მუნდირს გაიძრობენ და კვლავ იმ ადამიანებად იქცევიან, როგორებიც სახლში არიან, აგონდებათ სამშობლო, ველმინდვრები, ანდა, შესაძლოა, შეყვარებულიც, და ასე ღიღინებენ, რომ იქნებ დაივიწყონ, რა შორს არიან. სხვა დროს ყური არ დამიგდია მათი სიმღერისთვის, რადგან მათი ენა არ მესმის, მაგრამ ამჯერად გულთან ახლოს მიმაქვს, მზად ვარ ძმურად გავიზიარო მათი მწუხარება. ეჰ, ნეტავი დამსვა ერთ-ერთ მათგანთან, დამალაპარაკა, მაგრამ ალბათ ვერაფერს გამიგებს. თუმცა ვინ უწყის, შეიძლება მათებრ კეთილი, ნდობით აღსავსე თვალების პატრონმა ბევრად უკეთ გამიგოს, ვიდრე იმათ, ვინც ახლა იქ ნალივით მოხრილ მაგიდას უსხედან და მხიარულად ატარებენ დროს. ნეტავი ვინმე მყავდეს, ვინც გამოსავალს მაპოვნინებდა!..

თითის წვერებზე შევდივარ ოთახში, რომ კუზმა, ჩემი დენშჩიკი არ გავაღვიძო, იგი წინკარში წევს და მთელი ძალით ხვრინავს. სიბნელეში ვიხდი ქუდს, ვიხსნი ხმალსა და ყელსახვევს, უკვე დიდი ხანია რომ მიჭერს და ლამისაა დამახრჩოს. შემდეგ ლამპას ვანთებ და მაგიდასთან მივდივარ, რომ ახლა მაინც დინჯად წავიკითხო ქალისაგან მოწერილი პირველი ბარათი, რომელმაც მე, ამგვარ ამბებში გამოუწრთობი ყმაწვილი კაცი, ასე სულის სიღრმემდე შემძრა.

მაგრამ იმავე წამს შემკრთალი უკან ვიხევ, რადგან მაგიდაზე, ლამპის შუქის რკალში, თვალებს არ ვუჯერებ, უკვე დევს ის წერილი, რომელიც ესეს არის მეგონა, რომ გულის ჯიბეში მქონდა შენახული. დიახ, ის არის, სწორკუთხედი ცისფერი კონვერტი, ხელსაც ვცნობ.

ერთი წამით თავბრუ მეხვევა. ხომ არ დავთვერი? თუ სიზმარს ვხედავ? ან იქნებ შევიშალე? მუნდირს რომ ვიძრობდი, გულის ჯიბეში წერილის ტკიცინი არ მომესმა? ნუთუ იმდენად ამებნა თავგზა, რომ წერილი ამოვიღე, მაგიდაზე დავდე და უკვე აღარ მახსოვს? ხელს ვიყოფ ჯიბეში. არა, როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი აქ დევს. ახლაღა ვხვდები, მაგიდაზე რომ დევს, ეს სხვა წერილია. მეორე, ახალი, უფრო

მოგვიანებით გამოგზავნილი და ერთგულმა კუზმამ წინდახედულად თერმოსის გვერდით დადო, რომ შინ დაბრუნებისთანავე მეპოვა.

კიდევ ერთი წერილი! ორი საათი არ გასულა და უკვე მეორე! ბრაზმა და წყენამ ლამის დამახრჩოს! ახლა ყოველდღე ასე იქნება, დღისითაც და ღამითაც მოსვენება არ მექნება, წერილი წერილზე მომივა. თუ პასუხს გავუგზავნი, ისევ მომწერს, თუ არ გავუგზავნი, მაშინ რატომ არ გამომიგზავნეო, ყოველთვის რაღაცას დამავალდებულებს. ხან ვის გამომიგზავნის და ხან ვის, ხანაც ტელეფონით დამირეკავს, მსახურებს უბრძანებს თვალყური მადევნონ, ყოველი ჩემი ნაბიჯის გამოძიებას დაიწყებს, როდის სად მივდივარ და უკან რა დროს ვბრუნდები, ვისთან დავდივარ, რაზე ვლაპარაკობ. მორჩა, დავიღუპე, აღარ მომეშვებიან ის ჯინი ბერიკაცი და მისი ხეიბარი ქალიშვილი! აღარასოდეს ვიქნები თავისუფალი, თავგადაკლულები ამეკიდებიან ზურგზე და მანამდე არ მომეშვებიან, ვიდრე ერთ-ერთი ჩვენგანი, ის ან მე, არ დავიღუპებით ამ აბსურდული ვნების გამო.

„არ წაიკითხო! – ვეუბნები ჩემს თავს, – დღეს მაინც არ წაიკითხო! საერთოდ ბოლო მოუღე ამ ამბავს. შენ იმდენი ძალა არ შეგწევს, რომ ამ გაწევგამოწევას გაუძლო და მათ ნებას არ დაჰყვე! მსხვერპლად შეგიწირავენ. ყველაფერს სჯობს, წერილი დახიო ან გაუხსნელად უკან დაუბრუნო! საერთოდ არ უნდა იფიქრო, გონებიდან უნდა განდევნო და სინდისი არ უნდა გქენჯნიდეს, რომ ვიღაცას, შენთვის სრულიად უცხო არსებას, უყვარხარ. ეშმაკსაც წაუღია ყველა კეკეშფალვა! სულ ახლახან მათ ხომ არც იცნობდი“. მაგრამ შემდეგ ერთბაშად თავზარს მცემს აზრი: ვინ იცის, იქნებ უკვე რაღაც დამართა თავს, რახან არ ვუპასუხე? მართლა რამე რომ ჩაიდინოს! არ შეიძლება სასოწარკვეთილი ადამიანი სრულიად უპასუხოდ დავტოვო! კუზმა ხომ არ გავაღვიძო და ბარათი გავატანო ედითთან, რომ ჩემი კეთილგანწყობილება დავუდასტურო და დავამშვიდო. ოღონდ რამე არ დამბრალდეს, დანაშაულში არ გავეხვიო! ვხსნი კონვერტს, მადლობა ღმერთს, ამჯერად მოკლე ბარათია, ერთადერთი გვერდი, მხოლოდ ათი სტრიქონი, ისიც უსათაუროდ:

„დაუყოვნებლივ მოსპეთ წინა წერილი! გაგიჟებული ვიყავი. ყველაფერი ტყუილია, რაც შიგ წერია და ხვალ ნუ მოხვალთ ჩემთან, სერიოზულად გთხოვთ, არ მოხვიდეთ! უნდა თავი დავისაჯო, რომ ასე შევრცხვი და დავმცირდი თქვენ წინაშე. ამრიგად, ხვალ არავითარ შემთხვევაში. მე არა მსურს, გიკრძალავთ! და ნურც პასუხს გამომიგზავნით! ნუ-მეთქი, გესმით?! მოსპეთ წინა წერილი და დაივიწყეთ, რაც იქ ეწერა! აღარ იფიქროთ ამაზე“.

* * *

აღარ ვიფიქრო... რა გულუბრყვილო თხოვნაა, თითქოს ოდესმე შესაძლებელი ყოფილიყოს მოზღვავებულ გრძნობათა ნებისყოფის მეშვეობით დაოკება! აღარ ვიფიქრო, მაშინ როდესაც აზრები დამფრთხალი, თავაწყვეტილი ცხენებივით დაჭენაობენ ჩემს თავში და ლამის შუბლი გამისკდეს! აღარ ვიფიქრო, მაშინ როდესაც მეხსიერებაში სულ

ახალ ახალი სურათები ცოცხლდება, როდესაც ყოველი ნერვი თრთის, როდესაც გრძნობათა ყოველი ორგანო დაძაბულია და მზად არის წინააღმდეგობის გასაწევად! როგორ აღარ ვიფიქრო, როდესაც წერილი მწვავს თავისი მწველი სიტყვებით. ხან ერთს ვიღებ და ისევ უკან ვდებ, ხან მეორეს, ხან ერთს ვკითხულობ და ხან მეორეს, გავალ ბოლოში და ისევ თავიდან ვიწყებ, ვიდრე ყოველი სიტყვა, თითქოს გავარვარებული შანთით ამოწვესო, გონებაში დაღად არ მაჩნდება! როგორ არ ვიფიქრო, როდესაც თავში ეს ერთი საზრუნავიღა მიტრიალებს: როგორ დავიძვრინო თავი ამ ამბიდან, როგორ განვერიდო? როგორ გადავურჩე ამ შემოტევას, გრძნობას, რომელსაც მე არ ვიზიარებ? აღარ იფიქროო. განა მე თვითონ არ ვცდილობ? აი, ლამპასაც ვაქრობ, რადგან შუქში ფხიზლად აზროვნებ, ყოველი შენი აზრი ერთობ ნათელია. მინდა დავიმალო, სიბნელეს შევაფარო თავი. ტანთ ვიხდი, რათა უფრო თავისუფლად ვისუნთქო, და საწოლზე ვეგდები, რომ ძილით მაინც გავბრუვდე, მაგრამ ფიქრები მოსვენებას არ მაძლევენ, ღამურებივით ირევიან, ლანდებივით დარიალებენ და ისედაც გადაღლილ გრძნობებს მიმღვრევენ, ხარბი თაგვებივით ღრღნიან და ხრავენ ტყვიასავით მძიმე დაღლილობას. რაც უფრო გარინდული ვწევარ სიბნელეში, მით უფრო დაუდეგარი ხდება მეხსიერება, მით უფრო სწრაფად ცვლიან ერთმანეთს ამაღელვებელი სურათები. კვლავ ვდგები და ხელახლა ვანთებ ლამპას, ამით მაინც რომ მოვიშორო ჩვენებები. მაგრამ პირველივე საგანი, შუქი წყვდიადიდან მტრულად რომ გამოკვეთს, ღია ფერის სწორკუთხა კონვერტია, შემდეგ თვალში მხვდება დალაქავებული კიტელი, რომელიც სკამზე ჰკიდია. ყველაფერი ერთსა და იმავეს მაგონებს და მაფრთხილებს. ამაზე აღარ იფიქრო! მეც ამას ვცდილობ, მაგრამ ვერაფერს ვხდები. და აი, წინ და უკან დავწრიალებ ოთახში, ვაღებ ბუფეტს და სათითაოდ ყველა თაროსა და უჯრას ვამოწმებ, ვიდრე დასაძინებელი წამლით სავსე პატარა შუშას არ ვპოულობ და ისევ საწოლზე არ ვეგდები. მაგრამ საშველი მაინც არ არის. სიზმარშიც კი ძილის მრუმე გარსს ხრავენ თაგვებივით და შენამდე აღწევენ მოუსვენარი შავი ფიქრები, მუდამ ერთი და იგივენი, და როდესაც დილით იღვიძებ, ისე მოთენთილი და გამოფიტული ხარ, თითქოს მთელი სისხლი ვამპირებს გამოეწოვოთ. ამის შემდეგ დილის დაფიონი და სამსახური უდიდეს სიკეთედ მეჩვენება, ესეც ტყვეობაა, მაგრამ ბევრად უკეთესი, ბევრად იოლი ტყვეობა! მართლაც დიდი ბედნიერებაა, ცხენს რომ მოახტები ზურგზე და სხვებთან ერთად ჩორთით გააჭენებ. აქ მუდამ ყურებდაცქვეტილი უნდა იყო და თვალიც ფხიზლად უნდა გეჭიროს! აქ ბრძანების შესრულებაც უნდა შეძლო და ბრძანების გაცემაც! სამი და შეიძლება ოთხი საათიც კი საშუალება გაქვს, ვარჯიშით გაერთო, საკუთარ თავს გაექცე, ხელიდან დაუსხლტე!

ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. დღეს, მადლობა ღმერთს, მაგრად უნდა გავისარჯო. მანევრებისთვის ვემზადებით, დასკვნითი მარშით გავლაში ვვარჯიშობთ, რომლის დროსაც ყოველი ესკადრონი გაშლილი მწყობრით ჩაუვლის მეთაურს და იდეალურ სწორებას იცავს ყველა ცხენი ერთ სწორ ხაზზე უნდა იყოს, ყველა ხმალი ერთ დონეზე მომარჯვებული. ამგვარი საალღუმო ილეთების დაუფლება დიდ წვალებას მოითხოვს. ათჯერ, ოცჯერ გვიხდება ზოგჯერ ყველაფრის თავიდან დაწყება. არც ერთი

ულანი არ უნდა გამოგრჩეს თვალთახედვიდან. ეს კი ჩვენგან, ოფიცრებისგან, ისეთ დაძაბულ ყურადღებას მოითხოვს, რომ მთლიანად ვარჯიშით ვარ გართული და სხვა ყველაფერი მავიწყდება. მადლობა ღმერთს!

მაგრამ, როცა ათ წუთს ვისვენებთ, ცხენებს სული რომ მოვათქმევინოთ, უაზროდ მოხეტიალე მზერას შემთხვევით ჰორიზონტს ვაპყრობ. შორეთში ლურჯად კამკამებენ ბულულებითა და მცელავებით მოფენილი მდელოები. ირგვლივ გადაჭიმული ტრიალი დაბლობი ტყეს მდორედ ერწყმის, რომლის პირასაც აღმართულა უცნაური კოშკის სილუეტი, რომელიც კბილის საჩიჩქნს მაგონებს, და უეცრად ვკრთები: ეს ხომ მისი კოშკია, აივნით შემკული... ჩემდა უნებურად ისევ ის აზრები მეუფლება, ჩემდა უნებურად იქით გამირბის თვალი და მაგონდება: ახლა რვა საათია. ალბათ უკვე დიდი ხანია გაეღვიძა და ჩემზე ფიქრობს. შეიძლება მამამისიც მივიდა და ჩემზე ლაპარაკობენ, ანდა ილონასა და მსახურს ეძახის წამდაუწუმ და ეკითხება, ჩემგან წერილი ხომ არ მოსულა (ასე ვერ იქნება, რამე უნდა მიმეწერა!), ან შეიძლება სულაც უკვე ლიფტით კოშკზე ააყვანინა თავი და ახლა, მოაჯირს ჩაფრენილი, იყურება იქიდან, ზუსტად ისევე, როგორც მე გავცქერი აქედან. ვერც კი ვასწრებ ამის გაფიქრებას, რომ ვიღაც ნაღვლობს ჩემზე, და უმალვე გულში ჩემთვის კარგად ნაცნობ ჭვალს ვგრძნობ. ეს წყეული თანაგრძნობის ბრჭყალებია. მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიში ისევ იწყება, ირგვლივ ბრძანებათა ხმა გაისმის და ათეულები ნავარდითა და ჩორთით ეწყობიან წესდებით დადგენილ კოლონებად, შემდეგ ისევ იშლებიან და ა.შ., მეც ამ წარმოუდგენელ ორომტრიალში, რაც ძალი და ღონე მაქვს, ვყვირი: „მარჯვნივ!“ „მარცხნივ!“ – მაგრამ გულისყური სულ სხვაგან მაქვს; სულის სიღრმეში მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, რაზეც არ მინდა და არცაა საჭირო ვიფიქრო.

– რა ღმერთი გიწყრებათ! უკან დაიწიეთ! ერთმანეთს გაშორდით, თქვე ოხრებო! – ეს ჩვენი პოლკოვნიკი ბუბენჩიჩია, ბრაზისგან ჭარხალივით გაწითლებული ჩვენკენ მოაგელვებს ცხენს და მისი ღრიალი მთელ სავარჯიშო მოედანზე ისმის. არც ტყუის, რადგან ვიღაცამ სწორად არ გასცა ბრძანება და ორი ოცეული, მათ შორის, ერთ-ერთი ჩემი, რომლებსაც ერთიმეორის გვერდით უნდა ემოძრავათ, გაქანებულები შეეჯახნენ ერთმანეთს და აირივნენ. რამდენიმე ცხენი ფრთხება და ყალყზე დგება, ერთი ულანი ცხენებქვეშ ექცევა, თან უფროსებიმძვინვარებენ და ყვირიან. ისეთი ალიაქოთია, თითქოს ნამდვილი ბრძოლა იყოს. ბოლოს, როგორც იქნა, ოფიცრები შლიან ადამიანებისა და ცხენების გროვას, თან ლაზათიანად იკურთხებიან. ესკადრონები ხელახლა ეწყობიან და ბუკის ნიშანზე კვლავ ერთ მჭიდრო ფრონტს ქმნიან. ავისმაუწყებელი სიჩუმე მყარდება. ყველასთვის გასაგებია, რომ ახლა პასუხს გვაგებინებენ. გაქაფული ცხენები, რომლებიც შეტაკების შემდეგ ჯერაც ვერ დამშვიდებულან, კრთიან და კანკალებენ, ფეხს ინაცვლებენ, ამის გამო კივერთა გრძელი მწკრივი ნელა ირხევა, როგორც ტელეგრაფის მავთული ქარში. ამ დაძაბულ სიჩუმეში პოლკოვნიკი წინ გამოდის. ისე ზის უნაგირზე, უზანგებზე ოდნავ წამომდგარი, და წკეპლას ისე ნერვიულად ირტყამს ჩექმაზე, რომ ვგრძნობთ მოახლოებულ ჭექა-ქუხილს. შემდეგ ოდნავ სწევს სადავეს, მისი ცხენი

ჩერდება და მთელ მოედანზე გაისმის მკვეთრი ხმა (გეგონებათ, ნაჯახი დაჰკრესო რამეს): ლეიტენანტო ჰოფმილერ!

მხოლოდ ახლაღა ვხვდები, რაც მოხდა. ეჭვგარეშეა, მე თვითონ გავეცი არასწორი ბრძანება. ეტყობა, ისევ ჩავფიქრდი და თავგზა ამებნა. ყველაფერში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე, მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ცხენს ოდნავ ვცემ მუხლებს ფერდებში, ჩორთით ვუვლი მეგობრებს, რომლებიც განზე იხედებიან, და პოლკოვნიკისკენ მივემართები, მწყობრიდან დაახლოებით ოცდაათ ნაბიჯზე გაუნძრევლად რომ მელოდება. წესდებით გათვალისწინებულ მანძილს ვიცავ და ისე ვჩერდები მის წინ. ამასობაში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ყველამ, თვით ყველაზე რიგითმა ულანმაც იცის, რაც მომელის.

არც კი მინდა გავიხსენო, რაც ამას მოჰყვა. მართალია, პოლკოვნიკი განგებ ცდილობს ხმას დაუწიოს, რომ ულანებმა არ გაიგონონ უხეში სიტყვები, რომლებითაც მამკობს, ზოგიერთი გამოთქმა ერთობ მჭახედ ამოსდის ყანყრატოდან და გამყინავად ისმის მთელ მოედანზე. თან ყოველ ფრაზაზე წკეპლას ირტყამს ჩექმის ყელზე, რის გამოც, ყველაზე შორს მდგომთათვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ პატარა ბიჭივით მტუქსავენ. უკან მიუხედავად ვგრძნობ, რა ცნობისმოყვარედ და შეიძლება დამცინავადაც მომჩერებია ასობით თვალი, ვიდრე სამხედრო საქმის პატრიოტი ბობოქრობს. მრავალი თვეა, რაც ასეთი რისხვა არავის დასტყდომია ჩვენს პოლკში, როგორიც მე დამეცა მეხივით ამ ივნისის ნათელ დღეს, ხასხასა ლაჟვარდოვანი ზეცის ქვეშ, რომელსაც მხიარულად სერავდნენ მერცხლები.

სიბრაზისაგან აკანკალებული ხელებით მიჭირავს სადავე. დიდი სიამოვნებით გადავუჭერდი მათრახს ჩემს ბედაურს და გავიჭრებოდი სადმე შორს, მაგრამ, წესდების თანახმად, გაუნძრევლად უნდა ვიდგე, სახე გაშეშებული მქონდეს და ვუსმინო ბუბენჩიჩს, რომელიც მორალს მიკითხავს და ბოლოს მეუბნება, რომ ჩემნაირ დოყლაპიას უფლებას არ მისცემს მთელი ვარჯიში ჩავუფლავო და რომ დანარჩენს ხვალ შევიტყობ, დღეს კი თვალით აღარ დავენახვო. შემდეგ ერთს კიდევ ირტყამს წკეპლას ჩექმაზე და როყიო ხმით მიბრძანებს:

– ზურგისაკენ!

მე უმორჩილესად ვაძლევ სამხედრო სალამს და მხოლოდ ამის შემდეგ მაქვს უფლება, ცხენი მოვაბრუნო და ჩემი ადგილისკენ გავემართო. მეგობრებიდან არც ერთი არ მიყურებს თვალებში, ყველას უხერხულად აქვს დაბლა დახრილი თავი და მზერას მარიდებენ. საბედნიეროდ, ახალი ბრძანება გაისმის და ჩემს წამებას ბოლო ეღება. საყვირის ხმაზე პოლკი ოცეულებად იშლება, ამ მომენტით სარგებლობს ფერენცი, ნეტავი რატომ ხდება, რომ რაც უფრო სულელია ადამიანი, მით უფრო გულკეთილია? ჩემკენ მოაგელვებს ცხენს და ხმადაბლა მეუბნება:

– არ იდარდო, ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვას!

მაგრამ ჯობდა, არ მოსულიყო.

– შენი საქმე არ არის! ვუპასუხე უკმეხად და ცხენს დეზი ვკარი. ამ დროს პირველად გამოვცადე საკუთარ თავზე, როგორ შეიძლება უნებლიეთ გული დაუკოდო ადამიანს.

* * *

„ჯანდაბას! – ვფიქრობ, როდესაც უკან ვბრუნდებით ქალაქში, როგორმე უნდა წავიდე აქედან, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა წავიდე! სადმე ისეთ ადგილას, სადაც არავინ მიცნობს, სადაც ყველაფრისა და ყველასაგან თავისუფალი ვიქნები! უნდა წავიდე, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა წავიდე, გავიქცე, გადავიკარგო! არც არავის ნახვა მსურს, არც არავინ მინდა მაღმერთებდეს და არც არავინ მამცირებდეს! უნდა წავიდე, როგორმე უნდა წავიდე!“ ჩემდა უნებლიეთ ვაყოლებ ჩორთით მიმავალი ცხენების თქარათქურს. ყაზარმაში სადავეს ერთერთ ულანს ვაჩეჩებ ხელში და მაშინვე გამოვდივარ ეზოდან. დღეს ოფიცერთა საკრებულოში არ მივალ, არც დაცინვისა და არც სამძიმრის მოსმენა არა მსურს.

მაგრამ არც ის ვიცი, სად წავიდე, არც გეგმა მაქვს და არც მიზანი. ჩემს ორივე სამყაროში საკეკეშფალვოსა და ყაზარმაში ცხოვრება აუტანელი გახდა. „უნდა წავიდე, აუცილებლად უნდა წავიდე! გამალებით მიცემს პულსი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საფეთქლებში ჩაქუჩებს მირტყამენ. უნდა წავიდე, სადაც უნდა იყოს, სულერთია, უნდა მოვშორდე ამ წყეულ ყაზარმას, ამ ქალაქს! აი, ეს მომაბეზრებელი მთავარი ქუჩაც ჩავათავო, მერე კი მშვიდობით, ისე წავალ, რომ უკან არ მოვიხედავ!“ მაგრამ უეცრად ვიღაცის გულითადი ხმა გაისმის:

– Servus!

უნებლიეთ ვიხედები იქით. ნეტავი ვინ მესალმება ასე მეგობრულად? ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი კაცია ბრიჯი და ნაცრისფერი სპორტული კურტაკი აცვია, თავზე კი შოტლანდიური ქუდი ახურავს. ვერა ვცნობ, არ მახსოვს, სადმე მენახოს. უცნობი ავტომობილთან დგას, რომელსაც ორი ლურჯხალათიანი მექანიკოსი დასტრიალებს. აშკარად ვერ ამჩნევს ჩემს დაბნევას და აქეთ მოდის, ეს ბალინკაია, რომელიც აქამდე მხოლოდ ფორმაში მყავდა ნანახი.

– ისევ რაღაც დაემართა, – მეუბნება სიცილით და ავტომობილზე მითითებს. – მუდამ ასე მოსდის. ჩემი აზრით, ოცი წელი მაინც გავა, ვიდრე ასეთი ჯაბახანები ნამდვილად საიმედო ეკიპაჟებად იქცევიან. ჩვენს ცხენებს რა შეედრება.

ჩემდა უნებურად სიმპათიით ვიმსჭვალები ამ უცხო ადამიანისადმი. ისეთი გულდაჯერება გამოსჭვივის მის ყოველ მოძრაობაში და თანაც ისეთი ნათელი და გულთბილი გამოხედვა აქვს, როგორიც ცხოვრების მიერ განებივრებულ დარდიმანდებს ახასიათებთ. ეს-ეს არის, მისი მოულოდნელი მოსალმება გავიგონე და თავში უკვე ასეთი აზრი მიჩნდება: ამას შეიძლება ვენდო-მეთქი. და მაშინვე ამ პირველ აზრს ელვისებური სისწრაფით, რომლითაც ჩვენი გონება დაძაბულ წუთებში მუშაობს, აზრთა მთელი ჯაჭვი უკავშირდება: „ეს კაცი სამოქალაქო პირია, თავისი თავის ბატონ-პატრონი, თანაც თვითონაც გადახდენია ამდაგვარი რამ, განა ის არ დაეხმარა ფერენცის ცოლისძმას? ყველას სიამოვნებით ეხმარება და რატომ მეც არ უნდა გამომიწოდოს ხელი?“

გამბედაობას ვიკრებ და ბალინკაის მივაშურებ.

– მომიტევე, – ვეუბნები და თან მე თვითონ მაკვირვებს ჩემი ძალდაუტანებელი კილო, – არ შეგიძლია, ხუთიოდე წუთი დამითმო?

თავიდან ოდნავ შეცბუნებული მიყურებს, მერე გულიანად მიღიმის და თეთრად მოელვარე კბილებს აჩენს.

– დიდი სიამოვნებით, ძვირფასო ჰოფ... ჰოფ...

– ჰოფმილერ, – ვკარნახობ მე.

– მთლიანად შენს განკარგულებაში ვარ. რესტორანში შევიდეთ თუ ჩემს ნომერში?

– თუ შენთვის სულერთია, მაშინ შენს ნომერში. ხუთ წუთზე მეტს ნამდვილად არ დაგაყოვნებ.

– რამდენი ხანიც გენებოს. ნახევარი საათი დასჭირდება ამ ჯაბახანის შეკეთებას. ოღონდ იქაურობა არ მოგეწონება. სასტუმროს პატრონი მუდამ საუკეთესო ნომერს მთავაზობს მეორე სართულზე, მაგრამ, სენტიმენტალობის გამო, ყოველთვის ჩემს ძველ ნომერს ვიღებ ხოლმე, სადაც ერთ დროს... თუმცა ამაზე არ ღირს ლაპარაკი.

ზემოთ ავდივართ, ნომერი მართლაც მეტად უბრალოა ასეთი მდიდარი კაცისთვის. არც კარადაა, არც სავარძელი. მხოლოდ ორი გაქუცული ჩალის სკამი დგას ფანჯარასა და საწოლს შორის. ბალინკაი ოქროს პორტსიგარს იღებს, სიგარეტს მთავაზობს და ჩემდა სასიხარულოდ პირდაპირ საქმეზე გადადის:

– მაშ ასე, ძვირფასო ჰოფმილერ, რით შემიძლია გემსახურო?

– რჩევა მინდა გკითხო, ბალინკაი. მინდა სამხედრო სამსახურს თავი დავანებო და ავსტრიიდან გავემგზავრო. იქნებ, რამე შესაფერისს შემომთავაზებ?

ბალინკაი მაშინვე სერიოზული ხდება. სახე ეჭმუხნება, სიგარეტს განზე აგდებს.

– რა სისულელეა! ასეთი ყმაწვილი ხარ და... არა, მაინც როგორ მოგივიდა თავში?

უეცრად სიკერპემ ამიტანა. ვგრძნობ, რომ გადაწყვეტილებამ, რომელზეც ამ ათიოდე წუთის წინ სულაც არ ვფიქრობდი, მტკიცედ გაიდგა ფესვები ჩემში.

– ძვირფასო ბალინკაი, – ვეუბნები ისე კატეგორიულად, რომ ყოველგვარი დისკუსია ამ თემაზე გამორიცხულია, – გამოკითხვას ნუ დამიწყებ. ყველამ თვითონ უკეთ იცის, რაც სურს და რაც ევალება. სხვა კი ამას ასე მარტივად ვერ მიხვდება. დამიჯერე, ჩემთვის აუცილებელია.

ბალინკაი გამომცდელად მიყურებს. ეტყობა, მიხვდა, რომ არ ვხუმრობ.

– არ მინდა შენს საქმეში ჩავერიო, ჰოფმილერ, მაგრამ, თუ დამიჯერებ, სისულელეს სჩადიხარ. შენ ვერ ხვდები, რას აკეთებ. ჩემი აზრით, ოცდახუთი ან ოცდაექვსი წლისიქნები, სულ მალე ობერლეიტენანტიც უნდა გახდე. ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს. აქ ჩინი გაქვს, რაღაცას წარმოადგენ, მაგრამ როგორც კი სადმე სხვაგან თავიდან მოისურვებ ყველაფრის დაწყებას, სულ უკანასკნელ არამზადას და ყველაზე ფარჩაკ მედუქნეს უპირატესობა ექნება შენთან შედარებით, უკვე მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენებრ ბრიყვული ცრურწმენები არა აქვს წამოკიდებული მხრებზე ზურგჩანთასავით. დამიჯერე, როცა ოფიცერი მუნდირს იხდის, ის უკვე აღარ არის ის, რაც უწინ იყო, და მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: იმან არ მოგატყუოს, რომ მე გამიმართლა და წუმპედან მაღლა ამოვტივტივდი. ეს წმინდა წყლის შემთხვევა იყო. ასეთი რამ ათასში ერთხელ თუ ხდება. იმის წარმოდგენაც კი მზარავს, რა დღეში არიან ამჟამად ისინი, ვისაც უფალი ისე მოწყალედ არ მოექცა, როგორც მე.

ისე დამაჯერებლად ლაპარაკობს, უთუოდ უნდა შეისმინოს კაცმა, მაგრამ ვგრძნობ, დათმობა არ შეიძლება.

– მეც ვიცი, რომ მოლიპულ გზას ვადგები, – ვეთანხმები ბალინკაის, – მაგრამ არჩევანი არა მაქვს, აუცილებლად უნდა მოვშორდე აქაურობას. ამიტომ, გთხოვ, ნუ ეცდები, განზრახვაზე ხელი ამაღებინო. ვიცი, დიდ არაფერს წარმოვადგენ და არც დიდად განათლებულიგახლავარ, მაგრამ თუ რეკომენდაციას მომცემ, პირობას გაძლევ, არ შეგარცხვენ. ვიცი, პირველი არ ვარ, ვინც ასეთი თხოვნით მოგმართავს, ფერენცის ცოლისძმაც შენ არ მოაწყვე?

–იონაში? – ბალინკაი ქილიკით ატკაცუნებს თითებს, – კარგი, მაგრამ ვინ იყო მანამდე? წვრილფეხა პროვინციელი მოხელე, ასეთს სულ იოლად დაეხმარები, ერთი სკამიდან მეორეზე, ცოტა უკეთესზე გადასვი და თავი ლამის უფალ ღმერთად მოეჩვენება. განა სულერთი არ არის მისთვის, სად გაცვეთს შარვალს ჯდომით, თუკი სხვა არაფერი შეუძლია? მაგრამ სულ სხვა საქმეა იმას გამოუძებნო რაიმე შესაფერისი, ვისაც ერთხელ მაინც უკვე უტარებია ვარსკვლავი საყელოზე. არა, ჩემო ჰოფმილერ, ზედა სართულები მუდამ დაკავებულია. ვინც თავიდან იწყებს, დაბლა უნდა მოეწყოს, თვით სარდაფშიც კი, სადაც, მოგეხსენება, ია და ვარდების სურნელი როდი დგას.

– ჩემთვის სულერთია.

ეტყობა, მკვეთრად გამომივიდა, რადგან ბალინკაიმ ჯერ ცნობისმოყვარედ შემომხედა, მერე კი როგორღაც გაშტერებულმა, თითქოს სადღაც შორიდან მოდიოდა მისი მზერა. ბოლოს სკამი უფრო ახლოს მოაჩოჩა ჩემთან და ხელი მხარზე დამადო.

– ყური დამიგდე, ჰოფმილერ, მე შენი მეურვე არა ვარ და დარიგებასა და ჭკუის სწავლებას არ გიპირებ, მაგრამ როგორც ამხანაგს, რომელმაც თვითონ იწვნია ეს ყველაფერი, დამიჯერე, რომ სულერთი კი არა, ძალზე არსებითი ამბავია, როდესაც ხელის ერთი მოსმით დაბლა ეშვები, ოფიცრის უნაგირიდან პირდაპირ წუმპეში ადენ ტყაპანს... ამას გეუბნება ის, ვინც ოდესღაც თვითონ იჯდა ამ გაქუცულ პატარა ნომერში დღის თორმეტი საათიდან დაღამებამდე და ზუსტად ასევე ჩასჩიჩინებდა თავის თავს: ჩემთვის სულერთიაო. დაახლოებით თორმეტის ნახევარზე პოლკოვნიკს განცხადება გადავეცი ჩემი გადადგომის შესახებ. ოფიცერთა საკრებულოში წასვლა, სადაც ყველანი იყვნენ, არ მინდოდა, და არც დღისით მზისით სამოქალაქო ტანსაცმლის ამარა ქუჩაში ხეტიალი მსურდა. ამიტომ ეს ნომერი დავიქირავე ახლა ხომ გესმის, რატომ მაინცდამაინც ამ ოთახში ვჩერდები და აქ ვიცდიდი, ვიდრე დაბნელდებოდა, რომ არავის დაენახა, როგორ გავიძურწებოდი ძველ ნაცრისფერ პიჯაკსა და ქვაბუნა ქუდში გამოწყობილი, რომ თანაგრძნობის გამომხატველი მზერით არ გავეცილებინე. აგერ იქ, ფანჯარასთან, ვიდექი და უკანასკნელად ვიყურებოდი ქუჩაში, სადაც ჩემი მეგობრები სეირნობდნენ, ფორმებში გამოჯგიმულნი, მხრებში გამართულნი, ყოველი მათგანი პატარა ღმერთივით გრძნობდა თავს, თითოეულმა მათგანმა იცოდა თავისი ვინაობა, თავისი ადგილი. მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რომ არარაობა ვიყავი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მუნდირთან ერთად ტყავიც გამძვრა. შენ ახლა, ალბათ, ფიქრობ: რა სისულელეა, განა სულერთი არ არის, ცისფერი, შავი თუ ნაცრისფერი მაუდი მეცმევა, ან

ხმლით ვისეირნებ თუ ქოლგითო, მაგრამ მე დღესაც ტანში მაცივებს ხოლმე, როცა ვიგონებ, როგორ გამოვედი იმ საღამოს სასტუმროდან და, სადგურისკენ მიმავალი, ქუჩის კუთხეში ორ ულანს გადავაწყდი, რომლებმაც ხელი არ ამიღეს, ხოლო შემდეგ მე თვითონ როგორ ავიტანე ჩემოდანი მესამე კლასის ვაგონში და ოფლიან გლეხ ქალებსა და მუშებს შორის ვიჯექი. რა თქმა უნდა, ვიცი, ამგვარი მიდგომა სისულელეა და ჩვენი წოდებრივი სიამაყე ჩირადაც არა ღირს, მაგრამ როცა ოთხ წელს სამხედრო სასწავლებელში გაატარებ და რვა წელს ჯარში იმსახურებ, ასეთი რამ სისხლში გაქვს უკვე გამჯდარი. პირველ ხანებში ისეთი გრძნობა გიპყრობს, თითქოს სახიჩარი იყო. ღმერთმა დაგიფაროს ასეთი განსაცდელისაგან! რა უნდა მომცენ, რომ დავთანხმდე, ერთი ისეთი საღამო გადავიტანო კიდევ, როგორიც მაშინ, აქედან ჩუმად რომ მივიპარებოდი სადგურზე და გზაში ყოველ ფარანს განზე ვუვლიდი. თანაც ეს ხომ მხოლოდ დასაწყისი იყო.

– ჰო, მაგრამ, ბალინკაი, სწორედ ამიტომ მინდა სადმე შორს გავემგზავრო, სადაც ასეთი რამ არ არსებობს და მეც არავინ მიცნობს.

– აი, მეც ასე ვფიქრობდი მაშინ! ოღონდ სადმე გადავიკარგო და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, ყველაფერი უკვალოდ წარიხოცება-მეთქი. მირჩევნია, სადმე ოკეანის გაღმა, ამერიკაში, ფეხსაცმელი ვაპრიალო, ანდა ჭურჭელი ვრეცხო, როგორც, თუ გაზეთებს დავუჯერებთ, ყველა დიდ მილიონერს დაუწყია-მეთქი ცხოვრება! მაგრამ, ჰოფმილერ, მარტო იქ ჩასვლისთვისაც, მოზრდილი თანხაა საჭირო. ხოლო შენ წარმოდგენა არა გაქვს, რა ძნელია ჩვენნაირი კაცისათვის მუცელზე ხოხვა. როგორც კი ძველი ოფიცერი, კისერზე ვარსკვლავებიან საყელოს ვეღარ იგრძნობს, ის უკვე ვეღარც რიგიანად იქცევა და ვეღარც ისე ლაპარაკობს, როგორც მანამდე იყო მიჩვეული. დარცხვენილი ზიხარ საუკეთესო მეგობრებში და სწორედ მაშინ, როცა რამე გინდა სთხოვო, სიამაყე ენას გიბორკავს. დიახ, ჩემო ძვირფასო, მოგონებაც მიმძიმს, იმდენი დამცირებისა და სირცხვილის გადატანამ მომიწია. ეს ჯერ არავისთვის მიამბია.

ბალინკაი წამოდგა და მხრები ისე მძლავრად შეათამაშა, თითქოს კურტაკი ერთბაშად დაუვიწროვდა, შემდეგ უეცრად ისევ მომიბრუნდა:

– თუმცა შენ შემიძლია ყველაფერი მოგითხრო. დღეს უკვე აღარ მრცხვენია იმ ამბებისა და თანაც, მგონი, არ გაწყენს, თუ შენს რომანტიკულ გატაცებას, ვიდრე გვიან არ არის, ოდნავ მაინც გავანელებ.

ისევ ჩამოჯდა და ჩემკენ მოსწია სკამი.

– ალბათ, გაგონილი გექნება, როგორ წამოვაგე ანკესზე ჩემი ამჟამინდელი ცოლი შეპერდის ოტელში. განა არ ვიცი, პოლკი არ დარჩა, ეს ამბავი რომ არ გაეგო და ალბათ ქრესტომათიაშიც სიამოვნებით შეიტანდნენ, როგორც რიგითი ოფიცრის გმირობას. სინამდვილეში კი გმირობა არაფერ შუაშია. ამ ისტორიიდან მხოლოდ ის არის მართალი, რომ გაცნობით ჩემი მეუღლე მართლაც შეპერდის ოტელში გავიცანი, მაგრამ, სახელდობრ, როგორ მოხდა ჩვენი გაცნობა, ეს მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არავისთვის გვიამბია. შენც მხოლოდ იმიტომ მინდა მოგიყვე, რომ იცოდე: ია-ვარდებით მოფენილი გზა არ მოგელის... ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო,

როცა იგი შეპერდის ოტელში გავიცანი, მე იქ ოღონდ არ შეგეშინდეს! ნომერში მიმტანად ვმუშაობდი. დიახ, ჩემო ძვირფასო, სრულიად ჩვეულებრივ ოფიციანტად. ვენაში, იმ გაუბედურებულ პანსიონში, სადაც თავი შევაფარე, ერთი ეგვიპტელი ცხოვრობდა. ჰოდა, ამ ყმაწვილმა მომატყუა, თითქოს მისი ქვისლი კაიროში სამეფო ცხენბურთის კლუბს ხელმძღვანელობდა და თუ ორას კრონას მივცემდი, მწვრთნელად მომაწყობდა. იქ კარგ მანერებსა და სახელზე გიჟდებიანო. ცხენბურთში ყოველთვის ბადალი არ მყავდა, ხოლო ხელფასი, როგორც მან მითხრა, შესანიშნავი იყო. სამ წელიწადში იმხელა თანხას მოვუყრიდი თავს, რომ შევძლებდი რამე უფრო წესიერი საქმისთვის მომეკიდა ხელი. ამას გარდა, კაირო, მოგეხსენება, შორსაა აქედან და ცხენბურთს მხოლოდ რჩეული ხალხი თამაშობს. ასე რომ, აღფრთოვანებული დავთანხმდი. ჰოდა, არ მინდა თავი მოგაბეზრო იმის მოყოლით, როგორ მომიწია კარდაკარ სიარულმა და ეგრეთ წოდებული ძველი მეგობრებისგან უარის გასამართლებლად ნათქვამი აბდაუბდა მიზეზების მოსმენამ, ვიდრე რამდენიმე ასეულ კრონას მოვუყრიდი თავს, ტანსაცმლის შესაძენად და საგზაოდ რომ მჭირდებოდა არისტოკრატთა კლუბში ხომ ჟოკეის კოსტიუმისა და ფრაკის გარეშე ვერ გამოჩნდები კაცი. მიუხედავად იმისა, რომ გემბანზე ავიღე ბილეთი, მაინც ძლივს მეყო ფული და კაიროში შვიდი პიასტრიღა მქონდა. ხოლო როდესაც ცხენბურთის სამეფო კლუბის სადარბაზოს წინ აღმოვჩნდი და დავრეკე, ვიღაც ზანგი გამოვიდა, თვალებდაჭყეტილი მომაჩერდა და მეუბნება: ბატონი ეფდოპულოსი? ასეთ ვინმეს არ ვიცნობ და არც მის ქვისლზე მსმენია რამე. მწვრთნელი კი საერთოდ არ გვჭირდება, რადგან კლუბი იხურებაო. ალბათ უკვე მიხვდი, რომ ის ეგვიპტელი არამზადა იყო და მე, ბრიყვს, ორასი კრონა დამტყუა. წარმოგიდგენია, იმდენად ვენდობოდი, რომ ერთხელაც არ მოვისურვე, თვითონ შემემოწმებინა ის წერილები და დეპეშები, რომლებსაც ვითომდა ქვისლისგან იღებდა. დიახ, ძვირფასო ჰოფმილერ, ასეთ არამზადებთან ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. თანაც პირველად კი არ იყო, რომ ადგილის ძებნით გართულს ასე პირში ჩალაგამოვლებულს მტოვებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც პირდაპირ ყელი გამომჭრა. შვიდი პიასტრის ამარა აღმოვჩნდი კაიროში, სადაც ძეხორციელს არ ვიცნობდი, და სადაც მარტო სიცხე კი არა, ისეთი სიძვირეც იყო, რომ ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. თავს აღარ შეგაწყენ იმის მოყოლით, სად ვცხოვრობდი, ან რას ვჭამდი პირველ ექვს დღეს. მე თვითონვე მიკვირს, როგორ გავუძელი. სხვა ჩემს ადგილას საკონსულოში მივიდოდა და შეეხვეწებოდა, ეტაპის წესით უკან გამგზავნეთო, მაგრამ მთელი უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენ ასეთი რამ არ შეგვიძლია. ჩვენ ვერ ვისხდებით მოსაცდელი ოთახის სკამზე ნავსადგურის მუშებისა და სამუშაოდან დათხოვნილი მზარეული ქალების გვერდით, ვერ ავიტანთ საკონსულოს თხუნელა მოხელის უცერემონიო მზერას, როდესაც პასპორტში დამარცვლით წაიკითხავს: „ბარონი ბალინკაი“ და ცნობისმოყვარედ შეგათვალიერებს. ამას გვირჩევნია შიმშილით სული ამოგვხდეს. ჰოდა, აბა წარმოიდგინე, როგორ გამიხარდებოდა, როდესაც შემთხვევით შევიტყვე, რომ შეპერდის ოტელში დროებით ოფიციანტი სჭირდებოდათ. ხოლო ვინაიდან ფრაკი მქონდა (თანაც ახალთახალი! ჟოკეის კოსტიუმი კი პირველსავე

დღეებში შევჭამე) და ფრანგულიც ვიცოდი, გულმოწყალედ დამთანხმდნენ ავეყვანე. გარეგნულად კიდევ რა უშავს, გაქათქათებული გულისპირი გიკეთია და ისე ემსახურები სასტუმროს მდგმურებს, უშლი სუფრას, გაჯგიმული დადიხარ; მაგრამ ის, რომ ნომერში მიმტანი ხარ, სხვენზე ცხოვრობ, გავარვარებული სახურავის ქვეშ, ისიც სამნი ხართ ერთად და ღამღამობით რწყილებისა და ბაღლინჯოების მთელი ლაშქარი გეხვევა, ხოლო დილით სამივენი თუნუქის ერთსა და იმავე ტაშტში იბანთ რიგრიგობით პირს, და რომ ხელებს გიშანთავს ფული, რომელიც ფეხის ქირად გაჩუქეს, და ასე შემდეგ...

ამას ჩემი დაქორწინება მოჰყვა. ქალი, რომელიც შემდეგ ჩემი ცოლი გახდა, ახალი დაქვრივებული იყო, როდესაც დასთან და მაზლთან ერთად კაიროში ჩამოვიდა. ეს მისი მაზლი ერთი საზიზღარი ვინმე იყო, მსუქანი, დონდლო, ყოყლოჩინა და, ეტყობა, თვალშიც არ მოვდიოდი. შეიძლება ჩემი ელეგანტურობა აღიზიანებდა, შეიძლება ჯეროვნად ვერ ველაქუცებოდი ამჰოლანდიელ ვაჟბატონს. ასე იყო თუ ისე, ერთხელაც საუზმე დროზე რომ ვერ მივუტანე, შემომიტია: შე უსაქმუროო!.. მოგეხსენება, ოფიცრად ნამყოფს თავმოყვარეობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. რამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ დეზნაკრავი ცხენივით ყალყზე შევდექი და კინაღამ ცხვირპირში მოვდე. მაგრამ უკანასკნელ წამს მაინც თავი შევიკავე, რადგან უნდა გითხარით, რომ ოფიციანტობას მუდამ ისე განვიცდიდი, როგორც ნიღბოსანთა საღამოზე რაიმე როლის შესრულებას, და თანაც არ ვიცი, გამიგებ თუ არა ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ უკვე ერთგვარი სადისტური სიამოვნებაც კი ვიგრძენი: მე, ბალინკაი, იძულებული ვიყავი ყველის ბინძური ვაჭრისაგან ასეთი თავხედობა ამეტანა. ამიტომ ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ოდნავ გავუღიმე, მაგრამ, იცი, ისე ცალყბად, ქედმაღლურად, რომ ის ჯეელი სიბრაზისგან გალურჯდა, რადგან მიხვდა: სადღაც ვაჯობე, რაღაც უპირატესობა მქონდა მის წინაშე. შემდეგ ცივად გამოვტრიალდი და კართან ერთხელ კიდევ რომ დავუკარი თავი გამომწვევი, ირონიული თავაზიანობით, კინაღამ გასკდა ბრაზისაგან. ჩემი ცოლიც, ანუ, ჩემი ამჟამინდელი ცოლი, ესწრებოდა ამ ამბავს. მას არ გამოჰპარვია, რაც მოხდა, და როგორღაც შემატყო თვითონ გამომიტყდა შემდეგ ალბათ იმაზე, როგორ ავენთე, რომ ჯერ ჩემთვის არავის გაებედა ასეთი რამ. ამიტომ დერეფანში დამედევნა და ბოდიშის მოხდა დამიწყო: ჩემი მაზლი ცოტათი ნერვიულია და მისგან ნურაფერი გეწყინებათო. დიახ, ჩემო მეგობარო, და რათა სრული სიმართლე იცოდე, იმასაც გეტყვი, რომ ქაღალდის ფულსაც კი მჩრიდა ხელში ამით უნდოდა გამოესწორებინა ყველაფერი. როცა ფულზეც უარი ვთქვი, მას, ეტყობა, ისევ შეეპარა ეჭვი, რომ ჩვეულებრივი ოფიციანტი არ ვიყავი. ალბათ, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, რადგან რამდენიმე კვირაში უკვე იმდენი ფული მოვაგროვე, რომ შინ დაბრუნებისთვის მეყოფოდა. საკონსულოში მათხოვრობა აღარ მჭირდებოდა და მხოლოდ იმიტომ შევიარე, რომ სამშობლოს ამბები შემეტყო. სწორედ აქ დამეხმარა შემთხვევა, ისეთივე იშვიათი, რომელიც ასი ათასში ერთს მოაგებინებს ხოლმე: მოსაცდელ დარბაზში ვიჯექი, რომ თვითონ კონსულმა გამოიარა და ვინ გამოდგა, იცი? ელემერ იუხაში, რომელთანაც ერთად, ღმერთმა უწყის, რამდენჯერ ვმჯდარვარ ჟოკეის კლუბში. მაშინვე გადამეხვია და კლუბში მიმიწვია, ხოლო იქ ისევ შემთხვევის წყალობით, ასე რომ, შემთხვევას მივუმატოთ კიდევ ერთი

შემთხვევა. ყოველივე ამას მხოლოდ იმიტომ გიამბობ, რომ წარმოდგენა გქონდეს, რამდენი გაუგონრად ხელსაყრელი შემთხვევა უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რომ ჩვენნაირმა კაცმა წუმპეს თავი დააღწიოს... იქ ჩემი ამჟამინდელი ცოლი დამხვდა. უნდა გენახა, როგორ აელეწა სახე, ელემერმა როგორც თავისი მეგობარი ბარონი ბალინკაი რომ წარმადგინა. რასაკვირველია, მაშინვე მიცნო და უხერხულად იგრძნო თავი გაახსენდა, ფულის ჩუქება რომ უნდოდა. მაშინვე შევატყვე, როგორი ადამიანიც იყო კეთილშობილი, წესიერი ქალი. რადგან თავი კი არ მოუკატუნებია, ვერაფერს ვხვდებიო, არამედ პატიოსნად და გულწრფელად ბოდიში მომიხადა. დანარჩენი უკვე ძალზე სწრაფად მოხდა და ეს არ არის არსებითი. მაგრამ, დამიჯერე, იღბლიან შემთხვევათა ასეთი თანხვედრა მუდამ როდი ხდება. და მიუხედავად ჩემი ფულისა და ჩემი ცოლისა, რომლისთვისაც ღმერთს ყოველ ცისმარე დღე ათასჯერ ვწირავ მადლობას, არ ვისურვებდი ხელმეორედ განმეცადა ის, რაც მანამდე გადავიტანე.

უნებლიეთ ხელი გავუწოდე ბალინკაის.

– გულწრფელად გმადლობ, რომ გამაფრთხილე. ახლა ბევრად უკეთ ვიცი, რაც მომელის. მაგრამ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სხვა გზა არა მაქვს. ნუთუ მართლა არაფერი შეგიძლია შემომთავაზო? თქვენ ხომ ალბათ დიდ საქმეებს ატრიალებთ?

– შე საწყალო, გეტყობა, ძალიან გაგამწარეს! მაგრამ ნუ გეშინია, გამოკითხვას არ დაგიწყებ, ისედაც ნათელია ჩემთვის ყველაფერი. როცა მანამდე მიდის საქმე, რჩევა დარიგება აღარ ჭრის. ისღა გრჩება, რომ მეგობარს დაეხმარო. და ამაზე უარს როგორ გეტყვი. ოღონდ, ერთი რამ კი უნდა გითხრა, ჰოფმილერ: ვფიქრობ, უჭკუო არა ხარ და გამიგებ, რომ ასე უცებ რაიმე სახარბიელო ადგილს ვერ შემოგთავაზებ. არც ერთ წესიერ ფირმაში ასეთი რამ არ ხდება. სხვები არ გაგიჟდებიან, როდესაც დაინახავენ, რომ ვიღაც ახალმოსული სრულიად დაუმსახურებლად თავზე გადაახტება მათ და წინ გაუსწრებს? სულ დაბლიდან მოგიწევს დაწყება, შეიძლება ორიოდე თვე კანტორაში მოგიწიოს ყოვლად სულელური მიწერ-მოწერის წარმოებამ, ვიდრე პლანტაციებში შენი გაშვება მოხერხდებოდეს, ანდა სხვას მოვიფიქრებდე რამეს. ისე კი, როგორც გითხარი, ამ საქმეს მოვაგვარებთ. ხვალ მე და ჩემი ცოლი პარიზში მივემგზავრებით რვა-ათი დღით, შემდეგ რამდენიმე დღით ჰავრსა და ანტვერპენში შევივლით, აგენტთა მუშაობას შევამოწმებთ, მაგრამ, არა უგვიანეს სამი კვირისა, უკან დავბრუნდებით და როგორც კი როტერდამში ჩავალთ, მაშინვე მოგწერ. არ გეგონოს, რომ დამავიწყდება! ბალინკაის შეგიძლია ენდო.

– ეჭვიც არ მეპარება, – ვუთხარი მე, – და დიდად გმადლობ.

მაგრამ ბალინკაიმ, ეტყობა, ჩემს კილოში ოდნავი გულგაცრუება შენიშნა.

– თუ... თუ ეს ერთობ გვიან იქნება შენთვის?

– არა, – ჭოჭმანით მივუგე მე, – რახან დანამდვილებით ვიცი, მაშინ, რასაკვირველია, არა, მაგრამ... ის მერჩია, რომ...

ბალინკაი ერთ წუთს ჩაფიქრდა.

– დღეს გექნება დრო?.. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩემი ცოლი დღეს აქაა და ვინაიდან საქმე მას ეკუთვნის და არა მე, ამიტომ ეს საბოლოოდ მან უნდა გადაწყვიტოს.

– რა თქმა უნდა, მექნება, – ვუპასუხე მაშინვე, რადგან გამახსენდა, რომ პოლკოვნიკს ჩემი „თვალით დანახვა“ არ ნებავდა.

– ძალიან კარგი! მაშინ ყველაზე ჭკვიანური ის იქნება, რომ ახლავე წამომყვე. წინ, მძღოლის გვერდით, ადგილი თავისუფალია. უკან ვერ დაგსვამ, რადგან ჩემი ძველი აქაური მეგობარი ბარონი ლაიოში დავპატიჟე ოჯახიანად. ხუთ საათზე უკვე „ბრისტოლთან“ ვიქნებით, მაშინვე მოველაპარაკები ცოლს. არასოდეს მეუბნება უარს, როცა მეგობრისთვის ვთხოვ რამეს.

ხელი ჩამოვართვი და კიბეზე დავეშვით. მექანიკოსებს ლურჯი ხალათები უკვე გაეხადათ, მანქანა მზად იყო და ორ წუთში უკვე გზატკეცილზე მივქროდით.

* * *

სისწრაფე სულზეც და სხეულზეც ერთნაირად მოქმედებს, იგი ერთსა და იმავე დროს აღაგზნებს და აბრუებს კიდეც. როგორც კი ავტომობილი ტრიალ მინდორში გაიჭრა, საოცარი შვება ვიგრძენი. მძღოლს ძალზე სწრაფად მიჰყავდა მანქანა. ხეები და ტელეგრაფის ბოძები მოჩეხილებივით მიექანებოდნენ უკან; სოფლებს რომ ჩავუვლიდით, სახლი სახლს ერწყმოდა, როგორც საგანთა გამოსახულება გადღაბნილ ფოტოსურათზე; ვერსების აღმნიშვნელი ქვები თეთრად გამოკრთებოდნენ ხოლმე და მანამდე ქრებოდნენ თვალთახედვიდან, ვიდრე მათზე გამოსახულ ციფრებს გავარჩევდი. იმის მიხედვით, როგორ მცემდა სახეში ქარი, ვგრძნობდი, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქროდით. მაგრამ ალბათ კიდევ უფრო მეტად ის სისწრაფე მანცვიფრებდა, რომლითაც ჩემი ცხოვრება იცვლებოდა მაინც რამდენი რამ გადავწყვიტე ამ ორიოდე საათში!

ჩვეულებრივი მერყევი სურვილიდან, ჯერაც ბუნდოვანი განზრახვიდან მის საბოლოო განხორციელებამდე ათასნაირად იმღვრევა ჩვენი გრძნობა, ხან აქეთ გადაიხრება, ხან იქით და ერთიმეორის საწინააღმდეგო ელფერს იღებს. გულს იდუმალ სიამოვნებას ჰგვრის გადაწყვეტილებასთან კეკლუცი თამაში, ვიდრე მართლა სისრულეში მოიყვანდეს. ამჯერად კი ყველაფერი სიზმარეულ ჩვენებათა სისწრაფით დამატყდა თავს და ისევე, როგორც ავტომობილის უკან სოფლები და გზაჯვარედინები არარაობაში ინთქმებოდნენ, ერთბაშად ქრებოდა ის, რაც აქამდე ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას შეადგენდა: ყაზარმა, სამხედრო კარიერა, მეგობრები, კეკეშფალვას ოჯახი, კოშკი, ჩემი ოთახი, მანეჟი, გარეგნულად მოწესრიგებული არსებობა. ერთმა, ერთადერთმა საათმა თავდაყირა დააყენა მთელი ჩემი შინაგანი სამყარო. ექვსის ნახევარზე ოტელ „ხრისტოლის“ წინ გავჩერდით, ნჯღრევისგან საშინლად დაბეგვილები, მტვერში ამოგანგლულები და მაინც საოცრად გახალისებულნი ხანგრძლივი სრბოლით.

– ამ მდგომარეობაში ვერ გამოგაჩენ ჩემს ცოლთან, მითხრა ბალინკაიმ სიცილით, ისე დათრთვილული ხარ, თითქოს მთელი ტომარა ფქვილი დაეცალოთ შენს თავზე. თანაც, მგონი, აჯობებს, რომ მარტო მოველაპარაკო, უფრო თავისუფლად ვეტყვი ყველაფერს და შენც არ მოგიწევს უხერხულობის გადატანა. ყველაზე ჭკვიანური იქნება, თუ დაიბან,

გასუფთავდები და ბარში დამელოდები. მე კი რამდენიმე წუთში დავბრუნდები და პასუხსაც შეგატყობინებ. მშვიდად იყავი, ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გაგიხარდება. და მართლაც: დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. ხუთი წუთის შემდეგ სახეგაბადრული შემოვიდა ბარში.

– აბა, რას გეუბნებოდი? მოგვარდა ყველაფერი, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ გაწყობს. კარგად მოიფიქრე, არავინ გაჩქარებს და შემდეგში, როცა აღარ გენდომება, ყოველთვის შეგიძლია უარი განაცხადო. ჩემმა ცოლმა არა, მაინც რა ჭკვიანი ქალია! მართლაც ყველაზე კარგი რამ მოიგონა. სახელდობრ, აი რა: ახლავე მოგაწყობთ გემზე, რათა ენები ისწავლო და ნახო, რა ხდება ოკეანის მიღმა. ხაზინადრის თანაშემწე იქნები, ფორმას მოგცემენ, ოფიცერთა სუფრაზე ისადილებ. რამდენჯერმე ჩახვალ ჰოლანდიის ინდოეთში, ხაზინადარს ანგარიშსწორებაში დაეხმარები. ხოლო შემდეგ სადმე უკეთეს ადგილზე მოგაწყობთ, ან აქ, ან ოკეანის გაღმა, როგორც მოისურვებ.

– გმად...

– მადლობა რა სათქმელია. განა სრულიად ბუნებრივი არ არის, რომ დაგეხმარე? განა სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო?! მაგრამ ერთხელ კიდევ მინდა გაგაფრთხილო, ჰოფმილერ, ცხელ გულზე ნუ გადაწყვეტ! ჩემგან დაბრკოლება არ გექნება, თუ გინდა, ზეგვე გაემგზავრე და გემზე გამოცხადდი. მანამდე მე კაპიტანს დეპეშას გავუგზავნი, რომ შენი გვარი ჩაიწეროს; მაგრამ სჯობს, რა თქმა უნდა, თუ ერთხელ კიდევ გულმოდგინედ აწონ-დაწონი ყველაფერს. მე პირადად მირჩევნია, პოლკში დარჩე, მაგრამ chacun à son goût!“. როგორც გითხარი, თუ ჩამოხვალ, კარგი, თუ არადა, შენი ნებაა, მომჩივანი არავინ გეყოლება... მაშ ასე, – თან ხელი გამომიწოდა, – „ჰო“ იქნება თუ „არა“, ასე გადაწყვეტ თუ ისე, მოხარული ვარ, რომ შეგხვდი. აბა, ყოჩაღად იყავი!

აღტაცებული ვუყურებდი ამკაცს, რომელიც ბედმა მომივლინა. ისე ადვილად მოაგვარა ყველაფერი, რომ არც თხოვნა დამჭირდა, არც წვალება და ყოყმანი გადაწყვეტილების მიღების წინ. ამ მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლებულს, მხოლოდ ერთი პატარა ფორმალობაღა მრჩებოდა შესასრულებელი: თხოვნა უნდა დამეწერა გადადგომის შესახებ. მერე კი თავისუფალი და გადარჩენილი ვიყავი.

ეგრეთ წოდებული „საკანცელარიო ქაღალდი“ სათანადო დებულებით ზუსტად დადგენილი ფორმატის ფურცელი ალბათ ყველაზე აუცილებელი რეკვიზიტი იყო ავსტრიის როგორც სამოქალაქო, ისევე სამხედრო ადმინისტრაციული აპარატისა. ყოველგვარი თხოვნა, ყოველი საქმიანი დოკუმენტი, ყოველი ცნობა ამ გულმოდგინედ გვერდებშემოჭრილ ქაღალდზე უნდა დაწერილიყო და მისი განუმეორებელი ფორმის წყალობით უმალვე ყველა განასხვავებდა სამსახურებრივს პირადულისაგან. მილიონობითა და მილიარდობით ასეთი ფურცელი, რომლებიც დასტადასტა აწყვია კანცელარიებში, ალბათ, ოდესმე ერთადერთი საიმედო მატიანე იქნება იმისა, როგორ ცხოვრობდა და იტანჯებოდა ჰაბსბურგელთა მონარქია, არანაირ საბუთს სწორად არ მიიჩნევდნენ, თუ ამ თეთრ, სწორკუთხა ფურცელზე არ იყო დაწერილი. ამიტომ მეც უპირველეს ყოვლისა, უახლოეს თამბაქოს მაღაზიაში ორი ასეთი ფურცელი შევიძინე, მასთან ერთად ეგრეთ წოდებული „ზარმაცი კიკო“ ცალხაზიანი ქვეშ დასაფენი

ფურცელი და კონვერტიც. შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადავედი კაფეში, სადაც ვენელები რა საქმე უნდა იყოს, რომ არ აკვარახჭინებდნენ, დაწყებული ყველაზე სერიოზულითა და დამთავრებული ყველაზე ქარაფშუტულით. ოციოდე წუთში, ექვსი საათისთვის, განცხადება უკვე დაწერილი მექნება და დამოუკიდებელი კაცი ვიქნები.

განსაცვიფრებელი სიცხადით მახსოვს ამ ამაღელვებელი ეპიზოდის ყოველი წვრილმანი ეს ხომ ყველაზე რადიკალური ნაბიჯი იყო, რომელიც კი ოდესმე გადამიდგამს ცხოვრებაში. მახსოვს კაფე რინგშტრასეზე, მარმარილოს პატარა მრგვალი მაგიდა კუთხეში ფანჯარასთან, მუყაოს საქაღალდე, რომელზეც გავშალე ქაღალდი, და ისიც, რა საგულდაგულოდ ვასწორებდი დანის პირით ნაკეცის ხაზს, რომ ზედმიწევნით სწორი ყოფილიყო. მოლურჯომოშავო, ოდნავ წყალწყალა მელნით ნაწერი ახლაც ისე მკაფიოდ მიდგას თვალწინ, თითქოს ფოტოსურათს ვუყურებდე და ვგრძნობ იმ პატარა შინაგან ბიძგს, რომლითაც პირველი ასო გამოვიყვანე. გულით მინდოდა, ეს ჩემი უკანასკნელი სამსახურებრივი მოვალეობა განსაკუთრებით მუყაითად შემესრულებინა. მაგრამ პირველსავე სტრიქონზე რაღაც უცნაურმა ოცნებამ შემიპყრო. წერა შევწყვიტე და დავიწყე ფიქრი იმაზე, რა მოხდებოდა ხვალ, როდესაც ეს წერილი პოლკის კანცელარიაში მივიდოდა. ჯერ ფელდფებლის შეცბუნებული სახე დამიდგა თვალწინ. იგი განაგებდა კანცელარიას და თხოვნაც ალბათ ყველაზე ადრე მას ჩაუვარდებოდა ხელში; მერე კანცელარიის განცვიფრებული უმცროსი ჩინების ხშირად კი არ ხდება, რომ ლეიტენანტი ასე იოლად ამბობდეს უარს ხელფასზე. კანცელარიიდან ჩემი ქაღალდი ოთახიდან ოთახში ივლის, ვიდრე პირადად პოლკოვნიკს ჩაუვარდება ხელში. უეცრად ცოცხლად წარმომიდგა, როგორ იკეთებს პენსნეს, რადგან ახლო ცუდად ხედავს, კითხვას იწყებს და პირველსავე სიტყვებზე განცვიფრებისაგან პირს აღებს, ხოლო შემდეგ, თავშეუკავებელი, როგორც ყოველთვის, მაგიდას უბრაგუნებს მუშტს, ეს ხეპრე მიჩვეულია, რომ მისი ხელქვეითნი, რომელთაც თავლაფს ასხამს, მეორე დღესვე ელაქუცებიან ხოლმე გაბედნიერებულები, როგორც კი დარდიმანდული სიტყვით აგრძნობინებს, ჭექა-ქუხილმა გადაიარაო. მაგრამ ამჯერად კი ნახავს, რომ სეტყვა მოვიდა და დახვდა ქვა, რომ პატარა ლეიტენანტი ჰოფმილერი თავს არავის გაათათხვინებს. ხოლო როცა შემდგომ ყველა გაიგებს, რომ ჰოფმილერი პოლკიდან წავიდა, ოცი, შეიძლება ორმოცი მეგობარიც შეცბუნდეს მოულოდნელობისაგან და ყველა მათგანი გულში გაიფიქრებს: „ჯანდაბას, ხედავ, რა ბიჭი ყოფილა! თავს არავის დააჩაგვრინებს!“ თვითონ პოლკოვნიკი ბუბენჩიჩიც უხერხულად იგრძნობს თავს ასეა თუ ისე, უფრო ღირსეულად არავინ წასულა პოლკიდან, უფრო კეთილშობილურად არავის გაუხდია მუნდირი, რამდენადაც მე მახსოვს. ახლა არ მრცხვენია ვაღიარო, რომ იმ დროს, როდესაც ყოველივე ამას ვფიქრობდი, საოცარი თვითკმაყოფილება მიპყრობდა. რასაც ვაკეთებთ, უპირატესად ხომ სწორედ პატივმოყვარეობა გვამოძრავებს და სუსტი ხასიათის მქონენი განსაკუთრებით ვერ უძლებენ ცდუნებას, ისეთი რამ მოიმოქმედონ, რაც გარეგნულად ძალის, სიმამაცისა და გამბედაობის გამოვლენად აღიქმება. პირველად მომეცა შესაძლებლობა ამხანაგებისთვის დამემტკიცებინა, რომ თავმოყვარეობა მქონდა და ნამდვილი ვაჟკაცი ვიყავი! სულ უფრო და უფრო სწრაფად და, როგორც მეგონა, სულ

უფრო და უფრო ენერგიული ხელით ჩავამთავრე ეს ოციოდე სტრიქონი. რაც თავიდან მეზარებოდა, მაგრამ აუცილებელი იყო დამეწერა, ერთბაშად სიამოვნებად გადამექცა.

ხელმოწერაც და დამთავრდა. დავცქერი საათს: შვიდის ნახევარია. კელნერს დავუძახებ, გავუსწორდები, მერე უკანასკნელად ერთხელ კიდევ გავისეირნებ რინგშტრასეზე მუნდირში გამოჯგიმული და ღამის მატარებლით შინისაკენ მოვუსვამ! ხვალ დილით ჩავაბარებ ამ ქაღალდს და ყოველივე წარსულს ჩაჰბარდება. ახალი ცხოვრება დაიწყება.

ასე რომ, ავიღე წერილი, ჯერ სიგრძეზე გავკეცე, მერე სიგანეზე, ეს საბედისწერო საბუთი გულის ჯიბეში რომ შემენახა ფრთხილად. მაგრამ აქ მოულოდნელი რამ მოხდა.

* * *

სახელდობრ, აი რა: იმ წამს, როდესაც კმაყოფილი და გახარებულიც კი გულარხეინად ჯიბეში ვიდებდი საკმაოდ მოზრდილ კონვერტს, ვიგრძენი, რომ შიგრაღაც ტკიცინებდა და წინ ეღობებოდა. „რა უნდა იყოს ნეტავი?“ გავიფიქრე უნებლიეთ და ხელი ჩავიყავი ჯიბეში, მაგრამ ელდანაკრავმა უკანვე ამოვიტაცე, თითქოს თითები უფრო ადრე მიხვდნენ, ვიდრე მე გავიხსენებდი, რა მედო შიგ. ედითის წერილები იყო, ორივე გუშინდელი წერილი, პირველიც და მეორეც.

მიჭირს ზუსტად გადმოგცეთ ის გრძნობა, რომელიც ამ უეცარ მოგონებაზე დამეუფლა, მგონი, ეს იმდენად შიში როდი იყო, რამდენადაც ენით გამოუთქმელი სირცხვილი, რადგან თვალის დახამხამებაში თითქოს ბურუსი გაიფანტა, ტყუილს ბოლო მოეღო, ან, უფრო სწორად, თვითმოტყუებას. უცებ მივხვდი, რომ სულ ყალბი იყო, რასაც ამ რამდენიმე საათის განმავლობაში ვაკეთებდი და ვფიქრობდი: პოლკში ჩემი შერცხვენა-განაწყენებაც და გმირული გადადგომით თავის მოწონებაც. იმიტომ კი არ გავრბოდი, რომ პოლკოვნიკმა შემჯორა (ბოლოს და ბოლოს, ასეთი რამ ყოველ კვირას ხდებოდა), არამედ კეკეშფალვებს გავურბოდი, ჩემს ტყუილს, ჩემს პასუხისმგებლობას გავურბოდი. იმიტომ მინდოდა გადახვეწა, რომ ნაძალადევი სიყვარულის გაძლება არ შემეძლო. როგორც მომაკვდინებელი სენით შეპყრობილ ადამიანს, შემთხვევით ავარდნილი კბილის ტკივილი უმთავრეს სატკივარს ავიწყებს, მეც დავივიწყე (ანდა მინდოდა დამევიწყებოდა) ის, რაც ნამდვილად მაწვალებდა, მზარავდა, მაფრთხობდა და მის ნაცვლად წასვლის მიზეზად იმ არსებითად უმნიშვნელო უსიამოვნებას ვსახავდი, რომელიც სავარჯიშო მოედანზე შემემთხვა. მაგრამ ახლა ნათლად ვხედავდი, რომ ჩემი წასვლა განაწყენებული ადამიანის ვაჟკაცური ნაბიჯი კი არ იყო, არამედ მხდალი, სამარცხვინო გაქცევა. მაგრამ გადადგმულ ნაბიჯს ინერცია აქვს. ახლა, როდესაც გადადგომის განცხადება დაწერილი მქონდა, უკან დახევა აღარ მინდოდა. „ჯანდაბა, გაბრაზებულმა ვთქვი გუნებაში, რა ჩემი საქმეა, თუ ვიღაც მელოდება და წრიპინებს! ისედაც საკმაოდ ამიშალეს ნერვები და თავგზა ამიბნიეს. რაში მაინტერესებს, ვიღაცას თუ ვუყვარვარ? მილიონების პატრონია და ვინმე სხვას ვეღარ იშოვის? და გინდაც ვერ იშოვოს, რა ჩემი საქმეა? ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და მუნდირსაც კი ვწირავ. რა ჩემი საქმეა, ვიღაც ისტერიკაში ჩავარდნილი გოგო მორჩება, თუ არ მორჩება? ექიმი ხომ არა

ვარ...“, მაგრამ სიტყვა „ექიმზე“ უეცრად კონდორი გამახსენდა. „ეს უკვე მისი საქმეა! მას ევალება, მაშინვე ვუთხარი ჩემს თავს, ფულს უხდიან, რომ ავადმყოფს მიხედოს. ედითი მისი პაციენტია და არა ჩემი. თავისი ჩაფლავებული საქმე თვითონვე გამოასწოროს. ყველაფერს სჯობს, ახლავე მივიდე და განვუცხადო, ჩემი იმედი ნუღარ გექნებათ-მეთქი“.

საათს დავხედე. შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა. ჩემი მატარებელი კი ათ საათამდე არ გადიოდა. საკმარისი დროა, მით უმეტეს, რომ ბევრი სალაპარაკო არა მაქვს, მხოლოდ ვეტყვი, მივდივარ-მეთქი. ჰო, მაგრამ სად ცხოვრობს? არ უთქვამს ჩემთვის, თუ მე აღარ მახსოვს? თუმცა, კერძო პრაქტიკა აქვს და ამიტომ მისი გვარი ტელეფონების წიგნში იქნება. სწრაფად მივდივარ ტელეფონის ჯიხურთან და აბონენტთა სიას ვფურცლავ. იკ... ილ... ინ... კო... აი, აქ არის ყველა კონდორი: „კონდორი ანტონ, სოვდაგარი“... „დოქტ. კონდორი, ემერიჰ, კერძო პრაქტიკის მქონე ექიმი, VIII, ფლორიანგასეს 97“. მთელ გვერდზე ექიმი სხვა არავინ არის, უთუოდ ის უნდა იყოს. გამოვრბივარ ჯიხურიდან და თან მისამართს ვიმეორებ (ფანქარი არ წამომიღია, ყველაფერი დამავიწყდა, ისე გიჟივით გამოვვარდი ყაზარმიდან). პირველსავე ფიაკრს ვაჩერებ და ვიდრე ეტლი რბილად და სწრაფად მიგორავს, საბოლოო გეგმას ვადგენ. მთავარია, მოკლედ და კონკრეტულად ვუთხრა ყველაფერი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაგრძნობინო, რომ კიდევ ვმერყეობ. არ უნდა მიხვდეს, რომ ედითის გამო ვიკრავ გუდანაბადს. ჩემი გადადგომა იმთავითვე fait accompli-დ უნდა მოვაჩვენო. უკვე რამდენიმე თვეა ეს საქმე დაწყებული მაქვს, მაგრამ მხოლოდ დღესღა მივიღე შესანიშნავი ადგილი ჰოლანდიაში-მეთქი. ხოლო თუ უფრო დაწვრილებით დამიწყებს გამოკითხვას, სიტყვას ბანზე ავუგდებ და არაფერს ვეტყვი! ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ხომ ყველაფერი არ უთქვამს ჩემთვის. მეყო, რაც აქამდე ვებოდიშებოდი ყველას.

ეტლი ჩერდება. მეეტლეს შეეშალა, თუ სიჩქარეში მისამართი სწორად არ ვუთხარი? ნუთუ კონდორი აქ ცხოვრობს? ალბათ მარტო კეკეშფალვა რამდენს უხდის. ასეთ ადგილას სახელოვანი ექიმი როგორ იცხოვრებს? მაგრამ არა, აქ ცხოვრობს. აგერ, შესასვლელში დაფა ჰკიდია: „დოქტ. ემერიჰ კონდორი, შესასვლელი ეზოდან, მეოთხე სართული, მიღება ორიდან ოთხ საათამდე“. ორიდან ოთხ საათამდე, ახლა კი სადაცაა შვიდი გახდება. მაგრამ რა ვუყოთ, მე მაინც უნდა მიმიღოს. მეეტლეს ვუხდი ფულს და ცუდად მოკირწყლულ ეზოში მივაბიჯებ. ეს რა დანჯღრეული ხვეული კიბეა, გაცვეთილი საფეხურები, ჩამოხეულ დაჯღაბნილი კედლები, ღარიბული სამზარეულოსა და საპირფარეშოების სუნი ტრიალებს; დერეფნებში დაყუდებულ ქალებს ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ, ერთმანეთს ემუსაიფებიან და ეჭვის თვალით უმზერენ დარცხვენილ კავალერისტ ოფიცერს, რომელიც ბინდბუნდში მათ გვერდით მიაბიჯებს დეზების წკარაწკურით!

აი, მეოთხე სართულიც, ისევ გრძელი დერეფანი, მარჯვნივ, მარცხნივდა შუაშიც კარია; ის არის, ჯიბეში მინდა ხელი ჩავიყო, ასანთს გავკრა და კონდორის კარი მოვძებნო, რომ მარცხენა კარიდან მოსამსახურე გოგო გამოდის, ხელში ცარიელი ტოლჩა უჭირავს,

ეტყობა, ვახშმად ლუდის მოტანას აპირებს. ვეკითხები, ექიმი კონდორი სად ცხოვრობს-მეთქი.

– აქ ცხოვრობს, – ჩეხურად უქცევს გოგო, – ოღონდ ახლა შინ არ გახლავთ, მაიდლინგში წავიდა. მაგრამ სადაცაა უნდა გამოჩნდეს. ქალბატონს უთხრა, ვახშმად აუცილებლად დავბრუნდებიო. შემოდით და დაუცადეთ!

და ვიდრე რამის მოფიქრებას მოვასწრებდე, წინკარში შევყავარ.

– აი, აქ ჩამოკიდეთ ხმალი, – მეუბნება და ძველ გარდერობზე მიმითითებს. ამის მეტი არაფერი დგას ამ პატარა ბნელ წინკარში. შემდეგ მოსაცდელ ოთახში მიმიძღვის, რომელიც უფრო სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგიდის ირგვლივ ოთხი თუ ხუთი სკამი დგას და მარცხენა კედლის გასწვრივ უამრავი წიგნი აწყვია.

– აქ შეგიძლიათ ჩამოჯდეთ, მიმითითებს ერთ-ერთ სკამზე. მაშინვე ვხვდები, რომ კონდორი ღარიბებს მკურნალობს. მდიდარ პაციენტებს ასე არ იღებენ. „საკვირველი კაცია, საკვირველი, ისევ და ისევ ვფიქრობ მე, რომ მოინდომოს, მარტო კეკეშფალვას ხარჯზე გამდიდრდებოდა“.

მაშ ასე, ვიცდი. მოგეხსენებათ: ნერვიული ლოდინი ექიმის მოსაცდელ ოთახში, როდესაც გაუთავებლად შლი დროგადასულ და დაფურცლულ ჟურნალებს, არა იმიტომ, რომ მათი წაკითხვა გაინტერესებს, არამედ შინაგანი მღელვარება გინდა ამ მოჩვენებითი საქმიანობით გაანელო; როდესაც წამდაუწუმ ხან ადგები, ხან ისევ ჯდები და კუთხეში ჩამოკიდებულ საათს შესცქერი, რომლის ქანქარაც ნამძინარევივით ზანტად ქანაობს: შვიდი საათი და თორმეტი წუთია, შვიდი საათი და თოთხმეტი წუთი, შვიდი და თხუთმეტი წუთი, შვიდი და თექვსმეტი... მოჯადოებულივით მისჩერებიხარ ექიმის კაბინეტის კარის სახელურს. შვიდი საათი და ოცი წუთია სული დამელია. უკვე ორი-სამი სკამი გამოვიცვალე, ვდგები და ფანჯარასთან მივდივარ. ქვემოთ, ეზოში, ვიღაც კოჭლი ბერიკაცი, ეტყობა, მებარგულე, ბორბლებს უპოხავს თავის ურიკას; სამზარეულოს განათებულ ფანჯრებს მიღმა ვიღაც ქალი თეთრეულს აუთოებს, მეორე კიდევ, მგონი, პატარა ბავშვს აბანავებს; ვიღაც არ ვიცი, რომელ სართულზე, მაგრამ ზუსტად ჩემ ზევით, ანდა ჩემ ქვევით უნდა იყოს გამებს უკრავს, სულ ერთსა და იმავეს იმეორებს და იმეორებს, ისევ საათს ვუცქერი: შვიდი საათი და ოცდახუთი წუთია, შვიდი საათი და ოცდაათი წუთი. ნეტავი რატომ არ მოდის? აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი! ვგრძნობ, რომ ამდენი ცდა ნებისყოფას მართმევს, გაუბედავი, უმწეო ვხდები.

ბოლოს გულზე მეფონება კარის ჯახუნი გაისმის. მაშინვე სათანადო პოზას ვიღებ. ახლა მთავარია თავდაჭერა, რაც შეიძლება თამამად უნდა ვიყო, ვუკიჟინებ თავს. სხვათა შორის ვეტყვი: En passant ვიყავი და გინახულეთ, გამოთხოვება მინდოდა-მეთქი. მერე, ვითომც აქ არაფერია, ვთხოვ ამ დღეებში კეკეშფალვას ეწვიოს და, რაიმე ეჭვი რომ არ დაებადოთ, ჩემი სამსახურიდან გადადგომა და ჰოლანდიაში გამგზავრება შეატყობინოს. ღმერთო ძლიერო, ეს რა უბედურებაა, ახლა მაინც რაღას მაცდევინებს ამდენს! გარკვევით მესმის, რომ გვერდით ოთახში სკამი გადადგეს. ვინ იცის, იქნებ დაავიწყდა კიდეც იმ გამოთაყვანებულ გოგოს კონდორისთვის ეთქვა, რომ ვიღაც ელოდება?

ის არის, უკვე ვაპირებ გავიდე და მოსამსახურე გოგოს ჩემი თავი მოვაგონო, მაგრამ ერთბაშად ვშეშდები, რადგან ის, ვინც მეზობელ ოთახში დადის, არ შეიძლება კონდორი იყოს. მე ხომ ვიცი მისი სიარული. იმ ღამის შემდეგ, სადგურზე რომ გავაცილე, ზედმიწევნით ვიცი, როგორ დადის; ფეხებკოტიტაა, ქოშინებს, მძიმედ და მოუქნელად დაბაჯბაჯებს ჭრაჭუნა ფეხსაცმლით; ეს ფეხის ხმა კი, მეზობელი ოთახიდან რომ მესმის და ხან ახლოვდება და ხანაც მშორდება, სულ სხვანაირია ფრთხილი, გაუბედავი, შემპარავი. ვერ გამიგია, მაინც რატომ მაღელვებს ასე ძლიერ ვიღაც უცნობის ნაბიჯები, რატომ ვუსმენ ასე შინაგანად დაძაბული. მაგრამ ვფიქრობ, ის მეორეც ასევე აღელვებული და დაძაბული უგდებს ყურს ყოველივე იმას, რაც აქ ხდება. უეცრად კარს იქით რაღაც ფაჩუნი მესმის, თითქოს ვიღაც სახელურს აწვალებდეს. და აი, მართლაც, შეირხა, დაბლა იწევს, თითბრის ვიწრო ზოლი ბინდბუნდში ელავს, კარი ოდნავ იღება. „იქნებ ორპირმა ქარმა გააღო?“ ვამბობ გუნებაში, რადგან ჩვეულებრივ არავინ აღებს ასე შემპარავად კარს, მხოლოდ ქურდი თუა. მაგრამ არა, ვიღაცის ხელი ძალზე ფრთხილად აწვება შიგნიდან კარს. ბოლოს სიბნელეში ადამიანის სილუეტსაც ვარჩევ. გაქვავებული მივჩერებივარ. ღრიჭოდან ქალის გაუბედავი ხმა ისმის:

– აქ... აქ ვინმეა?

პასუხი ყელში მეჩხირება. უმალვე ვხვდები: ასე მხოლოდ უსინათლოს შეუძლია იკითხოს, მხოლოდ ბრმები დადიან ასეთი ფრთხილი და შემპარავი ნაბიჯით, მხოლოდ მათ აქვთ ასეთი გამბედავი ხმა, და იმავე წამს მახსენდება: კეკეშფალვამ ერთხელ მითხრა, კონდორმა უსინათლო ქალი შეირთოო. ალბათ, ის არის, აბა სხვავინ უნდა იყოს? ეს კონდორის ცოლია, კარში რომ დგას, მეკითხება და თან ვერ მხედავს. დაძაბული ვაცქერდები და ვცდილობ, სიბნელეში მისი ლანდი დავინახო. ბოლოს ძლივს ვარჩევ გამხდარ ქალს, რომელსაც განიერი ხალათი აცვია და ჭაღარა თმა ოდნავ გასჩეჩია. ო, ღმერთო, ნუთუ ეს ულამაზო ქალი მისი ცოლია?! რა საშინელია, როდესაც უსინათლოს თვალთა გაშეშებულ მზერას გრძნობ და იცი, რომ ეს თვალები ვერ გხედავენ. ამავე დროს იმისდა მიხედვით, თავს როგორ იშვერს წინ, ვამჩნევ, რომ სმენას ძაბავს და, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს, მისთვის უჩინარ ოთახში უცხო ადამიანის ყოფნა დაადგინოს. მეტისმეტი ძალდატანებისგან ისედაც დიდი და დონდლო პირი ებრიცება და კიდევ უფრო აუშნოებს.

ერთ წამს ვდუმვარ. მერე ვდგები და თავს ვუკრავ, დიახ, თავს ვუკრავ, თუმცა არავითარი აზრი არა აქვს ბრმას თავი დაუკრა კაცმა, და ენის ბორძიკით ვეუბნები:

– მე... მე აქ ბატონ ექიმს ველოდები...

ახლა უკვე ყურთამდე გააღო კარი. მარცხენა ხელი ისევ სახელურზე უკიდია, თითქოს დასაყრდენს ეძებდეს წყვდიადით მოცულ სივრცეში. შემდეგ წინ გამოდის, ფეხებს ფრთხილად ადგამს, ჩამქრალ თვალებს ზემოთ წარბები შეუჭმუხნია და ახლა სულ სხვა ხმით, უხეშად, ბრძანების კილოთი მეუბნება:

– ახლა რაღა დროს მიღებაა. ჩემი ქმარი რომ დაბრუნდება, უნდა ივახშმოს და დაისვენოს. არ შეგიძლიათ, ხვალ მოხვიდეთ?

ყოველ სიტყვაზე სახე უფრო და უფრო ეღუშება, ეტყობა, თავს ძლივს იმაგრებს, „ისტერიკიანი ვიღაცაა, ვფიქრობ მაშინვე გუნებაში, არ უნდა გავაღიზიანო“. კიდევ ერთხელ ბრიყვივით თავს ვუკრავ სიცარიელეს და ვდუდუნებ:

– მომიტევეთ, მოწყალეო ქალბატონო... მე, რასაკვირველია... ასე გვიან საკონსულტაციოდ არ მოვსულვარ ბატონ ექიმთან, მხოლოდ მინდოდა... ერთერთი მისი ავადმყოფის შესახებ რაღაც მეცნობებინა.

– ოჰ, ეს ავადმყოფები! სულ ავადმყოფები და ავადმყოფები! – სიანჩხლიდან ვიშვიშზე გადადის, წუხელ ორის ნახევარზე წამოაგდეს, დღეს დილით კიდევ შვიდზე რომ წავიდა, ჯერაც არა ჩანს. ეგრე ხომ თვითონაც ავად გახდება, თუ სულის მოთქმაც არ აცალეთ! ჰოდა, ახლა კმარა! ამ დროს მიღება არა აქვს-მეთქი, ხომ გითხარით. ოთხზე მთავრდება. დაუწერეთ, რაცა გსურთ, ხოლო თუ საჩქაროა, სხვა ექიმთან წადით. ექიმების მეტი რა არის ქალაქში.

უფრო ახლოს მოდის ტაატით და მეც დამნაშავესავით უკან ვიხევ ამ გაკაპასებული სახის, ფართოდ გახელილი თვალების წინაშე, რომლებსაც თეთრად გაუდით ბდღვრიალი.

– წადითმეთქი, გეუბნებით, წადით! დააცადეთ, რომ ისე ივახშმოს და დაიძინოს, როგორც სხვა ადამიანები შვრებიან! რა ყველა მას ებღაუჭებით! მთელი დღე ავადმყოფები ახვევიან, შუაღამისას და უთენიაც არ ასვენებენ! ყველას ჭირი მან უნდა იცეს თავში და ისიც უსასყიდლოდ! ატყობთ, რომ სუსტი ხასიათი აქვს და ყველანი წურბლებივით ეკიდებით, მარტო მას ეკიდებით... ო, რა ულმობლები ხართ! მარტო თქვენი ავადმყოფობა გახსოვთ, მარტო თქვენი საზრუნავი, სხვა არაფერი გინდათ გაიგოთ! მაგრამ მე არ მოვითმენ, ნებას არ მოგცემთ. წადითმეთქი, გეუბნებით, ახლავე წადით! მოასვენეთ, ახლა მაინც, საღამოს, ერთი საათი მაინც მოასვენეთ!

ასე ტაატითა და ხელის ცეცებით მაგიდამდე აღწევს. რაღაც საოცარი ალღოთი ხვდება, დაახლოებით სადაც უნდა ვიდგე და თვალებით პირდაპირ მე მომჩერებია, თითქოს მხედავდეს. მისი სიბრაზე იმდენად წრფელია და ამავე დროს მის სიტყვებში ისეთი ავადმყოფური სასოწარკვეთილება გამოსჭვივის, რომ ჩემდა უნებლიეთ, მრცხვენია.

– რასაკვირველია, ქალბატონო, – ვუბოდიშებ, – ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ ბატონ ექიმს დასვენება სჭირდება... და აღარ შეგაწუხებთ, ოღონდ ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა დავწერო და დავუტოვო, ან იქნებ ნახევარ საათში ტელეფონით დავურეკო?

მაგრამ უსინათლო გამწარებული მიყვირის:

– არა! არა! არ დაურეკოთ! დღე ერთია და ასჯერ ურეკავენ. ხან ვის რა გამოენასკვება და ხან ვის რა! ეკითხებიან, შესჩივიან! ლუკმის გადაყლაპვას ვერ ასწრებს ხოლმე, რომ ისევ უნდა წამოხტეს და ტელეფონს მივარდეს! ხომ გითხარით ხვალ მოდით მიღების დროს, განა რა საჩქაროა ასეთი. ერთხელ მაინც მოასვენეთ. ჰოდა, წადით... წადით-მეთქი!

მუშტებმოღერებული უსინათლო ტაატით მოიწევს ჩემკენ. რა საზარელი სანახავია. ასე მგონია, ეს-ეს არის ჩამაფრინდება-მეთქი წინ გამოწვდილი ხელებით. მაგრამ სწორედ ამ დროს გარეთ კარი ჩხაკუნით იღება და მერე, ისევ იხურება. ჯახუნი მოისმის. ალბათ

კონდორია. ქალი სმენადაა გადაქცეული. უეცრად კრთება და უმალვე ფერი ეცვლება. მთელი სხეული უკანკალებს. ეს-ეს არის მომუშტულ ხელებს გულზე მუდარით იჭდობს:

– დიდხანს ნუ დააკავებთ, მეჩურჩულება, არაფერი უთხრათ! ძალიან დაღლილი იქნება, მთელი დღე გზაში იყო... შეიბრალეთ, თანაგრძნობა იქონ...

ამ დროს კარი იღება და ოთახში კონდორი შემოდის. ეჭვი არ იყო, იმწამსვე მიხვდა,რაც ხდებოდა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია.

– ოჰო, რა კარგია, რომ ბატონი ლეიტენანტი არ მოგიწყენია, – დაიწყო მისთვის ჩვეულ მხიარულ კილოზე, რომლის მიღმაც, მე ეს უკვე შემჩნეული მქონდა, შინაგანი დაძაბულობის დამალვა უყვარდა ხოლმე, – ყოჩაღ, კლარა, მადლობელი ვარ შენი.

თან უსინათლოსთან მოვიდა და აწეწილ ჭაღარა თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი. ქალს მაშინვე სახე გაებადრა. ამ მიალერსებამ წარხოცა შიში, რომლისგანაც ეს-ეს იყო დაბრეცილი ჰქონდა ვეება, დონდლო პირი. მეუღლეს რაღაც უმწეოდ დარცხვენილი მიუბრუნდა და გაუღიმა, როგორც კი მისი სიახლოვე შეიგრძნო. სინათლის ანარეკლი აუციაგდა კრიალა, ოდნავ წახნაგოვან შუბლზე. ვერ აგიწერთ, როგორი მოულოდნელი იყო მისგან სიმშვიდე და გულდაჯერებულობა ასეთი გაანჩხლების შემდეგ. ჩანდა, ქმრის მოსვლამ ისე გაახარა, რომ ჩემი ყოფნა სულ დაავიწყდა. ხელი, თითქოს მაგნიტმა მიიზიდაო, ქმრისკენ გაასავსავა ჰაერში და როგორც კი მთრთოლვარე თითებით ქმრის სახელოს შეეხო, ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით აყოლებდა მათ მკლავზე, ეფერებოდა. კონდორმა იგრძნო, რომ ქალი მთელი არსებით მისკენ მიისწრაფოდა, სულ ახლოს მივიდა მასთან და უსინათლოც მიეყრდნო ქმარს. კონდორმა ღიმილით მოხვია მხრებზე ხელი და ჩემთვის არ შემოუხედავს ისე გაიმეორა:

– ყოჩაღ, კლარა, მადლობელი ვარ შენი, – და გეგონებოდათ, ხმითაც კი უყვავებდა ცოლს.

– მომიტევე, მოიბოდიშა ქალმა, მაგრამ ხომ უნდა ამეხსნა ამ ბატონისათვის, რომ ჯერ უნდა ივახშმო. შენ ხომ საშინლად მშიერი იქნები. აქ კიდევ ათჯერ თუ თხუთმეტჯერ დარეკეს... გკითხულობდნენ... მაპატიე, მაგრამ ამ ბატონს ვუთხარი, უმჯობესია ხვალ მოხვიდეთ-მეთქი, მაგრამ...

– ჰოდა, ჩემო კარგო, ამჯერად მაგრად შეცდი, – გაიცინა კონდორმა და თან ისევ ხელი გადაუსვა თმაზე, – ეს ბატონი, ლეიტენანტი ჰოფმილერი, საბედნიეროდ, ჩემი პაციენტი კი არა, მეგობარია, რომელიც უკვე დიდი ხანია დამპირდა, რომ მინახულებდა, როცა ქალაქში მოხვდებოდა. მას მარტო საღამოობით სცალია, დღისით კი სამსახურშია. ახლა მთავარია, რამე კარგი თუ მოგეპოვება, რომ მასაც გაუმასპინძლდე?

ისევ შიშმა გაიელვა უსინათლოს სახეზე და მივხვდი, რამ შეაკრთო ამჯერად. მარტოდ დარჩენა სურდა იმასთან, ვისაც ამდენ ხანს ელოდა.

– ოჰ, არა, გმადლობთ, – სასწრაფოდ ვიუარე მე, – მალე უნდა წავიდე, თორემ ღამის მატარებელი გამასწრებს. მხოლოდ მოკითხვა მინდოდა გადმომეცა ჩვენი საერთო ნაცნობებისაგან და ამას კი სულ ორიოდე წუთი დასჭირდება.

– რა, ხომ კარგად არიან? – მკითხა კონდორმა და თვალი თვალში გამიყარა. ეტყობა, მიხვდა, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო, რადგან სწრაფად დაუმატა: – მაშ, ყური მიგდეთ,

ძვირფასო მეგობარო, ჩემმა ცოლმა მუდამ იცის, რა მჭირდება, და ხშირად უკეთესადაც კი, ვიდრე მე თვითონ. მართლაც საშინლად მშია და ვიდრე არ დავნაყრდები და სიგარას არ დავიმსახურებ, არაფრად ვარგივარ. თუ შენც თანახმა ხარ, კლარა, მე და შენ წავიდეთ, ვივახშმოთ, ხოლო ბატონმა ლეიტენანტმა ცოტა ხანს აქ დაიცადოს, ან წიგნს მივცემ, ანდა უბრალოდ დაისვენოს. თქვენც ალბათ დღეს გაწამაწიაში იყავით, – მომიბრუნდა მე, – სიგარაზე რომ მიდგება ჯერი, თქვენთან გამოვალ...

– ქალბატონო, ათ წუთზე მეტხანს ნამდვილად არ დავაკავებ თქვენს მეუღლეს... მერე სასწრაფოდ სადგურზე უნდა გავიდე...

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალს ისევ გაუნათდა სახე და თითქმის უკვე მეგობრულად მომმართა:

– სამწუხაროა, რომ არ გინდათ ჩვენთან ერთად ივახშმოთ, ბატონო ლეიტენანტო, მაგრამ, იმედია, კვლავაც გვეწვევით.

ხელი გამომიწოდა, ნაზი, ვიწრო, ოდნავ უკვე დამჭკნარი და დანაოჭებული ხელი, და მეც მოკრძალებით ვეამბორე.

ორი-სამი წუთი კარი ღია იყო, ფრატუნით მიმავალთა ფეხის ხმა მესმოდა. შემდეგ კონდორი უკან დაბრუნდა. ახლა სულ სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე მანამდე ყურადღებიანი, გამჭრიახი. ადრეც შემინიშნავს, ასე გამოიყურებოდა ყოველთვის, როცა შინაგანად დაძაბული იყო. უეჭველია, მიხვდა, რომ თუ არა რაიმე არსებითი მიზეზი, დაუპატიჟებლად არ მივეჭრებოდი შინ.

– ოც წუთში მოვალ და გავისაუბროთ, მანამდე კი აჯობებს, თუ წამოწვებით დივანზე, ანდა სავარძელში მოეწყობით. დღეს არ მომწონხართ, მეგობარო, ძალზე დაღლილი ჩანხართ. ჩვენ კი ამჯერად ორივეს სიფხიზლე და სიდინჯე გვმართებს.

და ერთბაშად უკვე სულ სხვა კილოზე დასძინა ხმამაღლა, რომ მესამე ოთახამდე მიეწვდინა ხმა:

– ჰო, ახლავე მოვდივარ, ჩემო კარგო, ბატონ ლეიტენანტს წიგნი მივეცი, რომ არ მოიწყინოს ჩემს მოლოდინში.

* * *

კონდორის გაწაფულმა თვალმა სწორად შენიშნა. მხოლოდ ახლაღა, როცა ექიმმა მითხრა, გავაცნობიერე, რა საშინლად დაქანცული ვიყავი კოშმარული ღამისა და დაძაბული დღის შემდეგ. მის რჩევას დავყევი (თან უკვე ვგრძნობდი, რომ მთლიანად მის ნებისყოფას ვემორჩილებოდი) და მისაღები ოთახის ერთ-ერთ სავარძელში გავიშოტე. თავი საზურგეს მივაყრდნე, ხელებიფაფუკ სახელურებს დავაბჯინე. ვიდრე ველოდებოდი, გარეთ, ეტყობა, დაბნელდა: ოთახში მხოლოდ საექიმო ხელსაწყოებსღა ვარჩევდი, მინის მაღალ კარადაში ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდნენ, ხოლო მოპირდაპირე კუთხეში წყვდიადი იყო დავანებული და იმ სავარძელს, რომელშიაც მე ვიჯექი, გუმბათივით ადგა თავზე. უნებლიეთ თვალი დავხუჭე და მაშინვე, თითქოს laterna magica-ში, წარმომიდგა უსინათლოს სახე და მისი დაუვიწყარი ფერისცვალება

ძრწოლა ანაზდეული სიხარულით რომ შეეცვალა, როგორც კი კონდორმა ხელი შეახო, როგორც კი მკლავი მხრებზე მოხვია. „საკვირველი ექიმია, გავიფიქრე მე, ჩემთვისაც რომ ასევე შეეძლოს შველა“. თან რაღაცას ვიგონებდი და ვერ მომეგონებინა. ვიღაც მინდოდა გამეხსენებინა, ვინც ასევე ნერვებაშლილი იყო და ასევე შეშინებული იყურებოდა... ვისი გულისთვისაც მოვედი აქ. მაგრამ არ დამცალდა. უეცრად ვიღაც შემეხო მხარზე: ან კონდორი შემოვიდა ფეხაკრეფით უკან ღამესავით არ დამანება ერთსა და იმავე დროს ალერსიანი და ენერგიული მოძრაობით.

– იჯექით. მეც გვერდით მოგიჯდებით. სიბნელეში უკეთ ლაპარაკობ კაცი. ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ: ხმადაბლა ილაპარაკეთ! ძალიან ხმადაბლა! ხომ იცით, ბრმებს ზოგჯერ საარაკო სმენა უვითარდებათ და ამასთანავე რაღაც მაგიური ალღო, რომლითაც ყველაფერს ხვდებიან. მაშ ასე, თან ხელი, თითქოს ჰიპნოზს მიკეთებდა, ჩემი მხრიდან სახელოზე ჩამოაცურა და თითებზე დამადო, შეუდექით მოყოლას და ნუ მოგერიდებათ. მაშინვე შევნიშნე, რომ რაღაც დაგემართათ.

რასაკვირველია, იმ წამში ერთი ჩემი მეგობარი გამახსენდა კადეტთა სასწავლებლიდან. მას ერვინი ერქვა და ქალიშვილივით ნაზი და ქერა იყო. არ მინდოდა საკუთარ თავსაც კი გამოვტყდომოდი, თორემ, მგონი, ცოტათი შეყვარებულიც კი ვიყავი. დღისით თითქმის ხმას არ ვცემდით ერთიმეორეს, ხოლო თუ დავილაპარაკებდით, მხოლოდ ყოველდღიურ ამბებზე; როგორც ჩანს, გვრცხვენოდა ჩვენი იდუმალი ლტოლვისა. მხოლოდ ღამით, საწოლ ოთახში, როცა სინათლეს ჩააქრობდნენ და ყველა დაიძინებდა, ზოგჯერ გამბედაობა გვყოფნიდა და ერთიმეორის გვერდით მდგარ საწოლებზე მხართეძოზე წამოწოლილები სიბნელის საბურველში ვყვებოდით ჩვენს ბავშვურ ნააზრევსა და შთაბეჭდილებებს, ხოლო დილით კვლავ დარცხვენილები გავურბოდით ურთიერთს. წლების მანძილზე არ გამხსენებია ეს ღამეული აღსარებანი, რაც ჩვენი ყრმობის ხვაშიადსა და ბედნიერებას წარმოადგენდა. მაგრამ ახლა, სავარძელზე მისვენებულს და სიბნელით გარემოცულს, სულ გადამავიწყდა როგორ ვაპირებდი კონდორთან თავის დაჭერას. ჩემდა უნებურად სრულიად გულახდილად დავუწყე ლაპარაკი და ისევე, როგორც მაშინ, კადეტთა სასწავლებელში ვუზიარებდი ამხანაგს ჩემს გულისტკივილსა თუ გულუბრყვილო ბავშვურ ოცნებას, ახლაც ვუამბობდი კონდორს, როგორ მოულოდნელად აენთო ედითი, როგორ შემაძრწუნა ამ ამბავმა, აღმაშფოთა, ამაფორიაქა, დამაბნია, და რაღაც იდუმალ სიამოვნებას მანიჭებდა ყველაფრის აღიარება. ყველაფერს ვუყვებოდი ამ მდუმარე და გარინდებულ უკუნეთში, სადაც დროდადრო პენსნეს შუშები თუ გამოკრთებოდნენ ოდნავ, როდესაც კონდორი თავს მოაბრუნებდა ხოლმე.

შემდეგ დუმილი ჩამოვარდა, ვიდრე გამეფებულ სიჩუმეში უცნაური ჩქამი არ შემომესმა: ალბათ ისე მოუჭირა ხელები ერთმანეთს, რომ თითებმა დაიტკაცუნეს.

– აი, თურმე რა ყოფილა, – ჩაიბურტყუნა ექიმმა უკმაყოფილოდ, – მე ბრიყვს კი გამომეპარა ასეთი რამ! ყოველთვის ასეა: ავადმყოფობის გამო თვითონ ავადმყოფი გავიწყდება. გულმოდგინედ იკვლევ სნეულების მსვლელობას, ყველა სიმპტომს აკვირდები და ყველაზე მთავარი კი განზე გრჩება, ის, რაც თვითონ ადამიანში ხდება. თუმცა ერთგვარი ცვლილება მაშინვე შევატყვე გოგონას, გახსოვთ, გასინჯვის შემდეგ

მამამისს რომ შევეკითხე, სხვა ვინმესთვისაც ხომ არ გაგისინჯინებიათ-მეთქი, მაშინ მისმა მოულოდნელმა და მხურვალე სურვილმა შემაცბუნა, გინდა თუ არა თვალის დახამხამებაში უნდა მოვრჩეო. სწორად კი მივაკვლიე, რომ აქ ვიღაც გარეშე იყო ჩარეული, მაგრამ მე ტუტუცს მეგონა, ვინმე ექიმბაში ან ჰიპნოტიზიორი იქნება, აბა ასეთ თავბრუს სხვა ვინ დაახვევდა-მეთქი. და მაინცდამაინც ყველაზე მარტივი, ყველაზე ბუნებრივი რამ არ მომივიდა აზრად, მხოლოდ ის არ მიფიქრია, რაც დღესავით ნათელი უნდა ყოფილიყო ჩემთვის: გამიჯნურება ხომ ორგანული მოვლენაა გარდამავალი ასაკის ქალიშვილისთვის! უბედურება ის არის, რომ სწორედ ახლა მოხდა ეს ამბავი და თანაც ასეთ მტკივნეულ ფორმაში, ოჰ, ღმერთო, საწყალი, საწყალი გოგონა!

კონდორი წამოდგა. მესმოდა, როგორ სცემდა ოთახში ბოლთას მოკლე ნაბიჯებით, შემდეგ ამოიოხრა:

– რა საშინელებაა! თანაც მაინცდამაინც ახლა რომ მოხდა, როცა სამკურნალოდ გამგზავრება მოვიგონეთ. ახლა უფალი ღმერთიც ვეღარ გადაათქმევინებს, რახან თავის თავს ჩააგონა, რომ თავისთვის კი არა, თქვენთვის უნდა მორჩეს. ვაიმე, ვაიმე, რა საშინელი ამბები დატრიალდება, როცა იმედი გაუცრუვდება. ახლა, როდესაც ყველაფრის იმედი აქვს და ყველაფერს მოითხოვს, ჯანმრთელობის მცირეოდენ გაუმჯობესებას როდი დასჯერდება, უმნიშვნელო პროგრესი როდი დააკმაყოფილებს! ღმერთო ჩემო, როგორი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ!

უეცრად წინააღმდეგობის სურვილი აღმეძრა. ბრაზი მომდიოდა, რომ კონდორი მეც შიგ მრევდა. აკი იმიტომ მოვედი, რომ თავი დამეზღვია ამ ამბებისაგან. ამიტომ გავაწყვეტინე:

– მთლიანად ვიზიარებ თქვენს აზრს. ვინ იცის, ამას რა მოჰყვება. უნდა დროულად ავაღებინოთ ხელი ამ შლეგურ აზრებზე, უნდა ენერგიულად მოჰკიდოთ ხელი ამ საქმეს. თქვენ უნდა უთხრათ...

– რა უნდა ვუთხრა?

– რომ... ასეთი გამიჯნურება უბრალოდ ბავშვობაა, უაზრობაა. თქვენ უნდა გადაათქმევინოთ.

– გადავათქმევინო? რა გადავათქმევინო? ქალს ტრფიალზე ხელი როგორ ავაღებინო? ვუთხრა, რომ არ უნდა გრძნობდეს იმას, რასაც გრძნობს? არ უნდა უყვარდეს ის, ვინც უყვარს? ეს ყველაზე მცდარი ნაბიჯი იქნებოდა და ყველაზე ტუტუცურიც ამასთანავე. ოდესმე გსმენიათ, რომ ლოგიკა ვნებათაღელვის დათრგუნვაში დაეხმარა ვინმეს? განა შეიძლება ვთქვა: „ციებ-ცხელებავ, ნუ აბაბანებ!“ ანდა: „ცეცხლო, ნუ ანთიხარ!“ აი, მართლაც მშვენიერი, ჭეშმარიტად კაცთმოყვარე აზრი! სნეულ ფეხებდადამბლავებულ ადამიანს პირში მიახალო: „ღვთის გულისათვის, არ იფიქრო, რომ შენც გაქვს სიყვარულის უფლება! კადნიერებად ჩაგეთვლება, თუ შენს გრძნობას გაამჟღავნებ და მის გაზიარებას მოითხოვ; შენი საქმე დუმილია, რადგან სახიჩარი ხარ! სადმე კუნჭულში მიიმალე, ყველაფერზე უარი თქვი, ყველაფერზე ხელი აიღე, საკუთარ თავზეც კი ხელი ჩაიქნიე!“ როგორც ჩანს, თქვენ გინდათ, რომ სწორედ ასე ველაპარაკო საბრალო გოგონას,

მაგრამ მაშინ მადლი მოისხით და წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებს ეს სიტყვები!

– ჰო, მაგრამ სწორედ თქვენ უნდა...

– რაღა მე? თქვენ არ იყავით, მთელი პასუხისმგებლობა უსიტყვოდ რომ იკისრეთ? ახლა რაღა მაინცდამაინც მე უნდა ვუთხრა?

– აბა, მაშ, მე თვითონ როგორ გამოვუტყდე, რომ...

– ჰოდა, არც უნდა გამოუტყდეთ! ამის უფლება არა გაქვთ! რა კარგია, ჯერ ჭკუიდან შეშალო ადამიანი და მერე ერთბაშად მოსთხოვო: გონიერი იყავიო!.. ეგღა გვაკლია! რაღა თქმა უნდა, არც სიტყვით, არც მოქმედებით არ უნდა აგრძნობინოთ საბრალო გოგონას, რომ მისი სიყვარული თქვენთვის სამძიმოა ეს ხომ იგივეა, რომ ადამიანს თავში კეტი ჩასცხოთ!

– ჰო, მაგრამ... – ხმა აღარ მემორჩილება. – ბოლოს ვინმემ ხომ უნდა აუხსნას...

– რა უნდა აუხსნას? გარკვევით მითხარით!

– მეც მინდა გითხრათ... რომ... რომ ეს სრულიად უიმედო რამეა, მტკნარი სისულელეა... და რომ მან მერე... როცა მე... როცა მე...

ხმა ჩამიწყდა. კონდორიც დუმდა. აშკარად რაღაცას ელოდა. მერე მოულოდნელად კართან მიიჭრა და ჩამრთველი გადაატრიალა. ჭაღის ნათურები გაჩახჩახდა. მკვეთრმა, ულმობელმა შუქმა უნებლიეთ მაიძულა, თვალი დამეხუჭა. ოთახი ერთბაშად დღესავით განათდა.

– ესეც ასე, – მკვახედ წარმოთქვა კონდორმა, – ესეც ასე, ბატონო ლეიტენანტო! მე ვხედავ, რომ თქვენ არ შეიძლება კაცმა ამდენი კომფორტი მოგანიჭოთ. სიბნელეში დამალვა იოლი საქმეა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სჯობს თვალებში უყურო ადამიანს. ასე რომ, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს მოვრჩეთ, ბატონო ლეიტენანტო, აქ რაღაც რიგზე ვერ არის. ვერ დავიჯერებ, რომ მარტოოდენ ამ წერილის საჩვენებლად მოხვედით, ამის უკან კიდევ რაღაც იმალება, მე ვგრძნობ, რომ რაღაც განგიზრახავთ. ან პატიოსნად მითხარით ყველაფერი, ანდა იძულებული ვიქნები ამით დავამთავრო და მადლობა გადაგიხადოთ, რომ მეწვიეთ.

მისი პენსნეს მინებმა თვალისმომჭრელად გაიელვეს. მე მეშინოდა მათი სარკისებური ბრჭყვიალისა და თავი ჩავქინდრე.

– არცთუ მაინცდამაინც კეთილშობილურია თქვენი დუმილი, ბატონო ლეიტენანტო, ყოველ შემთხვევაში სუფთა სინდისზე არ უნდა მიუთითებდეს. დაახლოებით უკვე ვხვდები საქმის ვითარებას. გულახდილად ვილაპარაკოთ. იქნებ იმ წერილის შემდეგ... ანდა მეორის შემდეგ, ერთბაშად გადაწყვიტეთ, ბოლო მოგეღოთ თქვენი ეგრეთ წოდებული მეგობრობისათვის?

ერთხანს დამელოდა, მაგრამ მე ისევ თავდახრილი ვიჯექი. მისმა ხმამ ისეთი მომთხოვნი კილო მიიღო, თითქოს გამოცდას იბარებდა.

– იცით, რა მოხდება, თუ ახლა გაქცევით უშველით თავს? ახლა, როდესაც თქვენი მშვენიერი თანაგრძნობით საბრალო გოგონა გადარიეთ?

მე ვდუმდი.

– მაშინ თავს უფლებას მივცემ, ასეთი მოქმედების ჩემი პირადი შეფასება მოგახსენოთ: თუ გაქცევით უშველით თავს, ეს სამარცხვინო სიმხდალე იქნება... ოჰ, კარგი ერთი, ახლა არ შეხტეთ და შემოტრიალდეთ, აქაოდა სამხედრო ვარო! ის ამბავი, რომ ბატონი ოფიცერი ბრძანდებით და პატიოსნებისა და სიამაყის კოდექსს იცავთ, ამჯერად განზე დავტოვოთ! ბოლოს და ბოლოს, აქ უფრო არსებით რამეს შეეხება საქმე, ვიდრე თქვენი ამბიციებია, სახელდობრ, ცოცხალ, ახალგაზრდა და ძვირფას ადამიანს, თანაც ისეთ ადამიანს, რომელზეც პასუხს ვაგებ. ასეთ ვითარებაში მე არც სურვილი მაქვს და არც ხალისი, თავაზიანად მოგეპყროთ. ხოლო თავი რომ არ მოიტყუოთ და კარგად იცოდეთ, რა ლაქა გეცხებათ სინდისზე, მოკლედ გეტყვით: ასეთ კრიტიკულ მომენტში თუ გაიქცევით, ეს იქნება ახლა არც ერთი სიტყვა არ გამოგეპაროთ მზაკვრული ბოროტმოქმედება უდანაშაულო არსების მიმართ და ვშიშობ, რომ შეიძლება უფრომეტიც მკვლელობაც კი!

ეს ტანდაბალი და ჩასუქებული კაცი მოკრივესავით ხელებმომუშტული მიტევდა. შეიძლება სხვა დროს მაუდის საშინაო ქურთუკისა და ფლოსტების ამარა სასაცილოდ მომჩვენებოდა, მაგრამ ისე გულწრფელი იყო მისი მრისხანება, რომ მთლიანად დამატყვევა.

– დიახ, დიახ, მკვლელობაც კი! თქვენ თვითონაც კარგად იცით! თუ გგონიათ, ასეთი მგრძნობიარე და ამაყი ქმნილება იმას აიტანს, რომ პირველმა გადაუშალოს გული მამაკაცს და ის კეთილშობილი რაინდი კი პასუხის ნაცვლად თავზარდაცემული გაიქცეს, თითქოს ტარტაროზი მოლანდებოდეს? ცოტაოდენი ფანტაზია გამოიჩინეთ, თუ შეგიძლიათ! რა, არ წაგიკითხავთ მისი წერილი, თუ თქვენი გული მართლაც ასეთი ბრმაა? ჯერ ნორმალური, ჯანმრთელი ქალიც ვერ აიტანდა ასეთ შეურაცხყოფას! ასეთი რამ მასაც კარგა ხნით დაურღვევდა წონასწორობას! და მით უმეტეს, ეს გოგონა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გამოჯანმრთელების ფუჭი იმედით სულდგმულობს, რითაც თქვენ გააბრუეთ. როგორ გგონიათ, გაუძლებს ასეთ რაიმეს ეს გატეხილი, მოტყუებული ადამიანი? თუ ეს უბედურება არ მოკლავს, თვითონ არ იცოცხლებს თავს! დიახ, თვითონ მოიმოქმედებს ამას ასეთ დამცირებას სასოწარკვეთილი ადამიანი ვერ აიტანს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ულმობელი მოპყრობა ბოლოს მოუღებს და თქვენ, ბატონო ლეიტენანტო, ეს ისევე კარგად იცით, თქვენი გაქცევა არა მხოლოდ სისუსტე და სიმხდალე იქნება, არამედ მზაკვრული, წინასწარგანზრახული მკვლელობაც!

უნებლიეთ უკან გავიწიე. იმ წამს, როდესაც კონდორმა სიტყვა „მკვლელობა“ წარმოთქვა, ელვის სისწრაფით თვალწინ დამიდგა კოშკის ერდოზე ორივე ხელით მოაჯირს ჩაბღაუჭებული ედითი! წარმოვიდგინე, როგორ ვტაცე ხელი და უკან გამოვწიე უკანასკნელ წამში! დიახ, ვიცოდი, რომ კონდორი არ აჭარბებდა; სწორედ ასე მოიქცევა, კოშკიდან გადმოეშვება; და იქ, ქვევით კი, ქვის ფილები აგია ამას ისე ცხადლივ ვხედავდი, თითქოს მართლაც იმ წამში ჩნდებოდა, თითქოს უკვე მომხდარიყო ყოველივე. ჰაერის ზუზუნიც კი ჩამესმა ყურში, თითქოს მე თვითონ გადმოვვარდნილიყავი ოთხი თუ ხუთი სართულის სიმაღლიდან.

კონდორი კი ისევ მიტევდა:

– აბა, თუ ვაჟკაცი ხართ, უარყავით! მცირეოდენი სიმამაცე მაინც გამოიჩინეთ, რასაც, სხვა თუ არაფერი, თქვენი პროფესია გავალებთ!

– ჰო, მაგრამ, ბატონო ექიმო... აბა, რა ვქნა... ხომ არ შემიძლია ვაიძულო ჩემი თავი... არ შემიძლია ვუთხრა ის, რისი თქმაც არ მინდა... როგორ დავიჭირო თავი ისე, თითქოს ვიზიარებდე მის გულის წადილს... და შემდეგ თავი ვეღარ შევიკავე: არა, ამას ვერ ავიტან! არ შემიძლია, არცა მსურს და არც შემიძლია.

ეტყობა, ბოლო სიტყვები ძალზე ხმამაღლა წამოვიძახე, რადგან კონდორმა თითები რკინის მარწუხებივით მომიჭირა მკლავზე.

– ჩუმად, ღვთის გულისათვის! - მერე მარდად წამოხტა და ჭაღი ჩააქრო. ახლა მხოლოდ მაგიდის ნათურაღა ისროდა მოყვითალო შუქფარის ქვეშ მკრთალი სინათლის კონუსისებურ სვეტს.

– ჯანდაბა! თქვენ, მართლაც, როგორც ავადმყოფს, ისე უნდა გელაპარაკოთ. აბა, ჯერ დამშვიდდით. აქ, ამ ოთახში, ბევრად უფრო საჭოჭმანო საქმეები გაგვირჩევია. უფრო ახლოს მოაჩოჩა ჩემკენ სავარძელი. – ასე რომ, ნუ აღელდებით. დინჯად, აუჩქარებლად და თანამიმდევრულად განვსაჯოთ ყველაფერი! უპირველეს ყოვლისა, სულ იმას წუწუნებთ: ამას ვერ ავიტანო! მაგრამ კონკრეტულად მინდა ვიცოდე, რას ვერ აიტანთ? სახელდობრ, რა გზარავთ იმ ფაქტში, რომ საბრალო გოგონას ასე გაგიჟებით შეუყვარდით?

ის იყო პირი დავაღე, რომ პასუხი გამეცა, მაგრამ კონდორმა გამაწყვეტინა:

– ნუ ჩქარობთ, ჯერ დაფიქრდით! უწინარეს ყოვლისა კი, ნუ შეგრცხვებათ! საერთოდ, ჩემთვის გასაგებია, რომ შეიძლება უცებ დაფრთხე, როდესაც ასეთ მხურვალე გრძნობას დაგატეხენ თავზე. მხოლოდ თავცარიელი კაცი შეიძლება გააბედნიეროს ეგრეთ წოდებულმა „წარმატებამ“ ქალებში, მხოლოდ ბრიყვი გამოიდებს ამით თავს. ხალასი ადამიანი კი, პირიქით, შეწუხდება, როდესაც ქალს გულში ჩაუვარდება, ხოლო მას კი არ შეუძლია ეს გრძნობა გაიზიაროს. ეს ყველაფერი მესმის. მაგრამ ვინაიდან მეტისმეტად ხართ შეშფოთებული, ამიტომ იძულებული ვარ, შეგეკითხოთ: თქვენს შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული ხომ არ თამაშობს როლს, მე მხედველობაში მაქვს სრულიად საგანგებო გარემოებანი...

– რა გარემოებანი?

– აი... ედითი რომ... ყოველთვის ძნელია შესაფერისი ფორმა მოძებნო ასეთი რამის გამოსახატავად... მე მინდა გითხრათ... ზიზღს ხომ არ გგვრით მისი... მისი ფიზიკური ნაკლი... ერთგვარ ფიზიოლოგიურ ზიზღს?

– არა... სრულებითაც არა! – ცხარედ უარვყავი მე. განა სწორედ ეს უმწეობა და უძლურება არ მიზიდავდა მისკენ ასე ანდამატურად, და თუ ზოგჯერ ერთი წამით ისეთი გრძნობა ჩნდებოდა ხოლმე, რომელიც საოცრად ჰგავდა მიჯნურის სინაზეს, განა მხოლოდ იმის გამო არა, რომ მის ტანჯვას, მარტოობას და ავადმყოფობას სულითა და გულით განვიცდიდი? – არა! არასოდეს! – დაჟინებით გავიმეორე ლამის ნაწყენმა, – ასეთი რამ როგორ იფიქრეთ!

– მით უკეთესი, ესერთგვარად მამშვიდებს. ექიმებს ხშირად აქვთ საშუალება ასეთ ფსიქიკურ შეფერხებას გარეგნულად სრულიად ნორმალურ ადამიანებში დააკვირდნენ. მართალი გითხრათ, არ მესმის იმ მამაკაცებისა, რომლებშიც ქალის სულ უმნიშვნელო ხინჯიც კი იდიოსინკრაზიის მაგვარ რაღაცას იწვევს, თუმცა რამდენსაც გინდათ, იმდენს შეხვდებით ისეთ მამაკაცს, რომლისთვისაც საკმარისია მილიონობით და მილიარდობით უჯრედისაგან შემდგარ ადამიანის სხეულს სულ ერთი თითის დადებაზე პიგმენტაცია დარღვეული ჰქონდეს, ქალს ხალი აჩნდეს, და მის მიმართ აღარავითარი ეროტიკული ლტოლვა აღარ ექნება. სამწუხაროდ, ასეთი ზიზღის დაძლევა ისევე შეუძლებელია, როგორც ყველა სხვა ინსტინქტისა. ამიტომ ორმაგად მიხარია, რომ თქვენ ეს ამბავი არა გჭირთ, და რომ, მაშასადამე, მისი დამბლა კი არ გაფრთხობთ, არამედ რაღაც სხვა. მაგრამ მაშინ ისღა დამრჩენია ვიფიქრო, რომ... შეიძლება გულახდილად ვილაპარაკო?

– რა თქმა უნდა.

– რომ თვითონ ეს ფაქტი კი არ გაფრთხობთ, არამედ მისი შედეგები. ანუ, მინდა ვთქვა, რომ იმდენად საბრალო გოგონას გამიჯნურება კი არ გზარავთ, რამდენადაც იმის გეშინიათ, რომ სხვები შეიტყობენ და მასხრად აგიგდებენ... ასე რომ, მომიტევეთ, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენი უზომო დაბნეულობა სხვა არა არის რა, თუ არა შიში მეგობრების თვალში სასაცილო არ შეიქნეთ.

ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, თითქოს კონდორს წვრილი და წვეტიანი ნემსი გაეყაროს ჩემთვის გულში. დიდი ხანია ქვეშეცნეულად ვგრძნობდი იმას, რაც მან ახლა ხმამაღლა წარმოთქვა, მაგრამ ფიქრს კი ვერ ვბედავდი. პირველი დღიდანვე მეშინოდა, რომ გონჯ გოგონასთან უცნაური მეგობრობის გამო შეიძლებოდა მეგობრებს სასაცილოდ ავეგდე. რა გაუძლებდა მათ ავს არა, მაგრამ დაუნდობელ ავსტრიულ ჯარისკაცულ ანგლობას. შესანიშნავად ვიცოდი, როგორ დასცინოდნენ ყველას, ვისაც თუნდაც ერთხელ „ჩაავლებდნენ“ „სულამოსულ“ ანდა „კატების ნათრევ“ ასულთან. მხოლოდ ამიტომ ავაგე ინსტინქტურად კედელი ჩემს ცხოვრებაში ორ სამყაროს, პოლკსა და კეკეშფალვას ოჯახს შორის. მართლაცდა, კონდორს არ შეშლია ვარაუდი: იმ წუთიდან მოყოლებული, როგორც კი ედითმა სიყვარული ამიხსნა, უმთავრესად სხვების მრცხვენოდა, მამამისის, ილონასი, მსახურების, მეგობრების. თვით საკუთარი თავის წინაშეც კი მრცხვენოდა ჩემი ავბედითი თანაგრძნობისა.

მაგრამ აი, ვიგრძენი, რომ კონდორი დამამშვიდებლად მუხლზე ხელს მითათუნებდა:

– არა, არ უნდა გრცხვენოდეთ! მე სხვებზე უკეთ მესმის, რომ შეიძლება გეშინოდეს ადამიანების, როდესაც შენი საქციელი მათ გარკვეულ შეხედულებებს ვერ ეგუება. ხომ ნახეთ ჩემი ცოლი. ვერავინ გაიგო, რატომ ვითხოვე. ხოლო ყველაფერი, რაც ადამიანთა ვიწრო და, ასე ვთქვათ, ნორმალური თვალთახედვის ფარგლებს სცილდება, მათ ჯერ ცნობისმოყვარეობას აღუძრავს, ხოლო შემდეგ აბოროტებს. ჩემმა პატივცემულმა კოლეგებმა მაშინვე ჩურჩული დაიწყეს, რომ შეცდომა დავუშვი მის მკურნალობაში და შეშინებულმა მერე ცოლად შევირთე; მათ არც ჩემი ეგრეთ წოდებული მეგობრები ჩამორჩნენ და ხმა გაავრცელეს, თითქოს მას ბევრი ფული ჰქონდა ანდა მემკვიდრეობა უნდა მიეღო; დედაჩემი, ჩემი ღვიძლი დედა, მთელი ორი წელიწადი უარს ამბობდა მის

მიღებაზე, რადგან უკვე სხვა ქალი ჰყავდა ჩემთვის შეგულებული უნივერსიტეტის პროფესორის, იმ დროს სახელგანთქმული თერაპევტის ქალიშვილი; ის რომ შემერთო, სამ კვირაში დოცენტი გავხდებოდი, შემდეგ პროფესორიც, და მთელ ჩემს სიცოცხლეს თბილად და ტკბილად გავატარებდი. მაგრამ მე ვიცოდი, რომ ეს ქალი დაიღუპებოდა, თუ ბედის ანაბარა მივატოვებდი. მხოლოდ ჩემი სჯეროდა და თუ ამ რწმენასაც წავართმევდი, სხვას ვეღარაფერს ჩაეჭიდებოდა ამ ცხოვრებაში. ჰოდა, გულახდილად გეუბნებით, არ ვნანობ, რომ ასეთი არჩევანი გავაკეთე. საქმე ის არის, რომ ექიმს, სწორედ იმიტომ, რომ ის ექიმია, სინდისი იშვიათად აქვს სავსებით სუფთა. ჩვენ ვიცით, რა მცირე რეალური დახმარების აღმოჩენას ვახერხებთ: აბა, მარტო რას გააწყობ ურიცხვ ყოველდღიურ უბედურებასთან! ამ უძირო ზღვიდან სათითაოდ ვხაპავთ ორიოდე წვეთს და ვინც დღეს განკურნებული გვგონია, ხვალ ისევ ჩვენთან მოდის და ახალ სატკივარს უჩივის. მუდამ ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ერთობ ზანტად, ერთობ დაუდევრად იქცეოდი, ახლა ამას დავუმატოთ მცდარი მეთოდები, შეცდომები, რასაც ვერ აიცდენ ვერც ერთ ხელობაში. ჰოდა, აქ ის მაინც გაქვს სანუგეშო კაცს, რომ ერთი ადამიანი იხსენი, ერთის ნდობა მაინც გაამართლე, ერთ შემთხვევაში მაინც სწორად მოიქეცი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდე, ფუჭად გაატარე შენი სიცოცხლე, თუ რაღაცისათვის მაინც იღვწოდი, დამიჯერეთ, აქ უეცრად მის ხმაში სითბო და თითქმის სინაზეც ვიგრძენი, უთუოდ ღირს, რომ მძიმე ტვირთის ზიდვა იკისროთ, თუკი ამით მეორეს შეუმსუბუქდება ხვედრი.

მისმა ღრმა, შთამაგონებელმა ხმამ გული ამიჩქროლა. ერთბაშად მკერდის არეში წვა ვიგრძენი, ის კარგად ნაცნობი ტკივილი, რომლის დროსაც გული თითქოს ფართოვდება და ამოვარდნას ლამობს. მივხვდი, რომ იმ უბედური ქალიშვილის უნუგეშო მარტოობის გახსენება ხელახლა მიღვიძებდა თანაგრძნობას. უკვე ვიცოდი, რომ ცოტაც და, მოვარდებოდა ნიაღვარი, მოზღვავდებოდა და ვეღარ გავუძლებდი. „მაგრამ არა, არ უნდა დაუთმო! ვთქვი გუნებაში. ძლივს თავი დააღწიე და ისევ არ ჩაგითრიონ!“ ამიტომ ჯიქურად შევხედე კონდორს.

– ბატონო ექიმო, ყველამ დაახლოებით მაინც იცის, სადამდე შესწევს ძალა. ამიტომ იძულებული ვარ გაგაფრთხილოთ: ჩემი იმედი ნუ გექნებათ! ახლა თქვენ უნდა აღმოუჩინოთ ედითს დახმარება და არა მე. ისედაც უფრო შორს შევტოპე ამ ამბავში, ვიდრე თავდაპირველად ვაპირებდი, და გულახდილად გეუბნებით: სულაც არა ვარ ისეთი კეთილშობილი და თავგანწირული, როგორიც თქვენ გგონივართ. ამაზე მეტის ძალა არ შემწევს! მეტს ვეღარ ავიტან, რომ ჩემზე ლოცულობდნენ, მაღმერთებდნენ, მე კი ვალდებული ვიყო, თავი ისე მეჭიროს, თითქოს ძალიან მსიამოვნებდეს ეს ამბავი. სჯობს, ახლა აუხსნათ მდგომარეობა, ვიდრე შემდეგ გაუცრუვდებოდეს იმედი. ჯარისკაცის პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სრულიად გულწრფელად გაფრთხილებთ: ჩემი იმედი ნუ გექნებათ, იმაზე უკეთესი ნუ გგონივართ, ვიდრე ნამდვილად ვარ!

ეტყობა, ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რადგან კონდორმა შეცბუნებულმა შემომხედა.

– ისე ლაპარაკობთ, თითქოს უკვე რაღაც გადაწყვეტილება მიგეღოთ, ფეხზე წამოდგა, – აბა, სრული სიმართლე გადმოალაგეთ, არაფერი დამიმალოთ! უკვე გააკეთეთ ისეთი რამ, რისი გამოსწორება აღარ შეიძლება?

მეც წამოვდექი.

– დიახ, – მივუგე და თან ჩემი გადადგომის განცხადება ჯიბიდან ამოვიღე, – აი, თქვენ თვითონ წაიკითხეთ.

კონდორმა ყოყმანით გამომართვა ფურცელი და, ვიდრე საწერ მაგიდაზე მდგარ ნათურასთან მივიდოდა, შეშფოთებული თვალით გადმომხედა. შემდეგ აუჩქარებლად წაიკითხა წერილი, დაკეცა და დინჯი, საქმიანი კილოთი მომმართა, თითქოს ისეთ რამეს მეუბნებოდა, რაც თავისთავად იგულისხმებოდა.

– მე მიმაჩნია, რომ ჩემი ნალაპარაკევის შემდეგ თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რა შედეგიც მოჰყვება ამ ნაბიჯს. ეს-ეს არის იმ დასკვნამდე მივედით, რომ სულერთია, გინდ გაქცეულხართ და გინდ ის გოგონა მოგიკლავთ... მაშინვე თავს მოიკლავს... ამიტომ, მე მგონი, ეჭვი არ გეპარებათ, რომ ეს ქაღალდის ფურცელი არა მხოლოდ თქვენი გადადგომის თხოვნაა, არამედ იმ საბრალო გოგონას სასიკვდილო განაჩენიც.

პასუხი არ გამიცია.

– მგონი, რაღაც გკითხეთ, ბატონო ლეიტენანტო, და კიდევ გიმეორებთ: შეგნებული გაქვთ თუ არა, რა მოჰყვება ამას? კისრულობთ თუ არა მთელ პასუხისმგებლობას? მე ისევ ვდუმდი.

კონდორი მომიახლოვდა და დაკეცილი ფურცელი გამომიწოდა.

– გმადლობთ! ამასთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს. გამომართვით!

მაგრამ ხელები წამერთვა, ძალა არ შემწევდა განცხადება გამომერთმია და სიმამაცეც არ მყოფნიდა, რომ კონდორის გამომცდელი მზერისათვის გამეძლო.

– მაშასადამე, განზრახული არა გაქვთ ამ... ამ სასიკვდილო განაჩენს მსვლელობა მისცეთ?

პირი ვიბრუნე და ხელები ზურგზე დავიწყვე. კონდორი მიმიხვდა.

– მაშ, დავხიო?

– დიახ, მივუგე მე, დახიეთ.

ისევ საწერ მაგიდასთან დაბრუნდა. არ გამიხედავს იქით, მხოლოდ ქაღალდის ფხრეწის ხმა გავიგონე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე შრიალით როგორ ჩაცვივდა ნახევები კალათში. უცნაური იყო, მაგრამ რატომღაც შვება ვიგრძენი. ერთხელ კიდევ ეს უკვე მეორედ ამ მსახვრალ დღეს გადაწყდა ჩემი ბედი, თანაც თავისთავად, ჩემი მონაწილეობის გარეშე.

კონდორი ისევ მოვიდა ჩემთან, მხარზე სათუთად დამადო ხელი და სავარძელში ჩამსვა.

– ესეც ესე, ვფიქრობ, რომ ამით დიდი უბედურება ავიცილეთ თავიდან... ძალიან დიდი უბედურება! ჰოდა, ახლა საქმეს დავუბრუნდეთ! ასეა თუ ისე, ამ შემთხვევას უნდა ვუმადლოდე, რომ რამდენადმე გაგიცანით... არა, არ იუაროთ. იმაზე უკეთესად არ მიმაჩნიხართ, რასაც ნამდვილად წარმოადგენთ. ჩემს თვალში სულაც არა ხართ ის...

„არაჩვეულებრივი, კეთილი ყმაწვილი კაცი“, როგორიც კეკეშფალვას ჰგონიხართ და ხოტბას გასხამთ კიდეც, პირიქით, ჩემთვის თქვენი არამდგრადი ხასიათისა და რაღაც განსაკუთრებულად მოუთმენელი გულის გამო საკმაოდ არასაიმედო თანამოაზჯრეს წარმოადგენთ; და რამდენადაც მიხარია, რომ თქვენს შლეგურ წამოწყებას ხელი შევუშალე, იმდენადვე არ მომწონს ის ამბავი, რომ ასე ნაჩქარევად იღებთ გადაწყვეტილებებს და შემდეგ ასევე სწრაფად აუქმებთ. ადამიანებს, რომელთა მოქმედება ესოდენ დამოკიდებულია მათ გადაწყვეტილებაზე, არ შეიძლება რაიმე სერიოზული პასუხისმგებლობა დააკისრო. მე რომ ვინმესთვის რაიმე საქმის დავალება დამჭირდეს, რომლისთვისაც მოთმინება და გამძლეობა იქნება აუცილებელი, ყველაზე ბოლოს თქვენ აგირჩევდით. ამიტომ მომისმინეთ! თქვენგან მხოლოდ სულ მცირეს მოვითხოვ, მხოლოდ ყოვლად აუცილებელს, რის გარეშეც ფონს ვერ გავალთ. ჩვენ ხომ ედითი დავიყოლიეთ, მკურნალობის ახალი კურსი დაეწყო, ან, უფრო სწორად, კურსი, რომელიც მას ახალი ჰგონია. თქვენ გამო გადაწყვიტა გაემგზავროს, რამდენიმე თვით გაემგზავროს და, როგორც იცით, რვა დღეში წავა კიდეც. ჰოდა, ამ რვა დღის განმავლობაში მჭირდება თქვენი დახმარება. და რომ არ გაგაწვალოთ, ახლავე გეტყვით: მხოლოდ ეს რვა დღე! მეტს არ მოვითხოვ თქვენგან, მხოლოდ დამპირდით, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში წინდაუხედავსა და მოულოდნელს არაფერს ჩაიდენთ და, უწინარეს ყოვლისა, არც სიტყვით და არც მოქმედებით არ აგრძნობინებთ საბრალო გოგონას, რომ მისი სიყვარული თავზარს გცემთ. ჯერჯერობით მეტი არა მინდა რა თქვენგან ჩემი აზრით, ეს ყველაზე მცირეა იქიდან, რისი თხოვნაც შეიძლებოდა: თავშეკავება რვა დღის განმავლობაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლეა სასწორზე.

– ჰო... მაგრამ მერე?

– მერე რაც იქნება, მაგაზე ჯერ ნუ იფიქრებთ. როდესაც სიმსივნე მაქვს სასწრაფოდ ამოსაკვეთი, სად მცალია იმაზე ვიფიქრო, რამდენიმე თვეში ისევ თავს ხომ არ იჩენს-მეთქი. როდესაც საშველად მიხმობენ, მხოლოდ ერთი გზა მაქვს, სასწრაფოდ რამე უნდა ვიღონო. ჩვენს სინამდვილეში ეს არის ერთადერთი მართებული, ერთადერთი ადამიანური გზა, დანარჩენი კი უკვე დამოკიდებულია შემთხვევაზე, ანდა, როგორც მორწმუნე იტყვის – ღვთის ნებასურვილზე. ვინ იცის, რა მოხდება რამდენიმე თვეში! იქნებ ედითის მდგომარეობა მართლაც უფრო სწრაფად გაუმჯობესდეს, ვიდრე მოველი, ანდა მისი ტრფიალი განელდეს მე არ შემიძლია ყველა შესაძლებლობა წინასწარ განვჭვრიტო და თქვენთვის ხომ ეს სულაც არ არის საჭირო! მთელი თქვენი ძალ-ღონე მხოლოდ იმას მოახმარეთ, რომ ამ გადამწყვეტ დღეებში ედითს არ აგრძნობინოთ, როგორ... როგორ გზარავთ მისი სიყვარული... ერთთავად სულ ის ჩასჩიჩინეთ ხოლმე თქვენს თავს: რვა დღეღა დარჩა, შვიდი დღე, ექვსი დღე და ვიხსნი ადამიანს, გულს არ ვატკენ, არ შეურაცხვყოფ, იმედს არ გავუცრუებ, მხნეობას არ დავაკარგვინებ. რვა დღე როგორ ვერ იქნებით მტკიცედ, ვაჟკაცურად. ნუთუ გგონიათ, რომ საამისოდ მართლაც არ გეყოფათ ძალა?

– არა, პირიქით! – აღმომხდა და მერე კიდევ უფრო დაბეჯითებით დავუმატე: – როგორ არ მეყოფა! რა თქმა უნდა, მეყოფა! – თითქოს ფრთები გამომესხა, როგორც კი ჩემი ამოცანა განსაზღვრული ვადით შემოიფარგლა.

კონდორმა შვებით ამოისუნთქა.

– მადლობა ღმერთს! ახლა უკვე შემიძლია გამოგიტყდეთ, რომ ძალზე შეფიქრიანებული ვიყავი. დამიჯერეთ, ედითი მართლაც ვერ გადაიტანდა, თქვენ რომ მისი წერილის, მისი აღსარების პასუხად თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყავით. ამიტომ სწორედ ეს უახლოესი დღეებია გადამწყვეტი. სხვა ყველაფერი შემდეგ როგორმე მოგვარდება. ჯერ კი უნდა ვადროოთ საბრალო გოგონას, რომ ცოტა ხანს მაინც უღრუბლო ბედნიერებით დატკბეს. ამ ერთი კვირის თავდები ხომ ხართ, ასე არ არის?

პასუხის ნაცვლად ხელი გავუწოდე.

– მაშ, ჩემი აზრით, ისევ მოგვარდა ყველაფერი და არხეინად შეგვიძლია ჩემს მეუღლესთან გავიდეთ.

მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. შევატყვე, რომ რაღაცამ დააეჭვა.

– აი კიდევ რა, – დაუმატა მან ხმადაბლა, – ჩვენ, ექიმები, მუდამ იძულებულნი ვართ გაუთვალისწინებელ გარემოებებზეც ვიფიქროთ რაც უნდა მოხდეს, მზად უნდა ვიყოთ. არა მგონია, მაგრამ რამე რომ შეგემთხვეთ... ვთქვათ, ძალამ გიღალატოთ, ანდა ედითის უნდობლობამ რაიმე კრიზისი გამოიწვიოს, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ. ყოვლად დაუშვებელია, რომ ამ ხანმოკლე, მაგრამ საშიშ ვადაში რაღაც გამოუსწორებელი რამ მოხდეს. თუ იგრძნობთ, რომ ვერ გაუმკლავდებით თქვენზე დაკისრებულ ამოცანას, ღვთის გულისათვის, ნუ შეგრცხვებათ ჩემი, საკმარისად ბევრი გაშიშვლებული ადამიანი და გატეხილი სული მინახავს! როცა უნდა იყოს, დღისით თუ ღამით, ყოველთვის შეგიძლიათ მოხვიდეთ, ანდა დამირეკოთ. მუდამ მზად ვარ დაგეხმაროთ, რადგან ვიცი, რა დევს ბედისწერის სასწორზე. ხოლო ახლა, – ჩემს გვერდით მდგარი სავარძელი გაჩოჩდა და ვიგრძენი, რომ კონდორი წამოდგა, – სჯობს, იქით ოთახში გადავინაცვლოთ, თორემ ჩვენი საუბარი ცოტა გაჭიანურდა და ჩემს ცოლს მეტი კი არ უნდა. მეც აი, უკვე რამდენი წელი გავიდა, და მაინც სულ ფხიზლად უნდა ვიყო, რომ არ ავაღელვო.

ორი ნაბიჯი გადადგა, ამომრთველი გადაატრიალა და ჭაღზე ნათურები აციაგდა. როცა ჩემკენ მოტრიალდა, მისი სახე შეცვლილი მეჩვენა. შეიძლება სულაც კაშკაშა სინათლე აჩენდა მკვეთრად ნაკვთებს, რადგან პირველად შევნიშნე ღრმა ნაოჭები მის შუბლზე და ისიც, რა დაღლილი და დაქანცული იყო ეს ადამიანი. „მარად სხვებს სწირავდა თავს“, – გავიფიქრე მე. ერთბაშად უბადრუკად მეჩვენა ის ამბავი, რომ პირველივე უსიამოვნო შემთხვევამ გაქცევა მაფიქრებინა, და აღელვებულმა მადლიერი თვალით შევხედე. ეტყობა, გამიგო, რადგან გამიღიმა და მხარზე ხელი დამკრა.

– რა კარგია, რომ მოხვედით და ერთმანეთს გულისნადები გავუზიარეთ. აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ განუსჯელად დაგეკრათ ფეხი და გაქცეულიყავით! მთელი სიცოცხლე გაგაწამებდათ ამაზე ფიქრი, რადგან ყველაფერს შეიძლება გაექცე კაცი, საკუთარ თავს კი ვერსად წაუხვალ. ჰოდა, ახლა კი გავიდეთ. მოდით, ძვირფასო მეგობარო...

მეგობაროო, – ამ სიტყვამ, რომელიც კონდორმა ასეთ დროს გაიმეტა ჩემთვის, გული ამიჩუყა. იცოდა, როგორი სუსტი, როგორი მხდალი ვიყავი და მაინც არ მქირდავდა. ამ ერთი სიტყვით უფროსმა უმცროსი გაამხნევა, გამოცდილმა ახალბედა. თითქოს მძიმე ტვირთი მომხსნეს მხრებიდანო, მსუბუქად გავყევი. ჯერ მოსაცდელ ოთახში გავედით, მერე კონდორმა მომდევნო ოთახის კარიც გამოაღო. მისი ცოლი ჯერაც აულაგებელ სასადილო მაგიდასთან იჯდა და ქსოვდა. ისე გამალებით მუშაობდა, ვერავინ იფიქრებდა, ეს ხელები, ასე იოლად და ოსტატურად რომ ათამაშებდნენ საქსოვ ჩხირებს, უსინათლოსიაო. ძაფით სავსე პატარა კალათა და მაკრატელიც იქვე ელაგა. მაშინღა გახდა საცნაური, რომ თვალისჩინი არ ჰქონდა, როცა დაბლა დახრილი თავი ასწია და ცარიელ კაკლებში ნათურის მინიატიურული ანარეკლი აუციაგდა.

– აბა, კლარა, შევასრულეთ თუ არა დანაპირები? – უთხრა კონდორმა გულის სიღრმიდან მომდინარე მთრთოლვარე ხმით, რომლითაც მუდამ მიმართავდა ხოლმე ცოლს, და მისკენ გაეშურა. – ხომ მართალია, რომ დიდხანს არ დავყოვნებულვართ! ნეტავი იცოდე, როგორ მიხარია, რომ ბატონი ლეიტენანტი მეწვია! მაგრამ აბა საიდან უნდა იცოდე, რომ იგი იმ ქალაქის გარნიზონში მსახურობს, ერთი წამით მაინც დაბრძანდით, ძვირფასო მეგობარო! სადაც კეკეშფალვას ოჯახი ცხოვრობს, გახსოვს ჩემი პატარა პაციენტი?

– აჰ, ის საბრალო ფეხებწართმეული გოგონა, არა?

– ჰოდა, დროდადრო ბატონი ლეიტენანტი მატყობინებს ხოლმე, თუ რამე ახალი ხდება იქ და მე აღარ მიწევს ჩასვლა. ბატონი ლეიტენანტი თითქმის ყოველდღე დადის მათთან, რომ საწყალ გოგონას ცოტა მაინც შეუმსუბუქოს ხვედრი და გაართოს.

უსინათლომ იქით მოაბრუნა თავი, საითაც მე ვეგულებოდი. მკაცრი სახე ერთბაშად გაებადრა. რა კარგ საქმეს აკეთებთ, ბატონო ლეიტენანტო! წარმომიდგენია, როგორ ესალბუნება სნეულ გოგონას თქვენი ყურადღება! – უსინათლომ თავი დამიქნია. ხელი, რომელიც მაგიდაზე ედო, უნებლიეთ ჩემკენ გამოსწია.

– დიახ, და არც ჩემთვის არის ურიგო ამბავი! – განაგრძო კონდორმა, – სხვა მხრივ, ბევრად უფრო ხშირად დამჭირდებოდა იქ ჩასვლა და ნევროზულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის გამხნევება. განსაკუთრებით დიდი შემწეობაა ჩემთვის, რომ სწორედ ამ ბოლო კვირას, ვიდრე გოგონა შვეიცარიაში გაემგზავრებოდეს დასასვენებლად, ლეიტენანტი ჰოფმილერი ცოტაოდენს მიხედავს. ყოველთვის იოლი როდია მისი გაძლება, მაგრამ ბატონი ლეიტენანტი მართლაც დიდ მზრუნველობას იჩენს. მე ვიცი, რომ მისი იმედი შეიძლება მქონდეს, მას უფრო ვენდობი, ვიდრე ყველა ჩემს ასისტენტსა და კოლეგას.

მაშინვე მივხვდი, რომ კონდორს უნდოდა, კიდევ უფრო მტკიცედ შევებოჭე და იმიტომ მახსენებდა ჩემს მოვალეობას ამ მეორე უმწეო არსების თანდასწრებით. მაგრამ მაინც ხალისით დავუდასტურე:

– რასაკვირველია, შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ, ბატონო ექიმო. ამ რვა დღის განმავლობაში სისტემატურად ვივლი მასთან, არც ერთ დღეს არ გამოვტოვებ და დაუყოვნებლივ დაგირეკავთ, თუნდაც სულ უმნიშვნელო ინციდენტიც რომ მოხდეს.

მაგრამ, ჩემი აზრით, – მრავალმნიშვნელოვნად შევხედე კონდორს, – არც ინციდენტი მოხდება და არც რაიმე სიძნელეს წავაწყდებით. დარწმუნებული ვარ.

– მეც ასევე, – დამიკრა კვერი მან და ოდნავ გაეღიმა.

ჩვენ სავსებით გავუგეთ ერთმანეთს. მაგრამ ამ დროს მის ცოლს ბაგე აუთრთოლდა, ეტყობოდა, რაღაც აწვალებდა.

– მე ჯერ ბოდიში არ მომიხდია თქვენ წინაშე, ბატონო ლეიტენანტო. ვშიშობ, რომ დღეს, ცოტა არ იყოს... ცოტა არ იყოს, თავაზიანი ვერ ვიყავი. იმ სულელმა მოსამსახურე გოგომაც ვერ გამაგებინა, ვინ იყავით. წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იცდიდა მისაღებში. ემერიჰს კი აქამდე არაფერი მოუყოლია თქვენ შესახებ. ამიტომ მეგონა, რომ ვიღაც უცხო იყავით და ჩემს ქმარს, რომელიც მუდამ მკვდარივით დაქანცული ბრუნდება ხოლმე შინ, დასვენების საშუალებას არ მისცემდით.

– თქვენ ცამდე მართალი იყავით, ქალბატონო, და მე რომ მკითხოთ, კიდევ უფრო მეტი სიმკაცრე უნდა გამოგეჩინათ. მეტიჩრობაში არ ჩამომართვათ და ვშიშობ, რომ თქვენი მეუღლე ერთობ ბევრს სწირავს თავის სამუშაოს.

– ყველაფერს, – ცხარედ გამაწყვეტინა უსინათლო ქალმა და სავარძლიანად ჩემკენ გამოჩოჩდა, – დროს, ნერვებს, ფულს. ავადმყოფების გამო ხეირიანად არც ჭამა იცის, რა არის, და არც ძილი. ყველა ექსპლუატაციას უწევს, მე კი, ჩემი ბრმა თვალების პატრონი, არაფრად ვვარგივარ, არ შემიძლია რამით დავეხმარო. რომ იცოდეთ, როგორ მადარდებს მისი ამბავი! მთელი დღე ვფიქრობ: აი, ახლა კიდევ არაფერი უჭამია, ახლა ისევ მატარებელში ზის, ან ტრამვაიში, და ღამე კი კვლავ გააღვიძებენ-მეთქი. ყველასთვის იცლის, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვერა. მერედა, ღმერთო, ვინ არის მადლიერი? არავინ! არავინ!

– ნუთუ მართლა არავინ? – ღიმილით დაიხარა კონდორი აღელვებული ქალისკენ.

– რასაკვირველია, – მიუგო უსინათლომ და გაწითლდა, – მაგრამ, აბა, მე რა შემიძლია! ვიდრე სამუშაოდან დაბრუნდება, შიშისაგან ლამის სული ამომხდეს. ეჰ, ნეტავი თქვენ მაინც შეძლოთ ზეგავლენა მოახდინოთ! ვინმე ისეთი უნდა, ვინც ცოტა მაინც შეაკავებს ხოლმე. ყველას ხომ ვერ უშველი...

– მაგრამ უნდა ეცადო კი, რომ ყველას უშველო, – უთხრა კონდორმა და თან მე გადმომხედა, – განა ამიტომ, მხოლოდ ამიტომ არ ვცხოვრობთ?!

მისი სიტყვები სულის სიღრმემდე ჩამწვდა, მაგრამ მზერას გავუძელი, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. წამოვდექი. იმ წამს აღთქმა დავდე. უსინათლომ თავი ასწია, როგორც კი ჩემი ადგომის ხმა გაიგონა.

– ნამდვილად უკვე მიბრძანდებით? – შემეკითხა გულწრფელი სინანულით. – მაგრამ ხომ შემოივლით ისევ?

უცნაური გრძნობა დამეუფლა. „რა ხდება, ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ყველა ნდობით იმსჭვალება ჩემდამი. თვით ეს ბრმაც კი, რომელიც ახლა აღფრთოვანებული მომჩერებოდა უსინათლო თვალებით, და ეს თითქმის სრულიად უცხო კაციც, მეგობრულად მხარზე ხელს რომ მხვევს“. ჯერ კიბეზე არ ვიყავი ჩამოსული, რომ უკვე აღარ მესმოდა, რამ მომიყვანა აქ ამ ერთი საათის წინ. კაცმა რომ თქვას, რად ვაპირებდი

გაქცევას? იმიტომ, რომ ვიღაცამ გამლანძღა? იმიტომ, რომ ვიღაც ლამობდა ხელი ჩაეჭიდა ჩემთვის და ისე გადაერჩინა თავი? რა სჯობს იმას, როდესაც სხვას ეხმარები. განა ეს ერთადერთი რამ არ არის, რაც ჭეშმარიტად ძვირფასია? და ამ აღმოჩენის შემდეგ შინაგან მოთხოვნილებად მექცა ის, რაც გუშინ აუტანელ მსხვერპლად მიმაჩნდა: დიდი, მგზნებარე სიყვარულისათვის მადლიერი ვყოფილიყავი.

რვა დღე! მას შემდეგ, რაც კონდორმა ჩემი ამოცანა განსაზღვრული ვადით შემოფარგლა, კვლავ გულდაჯერებულად ვგრძნობდი თავს. მხოლოდ ერთი წუთის მეშინოდა, როდესაც ედითს პირველად შევხვდებოდი მას შემდეგ, რაც სიყვარული ამიხსნა. ვიცოდი, რომ მისი შმაგი გამოხდომის შემდეგ უწინდებური ძალდაუტანებელი ურთიერთობა ჩვენ შორის უკვე შეუძლებელი იყო იმ მხურვალე კოცნის მერე პირველ შეხედვაში კითხვა იყო აღბეჭდილი: მომიტევე თუ არაო? და შეიძლება უფრო სახიფათოც: ურიგდები ჩემ სიყვარულს, იზიარებ თუ არაო? ეს პირველი შეხედვა, რომელიც სიწითლის ალმურით შეუფაკლავდა ქალიშვილს ღაწვებს და რომელშიც ფარული, მაგრამ დაუოკებელი მოუთმენლობა გამოკრთებოდა, შეიძლება, აშკარად ვგრძნობდი ამას, ყველაზე სახიფათო და ამავე დროს ყველაზე გადამწყვეტი გამომდგარიყო. ერთი უადგილო სიტყვა, ერთი ყალბი მოძრაობა და უკვე ულმობელი სიცხადით საცნაური გახდებოდა ის, რისი გამჟღავნების უფლებაც არ მქონდა, ანუ მოხდებოდა ის, რაც კონდორს ჰქონდა მხედველობაში. ხოლო თუ ამ შემოხედვას გავუძლებდი, მაშინ უკვე სამშვიდობოს გავიდოდი და შეიძლება ედითიც სამუდამოდ გადამერჩინა.

მაგრამ, როგორც კი მომდევნო დღეს მათ სახლში შევდგი ფეხი, მაშინვე შევნიშნე, რომ ედითს, რომელსაც ალბათ იგივე აფიქრებდა, რაც მე, წინდახედულად ზომები მიეღო იმისათვის, რომ მარტონი არ შევხვედროდით ერთმანეთს. ვესტიბიულშივე შემომესმა ერთმანეთთან მოსაუბრე ქალების ანკარა ხმები. ეტყობოდა, ამ უჩვეულო დროს, როდესაც უწინ, როგორც წესი, ჩვენს მარტოობას სტუმრების მოსვლა არ არღვევდა ხოლმე, ნაცნობები მოეწვია, პირველი შემხვედრის კრიტიკული წუთი თავიდან რომ აეცილებინა.

სასტუმრო ოთახში შესვლაც ვერ მოვასწარი, რომ ილონა არ ვიცი, ედითს ჰყავდა ასე დარიგებული, თუ საკუთარი ნებით დიდი ამბით შემომეგება, წინ გამიძღვა და ოლქის უფროსის მეუღლესა და მის ქალიშვილთან, ჭორფლიან, სისხლნაკლულ არსებასთან წარმადგინა, რომელსაც, სხვათა შორის, ედითი ვერ იტანდა. ამით პირველი შეხვედრის სიმწვავე საგრძნობლად განელდა. შემდეგ მაგიდისკენ მიბიძგა. ჩაის შევექცეოდით და ვსაუბრობდით. რაღაცას ვექაქანებოდი ჭორფლიან და ანც პროვინციელ ბატის ჭუკს; ედითი კი მის დედასთან ბაასობდა. ამ არცთუ შემთხვევითმა დაყოფამ შეასუსტა ედითსა და ჩემ შორის არსებული ფარული კონტაქტი. შესაძლებლობა მომეცა, არ მეცქირა მისთვის, თუმცა ვგრძნობდი, რომ თვითონ დროდადრო მზერას გამოაპარებდა ხოლმე ჩემკენ. და მაშინაც კი, როცა ქალები წამოდგნენ, მარჯვე ილონამ მაშინვე განმუხტა სიტუაცია.

– მე გავაცილებ ქალბატონებს. თქვენ კი ამასობაში ჭადრაკის თამაში წამოიწყეთ. საგზაოდ რაღაც მაქვს მოსამზადებელი, მაგრამ ერთ საათში კვლავ თქვენთან გავჩნდები.

– გინდათ ვითამაშოთ? – ვითომც აქ არაფერიაო, შევეკითხე ედითს, როდესაც სტუმრები ილონას თანხლებით ოთახიდან გადიოდნენ.

– სიამოვნებით, მიპასუხა მანაც და თვალები დახარა.

ედითს ზემოთ არ ამოუხედავს, ვიდრე დაფას ვშლიდი და გულმოდგინედ, დრო რომ მომეგო, ვაწყობდი ფიგურებს. მანამდე, იმის გადასაწყვეტად, თუ ვის უნდა დაეწყო, ჭადრაკის ძველი წესის მიხედვით, ერთ-ერთი ჩვენგანი მომუშტულ ხელებში თითო თეთრსა და შავ ფიგურას მალავდა ზურგს უკან და მეორეს კი უნდა აერჩია. მაგრამ ასეთი კენჭისყრა გვაიძულებდა ხმა ამოგვეღო, თუნდაც ერთი სიტყვა: „მარჯვენაშია“, ან „მარცხენაშია“ – გვეთქვა ერთმანეთისათვის. ჩვენ კი, თითქოს პირი გვქონდა შეკრული, ამასაც გავურბოდით და მე ეგრევე დავაწყვე ფიგურები. მთავარი იყო, კრინტი არ დაგვეძრა, ფიქრის კონცენტრაცია სამოცდაოთხი უჯრედისაგან შემდგარ კვადრატში მოგვექცია, მხოლოდ ჭადრაკის ფიგურებისთვის გვეცქირა და ერთმანეთისთითებიც კი არ შეგვემჩნია, რომლებიც ამ ფიგურებს ამოძრავებდნენ! თავი ისე გვეჭირა, თითქოს მთლიანად თამაშით ვიყავით გართულნი და სხვა აღარაფერი გვახსოვდა. მაგრამ მალე თვითონ თამაშმა გამოააშკარავა, რომ თავს ვიკატუნებდით. მესამე ხელი ედითმა უკვე ძალზე სუსტად ჩაატარა. არასწორ სვლებს აკეთებდა და თითების კანკალზე აშკარად ემჩნეოდა, რომ ამ ნაძალადევ დუმილს დიდხანს ვეღარ გაუძლებდა. ბოლოს, განზე გასწია ჭადრაკის დაფა.

– გვეყოფა! სიგარეტი მომეცით!

მეც მივაწოდე ერთი ცალი პორტსიგარიდან და ასანთიც ავუნთე. როცა ალმა იფეთქა, თვალი ვეღარ ავარიდე ედითის გაქვავებულ მზერას, რომელიც ჩემკენ კი არ იყო მოპყრობილი, და არც რაიმე გარკვეული საგნისკენ, არამედ რისხვას დაესუსხა, გაყინული, გაუცხოებული და გარინდებული იყო. სამაგიეროდ, ამ თვალების ზემოთ მშვილდივით დაძაგრული წარბები მოუსვენრად უთამაშებდა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჭექა-ქუხილის მომასწავებელი ნიშანი იყო.

– რა? – შევევედრე მართლაც შეშინებული.

მაგრამ ქალიშვილი უკან გადაქანდა სავარძელში. ვხედავდი, როგორ უთრთოდა მთელი სხეული და თითებით სულ უფრო და უფრო აფრინდებოდა სავარძლის სახელურებს.

– რა? – ერთხელ კიდევ შევეხვეწე. სხვა არაფერი მომდიოდა თავში ამ მავედრებელი სიტყვის გარდა. მაგრამ შეგუბებულმა ქვითინმა უცებ გადმოლახა უკანასკნელი ჯებირიც. ეს ბობოქარი, ხმამაღალი მოთქმა კი არ იყო, არამედ რაც კიდევ უფრო საშინელია ჩუმი, გულამოსკვნილი ქვითინი, როდესაც ტუჩებს იკვნეტენ, რცხვენიათ, მაგრამ მაინც ვერ იკავებენ თავს.

– ნუ-მეთქი! გეხვეწებით! – ვუთხარი მე, თან მისკენ დავიხარე და რომ დამემშვიდებინა, მკლავზე ხელი დავადე.

იმწამსვე თითქოს ელექტრომუხტმა დაუარა მკლავიდან მთელ სხეულში. ერთბაშად კანკალი შეწყვიტა და გაინაბა, აღარ იძროდა. მთელი მისი სხეული თითქოს მიცდიდა,

მაყურადებდა, ცდილობდა გაეგო, რა იმალებოდა ამ შეხებაში: სინაზეს ნიშნავდა, სიყვარულს, თუ მარტოოდენ თანაგრძნობას? შემზარავი იყო ეს ლოდინი, სუნთქვაშეკრული, განაბული სხეულის ლოდინი. ვაჟკაცობა არ მყოფნიდა ამეღო ხელი, რომელმაც ასეთი საარაკო სისწრაფით დააცხრო ქვითინის ტალღა, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის ძალა შემწევდა, რომ ხელისთვის მეიძულებინა სინაზე გამოეხატა, რასაც ედითის ტანი, მისი მხურვალე კანი მე ვგრძნობდი ამას ესოდენ მოუთმენლად ელოდა. თითქოს სხვისი იყო ეს ხელი, ისე მესვენა ედითის მკლავზე და ასე მეგონა, ედითის მთელი სისხლი, მხურვალე და მჩქეფარე სისხლი, მთლიანად ამ ერთ ადგილს იყო მოწოლილი და ჩემკენ მოისწრაფოდა.

არ ვიცი, რამდენი ხანი ესვენა ასე უნებისყოფოდ ჩემი ხელი მის მკლავზე, ვინაიდან დრო თითქოს შეგუბდა, როგორც ჰაერი ოთახში. მაგრამ შემდეგ ვიგრძენი, რომ ისევ ოდნავ დაეძაბა კუნთები. თავი განზე ჰქონდა მიტრიალებული, მე არ მიყურებდა, ისე აიღო სათუთად ჩემი ხელი მკლავიდან და თავისკენ მიიზიდა, ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო ახლოს მიჰქონდა გულთან და აი, მორცხვად და ნაზად უფაქიზესი კდემით ეფერებოდა. ჯერ მისი ნაზი თითები, თითქოს ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთო, ჩემს უძრავ, მასზე მინდობილ ხელისგულზე დაწრიალებდნენ, შემდეგ ვიგრძენი, როგორ განივრცო ეს გაუბედავი ბავშვური ალერსი მაჯიდან თითის წვერებამდე, როგორ შეფარვით და გამომცდელად იკვლევდნენ მისი თლილი თითები ჩემს ხელის მტევანს შიგნიდან და გარედან, გარედან და შიგნიდან, ჯერ როგორ შემკრთალნი გაირინდნენ უხეშ ფრჩხილებთან, მაგრამ მერე ირგვლივ შემოევლნენ და ისევ ძარღვებს ჩამოჰყვნენ დაბლა, მაჯამდე, შემდეგ კვლავ ზევით და ქვევით, ზევით და ქვევით, ეს ისეთი ფაქიზი სიახლოვე იყო, რომლის დროსაც ის ვერა და ვერ გაბედავდა დაურიდებლად შემხებოდა, მტკიცედ, მაგრად მოეჭირა ჩემთვის ხელი. თითქოს თბილი წყლის ჩქერალი მევლებოდა ხელზე, ისეთი იყო თითების ეს ალერსიანი თამაში, ერთსა და იმავე დროს მოკრძალებულიც და ბავშვურიც, აღტაცებულიც და კდემამოსილიც. და მაინც ვგრძნობდი, რომ გამიჯნურებული ქალიშვილი იმ ნაწილით, რომელიც მის განკარგულებაში იყო, მთლიანად მიკრავდა გულში. უნებურად თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო, თითქოს იმისათვის, რომ უფრო ცხოვლად დამტკბარიყო ამ უცოდველი ალერსით. სიზმარში მყოფივით გარინდებულიყო სავარძელში, თვალები დაეხუჭა, ბაგე ოდნავ გაეხსნა და სრული შინაგანი სიმშვიდე ერთსა და იმავე დროს კიდეც უშოშმინებდა და კიდეც უცისკროვნებდა სახეს, მაშინ როდესაც მისი ნაზი თითები ისევ და ისევ დაუცხრომლად დაძრწოდნენ ჩემს ხელზე მაჯიდან დაწყებული და დამთავრებული თითის წვერებით. რაიმე ხორციელი გულისთქმა კი არ იყო ამ ალერსში, არამედ მხოლოდ ჩუმი სიხარული, რომ როგორც იქნა, საშუალება მიეცა ჩემი სხეულის მცირე ნაწილს წამიერად მაინც დაუფლებოდა თავისი უსაზღვრო სიყვარული გამოეხატა; მას შემდეგ არც ერთი ქალის ხვევნა-ალერსში, თვით ყველაზე მგზნებარეშიც კი არ მიგრძნია ისეთი თავზარდამცემი სინაზე, როგორიც ამ სათუთ, თითქმის ოცნების მაგვარ თამაშში.

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ამან. ამგვარი განცდები ჩვეულებრივი დროის ჩარჩოში ვერ თავსდება. ამ გაუბედავ მოფერებას ჰქონდა რაღაც გამაბრუებელი, მაცდუნებელი, მომაჯადოებელი, რაც ბევრად უფრო მაღელვებდა და მზარავდა, ვიდრე იმდღევანდელი მოულოდნელი მწველი კოცნა. კვლავ არ მყოფნიდა ძალა ხელი წამერთმია, „მხოლოდ ნება მომეცი, მიყვარდე“, გამახსენდა მე, ასე გარინდებულ-გათანგული, თითქოს სიზმარში ვიყავი, ვტკბებოდი ამ გაუთავებელი ალერსით, რომელიც ჩქერალივით მეფრქვეოდა კანზე და ნერვებში მატანდა. არ ვეწინააღმდეგებოდი და იმავე დროს ქვეშეცნეულად მრცხვენოდა, რომ ასე უსაზღვროდ ვუყვარდი და მე კი, ჩემი მხრივ, მხოლოდ მაკრთობდა და მეუხერხულებოდა მისი ტრფიალი.

მაგრამ თანდათანობით ჩემი უნიათობა ჩემთვისვე გახდა აუტანელი: ალერსი კი არ მღლიდა, თბილი და რბილი თითების ლაციცი კი არა, მათი მსუბუქი და მფრთხალი შეხება კი არა, არამედ ის მტანჯავდა, რომ ჩემი ხელი მკვდარივით გაშეშებული იყო, თითქოს მე არ მეკუთვნოდა, და ადამიანთანაც, რომელიც მას ეფერებოდა, არაფერი მესაქმებოდა. მესმოდა (ასე აღიქვამენ ხოლმე ძილის ბურანში სამრეკლოს ზარების რეკვას), რომ ასე თუ ისე უნდა გამოვხმაურებოდი ამ ალერსს: ან თავი ამერიდებინა მისთვის, ანდა მეც ალერსითვე მიმეგო, მაგრამ არც ერთისა და არც მეორისთვის ძალა არ მყოფნიდა და მხოლოდ ერთი რამ მსურდა: როგორმე ბოლო მომეღო ამ სახიფათო თამაშისთვის. აი, ფრთხილად დავძაბე კუნთები და ნელ-ნელა დავიწყე ჩემი ხელის გათავისუფლება ჰაეროვანი არტახებისაგან შეუმჩნევლად, როგორც მე ვიმედოვნებდი. მაგრამ მგრძნობიარე ქალიშვილმა იმწამსვე, იმაზე ადრეც კი, ვიდრე მე თვითონ მივხვდებოდი ჩემს განზრახვას, ალღო აუღო ჩემს მოძრაობას და შეშინებულმა ცივად გამიშვა ხელი. თითები დამჭკნარი ყლორტებივით ჩამოუცვივდა და კანზე უკვე ვეღარ ვგრძნობდი სითბოს ჩქერალს. ხელი უკან წავიღე, რადგან იმავე წამს ედითს სახე მოეღრუბლა, ისევ ბავშვურად მოეპრუწა პირი და აუთრთოლდა ტუჩები.

– ნუ, რა! ნუ! – წავჩურჩულე მე, რადგან სხვა სიტყვები თავში არ მომდიოდა, – სადაცაა ილონა შემოვა, – და ვინაიდან ვხედავდი, რომ ამ სიტყვებზე კიდევ უარესად აიტანა კანკალმა, ისევ მომეძალა თანაგრძნობა, დავიხარე მისკენ და ბაგე ოდნავ შევახე შუბლზე.

მაგრამ ედითის ნაცრისფერი თვალები მკაცრად და ძრწოლით მომჩერებოდნენ. მათი მზერა თითქოს სულის სიღრმემდე ატანდა და ყველა ჩემს ფარულ აზრს კითხულობდა. მე ვერ შევძელი მისი ნათელმხილველი გრძნობის მოტყუება. ქალიშვილს არ გამოჰპარვია, რომ მის ალერსს ავარიდე თავი და ხელი იმიტომ წავიღე უკან. და ეს სახელდახელო კოცნა ნამდვილ სიყვარულს კი არა, მარტოოდენ დაბნეულობასა და თანაგრძნობას გამოხატავდა.

* * *

ეს ჩემი შეცდომა იყო, მიუტევებელი შეცდომა. მიუხედავად იმისა, რომ დიდად მოწადინებული ვიყავი, უსაზღვრო მოთმინება მაინც ვერ გამოვიჩინე, საკმაო ძალა არ აღმომაჩნდა, თავი ისე დამეჭირა, როგორც საჭირო იყო. ფუჭი გამოდგა ჩემი განზრახვა

არც სიტყვით, არც გამოხედვით, არც სხვა რამ მოძრაობით არ დამეეჭვებინა, რომ მისი ალერსი არ მსიამოვნებდა. ყოველ წამს მახსენდებოდა კონდორის გაფრთხილება, რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა და რა პასუხისმგებლობა დამეკისრებოდა, თუ ამ სათუთ არსებას რამეს ვაწყენინებდი. გაუთავებლად ერთსა და იმავეს ჩავჩიჩინებდი თავს: „რა მოხდა, დაე უყვარდე, როგორმე თავი მოიკატუნე, შეინიღბე ამ რვა დღის განმავლობაში და თავმოყვარეობა არ შეულახო, არ დააეჭვო, რომ ატყუებ, თანაც ორმაგად, როდესაც თავგამოდებით არწმუნებ, სულ მალე მორჩებიო, და თან გული გიკანკალებს შიშისა და სირცხვილისაგან. გულდაჯერებით მოიქეცი, ვითომც აქ არაფერია, ისე, კვლავ და კვლავ ვუმტკიცებდი ჩემს თავს, გულითადობა მოარგე შენს ხმას და სინაზე და სისათუთე შენს ხელებს“.

მაგრამ მამაკაცსა და ქალს შორის, რომელმაც ამ მამაკაცს ერთხელ უკვე გადაუშალა თავისი გული, ატმოსფერო მუდამ გავარვარებული, საიდუმლოებით მოცული და სახიფათოა. შეყვარებულებს რაღაც ზებუნებრივი ალღო აქვთ, რომლითაც უტყუარად ცნობენ სატრფოს ჭეშმარიტ გრძნობებს, ხოლო ვინაიდან სიყვარული, თავისი შინაგანი კანონების მიხედვით, მარად უსაზღვროებას ესწრაფვის, ყველაფერი ჩვეულებრივი, ყოველივე ზომიერი მისთვის საძულველია, აუტანელია. და, როგორც ჩანს, მაშინ მართლაც ერთგვარი მოუქნელობა და დაბნეულობა იგრძნობოდა ჩემს ყოფაქცევაში და სიყალბე ჩემს სიტყვებში, რადგან თუმცა ბევრი ვეცადე, მაინც ვერ მოვატყუე ედითის ფხიზელი ალღო. რაც მთავარია, ვერ მოვახერხე დამერწმუნებინა და უნდობლობით შეპყრობილი სულ უფრო და უფრო მწვავედ გრძნობდა, რომ სწორედ იმას, სწორედ იმ ერთადერთს არ ვანიჭებდი, რაც მას სწადდა: სიყვარულს სიყვარულის წილ. ზოგჯერ შუა საუბარში და ისიც სწორედ იმ დროს, როდესაც ყველაზე მონდომებით ვიღვწოდი მისი ნდობისა და გულთბილი დამოკიდებულების მოსაპოვებლად, უეცრად გამომცდელად შემავლებდა ნაცრისფერ თვალთა მზერას და იძულებული ვიყავი თვალები დამეხარა, თან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ვიღაცას სასინჯი ზონდი გაეყარა ჩემთვის და ძირისძირამდე იკვლევდა ჩემს გულს.

სამმა დღემ განვლო ამ ვითარებაში, მეც ვეწამებოდი და ისიც ეწამებოდა. მის გამოხედვაში, მის დუმილში განუწყვეტლივ უსიტყვო, ხარბ მოლოდინს ვგრძნობდი. შემდეგ მგონი, ეს მეოთხე დღეს მოხდა ედითმა მტრულად მოპყრობა დამიწყო, რაც თავდაპირველად ვერ ამეხსნა. ჩვეულებისამებრ ადრე მივედი და ყვავილები მივუტანე. თაიგული გამომართვა და არც შეუხედავს, დაუდევრად გადადო განზე, რათა ამით ეგრძნობინებინა, ამაოდ ცდილობ საჩუქრებით ჩემი გულის მონადირებასო. ერთი კი მითხრა, თითქმის დამცინავად: აჰ, რად გინდოდათ ასეთი ლამაზი ყვავილებიო! – და მაშინვე დემონსტრაციულ და მტრულ დუმილს შეაფარა თავი. ვცადე ძალდაუტანებელი საუბარი გამება, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მოკლედ „აჰ“-ს ან „მაშ ასე“-ს წარმოთქვამდა პასუხად, ან კიდევ: „ნუთუ მართლა?“ – იტყოდა, თან შეურაცხმყოფელი სიცხადით მაგრძნობინებდა, რომ ჩემი ნათქვამი იოტისოდენადაც არ აინტერესებდა. გარეგნულადაც განგებ ხაზს უსვამდა თავის გულგრილობას: წიგნს ათამაშებდა ხელში გადაშლიდა, გადაფურცლავდა და განზე გადადებდა; ხან რით ერთობოდა და ხან რით;

ერთი-ორჯერ დაამთქნარა კიდეც, მერე მსახურს მოუხმო და ჰკითხა: შინშილის ბეწვი ჩადე თუ არა ბარგშიო, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პასუხად დასტური მიიღო, მომიბრუნდა და ცივად მითხრა: აბა, ახლა კი განაგრძეთ მოყოლაო, – ასე რომ, რაც უთქმელი დარჩა, იმის ამოცნობა ძნელი არ იყო: განა სულერთი არ არის, რასაც მექაქანებითო. ბოლოს ვიგრძენი, რომ ძალა მელეოდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ვიყურებოდი კარისკენ: იქნებ ვინმე შემოვიდეს, ილონა ან კეკეშფალვა, და ამ უსასოო მონოლოგებისაგან მიხსნას-მეთქი. მაგრამ ედითს არც ეს გამოჰპარვია და ფარული ირონიით მკითხა:

– რა, რამეს ეძებთ? რამე გინდათ?

და ჩემდა სამარცხვინოდ სხვა ვერაფერი მოვახერხე, ამ სულელური პასუხის გარდა: არაფერი-მეთქი.

შეიძლება ყველაზე ჭკვიანური ის ყოფილიყო, რომ მეც აშკარა ბრძოლაზე გადავსულიყავი და შემეტია: ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ ჩემგან, რას მაწამებთ? თუ გსურთ, ახლავე წავალ-მეთქი. მაგრამ მე ხომ კონდორს სიტყვა მივეცი, რომ არ გავაღიზიანებდი ედითს და არ გავამწვავებდი მასთან ურთიერთობას. ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ ხელის ერთი მოსმით გავთავისუფლებულიყავი ამ ავი დუმილით მოგვრილი სიმძიმისაგან, მთელი ორი საათი სულელივით ვეწეოდი ნაძალადევი საუბრის ჭაპანს, თითქოს მდუმარედ მოცული უდაბნოს გავარვარებულ ქვიშრობზე მივაბიჯებდი. ბოლოს კეკეშფალვა გამოჩნდა, გაუბედავი, როგორც ყოველთვის ამ ბოლო ხანს, და, მგონი, ჩვეულებრივზე უფრო დაბნეული.

– სუფრა უკვე გაშლილია, ხომ არ გავიდეთ? – შემოგვთავაზა მან.

სუფრასთან ედითი ჩემ პირდაპირ იჯდა. ერთხელაც არ ამოუხედავს ზემოთ, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ვინმესთვის. ვგრძნობდი მისი ჯიუტი, გამომწვევი, თითქმის შეურაცხმყოფელი დუმილის უხერხულობას. ამიტომ თავგამოდებით ვცდილობდი გამემხიარულებინა ყველანი. ჩვენს პოლკოვნიკზე ვყვებოდი, რომელსაც, როგორც ლოთს პერიოდულად გაბმით სმა, ივნისსა და ივლისში ეგრეთ წოდებული „მანევრების ავადმყოფობა“ აუტყდებოდა ხოლმე და რაც უფრო ახლოვდებოდა ველში ვარჯიშის დრო, მით უფრო მძვინვარე, მით უფრო შარიანი ხდებოდა. ვცდილობდი, როგორმე თავი გამერთმია ამ სულელული ისტორიისათვის, და თუმცა ისეთი გრძნობა მქონდა, საყელო სადაცაა დამახრჩობს-მეთქი, მაინც სულ ახალ-ახალი კურიოზული წვრილმანებით ვამკობდი მას. მაგრამ მხოლოდ ორნი იცინოდნენ და ისინიც ნაძალადევად. ეტყობოდათ, ამით უნდოდათ ედითის უხერხული დუმილი როგორმე გაექარწყლებინათ. სნეულმა გოგონამ კი აი უკვე მესამედ დაამთქნარა გამომწვევად. „ოღონდ არ გაჩერდე“, ვუთხარი ჩემს თავს და განვაგრძე მოყოლა, როგორი ორომტრიალი იყო ახლა ჩვენთან, ყველას თავგზა როგორ ჰქონდა აბნეული. თუმცა გუშინ ორი ულანი ისე დაისიცხა, რომ ცხენიდან ჩამოვარდა, მაინც ეს სულთამხუთავი დღითი დღე სულ უფრო და უფრო გვიჭერს მარწუხებს, კაცმა არ იცის, როდის გვეღირსება უნაგირიდან გადმოსვლა. მანევრებისათვის სამზადისის ციებცხელებით შეპყრობილი ოცჯერ, ოცდაათჯერ გვამეორებინებს ყოვლად სულელურ ილეთებს. რის ვაივაგლახით მოვახერხე დღეს

გამოპარვა, მაგრამ ხვალ თუ შევძლებ დროზე მოსვლას, ეს მხოლოდ უფალმა ღმერთმა იცის და ბატონმა პოლკოვნიკმა, რომელსაც ამ დროს მის მოადგილედ მიაჩნია ხოლმე თავი დედამიწაზე-მეთქი.

რა თქმა უნდა, ეს სრულიად უცოდველი ფრაზა იყო, მე არც არავის წყენინება მინდოდა და არც არავის აღელვება. მხიარულად წარმოვთქვი, თან კეკეშფალვას მივმართავდი, ედითისათვის სულაც არ შემიხედავს. და აი, უეცრად რაღაცამ დაიწკრიალა. ედითმა თეფშზე დააგდო დანა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ნერვულად ათამაშებდა, და შეშინებულმა გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ შესძახა:

– ჰოდა, თუ ამდენი დავიდარაბა გჭირდებათ აქ მოსვლისათვის, მაშინ ყაზარმაში დარჩით ან კაფეში. როგორმე ავიტანთ ამ ამბავს!

თითქოს ვიღაცას გარედან ფანჯრისთვის ტყვია დაეხალოს, ყველანი გავისუსეთ და ერთმანეთს მივაჩერდით.

– ჰო, მაგრამ, ედით! – მუდარით წაილუღლუღა პირგამშრალმა კეკეშფალვამ.

მაგრამ ავადმყოფი ქალიშვილი სავარძელშიუკან გადაქანდა და დაცინვით განაგრძო:

– არ გეცოდებათ, როგორ გაწვალდა ეს კაცი! ერთი დღე მაინც დაასვენეთ ბატონი ლეიტენანტი! მეც, ჩემი მხრივ, სიამოვნებით ვაძლევ შვებულებას.

კეკეშფალვამ და ილონამ შეცბუნებულებმა გადახედეს ერთიმეორეს. ორივე კარგად ხედავდა, რომ დიდხანს შეკავებული სიბრაზე სრულიად უმიზეზოდ დამატყდა თავს. ისე შეწუხებულებმა გადმომხედეს, რომ მაშინვე მივხვდი, რაც სჭირდათ: ედითის უხეშობას მეც უხეშობითვე არ გამოვხმაურებოდი. სწორედ ამიტომ, რაც შემეძლო, თავი შევიკავე.

– იცით, კაცმა რომ თქვას, თქვენ მართალი ხართ, ედით, – ვუთხარი გულთბილად, თუმცა გული გააფთრებით მიცემდა, – კარგი მოსაუბრე ნამდვილად ვერ ვიქნები, როდესაც ასე გამოფიტული მოვდივარ თქვენთან; მე თვითონაც ვგრძნობ, რომ დღეს ძალიან მოგაბეზრეთ თავი! მაგრამ რას იზამ, ორიოდე დღე კიდევ მოგიხდებათ ჩემი ატანა. განა კიდევ რამდენი ხანი შემეძლება თქვენთან სიარული? გვერდზე მოხედვას ვერც კი მოვასწრებ, რომ ყველანი გაემგზავრებით და სახლი დაცარიელდება. არც კი მჯერა, რომ სულ ოთხი დღეღა უნდა ვიყოთ ერთად. კაცმა რომ თქვას, ოთხი დღეც კი არა, მხოლოდ სამნახევარი დღე...

მაგიდის მეორე მხრიდან ნერვული და გამყინავი კისკისი გაისმა, თითქოს ვიღაცამ ცხვირსახოცი გაფხრიწაო.

– ჰა, ჰა, ჰა! სამნახევარი დღეო! ჰა, ჰა! რა ზუსტად გამოუანგარიშებია, როდის მოგვიცილებს თავიდან! ალბათ, საგანგებოდ კალენდარი იყიდა და წითელი ფანქრით აღნიშნა დღესასწაული ჩვენი გამგზავრების დღე! მაგრამ, იცოდეთ, ფრთხილად იყავით! ზოგჯერ შეიძლება დიდი შეცდომა მოუვიდეს ადამიანს!.. ჰა, ჰა, ჰა! სამნახევარი დღე, სამ-ნახევარი, ნახევარი, ნახევარი...

სულ უფრო და უფრო ნერვულად იცინოდა, თან თვალებს აკვესებდა და ჯიქურად მიმზერდა, მაგრამ ამავე დროს სულ ერთიანად ცახცახებდა, ემჩნეოდა, რომ სიამოვნებით წამოხტებოდა და გაიქცეოდა, რაც, რა თქმა უნდა, ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე

ნორმალური საქციელი იქნებოდა ამგვარი აღელვების დროს, მაგრამ ფეხებწართმეულს სავარძლიდან დაძვრაც არ შეეძლო. ეს იძულებითი უმოძრაობა მის სიკაპასეს რაღაც ტრაგიკული უმწეობისა და გალიაში ჩამწყვდეული ჩიტის სიავის სახეს აძლევდა.

– ახლავე იოზეფს მოვიყვან, – წასჩურჩულა ედითს გაფითრებულმა ილონამ, რომელიც წლების მანძილზე შეჩვეული იყო მისი ყოველი მოძრაობის ამოცნობას. შეწუხებული მამაც მივიდა ავადმყოფთან, მაგრამ მისი შიში ამაო გამოდგა, რადგან როგორც კი მსახური შემოვიდა, ედითი ხმის ამოუღებლად დაჰყვა მათ ნებას და მამასა და მსახურს წააყვანინა თავი, ისე რომ კრინტიც არ დაუძრავს დასამშვიდობებლად ან ბოდიშის მოსახდელად. როგორც ჩანს, მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რა ამბავი დაატრიალა.

მე და ილონა მარტონი დავრჩით. ისეთ დღეში ვიყავი, როგორც ადამიანი, რომელიც თვითმფრინავის კატასტროფაში მოჰყვა, მაგრამ გადარჩა, თავზარდაცემული თანდათანობით გონს მოდის, ბარბაცით დგება ზეზე და ვერ გაუგია, რა მოუვიდა.

– უნდა გაუგოთ, – ჩაიდუდუნა ილონამ ნაჩქარევად, – სულ თეთრად ათენებს ღამეებს. გამგზავრებაზე ფიქრი აღელვებს საშინლად და თანაც... თქვენ ხომ არ იცით...

– არა, ილონა, როგორ არ ვიცი, ყველაფერი ვიცი, ვუთხარი მე, და სწორედ ამის გამო ხვალ ისევ მოვალ.

* * *

„უნდა გავუძლო, სიმტკიცემ არ უნდა მიღალატოს! – ჩავჩიჩინებდი ჩემს თავს, როდესაც ამ სცენით აღელვებული შინ ვბრუნდებოდი. – რადაც უნდა დამიჯდეს, სიმტკიცემ არ უნდა მიღალატოს! კონდორს ხომ აღუთქვი, ჰოდა, ნუ გატეხ შენს სიტყვას. თავგზა არ აგიბნიოს ნერვიულობითა და ჭირვეულობით. მუდამ გახსოვდეს: მტრულად იმიტომ გეპყრობა, რომ სასომიხდილია; ედითი ის ადამიანია, რომელსაც უყვარხარ და რომლის წინაშეც დანაშაული მიგიძღვის, რადგან შენი გული უგრძნობი და ცივია. უკანასკნელ წუთამდე არ უნდა შეკრთე განა სულ სამნახევარი დღე არ დარჩა?! სამი დღეც და სულს მოითქვამ, მოთმინებაა ახლა მთავარი, მოთმინება! ცოტა კიდევ უნდა გაიჭირვო, ეს უკანასკნელი სამ-ნახევარი დღე, სამი დღე!“

სამი დღე... ვგრძნობდი, რომ გავუძლებდი და ამის შეგნება გულდაჯერებულს მხდიდა. მეორე დილით საუცხოოდ შევასრულე ჩემი მოვალეობა და ეს პატარა ამბავი არ იყო, რადგან ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე გავედით სავარჯიშო მოედანზე და გიჟებივით დავქროდით, ვიდრე ყველანი ოფლად არ ვიქეცით. თვით უჟმურმა პოლკოვნიკმაც კი (არ ვიცი, როგორ წამოსცდა) „ყოჩაღო!“ შემომძახა. სამაგიეროდ მით უფრო შავი დღე დაადგა ამ დილით გრაფ შტაინჰიუბელს, რომელიც ცხენების გიჟი იყო და ორი დღით ერთი სუფთა სისხლისა და დაუდეგარი ზნის ახალი წვივმაღალი და ჟღალი კვიცი ჩაეგდო ხელთ. სამწუხაროდ, თავისი მოხერხებულობით დაიმედებულმა ჯეროვანი სიფრთხილე ვერ გამოიჩინა, სავარჯიშო მოედანზე წინასწარ გაუხედნავად გამოიყვანა, გახურებული ვარჯიშის დროს ის კვიცი გაფრენილი ჩიტის ჩრდილის დანახვაზე დაფრთხა და ყალყზე შედგა, მეორეჯერ კი, იერიშის დროს, თავაწყვეტილი

გაჭენდა და შტაინჰიუბელი უბადლო ცხენოსანი რომ არ ყოფილიყო, მთელი პოლკის წინაშე ყირა-ყირა ივლიდა. მხოლოდ რამდენიმე ნამდვილი აკრობატული ილეთის შემდეგ შეძლო დაეოკებინა. პირუტყვს კი გაუმკლავდა, მაგრამ ამით ბუბენჩიჩის გული ვერ მოიგო. ერთხელ და სამუდამოდ ვკრძალავ სასწავლო მოედანზე საცირკო ნომრების შესრულებასო, – აღრინდა პოლკოვნიკი, – ხოლო თუ ბატონი გრაფი ცხენებს თვითონ თავს ვერ ართმევს, წინასწარ მაინც გაახედნინოს მანეჟზე, რომ დაბალი ჩინების წინაშე თავლაფდასხმული არ წარდგესო.

ამ გესლიანმა შენიშვნამ უსაზღვროდ დასწყვიტა გული როტმისტრს. ყაზარმაში დაბრუნებისას და მერეც ოფიცერთა სუფრასთან გაუთავებლად ჩიოდა, უსამართლოდ დამტუქსაო. მეტისმეტად ფიცხი ცხენია, თორემ ისე, ნახავთ, რა ბედაური დადგება, როცა მოვათვინიერებო. ამ დროს შიკრიკი მომიახლოვდა.

– ბატონო ლეიტენანტო, ტელეფონთან გთხოვენ!

ავი წინათგრძნობით შეპყრობილი სასწრაფოდ ვდგები. ბოლო ხანებში ხომ ტელეფონს, დეპეშებსა და წერილებს ნერვების აშლისა და უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰქონდა ჩემთვის. ნეტავ, რა ხდება? ალბათ წუხს, რომ დღეს საღამოს გამათავისუფლა. ჰოდა, თუკი ნანობს, მაშინ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ყოველი შემთხვევისათვის ტელეფონის ჯიხურის ტყავგადაკრულ კარს მჭიდროდ ვხურავ, თითქოს ამით ყოველგვარ კონტაქტს ვწყვეტ ჩემს სამსახურებრივ სამყაროსა და იმ მეორე სამყაროს შორის. ილონა მირეკავს.

– მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ... – ყურმილში მეჩვენება, თითქოს ხმა ცოტა უთრთის, – აჯობებს, დღეს არ მოხვიდეთ. ედითი კარგად ვერ არის...

– იმედია, სერიოზული არაფერია? – ვაწყვეტინებ მე.

– არა, არა... მხოლოდ მინდა, რომ დღეს ცოტა დაისვენოს და თანაც... – ტკეპნის თითოეულ ფრაზას, – თანაც ერთ დღეს დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს. ჩვენ... ჩვენ გამგზავრების გადადება მოგვიწევს.

– გადადება?

ეტყობა, იმდენად შეშინებულმა ვკითხე, რომ სასწრაფოდ განმიმარტა:

– დიახ... მაგრამ, იმედია, მხოლოდ ორიოდე დღით... ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ, ანდა ზეგ... მანამდე შეიძლება კიდევ დაგირეკოთ... მე მხოლოდ მინდოდა გამეფრთხილებინეთ... მაშ ასე, დღეს სჯობს, რომ... ერთი სიტყვით, კარგად იყავით, ნახვამდის!

– ჰო, მაგრამ... – ვბუტბუტებ ყურმილში და პასუხს კი ვეღარ ვიგებ. კიდევ რამდენიმე წამს ვიცდი. არა, პასუხი არ არის. ილონამ ყურმილი დაკიდა. საოცარია, ასე სასწრაფოდ რატომ შეწყვიტა ლაპარაკი? ისე სასწრაფოდ, თითქოს შეეშინდა, კიდევ რამე არ მკითხოსო. რაღაც ამბავია... ან საერთოდ გამგზავრება რატომ გადადეს? რატომ გადადეს, განა გადაწყვეტილი არ იყო და დღეც დადგენილი? რვა დღეო, მითხრა კონდორმა. რვა დღე, მე უკვე ამ ვადით ვსულდგმულობდი და ახლა ისევ... არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელია... ვეღარ გავუძლებ... მეც მაქვს ნერვები... მეც მოსვენება მინდა... ნუთუ მართლა ასე ძალიან ცხელა ამ ჯიხურში? ლამის დავიხრჩო, ტყავგადაკრულ კარს

ბოლომდე ვაღებ და ლასლასით ვბრუნდები. ჩემი ადგომა და წასვლა, მგონი, არავის შეუნიშნავს. ყველანი ისევ შტაინჰიუბელს ეკამათებიან და დასცინიან. ჩემს ცარიელ სკამთან კი ჯიუტად იცდის ჯარისკაცი და ხელში ლანგარი უჭირავს, რომელზედაც შემწვარი ხორცია. მექანიკურად, რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან, ორ თუ სამ ნაჭერს ვიღებ თეფშზე, მაგრამ არ ვეკარები, რადგან სადღაც საფეთქლებს შორის თავი მტეხს, თითქოს ვიღაც ჩაქუჩს მიკაკუნებდეს თავის ქალაზე უმოწყალოდ და ეს სიტყვები გამოჰყავდეს: „გადადეს! გამგზავრება გადადეს!“ უმიზეზოდ არ იზამდნენ ამას. უთუოდ რაღაც მოხდა. სერიოზულად გახდა ავად? შეურაცხყოფა ხომ არ მივაყენე? ასე უცებ რამ გადააფიქრებინა გამგზავრება? კონდორი ხომ დამპირდა, რომ მხოლოდ რვა დღე უნდა მომეთმინა, აქედან ხუთი დღე უკვე გავძელი... დიდი ვაიუბედურებით კი... მეტს ვეღარ გავუძლებ... არ შემიძლია, მორჩა და გათავდა!

– რას ჩაფიქრებულხარ, ტონი? ეტყობა, ჩვენს საჭმელზე გული აღარ მიგდის! ჰო, რას იზამ, მაშინვე გეტყობა, კეთილშობილ კერძებს მიეჩვიე. ტყუილად როდი ვამბობ ხოლმე, ამას ჩვენთან უკვე ყველაფერი მდაბიურად ეჩვენება-მეთქი.

ისევ ეს წყეული ფერენცი შემომიჩნდა და გულარხეინად ხითხითებს, ისევ მისი გადაკრული სიტყვები უნდა მოვისმინო.

– ჯანდაბა, რა გამიჭირე საქმე შენი ბრიყვული ოხუნჯობით! – ვუტევ მე. ეტყობა, რაც ბოღმა მქონდა დაგროვილი, სულ ამ სიტყვებში გახმიანდა, რადგან პრაპორშჩიკები ორივენი ჩემ პირდაპირ სხედან გაკვირვებულები მომჩერებიან.

ფერენცი დანაჩანგალს მაგიდაზე დებს.

– ტონი, – მეუბნება მუქარით, – ასე ლაპარაკის უფლება არ გაქვს. მე მგონი, ჩვენს სუფრაზე ხუმრობა მოდის. თუ მიგაჩნია, რომ სხვაგან უფრო გემრიელ კერძებს ამზადებენ, მიგაჩნდეს, რა ჩემი საქმეა, მაგრამ იმის თქმას ვერ ამიკრძალავ, რომ ჩვენს სუფრაზე ლუკმა პირში არ ჩაგდის.

გვერდით მსხდომნი ცნობისმოყვარედ გვიყურებენ ორივეს. დანაჩანგლის წკრიალი თეფშებზე ერთბაშად წყდება. თვით მაიორიც კი შემოგვცქერის მაგიდის მეორე ბოლოდან. ვგრძნობ, რომ სასწრაფოდ უნდა განვმუხტო ჩემი თავშეუკავებლობით შექმნილი დაძაბულობა.

– კარგი, მაგრამ, ფერენც, ვპასუხობ მე და თან ნაძალადევად ვიცინი, იქნებ იმის უფლება მაინც მომცე, რომ თავი მტკიოდეს და ცუდად ვიყო?

ფერენცი მაშინვე მიყვავებს:

– ო, Pardon, ტონი! აბა, რას ვიფიქრებდი? ჰო, მართლაც, ცუდად გამოიყურები. რამდენიმე დღეა გატყობ, რომ რაღაც ამბავია შენს თავს.

ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა. მაგრამ სიბრაზემ მაინც არ გადამიარა. არა, მაინც რა დღეში მაგდებენ კეკეშფალვები! ხან იქით მეწევიან, ხან აქეთ, ხან აღმა, ხან დაღმა; ხან ცეცხლს წამიკიდებენ, ხან ცივ წყალს გადამასხამენ! არა, არ შევაკვლევინებ მათ თავს! სამი დღე-მეთქი, ვთქვი, სამნახევარი დღე და არც ერთი საათით მეტი! გინდ გადადონ გამგზავრება, გინდ არა ჩემთვის სულერთია! მორჩა, თავს აღარ გავიტანჯავ წყეული თანაგრძნობით, თორემ შეიძლება ჭკუაზე შეიშალოს ადამიანი.

თავს ვიმაგრებ, რომ არ გადმოვანთხიო ბრაზი, რომელიც ჩემს გულში ბობოქრობს. დიდი სიამოვნებით მოვუჭერდი ხელს ჭიქას და ნამსხვრევებად ვაქცევდი, ანდა მუშტს დავცხებდი მაგიდას. ვგრძნობ, აუცილებლად რაღაც უნდა ვიღონო, რომ ამ დაძაბულობისგან გავთავისუფლდე, ოღონდაც ასე გულხელდაკრეფილი არ ვიჯდე და ვიცდიდე, ვიდრე რამეს მომწერდნენ ან ტელეფონით დამირეკავდნენ, ვიდრე გადადებდნენ გამგზავრებას ან არ გადადებდნენ. მეტი აღარ შემიძლია, რაღაც უნდა მოვიმოქმედო.

ამასობაში კი მეგობრები ისევ ცხარედ კამათობენ.

– გეუბნები, – დასცინის გრაფს ხმელხმელი იოჟი, – იმ ყმაწვილმა მაგრად გაგაცურა. ცოტა რამ მეც გამეგება ცხენებისა: მაგ ვიგინდარასთან ვერაფერს გახდები, მაგას ვინ გაუძლებს.

– ნუთუ მართლა? – ვერევი უეცრად საუბარში, – არაფერი მინდა, ერთი მაჩვენა, როგორ არ გაიხედნება! მითხარი, შტაინჰიუბელ, რამე საწინააღმდეგო ხომ არ გექნება, შენი ჟღალი ბედაური ერთი ან ორი საათით რომ ვაჭენო, ვიდრე სიქას გავაცლიდე და მოვტეხდე?

არ ვიცი, როგორ მომივიდა თავში ეს აზრი. მაგრამ ისე აღტაცებული ვიყავი სურვილით, ვინმეზე ან რამეზე მეყარა ჯავრი, ისეთი ძალით მქონდა ჩხუბისა და აყალ-მაყალის მოთხოვნილება, რომ ხარბად ჩავეჭიდე პირველივე ხელსაყრელ შემთხვევას. ყველანი გაკვირვებულები მომაჩერდნენ.

– A la bonheur, – იცინის გრაფი შტაინჰიუბელი, – თუკი გული გერჩის... გამიხარდება კიდეც. თითებს ვეღარ ვშლი, დღეს იმდენს ვეწეოდი იმ ფეთიანის სადავეს. ურიგო არ იქნება, თუ ახლა ვინმე სხვა შეუტევს ახალი ენერგიით. ახლავე შევუდგეთ საქმეს!

ყველანი წამოვიშალეთ ნამდვილი „ხედნის“ მოლოდინში და საჯინიბოსკენ გავემართეთ ცეზარის გამოსაყვანად (შტაინჰიუბელმა, ამ მძლეთა მძლე სახელით, ვფიქრობ, ცოტა არ იყოს, ნაადრევად შეამკო თავისი იორღა). ცეზარს მაშინვე მოუსვენრობა იპყრობს, როგორც კი ხმამაღალ საუბარში გართულნი მის ბაგას გარს ვერტყმით: ფრუტუნებს, ცმუკავს და აქეთ-იქით აწყდება ვიწრო ბაგას. ფიცრებს ჭრიალი გაუდის. რის ვაივაგლახით გამოგვყავს ცხოველი მანეჟზე.

საერთოდ, მხოლოდ საშუალო ცხენოსანი თუ მეთქმოდა და ისეთ თავდადებულ კავალერისტთან, როგორიც შტაინჰიუბელი იყო, ვერას გავხდებოდი. მაგრამ იმ დღეს შემცვლელად ჩემზე უკეთესს ვერავის იპოვიდა, ხოლო ცეზარი ჩემზე უფრო საშიშ მოწინააღმდეგეს; ბრაზისგან ყოველი კუნთი დაძაბული მქონდა. გაავებული ვიყავი და ისე ძლიერად მწყუროდა ვინმესთან ანგარიშის გასწორება, ვინმეს დამორჩილება, რომ თითქმის სადისტური სიამოვნებით ვცდილობდი ამ ჯიუტი ცხოველისათვის მაინც მეჩვენებინა (აბა, ვისზედაც ხელი არ მიგიწვდება, იმას ხომ ვერ აგემებ დარტყმას!), რომ ჩემს მოთმინებასაც საზღვარი ჰქონდა... ფიცხი ცეზარი ქარივით დაქროდა, ფლოქვებს სცემდა კედლებს, ყალყზე დგებოდა და ხანაც განზე გახტებოდა ხოლმე, რომ ჩამოვეგდე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გაგულისებული უმოწყალოდ ვეწეოდი ლაგამს, თითქოს კბილები მინდოდა მისთვის დამეყრევინებინა, ქუსლებს ვუბათქუნებდი ნეკნებში და

ასეთმა მოპყრობამ სულ მალე დააკარგვინა პირუტყვს ჭირვეულობის ხალისი. მახელებდა, მიტაცებდა, ფრთებს მასხამდა მისი მედგარი წინააღმდეგობა და ოფიცერთა მოწონების შემახილები: „ყოჩაღ, რა მაგრად შეახურა!“, ანდა „ერთი უყურეთ ჰოფმილერს, რა ამბავშია!“ ზარხოშითა და გამბედაობით მავსებდა. წარმატებით დაგვირგვინებული ფიზიკური გარჯა ხომ მუდამ სულიერ კმაყოფილებასაც იწვევს...

ნახევარი საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ უკვე გამარჯვებული ვზივარ უნაგირზე, ჩემ ქვეშ კი მძიმედ ფრუტუნებს, ოფლშია გაღვრილი და ოხშივარი ასდის მოთვინიერებულ პირუტყვს, თითქოს ეს-ეს არის, ცხელი შხაპი მიეღოს. კისერი და აღკაზმულობა პერულის თეთრი ფთილებითა აქვს დაფარული, ყურები გამგონედ მიუტკუცია თავზე; და აი, ერთი საათის შემდეგ ეს ვითომდა დაუმარცხებელი მერანი ჩემი სრული მონამორჩილი ხდება; აღარ მჭირდება ფეხებით მისი მოთოკვა, მშვიდად გადმოვდივარ მისი ზურგიდან... მეგობრები მილოცავენ. მაგრამ ჩემი აზარტული გატაცება ჯერაც არ დამცხრალა და ისე მახალისებს ეს აღტყინებული მდგომარეობა, რომ შტაინჰიუბელს ვთხოვ, ნება დამრთოს ერთი-ორი საათით სამოსწავლო მოედნისკენ გავასეირნო მისი ბედაური, ჩორთით, რა თქმა უნდა, რომ გაოფლილმა ცხენმა გაგრილება მოასწროს.

– სიამოვნებით, – თავს მიქნევს შტაინჰიუბელი სიცილით, – მე უკვე ვხედავ, რომ უკანაც ისევე მოიყვან, როგორც წესი და რიგია. ახლა ოინბაზობას ვეღარ გაბედავს. ყოჩაღ, ტონი, მართლაც საოცარი გამხედნავი ხარ!

და აი, მქუხარე ტაშით მაცილებენ, როდესაც მანეჟიდან გამოვდივარ. სადავე ოდნავ მიშვებული მაქვს და ისე მიმყავს გატანჯული ბედაური ქალაქის ქუჩებში, ხოლო შემდეგ მდელოზე. ლაღად მიიწევს წინ ბედაური და მეც ლაღად ვგრძნობ თავს. ამ ერთი დაძაბული საათის განმავლობაში მთელი ჩემი სიბრაზე და სიანჩხლე დავატეხე კერპ პირუტყვს;

ცეზარი უწყინრად, მშვიდობიანად მიდის ჩორთით და რაც მართალია (შტაინჰიუბელი არ შემცდარა), ცხენს ნამდვილად საუცხოო სვლა აქვს. უფრო ლამაზად, ნარნარად, მოქნილად ჭენება შეუძლებელია. თანდათანობით პირვანდელი უჟმური განწყობა მეცვლება, სული ნეტარებით მევსება... მთელი ერთი საათი დავანავარდებ ცხენს აქეთ-იქით, გულს ვიჯერებ სიამოვნებისგან და ბოლოს, ხუთის ნახევრისთვის უკან ვბრუნდები.

სადღეისოდ ორივესთვის კმარა ცხენისთვისაც და ჩემთვისაც. ნელი ჩორთით მოვდივარ ქალაქისკენ ჩემთვის ნაცნობ შარაგზაზე, საამოდ ვირწევი უნაგირზე, ლამის რულიც კი მომეკიდოს... უეცრად ჩემ უკან ავტომობილის საყვირის ხმა გაისმის. მფრთხალი ბედაური მაშინვე ყურებს ცქვეტს და ძაგძაგს იწყებს. მაგრამ მე დროულად ვუღებ ალღოს გარემოებას, სადავეს ვეწევი, ფერდებში მუხლებს ვუჭერ ცხენს, გზის შუაგულიდან ნაპირისკენ მიმყავს და ხის ქვეშ ვაჩერებ, რომ ავტომობილი გავატარო.

როგორც ჩანს, მანქანა ყურადღებიან მძღოლს მიჰყავს. იგი ხვდება, რომ სიფრთხილემ მაიძულა განზე გავმდგარიყავი და მიახლოვდება მინიმალური სიჩქარით, მოტორის თუხთუხი ოდნავღა ისმის. კაცმა რომ თქვას, სრულიად ზედმეტია ჩემი დაძაბულობა

ავტომობილი რომ გვისწორდება, ბედაური საკმაოდ წყნარად დგას. შემიძლია დინჯად მივიხედ-მოვიხედო. მაგრამ თავი მივაბრუნე თუ არა, ვხედავ, რომ ვიღაც მესალმება გადახდილი მანქანიდან და უმალვე ვცნობ კონდორის მრგვალ მოტვლეპილ თავს, მის გვერდით კი კეკეშფალვას ჭაღარით დაფარულ და კვერცხივით წაგრძელებულ კეფას. არ ვიცი, ცხენი ძაგძაგებს, თუ მე თვითონ ვკანკალებ. რას უნდა მოასწავებდეს ეს ამბავი? კონდორი ჩამოვიდა და მე არ შემატყობინა? რატომ არ გაჩერდნენ და არ გამომელაპარაკნენ? რა უცხოებივით ჩამიქროლეს! ან კონდორი როგორ გაჩნდა აქ? ორიდან ოთხამდე ხომ მიღება აქვს ვენაში. ალბათ სასწრაფოდ გამოიძახეს დილაადრიან. უთუოდ რაღაც მოხდა. ილონამაც ამიტომ დამირეკა, გამგზავრებაც ტყუილად როდი გადადეს და მეც ამიტომ არ შეიძლება დღეს მათ ვეწვიო. ნამდვილად რაღაც მოხდა, რაღაც ისეთი, რაც არ უნდათ, მე გამიმხილონ! ალბათ რაღაც აუტეხა თავის თავს ედითმა. გუშინ საღამოს ეტყობოდა, რომ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. მთელ მის არსებაში ისეთი დამცინავი გულდაჯერებულობა გამოსჭვიოდა, როგორიც მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, რომელსაც რაღაც ავი და სახიფათო განუზრახავს. უთუოდ რაღაც აუტეხა თავის თავს! ხომ არ დავედევნო ჭენებით, იქნებ სადგურზე მაინც მივუსწრო კონდორს?

მაგრამ შეიძლება, – მოვიაზრე უცებ, – სულაც არ აპირებს გამგზავრებას. არა, თუ მართლაც რაიმე ცუდი ამბავია, ისე არ გაემგზავრება, რომ მე არ მაცნობოს. იქნებ ყაზარმაში უკვე მისი წერილიც მელის. ვიცი, ეს კაცი ჩემს ზურგს უკან, ჩემს წინააღმდეგ არაფერს გააკეთებს, მარტო არ დამტოვებს. აბა, მაშინ, სასწრაფოდ შინისაკენ! უეჭველად წერილი, ბარათი, ორიოდე სიტყვა დამხვდება მისგან ან შესაძლოა, თვითონვე!

* * *

ყაზარმაში მისვლისთანავე ცხენს საჯინიბოში ვაყენებ და, მეგობრების მილოცვებსა და ყბედობას თავი რომ ავარიდო, გვერდითი კიბით ავრბივარ ჩემს ოთახში. მართლაც კარწინ დენშჩიკი მელოდება. შეშინებულ სახეზე ვამჩნევ, რომ რაღაც მოხდა. შეშფოთებული მეუბნება, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ვიღაც ბატონი მელოდება ოთახში, სასწრაფო საქმე მაქვსო, მითხრა და ვერ გავბედე არ შემეშვაო. კუზმა საერთოდ გაფრთხილებული მყავს, ჩემს არყოფნაში არავინ მიიღოს. მაგრამ ალბათ კონდორმა არყის ფული აჩუქა ამიტომაა, რომ ასე შეშინებულია და აღარ იცის, რა ქნას. ერთი კია, რომ დაბნეულობა ერთბაშად გაკვირვებით ეცვლება, როდესაც დატუქსვის ნაცვლად, კარგი, კარგი-მეთქი, მშვიდობიანად ვბურტყუნებ და კარისკენ მივეშურები, თან გულში ვფიქრობ: მადლობა ღმერთს, კონდორი მოსულა და ყველაფერს მიამბობს-მეთქი.

ვაღებ კარს და ჩაბნელებული ოთახის ბოლოში (სიცხის გამო კუზმას ფარდები ჩამოეშვა) იმწამსვე, თითქოს წყვდიადიდან ამოყურყუმელავდაო, ვიღაცის ფიგურა ირხევა. ის-ის არის, ვაპირებ გულღიად შევეგებო კონდორს, რომ უეცრად ვამჩნევ: ეს კონდორი კი არა, ვიღაც სხვაა, ვისაც ყველაზე ნაკლებად მოველოდი აქ კეკეშფალვა.

– მომიტევეთ, ბატონო ლეიტენანტო, – თავს მიკრავს იგი, – რომ წინასწარ არ გაგაფრთხილეთ და ისე შემოგეჭერით, მაგრამ კეთილმა კონდორმა დამავალა, სალამი გადმომეცა თქვენთვის. იგი ბოდიშს გიხდით, რომ მანქანა ვერ გავაჩერეთ... ვენის ჩქარი მატარებლისათვის უნდა ჩაესწრო და დრო კი ძალზე მცირე იყო დარჩენილი. დღეს საღამოს მან იქ უნდა... ჰოდა... ჰოდა... ამიტომ მთხოვა დაუყოვნებლივ გადმომეცა თქვენთვის, რომ ძალზე წუხს ამ ამბავს... მხოლოდ ამიტომ... მე მინდა ვთქვა, მხოლოდ ამიტომ მივეცი ჩემს თავს უფლება, დაუპატიჟებლად გწვეოდით...

ქედმოხრილი დგას ჩემ წინაშე, თითქოს რაღაც უხილავი უღელი ედგას მხრებზე. მელოტი, თხელი თმით ძუნწად დაფარული თავი სიბნელეში ოდნავ უპრიალებს. უსიამოვნო განწყობა სწორ აზრს მკარნახობს: ამ სულელური ბოდვის მიღმა რაღაც იმალება. მოხუცი და თანაც გულით ავადმყოფი მეოთხე სართულზე მხოლოდ სალმის გადასაცემად არ ავა. ტელეფონითაც მშვენივრად შეეძლო დაერეკა ანდა ხვალამდე მოეცადა. „ყურადღებით იყავი! – ვეუბნები ჩემს თავს. – კეკეშფალვას რაღაც უნდა შენგან. ერთხელაც ასე წყვდიადიდან არ მოგევლინა?! მათხოვარივით მოკრძალებული დაიწყებს, მაგრამ ბოლოს თავს მოგახვევს თავის ნებასურვილს, როგორც ზღაპარში ჯინმა უყო გულმოწყალე ყმაწვილს. ვერ უნდა დაგიყოლიოს! არ უნდა გაება მის მახეში! რაც შეიძლება მალე დაემშვიდობე და გაისტუმრე“.

მაგრამ ჩემ წინ ბერიკაცი დგას და თავი, თითქოს რაღაც უხილავი უღელი ედგას კისერზე, ისე ჩაუქინდრავს. კეფაზე, მეჩხერი თმის მიღმა, თეთრი კანი უჩანს; და თითქოს სიზმარში ვხედავდე, ჩემი დიდედა მაგონდება, ასე რომ ჰქონდა ხოლმე თავი დახრილი საქსოვზე, როდესაც შვილიშვილებს ზღაპრებს უამბობდა. აბა, როგორ გინდა მოხუცი, ავადმყოფი ადამიანი უცერემონიოდ თავიდან მოიშორო? როგორც ჩანს, ჭკუა ვერ ვისწავლე და სკამზე მივუთითებ;

– დაბრძანდით, ბატონო ფონ კეკეშფალვა, როგორ შეწუხებულხართ! ნამდვილად დიდად დამავალეთ!

კეკეშფალვა უპასუხოდ მტოვებს. იქნებ კარგად ვერც გაარჩია ჩემი ნათქვამი, მაგრამ ხელის მოძრაობას კი, ცხადია, მიხვდა. გაუბედავად ჯდება შეთავაზებული სკამის კიდეზე. ნელა იხსნის სათვალეს, ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და მინების გაწმენდას იწყებს.

„მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე უკვე გაწაფული ვარ, კარგად ვიცნობ შენს ხრიკებს და ვიცი, რატომაც წმენდ სათვალეს. ამით დროის მოგებას ცდილობ, გინდა, რომ მე დავიწყო. ისიც კი ვიცი, რა გსურს, გკითხო: მართლაც ძალიან ავად არის ედითი, ან რატომ მოგიწიათ გამგზავრების გადადებამ? მაგრამ მე ფხიზლად ვარ. თვითონ დაიწყე, თუ რამე სათქმელი გაქვს! მე კი, მეორედ აღარ გავებმები მახეში – კმარა ეს წყეული თანაგრძნობა, ეს გაუთავებელი „ცოტა კიდევ“ და „ცოტა კიდევ“! თუ რამე გსურს ჩემგან, ნუღარ აყოვნებ, გულახდილად მითხარი და თავს ნუ იკატუნებ, თითქოს ამ სათვალის წმენდით იყო გართული. შენს ანკესზე აღარ წამოვეგები, ყელში ამომივიდა ამდენი თანაგრძნობა!“

ბოლოს ბერიკაცი, თითქოს ეს სიტყვები ჩემს მაგრად მოკუმულ ტუჩებზე ამოიკითხა, ბედს შერიგებული განზე დებს გაკრიალებულ სათვალეს. აშკარად ეტყობა, გრძნობს,

რომ არ მსურს შემწეობა აღმოვუჩინო და თვითონ უნდა დაიწყოს; თავს მაინც არ სწევს მაღლა და ისე იწყებს ლაპარაკს, რომ ჩემკენ არ იყურება. მე კი არა, მაგიდას მიმართავს, თითქოს უხეში, დამსკდარი ხისგან მეტ თანაგრძნობას მოელის, ვიდრე ჩემგან.

– მე ვიცი, ბატონო ლეიტენანტო, რომ უფლება არა მაქვს. დიახ, არავითარი უფლება არა მაქვს, დრო წაგართვათ. მაგრამ რა ვქნა? რა ვქნათ ჩვენ? მეტი აღარ შემიძლია, ჩვენ ყველას მეტი აღარ შეგვიძლია... ერთმა ღმერთმა უწყის, რა დაემართა. უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლება მასთან. აღარავის უსმენს... თან ვიცი, რომ ეს სიავით კი არ მოსდის... უბრალოდ, უბედურია, უსაზღვროდ უბედური... და სასოწარკვეთილების გამო იქცევა ასე, მარტოოდენ სასოწარკვეთილების გამო.

მე ვიცდი. რა უნდა ამით თქვას? განა ასეთს რას აკეთებს ედითი? მაინც რას? რა მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობ, რატომ პირდაპირ არ იტყვი, რა მოხდა?

მაგრამ ბერიკაცი უაზროდ მიშტერებია მაგიდას.

– თან ხომ ყველაფერი უკვე მოლაპარაკებული და მომზადებული გვქონდა. საძილე ვაგონის ბილეთები შევუკვეთეთ, საუკეთესო ოთახები დავიქირავეთ. ჯერ კიდევ გუშინ, ნაშუადღევს, სული მისდიოდა მოუთმენლობისგან: თვითონ არჩევდა წიგნებს თან წასაღებად, ახალი კაბები და ბეწვი მოიზომა, ვენიდან რომ გამოვუწერე. ჰოდა, უეცრად რაღაც შეუჩნდა, ვერაფერი გამიგია. გუშინ საღამოს, ვახშმის შემდეგ ხომ გახსოვთ, როგორი აღელვებული იყო. ილონასაც ვერაფერი გაუგია და ვერც ვინმე სხვას, რა მოუვიდა ასე უცებ. თვითონ კი იძახის, რომ ვერაფერი აიძულებს, აქაურობა მიატოვოს. მაინც დავრჩები, მაინც დავრჩები, მაინც დავრჩებიო, გაიძახის, თუნდაც სახლს ოთხივე მხრიდან ცეცხლი წაეკიდოსო. ჩემი მოშორება, ჩემგან გათავისუფლება გინდათ და ამიტომ გამოიგონეთ მკურნალობის ახალი მეთოდი, მაგრამ მოტყუვდით, ყველას კოვზი ნაცარში ჩაგივარდათო. არსადაც არ წავალ, აქ ვრჩები, აქ ვრჩები, აქ ვრჩებიო...

ტანში ჟრუანტელი მივლის. აი თურმე რას მოასწავებდა, გუშინ საღამოს ნიშნის მოგებით რომ იცინოდა. იქნებ შენიშნა, მეტის გაძლება აღარ შემიძლია და ეს სპექტაკლი იმიტომ გამართა, რომ შვეიცარიაში ჩასვლას დავპირდე?

„არა, არ დაგიყოლიონ, – ვუბრძანებ საკუთარ თავს. – არ შეიმჩნიო, რომ ამ ამბავმა ასე აგაღელვა! ბერიკაცს არ გამოუტყდე, რომ ედითის აქ დარჩენას შენი ნერვები ვერ აიტანს!“

ამიტომ განგებ ვისულელებ თავს და გულგრილად ვეუბნები:

– არა უშავს, როგორმე მოგვარდება ყველაფერი. თქვენ ხომ ყველაზე უკეთ იცით, რა მარტის ამინდივით ცვალებადი ხასიათი აქვს: თანაც ილონამ ხომ დამირეკა, გამგზავრება სულ ორიოდე დღით გადაიდოო.

ბერიკაცი ოხრავს და თანაც ისე ყრუდ, თითქოს ამ ერთ უცაბედ ამოოხვრას მთელი გულმუცელი ამოაყოლაო.

– ეჰ, ნეტავი მართლა ასე იყოს! მაგრამ ვაი, რომ ვშიშობ... ჩვენ, ყველანი, ვშიშობთ, რომ საერთოდ აღარ გაემგზავრება... არ ვიცი, არ მესმის, მაგრამ უცებ სულერთი გახდა მისთვის, მორჩება თუ არა. მეტს აღარ დაგანებებთ ჩემს თავს სატანჯველად, მკურნალობა რად მინდა, თუკი არაფერს არ მშველისო! აი ასეთ რამეს ამბობს და თანაც ისე შესაბრალისად, რომ გული მიკვდება, მეტს ვეღარ მომატყუებთ, მოთქვამს იგი.

გაოცებული ვფიქრობ: „ღმერთო ჩემო, ნუთუ ედითმა რაღაც შენიშნა? ნუთუ რაღაცით გავეცი თავი? ან იქნებ კონდორმა ვერ გამოიჩინა სათანადო წინდახედულობა? ხომ შეიძლება რაიმე სრულიად უმნიშვნელო ნათქვამს ეჭვი აღეძრა, რომ შვეიცარიაში გამგზავრებასა და მკურნალობის ახალი კურსის ამბავში ყველაფერი რიგზე ვერ არის? ან იქნებ გამჭრიახი ალღოს წყალობით, ბოლოს მიხვდა, რომ არსებითად სულ ამაოდ ვისტუმრებთ აქედან?“ ფრთხილად ვეხები ჩემთვის საინტერესო საკითხს:

– ვერაფერი გამიგია... თქვენი ქალიშვილი ხომ ბრმად ენდობოდა კონდორს და განა მან არ ურჩია ასე დაბეჯითებით მკურნალობის ახალი კურსი?.. ამიტომ, ვერაფერი გამიგია...

– ჰოდა, საქმე სწორედ ეს არის!.. სწორედ ამაშია მთელი უბედურება: საერთოდ აღარანაირი მკურნალობა აღარ უნდა, მორჩენა აღარ სურს! იცით, რა თქვა?.. არაფრის გულისთვის არ გავემგზავრები, ყელში ამომივიდა ეს ტყუილებიო!.. მირჩევნია, ხეიბრად დავრჩე, მაგრამ აქ ვიყოო... არ მინდა, რომ მომარჩინონ, არ მინდა, ამას ახლა აზრი აღარა აქვსო!

– აზრი აღარა აქვსო? – ვიმეორებ მთლად დაბნეული.

მაგრამ ბერიკაცი კიდევ უფრო დაბლა ხრის თავს და უკვე ვეღარ ვხედავ მის ცრემლიან თვალებს, ვეღარც მის სათვალეს. მხოლოდ მეჩხერი ჭაღარის მოძრაობაზე ვამჩნევ, რომ კანკალებს. შემდეგ ძლივს გასარჩევად დუდუნებს:

– რაღა აზრი აქვს ჩემს მორჩენასო, – გვეუბნება და თან ქვითინებს, – თუკი იგი... იგი... – ბერიკაცი ძლივს ითქვამს სულს და შემდეგ დიდი გაჭირვებით წარმოთქვამს: თუკი იგი თანაგრძნობის გარდა, სხვა გრძნობით არ არის გამსჭვალულიო.

უცებ სიცივე მივლის ტანში, როდესაც კეკეშფალვა „იგის“ წარმოთქვამს. ეს პირველადაა, რომ ჩემთან თავისი ქალიშვილის გრძნობაზე ძრავს კრინტს. უკვე კარგა ხანია გაკვირვებული ვამჩნევდი, რომ თვალს ვერ მისწორებდა, ჩემკენ გამოხედვას ვერ ბედავდა, მაშინ როდესაც უწინ ნაზ და ლამის აბეზარ მზრუნველობასაც კი იჩენდა ჩემ მიმართ. მაგრამ მე ვიცოდი, რომ რცხვენოდა და ამიტომ მარიდებდა პირს. ამ მოხუცი კაცისთვის ალბათ საშინლად მძიმე იყო იმის ყურება, რომ მის ქალიშვილს უყვარდა ადამიანი, რომელიც გაურბოდა. ალბათ როგორ იტანჯებოდა ედითის საიდუმლო აღსარებებით, რა უსაზღვროდ რცხვენოდა მისი დაუფარავი გულის წადილისა. ჩემსავით მასაც აღარ შეეძლო ძალდაუტანებელი ყოფილიყო. ვინც რაიმეს მალავს ანდა იძულებულია დამალოს, მას უკვე აღარ ძალუძს გულღიად გამოხედვა.

მაგრამ სათქმელი უკვე ითქვა და ორივეს თანაბრად შემოგვენთო გულზე. ორივენი მდუმარედ ვსხედვართ ამ სიტყვების შემდეგ და ერთმანეთს თვალს ვარიდებთ. ჩვენ შორის სივრცეში, მაგიდის ზემოთ შეგუბებულ ჰაერში, მდუმარება ჩამოწოლილა. თანდათანობით ფართოვდება, ფუვდება, შავი აირივით ხრჩოლავს ჭერისკენ და მთელ ოთახს ედება. ზემოდან, ქვემოდან, ყოველი მხრიდან გვაწვება ეს სიცარიელე და სულს გვიხუთავს. ერთი წამიც და, დუმილი ორივეს მოგვაშთობს, თუ ერთი ჩვენგანი მხნეობას არ მოიკრებს და არ დაარღვევს მას, სიტყვით არ შემუსრავს ამ მომაკვდინებელ სიცარიელეს.

და უეცრად რაღაც ხდება: ჯერ მხოლოდ იმას ვამჩნევ, რომ ბერიკაცი როგორღაც შეტოკდება, შემდეგ მოულოდნელად სკამიდან ვარდება, როგორც რაღაც რბილი და ამორფული მასა, და სკამიც ხმაურით ვარდება იატაკზე.

„შეტევა მოუვიდა! – უწინარეს ყოვლისა, ამ აზრმა გამიელვა თავში. – გულის შეტევა. კონდორმა ხომ მითხრა, ავადმყოფი გული აქვსო!“ – თავზარდაცემული მივვარდი, რომ წამოვაყენო და დივანზე დავაწვინო. მაგრამ ახლაღა ვხვდები, რომ ბერიკაცი სკამიდან კი არ გადმოვარდა, კი არ დაცემულა, არამედ თვითონ ჩამოცურდა იატაკზე, განგებ დაეშვა მუხლებზე და ახლა, მის წამოყენებას რომ ვცდილობ, ჩემკენ მობობღავს, ხელებზე მებღაუჭება და შემღაღადებს:

– უნდა დაეხმაროთ... მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ, მხოლოდ თქვენ... კონდორიც ამას ამბობს: მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ უშველოთ და სხვას არავის!.. შეიცოდეთ, გემუდარებით... მეტი აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს... დაიღუპება... ხელები საშინლად მიცახცახებს, მაინც მაღლა ვიტაცებ დაჩოქილ ბერიკაცს. ის კი მკლავებში მაფრინდება, სასოწარკვეთილი თითებს ჭანგებივით მიჭერს კუნთებზე ნამდვილი ჯინია, სიზმრად მოვლენილი ჯინი, გულმოწყალებაზე ძალას რომ ხმარობს.

– დაეხმარეთ, – ქოშინებს, – ღვთის გულისათვის, უშველეთ რამე!.. ხომ არ შეიძლება ბავშვი ასეთ მდგომარეობაში მიატოვოთ... დამიჯერეთ, მისთვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ამბავია... ვერ წარმოიდგენთ, რა სისულელეებს როშავს, ისეა სასომიხდილი... უნდა სიცოცხლე მოვისწრაფო და გზიდან ჩამოგეცალოთ, რომ ისიც მოვასვენო და თქვენც ყველანიო... და ამას სხვათა შორის კი არ ამბობს, მართლაც ასე აპირებს... ორჯერ ხომ უკვე სცადა ერთხელ ვენები გადაიჭრა, მეორედ კი დასაძინებელი წამლის დიდი დოზა მიიღო. თუ ერთი გადაწყვიტა, მერე ველარავინ გადაათქმევინებს, ველარავინ... მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იხსნათ, მხოლოდ თქვენ... გეფიცებით, მხოლოდ თქვენ...

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ბატონო ფონ კეკეშფალვა... ოღონდ ძალიან გთხოვთ დამშვიდდით... რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შესაძლებელია. თუ გნებავთ, ახლავე ერთად წავიდეთ და შევეცდები დავაშოშმინო. ახლავე წამოგყვებით და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, რა უნდა ვუთხრა და რა უნდა გავაკეთო...

უეცრად მკლავზე ხელი გამიშვა და მომაჩერდა.

– რა უნდა გააკეთოთ?.. მართლა არ გესმით, თუ არ გინდათ გაიგოთ? ქალიშვილმა გული გადაგიშალათ, გრძნობა გაგანდოთ და ახლა სირცხვილისგან ლამისაა მოკვდეს, რომ ასეთი რამ მოიმოქმედა. წერილები მოგწერათ, თქვენ კი არაფერი უპასუხეთ, და ახლა დღე და ღამე იმაზე ფიქრობს, რომ თქვენ მისი გამგზავრება, თავიდან მოშორება გინდათ, რადგან გძულთ... ლამის ჭკუა დაკარგოს შიშისაგან, რომ გეზიზღებათ, რადგან... რადგან იგი... ნუთუ არ გესმით, რომ ადამიანი შეიძლება საფლავში ჩაიყვანოს ამდენმა ფიქრმა და ლოდინმა, მით უმეტეს, თუ ისეთი ამაყი და მგზნებარეა, როგორიც ჩემი ბავშვი? რატომ არ გაუღვიძებთ მცირეოდენ იმედს, ერთ სიტყვას მაინც არ ეტყვით, რატომ ხართ ასეთი ულმობელი და უგულო? ასე საშინლად რატომ აწამებთ საბრალო და უცოდველ ბავშვს?

– კარგი, მაგრამ განა მე ყველაფერი არ გავაკეთე, რომ დამემშვიდებინა?! მე ხომ ვუთხარი...

– არაფერიც არ გითქვამთ! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ჭკუიდან რევთ თქვენი ვიზიტებით, თქვენი დუმილით, რომ მხოლოდ ერთს ელის თქვენგან... მხოლოდ ერთადერთ სიტყვას, რომელსაც ყოველი ქალი მოელის საყვარელი მამაკაცისგან... ვიდრე საპყარი იყო, არ გაუვლია გულში რამე... მაგრამ ახლა, როდესაც ნამდვილად უნდა მორჩეს, ორიოდე კვირაში სულ, სულ გამოჯანმრთელდეს, რატომ არ უნდა მოელოდეს იმასვე, რასაც ყველა სხვა ყმაწვილი ქალი მოელის, რატომაც არა?.. ედითი ხომ თვითონ გამოგიტყდათ, გითხრათ, როგორ მოუთმენლად მოელის თქვენგან თუნდაც ერთ სიტყვას... იმაზე მეტი რაღა ქნას, რაც გააკეთა... მათხოვრობას ხომ ვერ დაიწყებს... თქვენ კი, თქვენ კრინტს არა ძრავთ, არ ეუბნებით იმ ერთადერთს, რაც გააბედნიერებდა!.. ნუთუ მართლა ასე საზარელია ეს ამბავი? თქვენ ხომ ყველაფერი გექნებათ, რაც კი ქვეყნად შეიძლება გააჩნდეს ადამიანს. მე ერთი მოხუცებული, ავადმყოფი კაცი ვარ, ყველაფერს, რაც მაბადია, თქვენ დაგიტოვებთ: სასახლეს, მამულებს და ექვს თუ შვიდ მილიონს, რასაც ორმოც წელიწადში მოვუყარე თავი... ყველაფერი თქვენი იქნება... თუნდაც ხვალვე შემიძლია გადმოგცეთ. ჩემთვის არაფერი მინდა... მხოლოდ ის მსურს, რომ ვინმემ იზრუნოს ჩემს ბავშვზე, როცა აღარ ვიქნები. ვიცი, რომ კეთილი, წესიერი ადამიანი ხართ და მუდამ შეგეცოდებათ, მუდამ კარგად მოეპყრობით ჩემს გოგონას.

აქ სუნთქვამ უღალატა. ძალაგამოცლილი უმწეოდ დაეშვა სკამზე. მაგრამ მეც აღარ შემწევდა ძალა და მეორე სკამზე დავესვენე. ასე ვისხედით ერთმანეთის პირისპირ, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინ. ხმას არ ვიღებდით. ერთმანეთს არ ვუმზერდით. არ ვიცი, რა დრო გავიდა, მხოლოდ პერიოდულად ვგრძნობდი ოდნავ შესამჩნევად როგორ ირყეოდა მაგიდა, რომელზედაც აცახცახებული ბერიკაცი ხელებით იყო დაყრდნობილი. შემდეგ ალბათ მთელი საუკუნე გავიდა რაკუნი გავიგონე. თავჩაქინდრული იყო და შუბლი დაჰკრა მაგიდას. ვგრძნობ, როგორ იტანჯება ეს ადამიანი და ჩემში უსაზღვროდ იზრდება სურვილი, რამით ვანუგეშო.

– ბატონო ფონ კეკეშფალვა, – ვდგები და ვიხრები მისკენ, – მე მომანდეთ... ყველაფერი მოვიფიქროთ, დინჯად მოვიფიქროთ... გიმეორებთ, მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ... ყველაფერს გავაკეთებ, თუკი რამ შემიძლია... ოღონდ ის... რაც ახლახან გადაკვრით მითხარით... შეუძლებელია... სრულიად შეუძლებელი.

ბერიკაცი შეირხა, როგორც გაბრუებული მხეცი, რომელსაც ბოლოს უღებენ მომაკვდინებელი დარტყმით. აღელვებისგან ოდნავ სველ ტუჩებს აცმაცუნებდა, დალაპარაკებას ლამობდა, მაგრამ მე არ ვაცალე.

– შეუძლებელია, ბატონო ფონ კეკეშფალვა, ძალიან გთხოვთ, ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ... აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ... ვინ ვარ? წვრილფეხა ლეიტენანტი, რომელიც თავს ირჩენს ხელფასითა და იმ მცირეოდენი ყოველთვიური სუბსიდიით, რომელსაც ნათესავებისგან იღებს... როცა ასე ხელმოკლე ხარ, როგორ უნდა გავიტანო თავი, თანაც თუ ორნი ვიქნებით...

ბერიკაცს უნდოდა გაეწყვეტინებინა.

– დიახ, წინასწარ ვიცი, რისი თქმაც გსურთ, ბატონო ფონ კეკეშფალვა, ფულზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო, ფიქრობთ თქვენ, მაგაზე მე ვიზრუნებო. და ისიც ვიცი, რომ მდიდარი ხართ და... რომ ყველაფრით უზრუნველმყოფთ... მაგრამ სწორედ ის, რომ ასე მდიდარი ხართ, ხოლო მე არაფერს წარმოვადგენ და არაფერი გამაჩნია... სწორედ ეს ხდის ყველაფერს შეუძლებელს... ყველა იფიქრებს, რომ ეს ფულის გულისთვის გავაკეთე... მე თვითონაც... და თვით ედითიც კი. დამიჯერეთ, მთელი თავისი სიცოცხლე სულ იმის ეჭვში იქნება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფულის გამო შევირთე და ანგარიში არ გავუწიე... ანგარიში არ გავუწიე საგანგებო გარემოებებს... დამიჯერეთ, ბატონო ფონ კეკეშფალვა, ეს შეუძლებელია... მიუხედავად იმისა, რომ ასე სულითა და გულით ვაფასებ თქვენს ქალიშვილს და... და... კეთილად ვარ მის მიმართ განწყობილი... ერთი სიტყვით, უნდა გამიგოთ.

ბერიკაცი გაშეშებული ზის. ჯერ მგონია, რომ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ მალე გაჭირვებით სწევს თავს მაღლა და ცარიელ სივრცეში აჩერდება რაღაცას. შემდეგ ორივე ხელით მაგიდის კიდეს ეჭიდება და ვამჩნევ, რომ წამოდგომას ცდილობს, მაგრამ დამძიმებული ტანი არ ემორჩილება. ორჯერ, სამჯერ ღალატობს ძალა. ბოლოს წამოიწევს, დგება, მაგრამ თან აქეთ-იქით ქანაობს, თავს ძალას ატანს, რომ არ წაიქცეს. შემდეგ რაღაც უცხო, შემზარავად გულგრილ კილოზე, თითქოს საკუთარი, ადამიანური ხმა წაერთვაო, თავისთვის ამბობს:

– მაშ... მაშ, ყველაფერი გათავდა.

რა საშინელი ხმაა, რა შემაძრწუნებელი ხელის ჩაქნევა ყველაფერზე. თვალებით ისევ სიცარიელეს გასცქერის, დაბლა არ იხედება, ისე აფათურებს ხელს მაგიდაზე და სათვალეს ეძებს. მაგრამ კი არ იკეთებს თვალებზე განა ღირს კიდევ რამის დანახვა? განა ღირს კიდევ სიცოცხლე? მოუქნელად იჩრის ჯიბეში. შემდეგ მისი თითები ისევ იწყებენ მაგიდაზე ფათურს, ვიდრე ზედ კიდეზე დაგდებულ შავ და დაჭმუჭნილ შლაპას ჩაეჭიდებოდნენ. მერე წასასვლელად ემზადება და ჩემკენ არ იყურება, ისე დუდუნებს:

– მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

შლაპა გვერდზე აქვს მოქცეული, ფეხები არ ემორჩილება, ისე უნიათოდ მიაფრატუნებს და მუხლებში იკეცება. მთვარეულივით მილასლასებს კარისკენ. იქ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შლაპას იხდის, თავს მიკრავს და მიმეორებს:

– მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

მოხუცი, მოტეხილი კაცი მიკრავს თავს და სწორედ ეს თავაზიანი ბოდიში, რომელიც ასეთმა გაუბედურებულმა ადამიანმა გამოიმეტა, მანადგურებს. ანაზდეულად ისევ ვგრძნობ, როგორ მოზღვავდა ჩემში თბილი, მხურვალე ტალღა. სუსტი და დამყოლი ვხდები. თანაგრძნობა ვინ იცის, უკვე მერამდენედ სასტიკად მამარცხებს. აბა, ასე უნუგეშოდ როგორ გავუშვა ეს ბერიკაცი, რომელიც ჩემთან იმისთვის მოვიდა, რომ თავისი შვილი შემოეთავაზებინა. ვერ გავუშვებ ასე სასოწარკვეთილს. სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებ. რაღაც უნდა ვუთხრა, რამით უნდა ვანუგეშო, დავამშვიდო, დავაშოშმინო. სასწრაფოდ უკან მივდევ.

– ბატონო ფონ კეკეშფალვა, გთხოვთ, ცუდად ნუ გამიგებთ... როგორ შეიძლება, ასე წახვიდეთ და პირდაპირ მიახალოთ... ეს ხომ საშინელება იქნება მისთვის და... არც სიმართლეს შეესაბამება.

სულ უფრო და უფრო ვღელავ, რადგან ვამჩნევ, რომ ბერიკაცი არ მისმენს. ქვის სვეტივით აღმართულა ჩემ წინაშე ეს სასოწარკვეთილების განსახიერება, ეს ლანდის ლანდი, ხორცშესხმული სიკვდილი. გულმხურვალედ მსურს, როგორმე დავამშვიდო.

– ნამდვილად სიმართლეს არ შეესაბამება, ბატონო ფონ კეკეშფალვა, გეფიცებით... და თანაც ჩემთვის იმაზე საზარელი არაფერი იქნება, თქვენს ქალიშვილს რამე რომ ვაწყენინო, ედითს გული ვატკინო... ან... ან ვაფიქრებინო, რომ ალალად არ ვარ მის მიმართ განწყობილი... განა ჩემზე უფრო გულითადად ვინმე ეპყრობოდა? გეფიცებით, არავის ძალუძს ჩემზე ძლიერ უყვარდეს... რა სისულელეა, რომ... მე თვითონ გულგრილი ვარ... პირიქით... პირიქით... მე მხოლოდ ვფიქრობდი, რომ აზრი არ ჰქონდა ახლა... დღეს მეთქვა... ჯერ ხომ მთავარი ის არის... რომ თავს გაუფრთხილდეს... რომ მართლაც მორჩეს!

ბერიკაცი უეცრად მომიბრუნდა. თვალის კაკლებმა, რომლებიც ეს-ეს არის გაქვავებული, უსიცოცხლო ჰქონდა, ერთბაშად სიბნელეში ცეცხლი დააკვესეს...

– ჰოდა, მერე?.. რომ მორჩეს, მერე?

შევკრთი, ინსტინქტურად საშიშროება ვიგრძენი. ახლა თუ რაიმეს შევპირდი, მერე მორჩა, საქმე დამთავრებული იქნება. მაგრამ იმავე წამს მომაგონდა, რომ თავიდან ბოლომდე ილუზია იყო, რისი იმედიც ედითს ჰქონდა. უცებ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მორჩება. შეიძლება მრავალი წელიც დასჭირდეს. მეტისმეტი შორსმჭვრეტელობა არ გინდაო, მითხრა კონდორმა, მთავარია, ახლა დავამშვიდო, ვანუგეშო ედითი! რატომ უნდა წავართვა უკანასკნელი იმედი, რატომ არ უნდა გავაბედნიერო თუნდაც მოკლე ხნით?.. ჰოდა, ვეუბნები:

– ჰო, როცა მორჩება, მაშინ, მაშინ, რა თქმა უნდა... მაშინ მე თვითონაც მოგაკითხავდით.

ბერიკაცი თვალს არ მაშორებს. მთელი სხეული უთრთის. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც უჩინრად უბიძგებს შიგნიდან.

– შეიძლება... შეიძლება მასაც ვუთხრა?

ისევ საფრთხეს ვგრძნობ, მაგრამ ძალა აღარ შემწევს მის მუდარით აღსავსე მზერას გავუძლო, ამიტომ მტკიცედ ვპასუხობ:

– დიახ, მასაც უთხარით, და ხელს ვართმევ.

თვალები უბრწყინავს, უფართოვდება, ლამის გადმოსცვივდეს. ალბათ, ასე იმზირებოდა ლაზარე, როდესაც მკვდრეთით აღდგა და გაოგნებულმა კვლავ იხილა ზეცა და მისი კურთხეული ნათელი. ბერიკაცის ხელი მიჭირავს და ვგრძნობ, რომ სულ უფრო და უფრო ძლიერად უკანკალებს. მერე თავს დაბლა ხრის. სულ დაბლა და დაბლა, მაგრამ მე დროულად მახსენდება, როგორ დაიხარა ერთხელ ასე და ხელზე მაკოცა. სასწრაფოდ ვართმევ ხელს და ვუმეორებ:

– დიახ, მასაც უთხარით. ძალიან გთხოვთ, უთხარით, რომ ნურაფერს ინაღვლებს. ახლა მთავარი ერთი რამაა: მორჩეს, რაც შეიძლება მალე მორჩეს, მისთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც ეს არის ახლა მთავარი!

– ჰო, ჰო, – იმეორებს ექსტაზში ჩავარდნილი, – უნდა მორჩეს, რაც შეიძლება მალე მორჩეს. ახლა კი დაუყოვნებლივ გაემგზავრება. ოჰ, დარწმუნებული ვარ, დაუყოვნებლივ გაემგზავრება და თავს მოირჩენს, თქვენთვის მოირჩენს... თავიდანვე ვიცოდი, რომ ღმერთმა მომივლინა თქვენი თავი... არა, არა, მადლობის გადახდას არ დაგიწყებთ, თქვენს ამაგს მე როგორ გადავიხდი... ღმერთი იყოს თქვენი შემწე... მივდივარ უკვე... არა, ნუ გამაცილებთ, ნუ წუხდებით, მივდივარ.

და უკვე სხვა, ჩემთვის მანამდე უცნობი, მსუბუქი, მოქნილი ნაბიჯით მიაშურა კარს, თან სერთუკის შავი კალთები აქეთიქით უფრიალებდა, და კარიც წკრიალა, თითქმის მხიარული ჯახუნით გაიხურა. მე კი მარტოდმარტო დავრჩი ჩაბნელებულ ოთახში, ოდნავ ჩაფიქრებული, როგორც ეს ყოველთვის ემართება კაცს, როდესაც გადამწყვეტ ნაბიჯს დაუფიქრებლად დგამს. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გავაცნობიერე ის პასუხისმგებლობა, რომელიც სულმოკლე თანაგრძნობით ატაცებულმა ვიკისრე, მაშინ, როდესაც ჩემმა დენშჩიკმა გაუბედავად დამიკაკუნა და კარგად ნაცნობი ფორმატის ცისფერ ქაღალდზე დაწერილი ბარათი გადმომცა.

* * *

„ზეგ მივემგზავრებით. მამილოს ასე დავპირდი. მომიტევეთ, რომ ამ ბოლო დღეებში ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ თავგზა აბნეული მქონდა იმის შიშით, რომ თქვენთვის ზედმეტი ბარგი ვიყავი. ახლა კი ვიცი, რისთვისაც და ვისთვისაც უნდა განვიკურნო. ახლა აღარაფრის მეშინია. ხვალ, რაც შეიძლოთ, ადრე მოდით. მარად თქვენი ე.“

* * *

მარადო! უნებლიეთ ჟრუანტელმა დამიარა ამ სიტყვის წაკითხვაზე, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ბორკავს ადამიანს, მაგრამ უკანდასახევი გზა აღარ მქონდა. ჩემმა თანაგრძნობამ კიდევ ერთხელ დაჯაბნა ჩემი ნებისყოფა. ჩემს თავს უკვე აღარ ვეკუთვნოდი.

* * *

„გამაგრდი, ვუთხარი ჩემს თავს, ის, რასაც მხოლოდ ნახევრად შეჰპირდი, და რაც მთლიანად არასოდეს შესრულდება, მაქსიმუმი იყო იმისა, რაც დაგტყუეს. კიდევ ერთი-ორი დღე უნდა აიტანო ეს აბსურდული სიყვარული, მერე გაემგზავრებიან და შენ კვლავ შენი თავის ბატონ-პატრონი იქნები“. მაგრამ რაც უფრო ახლოვდება საღამო, მით უფრო მიპყრობდა მოუსვენრობა, მით უფრო მაწვალებდა აზრი, რომ სიცრუით გულში უნდა

გამეძლო მისი ნაზი და ნდობით აღსავსე მზერისთვის. ამაოდ ვცდილობდი, მეგობრებთან მხიარულად მესაუბრა მკაფიოდ ვგრძნობდი თავში პულსაციას, ნერვიულ თრთოლას და უეცარ სიმშრალეს სასაში, თითქოს ნელი ცეცხლი მიღვიოდა და ხრჩოლავდა. ამიტომ არც დავფიქრებულვარ, კონიაკი შევუკვეთე და უმალვე გადავკარი. მაგრამ ამან ვერ მიშველა. ამიტომ მეორე სირჩაც შევუკვეთე. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამეც მოვითხოვე, მივხვდი, რატომაც ვსვამდი. არაცნობიერად მინდოდა შევზარხოშებულიყავი, რომ ედითთან ვაჟკაცობა მყოფნოდა და სიმხდალე ან სანტიმენტალობა არ გამომეჩინა. მინდოდა წინასწარ გამეყუჩებინა გულში რომელიღაც გრძნობა არ ვიცი, შიში იყო ეს თუ სირცხვილი, რაღაც ძალიან კარგი, თუ, პირიქით, ძალიან ცუდი. დიახ, ეს იყო, სწორედ ეს გახლდათ! განა ამიტომ არ აძლევენ ჯარისკაცებს არყის ორმაგ ულუფას შეტევის წინ?

გაბრუება მსურდა, რომ ასე მძაფრად აღარ შემეგრძნო ის საჭოჭმანო და, შესაძლოა, სახიფათოც, რაც მომელოდა. მაგრამ ამ სამი ჭიქის შემდეგ მხოლოდ ის ვიგრძენი, რომ ფეხები დამიმძიმდა და უსაზღვროდ გრძელ შარაგზაზე გულისფანცქალით მივიწევდი საშინელი სახლისკენ და ფეხები უკან მრჩებოდა.

მაგრამ ყველაფერმა უფრო ადვილად ჩაიარა, ვიდრე მე მეგონა. მეორე, უფრო სხვაგვარი, უფრო უკეთესი თავდავიწყება მელოდა, უფრო დახვეწილი, უფრო სათუთი თრობა, ვიდრე ის, რომლისთვისაც სასმლით მინდოდა მიმეღწია: რადგან მაშინაც თვრები, როდესაც შენს პატივმოყვარეობას საზრდო ეძლევა, მაშინაც ბრუვდები, როდესაც მადლიერნი არიან შენი და თავბრუ გეხვევა, როდესაც ნაზად გეპყრობიან. კარში აღტაცებული შემომეგება მოხუცი, კეთილი იოზეფი.

– ო, ეს თქვენ ხართ, ბატონო ლეიტენანტო! – შესძახა მან, თან ცრემლი მოერია,

აღელვებისაგან ფეხი მოინაცვლა და ისე შემომხედა სხვანაირად ამას ვერ გამოვხატავ როგორც ხატს უჭვრეტენ ხოლმე ეკლესიაში. სასტუმრო ოთახში წამობრძანდით, ბატონო ლეიტენანტო! ფროილაინ ედითი უკვე დიდი ხანია გელით, – ჩამჩურჩულა და თან მორცხვად ცდილობდა აღტაცება დაეფარა.

გაკვირვებული ჩემს თავს ვეკითხებოდი: „რატომ მიყურებს ეს უცხო ადამიანი, ეს მოხუცი ლაქია, ასეთი აღტაცებით? რატომ ვუყვარვარ ასე ძლიერ? ნუთუ ადამიანები მართლაც უფრო სათნონი და ბედნიერები ხდებიან, როდესაც სხვის სიკეთესა და თანაგრძნობას ხედავენ? მაშ, მართალი ყოფილა კონდორი. მაშ, ვინც თუნდაც ერთ ადამიანს დახმარებია, ამაოდ არ უცხოვრია ამქვეყნად. მაშ, გამართლებული ყოფილა ყოველგვარი მსხვერპლი; და ტყუილიც კი, თუკი მას სხვებისათვის ბედნიერება მოაქვს“. მაშინვე ვიგრძენი ფეხებში სიმტკიცე. სულ სხვაგვარად მიაბიჯებს ადამიანი, როდესაც იცის, რომ თან სიხარული მიაქვს. ახლა უკვე ილონა შემომეგება, ისიც ასევე სახეგაბრწყინებული. ასე გულთბილად ჯერ არ ჩამოურთმევია ჩემთვის ხელი.

– გმადლობთ, – მითხრა მან და ეს ისე ჩამესმა, თითქოს ზაფხულის თბილ, შხაპუნა წვიმაში ატანდა მისი ხმა, – ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდი რამ გააკეთეთ ჩვენი საბრალო გოგონასთვის. თქვენ გადაარჩინეთ იგი, ღმერთმანი, ნამდვილად გადაარჩინეთ! წამოდით, ვერ აგიწერთ, რა მოუთმენლად გელით.

მაგრამ ამ დროს ოდნავ დაიჭრიალა მეორე კარმაც. მანამდეც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მის უკან ვიღაც იდგა და ყურს გვიგდებდა. კეკეშფალვა შემოვიდა, მაგრამ გუშინდელივით სიკვდილი და ძრწოლა კი არ გამოკრთოდა მისი თვალებიდან, არამედ ფაქიზი სიხარული.

– რა კარგია, რომ მოხვედით. თვალებს არ დაუჯერებთ, ისეა ედითი გამოცვლილი. მას შემდეგ, რაც ეს უბედურება დაემართა, ასე მხიარული და ბედნიერი არ მინახავს. პირდაპირ სასწაულია, ნამდვილი სასწაული! ო, ღმერთო, რამდენი რამ გააკეთეთ მისთვის, ყველა ჩვენგანისთვის!

ბოლო სიტყვა ბერიკაცმა ძლივს წარმოთქვა, გული ამოუჯდა, აზლუქუნდა, მაგრამ იმწამსვე შერცხვა, რომ გრძნობა მოერია. თანდათან მეც ამიჩქროლდა გული, ასეთი მადლიერების შემყურე, აბა, ვინ დარჩებოდა გულგრილი? ვფიქრობ, პატივმოყვარე არა ვარ, იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც აღტაცებულია და დიდი წარმოდგენისაა საკუთარი თავით, მაგრამ ეს ადამიანები ისე მადლიერნი იყვნენ ჩემით, ისე უსაშველოდ აღტაცებულნი, რომ ჩემდა უნებლიეთ, სადღაც გამიქრა შიში და სიმხდალე. რატომ არ უნდა დართო სიყვარულის ნება და არაფერზე ინაღვლო, თუკი ამას მათთვის ბედნიერება მოაქვს? ლამის უკვე მოუთმენლობამაც კი შემიპყრო. მინდოდა, რაც შეიძლება მალე შევსულიყავი ოთახში, გუშინწინ ესოდენ სასოწარკვეთილმა რომ დავტოვე.

და აი, სავარძელში ზის ქალიშვილი, რომელსაც ძლივსღა ვცნობ, ისე მხიარულად გამოიყურება. ნაზი ცისფერი აბრეშუმის კაბა კიდევ უფრო ბავშვურ იერს აძლევს, პატარა გოგონას ამსგავსებს. წაბლისფერ თმაში რომელიღაც თეთრი, ქათქათა ყვავილები ჩაუწნია – ნეტავი ტუიები ხომ არაა? ხოლო სავარძლის ირგვლივ – ვინ მოართვა ამდენი? – ყვავილების უამრავი კალათი დგას, ჭრელი ყვავილების მთელი წალკოტია. ეტყობა, იცოდა, რომ მოვედი, უეჭველად გაიგონებდა, როგორ მხიარულად მომესალმნენ სათითაოდ ყველანი და ჩემს ფეხის ხმასაც გაარჩევდა, როდესაც სასტუმრო დარბაზს ვუახლოვდებოდი. მაგრამ ამჯერად იმ გამომცდელი, ნერვიულად დაძაბული, გაფაციცებული მზერით არ შემეგება, რომელსაც უწინ შემოსვლისთანავე უნდობლად მომაპყრობდა ხოლმე ნახევრად დახრილ ქუთუთოებს ქვემოდან. ლაღად გამართული იჯდა სავარძელში; ამჯერად დამავიწყდა კიდეც, რომ პლედი სახიჩარ ფეხებს უფარავდა და ღრმა სავარძელი, კაცმა რომ თქვას, მისთვის დილეგი იყო; გაკვირვებული შევცქეროდი ამ ქალიშვილს, რომლის სიხარულიც კიდევ უფრო ბავშვური გამხდარიყო, ხოლო სილამაზე უფრო ქალური. ედითმა შენიშნა ჩემი განცვიფრება და როგორც დამსახურებული ძღვენი, ისე მიიღო. ძველებურად, უდარდელ მეგობრულ კილოზე მიმიპატიჟა:

– როგორც იქნა! როგორც იქნა მოხვედით! აი აქ, ჩემთან ახლოს დაბრძანდით და ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მეტყვით. მე თვითონა მაქვს თქვენთან სალაპარაკო.

სრულიად მშვიდად დავჯექი. ან კი, რატომ უნდა იყო დაბნეული და დარცხვენილი, როდესაც ასე გულღიად და მეგობრულად მოგმართავენ?

– მხოლოდ ერთ წუთს მადროვეთ. ხომ არ გამაწყვეტინებთ? – აქ ვიგრძენი, რომ ამჯერად ყოველი სიტყვა ჰქონდა აწონილ-დაწონილი. – მე ყველაფერი ვიცი, რაც მამას უთხარით, ვიცი, რაც ჩემთვის გსურთ გააკეთოთ; ჰოდა, ახლა თქვენც დამიჯერეთ, მეც გპირდებით, მეც სიტყვას გაძლევთ. არასოდეს გესმით? არასოდეს შეგეკითხებით, რატომ მოიქეცით ასე, მამაჩემის ხათრით თუ მართლაც ჩემი გულისთვის. მხოლოდ თანაგრძნობა იყო, თუ... არა, ნუ გამაწყვეტინებთ, მე არ მსურს ვიცოდე, არ მსურს-მეთქი... მე არ მინდა ამიერიდან ამაზე ვიფიქრო, თავიც დავიტანჯო და სხვებიც გავტანჯო. ისიც მეყოფა, რომ თქვენი მეოხებით ისევ ცოცხალი ვარ და შემდეგაც ვიცოცხლებ... რომ მხოლოდ გუშინ დავიწყე ცხოვრება. თუ მოვრჩი, მხოლოდ ერთ ვინმეს უნდა ვუმადლოდე, მხოლოდ თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ!

და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

– ჰოდა, ახლა მომისმინეთ,მე რაღაცას გპირდებით. გუშინ ყველაფერი მოვიფიქრე. პირველად მოხდა, რომ ყველაფერზე ფხიზლად ვმსჯელობდი, ჯანმრთელივით, ისე კი არა, როგორც უწინ, როდესაც დარწმუნებული არ ვიყავი მორჩენაში და ვღელავდი მოუთმენლობით შეპყრობილი. მხოლოდ ახლაღა ვხვდები, რა შესანიშნავია, როდესაც შიშით არა ხარ გათანგული და ისე ფიქრობ, როგორც ჯანმრთელი ადამიანი, და თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ, უნდა გიმადლოდეთ, რომ ამჟამად ასეთი გრძნობით ვარ გამსჭვალული. ამიტომ ყველაფერს შევასრულებ, რასაც კი ექიმები დამინიშნავენ, ყველაფერს, ყველაფერს, ოღონდ ადამიანად ვიქცე, სახიჩარი აღარ ვიყო. ფარხმალს არ დავყრი, არ მოვეშვები, რადგან ახლა ვიცი, რაც დევს სასწორზე. მთელი ჩემი არსებით, სულითა და გულით შევეცდები მორჩენას და, მე მგონი, რასაც ადამიანი ასე ესწრაფვის, იმას მიაღწევს კიდეც ღვთის შეწევნით. ყოველივე ამას თქვენთვის ვაკეთებ, ან, უფრო სწორად, იმისთვის, რომ მსხვერპლი არ გაგაღებინოთ. ხოლო თუ არაფერი გამოვიდა... გთხოვთ, ნუ გამაწყვეტინებთ!.. ან თუნდაც მხოლოდ ნაწილობრივ გამოვიდა, თუ სხვებივით თავისუფლად სიარული ვერ შევძელი, მაშინ ნურაფერს ინაღვლებთ! მაშინ მე თვითონ მოვაგვარებ ყველაფერს. ვიცი, არსებობს ისეთი მსხვერპლი, რომელიც არ შეიძლება მიიღო, მით უმეტეს, საყვარელი ადამიანისგან. ასე რომ, თუ ამ მკურნალობამ არაფერი მიშველა, რომელზეც უკანასკნელ იმედს ვამყარებ, უკანასკნელს! მაშინ მე აღარ მიხილავთ. ზედმეტ ბარგად არ აგეკიდებით, გეფიცებით, რადგან არ მინდა ვინმე შევაწუხო და მით უმეტეს თქვენ. სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა. მოდი, ამის შესახებ საერთოდ ნუ ვისაუბრებთ, რამდენიმე საათი დაგვრჩენია ერთად ყოფნისა და მინდა ბედნიერად გავატაროთ ეს ხანმოკლე დრო.

თითქოს სულ სხვა ხმა ჰქონდა, როდესაც ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, მოზრდილი ადამიანის ხმა, თვალებიც სულ სხვა უკვე არც ბავშვური და შეშფოთებული, არც სნეულის მომთხოვნი და მავედრებელი, და სიყვარულითაც, არ გამომპარვია ეს, სულ სხვა სიყვარულით ვუყვარდი დღეს: ფარული ტრფიალით კი არა, როგორც პირველ ხანებში, და არც ხარბით და გატანჯულ-განაწამებით, როგორც შემდგომ. მეც სულ სხვა თვალით ვუცქერდი დღეს: ამ უბედურს რომ თანავუგრძნობდი, ეს ამბავი უწინდებურად კი არ მთრგუნავდა, შიშითა და სიფრთხილით კი არ ვიყავი მოცული, არამედ

გულითადი და ნათელი განწყობა მქონდა. ეს პირველად იყო, რომ ანგარიშმიუცემლად ნამდვილი სინაზე ვიგრძენი ამ სათუთი, მომავალი ნანატრი ბედნიერების ათინათით სახეგაბრწყინებული გოგონასადმი. ვერც კი აღვიქვი, რას ჩავდიოდი, რა მინდოდა, რას ვაპირებდი, ისე მივუჯექი ახლოს და ხელი ჩავკიდე. მაგრამ მაშინდელივით კი არ ანთებულა გრძნობამორეული ჩემი შეხებისგან, წყნარად და გამგონედ ესვენა მისი გრილი გამხდარი მაჯა ჩემს ხელში და გახარებული ვგრძნობდი, როგორ სცემდა პაწია ჩაქუჩივით მისი პულსი.

შემდეგ ძალდაუტანებლად ვისაუბრეთ მის გამგზავრებასა და ყოველდღიურ წვრილმანზე, ქალაქისა თუ ყაზარმის ახალ ამბებზე. ვერაფრით გამეგო, რატომ ვიტანჯავდი თავს, თუკი ყველაფერი ასე უბრალოდ მოგვარდებოდა. აი, ედითის გვერდით ვზივარ, ხელთ მისი ხელი მიპყრია და არაფრის დამალვა არ მჭირდება, აშკარაა, რომ ორივეს რაღაც დაუოკებელი სიხარული გვამოძრავებს. და არც ვეწინააღმდეგები ამ ნაზ გრძნობას, პირიქით, გულწრფელად მადლიერები ვართ ერთმანეთისადმი და დაურცხვენლად ვიღებთ ერთიმეორისგან წამოსულ გრძნობას. უფრო მოგვიანებით სუფრასთან ვისხედით. ვერცხლის შანდლები ციმციმებდნენ სანთლების ალში; ბროლის ჭაღის ნათება სარკიდან სარკეში ირეკლებოდა, ხოლო ირგვლივ ვეებერთელა ნიჟარასავით, რომელშიც კაშკაშა მარგალიტი ბრჭყვიალებდა, მრუმე თაღივით შემოგვდგომოდა მდუმარებაში ჩაძირული სახლი. დროგამოშვებით, როდესაც ღია ფანჯრებიდან ბაღის სურნელი ატანდა, ასე მეგონა, ისიც კი მესმოდა, როგორ სუნთქავდნენ გარეთ ხეები და როგორ ვნებიანად ელამუნებოდა ნიავი ბალახს. ყველაფერი უფრო მშვენიერი და წარმტაცი იყო, ვიდრე ოდესმე. ბერიკაცი ქურუმივით საზეიმოდ მხრებში გამართული იჯდა. ასეთი მხიარული ჯერ არ მჩვენებია ედითი, და არც ილონა... ასე თეთრად გაქათქათებული ჯერ არ ყოფილა ლაქიის გულისპირიც; ჭამა-სმითა და საუბრით ვიყავით გართული, თან კვლავ მოპოვებული ერთსულოვნებით ვტკბებოდით. მოჭიკჭიკე ჩიტივით უდარდელად დანანაობდა ჩვენ შორის სიცილი, ანც ზვირთებად დგაფუნობდა მხიარულება და მხოლოდ მაშინ, როდესაც მსახურმა შამპანური დაგვისხა, მე, სასმისით ხელში პირველმა მივმართე ედითს: თქვენი ჯანმრთელობისა იყოს-მეთქი და იმ წამს უცაბედი სიჩუმე ჩამოვარდა.

– ჰო, ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა! – ამოიოხრა ედითმა და ისეთი რწმენით შემომხედა, თითქოს ჩემს სურვილს სიკვდილსიცოცხლის განჩინება ძალუძდა...

– ღმერთმა ქნას! – წარმოთქვა მამამისმა და ადგა. თავი ვეღარ შეიმაგრა, თვალებზე ცრემლი მოერია. სათვალე მოიხსნა და გულმოდგინედ დაუწყო წმენდა. ვგრძნობდი, რომ გულით უნდოდა ხელი შეეხო ჩემთვის. მეც მსურდა რითიმე მადლობა გადამეხადა მისთვის. ავდექი და ხელი გადავხვიე. მისი წვერი ლოყაზე შემეხო, ხოლო როდესაც ჩემი მკლავისაგან თავი გაითავისუფლა, შევნიშნე, რომ ედითი მე მიყურებდა, ბაგე ოდნავ უთრთოდა კიდეც. ვიგრძენი, მის ნახევრად გადაპობილ ტუჩებსაც ალერსი სწყუროდა, მეც დავიხარე და დავეკონე...

ასე შედგა ჩვენი ნიშნობა... მერე, შემდეგ ვაღიარე, რომ ჩემი შეგნებისა და ნებელობის გარეშე მოხდა ყველაფერი, მაგრამ არ ვნანობდი ამ ნაუცბათევ წმინდა ამბორს, რადგან

მაშინდელივით გააფთრებული კი არ მომეკრა, ბედნიერებით ანთებული კი არ ცდილობდა დავეჭირე, არამედ კრძალვით, როგორც უდიდესი ჯილდო, ისე მიიღო მისმა ბაგეებმა ჩემი ამბორი. დანარჩენები დუმდნენ, მხოლოდ კუთხიდან მოისმა რაღაც დახშული ხმა. თავდაპირველად მეგონა, ვიღაცამ უხერხულად ჩაახველა-მეთქი, მაგრამ როდესაც იქით გავიხედე, მსახური დავინახე, რომელიც კუთხეში მიმდგარიყო და ჩუმად ტიროდა. იოზეფს შამპანურის ბოთლი მაგიდაზე დაედგა და კედლისკენ მიბრუნებულიყო, რომ არ შეგვემჩნია, როგორ „შეუფერებლად“ ღელავდა. მაგრამ ყოველ ჩვენგანს ამ ანაზდეული ცრემლების დანახვაზე, თავადაც აგვიწყლიანდა თვალები... უეცრად ედითის ხელის შეხება ვიგრძენი ხელზე.

– ერთ წამს მოიცადე, – მითხრა მან ათრთოლებული ხმით.

ერთბაშად ვერც კი გავიგე, რა ჰქონდა განზრახული, რომ რაღაც ცივი და გლუვი წამომაცვა არათითზე... ბეჭედი იყო.

– ...ჩემზე რომ იფიქრო ხოლმე, როცა აქ აღარ ვიქნები, მოიბოდიშა თითქოს. არც კი დამიხედავს თითებზე, ბაგესთან მივიტანე მისი ხელი და ნაზად ვეამბორე...

* * *

იმ საღამოს ღმერთი ვიყავი. სამყარო შევქმენი და ვიხილე, რომ სიკეთითა და სამართლიანობით იყო აღსავსე. ადამიანი შევქმენი და შუბლი მისი ცისკარივით ბრწყინავდა, ხოლო მის თვალებში ბედნიერება ცისარტყელას დარად ათინათობდა. ხვავითა და ბარაქით სავსე სუფრა გავშალე, ხილი მოვიწიე, ღვინო და ნუგბარნუგბარი კერძები მოვმადლე და ჩემი სიუხვის ეს უტყვი მოწმენი, ისე იყვნენ ჩემ წინ დახვავებულნი, როგორც სამსხვერპლო საბოძვარნი საკურთხეველზე. ძვირფასი ლანგრებითა და ვეებერთელა კალათებით შემოჰქონდათ ყოველივე ეს. თოვლივით ქათქათებდა თეთრი სუფრა, სასმისებში მზესავით ბრჭყვიალებდა ჭაღის შუქი; და ვგრძნობდი, რომ ადამიანებმა შეიყვარეს ნათელი, რომლის წყაროც მე ვიყავი; მეც ვიღებდი მათ სიყვარულს და ამით ვთვრებოდი. ისინი ღვინოს მთავაზობდნენ და მეც ბოლომდე ვცლიდი სასმისებს, ხილითა და ნუგბარი კერძებით მიმასპინძლდებოდნენ და მეც გულს მიხარებდა მათი ძღვენი. მადლიერნი, კრძალვით მეპყრობოდნენ და მეც ისევე ვიღებდი მათ თაყვანისცემას, როგორც მათსავე სამსხვერპლო საჭმელ-სასმელს.

იმ საღამოს ღმერთი ვიყავი. მაგრამ უზენაესი ტახტიდან გულცივად კი არ შევყურებდი ჩემს ნამოქმედარს და ნამოღვაწარს; გულღიად, მეგობრულად ვიჯექი ჩემს ქმნილებათა შორის და ჩემს ვერცხლისფერ ღრუბელთა ბურანის მიღმა ბუნდოვნად აღვიქვამდი მათ სახეებს. მხარმარცხნივ ბერიკაცი მეჯდა. სიკეთის დიად ნათელს, რომელიც ჩემგან იფრქვეოდა, უწინ ნაოჭებით დაღარული შუბლი გადაეტკიცა მისთვის და თვალის უპეებიდან ჩრდილები წარეხოცა, მრუმე სევდად რომ აჩნდა ხოლმე მარად. სიკვდილს განვარიდე იგი და მკვდრეთით აღმდგარის ხმით მეტყველებდა, მადლიერი ნეტარებდა იმ სასწაულით, რომელიც მე მოვუვლინე. მხარმარჯვნივ ქალიშვილი იყო დავანებული, ოდესღაც სნეული, ხეიბარი, სავარძელზე მიჯაჭვული, თავის უბედურებაზე ფიქრით

გაწამებული, ახლა კი გამოჯანმრთელების სხივფენილი შარავანდედით შემოსილი. ჩემმა ბაგეებმა ამოიტაცა იგი შიშის გეენიდან, სიყვარულის სამოთხემდე აღამაღლა და ახლა მისი ბეჭედი ცისკრის ვარსკვლავივით ციაგებდა ჩემს თითზე. მის პირდაპირ კი მეორე ქალიშვილი იჯდა, მასაც სახე გაბადროდა მადლიერი ღიმილით, რამეთუ სილამაზე შევძინე მის პირისახესა და შუბლს, ზეგარდმო შავად დაქუფრული სურნელოვანი ტევრი.

ყველანი დავაჯილდოე და აღვამაღლე ჩემი იქ ყოფნის სასწაულით. ყველას თვალებში ჩემი ნათელი უციმციმებდა, და როცა ერთმანეთს უყურებდნენ, ჩემი ანარეკლი აცისკროვნებდა მათ მზერას, ხოლო როდესაც ერთმანეთში საუბრობდნენ, მე, მარტოოდენ მე შევადგენდი მათი სიტყვების დედააზრს, და თვით მაშინაც კი, როდესაც დუმდნენ, მათი აზრები მე დამტრიალებდნენ. მე, მარტოოდენ მე ვიყავი სათავე, საფუძველი და საბაბი მათი ბედნიერებისა; როდესაც ერთმანეთი უყვარდათ, მე მეტრფოდნენ, როგორც მათი სიყვარულის შემოქმედს. მე კი მათ შორის ვიჯექი, ვხარობდი ჩემი ნამოღვაწარით და ვგრძნობდი, რაოდენ კარგია, როდესაც კეთილად ეპყრობი შენს ქმნილებებს. და საჭმელ-სასმელთან ერთად დიდსულოვნად ვეძალებოდი მათ სიყვარულსა და ბედნიერებას.

იმ საღამოს ღმერთი ვიყავი. მე დავამარცხე დარდისა და შფოთის ბობოქარი ტალღები, გულებიდან განვდევნე წყვდიადი, ამასთანავე აღვგავე ჩემი შიშიც, სული დავიმშვიდე, როგორც არასდროს ცხოვრებაში. ხოლო როცა ღამე ჩამოწვა და სუფრიდან ავდექი, რაღაც სიმძიმილი ვიგრძენი, იდუმალი, მარადიული სიმძიმილი. ეს იყო მეშვიდე დღეს, როცა ყველა საქმე უკვე მოთავებულია, გასაკეთებელი გაკეთებულია, და ეს სიმძიმილი უმალვე აირეკლა მათ გაცრეცილ სახეებში, რადგან დადგა დრო გამოთხოვებისა. ყველანი საოცრად აღელვებულნი ვიყავით, თითქოს ვიცოდით, რომ რაღაც ერთადერთი და განუმეორებელი დასრულდა, ერთი იმ იშვიათ საღამოთაგანი, როდესაც საათები ღრუბლებივით მიქრიან და უკან აღარასოდეს ბრუნდებიან. მე თავადაც (ეს პირველად იყოამ ხნის განმავლობაში) მაკრთობდა ის აზრი, რომ ედითი უნდა დამეტოვებინა: მიჯნურივით ვაჭიანურებდი გამოთხოვებას ქალიშვილთან, რომელსაც ვუყვარდი. „რა კარგი იქნებოდა, – გავივლე გუნებაში, – კიდევ ცოტა ხანს რომ შეიძლებოდეს მის სასთუმალთან ვიჯდე და ხელი გადავუსვა ხოლმე ნაზსა და გაუბედავ ხელზე, თან ვუცქერდე, ბედნიერების სხივი როგორ უცისკროვნებს სახეს ღიმილით“.

მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამიტომ საჩქაროდ მოვეხვიე და ტუჩებში ვაკოცე. ვიგრძენი, როგორ შეიმაგრა სუნთქვა, თითქოს სურდა სამუდამოდ შეენახა სითბო, რომელიც ჩემი ბაგით გადავეცი. შემდეგ კარისკენ გავემართე და მამამისიც გამომყვა. უკანასკნელად მივიხედე ედითისაკენ, გამოთხოვების ნიშნად ხელი დავუქნიე და დავტოვე იქაურობა ლაღად და გულდაჯერებულად, როგორც ყოველთვის მოდის ადამიანი წარმატებით დაგვირგვინებული საქმის შემდეგ... გაწეული ღვაწლისა და ამაგის შემდეგ...

* * *

წინკარში გამოვედი, სადაც ლაქია უკვე მიცდიდა ქუდითა და ხმლით ხელში. აჰ, ნეტავ, ცოტა ავჩქარებულიყავი! ნეტავ, ამდენი გულისხმიერება არ გამომეჩინა! მაგრამ ბერიკაცი არა და არ მშორდებოდა. ერთხელ კიდევ გამაჩერა, ერთხელ კიდევ მომითათუნა მხარზე ხელი და (ვინ იცის, ეს უკვე მერამდენედ) მაუწყა, როგორი მადლობელია ჩემი და რა დიდი რამ გავაკეთე მისთვის; რომ ახლა შეუძლია მშვიდად მოკვდეს, მისი გოგონა გამოჯანმრთელდება და ყოველივე კეთილად დაგვირგვინდება ჩემი წყალობით, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წყალობით. სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა ამ ლაციცისა და ფარისევლობის ატანა, განსაკუთრებით ლაქიის თანდასწრებით, რომელიც თავდახრილი იდგა და მოთმინებით იცდიდა. უკვე მერამდენედ ჩამოვართვი ბერიკაცს ხელი გამოთხოვების ნიშნად, მაგრამ ის ისევ და ისევ თავიდან იწყებდა და მეც, ჩემი თანაგრძნობით გამოთაყვანებული, ადგილიდან არ ვიძროდი. ძალა არ მყოფნიდა, დავსხლტომოდი ხელიდან, თუმცა რაღაც ქვეცნობიერი ხმა ჩამჩიჩინებდა: კარგი, გეყოფა, ისედაც უკვე მეტისმეტიაო!

უეცრად რაღაც ხმაური გაისმა დახურულ კარს მიღმა. სმენად ვიქეცი გარკვევით გავარჩიე მოკამათეთა ხმები. თავზარდაცემულმა მყისვე ედითი და ილონა შევიცანი. პირველი, როგორც ჩანდა, რაღაცას აპირებდა, მეორე კი ცდილობდა ხელი აეღებინებინა ამ განზრახვაზე. „გეხვეწები, გარკვევით გავიგონე ილონას მუდარა. არ გინდა, დარჩი!“ და გაკაპასებული ედითის როყიო პასუხი: „არა, გამანებე თავი, შემეშვი!“ სულ უფრო და უფრო შეშფოთებული ვუსმენდი მათ ხმებს, თუმცა ბერიკაცი გაუთავებლად მექაქანებოდა. რა ხდებოდა იქ, დახურულ კარს მიღმა? რამ დაარღვია მშვიდობა, ჩემ მიერ დამყარებული მშვიდობა, ღვთაებრივი ზავი დღევანდელი დღისა? ნეტავ, რა უნდა ასეთი დაჟინებით ედითს და რას უშლის ილონა? უეცრად ნაცნობი, ამაზრზენი კაკუნი ისმის ყავარჯნების ტაკა-ტუკი. ღმერთო, ნუთუ უნდა იოზეფის დაუხმარებლად ჩემთან გამოვიდეს? აი, უკვე ახლოდან და ჩქარ-ჩქარა მოისმის ხის რაკა-რუკი: ტაკ... ტაკ... მარჯვნივ... ტუკ... ტუკ... მარცხნივ... მარჯვნივ და მარცხნივ, მარჯვნივ და მარცხნივ... ჩემდა უნებლიეთ, წარმოვიდგინე ყავარჯნებზე მოქანავე მისი სხეული, ალბათ ახლა უკვე სულ ახლოს იყო კართან. შემდეგ რაღაც ფხაჭა-ფხუჭი და ბრაგუნი გავიგონე, თითქოს რაღაც რბილი დაეჯახა კარსო. ამას მოჰყვა მძიმე ქშენა, ვიღაცამ დაბლა დასწია კარის სახელური და კარი ყურამდე გაიღო.

საზარელი სანახაობა წარმომიდგა! კარში ედითი გამოჩნდა, მეტისმეტი დაძაბულობისგან სულს ძლივს ითქვამდა, მარცხენა ხელით კარის კიდეს ჩასჭიდებოდა გააფთრებით, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა, მარჯვენაში ორივე ყავარჯენი ეჭირა. მის უკან ილონა წრიალებდა, დაბნეულ სახეზე ეტყობოდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თან ედითის შველას ლამობდა, თან ჩვენკენ არ უნდოდა გამოეშვა. მაგრამ სნეული მოუთმენლად და მრისხანედ აკვესებდა თვალებს.

– გამიშვი, გამიშვი-მეთქი, გეუბნები, უყვიროდა იგი აბეზარ დამხმარეს, – არავის შველა არ მჭირდება, ჩემითაც შემიძლია.

და შემდეგ, ვიდრე კეკეშფალვა ან მსახური გონს მოსვლას მოასწრებდნენ, დაუჯერებელი რამ მოხდა. სახიჩარმა მეტისმეტი დაძაბულობისაგან ტუჩი მოიკვნიტა, ფართოდ გახელილი ანთებული თვალებით მომაჩერდა და როგორც მოცურავე ნაპირს, ისე ერთბაშად მოსწყდა კარის ამყოლს, თავის ერთადერთ საყრდენს, რათა სრულიად თავისუფლად, უყავარჯნებოდ წამოსულიყო ჩემკენ. ბიძგის მომენტში ედითი შექანდა, თითქოს უკან უნდა გადავარდესო ოთახის სიცარიელეში, მაგრამ უმალვე ორივე ხელი აიქნია ჰაერში წონასწორობის დასაცავად, თავისუფალი მარცხენაც და მარჯვენაც (რომლითაც ორივე ყავარჯენი ეჭირა), შემდეგ ერთხელ კიდევ მოიკვნიტა ტუჩი, წინ გადმოდგა ცალი ფეხი და ახლა მეორე აითრია. თოჯინას მოძრაობას ჰგავდა მისი სხეულის ეს ნაძალადევი მიხრა-მოხრა. მაგრამ მაინც მოდიოდა, მოდიოდა! ფართოდ გახელილი თვალებით მარტოოდენ მე მომჩერებოდა და მოდიოდა, თითქოს რომელიღაც უხილავი ძაფი ეწეოდა ჩემკენ. სახე საშინლად დასძაბვოდა და თან აქეთ-იქით ქანაობდა, როგორც ნავი გრიგალში, მაგრამ მაინც მოდიოდა, პირველად მოდიოდა სხვის დაუხმარებლად და უყავარჯნოდ, ნებისყოფამ სასწაულებრივად ჩაჰბერა სიცოცხლე მკვდარ ფეხებს... შემდგომ ვერც ერთმა ექიმმა ვერ შეძლო ჩემთვის აეხსნა, როგორ მოახერხა ფეხებდადამბლავებულმა ქალიშვილმა ამ ერთადერთხელ მაინც დაეხსნა საპყარი ფეხები სისუსტისა და უძლურების ტყვეობისგან, ხოლო მე ვერ აგიწერთ, როგორ მოხდა ეს, რადგან ყველანი მონუსხულები შევცქეროდით აღგზნებულ თვალებში მას; თვით ილონასაც კი დაავიწყდა უკან გაჰყოლოდა და თუ საჭირო გახდებოდა, დახმარებოდა. თითქოს შინაგანმა ქარტეხილმა აიტაცაო, ისე განვლო ედითმა ეს ორიოდე ნაბიჯი. კაცმა რომ თქვას, კი არ მოდიოდა, მოფრინავდა, იატაკის გასწვრივ მოფარფატებდა ფრთებდაჭრილი ჩიტივით. მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფა (ეს დემონი ჩვენი გულისა) მოაქანებდა მას. და აი, უკვე სულ ახლოს მოვიდა, გამარჯვების მოზეიმემ მგზნებარედ გამომიწოდა ხელები, რომლებსაც აქამდე ჰაერში ასავსავებდა წონასწორობის შესანარჩუნებლად, და სახის დაძაბული ნაკვთები უკვე ბედნიერმა ღიმილმა გაუცისკროვნა: შეძლო, სასწაული მოახდინა, აი, კიდევ ორი ნაბიჯიც და... არა, მხოლოდ ერთი, უკანასკნელი ნაბიჯი... მე უკვე ვგრძნობდი მის მოღიმარ ბაგეთა სიტკბოს... მაგრამ აქ შემზარავი რამ მოხდა. ჩემთან ჩაკონების მომლოდინემ ისე მგზნებარედ და ნაადრევად გაშალა მკლავები, რომ შეტორტმანდა, წონასწორობა დაკარგა, მოცელილივით ჩაიკეცა მუხლებში და წაიქცა. ყავარჯნები ბრახაბრუხით დაცვივდა წინკარის ქვის ფილებზე. ისეთი თავზარი დამცა ამ ამბავმა, რომ უნებლიეთ უკან დავიხიე, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის დახმარება აღმომეჩინა.

თითქმის ერთდროულად მასთან გაჩნდნენ კეკეშფალვა, ილონა და იოზეფი. აიტაცეს მკვნესარე ედითი და სახლში შეიყვანეს. ძალა არ შემწევდა მათკენ გამეხედა. მხოლოდ ედითის უსასოო, მწარე, ყრუ ქვითინი მესმოდა. თვალის დახამხამებაში გაიფანტა აღფრთოვანების ბურუსი, რომელიც მთელი საღამო თვალებს მიბურავდა, და ყოველივე საზარელი სიცხადით განვჭვრიტე ამ წამიერი ნათელხილვის ჟამს: ახლა უკვე ვიცოდი, რომ ეს უბედური ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდებოდა! სასწაული, რომელსაც ჩემგან მოელოდნენ, არ მოხდა. ამიერიდან ღმერთი კი აღარ ვიყავი, არამედ პატარა, საცოდავი

ადამიანი, რომლის უზნეობა არამზადობაზე უარესი გამოდგა, რომლის თანაგრძნობასაც მარტოოდენ ვნება და ნგრევა მოჰქონდა. საშინელი სიცხადით ვგრძნობდი სულის სიღრმეში ჩემს ვალს: ან ახლა, ან არასოდეს უნდა დამემტკიცებინა მისთვის ჩემი ერთგულება; ახლა ან არასოდეს უნდა დავხმარებოდი, უკან დავდევნებოდი, სასთუმალთან ჩამოვჯდომოდი, დამემშვიდებინა, მომეტყუებინა, რომ საუცხოოდ გაიარა და აუცილებლად მოეღებოდა ბოლო მის ტანჯვას! მაგრამ ძალა აღარ შემწევდა ასეთი ტყუილის სათქმელად. შიშმა შემიპყრო, ძრწოლამ ამიტანა. ვეღარ გავუძლებდი მის მავედრებელ და ჟინმორეულ თვალთა მზერას... მისი მღელვარე გულის მოუთმენლობა მაფრთხობდა... ბევრი აღარ მიფიქრია. ხელი დავავლე ხმალსა და ქუდს და უკვე მესამეჯერ, მაგრამ ამჯერად უკანასკნელადაც, დამნაშავესავით გამოვიქეცი ამ სახლიდან.

ჰაერი, ჩქარა ჰაერი, თორემ ლამის დავიხრჩო! შეხუთული ღამის ბრალია, ხეებს შორის რომ გარინდულა, თუ ღვინის, რომელიც ზომაზე მეტი მომივიდა, რომ ასე ვგრძნობ თავს? ტანზე საზიზღრად მეკრობა სველი პერანგი, საყელოს ვიხსნი, სიამოვნებით სადმე გადავუძახებდი ამ ფარაჯასაც, ისე მძიმედ მაწევს მხრებზე. ჰაერი, ერთი ყლუპი ჰაერი მენატრება! ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სადაცაა კანის ფორებიდან სისხლი გადმოჟონავს, ისე ცხლად მიტრიალებს სხეულში, ხოლო ყურებში ჩაქუჩის ხმაურივით ჩამესმის: ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ეს ისევ ყავარჯნების ამაზრზენი ხმებია, თუ მხოლოდ პულსაცია საფეთქლებში?! ან ასე დაოთხილი რას გამოვრბივარ? რა მოხდა, კაცმა რომ თქვას? დინჯად, მშვიდად უნდა მოვიფიქრო რაღაც და ყური არ ვათხოვო ამ ტაკა-ტუკს! მაშ ასე, მე დავინიშნე... არა, მე დამნიშნეს... მე ხომ არ მინდოდა, აზრადაც არ მომსვლია... ჰოდა, ახლა დანიშნული ვარ, ხელ-ფეხშებორკილი... თუმცა არა... სწორი არ არის... მე ხომ ვუთხარი ბერიკაცს: მხოლოდ მაშინ, თუ გამოჯანმრთელდება-მეთქი... ჩემს დაპირებას კი მხოლოდ მაშინ აქვს ძალა... არა, საერთოდ არა აქვს ძალა!.. არაფერიც არ მომხდარა, სულაც არაფერი. მაგრამ, თუ ასეა, რატომღა ვაკოცე, ისიც ტუჩებში?.. მე ხომ არ მინდოდა... აჰ, ეს წყეული თანაგრძნობა, ისევ ეს წყეული თანაგრძნობა! მუდამ ამ ანკესით მიჭერდნენ ხოლმე და აი, წამოვეგე კიდეც. დავინიშნე, როგორც წესი და რიგია, ორი მოწმის თანდასწრებით, მამა იყო, ილონა და ახლა ის მსახურიც... მე კი არ მინდა, არა და არ მინდა... როგორ მოვიქცე?.. მთავარია, სიდინჯე არ დავკარგო!.. მშვიდად მოვიფიქრო ყველაფერი!.. ო, რა ამაზრზენია ეს გაუთავებელი ტაკა-ტუკი ყურებში... ახლა მუდამ გავიგონებ ხოლმე, ყველგან კუდში დამედევნება თავისი ყავარჯნებით!.. მოხდა, რაც მოსახდენი იყო, და აღარაფერი ეშველება. მე მოვატყუე და მათაც მომატყუეს. დავინიშნე, მაიძულეს დავნიშნულიყავი...

მაგრამ ეს რაღაა? რატომ შექანდნენ ერთბაშად ხეები? ან ვარსკვლავებს ლიბრი რატომ გადაეკრა? ეტყობა, თვალები მიჭრელდება... თავიც როგორი დამძიმებული მაქვს! ო, როგორი შეხუთულია ჰაერი! სადმე შუბლის გაგრილება მაინც რომ შეიძლებოდეს, მაშინ ისევ შევძლებდი სწორად აზროვნებას. ანდა რაიმე რომ დამალევინა, ყელს გავისველებდი და იქნებ, ნაღველივით მწარე ლაბაც მომეშორებინა... აქ, მგონი,სადღაც ჭა უნდა იყოს, მე ხომ ხშირად მიხდება აქ ცხენით გავლა... თუმცა არა, ჭას კარგა ხანია ჩავუარე. ეტყობა, მართლაც გიჟივით გამოვრბოდი, ამიტომაცაა, რომ ასე მიცემს

საფეთქლები, გაუთავებლად მიცემს და მიცემს!.. ძლივს, როგორც იქნა! იქ, სადაც განაპირა დაბალი სახლები იწყება, ნახევრად ფარდაჩამოშვებული ფანჯრიდან სინათლე გამოკრთის, ნავთის ლამპის მოყვითალო შუქი. ჰო, ახლა მაგონდება: იქ პატარა საგარეუბნო სამიკიტნოა, სადაც დილაობით მეფორნეები შეირბენენ ხოლმე, რომ თითო ჭიქა არაყი გადაჰკრან და გახურდნენ. ერთ ჭიქა წყალს მოვითხოვ, ანდა რამე ცხარეს ან მწარეს, რომ ყელში გაჩხერილი ნაღველი ჩამიწმინდოს!.. ნეტავ, რამე დამალევინა, სულერთია, რაც უნდა იყოს! წყურვილისგან მომაკვდავივით მოთმინებადაკარგული დაუფიქრებლად ვკარი ხელი დუქნის კარს...

ნახევრად ბნელი სარდაფიდან რაღაც მყრალი სუნი მცემს. უკან დახლია, ზედ ერთნახადი არაყი დგას, წინ კი მაგიდაა, რომლის გარშემოც გზის მუშებს მოუყრიათ თავი და ბანქოს თამაშობენ. დახლზე, ჩემგან ზურგშექცევით, რომელიღაც ჯარისკაცი გადაყუდებულა და სამიკიტნოს დიასახლისს ეარშიყება. ეტყობა, ორპირ ქარზე გრძნობს, რომ კარი გაიღო, ჩემკენ იხედება და შიშისგან პირდაღებული სმენაზე დგება, თან ქუსლს ქუსლზე ურტყამს. ნეტავ, ასე რამ დააფრთხო? ჰო, მართლა, ალბათ პატრული ვგონივარ და ის კი უთუოდ კარგა ხანია ყაზარმაში უნდა იყოს მოყუჩებული. სამიკიტნოს დიასახლისიც შეშფოთებული მიმზერს, მუშებიც თავს ანებებენ თამაშს. ალბათ, შეშფოთებული იერი მაქვს. და მხოლოდ ახლაღა, ერთობ გვიან, მოვდივარ აზრზე ალბათ, ეს ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც მხოლოდ რიგითი შემადგენლობა დადის და მე, როგორც ოფიცერს, არ მეკადრება აქ შემოსვლა. ინსტინქტურად უკან ვტრიალდები, მაგრამ სამიკიტნოს დიასახლისი უკვე გამოქანდა ჩემკენ და მოკრძალებით მეკითხება, რით შემიძლია გემსახუროთო. ვგრძნობ, რამე უნდა ვთქვა და ჩემი ვიზიტი როგორმე მაინც გავამართლო:

– რაღაც უქეიფოდ ვიგრძენი თავი, – ვუთხარი მას, – სოდიანი წყალი ხომ არ გექნებათ და ერთი ჭიქა სლიბოვიცი?

– როგორ არა, ახლავე მოგართმევთ, – მპასუხობს დიასახლისი და კარს უკან უჩინარდება.

დახლთან ვაპირებდი ორივე ჭიქის სახელდახელოდ გამოცლას, მაგრამ სარდაფის შუაგულში ნავთის ლამპა ერთბაშად ქანაობას იწყებს, ბოთლები თაროებზე თითქოს ერთმანეთს ეწებებიან, ფეხქვეშ ფიცრული იატაკი მეცლება და ისე ირწევა და ირყევა, რომ ლამის წავიქცე. „უნდა დავჯდე“, ვამბობ გუნებაში, უკანასკნელ ძალებს ვიკრებ, ბარბაცით მივდივარ თავისუფალ მაგიდასთან და სკამზე ვეცემი. დიასახლისს სოდიანი წყალი მოაქვს, ერთი მოსმით ვსვამ. „უჰ, რა ცივია და სასიამოვნო. ახლა სწრაფად გადავკრავ მაგარ არაყსაც“, ვფიქრობ, მაგრამ ადგომა მიჭირს. ფეხები თითქოს იატაკზე მიმელურსმა და თავიც საოცრად დამძიმებული მაქვს. ერთ ჭიქა სლიბოვიცს კიდევ ვითხოვ. მერე სიგარეტს გავაბოლებ და მოვუსვამ აქედან...

სიგარეტს ვუკიდებ. ნეტავ, ერთ წამს კიდევ დამსვა სადმე. გაბრუებულ თავზე ხელებშემოჭდობილი ვიჯდები და ვიფიქრებ... ყველაფერს მოვიფიქრებ, ყველაფერს ავწონ-დავწონი... მე... მე დანიშნული ვარ... მე დავინიშნე... მაგრამ ამას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ... არა, თავის დაძვრენა არ იყოს... ყოველთვის აქვს ძალა, ყოველთვის...

ტუჩებში ვაკოცე, ჩემი ნებით ვაკოცე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მის დასამშვიდებლად მოვიქეცი ასე; ასეთ მდგომარეობაში მყოფს ცოლად ვინ ითხოვს?.. ის ხომ ნამდვილი ქალი არ არის, ის ხომ... მაგრამ არა, ხელიდან არ გამიშვებენ, წირვა გამოუვიდა ჩემს თავისუფლებას... ის ბერიკაცი ნამდვილი ჯინია, ნამდვილი ჯინი! ჯინი, რომელსაც პატიოსანი კაცის სევდიანი სახე აქვს და ოქროს სათვალე უკეთია. ისეა ჩემზე ჩაბღაუჭებული, რომ ვერასგზით ვერ მოვიშორებ. ერთთავად ჩემს მკლავზეა ჩამოკონწიალებული, ჩემი თანაგრძნობით სარგებლობს, ჩემი წყეული თანაგრძნობით... ხვალ უკვე მთელ ქალაქს მოსდებენ, გაზეთში გამოაქვეყნებენ ამ აბსურდულ ამბავს და მერე მორჩა... უკანდასახევი გზა აღარ მექნება... იქნებ სჯობდეს კიდეც, რომ ახლავე ნიადაგი მოვამზადო, დაუყოვნებლივ ვაცნობო ჩვენებს, რათა დედ-მამამ სხვებისგან (ანდა, რაც კიდევ უარესია), გაზეთიდან არ შეიტყონ ეს ამბავი? ავუხსნა მათ, როგორ და რანაირად დავინიშნე, და რომ... რომ სულაც არ ვაპირებდი და მხოლოდ თანაგრძნობის გამო შევტოპე ასე ღრმად... აჰ, ეს წყეული თანაგრძნობა! და პოლკშიც, რა თქმა უნდა, ვერ გამიგებენ, ვერც ერთი მეგობარი ვერ გამიგებს. რაო, რა თქვა შტაინჰიუბელმა ბალინკაიზე? „თუ თავს გაყიდის კაცი, ძვირად მაინც უნდა გაყიდოსო...“ ღმერთო, ვინ იცის, რას არ იტყვიან... და მე კი ხეირიანად არც ვიცი, როგორ დავინიშნე ამ... ამ საპყარ არსებაზე... ახლა ბიცოლაჩემი დეზი რომ შეიტყობს ამ ამბავს... მას ხუმრობა არ უყვარს, ისეთი გაქექილია, ვერაფერს გამოაპარებ, ტიტულებითა და ციხეკოშკებით თვალს ვერ დაუბრმავებ. მაშინვე სათავადაზნაურო კალენდარში დაიწყებს ქექვას და ერთ-ორ დღეში ეცოდინება, რომ კეკეშფალვა ადრე ლემელ კანიცი იყოდა იმასაც, რომ ედითი ნახევრად ებრაელია... ბიცოლაჩემისთვის ებრაელებთან დანათესავებაზე საშინელი კი ქვეყნად არაფერია... დედაჩემს კიდევ იოლად დაიყოლიებს კაცი, ფული მოხიბლავს... ექვსი-შვიდი მილიონიო, ასე არ თქვა?! მაგრამ მიმიფურთხებია ფულისთვის... მე ხომ სულაც არ ვაპირებ მისი ქალიშვილის შერთვას? მთელ ქვეყანაზე რაც ფულია, სულ მე რომ დამიმტკიცონ, მაინც არა... მე ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავპირდი, თუ გამოჯანმრთელდება-მეთქი... მაგრამ როგორ გინდა ეს სხვებს გააგებინო?.. პოლკში ისედაც ყველა ალმაცერად უყურებს კეკეშფალვას და თანაც ასეთ რამეებში ხომ უკუდო ამპარტავნები არიან... პოლკის ღირსებაო, მაშინვე იტყვიან... თვით ბალინკაისთვისაც კი ვერ უპატიებიათ თავი გაყიდაო, დასცინიან ხოლმე... ბებერ ჰოლანდიელ ძროხას მიეყიდაო... ხოლო როდესაც ყავარჯნებს დაინახავენ, მაშინ ხომ... არა, სჯობს, არ მივწერო ჩემებს არაფერი. ჯერჯერობით არავინ არ უნდა იცოდეს ეს ამბავი... ვერ ავიტან, ოფიცერთა საკრებულოს დასაცინი რომ გავხდე!.. მაგრამ როგორ დავუძვრე მათ ხელიდან? ჰოლანდიაში ხომ არ გავემგზავრო ბალინკაისთან? მართლა, მე ხომ ჯერ არ შემითვლია უარი და ყოველ წუთს შემიძლია როტერდამისკენ მოვუსვა, კონდორმა კი (როგორც თავად არივდარია საქმე), ისევე თვითონ მოაწესრიგოს ყოველივე, თავად მოძებნოს გამოსავალი... ყველაფერში ის არის დამნაშავე... სჯობს, ახლავე გავემგზავრო მასთან და ყველაფერი დაუფარავად ვუამბო... მაინც რა საზარლად დაეცა, თითქოს შვრიით სავსე ტომარა ყოფილიყო... აბა, ასეთს ვინ შეირთავს?.. დიახ, ახლავე მოვახსენებ, ყელში ამომივიდა-მეთქი... დაუყოვნებლივ გავემგზავრები კონდორთან, დაუყოვნებლივ.

„ეი, მეეტლევ! მეეტლევ! საით? ფლორიანგასეზე... ჰო, რა ნომერია მისი სახლი?.. ფლორიანგასეს ოთხმოცდაჩვიდმეტი... აბა, სწრაფად გააქროლე და არყის ფულს ბლომად მიიღებ... სწრაფად, სწრაფად, მაგრად გადაუჭირე ცხენებს... აჰა, მოვედით, ვცნობ უღიმღამო სახლს, რომელშიც ის ცხოვრობს (საძაგელ, ბინძურ ხვეულ კიბეს). კიდევ კარგი, რომ ასეთი ციცაბოა... აქ რა ამოიყვანს იმ საპყარს ყავარჯნებით, აქ მაინც ვერ გავიგონებ იმ საშინელ ტაკა-ტუკს... მაგრამ ეს რა არის?.. კართან ისევ ის აბურძგნილი მოსამსახურე გომბიო დგას! რას დაყუდებულა ეს ფეთხუმი?!

– შინ არის ბატონი ექიმი?

– არა, არ გახლავთ, მაგრამ მობრძანდით, მალე მოვა.

...კეთილი, შევიდეთ, დავსხდეთ და დაველოდოთ... მუდამ უნდა ელოდო იმ დალოცვილს... არასოდეს შინ არ არის. ღმერთო, ის ბრმა მაინც არ გამომეცხადებოდეს... ახლა მაგის თავი არ მაქვს, ნერვები ვერ გამიძლებს: სულ უნდა ელოლიავო... ო, იესო, ო, ღვთისმშობელო, აგერ უკვე მოდის... სულ ახლოდან მესმის მისი ფეხის ხმა... არა, მადლობა ღმერთს, ის არ შეიძლება იყოს, ასეთი მტკიცე ნაბიჯები მისი არ შეიძლება იყოს. ვიღაც სხვაა, მაგრამ ხმა რომ ნაცნობი აქვს?.. რაო?.. კარგი, მაგრამ რანაირად?.. ეს ხომ... ეს ხომ... ბიცოლაჩემი დეზის ხმაა... არა, პირდაპირ დაუჯერებელია!.. დეიდა ბელაც როგორ გაჩნდა აქ? ბიჭოს, აი დედაჩემიც, ჩემი ძმაც და რძალიც!.. არა, აბსურდია, შეუძლებელია... მე ხომ კონდორს ველოდები, ფლორიანგასეზე ვარ და მათ კი გაგონილიც არა აქვთ, თუ ასეთი ვინმე არსებობს ქვეყანაზე. როგორ შეიძლებოდა ყველას მასთან მოეყარა თავი? მაგრამ მაინც რომ აქ არიან, მაინც რომ ისინი არიან?!. მე ვცნობ მათ ხმებს... ბიცოლაჩემის წიკვინა ხმა... ღმერთო დიდებულო, სად დავიმალო?.. უკვე სულ ახლოს არიან... აი, კარიც იღება... თავისთავად იღება, კარის ორივე ფრთა იღება და... ღმერთო ჩემო! ყველანი ნახევარწრედ დგებიან ჩემ წინ, თითქოს სურათის გადაღებას აპირებენო... ყველა მე მომჩერებია... დედა თეთრსაყელოიან შავ კაბაშია გამოწყობილი. ეს კაბა ეცვა ფერდინანდის ქორწილში, ხოლო ბიცოლაჩემ დეზის გიპიურით აქვს გაწყობილი კაბის სახელოები და წვეტიან, ამპარტავან ცხვირს ოქროს ლორნეტი უმშვენებს. ო, ეს საშინელი წვეტიანი ცხვირი, ჯერ კიდევ ოთხი წლის ვიყავი, რომ ვერ ავიტანე! ჩემი ძმა ფრაკში გამოჯგიმულა... ნეტავ, ფრაკი რად ჩაუცვამს ამ შუადღისას?.. ფრანცისკაც აქ არის, ჩვენი რძალი: აი, მისი მსუქანი და კადნიერი სახე... ოჰ, როგორი არასასიამოვნო გრძნობაა, როცა ყველა შენ მოგჩერებია!.. დეიდა ბელა იქედნურად ხითხითებს, თითქოს რაღაცას ელოდება... ნახევარწრედ დგანან, ვითომ მიღებაზე იყვნენ, და იცდიან, იცდიან... ნეტავ რას ელიან?

აი, თურმე რას:

– მომილოცავს! – საზეიმოდ გამოდის წინ ჩემი ძმა და ცილინდრი ხელში უჭირავს... ცოტა არ იყოს, დამცინავად ამბობს ამ სიტყვას და ყველანი იმეორებენ: „მომილოცავს... მომილოცავს...“ მაგრამ როგორ... რანაირად შეიტყვეს უკვე, ან ყველამ ერთად როგორ მოიყარა თავი?.. ბიცოლა დეზი ნაჩხუბარია ფერდინანდთან... მე... მე არავისთვის მითქვამს, რომ...

– მართლაც მოსალოცი საქმეა, ყოჩაღ, ყოჩაღ!.. შვიდი მილიონი ცოტა ფული არ არის... კარგად მოგიხერხებია... შვიდი მილიონიდან ოჯახსაც რამე შეხვდება, – ერთმანეთს არ აცლიან, ისე ლაქლაქებენ და იღრიჭებიან.

– ყოჩაღ, ყოჩაღ! – ენის წკლაპუნით ამბობს დეიდა ბელა, მაშ, ფერდინანდს შეუძლია სწავლა განაგრძოს. კარგი საბედო შეგირჩევია!

– თანაც არისტოკრატები არიან, – ხითხითებს ჩემი ძმა და პირზე ცილინდრს იფარებს. მაგრამ ამ საერთო გნიასში ბიცოლა დეზი ერევა. კაკადუსავით წრიპინა ხმით ამბობს:

– რაც შეეხება არისტოკრატობას, ეს საგულდაგულოდ უნდა შემოწმდეს.

ახლა დედაჩემი მიახლოვდება და გაუბედავად ჩამჩურჩულებს ყურში:

– იქნებ, ახლა მაინც გაგვაცნო ჩვენი სარძლო?

გაგვაცნოო?.. ესღა მაკლია, ყველამ ნახოს მისი ყავარჯნები, ყველამ გაიგოს, სადამდე მიმიყვანა ჩემმა ბრიყვულმა თანაგრძნობამ... არა, ღმერთმა დამიფაროს... თანაც, როგორ უნდა გავაცნო, როცა კონდორთან ვართ, ფლორიანგასეზე, მაღლა, მეოთხე სართულზე... ის ხეიბარი თავის სიცოცხლეში ვერ ამოივლის ოთხმოც საფეხურს... მაგრამ რატომ დამტოვა უცებ ყველამ ერთად?.. თითქოს მეზობელ ოთახში რაღაც ხდებოდეს?.. ახლა მეც ვგრძნობ ორპირ ქარზე, რომ უკანა კარი გაიღო. ნუთუ კიდევ ვიღაც მოდის?.. ჰო, ვიღაც მოდის... კიბეზე რაღაც ხმაურობს, ჭრაჭუნობს, ღრჭიალებს... რაღაც მოძვრება, მოხოხავს, ხვნეშით ამოდის... ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ... ღმერთო დიდებულო, ნუთუ მართლა ის არის?! თავი ხომ არ უნდა მომჭრას თავისი ყავარჯნებით... მიწა რომ გამისკდეს და თან ჩამიტანოს, ის მირჩევნია. ამ დამცინავ ხროვას ვერ გავუძლებ... ვაი, რომ მართლაც ის არის, სხვა არავინ შეიძლება იყოს... ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ... ჩემზე უკეთ ვინ იცნობს ამ ხმას... ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ... ახლოვდება ტაკა-ტუკი... სადაცაა გამოჩნდება... ყველაფერს სჯობს, ვიდრე დროა, კარი ჩავკეტო... მაგრამ ჩემი ძმა უკვე ცილინდრს იხდის და თავს უკრავს ვიღაცას... ნეტავი ვის უკრავს თავს და ასე მდაბლად რატომ?.. და უეცრად ყველანი ისეთ სიცილ-ხარხარს ტეხენ, რომ ფანჯრის მინები ზრიალებენ...

– აი, თურმე რა ყოფილა, რა ყოფილა, რაა ყოფილა, რااა ყოფილა!

– ჰა, ჰა, ჰა!... თურმე რასა ჰგავს შვიდმილიონიანი... შვიდმილიონიანი!!!

– დიახ, დიახ... ყავარჯნები მოჰყოლია მზითვებში, ჰა, ჰა, ჰა!..

უჰ! შევხტი უეცრად. სად ვარ? შლეგივით ვაცეცებ თვალებს. ღმერთო ჩემო, ჩამძინებია, ამ სუნიან სამიკიტნოში ჩამძინებია. შეშფოთებული ვიხედები აქეთ-იქით. ხომ არ შემამჩნიეს? სამიკიტნოს დიასახლისი, ვითომც აქ არაფერიო, გულგრილად წმენდს ჭიქებს. უცნობი ჯარისკაცი ისევ ცდილობს მის მოხიბვლას. შეიძლება სულაც არ მოუქცევიათ ყურადღება? მე ხომ სულ ერთი ან ორი წუთით ჩამთვლიმა (სიგარეტის ნამწვი ისევ ღვივის საფერფლეში). ეს ქაოსური სიზმარი ერთ-ორ წუთს გაგრძელდა მხოლოდ, მაგრამ მთელი ჩემი ენერგია წაიღო და გამყინავი სიცხადით საცნაური გახდა ჩემთვის, რაც მოხდა... ახლა სჯობს, ამ ჯურღმულიდან მოვუსვა! მაგიდაზე ისე ვყრი ფულს, რომ მონეტებს წკრიალი გაუდით და კარისკენ მივეშურები (ჯარისკაცი მაშინვე იჭიმება), ვგრძნობ, რომ მუშებმა ერთი წამით თვალი მოსწყვიტეს ბანქოს და გაკვირვებულები მომაჩერდნენ. ვიცი, როგორც კი კარს გავიხურავ, მაშინვე ლაყბობას

მოჰყვებიან ოფიცრის მუნდირში გამოწყობილ ყმაწვილზე. ამიერიდან ყველანი დამიწყებენ ზურგს უკან დაცინვას, ყველანი, ყველანი ერთხმად და კაციშვილი არ შეიბრალებს თანაგრძნობით გაბრიყვებულს!..

ახლა საით?.. შინ ვერ წავალ! ცარიელ ოთახში რა გამაჩერებს, მარტოდმარტო ვერ დავრჩები ამ საზარელი ფიქრების ამარა! ის სჯობს, რამე დავლიო, რაიმე ცივი და ცხარე, რადგან ისევ ის საზიზღარი, ნაღველივით მწარე გემო მაქვს პირში. იქნებ ეს ოხერი ფიქრები მიტრიალებენ გულმუცელს და მათი ამონთხევა მწადია? ნეტავ, რითიმე ამომარეცხვინა, ამომაწმენდინა, აღმაგვევინა, გამაქარწყლებინა ეს ყოველივე! აჰ, რა ამაზრზენი, რა საზიზღარი გრძნობაა!.. აბა, მარდად ქალაქში!.. ქალაქის სამმართველოს მოედანზე კაფე ისევ ღიაა... ჩამოშვებულ ფარდებს შორის დარჩენილ ადგილებში შუქი გამოკრთის. აჰ, ახლავე რამე უნდა დავლიო, რამე უნდა დავლიო!..

შევდივარ კაფეში და კარიდანვე ვამჩნევ ჩემს მეგობარ ოფიცრებს ფერენცს, იოჟის, გრაფ შტაინჰიუბელს, პოლკის ექიმს... ყველას აქ მოუყრია თავი. მაგრამ რა პირდაღებული მომჩერებია იოჟი? რატომ წაჰკრა ჩუმად იდაყვი გვერდით მჯდომს? ასე ერთბაშად რატომ შეწყვიტეს საუბარი... არადა, ეს-ეს არის, ისე ცხარედ კამათობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და ისე ყვიროდნენ, რომ გარეთ მყოფსაც შემომესმა მათი ღრიანცელი; ახლა კი, თვალი მომკრეს თუ არა, ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა... აქ რაღაც ამბავია...

რას ვიზამ, უკან ვერ გამოვბრუნდები, რახან დამინახეს. ასე რომ, გარეგნულად რაც შემიძლია არხეინად ვუახლოვდები მათ მაგიდას. მაგრამ, ვაი, ამ მისვლას, სულ არ მეპრიანება არც მათთან დროს ტარება და არც მუსაიფი. თანაც ვგრძნობ, რომ ატმოსფერო დაძაბულია. სხვა დროს რომელიმე მათგანი აუცილებლად ხელს დამიქნევდა, ანდა მთელ დარბაზში დაიროხროხებდა: სალამიო! დღეს კი გატრუნულები სხედან, თითქოს მოწაფეები იყვნენ და დანაშაულზე წაესწროს ვინმესო. მეც ისეთი დაბნეული ვარ, რომ ვერაფერს ვამბობ. შემდეგ სკამს ვწევ მათი მაგიდისკენდა თან ვეკითხები:

– შეიძლება?

იოჟი გაკვირვებული მიყურებს.

– აბა, ამაზე რაღას იტყვით? – თავს უქნევს დანარჩენებს, – ნებართვას ითხოვს! ასეთ ცერემონიებს თუ მოსწრებიხართ ოდესმე? თუმცა, ჰო, ჰო, დღეს ხომ ჰოფმილერს მართლაც საცერემონიოდ აქვს საქმე!

ალბათ ისევ რაღაც უშნო ხუმრობა წამოიწყო ამ ავყია ყმაწვილმა, რადგან დანარჩენებს ეცინებათ, ანდა ცდილობენ როგორმე დაფარონ ბოროტი ღიმილი. დიახ, უთუოდ რაღაც ამბავია. ჩვეულებრივ, როდესაც რომელიმე ჩვენგანი ნაშუაღამევს ბრუნდება, ყველანი დაწვრილებით გამოვკითხავთ ხოლმე, სად იყო და რატომ დაიგვიანა, თან მაგარ-მაგარ ორაზროვან ვარაუდებს გამოვთქვამთ ასეთი გვიანი ვიზიტის შესახებ.

მაგრამ დღეს არავინ მომმართავს, ყველას თითქოს რაღაცის რცხვენია. ჩემი მოულოდნელი გამოჩენა თითოეულს სახტად ტოვებს. ბოლოს იოჟი სკამის საზურგეს ეყრდნობა, მარცხენა თვალს ჭუტავს, თითქოს მიზანში იღებდეს რაღაცას და მეკითხება:

– ჰა, მოგილოცოთ?

– მომილოცოთ? რა უნდა მომილოცოთ? – უკვე ისეთი გაბრუებული ვარ, რომ უცებ მართლაც ვერ ვხვდები, რას გულისხმობს.

– რა და, აი აფთიაქარი, რომელიც ესეს არის, აქ იყო, ამბობს, რომ კეკეშფალვას მსახურმა დაურეკა და უთხრა, თითქოს დაინიშნე იმ... არ ვიცი, როგორ ვთქვა... იმ ყმაწვილ ქალბატონზე...

ყველანი მაცქერდებიან. ორი, ოთხი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი თვალი მაჩერდება სახეში; ვიცი, რომ თუ ახლა ვაღიარე, იმწამსვე ერთი ჟივილხივილი ატყდება ხუმრობა, დაცინვა, ირონიული მილოცვები. არა, არ შემიძლია, ვერ გავუძლებ ამათ დაცინვას!

– რა სისულელეა, – ვბუზღუნებ მე, რომ როგორმე თავი დავიძვრინო. მაგრამ ორაზროვანი პასუხი არადამაჯერებლად ჟღერს. კეთილ ფერენცს გულწრფელად აინტერესებს ჩემი ამბავი და მხარზე ხელს მიტყაპუნებს:

– აბა, თქვი, ტონი, ხომ მართალს ვამბობ, რომ ტყუილია ეს ამბავი?

კარგი სურს ჩემთვის ერთგულ მეგობარს, მაგრამ რატომ გამიადვილა „არას“ თქმა? უსაზღვრო ზიზღი მიპყრობს ამ უცერემონიო, მოქილიკე ცნობისმოყვარეობის გამო. მესმის, რა სისულელე იქნებოდა, აქ, კაფეში, ჩვენს მაგიდასთან რომ მომესურვებინა იმის ახსნა, რაშიც თვითონ ჩემმა გულმაც ვერ შეძლო ბოლომდე გარკვეულიყო. ჰოდა, ხეირიანად არც დავფიქრებულვარ, ისე ვპასუხობ მას:

– რა თქმა უნდა!

ერთ წამს დუმილი ჩამოწვა. ყველანი ერთმანეთს უყურებენ გაკვირვებულები და, როგორც მეჩვენება, ცოტათი გულგაცრუებულნიც... თავი უნდოდათ შეექციათ და ჩაუფლავდათ მოლოდინი. ფერენცი კი თავმომწონედ იდაყვებით ეყრდნობა მაგიდას და მოზეიმე ხმით როხროხებს:

– ეგეც თქვენ! განა მაშინვე არ გითხარით? ჰოფმილერს ჩემი შარვლის ჯიბეებზე უკეთ ვიცნობ! მაშინვე ვთქვი: ტყუილია, აფთიაქარმა ბინძური ჭორი შეთითხნა-მეთქი, მაგრამ არა უშავს, ხვალ ნახეთ, რა დღე დავაყენო იმ მალამოების უსტაბაშს. ჩვენთან ეგეთები არ გაუვა, ბევრ ცერემონიებს კი არ დავუწყებ, ისე გავასილაქებ, რომ საკუთარი თავი ვეღარ იცნოს! ხედავთ, რეებს ბედავს ეგ არამკითხე მოამბე, როგორ ასხამს თავზე ლაფს პატიოსან ადამიანს? დაუღია პირი და ჩვენს მეგობარზე ასეთ საძაგელ ამბავს იგონებს! მაგრამ მე ხომ თავიდანვე გითხარით, ჰოფმილერი ასეთ რამეს არ გააკეთებს, თავის ლაღად მოარულ ფეხებს ოქროთი სავსე ტომარაზე არ გაყიდის-მეთქი?!

შემდეგ ჩემკენ ტრიალდება და კეთილად, როგორც ერთგულ მეგობარს შეშვენის, ისევ მიტყაპუნებს მხარზე ხელს.

– ღმერთმანი, ტონი, გულით მიხარია, რომ ტყუილი აღმოჩნდა ეს ამბავი. დიდი სირცხვილი იქნებოდა შენთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც, მთელი პოლკისთვისაც, ეს ჭორი მართალი რომ გამომდგარიყო.

– მერედა, მართლაც რა სირცხვილი იქნებოდა! კვერს უკრავს გრაფი შტაინჰიუბელი, ამ ქალის მამა ხომ ძველი მევახშეა, რომელმაც ერთ დროს ული ნოიენდორფი გააკოტრა. თამასუქებით ოინბაზობდა. განა ის არ კმარა, რომ ეგეთ ხალხს უფლებას აძლევენ ჯიბე გაისქელონ, ციხე-კოშკები და აზნაურობაც კი იყიდონ. კეკეშფალვას ახლა ისღა აკლია,

რომ თავისი ავადმყოფი ქალიშვილისთვის ერთ-ერთი ჩვენგანი მიაყუჩოს. ჰმ, რა გარეწარია! იცის, რასაც აკეთებს, ტყუილად როდი უხვევს ხოლმე გზიდან, მე რომ დამინახავს.

ფერენცი სულ უფრო და უფრო ცხარობს:

– ერთი იმ გამოშტერებულ აფთიაქარს დამიხედეთ! ღმერთმანი, სიამოვნებით გამოვაპანღურებდი იმ თავისი ბუნაგიდან და კარგადაც ამოვუნაყავდი ცხვირპირს. ასეთი ურცხვობა გაგონილა?! მხოლოდ იმიტომ, რომ ერთიორჯერ კეკეშფალვებს ეწვიო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ბინძური ტყუილი უნდა შეთხზა?!

ახლა ბარონი შონთალერიც ერევა საუბარში, მწევარივით ხმელხმელი არისტოკრატი.

– იცი, ჰოფმილერ, არ მინდოდა შენთვის რამე მეთქვა, მაგრამ თუ სიმართლე გინდა, თავიდანვე არ მესიამოვნა, როდესაც გავიგე, რომ სისტემატურად სტუმრობდი კეკეშფალვებს. ჩვენი წრის კაცი მუდამ კარგად უნდა დაფიქრდეს, ვის უნდა დასდოს პატივი თავისი ურთიერთობით. თუ რა საქმეებს აგვარებდა ან აგვარებს კეკეშფალვა, ამის შესახებ არაფერი ვიცი და არც მსურს ვიცოდე. წარსულს არავის ვაყვედრი, მაგრამ ჩვენი წრის კაცი მაინც ცოტათი წინდახედული უნდა იყოს... ხომ ხედავ, მაშინვე მითქმა-მოთქმა იწყება... არ უნდა დაუახლოვდე ისეთ ადამიანებს, რომლებსაც კარგად არ იცნობ. ჩვენი წრის კაცი განსაკუთრებით უნდა უფრთხილდებოდეს თავის სახელს. ისე გაგხვევენ შარში და გაგსვრიან, რომ ვერც კი შენიშნავ!.. ერთი სიტყვით, მოხარული ვარ, რომ უფრო ღრმად არ შეტოპე.

ყველანი ჩაებნენ საუბარში, ერთმანეთს არ აცლიან, ლაფს ასხამდენ ბერიკაცს, იგონებენ ყოვლად წარმოუდგენელ ამბებს მისი ცხოვრებიდან, დასცინიან „ყავარჯნებიან საფრთხობელას“ მის ქალიშვილს... თან ხან ერთი, ხან მეორე მომიბრუნდება და მაქებს, რომ მართლა არ გავები იმ „ვიგინდარების“ მახეში. გაშეშებული ვზივარ, ხმას არ ვიღებ. მათი საუბრის მოსმენა ჩემთვის წამებაა. რა სიამოვნებით დავუღრიალებდი: დააყენეთ თქვენი მყრალი ენები-მეთქი! ანდა დავიყვირებდი: „არამზადა მე ვარ! მე კი არ მითქვამს სიმართლე, აფთიაქარმა თქვა! მან კი არა, მე ვიცრუე! ეს მე ვარ უბადრუკი, მშიშარა ცრუპენტელა!“... მაგრამ ვიცი, რომ უკვე გვიანია რამის გამოსწორება... ძალიან, ძალიან გვიანია!.. ახლა ვეღარაფერს გადავთქვამ, ვერ უარვყოფ! მუნჯივით ვზივარ, არ ვინძრევი, რაც ძალა და ღონე მაქვს, კბილებს ვუჭერ პირში გაჩრილ ჩამქრალ სიგარეტს, თან მზარავს იმის შეგნება, რომ ჩემი დუმილით სულმდაბლად, ავაზაკურად ვღალატობ საბრალო უდანაშაულო ქალიშვილს. აჰ, ნეტავ, მიწა გასკდებოდეს და თან ჩამიტანდეს! ნეტავ, გამაქროს ღმერთმა და აღარ მაცოცხლოს!.. აღარ ვიცი, საით გავიხედო, სად წავიღო ხელები, რომლებიც ისე მიკანკალებს, რომ ნამდვილად გამთქვამენ. შეუმჩნევლად ვიღებ ხელებს მაგიდიდან და მაგრად ვაჭერ თითებს თითებზე, რომ ერთხანს კიდევ არ შემემჩნეს, როგორ ვღელავ...

თითებს ერთმანეთში ვხლართავ და რაღაც უცხო მაგარ საგანს ვგრძნობ მათ შორის. ეს რა არის-მეთქი, ვსინჯავ უნებლიეთ. და რა გგონიათ? ბეჭედია, რომელიც სულ ახლახან მისახსოვრა ედითმა; ნიშნობის ბეჭედი, რომელზედაც უარი არ მითქვამს, მივიღე. უკვე თავიც აღარ მაქვს, რომ თითიდან წავიძრო ჩემი სიცრუის მამხილებელი ბრჭყვიალა

ნივთიერი საბუთი, ამიტომ მხოლოდ ვაბრუნებ მას ხელისგულისკენ ქურდული მოძრაობით და ასე ვართმევ ხელს მეგობრებს გამოთხოვებისას.

* * *

ქალაქის სამმართველოს მოედანზე მთვარის ცივი, ვერცხლისფერი შუქი იფრქვეოდა, მოჯადოებულ ლანდთა ქვეყანას ჰგავდა ირგვლივ ყოველივე. ქვაფენილიდან სახლების სახურავთა მწვერვალამდე ყოველი ხაზი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი. ჩემს სულშიც ასეთივე სიცივე და სიცხადე სუფევდა. ჩემი ფიქრები ამაზე უფრო მკვეთრი და, მე ვიტყოდი, გამჭვირვალე არასოდეს ყოფილა: ვიცოდი, რაც გავაკეთე და რისი გაკეთებაც ახლა მევალებოდა. ღამის ათ საათზე დავინიშნე და რაღაც სამიოდე საათის შემდეგ ლაჩრულად უარვყავი ეს ამბავი. თანაც შვიდი მოწმის ერთი როტმისტრის, ორი ობერ-ლეიტენანტის, პოლკის ექიმის, ორი ლეიტენანტისა და ერთი პრაპორშჩიკის წინაშე; ნიშნობის ბეჭედი თითზე მეკეთა და ისინი კიდევ ხოტბას მასხამდნენ ამ საზარელი ტყუილისთვის. მე სახელი გავუტეხე ტანჯულ, უმწეო ქალიშვილს, რომელსაც გაგიჟებით ვუყვარდი და ვერ წარმოედგინა, თუ ასეთ რამეს ჩავიდენდი. ჩემი თანდასწრებით ლანძღავდნენ მამამისს და მე არ გამოვექომაგე მას, ხოლო უცხო ადამიანს, რომელმაც მხოლოდ სიმართლე თქვა და სხვა არაფერი, ჩემი სიჩუმისა და უმწეობის გამო მატყუარა უწოდეს. ხვალ უკვე მთელ პოლკს ეცოდინება ჩემი შერცხვენის ამბავი და მაშინ ყველაფერს ბოლო მოეღება. იგივე მეგობრები (დღეს ასე ძმურად რომ მიტყაპუნებდნენ მხარზე ხელს) ხვალ აღარ მომესალმებიან, ხელს არ ჩამომართმევენ. როგორც მხილებულ მატყუარას, უფლება აღარ მექნება ოფიცრის მუნდირი ვატარო, თან იმათაც, ვისაც ვუღალატე და ცილი დავწამე, ვეღარ დავიბრუნებ... ბალინკაიც ახლოს აღარ გამიკარებს... სამი წუთის სიმხდალემ მთელი ჩემი სიცოცხლე შემუსრა: სხვა გამოსავალი აღარ მქონდა, ჩემი რევოლვერი თუ მიხსნიდა ამ სირცხვილისაგან...

ჯერ კიდევ სუფრასთან ვიჯექი, რომ ნათელი შეიქნა ჩემთვის: მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გადამერჩინა ჩემი ღირსება და პატივი; ხოლო ახლა, მარტოდმარტო რომ მივეხეტებოდი ქუჩაში, იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომეყვანა ჩემი განზრახვა სისრულეში. ნათლად და თანამიმდევრულად ვაზროვნებდი, თითქოს მთვარის თეთრ შუქს ჩემს თავშიც მოეხერხებინოს შეღწევა, და სრულიად გულგრილად, თითქოს კარაბინი მქონდა დასაშლელი, შევადგინე სამოქმედო გეგმა... ყველაფერი უნდა მომეწესრიგებინა, არაფერი დამვიწყებოდა, არაფერი გამომრჩენოდა!.. ჯერ ბარათი უნდა მიმეწერა მშობლებისთვის: პატიება მეთხოვა, რომ ტკივილი მივაყენე მათ, შემდეგ წერილობით შევვედრებოდი ფერენცს, აფთიაქარს არ წასჩხუბებოდა. მესამე წერილი პოლკოვნიკისთვის მსურდა გამეგზავნა და მეთხოვა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გახმაურებულიყო ჩემი თვითმკვლელობის ამბავი... ვენაში დავეკრძალე; პროცესიებსა და გვირგვინებზე თავი შეეკავებინათ... ურიგო არ იქნებოდა, კეკეშფალვასთანაც გამეგზავნა ორიოდე სიტყვა, ძალიან მოკლე და ლაკონიური ბარათი: დაარწმუნეთ ედითი ჩემს სიყვარულში, აუგს ნურაფერს იფიქრებს-მეთქი ჩემზე. შემდეგ საშინაო

საქმეებიც მომეგვარებინა: ჩემი წვრილმანი ვალები ერთ ფურცელზე ჩამომეწერა და ანდერძში აღმენიშნა, რომ ჩემი ცხენი გაეყიდათ და იმითდაეფარათ ვალი და სხვა შესაძლო ხარჯები. მემკვიდრეობად დასატოვებელი არაფერი გამაჩნდა... საათი და თეთრეული მინდოდა დენშჩიკს დარჩენოდა; ბეჭედი და ოქროს პორტსიგარი კი ბატონი კეკეშფალვასთვის დაებრუნებინათ.

კიდევ რა?.. ჰო, გამახსენდა: ედითის ორივე წერილი უნდა დავწვა, საერთოდ ყველა წერილი და ფოტოსურათიც! არაფერი არ უნდა დარჩეს ჩემგან, არავითარი მოგონება, არავითარი კვალი. რაც შეიძლება შეუმჩნევლად უნდა გავქრე, ისევე როგორც შეუმჩნევლად ვცხოვრობდი ამ წუთისოფელში. ერთი სიტყვით, ორი-სამი საათით საკმარისი იქნებოდა, ყველა წერილი სუფთად დამეწერა, რათა შემდგომ არავინ შემომდავებოდა...

ბოლოს რჩება უკანასკნელი, ყველაზე იოლი რამ: ლოგინში ჩავწვე, ორისამი საბანი თავზე მაგრად წავიხურო, ზემოდან სქელი, ყურთუკის ლეიბი დავიგდო, რათა არც ყაზარმაში და არც ქუჩაში გასროლის ხმა არ გაიგონონ... ასე მოიქცა როტმისტერი ფელბერი ოდესღაც. შუაღამისას მოიკლა თავი და კაციშვილს არაფერი გაუგონია, მხოლოდ დილით იპოვეს თავში ტყვიანაკრავი... ჩემი იარაღი საიმედოა, შემთხვევით წორედ გუშინწინ დავზეთე საკეტი...

ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს ისე გარკვევით, ზედმიწევნით და საგულდაგულოდ არაფერი დამიგეგმავს, როგორც მაშინ საკუთარი სიკვდილი. და როდესაც ბოლოს, ქუჩაში მთელი ერთი საათის ხეტიალის შემდეგ ყაზარმას მივუახლოვდი, ყველაფერი ზუსტად მქონდა აღნუსხული, ისე როგორც რეგისტრატურაშიმ მქონდა ყოველი წუთი განაწილებული. მთელი ამ ხნის განმავლობაში აბსოლუტურად მშვიდად დავდიოდი, მაჯისცემა თანაბარი მქონდა და როდესაც ყაზარმის კარს (რომლითაც შევდიოდით ხოლმე ოფიცრები) გასაღები მოვარგე, ერთგვარი სიამაყით შევნიშნე, რომ ხელი ოდნავადაც არ მიკანკალებდა. სიბნელის მიუხედავად, გასაღები მაშინვე მოვახვედრე საკეტის ვიწრო ნასვრეტში... ახლა ეზოს გადავსერავ, კიბეს ავივლი, მეოთხე სართულზე ავალ, მარტოდმარტო დავრჩები საკუთარ თავთან და შემიძლია დავიწყო და დავასრულო კიდეც ერთდროულად ჩემი ჩანაფიქრი. მაგრამ მთვარის შუქით განათებული სწორკუთხა ეზო გავიარე თუ არა, შევნიშნე, რომ ჩაბნელებულ შესასვლელში ვიღაც იდგა. „ჯანდაბა, გავიფიქრე გამწყრალმა, რომელიმე ოფიცერი იქნება, ალბათ ისიც ეს-ეს არის დაბრუნდა და ახლა მის ყბედობას ვერ ავუვლი გვერდს!“ მაგრამ, უსიამოდ შემკრთალი, იმწამსვე პოლკოვნიკ ბუბენჩიჩის განიერ მხარბეჭს ვცნობ. ეტყობა, განგებ არის შემოსასვლელში დაყუდებული; ვიცი, სამხედრო დისციპლინაზე ამოსდის მზე და მთვარე და არ უყვარს, როდესაც ოფიცრები გვიან ბრუნდებიან ყაზარმაში. მაგრამ ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, მე აღარაფერი მესაქმება ამ ამბებთან! ხვალ სულ სხვა ვინმეს წინაშე წარვდგები პატაკით! თავს ისე ვიჭერ, ვითომ არ შემენიშნოს. მინდა გვერდი ავუარო, მაგრამ მეორე წამს პოლკოვნიკის მკვახე, გამყინავი ხმა მესმის:

– ლეიტენანტო ჰოფმილერ!

მეც მივდივარ და ვეჭიმები. მქირდავი მზერით მათვალიერებს.

– ეს რა, ახალგაზრდა ოფიცერთა ახალი მოდაა, ნახევრად გახსნილი ფარაჯით რომ დადიხართ? თუ გგონიათ, რომ შუაღამისას შეიძლება ქალაქში ისე იწოწიალოთ, როგორც დედა ღორმა, აქეთიქით რომ დააქანებს ხოლმე ძუძუებს? მალე ალბათ შარვალგახსნილი დაიწყებთ ტანტალს! ასეთი ქცევის უფლებას არავის მივცემ! ჩემი ოფიცრები ღამეც მხედრული პეწით უნდა გამოირჩეოდნენ! გასაგებია?

ქუსლს ქუსლზე ვურტყამ უმორჩილესად:

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო!

ერთს კიდევ გადმომხედავს გამკილავად, შემდეგ ზურგს მაქცევს გამოუმშვიდობებლად და კიბისკენ მიეშურება. მთვარის შუქზე მთასავით ჩანს მისი ვეებერთელა მხარბეჭი. მე კი ბრაზი მერევა უკანასკნელი სიტყვები, რომელსაც სიცოცხლეში ვისმენ, ლანძღვა რატომ უნდა იყოს? ჩემდა გასაოცრად ხდება ისე (სრულიად არაცნობიერად), თითქოს ჩემს სხეულს მე არ განვაგებდე. სასწრაფოდ რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ და პოლკოვნიკს ვედევნები. ვიცი, რომ სიგიჟეა, რასაც ახლა ვაკეთებ: რა აზრი აქვს უკანასკნელ წუთებში ვიღაც ხეპრესთან საუბარს ან რამის ახსნას, ანდა ასეთის წინაშე თავის გამართლებას? მაგრამ ასეთი აბსურდული ულოგიკობა ყველა თვითმკვლელს ახასიათებს... მას, ვინც ათი წუთის შემდეგ დამახინჯებულ გვამად უნდა იქცეს, მაინც პატივმოყვარეობა არ ასვენებს და უნდა, რომ აუცილებლად ლამაზად დატოვოს ეს ცხოვრება. წვერს იპარსავს (ნეტავ, ვისთვის?) და სუფთა ტანსაცმელს იცვამს (ნეტავ, ვისთვის?), ვიდრე შუბლში ტყვიას იკრავდეს... დიახ, ახლა ერთი ქალის ამბავიც კი მაგონდება, რომელმაც დალაქს თმა დაავარცხნინა, ძვირფასი სუნამო დაასხურებინა და შემდეგ მეხუთე სართულიდან გადმოხტა. მეც ახლა მხოლოდ მსგავსი, ლოგიკურად სრულიად გაუგებარი გრძნობა მიბიძგებდა და ამიტომაც მივდევდი უკან პოლკოვნიკს. იმიტომ კი არა (ამას საგანგებოდ აღვნიშნავ), რომ სიკვდილის შემეშინდა, რომ ანაზდეულმა სიმხდალემ შემიპყრო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ქვეცნობიერი იმპულსის გამო, რომელიც გვკარნახობს სუფთად, სპეტაკად ვიქცეთ არარაობად...

როგორც ჩანს, პოლკოვნიკმა ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, რადგან ერთბაშად მომიბრუნდა და შეცბუნებულმა გაბუჩქულ წარბებს ქვემოდან წვრილი, მსუსხავი თვალები მომაპყრო: აშკარად შეაცბუნა ჩემმა წარმოუდგენელმა თავხედობამ: უმცროსი ოფიცერი უნებართვოდ კუდში ავედევნე. ორიოდ ნაბიჯზე მივუახლოვდი მას, ხელი ქუდის აფრაზე მივიდე, მივესალმე და (თან წარბი არ შემიხრია), მის მრისხანე მზერას გავუძელი. ჩემი ხმა, ალბათ, ისეთივე უნიათო იყო, როგორიც მთვარის შუქი:

– უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო პოლკოვნიკო... შეიძლება ორიოდე წუთით გესაუბროთ?

გაბუჩქული წარბები გაკვირვებისგან ზემოთ გაურბის.

– რაო? ახლა? ღამის ორის ნახევარზე?

იჭვნეულად მიცქერს. სადაცაა დამიღრიალებს ან ხვალ მთელი მწყობრის წინ ტყავს გამაძრობს. მაგრამ, ეტყობა, სახეზე რაღაც ისეთი რამ შემნიშნა, რამაც შეაფიქრიანა.

ერთხანს დაჟინებით მიცქერს ცივი, მსუსხავი თვალებით, შემდეგ ბუზღუნით აგრძელებს:

– კარგი არაფერი გექნება სათქმელი! მაგრამ რახან არ იშლი, წამოდი ზემოთ ავიდეთ, ჩემთან, და მომახსენე... ოღონდ, იცოდე, მოკლედ!

* * *

პოლკოვნიკი სვეტოზარ ბუბენჩიჩი, რომელსაც ახლა ნაცემი ლეკვივით მივყვებოდი ნავთის ლამპებით სუსტად განათებულ და უკაცრიელ, მაგრამ მრავალი ადამიანის სხეულის სუნით გაჟღენთილ დერეფნებსა და კიბის საფეხურებზე, „სამსახურის კაცი“ იყო და უფროსებისგან ყველაზე მეტად მისი გვეშინოდა. კოტიტა ფეხები, მოკლე კისერი და დაბალი შუბლი ჰქონდა. სქელ, დაბურულ წარბებს ქვემოთ ღრმად ჩამჯდარი ჩამქრალი თვალებით იშვიათად თუ ვინმეს შეხედავდა მხიარულად. დაბალი, ჯირკივით ტანი და მძიმე, მოუხეშავი სიარული უტყუარად მოწმობდა მის გლეხურ წარმომავლობას, თუმცა, ნელ-ნელა, მაგრამ დაჟინებით მიიწევდა წინ და პოლკოვნიკის ჩინს მიაღწია კიდეც. ისიც უნდა ითქვას, რომ უხეირო შეხედულების, გაუზრდელობისა და ავსიტყვობის მოყვარეობის გამო სამინისტრო უკვე მრავალი წელი იყო, პროვინციიდან ფეხს არ ადგმევინებდა ერთი მივარდნილი გარნიზონიდან მეორეში გადაჰყავდათ და მაღალ სამხედრო წრეებში უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ იმავ წამს გადააყენებდნენ სამსახურიდან, ვიდრე გენერლის წითელ ლამპასებს მიიღებდა. მიუხედავად ამისა (რა გაუთლელიცა და ხეპრეც უნდა ყოფილიყო), ყაზარმასა და სამოსწავლო მოედანზე მაინც ბადალი არ ჰყავდა. წესდების ყოველი მუხლი ისე იცოდა ზეპირად, როგორც შოტლანდიელმა პურიტანმა ბიბლია. აგრამ ისინი მოქნილი დადგენილებები როდი იყო მისთვის, რომელთაც ნატიფი გონება ჰარმონიულად აერთიანებს, არამედ თითქმის რელიგიური მცნებები, რომელთა აზრსა თუ უაზრობაზე ჯარისკაცმა არ შეიძლება იმსჯელოს. სამხედრო სამსახური მისთვის იგივე იყო, რაც ღვთისმსახურება ღრმად მორწმუნეთათვის. ქალებს სათოფეზე არ ეკარებოდა, თამბაქოს არ ეწეოდა, ქაღალდს არ თამაშობდა, თეატრში ან კონცერტზე არავის უნახავს და თავისი უზენაესი მთავარსარდლის, ფრანციოსების მსგავსად, წესდებებისა და სამხედრო გაზეთის გარდა, არაფერს კითხულობდა. მისთვის ამ ქვეყნად მხოლოდ იმპერატორის არმია არსებობდა, არმიაში მხოლოდ კავალერია, კავალერიაში მხოლოდ ჯარისკაცები და ჯარისკაცებს შორის მხოლოდ ჩვენი პოლკი. ცხოვრების აზრს არსებითად მისთვის ის წარმოადგენდა, რომ ჩვენს პოლკში ყველაფერი უკეთ ყოფილიყო, ვიდრე სხვა რომელიმეში...

გონებაშეზღუდული ადამიანი ყველგან და ყოველთვის ძნელი ასატანია, როდესაც ძალაუფლება მის ხელშია, ყველაზე მეტად კი ჯარში. გარნიზონში სამსახური ათასგვარი უმკაცრესი, მეტწილად უკვე მოძველებული, მაგრამ ხელშეუხები წესებისგან შედგება, რომლებიც მარტოოდენ გამოუსწორებელმა სამხედრო პედანტმა თუ იცის სხაპასხუპით და რომელთა სიტყვასიტყვით შესრულებას მხოლოდ ბრიყვი თუ მოითხოვს. სწორედ

ამიტომ იყო, რომ ყველანი შიშით ცახცახებდნენ „წმიდათაწმიდა“ წესდების ამ ფანატიკოსი ქომაგის წინაშე. მისი ჯმუხი ფიგურა ტერორის განსახიერება გახლდათ. გინდა ცხენზე მჯდარიყო და გინდა სუფრასთან, მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევდა, თავზარს სცემდა პოლკის სასადილოებსა და კანცელარიებს, მისი გამოჩენის წინ შიშის ცივი ქარი დაუბერავდა ხოლმე ყველგან, ხოლო როდესაც პოლკი საინსპექციოდ მოეწყობოდა და ჟანგისფერ მომცრო იაბოზე გადამჯდარი ბუბენჩიჩი გამოჩნდებოდა, მწკრივებში ყოველგვარი მოძრაობა წყდებოდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით, თითქოს ჩვენ წინ მტრის არტილერია განლაგებულიყო, ქვემეხები ორთვალებიდან მოეხსნათ და ჩვენთვის დაემიზნებინათ. ყველამ ვიცოდით, რომ სადაცაა უნდა დაეგრიალა პირველ ბათქს, გარდაუვალს, მსახვრალს და არავინ იყო დაზღვეული, რომ სწორედ მას არ ამოიღებდნენ მიზანში. ცხენებიც კი გაქვავებულები იდგნენ, ერთი ძარღვიც არ უთრთოდათ სხეულზე. აღარ წკრიალებდნენ დეზები, განაბული იდგნენ ყველანი. და მაშინ ტირანი დინჯად ჩამოუვლიდა მწყობრს (აშკარად ეტყობოდა, რომ ტკბებოდა თავისი ძალაუფლებით) და ერთიმეორის მიყოლებით ყველას შეგვავლებდა ყოვლისმხედველ თვალს. სამსახურის კაცის ამ ცივ, გამსჭვალავ მზერას არაფერი გამოეპარებოდა: არ გამოეპარებოდა, თუ რომელიმე ჩვენგანს ზომაზე მეტად ჰქონდა ჩამოფხატული ქუდი, არ გამოეპარებოდა არც ერთი ცუდად გაპრიალებული ღილი, ჟანგის არც ერთი ლაქა ხმალზე, ტალახის არც ერთი წვეთი ცხენზე... და როგორც კი წესდების თუნდაც სულ უმნიშვნელო დარღვევას აღმოაჩენდა, ნამდვილ ჭექა-ქუხილს დაატეხდა ან, უფრო სწორად, ლანძღვა-გინების მთელ ბინძურ ნიაღვარს გადაავლებდა ხოლმე დამნაშავეს. მუნდირის ვიწრო საყელოს ზემოდან ადამის ვაშლი გამოებერებოდა ერთბაშად, თითქოს კოპი ამოაჯდაო, შუბლი მოკლედ შეკრეჭილი თმის ძირებამდე გაუჭარხლდებოდა, საფეთქლებზე ლურჯი ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა დაძაბულობისგან და ხრინწიანი ხმით, სეტყვასავით დააყრიდა ლანძღვაგინებას დამნაშავესა თუ უდანაშაულო მსხვერპლს. თან ხშირად ისეთი უშვერი გამოთქმების ხმარებასაც კიარ ერიდებოდა, რომ აღშფოთებული ოფიცრები თვალებს დაბლა ხრიდნენ, რადგან რიგითი შემადგენლობის რცხვენოდათ.

რიგითებს, როგორც ეშმაკისა, ისე ეშინოდათ მისი. სულ უმნიშვნელო რამეზეც კი დარაჯად აწესებდა ანდა პატიმრობას უსჯიდა მათ, ხოლო ზოგჯერ გახურებულ გულზე მუშტსაც აფეთებდა ხოლმე სახეში ის, „მყრალი გომბეშო“ (ასე ვეძახდით პოლკოვნიკს, რადგან ისედაც სქელი კისერი გაბრაზების დროს ლამის გასკდომოდა, ისე ებერებოდა). საბრალო ყმაწვილებს სულის ამოსვლამდე აწვალებდა ბუბენჩიჩი: აიძულებდა კარაბინის ხმარებაში იქამდე ევარჯიშათ, ვიდრე ხელები წაერთმეოდათ, გაუხედნავი ცხენები იმდენ ხანს ეჭენებინათ, ვიდრე ბარძაყები გადაეყვლიფებოდათ და სისხლი შარვლებში გამოჟონავდა. მაგრამ, რაც უნდა უცნაური იყოს, ამ ალალ გლეხ ბიჭებს თავიანთი ტირანი რაღაც შიშნარევი, ბრმა სიყვარულით მაინც უყვარდათ და იმ ოფიცრებს ერჩიათ, რომლებიც ასე მკაცრად არ ეპყრობოდნენ და ამ უკანასკნელთაგან თავი უფრო შორს ეჭირათ. როგორც ჩანს, ინტუიციით გრძნობდნენ, რომ ეს ულმობელი და ჯიუტი ადამიანი (მართალია ახირებულად), მაგრამ მაინც ღვთის მიერ დადგენილი

წესრიგისათვის იღვწოდა. გარდა ამისა, საწყლები იმითაც ინუგეშებდნენ თავს, რომ ჩვენ, ოფიცრებსაც, შავ დღეს გვაყრიდა ხანდახან, ვინაიდან თვით ყველაზე მწვავე მათრახსაც კი უფრო იოლად იტანს ადამიანი, როდესაც ხედავს, რომ მეზობლის ზურგსაც ასევე მწარედ ხვდება. სადაც სამართლიანობაა, იქ ჩვენდა შეუცნობლად ძალმომრეობას მივუტევებთ ხოლმე. რიგითები მუდამ სიამოვნებით იგონებდნენ ახალგაზრდა პრინც ვ-ს ამბავს. ეს პრინცი იმპერატორს ნათესავად ერგებოდა და ამიტომ ეგონა, რომ ყველაფერს აპატიებდნენ. მაგრამ ბუბენჩიჩმა მასაც ისევე უცერემონიოდ მიარტყა ორი კვირის პატიმრობა, თითქოს უბრალო გლეხუჭა ყოფილიყო. ვერ უშველა პრინცს ვერც ტელეფონის წკარუნმა, რაც ვენიდან ატეხეს მათი ბრწყინვალების ნათესავებმა ბუბენჩიჩმა ერთი დღეც კი არ შეაწია ამ დიდგვაროვან ქარაფშუტას და, სხვათა შორის, სწორედ ამ სიჯიუტის გამო იყო, რომ მაშინ ჩინი არ მოუმატეს.

მაგრამ, რაც კიდევ უფრო გასაოცარია, თვით ჩვენც, ოფიცრებსაც კი, რაღაცით გვიზიდავდა ეს ჯმუხი კაცი. ჩვენს გულსაც ინადირებდა მისი ბრმა, ულმობელი პატიოსნება და უწინარეს ყოვლისა კი, მისი უტყუარი, თითქოსდა მეგობრული სოლიდარობა. სულ უმნიშვნელო უსამართლობასაც ისევე ვერ იტანდა, როგორც მტვრის ნასახს ჯარისკაცის მუნდირზე, ანდა უსუფთაობას ცხენის მოსართავებზე; პოლკში ამტყდარ ყოველ ჩხუბს, როგორც პირად შეურაცხყოფას, ისე იღებდა. ჩვენ მის ხელში ვიყავით, მაგრამ მტკიცედ გვჯეროდა, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი რამეს ჩაიდენდა, ყველაფერზე ჭკვიანური იყო, პირდაპირ მასთან მივსულიყავით. ჯერ ერთს ლაზათიანად დაგვთათხავდა, შემდეგ ფორმაში გამოეწყობოდა და წამოგვყვებოდა, რომ როგორმე გამოესწორებინა ჩვენი ჩაფლავებული საქმე. თუ ვინმეს დასაწინაურებლად შუამდგომლობა იყო საჭირო, ანდა ხელმოკლე ოფიცრისათვის ალბრეჰტის ფონდიდან დახმარების გამოთხოვნა, პოლკოვნიკი მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგა; პირდაპირ სამინისტროში მიეშურებოდა და თავისი „მაგარი შუბლით გაჰქონდა ლელო“. და მიუხედავად იმისა, რომ ნაღველს გვიმატებდა და ბოღმაზე გვხეთქავდა, ჩვენ, ყველანი, იდუმალად, გულის რომელიღაც კუნჭულში ვგრძნობდით, რომ ეს ბანატელი გლეხის ნაშიერი, მართალია თავისებურად, ტლანქად და ბრმად, მაგრამ მაინც კეთილშობილთა წრიდან გამოსულ ოფიცრებზე უფრო ერთგულად და პატიოსნად იცავდა არმიის ტრადიციებს, იმ უხილავ შარავანდედს, რომელიც ჩვენ, უმცროს ოფიცრებს, შინაგანად უფრო გვხიბლავდა, ვიდრე ჩვენი ერთი ციცქნა ხელფასი.

ასეთი იყო ჩვენი პოლკის სულთამხუთავი პოლკოვნიკი სვეტოზარ ბუბენჩიჩი, რომელსაც ახლა უკან ავედევნე...

წლების შემდეგ მან საკუთარ თავსაც სწორედ ისევე მედგრად და პედანტურად, ბრიყვული თავგამოდებით გაუსწორა ანგარიში, როგორც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენ გვწვრთნიდა. სერბიაში გალაშქრებისას, პოტიორექსთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, როდესაც მთელი ჩვენი პოლკიდან (რომელიც დიდი ზარზეიმით გავიდა წინა ხაზზე), მხოლოდ ორმოცდაცხრა ჯარისკაცმა შეძლო მდინარე სავის გამოღმა ნაპირზე უვნებლად გადმოსვლა, ბუბენჩიჩმა (ერთადერთიღა რომ დარჩა გაღმა, მტრის მიერ დაკავებულ ნაპირზე), პოლკის ეს პანიკური გაქცევა მთელი არმიის თავზე ლაფის

დასხმად მიიღო და მოიმოქმედა ის, რასაც მსოფლიო ომის დროს დამარცხებულ სარდალთა და მაღალი რანგის ოფიცერთაგან მხოლოდ ცოტანი თუ ბედავდნენ: ამოიღო მძიმე რევოლვერი და შუბლში იკრა ტყვია, რათა არ შესწრებოდა ავსტრიის იმპერიის დამხობას, რომლის დასაწყისიც თავისი ჩლუნგი გონებით პოლკის გაქცევის საზარელ სურათში წინასწარმეტყველურად განჭვრიტა.

* * *

პოლკოვნიკმა კარი გააღო და მის ოთახში შევედით. სპარტანულად მწირი მოწყობილობით იგი უფრო სტუდენტის სენაკს წააგავდა: რკინის საწოლი (უკეთესზე არ წვებოდა, რადგან ასეთივე საწოლზე ეძინა ფრანციოსებს ჰოფბურგში), ორი ფერადი რეპროდუქცია: მარჯვნივ იმპერატორი, მარცხნივ იმპერატრიცა, იაფფასიან ჩარჩოებში ჩასმული ოთხი თუ ხუთი ფოტოსურათი, რომლებიც პოლკის დათვალიერებებსა და ოფიცერთა საღამოებს გამოსახავდნენ; ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხმალი, ორი თურქული დამბაჩა ეს იყო და ეს. არსად ჩანდა არც რბილი სავარძელი, არც წიგნები; ერთი უბრალო მაგიდა და ჩალის ოთხისკამი მის ირგვლივ.

ბუბენჩიჩმა ულვაშებზე გადაისვა ხელი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ჩვენ, ყველანი, კარგად ვიცნობდით ამ მოძრაობას უტყუარ ნიშანს იმისა, რომ იგი ბრაზითა და მოუთმენლობით იყო შეპყრობილი. ბოლოს, დაჯდომა არ შეუთავაზებია, ისე მომახალა:

– აბა, დაიწყნარე გული და მანჭიაობას ნუ დაიწყებ, ისე გადმოალაგე ყველაფერი. ფული გიჭირს თუ ქალია დამნაშავე?

მეძნელებოდა ზეზეულად ლაპარაკი, თანაც ძლიერ შუქზე ვიდექი და ისე მოუთმენლად მომჩერებოდა, რომ კიდევ უფრო უხერხულად ვგრძნობდი თავს. ამიტომ საჩქაროდ მხოლოდ ესღა ვუპასუხე: ფულის ამბავი არ მაწუხებს-მეთქი.

– მაშ, ქალი ყოფილა! ისევ და ისევ! არა, მაინც ვერ გამიგია, რა გაგიჟებთ! თითქოს ცოტანი იყვნენ ისეთი ქალები, რომლებთანაც ბევრი ცერემონიები არ არის საჭირო. აბა, მეტს ნუღარ აჭიანურებ. მარდად დაფქვი, რა ამბავია შენს თავს?!

მეც, რაც შემეძლო, მოკლედ ვუამბე, რომ დღეს ბატონ ფონ კეკეშფალვას ქალიშვილზე დავინიშნე და სამი საათის წინ ეს ამბავი უარვყავი-მეთქი მეგობრებში. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ ჩემი უღირსი საქციელის შელამაზება მსურდეს, პირიქით, მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ, როგორც ჩემს უფროსს, პირადად მოგახსენოთ შემდეგი: ჩემი საუგო საქციელიდან გამომდინარე შედეგები მთლიანად შეგნებული მაქვს და, როგორც ოფიცერმა, ვიცი, რაც მევალება და ამას შევასრულებ კიდეც-მეთქი.

ბუბენჩიჩი თვალებდაჭყეტილი მომჩერებოდა, ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო.

– რა სისულელეს ჩმახავ! რა უპატიოსნება, რის შედეგები? განა ისეთი რა მოხდა? კეკეშფალვას ქალიშვილზე დავინიშნეო, ამბობ? ერთხელ ნანახი მყავს, უცნაური გემოვნება გქონია. სულ ერთიანად დაკრუნჩხულ-დაგრეხილია. ჰოდა, მერე გადაიფიქრე, არა? მერე რა მოხდა? ერთ ჩვენგანსაც დაემართა ეგეთი რამ, მაგრამ ამის გამო არამზადა

არ გამხდარა. თუ შენ... – უფრო ახლოს მოვიდა ჩემთან, – უკვე რაღაც ანგარიშები გქონდა მასთან, თუ რაშია საქმე?

ბოღმა მახრჩობდა და სირცხვილით ვიწვოდი. მისი გულარხეინი კილო მაბრაზებდა, აშკარად ეტყობოდა, რომ არ სურდა გაეგო ჩემი. ამიტომ ქუსლს ქუსლი მივარტყი:

– ნება მიბოძეთ, ბატონო პოლკოვნიკო, გითხრათ, რომ ეს მტკნარი სიცრუე დანიშნული არ ვარ-მეთქი ჩვენი პოლკის შვიდი ოფიცრის წინაშე წარმოვთქვი, ჩვენს სუფრაზე, კაფეში. სიმხდალისა და დაბნეულობის გამო მოვატყუე ჩემი მეგობრები. ხვალ ლეიტენანტი პავლიჩეკი პასუხს აგებინებს აფთიაქარს, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე ილაპარაკა. ხვალ უკვე მთელ ქალაქს ეცოდინება, რომ ოფიცერთა სუფრაზე ვიცრუე და ამდენად, როგორც სამხედრო წოდების პირი, უღირსად მოვიქეცი.

ახლა კი უკვე შეცბუნებული მიყურებდა პოლკოვნიკი. აშკარა იყო, რომ მისი მოუქნელი გონება საქმის არსს მხოლოდ ახლა ჩასწვდა. სახე თანდათანობით მოეღუშა:

– სად იყო ეს, როგორ თქვი?

– ჩვენს კაფეში.

– მეგობრების თანდასწრებით, არა? და ყველამ გაიგონა?

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო.

– მერედა, აფთიაქარმა იცის, რაც წამოაყრანტალე?

– ხვალ შეიტყობს ისიც და მთელი ქალაქიც.

ბუბენჩიჩმა ისეთი გამწარებით დაიხვია ულვაში თითზე და ისე მაგრად გამოსწია, თითქოს უნდა მოიგლიჯოსო. შემდეგ ხელები ზურგზე დაიწყო და გამალებით წინ და უკან სიარულს მოჰყვა: ერთხელ გაიარა, ორჯერ, ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ. იატაკი ოდნავ ირყეოდა მისი მძიმე ნაბიჯების ქვეშ, შიგადაშიგ ოდნავ წკრიალებდნენ მისი დეზებიც. ბოლოს ისევ ჩემ წინ გაჩერდა.

– ახლა რას აპირებ?

– ერთადერთი გამოსავალი დამრჩა, ბატონო პოლკოვნიკო, ეს თქვენც მოგეხსენებათ. მე მხოლოდ იმისთვის გეახელით, რომ გამოგეთხოვოთ და უმორჩილესად გთხოვოთ, შემდგომ რაც შეიძლება ჩუმად და გაუხმაურებლად ჩაიაროს ყველაფერმა. ჩემ გამო პოლკს ჩირქი არ უნდა მოეცხოს.

– რა სისულელეა! – ჩაიდუღუნა მან, სისულელეა! – რის გამო? ასეთი სანდომიანი, საღსალამათი, წესიერი ყმაწვილი ხარ და ვიღაც ხეიბრის გამო ასეთ სასოწარკვეთაში უნდა ჩავარდე? როგორც ჩანს, იმ ბებერმა მელამ მაგრად გაგხვია ქსელში და ვეღარ დაუძვერი ხელიდან. მე ისინი ფეხებზედაც არა მკიდია, მათთან არაფერი მესაქმება! მაგრამ მეგობრები და ის, რომ აფთიაქარმა ეს ამბავი იცის, რასაკვირველია, კარგი საქმე ვერ არის!

ისევ განაგრძო ბოლთის ცემა, ადრინდელზე უფრო გამალებით დადიოდა წინ და უკან. ფიქრი იოლი საქმე როდი იყო მისთვის. წინ და უკან სიარულის დროს რამდენჯერაც კი ჩემკენ მოაბრუნებდა სახეს, იმდენჯერ უფრო გაჭარხლებული მეჩვენებოდა, ხოლო საფეთქლებთან მსხვილი, მოლურჯო ძარღვები სულ უფრო და უფრო ებერებოდა. ბოლოს, ეტყობა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, ისე ერთბაშად გაჩერდა ჩემ წინ.

– მაშ ასე, ყური დამიგდე. ასეთ რამეს კაცმა მაშინვე უნდა უწამლო, თორემ თუ მითქმა-მოთქმა დაიწყო, მერე ვეღარაფერს გააწყობ. უპირველეს ყოვლისა, ის მითხარი, ჩვენებიდან ვინ იყო იქ?

მე ჩამოვთვალე გვარები. ბუბენჩიჩმა გულის ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო პატარა, საყოველთაოდ ცნობილიწითელყდიანი ბლოკნოტი, რომელსაც მუდამ იარაღივით თან ატარებდა ხოლმე, როგორც კი პოლკიდან ვინმეს რამე დანაშაულზე წაასწრებდა. ვინც ამ უბის წიგნაკში მოხვდებოდა, მას ჯვარს დაუსვამდა. პოლკოვნიკმა ჯერ ნერწყვით დაასველა ფანქრის წვერი და შემდეგ მსხვილი, ბრტყელფრჩხილებიანი თითებით ერთიმეორის მიყოლებით სათითაოდ ჩაბღაჯნა წიგნაკში გვარები, რომლებიც მე დავუსახელე.

– სულ ესაა?

– დიახ.

– მეტი ნამდვილად არავინ იყო?

– არავინ, ბატონო პოლკოვნიკო.

– მაშ ასე! – უბის წიგნაკი ჯიბეში ისე ჩაიჩარა, თითქოს ხმალი ჩაეგოს ქარქაშში. ეს დასკვნითი „მაშ ასეც!“ ხმლის პირის წკრიალივით გაისმა. – მაშ ასე, – გაიმეორა კვლავ, გათავებული საქმეა. ხვალ შვიდივეს სათითაოდ დავიბარებ, ვიდრე ყაზარმიდან ფეხის გადგმას მოასწრებდნენ, და ღმერთმა დაიფაროს, ვინც ჩემთან ვიზიტის შემდეგ გაბედავს რამის თქმას და თუნდაც ემახსოვრება მაინც ეს წვრილმანები. აფთიაქარს კი ცალკე გავუსწორდები. შენ არხეინად იყავი. ისეთ რამეს ვეტყვი, რომ... ანდა მოიცა! – ერთბაშად სულ ახლოს მოიტანა ჩემთან თავი, ისე რომ, მისი სუნთქვაც კი ვიგრძენი, და მსუსხავი მზერით ჩამაცქერდა თვალებში, – გულწრფელად მითხარი... მანამდე რამე ხომ არ დაგილევია, ნასვამი ხომ არ იყავი, როცა ეს სისულელე ჩაიდინე?

ცოტა არ იყოს, დავირცხვინე.

– სწორედ ისე იყო, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბატონო პოლკოვნიკო. ვიდრე კეკეშფალვებთან მივიდოდი, კონიაკი დავლიე და მერე მათთანაც... სუფრაზე საკმაოდ ბევრი... თუმცა...

მეგონა გაანჩხლდებოდა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, სახე გაებადრა, ხელი ხელს შემოჰკრა და დიდად კმაყოფილმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

– შესანიშნავია, შესანიშნავი! აი, თურმე რა ყოფილა! სწორედ ეს ფაქტი ამოგვათრევინებს ლაფში ჩაფლულ ურემს. დღესავით ნათელია ყველაფერი! მე ვიტყვი,რომ უგონოდ მთვრალი იყავი და არ გესმოდა, რასაც ამბობდი. პატიოსანი სიტყვა ხომ არ მიგიცია?

– არა, ბატონო პოლკოვნიკო.

– მაშ, ყველაფერი კარგად არის. ყველას ვეტყვი, მთვრალი იყო-მეთქი. ვის არ

შეიძლება დაემართოს... ოდესღაც ერთ ჰერცოგსაც შეემთხვა ასეთი რამ. გალეშილი იყავი და არ გაგეგებოდა, რას ამბობდი, მათ ნალაპარაკევსაც ხეირიანად ყურს არ უგდებდი და მათი შეკითხვებიც უკუღმა გესმოდა. განა ლოგიკური არ არის? აფთიაქარს

მოვახსენებ, რომ მაგრად გაგთათხე: ფეხზე ძლივს იდექი და კაფეში რა გინდოდა-მეთქი. მაშ ასე, პირველი მუხლი ამოწურულია...

სულ უფრო და უფრო მახელებდა ის ამბავი, რომ ვერა და ვერ გაეგო, რა მსურდა. ბრაზი მომდიოდა, რომ ეს, კაცმა რომ თქვას, გულკეთილი ბოთე, რადაც უნდა დასჯდომოდა, ცდილობდა ჩემთვის სამხედრო კარიერა შეენარჩუნებინა. ვინ იცის, შეიძლება ფიქრობდა კიდეც, რომ სიმხდალის გამო ჩავებღაუჭე და თავის გადარჩენა მინდოდა? რატომ არ უნდა გაიგოს, როგორი სულმდაბლობა გამოვიჩინე?.. გამბედაობა მოვიკრიბე:

– უმორჩილესად მოგახსენებთ, ბატონო პოლკოვნიკო, რომ პირადად ჩემთვის ამით საქმე არავითარ შემთხვევაში არ ამოიწურა. ვიცი, რაც ჩავიდინე და ისიც ვიცი, რომ ამიერიდან პატიოსან ადამიანებს თვალს ვეღარ გავუსწორებ; არამზადას როლი მოვირგე და სიცოცხლე აღარ მსურს...

– ენა დააყენე! – გამაწყვეტინა მან, – ნუ გამიხვრიტე შენი სულელური ყბედობით ტვინი! თავადაც კარგად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო და შენნაირი სულელისგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება. იქნებ გგონია, მარტო შენზე იყოს საქმე? არა, ჩემო კარგო, ეს მხოლოდ პირველი მუხლი იყო და ახლა მეორე მოდის, რომელიც ამბობს, რომ ხვალ დილითვე აქედან გაქრები. შენი დარჩენა აქ აღარ ივარგებს. ასეთი ინციდენტი რაც შეიძლება მალე უნდა მიაფუჩეჩო. ერთ დღესაც აღარ შეიძლება შენი აქ ყოფნა, თორემ მაშინვე დაიწყება ბრიყვული გამოკითხვა და ლაყბობა. ეს კი ხელს არ მაძლევს. ჩემს პოლკში არავინ ისე არ უნდა გაიხადოს საქმე, რომ დაკითხვა და ალმაცერად ცქერა დაუწყონ. ამას ვერ მოვითმენ... ხვალიდან გადაყვანილი ხარ ჩასლავიცში... მე თავად დავწერ ბრძანებას და წერილს გაგატან იქაურ პოდპოლკოვნიკთან. რასაც დავწერ, ეგ შენ აღარ გეხება... უნდა აორთქლდე აქედან. დანარჩენი ჩემი საქმეა. ამაღამ მოემზადები შენს დენშჩიკთან ერთად და ხვალ სისხამ დილით მოუსვამ ყაზარმიდან ისე, რომ ჩვენებიდან კაციშვილმა არ გნახოს. შუადღისას, როგორც წესი და რიგია, მწყობრის წინაშე წაიკითხავენ ბრძანებას, რომ სასწრაფო დავალებით მივლინებაში გაიგზავნე და ეჭვი არავის შეეპარება არაფერზე... შემდეგ როგორ მოიშორებ ბერიკაცს და მის ქალიშვილს, ეს მე არ მეხება. შენი ჩაფლავებული საქმე შენვე გამოასწორე. მე მხოლოდ იმაზე ვზრუნავ, რომ ავყია მითქმა-მოთქმამ ყაზარმაში არ შემოაღწიოს... მაშ ასე, შევთანხმდით დილის ექვსის ნახევარზე აქ გაჩნდები, მე გადმოგცემ წერილს და გასწევ! გასაგებია?

პასუხი დავაყოვნე. ამისთვის როდი ვიყავი მოსული. გაქცევას სულაც არ ვაპირებდი. ბუბენჩიჩმა შემატყო, რომ ვყოყმანობდი და თითქმის მუქარით გამიმეორა:

– გესმის თუ არა?

– მესმის, ბატონო პოლკოვნიკო, – მივუგე სამხედრო ყაიდაზე, მაგრამ ცივად. თან გულში გავიფიქრე: „დაე, ბებერმა ბრიყვმა, რაც უნდა ის ილაპარაკოს, მე კი ჩემს განზრახვას არ გადავდებ!“

– მოკლედ, ამით დავამთავროთ. ხვალ სისხამ დილით ექვსის ნახევარზე გელოდები.

სმენაზე დავდექი. პოლკოვნიკი ახლოს მოვიდა ჩემთან.

– რაღა მაინცდამაინც შენ გაები ამ სულელურ ამბავში? მენანები ჩასლავიცში გასაგზავნად. ახალგაზრდებში ყველაზე უფრო შენ მომწონდი!

ვგრძნობ, რომ ფიქრობს, ხელი ჩამომართვას თუ არა. მზერა სათუთი გაუხდა.

– იქნებ, რამე გჭირდება? თუ რამით შემიძლია შემწეობა აღმოგიჩინო, ნუ მოგერიდება, სიამოვნებით დაგეხმარები. არ მინდა პოლკში იფიქრონ, რომ განაწყენებული ვარ შენზე, ან სხვა რამ ამდაგვარი. არაფერი გინდა?

– არა, ბატონო პოლკოვნიკო, გმადლობთ ყველაფრისთვის.

– მით უკეთესი. აბა, გფარავდეს ღმერთი... დილით ექვსის ნახევარზე...

– მესმის, ბატონო პოლკოვნიკო.

თან ისე ვუმზერ, როგორც იმ ადამიანს უყურებენ, რომელსაც უკანასკნელად ხედავენ. ვიცი, რომ ის არის უკანასკნელი, ვისაც ამქვეყნად ველაპარაკები. ხვალ მხოლოდ მას ეცოდინება მთელი სიმართლე... სმენაზე გაჭიმული ქუსლს ქუსლზე ვურტყამ, მხრებს ოდნავ მაღლა ვწევ და შემოსასვლელი კარისკენ ვტრიალდები. მაგრამ, როგორც ჩანს, თვით ამ გონებაშეზღუდულმა ადამიანმაც რაღაც შემატყო, რაღაცამ დააეჭვა ჩემს გამოხედვაში, რადგან ზურგს უკან როყიო ბრძანება მესმის:

– ჰოფმილერ!

მეც თვალის დახამხამებაში უკან ვტრიალდები. პოლკოვნიკი წარბებს მაღლა სწევს და დაჟინებით მაკვირდება. შემდეგ ბუზღუნით, ერთსა და იმავე დროს გამკილავად და გულკეთილად მეუბნება:

– შენ ეი, ყმაწვილო, რაღაც არ მომწონხარ. შენს თავს რაღაც ამბავია. ასე მგონია, თითქოს ჩემი გაბრიყვება გინდა და რაღაც სისულელის ჩადენას აპირებ. მაგრამ მე არ დავუშვებ, რომ ასეთი იდიოტური ამბისთვის რაღაც სიგიჟე ჩაიდინო... რევოლვერითა თუ ისე... ვერ მოვითმენ... გესმის?

– მესმის, ბატონო პოლკოვნიკო.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! მე ვერ გამაცურებ, საკმაოდ გაქექილი ვარ! – შემდეგ ხმას იცვლის და უფრო თბილად მომმართავს: ხელი მომეცი.

მეც ვუწვდი ხელს და ისიც ხელს ხელზე მიჭერს.

– ჰოდა, ახლა კი, – თან თვალს თვალში მიყრის, – ჰოფმილერ, პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ ამაღამ რაიმე სისულელეს არ ჩაიდენ! პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ ხვალ ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე მეახლები და ჩასლავიცში გასამგზავრებლად მზად იქნები.

მე ვერ ვუძლებ მის მზერას.

– პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ბატონო პოლკოვნიკო, – ვამბობ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

– მაშ, ძალიან კარგი. თორემ, იცი, ერთბაშად მომეჩვენა, რომ ცხელ გულზე რაღაც სიტუტუცე შეგეძლო ჩაგედინა. ახალგაზრდები ფიცხები ხართ და ყველაფერს მოელის თქვენგან კაცი... უცებ გადაწყვეტთ ხოლმე ყველაფერს... თავის მოკვლასაც კი... არა უშავს, შემდეგ დაჭკვიანდები. დიდი არაფერი მომხდარა. აი, ნახავ, ჰოფმილერ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე ჩაივლის ყველაფერი! ამჯერად მე მოგწმენდ პირს და მეორედ კი იმედია, ასეთი სისულელე აღარ დაგემართება. ჰოდა, ახლა წადი... აფსუსი არ იყო შენისთანა ყმაწვილის დაკარგვა?!

* * *

ჩვენი გადაწყვეტილებანი ბევრად უფრო დამოკიდებულნი არიან გარემოსა და სიტუაციაზე, ვიდრე საკუთარ თავზე... ჩვენი აზროვნების შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს კი ადრე მიღებულ შთაბეჭდილებათა და ზეგავლენათა ავტომატური რეპროდუქცია შეადგენს. ადამიანისთვის, რომელიც ბავშვობიდანვე სამხედრო დისციპლინით აღიზარდა, განსაკუთრებით დამახასიათებელია მორჩილება ბრძანების უსიტყვო შესრულება. მისთვის ყოველგვარ სამხედრო ბრძანებას ლოგიკურად სრულიად გაუგებარი ძალა აქვს და მთლიანად თრგუნავს მის ნებისყოფას. თითქოს მუნდირი დამაწყნარებელი პერანგი იყოს, ისე ასრულებს ყოველგვარ ბრძანებას წინააღმდეგობის გაუწევლად, თითქმის მექანიკურად, ჰიპნოზში მყოფივით, თუნდაც დავალების რაობა კარგად არ ესმოდეს. ასე დამემართა მეც. ოცდახუთი წლიდან თხუთმეტი წელიწადი (თანაც სწორედ ის წლები, როცა ადამიანი ჩამოყალიბების პროცესშია) სამხედრო სასწავლებელსა და ყაზარმაში მქონდა გატარებული და როგორც კი პოლკოვნიკის ბრძანება ჩამესმა ყურში, იმწამსვე შევწყვიტე დამოუკიდებელი ფიქრიცა და მოქმედებაც. ახლა უკვე მხოლოდ ვემორჩილებოდი ბრძანებას. თავში მარტოოდენ ისღა მიტრიალებდა, რომ ექვსის ნახევარზე უნდა გავმგზავრებულიყავი და მანამდე კი სათანადოდ მომზადება მჭირდებოდა. ამიტომ დენშჩიკი გავაღვიძე და მოკლედ მოვუჭერი, სასწრაფოდ ნაბრძანები გვაქვს, დილით ჩასლავიცში უნდა გავემგზავროთ-მეთქი. მასთან ერთად ბარგის ჩალაგებას შევუდექი და ზუსტად ექვსის ნახევარზე (როგორც ნაბრძანები მქონდა) პოლკოვნიკის ოთახში გავჩნდი. შემდეგ, მისი ბრძანებისამებრ, ყაზარმა შეუმჩნევლად დავტოვე...

ეს კია, რომ ჰიპნოზის მოქმედება, რომელმაც მოაშთო ჩემი ნებისყოფა, მხოლოდ იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ყაზარმის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი და დავალებაც მთლიანად შესრულებული არ მქონდა. მაგრამ ვაგონის პირველსავე ბიძგზე, რამაც მატარებლის დაძვრა გვაუწყა, ერთბაშად გამოვერკვიე ბურანიდან და გონს მოვედი, როგორც ადამიანი, რომელიც აფეთქებით წარმოქმნილმა ტალღამ განზე გადაისროლა, ახლა ბარბაცით დგება და განცვიფრებული ხედავს, რომ საღსალამათი გადარჩა. ჯერ ერთი, გამიკვირდა, რომ ცოცხალი ვიყავი, მეორეც, მატარებლით მივქროდი და ვშორდებოდი ჩემს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას. და როგორც კი გონება გამინათდა, იმწამსვე ფუტკარივით დამეხვივნენ ფიქრები. მე ხომ თავის მოკვლას ვაპირებდი და ვიღაცამ ხელიდან გამომგლიჯა რევოლვერი. პოლკოვნიკმა მითხრა, ყველაფერს მე მოვაგვარებო. მაგრამ ვაი, რომ მისი სიტყვები მხოლოდ პოლკსა და ჩემს, როგორც ოფიცრის, კარგ სახელს შეეხებოდა. ალბათ ახლა ჩემი მეგობრები ბუბენჩიჩის წინაშე დგანან და ეფიცებიან მას, რომ ამ ამბავზე კრინტს არ დაძრავენ. მაგრამ ვერანაირი ბრძანება ვერ აიძულებს მათ, ის არ იფიქრონ, რასაც ფიქრობენ. ყველანი მიხვდებიან, რომ ლაჩრულად მოვიქეცი. აფთიაქარმა შეიძლება ჯერ დაიჯეროს კიდეც, რასაც ჩასჩიჩინებენ, მაგრამ ედითი... მამამისი... სხვები? ვინ ეტყვის, ვინ აუხსნის მათ ყველაფერს?.. შვიდი საათია... ახლა გაიღვიძებს ედითი და მაშინვე ჩემზე ფიქრს დაიწყებს. იქნებ უკვე კოშკის ერდოდან იხედება? ო, კოშკის ერდო! რატომ შევკრთები

ხოლმე მუდამ, როცა მისი მოაჯირი მაგონდება? შეიძლება სავარჯიშო მოედანს უყურებს ბინოკლით, ჩვენს პოლკს ხედავს და არ იცის, ვერ ხვდება, რომ დღეს იქ ერთი მხედრით ნაკლებია. ხოლო საღამო რომ მოატანს, ლოდინს დამიწყებს, მე კი ვერ მივალ და ვერც ვერავინ ეტყვის ჩემს ამბავს. ერთი სტრიქონიც არ მიმიწერია მისთვის. შემდეგ დარეკავს ყაზარმაში, ეტყვიან, რომ მივლინებაში წავედი და მიხვდება, იმწამსვე ალღოს აუღებს ამ ამბავს, და მაშინ... ანაზდად კონდორის თვალები წარმომიდგა, პენსნეს მოელვარე მინებიდან როგორ მიმზერენ მუქარით და კვლავ მესმის, როგორ მიყვირის: „ეს ბოროტმოქმედება იქნებოდა, მკვლელობა იქნებოდა!“... შემდეგ მეხსიერებაში მეორე სურათი ენაცვლება პირველს: ვხედავ, როგორ იწევს ედითი სავარძლიდან, როგორ ეყუდება ერდოს მოაჯირს და სულ ცოტა ხანში მის მზერაში უფსკრული და სიკვდილი ისახება...

დაუყოვნებლივ უნდა ვიღონო რაღაც! სადგურიდანვე ვუდეპეშო, ხმა მივაწვდინო... აუცილებლად ხელი უნდა შევუშალო, თორემ სასოწარკვეთილი რამე წრეგადასულს და გამოუსწორებელს ჩაიდენს. არა, მეც რომ არ შეიძლება რამე წრეგადასული და უსაშველო ჩავიდინო?.. ასე არ მითხრა კონდორმა? და თუ ცუდი რამ მოხდა, მაშინვე მე მაცნობეო. დავპირდი მას და სიტყვას ვერ გავტეხ. მადლობა ღმერთს, ვენაში ორი საათი მაინც მექნება დრო მატარებელი იქიდან შუადღემდე არ გადის. იქნებ მოვასწრო კონდორის ნახვა... იქნებ?!. აუცილებლად, აუცილებლად უნდა მოვასწრო!..

ვენაში ჩასვლისთანავე ბარგს დენშჩიკს ვაბარებ, ვუბრძანებ, ჩრდილოდასავლეთის სადგურზე წაიღოს და იქ დამელოდოს. შემდეგ სასწრაფოდ ეტლში ვჯდები და კონდორის ბინისკენ მივქრივარ, თან გზაში ლოცვასავით ვდუდუნებ (თუმცა საერთოდ დიდი ღვთისმოსავი არა ვარ): „ღმერთო, ნეტავ, შინ დამხვდებოდეს, ღმერთო, ნეტავ, შინ დამხვდებოდეს! მხოლოდ მას შემიძლია ავუხსნა, მხოლოდ ის გამიგებს, მხოლოდ მას ძალუძს დამეხმაროს!..“

მოსამსახურე გოგო დაუდევრად მოცუნდრუკებს ჩემს შესახვედრად. თავზე ჭრელი საშინაო ხილაბანდი აქვს წაკრული.

– ბატონი ექიმი შინ არ გახლავთ.

– შეიძლება დაველოდო?

– დიახ, მაგრამ სადილამდე არ მოვა.

– სად არის ახლა, ვერ მეტყვით?

– აბა, რა ვიცი, ალბათ, რომელიმე პაციენტთან.

– მაშ, იქნებ მის მეუღლესთან დამალაპარაკოთ?

– დამელოდეთ, ახლავე მოვახსენებ.

ერთს შეათამაშებს მხრებს და უჩინარდება. მე ვიცდი. ისევ ის ოთახი, ისევ ისე ვზივარ და ველოდები, და აი, მადლობა ღმერთს, მეზობელ ოთახში ისევ ისე, როგორც მაშინ, ვიღაც ოდნავ გასაგონად მოაფრატუნებს ფეხებს.

კარი იღება, გაუბედავად, მორიდებულად, ისევ ისე, როგორც მაშინ, თითქოს ნიავს გაეღოსო. ესაა მხოლოდ: ხმა ამჯერად გულკეთილად და ალერსიანად ჟღერს:

– თქვენ ხართ, ბატონო ლეიტენანტო?

– დიახ, – მივუგებ უსინათლო ქალბატონს და თან ისევ იმ სისულელეს ჩავდივარ თავს ვუკრავ!

– ოჰ, ჩემს ქმარს ძალიან ეწყინება, რომ შინ არ დაგხვდათ, მაგრამ იმედია, დაელოდებით... პირველ საათს არ გადააცილებს.

– არა, სამწუხაროდ, დაცდა არ შემიძლია. მაგრამ... მაგრამ ძალზე საჭირო საქმეზე კი მივდივარ... იქნებ ტელეფონით დაგვერეკა, იქნებ იცით, ახლა რომელ პაციენტთანაა?

უსინათლო ოხრავს:

– არა, ვშიშობ, რომ არაფერი გამოგვივა. არ ვიცი, სად არის... და თანაც, იცით... იმათ, ვისაც ის ყველაზე მეტი ხალისით მკურნალობს, ჩვეულებრივ ტელეფონი არ აქვთ ხოლმე... მაგრამ იქნებ მე თავად...

უსინათლო მიახლოვდება. მის სახეზე ერთბაშად მორცხვობა გაიელვებს. ვატყობ, რაღაც უნდა მითხრას, მაგრამ რცხვენია. ბოლოს, როგორც იქნა, ბედავს:

– მე... მე ვხვდები... ვგრძნობ, რომ ძალზე საჩქარო საქმეზე უნდა იყოთ... და რომ შემეძლოს, რა თქმა უნდა, გეტყოდით... გეტყოდით, სად შეიძლება მისი ნახვა. მაგრამ... მაგრამ იქნებ მე დამაბაროთ რამე და როგორც კი დაბრუნდება, გადავცემ... ეს ალბათ იმ საბრალო ქალიშვილს ეხება, თქვენ რომ ამდენ სიკეთეს იჩენთ... თუ გნებავთ, მე სიამოვნებით...

და აქ აბსურდული რამ მემართება... ვერ ვბედავ მის უჩინო თვალებს თვალი გავუსწორო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ამ ქალმა უკვე ყველაფერი იცოდეს, ყველაფერს ხვდებოდეს. ამიტომ საშინლად დარცხვენილი ვდუდუნებ:

– ერთობ თავაზიანი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ თქვენ როგორ შეგაწუხოთ... თუ ნებას მომცემთ, ბარათს დავუტოვებ... ისე, ორ საათამდე ნამდვილად დაბრუნდება, არა?.. სამის წუთებზე მატარებელი გადის და თქვენი მეუღლე უნდა გაემგზავროს იქ, ესე იგი... აუცილებლად საჭიროა, რომ გაემგზავროს, დამიჯერეთ, ოდნავადაც არ ვაჭარბებ...

ვგრძნობ, რომ სჯერა ჩემი. კიდევ უფრო ახლოს მოდის და ხელს ისე ასავსავებს, თითქოს ჩემი დამშვიდება და ნუგეშისცემა სურდეს.

– რასაკვირველია, ეჭვიც არ მეპარება, რომ გაემგზავრება. თქვენ ნუ ნაღვლობთ... ყველაფერს გააკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია.

– შეიძლება ორიოდე სიტყვა მივწერო?

– დიახ, რა თქმა უნდა... აი, აქეთ მობრძანდით.

წინ მიმიძღვის, თან ისე შეუცდომლად, რომ ეტყობა, ზეპირად იცის, სად რა დევს. ალბათ დღეში ათჯერ მაინც აფათურებს თავის სათუთ და მგრძნობიარე თითებს ქმრის საწერ მაგიდაზე, ასწორებს ნივთებს, რომლებიც მაგიდაზეა მიმოფანტული, რადგან თვალხილულივით შეუცდომლად იღებს მარცხენა უჯრიდან სამ თუ ოთხ ფურცელს და ზუსტად საწერი მოწყობილობის წინ დებს.

– აი, საწერკალამიც, – კვლავ სწორად მიმითითებს ადგილს.

ხელის ერთი მოსმით ვავსებ ხუთ გვერდს: ვემუდარები, ვაფიცებ კონდორს, რომ დაუყოვნებლივ ჩავიდეს ედითთან, დაუყოვნებლივ (ამ სიტყვას ათჯერ მაინც ვიმეორებ).

გულწრფელად ვუყვები ყველაფერს, რომ სიმტკიცე არ მეყო და მეგობრების წინაშე უარვყავი ჩვენი დანიშვნის ამბავი... ვუხსნი, ჩემი სისუსტე იმის ბრალია, რომ ხალხის მეშინია, ჭორებითა და მითქმამოთქმის უბადრუკი შიშით ვარ შეპყრობილი... იმასაც არ ვუმალავ, რომ მინდოდა საკუთარი თავისთვის ანგარიში გამესწორებინა და პოლკოვნიკმა ჩემი ნებასურვილის წინააღმდეგ გადამარჩინა. მაგრამ უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ და მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობდი და მარტოოდენ ახლა მივხვდი, რომ მასაც, უდანაშაულო ქალიშვილსაც თან ვითრევ. დაუყოვნებლივ (ამ სიტყვას ისევ ხაზგასმით ვამბობ), მინდა სიმართლე უთხრას მას, არაფერი დაუმალოს, ნურაფერს შეალამაზებს, მე პირს ნუ მომწმენდს და უდანაშაულოდ ნუ გამომიყვანს. ხოლო თუ ედითი მაინც შემინდობს ამგვარ სისუსტეს, მაშინ ჩვენი ნიშნობა ჩემთვის უფრო წმინდა იქნება, ვიდრე ოდესმე (მხოლოდ ახლაღა იქცა იგი ჩემთვის წმინდად), და თუ ნებას დამრთავს, დაუყოვნებლივ გადავდგები სამხედრო სამსახურიდან, ჩავალ შვეიცარიაში და მასთან დავრჩები, სულერთია, მალე მორჩება, გვიან, თუ საერთოდ არასოდეს. ყველაფერს მოვიმოქმედებ, რომ ჩემი სიმხდალე და სიცრუე გამოვისყიდო... მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს ცხოვრებაში: ედითს დავუმტკიცო, რომ ის კი არა, სხვები მოვატყუე... ყველაფერი პატიოსნად უნდა უამბოს, მთელი სიმართლე გაანდოს, რადგან მხოლოდ ახლა ვხვდები, რაოდენ დავალებული ვარ ედითისგან, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანისგან... მხოლოდ მას შეუძლია გამასამართლოს და მხოლოდ მას აქვს უფლება მომიტევოს... მხოლოდ მან გადაწყვიტოს, პატიების ღირსი ვარ თუ არა... კონდორი აუცილებლად უნდა გაემგზავროს დღის მატარებლით, რომ ხუთის ნახევრისათვის ჩავიდეს კეკეშფალვებთან. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააგვიანოს, რადგან ჩვეულებრივ, ამ დროისათვის მიმელიან ხოლმე. ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა კონდორისადმი... ეს ერთხელაც დამეხმაროს და დაუყოვნებლივ (კვლავ ვიმეორებ ამ სიტყვას) გაემგზავროს, თორემ შემდეგ გვიან იქნება...

დავდე თუ არა კალამი, ცხადი შეიქნა ჩემთვის: ეს პირველად იყო, რომ დამოუკიდებლად მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება. მხოლოდ წერის დროს გადაიშალა ჩემ წინ სწორი გზა და პირველად განვიმსჭვალე მადლიერების გრძნობით პოლკოვნიკისადმი, რომ სიკვდილს გადამარჩინა. ვიცოდი: ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე ერთადერთ ადამიანს ეკუთვნოდა, მხოლოდ იმას, ვისაც მე ვუყვარდი...

მხოლოდ ახლაღა შევნიშნე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში უსინათლოს ფეხი არ მოუცვლია, გაუნძრევლად იდგა ჩემ გვერდით. ისევ მეგონა (ისევ დამეუფლა სრულიად აბსურდული გრძნობა), მთელი წერილი თავიდან ბოლომდე წაიკითხა და ყველაფერი იცის-მეთქი.

– მაპატიეთ, წამოვხტი მაშინვე ზეზე, სულ დამავიწყდა... მაგრამ... მაგრამ... ისეთი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ამ წერილის დაწერა... ისე ვჩქარობდი...

უსინათლომ გამიღიმა.

– დიდი ამბავი, თუ ცოტა ხანს ფეხზე ვიდექი. მთავარი სულ სხვაა. ჩემი ქმარი უთუოდ ყველაფერს გააკეთებს, რაც თქვენ გსურთ... მაშინვე მივხვდი, მე ხომ ყოველ ჩქამს ვიცნობ ჩემი ქმრის ხმაში... თქვენ მას ძალიან უყვარხართ, გაფასებთ... თავს ნუ

იტანჯავთ, კიდევ უფრო თბილად წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები, თავს ნუ იტანჯავთ, გეთაყვათ... უთუოდ ყველაფერი კეთილად დაბოლოვდება...

– ღმერთმა ქნას! – აღმომხდა გულწრფელად დაიმედებულს. განა არ ამბობენ, უსინათლოებს ნათელხილვის უნარი შესწევთო?..

დავიხარე და ხელზევეამბორე ქალს. შემდეგ, როცა მის სახეს შევხედე, გამიკვირდა, რომ პირველად ნახვისას ეს ჭაღარა ქალი ულამაზო მეჩვენა, რადგან ახლა სახე გაცისკროვნებოდა სიყვარულითა და თანაგრძნობით; თითქოს ამ თვალებით, რომლებშიც მხოლოდ წყვდიადი ირეკლებოდა, უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე ყველა თვალხილული, ვინც კი ბედნიერი უმზერდა დღის ნათელს.

სახადმოხდილივით გაბედნიერებული გამოვეთხოვე მას და ის, რომ ხელახლა, ამჯერად უკვე სამუდამოდ დავინიშნე ამ უსინათლოსავით ცხოვრების მიერ დასჯილ და გარიყულ უსუსურ ასულზე, მსხვერპლად აღარ მეჩვენებოდა. არა, ჯანმრთელებმა, ძლიერებმა, ამაყებმა, მხიარულებმა არ იციან სიყვარული... ან კი რად სჭირდებათ? სიყვარულს ისინი ქედმაღლურად და გულგრილად იღებენ, როგორც დამსახურებულ თაყვანისცემას, თითქოს სხვებს ევალებოდეთ მათი ტრფიალი. მათთვის სხვისი გრძნობა უბრალო დანამატს, თმაში გარჭობილ სამკაულს, მკლავზე წამოცმულ სამაჯურს წარმოადგენს და არა მთელი ცხოვრების აზრსა და ბედნიერებას... მარტოოდენ ბედისაგან დაჩაგრულთ, გარიყულთ, დამცირებულთ, მხოლოდ საპყართ, უსუსურთ, ულამაზოთ, თავმოდრეკილთ შეიძლება ჭეშმარიტად დაეხმარო სიყვარულით. ვინც მათ სიცოცხლეს სწირავს, ის დანაკარგს უნაზღაურებს მათ, რომელიც მათ ცხოვრებამ მოსტაცა. მხოლოდ მათ იციან ნამდვილი სიყვარული და სხვისი სიყვარულის დაფასებაც...

* * *

ჩემი დენშჩიკი სადგურის მოსაცდელ დარბაზში მელოდება. წამოდიმეთქი, ვეუბნები და ვუცინი. ჯერ ასეთი შვება არ მიგრძნია, თითქოს ერთბაშად ლოდი ჩამომხსნოდეს გულიდან. მიხარია, რომ ბოლოს მაინც სწორი გადაწყვეტილება მივიღე, თავი გადავირჩინე და ჩემთან ერთად სხვა ადამიანიც გადავარჩინე. უკვე აღარ ვნანობ წუხანდელი ღამით განვითარებულ მოვლენებს. პირიქით, ასე სჯობდამეთქი, ვეუბნები საკუთარ თავს, კარგია, რომ ასე მოხდა, რადგან ახლა ყველამ იცის, რომ არც გმირი ვარ და არც წმინდანი, არც ღმერთი... თუ ახლა ვიზიარებ მის სიყვარულს, ეს უკვე მსხვერპლი აღარ არის. არა, ახლა ჩემი რიგია პატიების თხოვნისა, ხოლო მან უნდა მომმადლოს იგი...

ასე გულდაჯერებული ჯერ არ ვყოფილვარ. მხოლოდ ერთხელ წამომიქროლა შიშის აჩრდილმა, როდესაც ლუნდენბურგში ერთი სქელ-სქელი კაცი შემოვარდა კუპეში და ქოშინით დაეცა დივანზე: მადლობა ღმერთს, რომ მოვასწარი, მატარებელს ექვსი წუთი რომ არ დაეგვიანა, დავრჩებოდიო.

ჩემდა უნებურად შევკრთი. ვაითუ, კონდორი სადილად არ დაბრუნდა შინ? ანდა დაბრუნდა, მაგრამ გვიან და დღის მატარებელს ვეღარ მოასწრო? მაშინ სულ ამაოდ ჩაივლის ყველაფერი! მაშინ ედითი... უმალვე ისევ ის საზარელი სურათი წარმომიდგა ერდოს მოაჯირს ჩაჰფრენია ხელებით და დაბლა იყურება, სადაცაა უფსკრულში გადაეშვება... ღმერთო, დროულად უნდა შეიტყოს, როგორ მოვინანიე ღალატი! დროულად, ვიდრე სასოებას დაკარგავდეს, ვიდრე შემზარავი რამ მოხდებოდეს! ყველაფერს სჯობს, უახლოესი სადგურიდან ორიოდე სიტყვა ვუდეპეშო, დავამშვიდო. თორემ, ვაითუ, კონდორი ვერც ჩავიდეს და ვერც ვერაფერი აცნობოს... პირველივე სადგურზე, ბრიუნში, გადმოვდივარ მატარებლიდან და ფოსტაში გავრბივარ. მაგრამ ეს რა ამბავია? ფოსტის წინ ფუტკარივით ირევა ხალხი. ყველანი რაღაც განცხადებას კითხულობენ. იძულებული ვარ ძალით გავიჭრა მინის პატარა კარისკენ, დაურიდებლად ვამუშავებ იდაყვებს, აბა, ჩქარა, ჩქარა, ბლანკი სად არის? რა მივწერო? მოკლედ უნდა მოვჭრა! „ედით ფონ კეკეშფალვას. საკეკეშფალვო. მხურვალე სალამს და მოკითხვას გითვლით გზიდან. სასწრაფო დავალებით მიმავლინეს. მალე დავბრუნდები. კონდორი შეგატყობინებთ დაწვრილებით. ჩასვლისთანავე მოგწერთ. შენი ანტონი“.

ვაბარებ დეპეშას. რა ნელა მუშაობს ფოსტის მოხელე ქალი, რამდენ კითხვას იძლევა: ვინ გზავნის, მისი მისამართი, ერთ ფორმალობას მეორე მოსდევს. ხოლო მატარებლის გასვლამდე ორი წუთიღა რჩება. ისევ გაჭირვებით მივარღვევ განცხადების წინ დაყუდებულ ცნობისმოყვარეთა ბრბოს (ახლა კიდევ უფრო მეტ ხალხს მოუყრია თავი). ნეტავ, რა მოხდა? მინდა ვინმეს ვკითხო, მაგრამ ამ დროს სასტვენის გამყინავი ხმა გაისმის. მატარებელი გადის, ძლივს ვასწრებ ვაგონის საფეხურზე შეხტომას. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოვასწარი, ახლა აღარ იდარდებს... მხოლოდ ახლაღა ვგრძნობ, როგორ დამღალა ამ ორმა დაძაბულმა დღემ და ორმა უძილო ღამემ. საღამოს ჩასლავიცში ჩავდივართ, თავს ძალას ვატან, რომ როგორმე ავაღწიო ჩემს ნომრამდე, რომელიც სასტუმროს მეორე სართულზეა, და მაშინვე, როგორც უფსკრულში, ისე ვიძირები ძილის ბურანში...

* * *

თავი მივდე თუ არა ბალიშზე, იმწამსვე ჩამეძინა. გრძნობებმორეული თითქოს მრუმე, ღრმა მორევში ჩავიძირე, სულ ღრმად და ღრმად ვეშვებოდი იმ მიუწვდომელ სიღრმემდე, სადაც ჩვენი შეგნება მთლიანად ქრება. მხოლოდ შემდეგ, ბევრად უფრო გვიან, ვნახე სიზმარი, რომლის დასაწყისსაც ვეღარ ვიხსენებ. მახსოვს მხოლოდ, რომ ისევ რომელიღაც ოთახში ვიდექი, მგონი, კონდორთან, მოსაცდელ ოთახში, და ერთბაშად ისევ ის საზარელი კაკა-კუკი შემომესმა, რომელიც აი, უკვე ამდენი დღე იყო საფეთქლების პულსაციას აყოლილი ჩამესმოდა ყურში, ხის ყავარჯენთა რიტმული ტაკა-ტუკი, შემაძრწუნებელი, რომელიც ჯერ შორიდან ისმოდა, თითქოს ქუჩიდან ატანდა ხმაო, მერე უფრო ახლოდან... უკვე სულ ახლოსაა, მძაფრად ისმის, ტაკ-ტუკ, ბოლოსზედ კართან ისეთი საშინელი ზათქით გრიალებს, რომ ვკრთები და მეღვიძება.

თვალებდაჭყეტილი ვიცქირები სიბნელეში. მაგრამ უეცრად ისევ გაისმის კაკუნი გამალებული, მკაფიო. არა, ეს სიზმარი აღარ არის, ვიღაც აშკარად აკაკუნებს კარზე. ნაუცბათევად ვდგები ლოგინიდან და სასწრაფოდ ვაღებ კარს. გარეთ პორტიე დგას.

– ბატონო ლეიტენანტო, ტელეფონთან გთხოვენ.

შეცბუნებული მივჩერებივარ. მე? ტელეფონთან? მერედა, სად... სად ვიმყოფები? უცხო ოთახი, უცხო საწოლი... ოჰ, მართლა... მე ხომ... ჩასლავიცში ვარ. მაგრამ აქ კაციშვილს არ ვიცნობ, ვინ უნდა მირეკავდეს ამ შუაღამეს? სისულელეა!

ახლა, სულ ცოტა, ღამის თორმეტი საათი მაინც იქნება, მაგრამ პორტიე მაჩქარებს:

– თუ შეიძლება, ცოტა სწრაფად, ბატონო ლეიტენანტო, ვენიდან გიძახებენ, გვარი კარგად ვერ გავარჩიე.

მაშინვე გამოვფხიზლდი. ვენიდან! კონდორი თუა, სხვა ვინ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ალბათ, სურს მაცნობოს, რომ ედითმა მაპატია და ყველაფერი რიგზეა. პორტიეს ვუბრძანებ:

– აბა, მარდად ჩადით და უთხარით, რომ ახლავე მოვდივარ.

პორტიე გარბის. მეც სიჩქარეში ფარაჯას პირდაპირ პერანგზე ვისხამ და უკან მივდევ მას. ტელეფონი სასტუმროს ბიუროს კუთხეში ჰკიდია პირველ სართულზე. პორტიეს უკვე ხელში აქვს ყურმილი. მოუთმენლად ვკრავ ხელს და, თუმცა მეუბნება, გაგვთიშესო, მაინც ვართმევ ყურმილს და შეშფოთებული ვიდებ ყურზე.

მაგრამ არაფერი, არაფერი ისმის. მხოლოდ შორეული ზუზუნი და ზრიალია ზზზ... ზრრ... ზრრ... თითქოს კოღოები ზუოდნენ. ალო! ალო!.. ჩავძახი ყურმილში და ვიცდი და ვიცდი, მაგრამ პასუხი არ არის, მხოლოდ ლითონის ერთფეროვანი, თითქოს დამცინავი ზუზუნი მესმის. ერთიანად ვკანკალებ წამოსხმული ფარაჯის ამარა რომ ვდგავარ იმის ბრალია, თუ უცაბედი შიშის? ვინ იცის, იქნებ ყველაფერი ჩაიშალა? ან იქნებ... ველოდები, ვუსმენ... უკვე გამთბარ ყურმილს მთელი ძალით ვებღაუჭები და კვლავ ყურთან ვიდებ... ბოლოს ტელეფონისტი ქალის ხმა მესმის:

– ილაპარაკეთ?

– არა! მითრთის ხმა.

– ჰო, მაგრამ, ეს-ეს არის ხომ დაგიკავშირდნენ, ვენიდან იყო გამოძახება. აბა, ერთ წამს მოითმინეთ, ახლავე შევამოწმებ.

აპარატში რაღაც გადაირთო, რაღაც ტკაცუნობს, ტკრციალებს, ხრიალებს, ბუყბუყებს, სისინებს, ქრის და შემდეგ თანდათანობით ყუჩდება ყველაფერი, და ისევ მხოლოდ მავთულების ყრუ გამოძახილი მოისმის: ზრრ... ზრრ... ანაზდად ვიღაცის ხმა შემოიჭრება, ტლანქი, მოუხეშავი ბანი:

– ლაპარაკობს პრაღის კომენდატურა. ეს სამხედრო სამინისტროა?

– არა, არა, სასოწარკვეთილი ჩავძახი ყურმილში.

ბანი კიდევ რაღაცას როხროხებს გაურკვევლად და ქრება, იკარგება სიცარიელეში. შემდეგ ისევ ის გამომთაყვანებელი ზუზუნი და სისინი სუფევს, შემდეგ ხელახლა შორეული ხმები, არეული ლაპარაკი მოისმის და ბოლოს ტელეფონისტი ქალის ხმა ბრუნდება:

– ალო, უკაცრავად, ეს-ეს არის შევამოწმე, თქვენი ხაზი სასწრაფო სამსახურებრივი ლაპარაკის გამო გაწყდა. დაუყოვნებლივ დაგირეკავთ, როგორც კი აბონენტი ისევ გამოგიძახებთ. მანამდე კი გთხოვთ, ყურმილი დაკიდოთ...

ქანცგამოლეული, გულგაცრუებული, გამწარებული ვკიდებ ყურმილს. იმაზე უაზრო არაფერია, როდესაც შორიდან ხმას მოგაწვდენენ და ვერაფერს კი ვერ გაიგებ. თითქოს მთაზე ამერბინოს, ისეთი ბაგა-ბუგი გაუდის ჩემს გულს. ნეტავ, რა მოხდა? ეს მხოლოდ კონდორი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ რამ დაარეკვინა ღამის პირველის ნახევარზე? პორტიე თავაზიანად მომმართავს:

– ბატონო ლეიტენანტო, შეგიძლიათ ზემოთ, თქვენს ნომერში აბრძანდეთ. გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, მაშინვე ამოვირბენ, როგორც კი დაგვიკავშირდებიან.

მაგრამ უარზე ვარ. არ მინდა ერთხელ კიდევ დავიგვიანო. არც ერთი წუთის დაკარგვა არ მსურს. აუცილებლად უნდა შევიტყო, რა მოხდა, რადგან უთუოდ (ამას უკვე ვგრძნობ) რაღაც მოხდა. მხოლოდ კონდორს ანდა საკეკეშფალვოდან შეეძლოთ დაერეკათ. მხოლოდ კონდორს შეეძლო მათთვის ჩემი სასტუმროს მისამართი მიეცა. ასეა თუ ისე, ეტყობა, ძალზე მნიშვნელოვან, ძალზე საჩქარო საქმეზე დარეკეს, თორემ შუაღამისას კაცს ასე არ წამოაგდებდნენ ლოგინიდან.

ყოველი კუნთი მითრთის: მე ვჭირდები მათ, ჩემი თავი ესაჭიროებათ! ვიღაცას რაღაცაში უნდა გამოვადგე, ვიღაცას რაღაც სურს ჩემგან! ვიღაცას რაღაც სურს მაცნობოს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, რაზედაც ვიღაცის სიკვდილ-სიცოცხლეა დამოკიდებული... არა, ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან და არსად წავალ... ვერც ერთ წუთს ვერ დავკარგავ... ხის სკამზე ვჯდები, რომელსაც, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული პორტიე მიდგამს, და ველოდები... შიშველ ფეხებს ფარაჯის კალთებით ვიფარავ და თვალს არ ვაცილებ ტელეფონს. ველოდები თხუთმეტ წუთს, ნახევარ საათს, თან მოუსვენრობისგან ვკანკალებ (თუმცა შეიძლება სიცივისგან), და წამდაუწუმ პერანგის სახელოთი ოფლს ვიმშრალებ შუბლზე. ბოლოს, როგორც იქნა გაისმა ზარის ხმა. ვეძგერე ტელეფონს, ყურმილს ვიღებ ხელში: ახლა, ამ წამს შევიტყობ ყველაფერს! ვფიქრობ გულში.

მაგრამ ყოვლად ტუტუცური შეცდომა მომდის. პორტიე მითითებს, რომ ტელეფონმა კი არ დარეკა, არამედ სასტუმროს ზარმა. პორტიე სასწრაფოდ უღებს კარს შეგვიანებულ წყვილს. ვიღაც ასულთან ერთად სასტუმროში დეზების წკარაწკურით შემოდის როტმისტრი. გაკვირვებულია ერთს კი შეავლებს თვალს პორტიეს ადგილზე მჯდომ უცნაურ ადამიანს, რომელსაც ოფიცრის ფარაჯა წამოუსხამს და შიშველი კისერი და ფეხები უჩანს, შემდეგ დაუდევრად იძლევა სამხედრო სალამს და თავის გოგოსთან ერთად ნახევრად ჩაბნელებულ კიბეზე უჩინარდება.

მოთმინება აღარ მყოფნის, ტელეფონის სახელურს ვატრიალებ და ტელეფონისტ ქალს მივმართავ:

– არ გამოვუძახებივარ?

– ვის არ გამოუძახებიხართ?

– ვენას... მგონი, ვენიდან იყო... ამ ნახევარი საათის წინ.

– ახლავე კიდევ შევამოწმებ. ერთ წუთს მოითმინეთ.

ერთი წუთი დიდხანს გრძელდება. ბოლოს რეკავს ტელეფონი, მაგრამ ეს ისევ ტელეფონისტი ქალია, მამშვიდებს მხოლოდ:

– პასუხი ჯერ არ არის. რამდენიმე წუთი კიდევ დაიცადეთ. თავად დაგირეკავთ. ისევ უნდა ველოდო! კიდევ რამდენიმე წუთი უნდა ველოდო! ჰმ, წუთები! წუთები! ერთ წამში შეიძლება კაცი მოკვდეს, ვინმეს ბედ-იღბალი გადაწყდეს, მსოფლიო დაიქცეს! რატომ მალოდინებენ? ეს ხომ წამებაა, ეს ხომ სიგიჟეა!.. საათს ვუყურებ, უკვე ორის ნახევარია, მთელი ერთი საათია აქ ვზივარ ვკანკალებ, ვიყინები და ველოდები.

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ წკრიალებს ტელეფონი. სმენად ვარ გადაქცეული, მაგრამ ეს ისევ ტელეფონისტი ქალია:

– ეს-ეს არის მაცნობეს, რომ აბონენტმა შეკვეთა გააუქმა, – მეუბნება მშვიდად.

– გააუქმა? როგორ თუ გააუქმა? რატომ გააუქმა? ერთ წამს მოიცათ, ფროილაინ, – მაგრამ ტელეფონისტი ქალი უკვე აღარ მპასუხობს.

გააუქმაო! რატომ გააუქმა? რატომ მირეკავენ ღამის პირველის ნახევარზე და მერე აუქმებენ შეკვეთას? უთუოდ რაღაც მოხდა, რაც მე არ ვიცი... რა საშინელებაა, როცა სივრცეს, სიშორესა და დროს ვერ სძლევ!.. მე თავად ხომ არ დავურეკო კონდორს? არა, ამ შუაღამისას არ შეიძლება! მის ცოლს შეეშინდება. ალბათ კონდორმაც იმიტომ აღარ დარეკა, რომ ძალიან გვიანი იყო და დილით კიდევ დარეკავს...

ვერ აგიწერთ იმ ღამეს თავში ათასგვარი შლეგური აზრი მიტრიალებდა. ელვის სისწრაფით სურათი სურათს ცვლიდა, ქაოსურ გამოსახულებათა მთელი ჯარი მესეოდა; თუმცა დაღლილი ვიყავი, მაგრამ რული არ მეკიდებოდა, ყოველი ნერვი დაძაბული მქონდა და ველოდი რაღაც ამბავს, ყურს ვუგდებდი ყოველ ნაბიჯს კიბესა და დერეფანში, ზარის ყოველ წკრიალს და ყოველ ჩქამსა და ფაჩუნზე ვკრთებოდი... არ ვიცი, როდის ჩამეძინა ერთობ ხანგრძლივი, თითქოს სიკვდილის მომლოდინე, არარაობის უფსკრულივით ღრმა ძილით...

როდესაც გამეღვიძა, ოთახში უკვე დილის ნათელი იდგა. საათს დავხედე: თერთმეტის ნახევარი იყო. ღმერთო ჩემო, ჩასვლისთანავე გამოცხადდიო, ასე არ მიბრძანა პოლკოვნიკმა?.. ვიდრე პირადზე ფიქრის დაწყებას მოვასწრებდე, ჩემი გონება ავტომატურად სამხედრო, სამსახურებრივ ამბებზე ირთვება. მუნდირსა და ფარაჯას ვიცვამ და დაბლა ჩავრბივარ. პორტიეს უნდა შემაჩეროს, მაგრამ არა ეგ მერე იყოს! ჯერ უნდა გამოვცხადდე, პოლკოვნიკს პატიოსანი სიტყვა მივეცი.

ფორმას ვისწორებ ტანზე და წესდებისამებრ გამოჯგიმული შევდივარ კანცელარიაში, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი პატარა, წითური უნტეროფიცერი ზის, რომელიც ჩემს დანახვაზე შეშინებული წამოხტება:

– სასწრაფოდ დაბლა ჩადით, ბატონო ლეიტენანტო, ბრძანება უნდა წაიკითხონ. ბატონმა პოდპოლკოვნიკმა საგანგებოდ ბრძანა, რომ გარნიზონის ყველა ოფიცერი და მთელი რიგითი შემადგენლობა ზუსტად თერთმეტზე მწყობრში იდგეს. ასე რომ, გთხოვთ, ნუღარ დააყოვნებთ.

გიჟივით ვეშვები კიბეზე. მართლაც ეზოში ყველას მოუყრია თავი, მთელი გარნიზონი მწყობრში დგას; ძლივს ვასწრებ ფელდეკრატის გვერდით ადგილის დაკავებას, რომ

დივიზიის მეთაურიც გამოდის. განსაკუთრებით დინჯად და საზეიმოდ მოაბიჯებს, შემდეგ შლის რაღაც ქაღალდს და მჭექარე ხმით კითხულობს:

– საშინელი ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი, რომელმაც ავსტრია-უნგრეთის ქვეშევრდომნი და მთელი ცივილიზებული კაცობრიობა ზიზღით აღავსო.

რა ბოროტმოქმედება? ვფიქრობ შეშინებული და უნებლიეთ ჟრუანტელი მივლის, თითქოს მე ვყოფილიყავი ამ ბოროტმოქმედების მონაწილე.

– ვერაგულად მოკლეს... (ვინ მოკლეს? – სული მეხუთება აღელვებისგან)... ჩვენი საყვარელი ტახტის მემკვიდრე, მისი საიმპერატორო და სამეფო უმაღლესობა ჰერცოგი ფრანცფერდინანდი და მისი მეუღლე... (რაო? ტახტის მემკვიდრე მოკლეს? მერედა რატომ? როდის?.. ალბათ ამიტომ ირეოდა გუშინ ამდენი ხალხი განცხადების წინ. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!)... ღრმა მწუხარებასა და გლოვაშია ჩვენი უგანათლებულესი საიმპერატორო კარი... (მაგრამ საიმპერატოროსამეფო არმია ამ დროს სად არის, – კვლავ ვეკითხები საკუთარ თავს...)

დანარჩენი უკვე აღარ მესმის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სიტყვები „ბოროტმოქმედება“, „მოკლეს“ ურისავით დამეცა გულზე. მე თავად რომ ვყოფილიყავი მკვლელი, ალბათ ამაზე მეტად მაინც არ შევშფოთდებოდი... ბოროტმოქმედება, მკვლელობაო, სწორედ ამასვე არ ამბობდა კონდორი?!

უკვე ყურს აღარ ვუგდებ, რას მიედმოედება, რას ყბედობს ეს ორდენებით შემკული, ცისფერ მუნდირში გამოწყობილი კაცი, რომელიც ჩვენ წინ წამოჭიმულა...

უეცრად მაგონდება, რომგუშინ ღამით ვიღაც მირეკავდა ტელეფონით. რატომ აღარაფერი მაცნობა კონდორმა დღეს დილით? ან იქნებ სულაც არაფერი მომხდარა?.. ბრძანების წაკითხვის შემდეგ საყოველთაო ორომტრიალით ვსარგებლობ და ისე სასტუმროში გავრბივარ: იქნებ ამასობაში ვინმემ კვლავ დარეკოს და რამე მაინც გავიგო-მეთქი.

პორტიე დეპეშას მაწვდის. დღეს დილით მივიღეთ, მაგრამ თქვენ ისე ჩქარობდით, რომ ვერ გადმოგეცითო. ვხსნი დეპეშას და ერთბაშად ვერაფერს ვიგებ. ხელს არავინ აწერს! ტექსტიც სრულიად გაუგებარია! ბოლოსღა ვხვდები: ეს ფოსტის უწყებაა და სხვა არაფერი. მატყობინებენ, რომ ჩემ მიერ გუშინ სამ საათსა და ორმოცდათვრამეტ წუთზე ბრიუნიდან გაგზავნილი დეპეშა ვერ გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ვერ გადაეცა? გაშტერებული დავცქერი ამ სიტყვებს. ედით ფონ კეკეშფალვას დეპეშა ვერ გადასცეს? იმ პატარა ქალაქში ხომ მას ყველა იცნობს!.. უკვე ვეღარ ვიტან ამდენ გაურკვევლობას, დაუყოვნებლივ ვთხოვ პორტიეს ვენას დაუკავშირდეს და დოქტორ კონდორთან ლაპარაკი შეუკვეთოს.

– სასწრაფო? მეკითხება პორტიე.

– დიახ, სასწრაფო.

ოცი წუთის შემდეგ მაერთებენ კონდორის ბინასთან და აი, ბედისწერის დაცინვაც ამას ჰქვია!.. საქალაქთაშორისო ტელეფონით საუბრის დროს ლაპარაკი მოკლეა... კონდორი სიტყვას მოკლედ მიჭრის, ჯოჯოხეთურმა შემთხვევამ ყველაფერი ჩაშალა და უბედურმა ვეღარაფერი შეიტყო ჩემი მონანიებისა და გულწრფელი, გულის სიღრმიდან მომავალი

გადაწყვეტილების შესახებ... პოლკოვნიკის ცდა, მიეფუჩეჩებინა საქმე, სულ ამაო გამოდგა. ფერენცი მეგობრებთან ერთად კაფედან შინ კი არ წავიდა, არამედ სამიკიტნოში, სადაც, საუბედუროდ, აფთიაქარს შეხვდა ხალხმრავალ სუფრაზე... და ფერენცი, ის გულკეთილი ყმაწვილი (მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სიყვარულის გამო) მაშინვე დაეძგერა მას და ყველას თანდასწრებით ბრალი დასდო, ჰოფმილერზე ასეთ ბინძურ სიცრუეს ავრცელებო, და პასუხიც მოსთხოვა მას... საშინელი აყალმაყალი ატყდა და მეორე დღეს ეს ამბავი უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა, რადგან თავმოყვარეობაშელახული აფთიაქარი დილაადრიან მოვარდა ყაზარმაში, რომ მოწმედ მოვეხმე. და რაკი ჩემი საეჭვო გაქრობის ამბავი შეიტყო, პირდაპირ საკეკეშფალვოსკენ გაეშურა ეტლით და ბერიკაცის კაბინეტში ისეთი ღრიალი ატეხა, რომ ფანჯრის მინებს ზრიალი გაუდიოდათ თურმე. თქვენი „ტელეფონის ბრიყვული წკარა-წკურით“ ქვეყნის მასხარა გამხადეთ და მე, როგორც ამ ქალაქის ძველისძველი მკვიდრი, ვერ მოვითმენ, რომ იმ თავხედ ოფიცერთა ხროვამ შეურაცხყოფა მომაყენოსო. მშვენივრად ვიცი, ჰოფმილერმა ასე კუდამოძუებულმა რატომ მოუსვა, მე ვერ გამაცურებენ, რომ ვითომ უბრალო ხუმრობა იყო ეს ყველაფერიო... მაინც რა გაუგონარი უნამუსობა ჩაიდინა თქვენმა ლეიტენანტმა, მაგრამ მაგას მაინც არ ვაპატიებ, თუნდაც სამინისტრომდე მისვლა დამჭირდეს, ვერ ავიტან, რომ მაგისთანა ცინგლიანების გამო საჯაროდ გამლანძღონო...

ძლივს შეძლეს გამძვინვარებული აფთიაქარის დაშოშმინება და თავიდან მოშორება; შეძრწუნებულ კეკეშფალვას იმის იმედიღა ჰქონდა, რომ ედითი ამ საშინელი ბრალდებებიდან ვერაფერს გაიგონებდა. მაგრამ საბედისწერო კაბინეტის ფანჯრები ღია იყო და აფთიაქარი ისე ყვიროდა, რომ ეზოს გადაღმაც, სასტუმრო დარბაზში, სადაც სნეული გოგონა იჯდა, ერთობ მკაფიოდ ისმოდა მისი ყოველი სიტყვა. როგორც ჩანს, ედითმა მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება (რომელიც უკვე დიდი ხანია თავში უტრიალებდა), მაგრამ არაფერი შეიმჩნია; ერთხელ კიდევ მოატანინა და დაათვალიერა ახალი კაბები, ეხუმრებოდა ილონას, ეფერებოდა მამას, კითხულობდა ათას წვრილმანს, მოამზადეს თუ არა ეს, შეკრეს თუ არა ის, და მაინც ჩუმად დაავალა იოზეფს ყაზარმაში დაერეკა, შეეტყო, როდის დავბრუნდებოდი და რამე ხომ არ დავუბარე მას წასვლის წინ... მორიგის ცნობამ, რომ მე ნაწილიდან განუსაზღვრელი დროით გავემგზავრე მივლინებით და არაფერი დამიბარებია, საბოლოოდ გადაწყვიტა გოგონას ბედი. მოუთმენლობით შეპყრობილმა ერთი დღე, ერთი საათიც კი აღარ მოისურვა მოეცადა... ერთობ გავუტეხე გული, ერთობ ღრმა ჭრილობა მივაყენე იმისათვის, რომ კიდევ ნდობა ჰქონოდა ჩემი, და ჩემმა სისუსტემ, სნეულ გოგონას ავბედითი ძალა შესძინა...

სადილის შემდეგ კოშკის აივანზე აყვანა ითხოვა. ილონა, მისი უჩვეულო მხიარულებით შეშფოთებული (თითქოს გულმა უგრძნოო), გვერდიდან არ სცილდებოდა, მაგრამ ხუთის ნახევარზე ზუსტად იმ დროს, როდესაც მე მივდიოდი ხოლმე, თხუთმეტი წუთით ადრე, ვიდრე თითქმის ერთდროულად ჩემი დეპეშაც მოვიდოდა და კონდორიც ჩამოვიდოდა, ედითმა ილონას რომელიღაც წიგნის მოტანა სთხოვა და ილონაც, საუბედუროდ, დაჰყვა ამ თითქოსდა უცოდველ თხოვნას... ეს ერთი

წუთიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოუთმენლობით გათანგული გულის კარნახს აყოლილს სისრულეში მოეყვანა საზარელი განზრახვა ზუსტად ისევე, როგორც მე მითხრა ერთხელ კოშკის აივანზე, ზუსტად ისევე, როგორც მე მეხატებოდა კოშმარულ ზმანებებში...

კონდორმა ცოცხალს მოუსწრო. საკვირველია, მაგრამ ქალიშვილის მჩატე სხეული გარეგნულად რამდენადმე არსებითად არ დაშავებულა. გრძნობადაკარგული ვენაში წაიყვანეს სანიტარიული ავტომობილით. გვიან ღამემდე ექიმებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ გადარჩებოდა და ამიტომაც კონდორმა საღამოს რვა საათზე სასწრაფოდ დამირეკა საავადმყოფოდან, მაგრამ იმ ღამეს, 29 ივნისის ღამეს, ტახტის მემკვიდრის მკვლელობის შემდეგ, მთელი იმპერიის დაწესებულებებში განგაში ატყდა და სატელეფონო ხაზები სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ გადაეცათ. ოთხი საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა კონდორი დამკავშირებოდა. მხოლოდ ნაშუაღამევს, როდესაც ექიმებმა დაასკვნეს, რომ აღარაფერი ეშველებოდა ედითს, გააუქმა შეკვეთა... ნახევარი საათის შემდეგ ედითმა სული დალია...

დარწმუნებული ვარ, რომ ასეულათასობით ადამიანისგან, რომლებიც იმ აგვისტოს დღეებში ჯარში გაიწვიეს, მხოლოდ ცოტანი თუ მიდიოდნენ ფრონტზე ჩემებრ გულცივად და მოუთმენლადაც კი. იმიტომ კი არა, რომ ომი მწყუროდა, ჩემთვის ეს ერთგვარი გამოსავალი და ხსნა იყო; ომს ისე ვაფარებდი თავს, როგორც ავაზაკი წყვდიადს. ოთხი კვირა სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე საკუთარი თავის ზიზღნარევი სიძულვილით გამსჭვალულმა ისეთ სასოწარკვეთილებასა და დაბნეულობაში გავატარე, რომ ახლაც იმ დღეებს უფრო დიდი ძრწოლით ვიგონებ, ვიდრე ბრძოლის ველზე გატარებულ უსაშინელეს საათებს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი სისუსტით, ჩემი თანაგრძნობით (ჯერ რომ იმედი გავუღვიძე და შემდეგ კი გავიქეცი) ადამიანი მოვკალი, თანაც ის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გაგიჟებით ვუყვარდი... გარეთ გამოსვლას ვეღარ ვბედავდი, უქეიფოდ ვარ-მეთქი, გამოვაცხადე და შინ ვყურყუტებდი. კეკეშფალვას მივწერე, მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების-მეთქი (ვაგლახ, მე მართლაც „მონაწილე“ ვიყავი!), მაგრამ არ მიპასუხა. კონდორს წერილი წერილზე დავაყარე, ვუხსნიდი, თავს ვიმართლებდი, მაგრამ არც ის მპასუხობდა. არც მეგობრებისგან მიმიღია თუნდაც ერთი სტრიქონი და არც მამაჩემისგან (ალბათ იმიტომ, რომ იმ დაძაბულ დღეებში მეტისმეტად გადატვირთული იყო სამინისტროში საქმიანობით), მაგრამ მე კი ვფიქრობდი, რომ ყველას პირი ჰქონდა შეკრული, ყველა ერთხმად მკიცხავდა... სულ უფრო და უფრო მჯაბნიდა შლეგური აზრი, რომ ყველა მძრახავდა, როგორც მე თვითონ ვძრახავდი ჩემს თავს; ნუთუ ყველას მკვლელად მივაჩნდი, რახან მე თავად მკვლელად მიმაჩნდა თავი? იმ დროს, როდესაც მთელი ავსტრია-უნგრეთის იმპერია შეძრული იყო, როდესაც დაბნეულ ევროპაში ტელეგრაფის მავთულები თითქოს გავარვარებული იყვნენ და თრთოდნენ იმ საშინელი ცნობებისაგან, რომლებსაც გადასცემდნენ, როდესაც ბირჟები ირყეოდა, არმიების მობილიზაციას ახდენდნენ, ხოლო ყველაზე წინდახედულები უკვე ბარგს კრავდნენ, მე მხოლოდ ჩემს ლაჩრულ ღალატზე, ჩემს დანაშაულზე ვფიქრობდი... ამიტომ, ფრონტზე გაგზავნა

ჩემთვის ხსნას ნიშნავდა; ომმა, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა, მე, დამნაშავე, სასოწარკვეთილებას გადამარჩინა...

მაღალფარდოვან სიტყვებს ვერიდები. ამიტომ არ ვამბობ, სიკვდილს ვეძებდი-მეთქი. ვიტყვი მხოლოდ, რომ არ მეშინოდა, ან ყოველ შემთხვევაში ნაკლებად მეშინოდა, ვიდრე უმრავლესობას, სიკვდილის. იყო წუთები, როდესაც უკან დაბრუნება (სადაც იყვნენ ადამიანები, რომელთაც ჩემი დანაშაულის ამბავი იცოდნენ) უფრო მზარავდა, ვიდრე ფრონტის საშინელებანი. და ან კი სად უნდა დავბრუნებულიყავი? ვის რად ვუნდოდი? ვის ვუყვარდი კიდევ, ვისთვის ან რისთვის უნდა მეცხოვრა?..

რამდენადაც გულადობა სხვას არაფერს ნიშნავს (უფრო ამაღლებულს არაფერს ნიშნავს), თუ არა შიშის არქონას, გულდამშვიდებულმა შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად გულადი ვიყავი ბრძოლაში, ვინაიდან იმას, რაც ჩემს მეგობართაგან ყველაზე მამაცებსაც კი სიკვდილზე უფრო ზარავდათ დასახიჩრების შესაძლებლობას მე ჩირადაც არ ვაგდებდი... ალბათ, როგორც სამართლიან სასჯელს, სამაგიეროს მოზღვას, ისე აღვიქვამდი, მე თვითონ რომ საპყარი, სახიჩარი და სხვათა თანაგრძნობის კერძი გავმხდარიყავი, რადგან ჩემი საკუთარი თანაგრძნობა ერთობ ლაჩრული, ერთობ უძლური გამოდგა... ხოლო თუ სიკვდილს არ შევეყარე, ეს ჩემი ბრალი არ არის; მრავალგზის გულცივად გამისწორებია მისთვის თვალი. როცა განსაკუთრებით სახიფათო ოპერაციისათვის მოხალისეები სჭირდებოდათ, პირველი მე გამოვთქვამდი სურვილს. ყველაზე უკეთ მაშინ ვგრძნობდი თავს, როცა ბრძოლა ყველაზე შმაგი იყო. პირველად დაჭრის შემდეგ გამოვჯანმრთელდი თუ არა, მეტყვიამფრქვევთა ასეულში გადაყვანა ვითხოვე, ხოლო უფრო მოგვიანებით მფრინავთა ნაწილში განაწილება. როგორც ჩანს, მართლაც ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ ყოველთვის, როცა კი ბრძანებაში ჩემი გვარის გვერდით სიტყვა „სიმამაცე“ იყო ნახსენები, თავი მატყუარად მესახებოდა. ხოლო თუ ვინმე ერთობ ჩაციებით დაუწყებდა ყურებას ჩემს ორდენებსა და მედლებს, სასწრაფოდ პირს ვიბრუნებდი ხოლმე მათგან...

როცა ბოლოს ამ გაუთავებელმა ოთხმა წელმა განვლო, ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ ყველაფრის მიუხედავად, ისევ უწინდელ სამყაროში შემეძლო ცხოვრება, რადგან ჩვენ, ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულები, ყველაფერს ახალი მეტრით ვზომავდით. სულ სხვაა, თუ მშვიდობიანობის დროს სინდისი იმით გაქვს დამძიმებული, რომ ადამიანის სიკვდილში მიგიძღვის ბრალი, და სულ სხვა თუ მსოფლიო ომი გამოიარე... ამ უკიდეგანო სისხლიან ჭაობში ჩემი პირადი დანაშაული მთლიანად შთანთქა საყოველთაომ... განა მე, იმავე პიროვნებამ, აი, ამ თვალებისა და ხელების პატრონმა, არ დავაყენე ტყვიამფრქვევი ლიმანოვასთან? მან ხომ პირწმინდად მოცელა რუსების ქვეითი ჯარის პირველი ტალღა, რომელსაც ჩვენს სანგრებზე მოჰქონდა იერიში?! შემდეგ მე თავად ვხედავდი ჭოგრიტით ჩემ მიერ დახოცილ ადამიანთა საზარელ თვალებს, ვუყურებდი დაჭრილებს, რომლებიც საათობით გმინავდნენ მავთულხლართებში გაბმულნი, ვიდრე საცოდავებს სული არ ამოხდებოდათ. მტრის თვითმფრინავიც ჩამოვაგდეთ და შემდეგ საკუთარი ხელებით ვჩხრეკდით დანახშირებულ, ჯერაც საშინლად მხრჩოლავ გვამებს და მათი ვინაობის ამოსაცნობ ნიშნებს ვეძებდით.

ათასობით ადამიანი ერთსა და იმავეს იქმოდა სიკვდილ თესავდა კარაბინით, ხიშტით, ცეცხლმტყორცნით, ტყვიამფრქვევით ანდა უბრალოდ მუშტითაც კი... ესენი იყვნენ ჩემი თაობის ასეულათასობითა და მილიონობით ადამიანი საფრანგეთში, რუსეთსა და გერმანიაში... რას წარმოადგენდა ერთი მკვლელობა, ერთი პირადი დანაშაული ყველაზე თავზარდამცემ მსოფლიო ხოცვაჟლეტასთან შედარებით, ადამიანის სიცოცხლის ყველაზე მასობრივ მოსპობაგანადგურებასთან შედარებით, რომელიც კი აქამდე ყოფილა ისტორიაში?

  და თანაც (ესეც შვებას მგვრიდა) ამ უკანდაბრუნებულ სამყაროში ჩემი დანაშაულის მოწმე აღარავინ იყო. ვეღარავინ დამდებდა ბრალს განსაკუთრებული სიმამაცისათვის უმაღლესი ჯილდოთი გამორჩეულს რომ ოდესღაც ლაჩარივით მოვიქეცი, ვეღარავინ მისაყვედურებდა ჩემს საბედისწერო სისუსტეს...

  კეკეშფალვას დიდხანს აღარ უცოცხლია ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ; ილონა ნოტარიუსს მისთხოვდა და იუგოსლავიის რომელიღაც სოფელში გადავიდა საცხოვრებლად; პოლკოვნიკმა ბუბენჩიჩმა (როგორც უკვე მოგახსენეთ) თავი მოიკლა; ჩემი მეგობრებიდან ზოგი ფრონტზე დაიღუპა, დანარჩენებს კი დიდი ხანია აღარ ახსოვდათ ეს მათთვის უმნიშვნელო ეპიზოდი...

  ამ ოთხი აპოკალიფსური წლის განმავლობაში ხომ ყველაფერმა, რაც „უწინ“ იყო, ძველი ფულივით ძალა დაკარგა. აღარავის შეეძლო ბრალი დაედო ჩემთვის, აღარავის ძალუძდა გავეკიცხე; მე კი თავს იმ მკვლელივით ვგრძნობდი, რომელმაც თავისი მსხვერპლის გვამი ეს-ეს არის, კორომში დამარხა და ამ დროს კი თოვლი წამოვიდა კვალის დასაფარად... მან იცის, რომ ეს თეთრი საბურველი მის ბოროტმოქმედებას რამდენიმე თვით დაფარავს, ხოლო შემდეგ ყოველგვარი კვალიც სამუდამოდ გაქრება. ასე რომ, მხნეობა მოვიკრიბე და ხელახლა შევუდექი ცხოვრებას... რაკი აღარავინ მაგონებდა ჩემს დანაშაულს, მეც დავიწყებას მივეცი იგი. კაცი ადრე და მალე ივიწყებს ამბავს, რის დავიწყებაც გულით სწადია...

  მხოლოდ ერთხელ მომაგონა თავი წარსულმა. ვენის ოპერის პარტერში ვიჯექი, უკანასკნელ რიგში, განაპირას... ერთხელ კიდევ მინდოდა გლუკის „ორფევსი“ მომესმინა, რომლის ხალასი, იდუმალი სევდა უფრო მაღელვებს, ვიდრე რომელიმე სხვა მუსიკა. ის იყო უვერტიურა დამთავრდა. ხანმოკლე პაუზის დროს დარბაზი არ გაუნათებიათ, მაგრამ რამდენიმე დაგვიანებულს ნება დართეს სიბნელეში თავიანთი ადგილები მოეძებნათ. ჩემს რიგსაც მოადგა ორი ასეთი დაგვიანებულის კაცისა და ქალის სილუეტი.

  – თუ შეიძლება, გაგვატარეთ, – თავაზიანად დაიხარა ჩემკენ კაცი. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მაშინვე ჩემ გვერდით ცარიელ სავარძელში ჩამჯდარიყო, ჯერ ქალი გაატარა წინ, ფრთხილად და ნაზად წარმართავდა მის ყოველ მოძრაობას; მან არა მხოლოდ გაუკვალა გზა, სავარძლის დასაჯდომიც ჩამოუწია რუდუნებით და დაუჭირა კიდეც, ვიდრე ქალი ადგილს დაიკავებდა. ასეთი მზრუნველობა ერთობ თვალში საცემი იყო და ჩემი ყურადღებაც მიიპყრო. „უჰ, უსინათლო ყოფილა“, გავივლე გუნებაში და უნებლიეთ თანაგრძნობით გადავხედე ქალს. მაგრამ ამ დროს მისმა, ცოტა არ იყოს,

მსუქანმა მხლებელმაც დაიკავა ჩემ გვერდით ადგილი და გული გადამიქანდა, როდესაც კონდორი შევიცანი. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, კაცი, რომელიც ჩემი დანაშაულის ასავალ-დასავალს, ჩემი გულის ყოველ კუნჭულს კარგად იცნობდა, ისე ახლოს იჯდა ჩემთან, რომ მისი სუნთქვაც კი მესმოდა!.. ეს ის ადამიანი იყო, რომლის თანაგრძნობამაც მომაკვდინებელი სისუსტე კი არა, როგორიც ჩემი გახლდათ, არამედ მხსნელი ძალა გამოავლინა, თავი ზვარაკად შესწირა. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო გავეკიცხე, ერთადერთი, ვისიც მრცხვენოდა!.. როგორც კი ჭაღები გაჩახჩახდებოდა, მაშინვე მიცნობდა.

მთელი სხეული ამითრთოლდა, სასწრაფოდ ხელი ავიფარე სახეზე, თორემ ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზშიც შეიძლებოდა ვეცნე. საყვარელი ჰანგების ერთი ტაქტიც აღარ გამიგონია, ისე ძლიერად მიძგერდა გული. ამ კაცის სიახლოვე მთრგუნავდა... თითქოს დედიშობილა ვიჯექი სიბნელეში, ამ კარგად ჩაცმულ და ალბათ წესიერ ადამიანთა შორის, და თავზარდაცემული ვფიქრობდი, რომ სინათლის ანთება და ჩემი მხილება ერთი იქნებოდა. ამიტომ, როგორც კი პირველი მოქმედება დასრულდა და ფარდამ დაშვება დაიწყო (სანამ შუქი აინთებოდა), თავი დავღუნე და გასასვლელისკენ გავიძურწე...

მაგრამ მას აქეთ ხელახლა ვირწმუნე: არავითარი დანაშაული არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, ვიდრე მის გამო სინდისი გქენჯნის.

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE